

8(05)
280

1896

„მონაპე“

თვიური ჟურნალი

(წელიწადი შესამე)

გამოცა ყოველ თვის პირველ რიცხვებში

იმაკე პრეტორამით

შანი ჟურნალისა გააზაზნით:

| | | | |
|---------------------------------|---------|--------|--------|
| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში. | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარედ . | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

სელის-მოწერა შიადება ტფილისში, ჟურნალ «მოაპე»-ზე რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩასე № 13.

ვიგნას მადახაებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოაპე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათა შაურა, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაეთობათ.

შესიშენა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აცებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მოწერით ფულის მიღების კვიტასცია გაგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანიაზე.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлис, Редакция „Моапе“*.

რედაქციამ მოსახერხებლადა სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რგა მასეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ათსა მანეთი შემოიტანოს და ან-ანა მანეთიც მარტში და აგვისტოში.

ე. შიხიძის შრომათა

მ მ ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეორე

№ X

თბილისი, 1895

რ. ა. შიხიძე



ტიფლისი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემი

1895

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 ноября 1895 г.

შ ი ნ ა უ რ ს ი

| | ბმ. |
|--|-----|
| I სანდრო წკვერთიაშვილი.—ამბავი *** | 1 |
| II მშვიდლოვით! — ნაწილი მეორე.— სურათები სამეგრელოს ცხოვრებისა თ— ღვისა (გაგრძელება) | 9 |
| III «ქარი კი ამ ღროს ზუზუდა, კვნესოდა და გინნავდა». — ფსიხოლოგიური ეტიუდი შ. ანაგკასიზინდელასა | 61 |
| IV ბანთიადი.—რომანი ეჟისა, თარგმანი თ. სანჯკაას- სი (გაგრძელება) | 69 |
| V მხედარი.— ლექსი ცხსელისა | 116 |
| VI ცაცხლითა და მახვილითა.— ნაწილი მეორე. — რომანი გენრაკ სენკეჟიანისა, თარგმანი გრ. ე—ქასა (გაგრძე- ლება) | 123 |
| VII სულით.— ავადმყოფნი.— ა. პადრამისა | 1 |
| VIII მთიულეთი 1804 წელსა.— IX.— ისტორიული ამბავი ალ. ფრანკელისა | 20 |
| IX რძე და მისი სხვა-და-სხვა გვარად გამოჰქენება.— V.— კანტაქი და ებო.— პროფესორის ვ. ჰეტნაჰალა- სა (გაგრძელება) | 49 |
| X მებრული დილაქტის ნათესაობრივი დამოკიდებულა- ბა ქართულთან.— ზ. ჭანაასი | 70 |
| XI თ—დი რაფაელ ვრისთავი და მინი სალიტარატურო მო- ღვაწეობა.— გრ. ყაფუშაძისა | 80 |

ქრონიკა:

XII კოვიდის ცხოვრება.—ქართლ-კახეთის სამრევ-
ლო სკოლების მომავალი და მათი სავაჭრო და
სააზრო ჯედაგებდებები.—აბრამისძისა . . . 99

XIII განცხადებანი.

დამატება:

XIV საქართველოს სიკვლევი. 81—112





Հայրենիքի սիրով
Երևան

სანდრო ნეკერსიაშვილი

კარგი ბიჭი იყო სანდრო წვევრტიაშვილი და, ადვილად შესაძლებელია, ეს კარგი ბიჭობა ბოლომდე შერჩენოდა, მაგრამ საუბედუროდ მისდა თავისს ქერქში არ დადგა, ანუ, უკვლ რომ ვსთქვათ, არ დააყენეს. ხომ მოგეხსენებათ, ქვეყანა შურიანია, თუ სწორ გზაზე მავალი კაცი ნახა, ვერ მოისვენებს, იქამდე უღიტინებს, იქამდე ახტუნებს, ვიდრე დავთარს არ დაუბნევს და გზა-კვალს არ აურევს. სანდროც სწორედ ქვეყნის გაუტანლობისა და შურიანობის მსხვერპლი შეიქმნა. თორემ რა უშავდა! იყო მისთვის, თავისს საქმეს მუყაითად აკეთებდა; თავისუფალ დროს წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვას ანდომებდა; ჯამაგირის უმცირესს ნაწილს თვითონ ხარჯავდა, დანარჩენს სოფელში უგზავნიდა თავისს ღარიბ დედამასს. საქეიფოდ და საყომარბაზოდ არ ეცალა. ზოგჯერ კვირა-უქმე დღეობით ეკლესიაში მიდიოდა. ძალიან იშვიათად ბაღში და ბულვარზედაც შეხედებოდათ მოსეირნე ხალხთა შორის. საიად და სუფთად ეცვა. ლაპარაკი ზრდილობიანი და თავ-დაქერილი იცოდა. მიხვრა-მოხვრა დინჯი და დარბაისლური ჰქონდა. ამას გარდა, ტანადობაც უვარგოდა და შესახედავდაც არა უშავდა-რა. ასე გასინჯეთ, ზოგიერთი მანდილოსანი დაბეჯითებით ამბობდა სანდროს შესახებ, რომ მოსაწონი ყმაწვილიაო. ასე თუ ისე, სანდრო კარგი ბიჭი იყო. ორჯელ თუ სამჯერ საქველმოქმედო აზრით ხელის-მოწერაც გამართა, რამდენიმე თუმანი შეაგროვა და გაზეთის შემწეობით შემომწირველთა სიაც გამოაცხადა.

სწორედ აქედან იწყება სანდროს გაუკუღმართება, ესე იგი ზუნებრივ ქერქიდან გამოდრომის სურვილი და ჩვენი ამბავიც.

რაღაც საეშმაკოდ და სახათაბალოდ, როცა გაზეთს შეგროვილი ფულები და შემომწირველთა სია გაუგზავნა, თან თანის პატარა შენიშენაც დაურთო. მშვიდი და მყუდრო მონასტერი სანდროს ცხოვრებისა ამ შენიშენის დაბეჭდვამ არია და აფორიაქა. ეს უბედურ ვარსკვლავზე შობილი შენიშენა რომ არ ყოფილიყო გაზეთში, შეიძლება ქვეყანას, ესე იგი იმ შურიან საზოგადოებას, რომელშიაც სანდრო ტრიალებდა, ხელმოსაჭიდი ვერაფერი ეშოვნა და სანდრო დღესაც წინანდებურად კარგი ბიჭი ყოფილიყო. მკითხველო, ალბად არ იცოდი, რომ ის უმნიშვნელო შენიშენა სანდროს ცხოვრებაში ასეთ შესანიშნავ ამბავს ჰშობდა, თორემ ყურადღებას მიაქცევდი და გეცოდინებოდა რა ეწერა შიგ. ახლა რაკი არ იცი, მეტი რა ჯანია, სიტყვა სიტყვით უნდა გადმოვწერო ეს შენიშენა თქვენდა საყურადღებოდ.

„მოწყალეო ხელმწიფევე, ბატონო რედაქტორო! ამასთანავე გიგზავნით ქ. ყაირათიანში ჩემ მიერ შეკრებილ თერთმეტ მანეთს და სამ აბაზ ნახევარს და გთხოვთ ეს ფული მიუმატოთ რუსთაველისათვის ძეგლის ასაგებ ფონდს. ამასთანავე არ შემიძლია, გული არ მითმენს არ ვუსაყვედურო ქართველებს გულგრილობისათვის, რადგანაც ამ ღირსეულ საქმისათვის საყოფი ფული დღემდე არ შეგროვილა. რუსთველი ჰეშმარიტად ღირსია ძეგლისა. აქამდეც უნდა აგვეგო მისთვის ძეგლი. შერცხვენა ყველა იმ ქართველს, რომელიც თავისს წვლილს ამ საქმისთვის დაიშურებს! აი სიაც ხელის მომწერთა... სანდრო წკვერტიშვილი“.

წაიკითხეს თუ არა ეს სანდროს ნაცნობებმა, სიხარულით ხელის გულები დაიკოცნეს. იშოვეს რაღაც მიზეზი, რომ კაცი აემჩატებინათ, ბურბუშელოდ გაეხადნათ.

— წავიკითხე შენი სტატია და ძლიერ მომეწონაო, — ეუბნებოდა ერთი.

— მომეწონა კი არა, მე კინალამ გავგიჟდი. კარგა ხანია ქართულს ენაზე მაგის ფასი და ბაღალი არაფერი წამიკითხავს,— უმატებდა მეორე.

— არა, მაგეთი წერა თუ შეგეძლო, სად იყავი, შე კაი კაცო, ათასის ოცობოდურებით გამოგვიჭედეს ყურებიო,— უცხადებდა თავის აზრს ცბიერის ღიმილით მესამე.

— გაუბედავი კაცია და ის არის, მეტი არაფერი. მაგას რომ ჰკითხო, ახლაც არ იცის, თუ რა ძვირფასი რამ დასწერაო,— ღაღადებდა ეშმაკურად მეოთხე.

— გაუბედაობა იგივე მორცხვობაა და მორცხვობა ხომ დიდის ნიჭის ნიშანიაო,— კვერს უკრავდა მეხუთე.

— „შერცხვენა იმ ქართველს, რომელიც თავისს წვლილს ამ საქმისთვის დაიშურებს!“ რა სამაგალითო სიტყვებია! ეს მთელ „ვეფხისტყაოსნადა“ ღირსო,— ჩაერევოდა ლაპარაკში მეექვსე.

— სიშართლე უნდა სთქვას კაცმა, მაგ აზრის ასე ძლიერად, ასე მკვეთრად გამოთქმა არც ილიას შეუძლია და არც აკაკისო,— ისმოდა მეშვიდესაგან.

რალა ბევრი გავაგრძელო, იმდენი ქება-დიდება გააგონეს სანდროს, რომ ეს უკანასკნელი მართლა შეეჩვია და შეურიგდა კიდევ იმ აზრს, რომ შესანიშნავ წერილის შესანიშნავი ავტორი ვარო. მაგრამ ჯერ კიდევ თავს იმაგრებდა, ცვლილება არაფერში ეტყობოდა.

ესეც ჩქარა მოხდა.

ერთს მშვენიერ დღეს ქ. ყაირათიანის ყაფახანაში „იზვო-შიკმა“ და არა ნაკლებ გადაკრულმა „საპოეტნიკმა“ რალაც აყალ-მაყალი ასტუხეს და კიდევაც სცემეს ერთმანეთს. ეს ამბავი გაიგო სანდრომ, ცოტა არ იყოს გაჰბერა, გააზვიადა, მთელი კორესპოდენცია გამოაცხო და გაუგზავნა გაზეთს. გაზეთმაც ცოტაოდენის შემოკლებით დაჰბეჭდა ეს ამბავი. მიიღო თუ არა სანდრომ ის №, რომელშიაც მისი ნაწარმოები იყო დასტამბული, ციდან ვარსკვლავებს დაუწყო კრფა. რამდენჯელმე ზედი ზედ წაიკითხა, თითქმის ზეპირად დაისწავლა. ერთის სიტყვით ამ ამბით სანდროს თავმოყვარეობა იმდენად მოიხიბლა

და მოჯადოვდა, რომ სრულიად დარწმუნდა იმაში, რაშიაც ამდენ ხანს სხვები არწმუნებდნენ. თავის თავი მართლა დიდ და არა-ჩვეულებრივ ნიჭის პატრონად წარმოიდგინა. მაგრამ ნაცნობებმა მაინც მიიტანეს მასზედ იერიში. აკი არ გჯეროდა ჩვენი სიტყვებიო, ეუბნებოდნენ ისინი, „სხემან სხვისი უკედ იცის“, ტყუილად კი არ უთქვამს რუსთაველსო. ახალის ქება-დიდებით უსაზღვროდ გამხიარულებულ სანდროს ნერწყვი უშრებოდა, თვალები ცრემლებით ევსებოდა და ამ მდგომარეობაში მყოფი, რა თქმა უნდა, პასუხს ვერ ახერხებდა...

გავიდა რამდენიმე ხანი. გაზეთებში გამოჩნდა ერთი პატარა ლექსი, რომელიც უაზრობას და უშინაარსობას გარდა იმითი იყო შესანიშნავი, რომ, როგორც ხელის მოწერა ამტკიცებდა, სანდროს ეკუთვნოდა.

აქ საჭიროდ და ძალიან საჭიროდაც მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება, ურომლისოდაც, მართალია, მკითხველთ არა დააკლდებათ-რა, მაგრამ სანდროს ბიოგრაფია კი დიდად იზარალებს. საქმე ის გახლავთ, რომ ვიდრე ამ ლექსს სანდრო რედაქციას გაუგზავნიდა, მოუყარა თავი თავისს გუნდრუკის მკმეველთ, ჯერ ლაზათიანად გაუმასპინძლდა და შემდეგ „დესერტის“ სამაგიეროდ ლექსი წაუკითხა. რასაკვირველია, ლექსი მოუწონეს და ისე ხერხიანად მოუწონეს, რომ საბრალო სანდრო კინაღამ გავიჟდა. გვატყუილებო, ეუბნებოდნენ, ეს ლექსი სადღაც და ოდესღაც წაგვიკითხავს და ავტორი კი ვერ მოგვიგონებიაო. ერთი ამბობდა: აკაკისა უნდა იყოსო; მეორე გაიძახოდა: ჭალადიდელისას ჰგავსო; მესამე ამტკიცებდა, რომ ენის სიმსუბუქითა და რითმის თავისუფლებით აკაკის ლექსად ჩასთვლის კაცი, ხოლო თუ დაუკვირდებით აზრის სიღრმესა და შინაარსის სიმდიდრეს მაშინ სწორედ ილია მოგავგონდებათო.

ღმერთი, რჯული, ხატი, ჯვარი, სინიღისი, პატიოსნება, სამშობლო, ყველაფერი დაიფიცა სიხარულის გამო ცრემლ-მორეულმა სანდრომ და ძლივს დააჯერა თანამეინახენი, რომ ეს ლექსი თავიდან ბოლომდე მე მეკუთვნის, ერთი სიტყვა, ერთი წინწყალიც მოპარული და ნასესხები არა მაქვსო.

მართლაც ასე იყო.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ იმ ამბავს, რომ სანდროს ლექსი დაისტამბა გაზეთში. მეორე დღეს ქ. ყაირათიანის ყველა ოჯახობა შემოირბინა სანდრომ და ყველა გააბედნიერა იმიწვიათის ბედნიერებით, რომლის მსგავსი სხვა ქალაქისა და სოფლის მკვიდრთ, შეიძლება, სიზმარშიაც ვერ იხილონ. რა იყო ასეთი ბედნიერება? იკითხავეთ თქვენ. რა იყო?.. როგორ თუ რა იყო? განა უკეთესს ბედნიერებას წარმოიდგენს ადამიანი, რომ ყველა ლექსი, რაც კი წაუკითხავს, ან გაუგონია, პირდაპირ ავტორის ბავთაგან მოისმინოს! აქედან, რასაკვირველია, თავისთავად უნდა მიხვდეთ, რომ სანდრო თავისს ლექსს თითონვე კითხულობდა ყოველგან. და ყველასთან: ოჯახებში, ქუჩებში, ხილზე, სადილზე, ვანშამზე, რესტორანებში, ბაღში, ქორწილში, ტირილში და ხან-და-ხან პანაშვიდებზედაც. ამასთანავე ისიც უნდა იგულისხმობთ, რომ მარტო ერთი ლექსი ხომ არ დაუწერია. მართალია, ჟურნალ-გაზეთებში არა თუ ყველა, არამედ ნაასედიც მისი ლექსებისა არ იბეჭდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ ყაირათიანში ყველას ჰქონდა თუ წაკითხული არა, ძალა-უნებურად გაგონილი მინც სანდროს ლექსები. სანდროს ჩვეულებად გადაექცა და ნაცნობს (ყაირათიანში ყველას იცნობდა), რა გუნებაზედაც უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი, თავისს ახალ ლექსს მოუყვებოდა და წაუკითხავდა... წაუკითხავდა კი არა, ეტყოდა, რადგანაც ყველა გაზეთბირებული ჰქონდა. ამ ნაირად სანდრომ მიაღწია თავისს სასურველ საგანს: ზოგმაც ხუმრობითა და ზოგმაც მართლა სანდროს „პოეტი“ უწოდა. ხოლო რაც შეეხება იმ ნაცნობთ, რომელთაც წარუდგენდა ხოლმე სანდრო თავისს ყველა ახალ ნაწარმოებს გასასინჯად და დასაფასებლად, იმათ ხომ სულ გადარიეს. ერთნი ბაირონს ადარებდნენ, მეორენი შილერს უბადლებდნენ, სხვანი კიდევ გიოტეს ეძახდნენ, ხოლო ყველანი ერთად გადაჭრით ეუბნებოდნენ, რომ თანამედროვეთა და მემამულეთა შორის სწორი და ტოლი არა გაყავსო.

„ბაირონი! შილერი! გიოტე!“ ჩასჩურჩულებდა რაღაც იდუმალი ხმა სანდროს ყურებში, აარობდა, აბრუებდა და ყველაფერს ავიწყებდა, გარდა, რასაკვირველია, თვისის ლექსებისა, რომელთა მეოხებით გახდა ამ დიდებულ კაცებთან სახსენებელი. ამ გამოუჩინებლობაში, ამ ნისლსა და ბურუსში გახვეული თავ-მოყვარეობა სანდროსი ვერ კმაყოფილდებოდა მარტო იმითი, რომ ბაირონს და შილერს, როგორც არწმუნებდნენ და თითონაც სწამდა, მარტო ლექსებითა ჰგავდა. უნდოდა ეს მსგავსება სხვა გარეგან მსგავსებითაც დაეგვირგვინებინა. ამ აზრით შეუდგა გამოკვლევას იმისას, თუ როგორ იცვამდა, რანიარ ჯოხს ატარებდა, წვერს იპარსავდა თუ წვერ მოშვებული იყო, როგორი „მანერა“ ჰქონდა სიარულში, ლაპარაკში და მიხვრა-მოხვრაში და რანიარი „პოზა“ ეჭირა საზოგადოდ ცხოვრებაში ამა თუ იმ შესანიშნავ კაცს. ამ გამოკვლევამ სულ ერთიანად დაჰკარგა და დააბნია სვე-უბედური სანდრო, სულ აურია უამისოდაც არეული გზა-კვალი. დღეს რომ წვერ-მოშვებული გენახათ სანდრო, ხვალ უეჭველად წვერ-მოპარსულს შეხვდებოდი; დღეს რომ ეროვნულ ტანისამოსში ყოფილიყო გამოწყობილი, ხვალ უსათუოდ ევროპულად იქნებოდა ჩაცმული. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ვინ რას ეტყოდა ამა თუ იმ შესანიშნავ კაცის ტანისამოსისა და ზნის შესახებ. ეტყოდა ვინმე, მაგალითად, რომ ამა და ამ დიდებული კაცის თმასა და წვერს მაკრატელი არ მიჰკარებია, ნაღვლით სავსე სახე ჰქონდა, საზოგადოებაში იშვიათად გამოჩნდებოდა და მაშინაც ახირებულად არავის დაელაპარაკებოდაო. სანდროც რამდენისამე თვით თმას და წვერს დაიყენებდა, გარედ აღარ გამოდიოდა და თუ გამოვიდოდა, დაღვრემილ-დანაღვლიანებული დადიოდა. ხან-და-ხან, თუ გული ველარ მოუთმენდა და დაილაპარაკებდა, უსათუოდ დიდ ვინმეების და დიდ საგნების შესახებ იტყოდა თავის აზრს, რომელიც ყოველთვის ან ახირებული რამ იქნებოდა და ან დიდი სისულელე, მაგრამ მას აუცილებელ ქეშმარიტებად მიაჩნდა. გადიოდა ამ ყოფაშა რამდენიმე თვე, ზოგჯერ სრული წელიწადიც. ახლა სხვა კეთი-

ლის-მყოფელი მოველინებოდა სანდროს და ეუბნებოდა: ესა და ეს შესანიშნავი მგოსანი მუდამ წვერს იპარსავდა, მარჯვენა ლაწვს ხალი უმშვენებდა, ხუჭუჭი თმა ჰქონდა, მხიარული სახე, დიდად მოსწრებელი და მახელი ლაპარაკი იცოდა და, რასაკვირველია, ლამაზ სქესთა შორის „ხელის-ხელ საგოგმანები“ იყო. სანდროც მაშინვე გარბოდა დალაქთან, აპარსვინებდა წვერს, ახუჭუჭებინებდა თმას და, ასე გასინჯეთ, ყალბ ხალსაც აკეთებინებდა, თორემ ნამდვილი ხალი მას არა ჰქონდა. შემდეგ ერთბაშად გადიყრიდა კმუნვის ღრუბელს სახიდან, გამხიარულდებოდა, ცდილობდა სიტყვა-წყლიანობა და ენა-მახვილობა დაეჩემებინა, რომ ისიც გამხდარიყო ლამაზ სქესთა შორის „ხელის-ხელ საგოგმანები“. ამ როლში სანდრო ერთი-ასად უფრო სასაცილო იყო და კიდევაც იცინოდნენ ყაირათიანის მკვიდრნი განუჩრჩველად სქესისა, წოდებისა და ასაკისა. ან კი რატომ არ გაიცინებდნენ, რა ეხარჯებოდათ!

გულუბრყვილო სანდრო კი სხვას ფიქრობდა. ის ჰგონებდა, იმდენად მოსწრებულ სიტყვა-პასუხის პატრონი ვარ; რომ ხალხს სიცილითა ებოკავო და სულ მახვილობდა, სულ ხუმრობის ქეიფზე იყო, მაგრამ, საუბედუროდ, მახვილობა ყოველთვის ჩლუნგი და უადგილო მოსდიოდა, ხუმრობა მუდამ უხერხული და ტლანქი იცოდა. დღე ერთი იყო და სანდროს ახირებულ სიტყვა-პასუხზე და ყოფა-ქცევაზე მითქმა-მოთქმა ათასი. ყაირათიანში ვისთანაც უნდა გელაპარაკნათ და რაზედაც უნდა გელაპარაკნათ, თქვენი თანამესაუბრე, სხვათა შორის, სანდროს ახირებულობის შესახებ ორ-სამ ანეგდოტს უსათუოდ იტყოდა.

ყაირათიანის ფოტოგრაფთან რომ შესულიყავით, იქ თითქმის სულ სანდროს სურათები იყო გამოფენილი. სანდრო მდგომარე, სანდრო მჯდომარე, სანდრო ეროვნულ ტანისამოსით, სანდრო ევროპულ ტანისამოსით, სანდრო მოწყენილი და დაფიქრებული, სანდრო მხიარული და უდარდელი, სანდრო წვერ-მოპარსული და ხალიანი, სანდრო წვერ-მოშვეებული და ვინ იცის კიდევ რამდენ ნაირად იყო გადაღებული ეს ახირე-

ბულიკაცი. ამბობდნენ და მეცა მგონია მართალი იყოს, რომ როცა სანდროს „პოეტი“ უწოდეს და დიდებულ კაცებს დაადარეს, მაშინ ბლომად გადააღებინა თურმე თავის სურათები და წიგნის მალ ზიებს დაუბრუნა გასასყიდად, მაგრამ უკანვე მიიღო და ისევ ნაცნობებში გაასალა, რასაკვირველია, მუქთანდ. ეს ამბავი მით უფრო დასაჯერია, რომ ყაირათიანში თითქმის ერთი ოჯახი არ იყო ისეთი, სადაც სანდროს სურათი არ ამშვეინებდა ან კედელს, ან ალბომს; ცნობის მოყვარეობით თუ გასინჯავდით სურათს, ყოველ სურათის მეორე მხარეს ნახავდით უეჭველად საგანგებოდ შეთხზულ ლექსს, სანდროს საკუთარ ქარხანაში მომზადებულს.

ამდენ ქარაფშუტობაში სანდროს, რა თქმა უნდა, დიდი დრო ეკარგებოდა და ფულიც ცოტა არ ეხარჯებოდა. ჯამაგირი აღარ ჰყოფნიდა. სამსახურს გულმოდგინედ ვეღარ ასრულებდა. წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვას თავი მიანებდა. სად ჰქონდა ამისათვის დრო, როცა მუდამ თავის ლექსები აგონდებოდა! როცა სულ იმაზე ოცნებობდა, რომ შესანიშნავი რამ დაეწერა და ქვეყანა გაეკვირვებინა! დაებნა დავთარი, აღარ იცოდა, სად იყო და სად უნდა ყოფილიყო, რას აკეთებდა და რა უნდა გაეკეთებინა. ამ მდგომარეობაში მყოფი კაცი, რასაკვირველია, სამსახურში ვერ ივარგებდა და არ დააყენეს. ერთი დიდი შეცდომისათვის დაითხოვეს და შეცდომის გამო მოსულ ზარალის ასანაზღაურებლად უკანასკნელი თვის ჯამაგირიც დაუტოვეს. დარჩა ცარიელ-ტარიელი სანდრო და მისი ლექსების რვეული.

რას ჰფიქრობს ეხლა სანდრო? ჰფიქრობს და გადაწყვეტილიცა აქვს, ვალი აიღოს და საკუთარს ხარჯით გამოსცეს თავის ლექსთა კრებული ფაქტოგრაფიულის სურათებითა და ფაქსიმილეთი. ამით აპირებს სახელიც მოიხვეჭოს და ფულიც. ასეთი განზრახვა სანდროსი მისმა ნათესავებმა გადმომცეს და ღვარძლიანის ღმილით დაუმატეს, რომ უფრო მოსალოდნელია სანდრო გაგიყდესო.

მ უ ვ ი ღ ო გ ი თ!

ნაწილი მეორე

IX*)

თ. ალმასხანის სიკვდილის შემდეგ, მისმა ოჯახმა რამდენისამე ხნით გამოიცვალა ცხოვრება. რამდენიმე წელი გავიდა და ქურდობა აღარ უკადრნია მის ოჯახს. ან ვის უნდა ექურდნა? არა თუ ქურდობისათვის ზრუნვის თავი არა ჰქონდა კნენინა მაკას, პირიქით, დიდი მეცადინეობა დასჭირდა, რომ თავი გაეთავისუფლებინა როგორმე იმ ხათაბალისაგან რომელშიაც ქმრის სიკვდილს შემდეგ ჩავარდა. უკვე ნაცნობი თადა თავის ცხენის ქურდობას განსვენებულს ალმასხანს და კაენას აბრალებდა და ღღე და ღამ ზუგდიდის მაზრის უფროსის კარ-წინ იყო. არზას-არზაზე აწერინებდა და იმის მირთმევაში იყო. მოწმენიც ჩნდებოდნენ, რომელნიც ცხადად ამტკიცებდნენ ენგურის პირად ტყეში, გამოღმა ყარაულის ტყვიით ალმასხანის სიკვდილს. ეს უფრო საშიში იმიტომ იყო, რომ გური კოჩისაგან გაღმა გაყიდული საღარია პატრონმა ბევრის ძებნის შემდეგ იპოვა სუხუმში. აფხაზს, რომლის ხელშიაც ჰნახა, მაგრად ჩაჰკიდა ხელი. სამართალში მიცემას დაემუქრა, თუ გამყიდველს არ მაჩვენებო. აფხაზმა ერთი მეზობელი თავადიშვილი დაასახელა, მან კიდევ სხვაზე გაუშვირა ხელი და ასე, რამდენისამე ჩვენების შემდეგ, გური კოჩზედ უესდგნენ. გური კოჩის საქმე ცუდად იყო. მან უკანასკნელად გადაირეცხა სინიდისი და ალმასხანს გადააბრა-

*) «მოამბე» № IX.

ლა ყოველივე. მაზრის უფროსმა ჯეროვანი განკარგულება მოახდინა. ბოქაულს გაუფხავნა ბრძანება, კაჟნა შეიპყარი და გამოძიებელს გადაეცია. თუმცა აღმასხანს საფლავიდან ვერ ამოიღებდნენ და, შეიძლება, მაკას არაფერი დაჰმართნოდა, მაინც მან თვისის ოჯახის პატროსების დასაცველად ყოველივე ღონე იღონა. შეუჩინა მაზრის უფროსს თავადიშვილები, ვავლენიანი კაცები და ერთ ღღესასწაულს ღღეს დაჰპატიჟა კრდეცა. გაიმართა უშველებელი ღვინი. ღვინის ძალამა და მაკას წერწეტმა წელმა, ტანში გამაზრიალებელმა ტანადობამა და მომხიზლავმა შავ-თვალ წარბმა მოხუცებულს მაზრის უფროსს თავრეტი დაასხა. საცოდავ ბებერს არშიყს სულ გადაავიწყდა თავისი მოვალეობა და ვერ შესძლო განწბილება ამოდენა კეთილშობილებისა, რადგან თითქმის ყველანი მათ შორის მისი მეგობრები და დაახლოვებულები იყვნენ. არზები და ოქმები დიდს ხანს ეწყო შეკაფებში. მერე მათი შტატი იქაც გაუქმდა და „დელი“ არხივში მოექცა... საქმე ამით გათავდა. მაზრის უფროსმა ამ დაპატიჟების შემდეგ კნ. მაკასთან ნათესაობაც აღმოაჩინა თვისი.

— აკი გამახსენდა, ქალბატონო, — უთხრა ერთხელ მაზრის უფროსმა კნენას, როცა საღამოთი ზღვის სიოს ნელის სინინით გულ-დამტკბარნი, ჰანდრის ძირში სამხარს შეექცეოდნენ: — არ იცით განა, ქალბატონო, რომ განსვენებულის ჩემი დედის-ღის მაზლი უჩანა თქვენს მამიდაშვილს შვილს უნათლავდა?

— როგორ არა, ბატონო. აბა რას ჰქვია სისხლი და ხორცი. მერე რა პატროსანი კაცი იყო ის უჩანა. ჩვენი სიძის სახლში რომ მოვიდოდა, უჩემოდ ერთს წუთს ვერ გასძლვდა. „მაკა შინ არ არისო?“ იკითხავდა ცხენიდან ჩამოსვლის უმალ და, თუ ჩემს შორს ყოფნას შეიტყობდა ეწყინებოდა, ასე რომ ძვირად თუ მერე ღამე იქ ყოფნას დააპირებდა.

ახალი ნათესავნი ხშირად იყვნენ ხოლმე ასეთს სასიამოვნო მუსიაფეში და ბოლოს ისე დაუახლოვდნენ ერთმანერთს, რომ კაცს ეგონებოდა, ღვიძლი ნათესავები არიანო. უფროსი

ხანდისხან, როცა მაკას ესტუმრებოდა, კეთილ რჩევასაც აძლევდა. ხშირად უჩრჩევდა მაკას, შვილი გამოართვი ბიძასა და ქუთაისში გაგზავნეო.

— ახლანდელ დროებაში, თუ კაცი უსწავლელია, გროშად არა ღირსო, — ეუბნებოდა უფროსი. — სჯობია ახლავე შეუდგე საქმეს, თორემ თუ დრო გადასცილდა, იცოდე, სიცოცხლეს გაგიძაღლებს. შენთან რა უნდა ისწავლოს? რაც მამას უსწავლია? ა! ხო იცი მამას რა დაემართა. ამის თქმაზე მაკას თვალები გაუწითლდებოდა, სახე გაუფითრდებოდა, და თან ღრმად ამოიოხრებდა ხოლმე.

— ვიცი, შენი ჭირიმე, ვიცი, — მიუგებდა დამშვიდების შემდეგ, — მაგრამ რა ვქნა, ჯერ ბავშვი ძიძას რომ გამოვართვა, ხომ იცი, საუკუნოდ დამეკარგება მათი ოჯახი და, რომ იცოდე, რა პატიოსანი ოჯახია, ან რა პატივის-მცემელი და მოყვარულია ჩვენი ოჯახისა! ჩვენმა უბედურებამ ჩვენზე უფრო შეაწუხა ისინი; დღემდი თვალებიდან ცრემლი არ შესრობიათ უბედურებს.

— ეს არაფერია, ბატონო. იმათ უფრო არ გაუხარდებათ, თუ თვითონ პატიოსანნი არიან, პატიოსანი და ნასწავლი გაზდილიც ნახონ? ხუთი-ექვსი წლის რომ შეიქმნება, მერე რა ძიძის საქმეა ბავშვი. სჯობია ამ თავიდანვე შინ გყავდეს და შენს სიყვარულს შეაჩვიო. თორემ თუ ქურდი გამოვიდა, აბა, პა, პა!.. რა ვქნა, განა მე ქურდები მიყვარს? ამდენი ქურდობაა და ერთიც არ გამისამართლებია რიგიანად. მეც არ მინდა, ქრისტეს ვფიცავ, ცულ-კაცობა. იყოს. ყველანი, როგორც თქვენ, ნათესავები და მეგობრები არიან ზოგი ჩემი მამისა, ზოგი ჩემი, ზოგი ნათელ-მირონია, ყველანი თაყვანს მცემენ, ცაში აყვავართ და, რა ვქნა, ვერ ვულალატებ. ხომ იცი, კნენია, ჩემი გვარი არაფერი შესანიშნავი გვარი ყოფილა ძველად. ახლა ოდიშის გამორჩეული თავადიშვილები ქედს იხრიან ჩემ-წინა და იძულებული ვარ დავემორჩილო. კარგი არ არის? რომ არავინ ქურდობდეს, მაშინ მეც მოსვენებული ვიქმნები და საზოგადოებაც.

— კეთილი, ჩემო ბატონო, — მიუგებდა ხოლმე კნ. მაკა. — ვეცდები, თქვენი რჩევა ავასრულო, იმედი მაქვს თქვენც შემწობას მომცემთ, დარწმუნებული, რომ დიდად გეწვისთ გული ჩემი დაობლებული ოჯახისათვის.

ექვსის წლის ზუზუ დიდის ტირილითა და ვაებით მოაშორეს ახალგაზდა ძიძას და მორდუს. მაკამ ყოველი ღონე მიიღო, რომ სხვაგან გაზდილს შვილს დედა შეეყვარებინა. პირველად ყოველივე ცდა ამაო შეიქმნა. ბავშვი სულ ტიროდა, ჯინიანობდა, საქმელს იწუნებდა და ტანისამოსს იგლეჯავდა. ბოლოს ესეც მოეწინა, წამოიზარდა, შეეჩვია დედის სიყვარულს, თუმცა გამზრდელის სიყვარულიც მუდამ დიდი ჰქონდა. დედა ყოველ სადღესასწაულოდ სხვა-და-სხვა ფერად აბრეშუმის ახალუხს უკერავდა შვილს. გამორჩეულ საქმეებს აზადებინებდა მისთვის. ბავშვის გასახალისებლად მეორე წელსვე მშვენიერი ტანადი კვიცი უყიდა და ლამაზი, პატარა, ვერცხლით შექედილი უნაგირი შეუკვეთა. პატარაობისას ყმაწვილს ნიჭი, პატიოსნება და ღვთის მოყვარეობა ეტყობოდა. კვირაუქმე დღეებში დედას მოსვენებას არ მისცემდა, ეკლესიაში რომ არ წაეყვანა. იქ ნახულსა და გაგონილს საუცხოვოდ ასურათებდა მერე შინ. მის ქორფა ტვინს შეუძლებელ საქმედ მიაჩნდა, რომ ერთს კარგად ეცვა და მეორეს კონკები ძლივს უფარავდა შიშველს ტანს. ვერ წარმოედგინა, რა იყო მიზეზი, რომ ზოგიერთ მის ტოლ და მეზობელ გლეხის შვილებს პერანგის მეტი არაფერი ეცვათ, როცა თვითონ ყოველ კვირა ახალ-ახალ ახალუხსა და წულა-მესტებს იცვამდა.

— რატომ არის, დედა, გენაცვალე, იმ საბაიას მაჟარიას სულ დახეული რომ აცვია და მე კი კარგი? — დაეკითხა ერთხელ დედას ზუზუ.

— შენ ბატონის შვილი ხარ, შვილო, — სიცილით უთხრა დედამ, დაუქირა ვარდის ფერი ლოყები და დაუწყო გაგიჟებით კოცნა.

— მერე რატომ იმათაც არ აცვიათ ასეთი, შენი ჭირიმე? — თვალეზ-გაბრწყინვებით ჩააცვიდა შვილი. — თუ გიყვარ-

დე, იმათაც ჩემისთანა ქრელი ახალუხი შეუკერე, — ეხვეწებოდა ყელზე ორის თითის მიდებით და ტუჩების წინ წაშვერით, თითქო იბუტებაო.

ცხენი და უნაგირი ძლიერ აღრე შეუყვარდა პატარა ბუხუს. როცა პირველად შესვა კაენამ ცხენზედ, ბავშვი აღტაცებაში მოვიდა. უუტ, ჩუს! — იძახდა ყმაწვილი და ფეხებს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უცაცუნებდა ფერდებზე. შვიდი წელიწადი რომ შეუსრულდა, ბუხუ მაზრის უფროსმა წაიყვანა ზუგდიდში დედითურთ, რადგან ბავშვი უდებობას ვერ მოიტმენდა, და იქ სწავლა დააწყებინა. ბუხუს პირველად წიგნის სწავლა არ ეჭაშნიკა, ასე რომ დაწერილი ანბანი სამზარეულოს ბუხარში შეაგდო. უფროსთან რამდენსამე თვეს იყო და გვარიანი წერა-კითხვა ისწავლა. შემდეგ უფროსისავე რჩევით კენინა მაკამ ბუხუ ქუთაისში გაჰზაენა. იმის სწავლის საქმე ორ წელიწადს კარგა მიდიოდა, მაგრამ ბოლოს ყმაწვილმა უკლო და მალე მთლად დაანება თავი სწავლას. რა იყო მიზეზი ბუხუსაგან ასე სწავლაზე გულის აცრუებისა? სხვა-და-სხვა მისი მახლობელი სხვა-და-სხვა ნაირად განმარტავდნენ. საზოგადოდ კი ამ აზრს ადგნენ, რომ მიზეზი ცხენი, უნაგირი, ხმალი და ჩოხა იყოვო. ბუხუ ჰხედავდა, რომ მისი ტოლ-ამხანაგნი, თავადისშვილების ყმაწვილები იცვამდნენ კოხტად შეკერილს ჩოხა-ახალუხს, ირტყავდნენ ვერცხლის ქამრებს და აბრეშუმის ყაბალახით, ბუზმენტით მორთულ მესტებით ისხდნენ ცხენზედ და თავისუფლად დანავარდობდნენ. ბუხუსაც გული შეექმნა, ველარ მოითმინა მათი ყურება და თვითონაც მოინდომა ტოლ-ამხანაგებში გარევა.

უბედურმა დედამ ბევრი ინაღვლა, ბევრს ეფერა შვილს, რომ სწავლისათვის თავი არ დაენებებინა. რა არ აღუთქვა, ოღონდ საშს წელიწადს კიდევ დარჩი სკოლაშიო, მაგრამ ვერაფერი ეშველა. მაზრის უფროსს ძალიან ეწყინა თურმე ეს ამბავი და, ამბობენ, მიიხმო კიდევ ბუხუ, მაგრამ ის იმასთან არ წავიდაო. მასუკან ახალმა ნათესავემმა, კნ. მაკამა და მაზ-

რის უფროსმაც, რაღაც მიზეზით, გული აიკრუეს ერთმანეთზე და იშვიათად-ლა ჰნახულობდნენ ერთმანეთსა.

იტყვიან, დაჩვეულს დადებული სჯობიაო და სწორედ ისე მოუვიდა კაენას. აღმასხანის სიკედელს შემდეგ ფიცი-„სალავათით“ თავი სამარეში ჩაიწვინა, შემდეგ ქურდობას გულში აღარ გაევიღებო. დასამტკიცებლად კინალამ უფროსის იასაულად დადგა.

— ისე როგორ გამიწყრება, ბატონო, ღმერთი, რომ ქურდობა დავიწყო! არც უწინ მიქურდნია ბევრი და მხოლოდ იმ უკანასკნელ დროს უბედურმა გადამიბირავა, — ეფიცებოდა კაენა უფროსს.

მაგრამ გაიარა დრომ. კაენა თანდათან ისევ დაუახლოვდა თავის ძველ ნაცნობებს. ჯერ ძალიან ფრთხილად მოეკიდა საქმეს. ერთხელ, ერთმა ნაცნობმა აფხაზმა ერთი ოქროში დაფერილი ვერცხლის ხმალი მოუტანა და ერთ თუმნად აძლია. კაენამ ხმალი დაათვალიერა, პირი გაუსინჯა, მშვენიერება რამ იყო, წყნელივით იგრინებოდა. კაენას გულმა ვეღარ მოუთმინა. „ნუ თუ ვიყიდო,“ — ამბობდა გულში. „ვიცი, რომ ნამდვილად ნაქურდალია, თორემ თუმნად როგორ მომცემს, ამისი ფასი უკანასკნელი თუთხმეტი თუმანია“. ბოლოს გაჰბედა და იყიდა. გული კი ასე დაიმშვიდა: „რაო მერე! მე ხომ არ მომიპარავს? სხვამ მომიტანა. ქვეყანას მე ვერ გავასწორებ!“ მეორედ კიდევ მეორე ნაცნობმა „გამყარებული“ ლაფშა ცხენი მოუყვანა და ხუთ მანეთად აძლია. კაენა მეორედაც შესცდა. ოთხჯერ-ხუთჯერ რომ ასე ივარჯიშა, მერე, პირიქით, თხოვნა დაუწყა ნაცნობებს, თუ სადმე იშოვნოთ რამე, მე მომიყვანეთ, ვიყიდო. ბოლოს კაენას ფულის ხარჯვაც მოეწყინა და გააჩაღა ძველი ხელობა.

ბუხუს თვალ-ტანადობას რომ უყურებდა, გულში ამბობობდა, აი სწორედ ეს გამოდგება ამ ხელობისათვისაო.

— შეჰხედე, მაკა, თუ ღმერთი გრწამს! — ეტყოდა ხოლმე ზანდისხან მაკას, — სულ მამა-მისს არ მიუგავს აგებულობა? რა მისი საქმეა წიგნის კითხვა! სულ სწავლულები აქცევენ ქვე-

ყანას. სწავლა კოკლის და „ლიაკონის“ საქმეა, თორემ ამისთანა აღმასივით ყმაწვილი აჩუხე უნდა იჯდეს და მათრახს აშრიალეზღეს.

— სუ, სუ, თუ ღმერთი გრწამს, კაენა! ჩემთან მაინც ნუ იტყვი ამისთანებს! — მიუგებდა მაკა: — ჯერე შენ შეგორჩეს შენი პირის და სალაფათის გატეხა, თორემ მეც გინდა თან გადამიღუპო? — მაკას შიშისაგან გული უძაგდაგებდა, ვაი თუ ბაღანა გადამიბიროს ამ ოხერმაო, რადგან ატყობდა, რომ ბუხუს კაენას რჩევა უფრო ჭკუაში უჯდებოდა, ვიდრე დედის დარიგება.

ბუხუ, დაანება თუ არა სწავლას თავი, მშვენიერად გამოეწყო. საბრალო დედა, შვილის სიყვარულით გატაცებული, ვერაფერს არიგებდა. მოლოს იმანაც ამით დაიმშვიდა გული: „მართალია სწავლას თავი დაანება, მაგრამ ადგილ-მამული გვარიანად მაქვს, გვარიშვილობა არ მაკლია, ქურდობას და ცუდკაცობას არ დავაწყებინებ და გემოზე ვიცხოვრებო“. მაკამ კარგად იცოდა, ვინ იყო მისის შვილის გადამბირებელი, მაგრამ რა ექმნა, მისი მოძულეობაც და სახლში შემოუშვებლობაც არ შეიძლებოდა, რადგანაც კაენა, როგორც უწინ, ახლაც თავს დასდებდა მაკას ოჯახისათვის. კაენა აღმასხანის ღვიძლი ძმისწული იყო. მამა ადრე მოუკვდა და პატარაობიდანვე აღმასხანმა გაზარდა. ჭირსა და ლხინში მუდამ ერთად იყვნენ და, რასაკვირველია, აღმასხანის სიკვდილს შემდეგ ის შეექმნა უპირატესი მფარველი ობოლის ოჯახისა.

მეტად კობტა შესახედავი იყო ბუხუ, როცა ჩოხა ჩაიცვა, მშვენიერი იარაღი აისხა და რჩეულ ცხენზედ დაიწყო ჯდომა. როცა ამნაირად გამოწყობილი პირველად გაჩნდა დღეობაში, თითქმის ყველა იმას შეაჩერდა, დიდი და პატარა.

— ვინ არის ვინ? ის ლამაზ-ლამაზი, უწვერო ბიჭი, კარგი ცხენით რომ მოდის? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს ქალები და კაცები, როცა ბუხუ კაენა და სხვა თავადიშვილები ერთად შევიდნენ ჯარში შეიარაღებულნი ცხენ-და-ცხენ.

— არ ვიცი სწორედ, ვინ არის, — ამბობდა ზოგიერთი, —
კარგი ბიჭი კი არის!

— იმ ერთს კი ვიცნობ. ის კაჟნა არ არის, ნააბრაგი?
— იკითხა ერთმა.

— ის ყმაწვილი? ის აღმასხანის შვილი უნდა იყოს.

— ყაა. აღმასხანის შვილი? უტას გაზდილი? ყაი დაილო-
ცა ღმერთო შენი სახელი! ასე ის ჯერ რამ გახადა, — უყვირ-
და ზოგიერთს. — აკი ამ სამი წლის წინად „სანაჩალიკოში“ პა-
ტარა მინახავს, როცა სუნთას ხარის დაკარგვის თაობაზე ვი-
ყავით იქ.

— შეხედეთ მერე, როგორ მიმინოსავით აღებს თვალებს
და გადაკრულ-გადმოკრულად გადმოჰყურებს ლამაზ გოგოებს,
ეტყობა არშიყია, აი? — შენიშნა ერთმა ხუმარა ჭაბუკმა, როცა
ბუხუ და მისი ამხანაგები ცხენებიდან ჩამოხდნენ და საზოგა-
დოებას მიესალმნენ. დღეობაში, ან, როგორც აქ ამბობენ, ჯარში
ქალებისა, კაცებისა და ცხენების ტევა არ იყო.

მუშაობით დაღლილი და გაჯერებული გლეხი ჯარში იე-
სებს თითქმის იმ სულისა და ხორცის ზარალს, რომელიც მოს-
დის სახლში გამუდმებულის ოფლის ღვრითა და ჯაფით. ამ
დღეს იხდის გლეხი მოკლე სამუშაო ჩოხა-ახალუხს და, შეძლე-
ბისა დაგვარად, იცვამს უკეთესს, საგარეო ტანისამოსს. ამ დღის-
თვის ცდილობს ცოტაოდნად მაინც მოლამაზდეს, იბანს ხელ-
პირს, წვერ-ულვაშს ივარცხნის, ფეხთ სუფთა წულეებს იცვამს
და მიდის ჯარში: იქ ლაპარაკობს ნაცნობებთან, ხუმრობს, იცი-
ნის, მღერის, თუ იცის სიმღერა, და ასე დროს-გატარებით ნა-
სიამოვნები, ჯან-ღონე მოკრებული ბრუნდება შინ. ჭაბუკი და
ახალგაზდა გლეხი ერთის თვით წინად იწყებს მზადებას ამ დღის-
თვის. ყოველ თახის დარტყმაზე ან სხვა რამ მუშაობში ჯარი
ახსენდება. თუ ცხენი ჰყავს, ერთის კვირით წინ ახამებს, უფ-
ლის, რომ იმ დღეს კარგის სირბილითა და ჯირითით ასახე-
ლოს. ახალგაზდა ქალების კოხტაობას ხომ საზღვარი არა აქვს
იმ დღეს. ყველანი, შეძლებისა დაგვარად გამოწყობილი, მიეშუ-
რებიან ჯარში, უმეტესობა „სედლოთი“ და „კავალრებით“.

ზოგს მამა-პაპური ლეჩაქი დაუწებებია და ფრანგული „შლია-პა“ დაუხურავს ხელ-ქმნილის ვარდებით მორთული, იქმნება ვისმე თვალი დაუბნელდეს და ანკესივით მომებასო; ზოგს ჩითის კაბისათვის აქა-იქ ფერადი ზოლი ჩაუყოლებია, რადგან ქრელი ტანისამოსი უფრო ეჩხირება ადამიანს თვალეში და მალე მომაქცევენ ყურადღებასო; ზოგს კიდევ ღილეები ზედატანისა უკან გადაუყოლებია; ზოგის „კარსეტზე“ კი რა მოგახსენოთ. ისე გაკანკლულა შიგა, რომ გეგონებათ, ცერის სისხო წელი აქვს და საცაა ლერწამივით გადმტვრევაო.

ვაჟებიც არ ჩამოუვარდებიან ქალებს გამოწყობაში. ზოგი გამოსაჩენად სამასროებს და მკერდის პირებს ბუზმენტებით ირთავს. ყველა ცდილობს, რომ ისეთი რამ ან მოირტყას, ან ჩაიცვას, ან დაიხუროს, როგორც სხვას არა ჰქონდეს. ჯარი აჭრელებულს და სასიამოვნო სურათს წარმოადგენდა. ქალნი და კაცნი ერთმანეთის ათვლიერებასა და დაფასებაში იყვნენ გართულნი. რამოდენსამე ადგილას მოისმოდა შეწყობილის ფეხ-სხმა, სადაც ოცი, ორმოცი კაცი, ერთმანეთში ნეკ-გაყრილი, „ვოხობიას“ აწკრიალებდა. ზოგან ფერხული დაიშლებოდა და სათამაშო სიმღერას იწყებდნენ. გაიმართებოდა სიმღერა, ტაშისკრა და დაირის გრიალი; უცბად გამოვარდებოდა ისარივით სხარტი ბიჭი, წელის ნელნელა რხევითა და იწყებდა თამაშობას. ბიჭს გოგოც გამოჰყვებოდა და ორთავენი ეტლის თვლივითა ტრიალებდნენ. თავდაღუნულ გოგოს თვალეები ბიჭის ფეხებისკენ იყო მიქცეული, აგრედვე ვაჟის გაბრწყინებულ თვალეები გოგოს არ შორდებოდა და იმის მიხვრა-მოხვრას შეჰყურებდა. გოგოს ბროლივით თეთრი და ისარივით სწორი მოგრძო თითები ჰაერში იყო გაწვდილი და ზედ მზის სხივი თამაშობდა.... როცა ერთნი მოილალებოდნენ ცეკვითა, ახლა სხვები გამოვიდოდნენ და ასე ამგვარად. ზოგს მღერა-თამაშობა მისწყენოდა და ისევ თავის საყვარელ ცხენისათვის მიემართნა. იყო ერთი უშველგებელი „თარჩიობა“ გამართული; თარჩიობა ის არის, რომ ერთი ცხენოსანი დაიჭერს ხელით ან კბილით ცხვირსახოცს და გაიქცევა, სხვები უკან დაედევნებიან დასაქი

რად და, ვინც მოეწევა და დაიჭერს, იმისია მერე წინ გაქცევა და ასე ამნაირად. მეთარჩიეს დიდი გამოცდილება, ცოდნა და ხერხი უნდა ჰქონდეს, რომ არ დაიჭირონ. უცბად უნდა მოაბრუნო ცხენი, რომ მოულოდნელ გადახვევით მღვეარი აიცილინო. უნდა მიუხვ-მოუხვიო, სწრაფად გაირბინო ხეებ შუა, ხან თხრილიც უნდა გადალახო, დაღმართი ჩაირბინო, აღმართზე შეაგლო ცხენი და იმავე დროს მალმალ უკან უნდა იყურო, ახლო. ხომ არ მოგდევნე დასაჭერად.

ჩვენმა ბუხუმაც ბევრი აქენა თავისი ცხენი და სახელიც მოიხვეჭა მარდის ცხენოსნისა. შეჯახებაშიაც ბევრ ცხენს დაახვევინა უკან. კარგი ის იყო იმ დღეს, რომ ჩხუბი არ მომხდარა, რაიცა ძალიან ხშირია ხოლომე ოდიშის ჯარიანობაში. ვისაც ვისთვის უწყყინებია რამ, ამ დღეს გაახსენდება. დაამარაგებს ძმაბიჭებს, თვითონაც კარგად დამარაგდება. რასაკვირველია, მოწინააღმდეგე დასიც შეუტყობს და თვითონაც ფრთხილად დაიჭერს თავს. ჯერ მცირე აყალ-მაყალი ატყდება. მერე უფრო მომეტებული ხმაურობა. ხმაურობას გინება მოჰყვება, გინებას მათრახი ან ჯოხი, ჯოხს ხმალ-ხანჯალი და დაიწყებს სისხლი დენას.

— ჩვენი ხატი, აბა, რა გეგონათ, შენი ჭირიმე, ჩხუბს მის წინ ვინ გაბედავს?— ხარხარით ეუბნებოდა ერთი „სედლოიანი“ ქალი თავის სტუმარ „კავალერს“, როცა ჯარი დაიშალა და შინ მათრახების ტკაცუნით დაბრუნდნენ. სტუმარი მეორე სოფლიდან იყო მოსული და უკვირდა, მადლობა ღმერთს, დღეს ჩხუბი არ მოხდაო.

— როგორ, ბატონო, თქვენი ხატი გამოცვალეთ? თუ ისევ ისაა, რომელიც ამ შვიდის წლის წინად იყო?

— რას ამბობ, გენაცვალე, შვიდი წელი კი არა, ლეონ დადიანის უწინაც ყოფილა ეს ხატი ჩვენში.

— მაშ იმისი ბრალი თუ არის უჩხუბობა, რატომ მაშინ არ დააშოშმინა ხალხი, როცა აქ... არ გახსოვს? ერთ წელიწადს კაცი მოჰკლეს და ორი გვარეულობა კინაღამ ამოსწყდა, ისე ამოხოცეს ერთმანერთი.

— ჰმ... მაშინ აღბად გაჯავრებული იქმნებოდა ჩვენზე, დაილოცა მისი სახელი!— და ქალმა პირჯვარი დაიწერა. ამ დროს უკან მათრახების შუილი მოისმა. ცხენოსნები იყვნენ ბუხუ და მისი ამხანაგები. წინ მიმავალთ ბუხუს გზა დაუთმეს. ყმაწვილი ისარივით იჯდა ცხენზე, აღვირი დაეკრიფა და ცხენის თავი მხედრის თავს უსწორდებოდა თითქმის. მისი ოქროში დაფერილი ხმლის ტარი ამ საღამო ჟამზედ საამურად ბრწყინავდა. მისი ამხანაგებიც რჩეულ ცხენებზე ისხდნენ. გაუტიეს ცხენებს და რამდენისამე წუთის განმავლობაში კარგა მოშორდნენ დანარჩენ მგზავრთა. ამ დღემ დიდად ასიამოვნა ბუხუ. მას უკან უფრო შეუყვარდა ცხენი და ჯირითი და თვისი მასწავლებელი კაენა. კაენა იმდენად შეუყვარდა ბუხუს, რომ უიმისოდ ერთ წუთსაც ვერ გასძლებდა. რადგან კაენა ხშირად დადიოდა საშოვარზე, უნდა ვიფიქროთ, ბუხუსაც თან ატარებდა. დიად, საუბედუროდ, ბუხუმაც ისწავლა კაენას ხელობა, სისხლმა თავისი გაიტანა და შვილიც მამის გზას დაადგა. გაცრუვდა საბრალო დედის მოლოდინი. ეგონა შვილი „ჩინოვნიკი“ გამოიძვია და ის კი არა თუ მან სხვა მოხელეობას მიაშურა.



ჭაბუკს ბუხუს თუმცა ძრიელ უყვარდა თავისი საყვარელი დედა, მაგრამ მაინც ყოველი მისი რჩევა, ხვეწნა და მუდარა, საუბედუროდ, ამაოდ დარჩა, რა დონე არ იხმარა კნენა მაკამ, რომ შვილი ამ სამარცხვინო საქმისათვის მოემორებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. კაენას საუკუნოდ გამოესალმა, სახლში მოსვლა მოუსპო და გუბერნატორთანაც დასმენას უპირობდა. ამ დროს კაენამ იეზობლის პირით ისეთი მუქარა შეუთვალა კნენას, რომ იძულებული შეიქმნა ხელი აეღო თავის განზრახვაზედ. კაენა სხვათაშორის უთვლიდა, რომ თუ ინებებთ დასმენას, მეც მზადა ვარ შენის ქმრის საქციელი გამოვამჟღავნოვო; ვუამბობ მთავრობას, რომ შენი სახლი დღესაც სავსეა

სხვა-და-სხვა განძეულობით, რომელიც დამალული გაქვს და რომელიც შენმა ქმარმა იშოვა ხელმრუდობითაო. თუმცა მაკას ბევრი არაფერი განძეულობა ჰქონდა, მაგრამ მაინც ქაღალის გულს მოხვდა. ქმრისგან დატოვებულ ოჯახის გაუპატიურებას ისევ შვილის გაუბედურება ირჩია. მეტი ღონე არ იყო, მწუხარება გულში უნდა ჩაეკლა და ბუხუს ბედი კაჟნას ამარად დაეტოვებინა.

ბუხუ ხანდისხან მთელის კვირაობით შინ არ მოვიდოდა. თუ მოვიდოდა, ისიც რამდენისამე საათით და ძვირად თუ ღამე შინ დარჩებოდა. ყოველ მის წასვლა-მოსვლას უბედური დედა ტირილით ეგებებოდა. ბუხუს გული თითქო ქვაო, დედის გლოვა-გოდებას გულ-გრილად ეკიდებოდა. წარბ-შეკმუხვებით შეხედავდა ხოლმე დედას, როცა მაკა ცრემლ-მორეულის ქვითინით მოსთქვამდა თავის უბედურ ბედს, თავის ქმრის უბედურს ბოლოს და უკანასკნელად თავისი ერთად-ერთის შვილის საფათერაკო გზაზედ დადგომას. ევედრებოდა შვილს, დაანებე თავი ამნაირ უაზრო და სამარცხვინო ცხოვრებასაო; ნუ მიკლავ გულს, ნუ გამიმწარებ უიმისოდაც გამწარებულს სიცოცხლესაო.

ნუ თუ ბუხუს მართლა გულს არა ხვდებოდა დედის ტირილი? ნუ თუ მისი გული მართლა ქვა იყო? არა. ბუხუს უყვარდა დედა, უყვარდა იმდენად, რომ მეტი სიყვარული ძნელიც იყო. დედის სიტყვები სწამლავდა მის გულს, აწუხებდა ქაბუკს, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა, ისევ კაჟნასთან დადიოდა. რა არის კაცის გული! ბუხუ ნათლად ჰგრძნობდა, რომ ყოველი მისი მოქმედება წინააღმდეგი იყო, როგორც ბუნების კანონებისა და სინიდისისა, ისე დედის სურვილისა და ნებისა. ნათლად ჰგრძნობდა თავის დანაშაულის დედის წინაშე, სწუხდა, რომ დედას სიცოცხლეს უშხამებდა, მაგრამ გასწორებას ვერ ახერხებდა, უფრო ეტანებოდა ცუდკაცობას, თითქო იმ სამარცხვინო საქმეში უნდა მისცეს თავი დავიწყებასაო. უნდოდა დავარდნილიყო დედის წინაშე, ეთხოვა შენდობა, მოჰხვეოდა მის მუხლებს, დაეღვარა მის წინაშე

კრემლი სინანულისა, დაეკარგა სამუდამოდ კავშირი თავისს ამხანაგებთან, მაგრამ ყოველივე ეს იმდენად აშფოთებდა, იმდენად ურევდა აზრებს, რომ თითქო თავის თავს უწყევს ჯიბრსაო, უფრო და უფრო უმატებდა ცუდ-კაცობას. გარეგნობით კაცი ძვირად თუ შეამჩნევდა ამ სულის მდგომარეობას. მღეროდა კიდევ ამხანაგებთან, იცინოდა, მასხარობდა, მხოლოდ დრო-გამოშვებით მოულოდნელად სახე ეცვლებოდა, გული ცახცახს უწყებდა და ძალა-უნებურად ამოიხრებდა ხოლმე. ეს წუთი იმდენად უაზრო და ბუნდოვანი იყო მისთვის, რომ თვალ-წინ რა ედგა, იმასაც ვეღარ არჩევდა. ერთხელ, დიდის ხნის წოწილის შემდეგ ერთ სამიკიტნოში ღვინოსა სვამდა თავის ამხანაგებითურთ. ბუხუმ პაპიროსი გააკეთა და სპიჩკის მაგივრად ღვინის ჭიქით უნდოდა მოეკიდებინა. ღვინო დაიქცა. ჰა, ჰა, ჰა! ატყდა ხარხარი ამხანაგებში.—ბიქო ხომ არ გეძინება?— ეკითხება ერთი.—საკვირველია, ილორის მადლმა!—უკვირდა მეორეს. ბუხუ ცოტა ხნის შემდეგ გონს მოვიდა, კვლავ სიცილი დაიწყო და მოჰყვა უდარდელ ლაპარაკს.

კაენასა და ბუხუს სიმდიდრე ცხენები იყო. ცხენებს, თუ უნდოდათ, დღეში რამდენჯერმე გამოიკვლიდნენ. კაენას სხვადა-სხვა ფერის ცხენი უყვარდა. ამიტომ დღეს თეთრ ცხენზე იჯდა, ხვალ შავზე, ზეგ ღვინის ფერზე და ასე... ბუხუს კი უფრო შავი ცხენი მოსდიოდა თვალში და არც ხშირ-ხშირად ცვლა უყვარდა. ხელობის დაწყების შემდეგ ორი წელიწადი ისე გავიდა, ხუთი ცხენი არ გამოუტყელია, როცა კაენამ იმავე დროის განმავლობაში ასზე მეტი გამოიკვალა.

კნენა. მაკამ ვერ გაუძლო ამდენ სევდას და თან-და-თან ავადმყოფობა დაიწყო. ვარდის ფერი ლოყები დაუქკნა, სახე გაუყვითლდა, დიდრონი თვალები თითქო დაუპატარავდა და ჩაუქრა, თვალების გარშემო ღვინის ფერი კანი გამოუჩნდა. ამასთანავე ნაცნობებმაცა და ნათესავებმაც თითქო დაივიწყეს. უფრო იმიტომ რომ ხელ-მოკლედ იყო და სტუმრებისათვის ძველებური პატივისცემა არ შეეძლო. ხელ-მოკლეობას გარდა მისი მუდმივი სევდიანობაც იყო მიზეზი, რომ ნაცნობნი ერი-

დებოდნენ. რადგან კნენა სულ ასე ნაღვლობდა და არაფერს ყურადღებას არ აქცევდა, მისი ქონებაც ნელ-ნელა შემცირდა, გაიბნა. მოსამსახურეებმა დრო იპოვნეს. ყველა თავისთვის ზრუნავდა და, რაც შეეძლო, გაჰქონდა ბატონის სახლიდან. როცა ასე თუ ისე გაივსნენ, ნელ-ნელა სულ მოშორდნენ სასახლეს. ბოლოს, ერთი პატარა გოგო-და შერჩა, რომელიც კნენას ნათლული იყო და კნენასაც ძრიელ უყვარდა, რადგან პატარაობიდანვე მის ხელში იყო გაზრდილი. უფროსმაც ხომ სულ ამოიკვეთა თითქმის ფეხი მაკას სახლიდან. „ვიზიტებს“ თავი დაანება და ბოდიშს იხდიდა, საქმეები ბევრი შემიგროვდა და ველარ ვიცლიო.

ბუხუ და მისი ამხანაგები გაჩაღებულ ვაჭრობაში იყვნენ გართულნი. ოდიშიდან აფხაზეთში და იქიდან უკან ერთი კვიცი არ გადავიდ-გადმოვიდოდა ისე, რომ მათ არ სცოდნოდათ. ხან ისეთი დღე გამოერეოდა, რომ ათობით გაჰყიდდნენ ცხენებს სამ-სამ, ოთხ-ოთხ მანეთად, ხშირად გზაზე გაუვლიდნენ ტყის ახლო მოსახლე გლეხს, ისადილებდნენ და ნასადილევს ბედაურს ცხენს აჩუქებდნენ ორიოდ „ლაფერა“ ღომისა და ქათმისათვის. მათი ამბავი ქვეყანამ შეიტყო. არზა-არზაზედ მიდიოდა სადაც ჯერ იყო. იყო ძებნა, დადიოდნენ ბოქაულები ყაზახ-რუსებით და კიდევაც ბევრი დაიჭირეს, მაგრამ უფრო უდანაშაულონი. რჩეული ამხანაგები თან-და-თან შემოეცალნენ კაქნასა და ბუხუს. ზოგმა თავი დაანება თავის საქციელს, ზოგმა ცალკე დაიწყო მოქმედება. ყველაზე უფრო ერთგულად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს, რასაკვირველია, კაქნა და ბუხუ. ბოქაულები თავგადადებული იყვნენ, რომ დაეჭირათ როგორმე, მაგრამ ყოველივე მათი შრომა ამაო იყო. ასე ამბობდნენ თვითონ, თორემ ძალიანაც თავს არ იცხებებდნენ იმათის დაქვრისათვის. ან ვინ იყო მართლა მათ შორის ისეთი, რომ თავი გაეწირა და მოენდომებინა მათი დაქერა? ბოქაულები მხოლოდ ოქმებსა სწერდნენ, მართავდნენ სოფლებში ყრილობას-ყრილობაზედ, არჩევდნენ ხევისთავების მეუფროსეებს, ხშირად ისევე

ქურდებს. ამით ქურდობა არამც თუ ისპობოდა, პირიქით, უფრო ძლიერდებოდა.

კნენა მაკამ ბოლოს ყველაფერს თავი დაანება, შავებში ჩაიცვა და ხშირ-ხშირად დაიწყო ეკლესიაში სიარული. იყო დრო, როცა მაკა რამდენისამე ცხენოსანით გარშემორტყმული, აბრეშუმის ტანისამოსით, სუნნელოვანის ნელსაცხებელით შეფრქვეული, შრიალით მიდიოდა ეკლესიის კარზედ. მის დანახვად ერთი ალიაქოთი შეიქნებოდა ხოლმე, გზას უთმობდნენ და მაკა ანგელოზივით გამოწყობილი ყველა ქალებზე წინ დადგებოდა ხოლმე ეკლესიაში. მისი ვარდისფერი ლოყები მაშინ თითქოს სინათლეს ჰფენდა არე-მარეს.

სულ სხვა იყო ახლა. მაკა შავებში ჩაკმული, პატარა გოგოს ანაბარა, ფეხით, ჯოხზედ ხელ-დაბჯენილი, ნელ-ნელა მიდიოდა საყდრისაკენ. ძალიან ძვირად შევიდოდა ხოლმე შიგ, თუმცა ახლაც პატივსა სცემდნენ. უფრო ხშირად გარედ დადგებოდა, დერეფანში და იქ ხშირ-ხშირის მეტანიით და პირ-ჯვრის წერით ანუგეშებდა თავის მოშხამულს გულს. ნაწირვებს, როცა სხვები სიმღერითა და სიცილით სახლებისაკენ ეშურებოდნენ, მაკა აღმასხანის საფლავისაკენ მიდიოდა და იქ აფრქვევდა ცრემლებს.

ერთ კვირა დღეს კნენა მაკა ჩვეულებრივ ეკლესიაში წავიდა. ნაწირვებს აღმასხანის საფლავზე არ უტირნია, მხოლოდ მოწყენით გაიხედა იქითკენ, თავი დაიქნია მწუხარედ და წამოვიდა შინ. სხვა დროს ერთ-ორ სიტყვას მაინც ეტყოდა ქალებს, ახლა ხმა არავისთვის არ გაუცია და არც არავისთვის შეუხედავს. ყველაზე ადრე წამოვიდა. გზაშიაც ხმა არ ამოიღო და მხლებელ გოგოსაც კი არაფერი უთხრა. მოვიდა თუ არა, მაშინათვე ლოგინში ჩაწვა და რამდენისამე ხნის შემდეგ თვალების ბრიალი და არეული ლაპარაკი დაიწყო. გოგო მაშინათვე მოჯამაგირესთან გაიქცა, რომელიც ის-იყო წასვლას აპირობდა და წამდაუწუმ კნენას ანგარიშის გასწორებას სთხოვდა. მოჯამაგირე მეზობლებისაკენ გაფრინდა და რამდენისამე ხნის შემდეგ მოგროვდა ქალი და კაცი.

კნენა იწვა დარბაზში, რომლის ერთს კუთხეში დაგებულ იყო „ღელლის“ ბუმბული. ავადმყოფი საშინლად მოუსვენრობდა. გარშემო მდგომნი ხელს აწვდიდნენ, ეკითხებოდნენ, ანუგეშებდნენ, მაგრამ ის პასუხს არავის აძლევდა. ამ დღიდან დაწყებული კნენას არც უსვამს, არც უჭამია და არც არავისთვის არაფერი უთქვამს. ხან ჩუმად იწვა, ხან წამოვარდებოდა და ჰბოდავდა. მეზობლები და ნათესავები აღარა შორდებოდნენ. ამნაირად გაატარა კნენამ რამდენიმე დღე. ერთ საღამოს, თითქო რაღაცა მოაგონდაო, ლოგინზე წამოიწვა და იატაკს გაუშტერა თვალები.

— რაა, გენაცვა, ქალბატონო?— დაეკითხა ახლო მდგომი მეზობლის ცოლი. კნენამ იმისკენ მიიხედა, იმასაც თვალი გაუშტერა და მერე ისევ აარიდა თვალები.

— უ! უ!..— კრიჭა-შეკრულმა დაილაპარაკა კნ. მაკამ— დაი... ქი...რეთ. არ...გა...უ...შვათ... ა. ა...

— არაფერო, შენი ქირიმე!— ეალერსებოდნენ ქალები, მაგრამ ის არავის ყურადღებას არ აქცევდა. ამნაირად გაატარა მთელი ღამე. ხან წამოვარდებოდა, თვალებს სხვა-და-სხვა საგანს უშტერებდა, ხან აჩეუღ ლაპარაკს დაიწყებდა, ხან ფეხზე წამოდგომასა და გაქცევასაც დააპირებდა. გათენებისას ავადმყოფი ცოტაოდნად მოსვენებას მიეცა. უველას იმედი მიეცა და დაღალვისა გამო აქეთ-იქით მიწვნენ. შუა აპრილი იყო და ამიტომ ბევრს გარედ ეძინა. დილით კნენა ცოცხალი აღარ დახვდათ. საწყალი იმ ღამეს გარდაცვლილიყო. რასაკვირველია, იტირეს მეზობლებმა და ნათესავებმა, თუმცა კანონიერი ტირილი არა ყოფილა, ჩვეულების მზგავსად. გაჰგზავნეს კაცი აქეთ-იქით ბუხუს საძებნელად, მაგრამ ვერავითარი ამბავი ვერ შეიტყეს; მხოლოდ ერთ მგზავრს ეთქვა, რომ ზუკდიდში ამბობდნენ, ვითომ ბუხუ და კაჟნა წებელდრსკენ გამგზავრნენო. ყოველივე ქონება ჯერ-ჯერობით ხელუხლებელი იყო. ქონებას მცველად დროებით ერთი სვინილისიერი კეთილ-შობილი კაცი დაუყენეს და დაავალეს, რომ შეძლებისა დავგარად ჯეროვანი ყურადღება მიექცია ყოველ უძრავ-მოძრავისთვის.

კნინას დასაფლავების მეორე თვეს ბუხუ და კაჟნა და-
ბრუნდნენ თავიანთი მგზავრობიდან, თითქმის ხელ-ცარიელები.
თავადის შვილი, რომელიც დაჰპირდა დიდ საშოვარს, სამხედ-
რო უფროსს დაეჭირა და დაეპატიმრებინა. რა უნდა ექმნათ?
ამდგარიყვნენ და ხელ-ცარიელები ისევ უკან წამოსულიყვნენ.
გზაზედ კი გასტეხეს მაინც ორიოდღე ღუქანი, მოიპარეს რამ-
დენიმე ცხენი, მაგრამ სამ-სამ მანეთზე ზევით არავინ მისცა იმ
ცხენებში.

— დაწყევლა ღმერთმა, ეს მოგზაურობა ცუდი შეგვექმნა!—
წაღვლიანად ამბობდა კაჟნა, როცა ენგურს მოატანეს.

— რა ვუყოთ, მოსავალია!— მიუგო ბუხუმ. — სამაგიეროთ,
იმერეთისაკენ რომ წავალთ, მოვიგებთ.

— როცა იქმნება, მოვიგებთ, მაგრამ ამ მოკლე დროში
კი საქმე ცუდადა გვაქვს. იცი? ყოველ დღე ჩვენზე „სანაჩალ-
ნიკოში“ ათზე მეტი თხოვნა შედის თურმე, ბედი, რომ ნაჩალი-
კი ცოტა სხვანაირად გვიყურებს.

— გვიყურებს კი არა, მისი თავი არ მომიკვდება!— აღ-
მურ მოკიდებით მიუგო ბუხუმ. — იმას ჩვენგან სიკვდილისა არ
ეშინოდეს, ჩვენი პატივის-ცემა ბევრი ხანია დავიწყებული აქვს.
პატივის-ცემის მიზეზით? ამდენ ხანს, ჩვენ რომ ცუდი ჩაკვი-
დენია, ხუთჯერ დაგვკარგავდა კარტოგაში.

— არა! არ იფიქრო, ბუხუ! არ შეიძლება დედი-შენის პა-
ტივისცემა დაივიწყოს.

ბუხუ ამის თქმაზე გაწითლდა, გული აუკანკალდა და კინა-
დამ თვალებიდან ცრემლები არ წამოუვიდა. უცბად გული მო-
უვიდა, მერე ისევ ღმობიერი სახე შეექმნა. კაჟნამ შეატყო ეს
ცვლილება და ხმა გაკმინდა. კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ბუ-
ხუმ შემოჰკრა ცხენს მათრახი, დაჰკრიფა აღვირი და დაბალის
ხმით ჩაილაპარაკა. — უჰ! რა ხანია შინ არა ვყოფილვარ; ნეტავ
თუ მშვიდობა არისო.

— რა ეჭირებათ?— მიუგო კაჟნამ, ცოტა არ იყო, მხია-
რულად. შინაურების ამბების ლაპარაკი ბუხუს არ უყვარდა,
თუმცა სულ დედა აგონდებოდა და გულში სწუხდა მისთვის.

კაენა კი, რაკი მაკასთან შემომწყურალი იყო, მის ამბის ჩამოგდებას ძალიან უფრთხოდა.

შუაღდე იყო. ბიძაშვილები მიდიოდნენ ვიწრო გზითა და ბილიკ-ბილიკ, რადგან ფართე გზაზე გამოსვლისა ეშინოდათ. უფრო ტყე-ტყე რჩეობდნენ სიარულს. კარგა ხნის სიარულის შემდეგ იმათაცა და ცხენებსაც შიმშილი და დაღლილობა დაეტყუოთ, ამიტომ ერთის მუხის ძირას ჩამოხდნენ. ცხენებს აღვირი წახსნეს პირიდან და საბალახოდ გაუშვეს. თვითონ კი ჩრდილში წამოწვენენ.

— ცხენებს კი უშოვეთ ცოტა რამ, მაგრამ ჩვენ რაღაი, — ნაღვლიანად სთქვა ბუხუმ.

— მოითმინე, აქ ახლოს თაფლი ვიცი, — მიუგო კაენამ.

მართლაც ნახევარ საათის განმავლობაში კაენამ, მშვენიერი სარაჯები მოიტანა. ჩვენი მგზავრები მადიანად მიაძღნენ, მერე ძილი მოუწდათ და ორთავემ იქვე ჩრდილში ხვრინვა ამოუშვეს.

ბუხუს საზოგადოდ პირ-აღმა უყვარდა წოლა და ამიტომ სწორე და მწვანე ბალახით აბიბინებული ადგილი ამოირჩია. კაენამ ნაბადი დაჰკეცა, მუხის ერთ ამოწეულ ფესვზე დასდვა და ცალ გვერდზედ დაწვა. ბუხუსაც ჰქონდა ნაბადი, მაგრამ არ გაჰხსნა. თავ-ქვეშ მხოლოდ დაკეცილი ყაბალახი დაიდვა. ტანთ არც ერთს არ გაუხდია, თუმცა ცხელოდა, არც იარაღი აუხსნიათ, მხოლოდ ბუხუმ დამბაჩა ამოიღო ქამრიდან, რადგან პირ-აღმა წოლის დროს შეაწუხებდა. მუხას ჩრდილი საკმაო ჰქონდა. მუხის გარშემო კი რამდენისამე საყენის სიახლოვეზე არც ერთი ხე არ იდგა. ცა მოწმენდილი იყო, მხოლოდ სვანეთის მთის წვერზე, რომელიც აქედან საუცხოვოდ სჩანდა, ერთი ბეწო, თან-და-თან გამომქრალი ლურჯი ღრუბელი დარჩენილიყო. მზემ თითქო იდროვა, უღრუბლოაო და საშინლად დაუწყო წვა ქვეყანას. ყველა ფრინველი მიჩუმებულიყო. თითქო ყველას მაგიერობის გაწევა უნდაო, კალია და უღალაფად ჭრიალებდა და არე-მარეს აყრუებდა. მზემ თან-და-თან გადაიწია დასავლეთისაკენ და მოეფარა მუხას. ჩრდილმა

იმატა, ხოლო მძინარე მგზავრებს მზემ დაუწყო ცხუნება. ბევრი-ნაირად ეთამაშა მზე, მაგრამ ძალზედ დაღალულნი მაინც ვერ გააღვიძა. სძინავს პირ-აღმა ბუხუს, თვალეზი დაუხუჭავს, სახე შესცვლია და მშვიდობიანად ჰხვრინავს. ესე შეხედვით თითქო არაფერი არ აწუხებს, მაგრამ მისი სულიერი არსება კი ამ დროს ათასნაირად ჰღელავს. პირ-აღმა მწოლ ბუხუს ცოტ-ცოტათი დაავიწყდა ცხადი საგნები და აზრები. ჯერ მხედველობა დაეკარგა, მოეფარა თვალთავან მუხა, დანარჩენი ხე-ები, მოწმენდილი ცა და სხ. შემდეგ შემუშვნა დაიწყო, მერე ამასაც თავი დაანება. ტანს არ არხევდა, თვალთ არაფერს ჰხედავდა, მაგრამ ყურში მაინც რაღაც არეული შუილი ჩაესმოდა. ბოლოს ბუხუ გუნებიერ ძილში ჩავარდა. სიზმრები მაინც თავს არ ანებებდა. აი ვითომ სულ სხვა ადგილას არის, თვალეზი-ახილული, ჩაცმული. ბუხუმ ჰნახა, ვითომ შეკაზმულის ცხენით მოუახლოვდა თავის ეზოს. ეზოში მთლად სიმიდი დაეთესათ და გიშერივით შავი სამარგლავი სიმიდი სიოს სისინისაგან მშვენიერად ბიბინებდა. სახლის სახურავი მთლად დაძველებულიყო, რომ ყავარზე მწვანე ხავსი ამოსულიყო. სახლის ერთ გვერდით მშვენიერი ბოსტანი იყო, რომელშიაც მაკა შავებ-ჩაცმული, შემკრთალი და გამხდარი მწვანის თოხით ჰმარგლავდა. იმავე დროს სახლის მეორე მხარეს თითქო ქუთაისის ქალაქი იყო და ერთი ქუჩის თავში მოსჩანდა სწორედ ის სახლი, სადაც ბუხუ იდგა ქუთაისში ყოფნის დროს. აი იქვე იმ სახლიდან რამდენისამე საყენის მანძილზე მოზრდილი შენობა, რომელზედაც ეწერა მსხვილის ასოებით „ОБРУЖИЛИ СУДЬ“. აი ის დუქანიც, სადაც ბუხუს რამდენჯერმე უყიდნია ქალადი, ხილი და სხვ. გაარჩია აგრედვე ქუჩის იქით თავზე ვეგებერთელა საყდარი, რომლის ახლო იდგა ერთი ნაბღიანი ცხენოსანი, მისკენ მომავალი.

— ეს რა ამბავია? — იფიქრა ბუხუმ. — ეს რა ამბავია, დედაჩემი რომ თავის ხელით თოხნის, განა ბიჭები არ არიან? ან როგორ გამხდარა! ეს სულ ჩემი ბრალია, თითქო უჯავრდებიო, ისე უყურებ. ის კი არ იცის, რომ იმის გულისთვის ახ-

ლავე თავს მოვიკლავ, თუ საჭიროება მოითხოვს.—ახლა შეჭხე-
და ქუთაისს, მაგრამ არ გაჰკვირვებია თავის სახლთან ქუთაი-
სი, მხოლოდ გაუხარდა თავისი ძველის ბინისა და ნაცნობ არე-
მარის დანახვა. ქალაქი თითქო ისევ გაჰქრა და მის მაგივრად
ფართე მინდორი გამოჩნდა, რომლის ბოლო სქელის ნისლით
დაიბურა. ამ ნისლში ოდნავ მოსჩანდა ის ცხენოსანი, რომე-
ლიც უწინ ქუჩის თავზე გაარჩია. ნისლი თან-და-თან მატუ-
ლობდა და მინდორი კი კლებულობდა. ბუხუს ეს არ ექაშნი-
კა. „ვამ თუ ნისლმა იმატოს და დედა დაჰმალოსო“. მოუჭი-
რა ცხენს „ბაყები“, დაავიწროა აღვირი და მოუქნია მათრა-
ხი; ცხენი თითქო ცდილობდა გავლას, მაგრამ ნაბიჯი წინ ვერ
წარსდვა. ბუხუს გული შეუწუხდა, თითქო მრთელ სხეულში
გახურებული რკინის მართული გაუყარესო, ისე დაეწვა ტანი,
ხელ-მეორედ სინჯა წინ წასვლა, მაგრამ ამაოდ. ამ გაჰკირვე-
ბულ მდგომარეობაში კნ. მაკამაც მოიხედა. ჯერ თითქო პირი
აარიდა, მერე უცბად ისევ მისკენ მოიხედა. თმა გაწეწილმა,
გაყვითლებულმა, ნახევრობით კბილებ-ჩაცვენილმა, რაიცა ერ-
თობ საშიშს სახეს აძლევდა, თოხი დააგდო, მალლა აიწია, თი-
თქო რამდენისამე საყენით დედა-მიწას მოშორდაო, ხელები გა-
შალა და ბუხუსაკენ წავიდა ყვირილით:

— მამა-შენი, შვილო ბუხუ! მამა-შენი, აი, აი, შეხედე!—
თან თავს ატრიალებდა და თან უთითებდა იმ ცხენოსანზე, რო-
მელიც სახლს უკვე დაახლოვებდა. ამ დროს ნისლი უცბად
ცეცხლის ალად გადაიქცა და მთლად მოედო მინდორსა. მია-
წია კნ. მაკამდის. განათლდა მის გარეშემო ჰაერიც და იმისი
შავი ტანისამოსიც. აი ერთი წუთიც და მაკაც ცეცხლში ჩა-
ვარდება. ბუხუს სული შეუგუბდა. „ნუ თუ დედა იწვის და
ვერ უნდა მივეშველოვო!“ იფიქრა მან. ძალზე მოუქნია ცხენს
მათრახი, გადაიწია უნაგირიდან, დაუზრიალა ტანმა და თვალე-
ბიც გაახილა.

რამდენსამე წუთს თვალე-გახელილი უძრავად იწვა.
მრთელს მის ტანს ცახცახი გაჰქონდა და აურაცხელი სევდა
და ნაღველი მოსწოლოდა გულზე. ჯერ კდევ ვერ წარმო-

ედგინა, რა მდგომარეობაში იყო.—ნუ თუ მეძინაო, დაეკითხა თავს და თავისი აწმყო მდგომარეობის თითო-თითოდ გამოკვლევას შეუდგა. „სადა ვარ! ჰო, მუხის ძირს მოვისვენეთ მე და კაენამ. ფუი ეწმაკ!“—პირჯვრის-წერით წაიბუტბუტა და ზეზე წამოდგა, თვალეზი მოიწმინდა, დაამთქნარა, წელზე გადიწია, დამბაჩა ქამარში ჩაირქო და აქეთ-იქით გაიხედა. მზე დასავლეთს მიახლოვებოდა. ქვეყანას რალაც მოწყენილი სახე დასდებოდა. ზღვიდან ნელი სიო მოჰქროდა. გაიხედა კაენას ნაბადი დაკეცილი იდგა, თვითონ კი ცხენებითურთ არა სჩანდა. ცოტა ხანს შემდეგ გამოჩნდა კაენაც ცხენებიანად.

— ამ მგლის გასატყავებლებმა, ეს რა შემოიღეს?!—გაჯავრებით მოლაპარაკობდა კაენა.

— საით წასულან, კაცო?—დაუძახა ბუხუმ.

— ამათი გატყავება! წასულიყვნენ ტყეში აი ამ ბილიკით.

— ბედი კიდევ, რომ შორს არ წავიდნენ.

— იმდენი ხანი არ დამიცალეზია, ჩქარა გამომეღვიძა. შე კაცო, რამ მოგაწყინა?—ათვლიერებით დაეკითხა კაენა.—ნამძინარევი კი ხარ, მაგრამ მაინც... რა კარგად გეძინა, მე რომ ავდექი. ძილში ცხენის ჭიხვინი მომესმა და გამომეღვიძა. გავიხედე, ცხენები არ იყვნენ. ყვაი პაჩი! გამოვედევნე. ცოტა ხანი რომ დამგვიანებოდა, ენგურს მიუახლოვებოდნენ. მართლა, რამ მოგაწყინა?—ჰკითხა კვლავ და შიგ თვალეზში ყურება დაუწყო.

— ეჰ! დასწყევლა ღმერთმა! ისეთი ცუდი სიზმარი ვნახე, რომ ჯერე კიდევ არ მოვსულვარ გონს,—ნადვლიანად მიუგო ბუხუმ და თითო-თითოდ უამბო ყოველივე.

— „კარგზე“ სიკეთეზე ანიშნოს ღმერთმა!—მიუგო კაენამ და ცოტა დაფიქრდა. მერე ცხენები შეკაზმეს და ისევ ტყეტყე დაადგნენ გზას.

— ამალამ ჩემი ნათლის-დედასთან გავიაროთ და საკმელო გავაკეთებინოთ, თორემ მეტი არა ვარ,—სთქვა კაენამ, როცა კარგა მანძილი გაიარეს.

— მე კი ვერ წამოვალ, მეშინია, ვინ იცის ვის არ შეეხვდები და შენ კი, როგორც მოყვარე, უფრო თამამად მიხვალ და კარგს იზა!, თუ ჩემთვისაც წამოიღებ საქმელს. მე იმ ცაცხვთან მოგიცდი, — მიუთითა გორაკის წვერზე, სადაც ლამაზი ხშირ-ტოტიანი ცაცხვი იდგა. კაქნა გამოემშვიდობა ბუხუს და გასწია მოყვრის სახლისაკენ.

ბუხუ ჯერ ცხენიდან ჩამოხტა დაფიქრებული. პაპიროსი გააკეთა, ტალ-კვესით ცვეხლი გააჩინა, პაპიროსს მოუკიდა, ისევ ცხენზე შეჯდა და გასწია ცაცხვისაკენ.

— ნეტავ ვიცოდე, შან რა ამბავია? — ჰფიქრობდა ბუხუ. — სულ ჩემი ბრალია ყოვლისფერი. დედას გონია, ვითომ მე ის მძულდეს, ან როგორ არ ეგონება, აგერ სამი წელიწადია, ხეირიანად ხმაც არ გამიცია. მინდა დაველაპარაკო, ბოდიში მოვითხოვო, მაგრამ ისევ რაღაც ძალა ნებას არ მძლევს, დედა ვერ შესძლებს ჩემ გულს ჩახედოს, თორემ... ნწ! ჩემი ბრალია, ჩემი, მე ვარ დამნაშავე.

XI

გორაკაზე, სადაც იდგა დიდი ცაცხვი, ძველის-ძველად თურმე ეკლესია ყოფილიყო, მაგრამ ეამთა ვითარებისაგან მხოლოდ საძირკველის ნანგრევის მეტი არაფერი მოიძებნებოდა. ძველი, კირით გათხუზნილი თლილი ქვები და ზედ გამოჩუქურთმებული ჯვრები ამტკიცებდა, რომ ამ დაბურულ ტყეშიაც ოდესმე სდულდა სიცოცხლე, რომ აქ ოდესმე ცისა და ქვეყნის შუამავალნი გამჩენს ევედრებოდნენ და წრფელი გულით შესთხოვდნენ ჯვარცმულს ერის ცოდვის მიტევებას. ახლა რაღა იყო აქ? დახავსებული ქვები, ჯაგები და ტყე. მხოლოდ ის ერთი ვეებერთელა კარავივით გაშლილი ცაცხვი-ღა იყო ძველის დროების მოწმე; ამ ცაცხვს, ან ამ დახავსებულ ქვებს რომ ენა. ჰქონდეთ, ვინ იცის, რამდენი რამ მოგვითხრონ საგულისხმიერო ჩვენთა ძველთა შესახები. ვინ იცის, იქნება, ეს ტრამლად-ქმნილი არე-მარე ოდესმე მრავლად

შემოიკრებდა ხოლმე გარშემო დასახლებულ მკვიდრთ სალოცავად და ქრისტიანობისა და ქვეყნის მტერთან თავგანწირულის ბრძოლისათვის. შესაძლოა, რომ, ვიდრე ეს ტაძარი ასე უწყალოდ დაინგროდა მტრის ხელით, მამულისათვის თავგანწირულნი გაშმაგებით იბრძოდნენ, დასდეს თავი მტრის ვერძმღვევლთა და ძვალნიც თვისნი აქ მიაბარეს შავს მიწასა. განვლო დრომ და აღარავის ახსოვს, რომ შესაძლოა ეს ადგილი მოწიწებით მოსაგონია ჩვენთვის და იქნება ერთი-ათად პატივსაცემი და ძვირფასი, ვიდრე იყო მაშინ, როცა ისევ ხელ-უხლები იდგა აქ ეკლესია. ეხლა ამისთანა ფიქრი აზრად აღარავის მოსდის.

აი ჩვენი ცხენოსანი ბუხუც უახლოვდება ამ ნანგრევს, მაგრამ მისი გონება ამ უმად სულ სხვასა ჰფიქრობს. იმის თვალ-წინ მარტო დიდი ცაცხვი სდგას. არც კი იცის, რომ იქ ნაეკლესიარი ადგილია. ან სადა აქვს დრო ნანგრევი ათვალიეროს? მისი გული ათასნაირად ჰღელავს. ცალკე ღღევანდელი სიზმარი აწუხებს, ცალკე თავისი ცხოვრება და არზები, რომელიც მის ავკაცობის გამო მრავლად მისდის მთავრობას. ეს ფიქრები ერთი-მეორეს სცელის და ონავარი ფუტკარივით ესევა მის ტვინს.

ბუხუ ავიდა მაღლობზე, მაგრამ პირდაპირ ცაცხვამდე ცხენით ასვლა შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩამოხდა ცხენიდან, აღვირი ხელში დაიჭირა, გაუძღვა წინ ფრთხილად და ისე ავიდა ბილიკ-ბილიკ.

— უჰ! რა კარგი ადგილი ყოფილა აქა!—წაიბუტბუტა ბუხუმ, როცა დაათვალიერა იქაურობა. ცაცხვის გარშემო რამდენისამე საყენის მანძილზე ხელის გულივით სწორი ადგილი გადაეშალა თვალ-წინ, რომელიც შემოზღულდული იყო ჯაგებიითა და სხვა-და-სხვა ყვავილ-ბალახით. ცაცხვი შუა ადგილას იდგა. აღმოსავლეთით თითქმის ზედ ფერდობის კიდესთან სჩანდა თვით ნანგრევის საძირკველი და აქეთ-იქით ქვა ეყარა. ბუხუმ ცხენი ერთ ჩირგვზე მიაბა, უნაგირი მოხსნა და ცაცხვის ძირში დასდო. მერე ცხენს აღვირი ფეხებზე მიაბა და გაუშვა

საბალახოდ. თვითონ კი თავი უნაგირზედ მისდო და შოისვენა ფიქრებში გართულმა.

— რისთვის ვცხოვრობ ახლა მე, რომ კაცმა მკითხოს? — ამბობდა გულში. — რა მჭირდა გადასაკარგავი? განა მამა-ჩემს არა ჰქონდა საკმაო მიწა, მამული, რომ თავისუფლად მეცხოვრნა, გემრიელი და ალალი ლუკმა მეჭამნა? ან რად არ ვისწავლე? რა კარგად ვცხოვრობდი ქუთაისში! ან რა ბედნიერი ვიყავ; დღესაც დამესიზმრა ქუთაისი, სულ ერთად ვხედავდი ყველაფერს. მამა-ჩემიც იქ იყო ვითომ ნაბად-წამოსხმული. მამა-ჩემი, ამბობენ, კაი ვაჟკაცი იყოვო. დედა-ჩემი თავის ხელით თოხნიდა. ეს რალაც უბედურების ნიშანია. მერე ცეცხლი გაჩნდა. ფუი ეშმაკს! — ბუხუმ პირჯვარი გადიწერა. სახლ-კარის გახსენებამ დედა და ნათესავები მოაგონა, ძიძა, მორდუ.

— საწყალი ჩემი ძიძა და მორდუ! სადაც კი მნახამენ (თუმცა ძლიერ იშვიათად), ჩემი ჭკუის სწავლებაში არიან და თანაც თავს მევლებიან. მართლა, იმათ რა რიგად სწყყენიათ ჩემი ასე სიარული და წოწილი სოფელ-სოფელ! სწორედ მართალი იყო, როცა მითხრა: შვილო, დედას ნუ აწყენინებ, ოჯახში მოდექი. მიწა-წყალი ბლომად გაქვს და ბატონურად იცხოვრეო. მე კი შენი არაფერი მინდა, გენაცვალეო. ჩემი ბედნიერება ის იქნება, რომ შენ კარგად იქნები, მტრების სასაცილოდ არ დავარდებიო. სწორედ, სწორედ, წრფელი გულით მეუბნებოდა იმას საწყალი ჩემი მორდუ. რა მივეციოთ ჩვენ იმას? ერთი ცხენი, ერთი ძროხა და რალაცეები „პიქუ-პაქუ“. თავის დღეში კი არ უთხოვნია, ან ეს მომეციოთ, ან ისაო. ჩემმა მეძობელმა სპირიდონმა, შვილი რომ გააზღვეინა ვილაც ოხანტელ გლეხს, ყოველ დღე მორდუ კარებში ბუხს არ უყენებდა: აი ეს მაკლია, აი ისაო. სპირიდონი ყოველისფერს აძლევდა თხოვნისამებრ, მაგრამ მორდუ მაინც კმაყოფილი არ იყო და ამ უკმაყოფილებაში წაიჩხუბნენ კიდევც. მართლა მართალი კაცია ჩემი მორდუ ძალრან.

ძიძა-მორდუს ფიქრს თავი დაანება ბუხუმ და ისევ თავის დედის ფიქრს მიეცა. საშინლად აწუხებდა დღევანდელი სიზ-

მარი. ყოველ მის გახსენებაზე ტანში ერთუნტელი უვლიდა. ამასობაში მზეც ჩავიდა და ქვეყანას სიბნელე ეპარებოდა. ჩრდილოეთიდან შავი ზღვის პირებს ვიწრო ზოლად ჯერ კიდევ შერჩენოდა ოქროს ფერი მოციმციმე სინათლე. განუზომელი ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. სიო ტყეს ნელ-ნელა უბრავედა და ისიც თითქო ხმაურობდა, თითქო სამძიმარს ბუტბუტებდა. ნანგრევს ახლოს ბუმ, თითქო დრო იპოვაო, თავისებური კვილი მორთო და აურაცხელმა ღამურეებმა ფთხრიალი დაიწყეს გუნდ-გუნდად. ბუხუ ზეზე წამოდგა, თვალემა მოიწმინდა. გარშემო სიბნელე ეხვია; არჩევდა მხოლოდ თეთრ-თეთრ ქვებს და ხეებს.

— ფთ, ფთ! — დაუძახა ბუხუმ ცხენს.

— ყეჰჰჰჰ! — დაიხეხეხინა ცხენმა.

— ოოჰ, აქა ყოფილხარ? — როგორ იქმნება მისი გაქცევა, — განაგრძო გულში თავისი ლაპარაკი. — არ გამიკვირდა! დღეს რომ კაენამ სთქვა, ცხენები გაქცეულიყვნენო, საშიშია, არსად წავიდეს ესეც.

— ფთ, ფთე! — გაისმა კიდევ ბუხუს ხმა. ცხენმა კვლავ პასუხი მისცა და პატრონისაკენ წამოვიდა ნელ-ნელა. პატრონიც მიეგება, გავაზე ხელი გადაუსვა, შვარჯვალზე ერთი-ორჯერ ხელი წაუცაცუნა და ისევ საბალახოდ წასვლა ანიშნა. ცხენი, თითქო მეტყველიაო, ფიცხლავ დაპმორჩილდა პატრონის ბრძანებას. ბუხუმ პაპიროსს მოუკიდა და ერთ ადგილს გაჩერდა.

— კარგი იყო შინ ცხოვრება, — დაიწყო ისევ მან ფიქრი, — მაგრამ ეს ჩემი ეხლანდელი ცხოვრებაც იზიდავს კაცს. საკვირველია, სხვის სახლს ეპარები! ზოგიერთ ადგილს ხუთი-ექვსი ბოლქომი უნდა გასტეხო. ძალლი ცალკე გდარაჯობს, კაცი ცალკე, ასე იფიქრე, ქორის გასაწყვეტი ქათმებიც. ერთი ტკრციალი შეუდგებათ, თუ კაცის ფეხის ხმა მოესმათ. ამას ყველას უნდა ასცდეს, გაეპარო და შენი საქმე გააკეთო. ერთხელ გადარჩები, გაგებარდება, მეორედ მოგინდება ამნაირად თავის გამოცდა. თუ დაგიჭირეს, ჰფიქრობ, ვაი ჩემს თავს. თუ გამოძვერი, აქაც ამბობ, მოდი ესცადო კიდევან და, ამ იმედით

გატაცებული, ვეღარ ისვენებ და სცდები. გეშინიან ცუდკაცობისა და ამ შიშში პოულობ კიაცოფილებას. მერე კიდევ ეს კაენა თავ-გადადებულია ჩემთვის, თავის თავს მე დამაკლავს. კინალამ მამა-ჩემისთვის დაუკვლია თავი, როგორც ამბობს. მოდი ახლა და გაუტეხე ხათრი. სწორედ კი რომ ვსთქვა, რა მოგებაა ჩვენს ამგვარ ცხოვრებაში? ამდენს ვწვლობთ და თუმანი არ არის მოგროვებული ჩვენ ჯიბაში. ას მანეთს იშოვნე, ორასი ზედ უნდა დახარჯო. თავი და თავი ის არის, რომ ერთხელ დაფრეულვართ და ვერ გადაფრეულვართ. ძალიან ცდაში კი არის მთავრობა, რომ დაგვიჭიროს. მაგ...

ამდროს გაისმა ხმა:—ვო, ბუხუ, უი!

—ეა უი, ივაზე ვარა! არეხ ვაი!—მარჯვედ მიუგო ბუხუმ.

—რა ცუდი გზა ყოფილა, შენი ჭირიმე!—განიმეორა პირველმა. ეს იყო კაენა. სიბნელისა გამო ქვიან და დაკლანკილ ვიწრო ბილიკებს ვერ არჩევდა, თუმცა ცხენიდან ჩამომხდარიყო. ბუხუ მიეგება, აჩვენა გზა და ამოიყვანა კაენა.

—რა ამბავი, კაენა?—მოსვლის უმაღ ჰკითხა ცნობის მოყვარეობით ბუხუმ.

—მშვიდობა, შენი ჭირიმე!—მიუგო კაენამ, თუმცა ჩქარა და მხიარულად, მაგრამ ძალ-დატანებით, რაიცა ბუხუს შეუმჩნეველი არ დარჩა.

—რაა, კაცო, როგორ ეჭვიანად ლაპარაკობ? ცუდი ამბავი ხომ არაფერი გაგიგია. სახლის ამბავი რა ეცოდინებოდათ?

—არაფერი, მშვიდობააო!

—არა, შენ რაღაც იცი და, თუ გიყვარდე, მითხარი.

—არაფერი, ბუხუ არ მოკვდეს, იმის მეტი, რომ ჩემს ნათლის-დედას დაი მოკვდომია და იმან მომაწყინა.

—დაი! უჰ! საწყალი, რით? როდის? ჭალადიდელ კაცს რომ ყავდა, ის? იქაური მძიმე ჰაერი კი მოკლავდა.

—ის, ის, ჰო,—მოკლედ დაუმატა კაენამ. „მადლობა, ღმერთს, შინ თუ მშვიდობით ყოფილანო“, იფიქრა ბუხუმ, უნდოდა ერთი კიდევ ეკითხა რამე. სიტყვა სათქმელად ენაზედ

უტრიალებდა და ვერ კი ჰბედავდა. რაღაც უცნაური ძალა აჩერებდა. ამასობაში ცხენი საბალახოდ გაუშვა, ცეცხლი გააჩაღა და ორივენი გარშემო შემოუსხდნენ. კაენამ გახსნა ხელსახოცი, ამოიღო შემწვარი ქათამი, ღომი, ტიკჰორით ღვინო და ბუხუს მისთავაზა.

— შენც ჰამე, კაენა, თუ ძმა ხარ!

— მე, ხომ იცი, ღღეს გავიგე სიკვდილის ამბავი და ღღესვე სვინიღისი ნებას არ მომცემს ვჭამო. თუმცა არაფერია, ჩვეულებება მაინც. ჩეულებმა რჯულთ უმტკიცესიაო! ხომ გავგიგონა?

— ნება შენია. მეც არ ვჭამდი, მაგრამ, რა ვქნა, სამარხო არაფერი გვაქვს, მშია კიდევ ძლიერ. თაფლმა მომამშია.

— ჰამე, ღმერთმა შეგარგოს!—უბასუხა კაენამ, პაპიროსს მოუკიდა, უნაგირზედ თავი მისდო და ცეცხლა-პირას წამოწვა. ბუხუ მადლიანად შეექცეოდა ქათამს. ძვალს ძვალზე მტკვრიალ-მტკვრიალი გაჭქონდა.

— აჰა, კაცო, ეს ღვინო მაინც მიირთვი!—მიაწოდა ბუხუმ ტიკჰორის „რიკი“ კაენას.

— მადლობელი ვარ, იცოცხლე, გაბედნიეროს ღმერთმა! ღვინის დაღვევის შემდეგ კაენა ისევ წამოწვა. „საკვირველია, — ჰფიქრობდა ბუხუ. — ნათლის-ღედის დის სიკვდილმა ეს კაცი ასე როგორ დააღონაო“. უნდოდა კიდევ ეკითხა კარგად ამბავი, სხვა უარესობა ხომ არა მომხდარა-რაო, მაგრამ შიმშილი და ქათმის ხორცის გემო ნებას არ აძლევდა.

კაენასაც თავის მხრივ ბევრი საფიქრებელი ჰქონდა. — როგორ ვქნა, როგორ ვუთხრა? — ჰფიქრობდა გულში. — მოითმინოს, ჯერ სჭამოს პური. უბედური-მაკა! ჩემზედაც მწყრაღად იყო. მეც არ მინდა მე და ბუხუ ასე დავდიოდეთ, მაგრამ რა ვქნათ, ვერ მოვისვენებთ. ვაი თუ რომ ვუთხრა, ძლიერ ეწყინოს. რასაკვირველია ეწყინება, ღედა იყო. ფუ! რა არის კაცი? განსწენვებული აღმასხანი მის შერთვაზედ რამდენს ეწვალა! ბარე ხუთჯერ მაჭამეს ხმლის გემო მაგის გამოისობით აფხაზებმა, როგორ გავგიბედა აგრვამ, ქალი მოგვტაცაო; იმას

კი არ ჰხედავდა მამა ცხონებული მისი პატრონი, წასაქციევი ფაცხები რომ ედგა და ყოველ დღე სხვის სამზარეულოსაკენ ჰქონდა თვალი. მერე რა ვიქეიფეთ, როცა ხალიბი და აღმასხანი შერიგდნენ. სად წავიდა, რა იქმნა უბედური აღმასხანი? შავს მიწაში ჩაგმარხეთ ჩუმად, უარაჩაოდ. ხალიბიც წავიდა ამ ქვეყნით, მაკაც, თავადიშვილები ვართო, ვიძახით. არაფერი არა ვართ. როგორ დაიქცა ის დიდი ოჯახი! ჩვენ აგერ ტყე-ტყე დავდივართ. რა დღეს, რა ხვალ! დაგვიქერენ და ის იქნება. ჰა ზა, ჰა! მაგრამ სანამ ეს მაზრის უფროსია, ბევრს არაფერს გავიჭირებთ. ბევრი პატივი გეცია მისთვის. თუ კი ახალი ვინმე მოვალა და ისიც უბედური ხასიათის კაცი, მაშინ ნახე? არც მაშინ დავანებებთ თავს ასე ახირებულად. ერთ დღეს დაიბადება კაცი და ერთ დღეს მოკვდება. თუ ბუხუ ამ მწუხარებას მშვიდობით გადაურჩა და არ მიღალატა, მინდა ხელში ვიგდო ზოგიერთი ცხენი, რომელთა მოხმარებაც გემოზე პატრონებს არა სცოდნიათ; დღე და ღამ აქმევენ და ბანენ, ცხენები ლამის გასქდნენ ქონისაგან, სასჯელი კი არაფერი აქვთ. აქ ვიგდო ხელში! ორ დღის განმავლობაში ისე ავაქაფო, რომ წურბელივით იგრიხებოდეს, ფულიც დაგვჭირდება ცოტა. ცოტა კი არა, თუ ბლომდაც ვიშოვწეთ, უკეთესია. ცხაკუნია ურიისშვილს აქვს ბევრი ფულებიო, ამბობენ. უბედურს თურმე ფული უშოვნია და ჭამა ვერ მოუხერხებია, შნო არ ქონია ფულების ჭამისა და ის არის! დადის სოფელ-სოფელ, დააქვს ფართალი. კვერცხების და მქადის მეტს ჩვენსას არაფერს სკამს. გემო მანც რამ დაუკარგა სახლ-კარ ამოკეტილს! ცხრაფრათ დამტვრეული კეხი უდგია, ერთ „ნოლია“ ცხენზე. აბუანდების მაგივრად დამპალი თოკი ჩამოუბია. ტანზე დაფრეთილი ტომრის პარუსინა აცვია. ჰ! რათ უნდა უბედურს ფული ამ წუთ-სოფელში? ის რომ მოკვდება, მის ფულს ვინ შესჭამს, ვინ იცის. თუ შემხვდა, ცოტა საიდუმლო ადგილას, მე ვიცი და... მერე „უცა“ აქარისაკენ. მზდისოს უკან, რამდენიც უნდა, ბოქაულმა. თუ ქოროხი მშვიდობით გავედით, მერე თუ გინდა ენგურმა ყარაჩისკენ იდინოს. ამ უკანასკნელმა ფიქრმა იმდენად გაიტაცა კაქნა, რომ თით-

ქო მართლა სათათრეთში არისო, თავი მაღლა აიღო და შვი ზღვისკენ დაიწყო ყურება.

— რას უყურებ, ბიჭო? ის ცის კუდის ახლო ვარსკვლავით რომ სჩანს, ფოთის „მაიაკრია“, — შენიშნა ბუხუმ, რომელმაც უკანასკნელი ლუკმა დაღეჭა და სუფრას ალაგება დაუწყო.

— მე ავალაგებ, — მოუსწრო კაჟნამ. ნამუსრევი მოაგროვა, ხელსახოცში გაახვია და საგზაო პატარა ხურუჯინში ჩააგდო.

— უჰ! რა გემრიელად გაიხელი! — გაზმორებითა სთქვა ბუხუმ და ზეზე წამოდგა. — ნავრად დასარჩენი დღევანდელი სიზმრის შემდეგ რაღაც შიში ჩამივარდა გულში, თავის დღეში არ დაჰმართია ამისი მზგავსი.

— შიში კი არა, გულის შეღონება არ გინდა! გეშინია რა, ქალი ხომ არა ხარ! ცხად ამბებს ვერ შეუშინებინარ და სიზმარი გაშინებს? — ბეჯითად უთხრა კაჟნამ და თან ანთებულ მუგუზლებს გასწი-გამოსწია, შორიდან არავინ დაგვინახოს და ექვი არ აიღოსო.

— იმდენად კი არ მეშინია, მაგრამ გული რაღაც სხვანაირად მაქვს.

— კიდევ სთქვა! რა სხვანაირად გაქვს? განა სიზმრებმა უნდა შეგაშინოს? ის კი არა, ახლა სულ იმას ვფიქრობდი, მაინც ხომ დაგვზღვევენ და დაგვზღვევენ. ჩვენი სოფლისათვისაც, მგონია, ჩვენ დასაქერად გზირები დაუყენებით, ვინიცო-ბა, მივიდეთ შინ, ბოქაულს შეატყობინონ. ჰო, იმას ვფიქრობდი, როგორმე ვეცადოთ, კარგი ცხენები ვიშოვოთ, ორი-სამი მანათრეც სადმე და გაექუსლოთ სათურქოში. მერე ჩვენ კუქულს ვეღარ ნახავენ.

— მერე სათურქოში თურქობა არ უნდა მივიღოთ?

— ვინ გატანს ძალას, თუ არ მიიღებ? თუ გინდ გარეგნობით მიიღო, რა უშავს. უი, ჩემო ძმაო, მე ნამდვილი ღორწმუნე ბერებშიაც ძვირად მინახავს. იმათ, თუ მეტყევი, სულ დააქციეს ქვეყანა. აბა, ნახე სადაც დიდი ეკლესიებია, ბერე-

ბი ცხოვრობენ, გარეშა მოხალხი „ვაჭარია“, — პირ-მოთნე და ხასიათ-გაფუქებული არ არის? თუ გინდ-კურკუცია აიღე, ყოველ დღე ვაი-უის ძახილია ბერებისა. აბა გასინჯე, შეეცო! ერთი კაცი მაინც ვერ მოაქციეს სჯულზე? რომ გაგიჭირდეს, კურკუცელი კაცი წყალს არ დაგალევიანებს. ვხვდავ აშენებულ ეკლესიას, ცამდი მიუწევს გუმბათი, მაგრამ ქვას რა ქუა აქვს? ქუა და სარწმუნოება კაცს უნდა ჰქონდეს. გაღმელებს, ხომ თათრებს და ურჯულოს ეძახიან; აბა მიდი, სულ უცნობმა, ის კიდევ სხვა სჯულის კაცმა, როგორი პატივი გცან. რა გააკეთა, ჩემო ძმაო, მარტო ხელის ქნევამ პირი-სახეზე, გული თუ ეშმაკის არის, ხელი თუ სულ წისქვილის ბორბალივით ატრიალე მთელი დღე, არაფერი გამოვა. შენ ის გგონია, რომ ჩვენ თუ სათურქოში დავიმალოთ და გარეგნობით თათრის სჯული მივიღოთ, ჯოჯოხეთში ვიქნებით და ზოგიერთი ბერები სამოთხეში? ფიქრი ნუ გაქვ, ისინიც ჩემთან ჩამობრძანდებიან.

— სუ, კაენა, თუ ღმერთი გრწამს, რა გალაპარაკებს ამნაირებს. რას გჯის ბერების ამბავი, ძირიანად ამოაგდოს ღმერთმა. თუ კი სჯული არ გამოგვაცვლევინეს, კარგი აზრია შენი აზრი სწორედ. მაგრამ დედა აქ დავტოვო?

— ყე, კაცო! დედა კი არა, თავს ვერ უშველით. მაგრამ... — შესწყვიტა ლაპარაკი კაენამ, — ჯობია მოვისვენოთ, რადგან ხვალ ადრე უნდა ავდგეთ.

მეორე დილას, რაჟრაჟის წინად ორივენი ფეხზე იდგნენ. შეეკაზმული ცხენები, ახლო ხეზე აღვირით მიბმულები, ფოლგებს მიწას სცემდნენ, თითქო ჩქარა აქედან წასვლას სთხოვენ პატრონებსაო. კაენას სახეზე აღელვება ეტყობოდა. სახე გაუფითრდა, რამდენჯერმე დააცმაცუნა ტუჩები რალაცას სათქმელად, მაგრამ ისევ თავი შეიმაგრა. ბუხუ შიგ თვალეში შეჰყურებდა, მიწის ფერი დაედო, თითქო იმის პირი სახეზე მისს ფიქრებს კითხულობსო.

— ახ, ძმაო ბუხუ! — ბოლოს, როგორც იყო, გაბედა კაენამ და ცრემლები წამოუვიდა. თქმა საჭირო არ იყო, პირის

სახემ დაამტკიცა ყოვლივე. ბუხუ, თითქო ტყვია მოხვდაო, დაჭრილ ირემივით ძირს დაეცა. კაჟნამ სიმბნევე არ დაკარგა, ხელი მოჰკიდა და ზეზე წამოაყენა. ბუხუმ კარგა ხანს ვერაფრის თქმა ვერ შესძლო და ვერც იტირა. ბოლოს, თითქო დაგუბული ჰქონდაო, ისე წამოსკდა ცრემლები და პირდაღმა ბალახზე დაეშვა. მერე რეტიანივით ზეზე წამოხტა, უწყალოდ შუბლზე ცემა დაიწყო და ქვითინი მოართო.

— რას შერები, გენაცვალე, ვინმემ რომ გენახოს, ხომ დავიღუპენით. მადლობა ღმერთს, კიდევ ვაჟაკაღურად უნდა გავუძლოთ უბედურებას.

— ნუ მეტყვი, ნუ მეტყვი მაგას, შენი ჰირიმე. ვაი, ვაი! — სტიროდა გულ-ამოსკენია ბუხუ და მკერდს იმტვრევდა. რამდენისამე ხნის შემდეგ ბუხუმ უეცრად შესწყვიტა ტირილი, ცრემლები მოიწმინდა და ცხენისაკენ გაეშურა. კაჟნაც თან გაჰყვა, რომელიც თავ-ჩალუნული დადგა ამხანაგის შორი ახლოს და ნელ-ნელა სტიროდა ისიც.

— წავიდეთ, გენაცვალე, კაჟნა, — დალონებით შესთხოვა ბუხუმ, როცა ცხენს მიუახლოვდა. — არ ყოფილა ტყუილი სიზმარი, ცეცხლი მომეკიდა მართლა. სულ ჩემი ბრაღია, რაც დამემართა. დღესვე წავიდეთ სათათრეთში. არ მინდა არაფერი. ჩემი სოფლის სიახლოვეს ვერ გავიარ. ოხრად დარჩეს ყოვლისფერი. გულით მინდა ყოვლისფერი გკითხო, როგორ მომხდარა უბედურება, მაგრამ არ გკითხავ. დავლუპულვარ, დედა მომკვდომია, სხვა რა ამბავი მინდა.

— დიახ, ყოფილან, იმათ მითხრეს.

— მერე, შე უბედურო, რატომ წაიწყმიდე სული, თუ ეს იცოდი, რატომ არ მითხარი, რომ ხორცი მაქამე. მე გულმა, კარგა ხანია, მიგრძნო. თურმე ეს ყოფილა, რომ ტანზე მაწყრიალეზდა, ყურადღებას არ ვაქცევდი და თურმე ეს ყოფილა. — ბუხუმ ცრემლები მოიწმინდა, აღვირი დაიჭირა და ცხენს გაუძღვა. კაჟნაც თან გაჰყვა.

— კაცის სიცოცხლე და ჰიანქველის სულ ერთია. — იმეორებდა გზა-გზა ბუხუ. — ფუ! ახლა რომ ისეთი კაცი მომცა,

უსულოთ მომკლავდეს, ღმერთმა დამწყველოს, თუ ვინაღლო. რა ვქნა, მეც ჩქარა მოგკედები ალბად. იქ მაინც ვნახამდე მე უბედური!—სტეჟა ესა და დიდრონი ცრემლები გადმოაფრქვია თვალებიდან.

— ოჰ, ჩემო ძმაო! მწუხარება ბევრ არაფერს გაგვიკეთებს,— ნაღვლიანად შეჰნიშნა კაენამ, როცა სწორ გზაზედ ჩამოვიდნენ და ცხენებზედ შესხდნენ.—ჯობია ახლავე ჩვენ საქმეს შეუდგეთ და დაჩქარებით გავიქცეთ აქედან, თორემ რა დღეს და რა ხვალ... ახლა კი წავიდეთ და ვისადილოთ ჩვენი ნაცნობი გლეხის სახლში. ხომ იცი ხობის წყლის ახლო სახლობს, ჩქარა ვიაროთ, თორემ დაგვაგვიანდება. კარგი იქმნება, თუ შუადღემდის მიუსწრებთ. ორთავემ მწარედ გაქუსლეს ცხენები და გაეშურნენ გლეხის სახლისაკენ.

მართლაც, შუადღემდი მიადწიეს დანიშნულ ადგილამდის. დღე ცხელი დადგა; ცხენები აქაფდნენ. გზა-გზა ბუხუს ცოტათი მოუტრიალდა გული, თუმცა არ გამხიარულებულა, მაგრამ ოხერას და ვაი-ვუის მაინც თავი დაანება. მხოლოდ ათასში ერთხელ ამოიხრებდნენ და გულს ამოატანდა ხოლომე თანა. მიუახლოვდნენ გლეხის სახლს. ეზოს ერთის მხრივ ხშირი ტყე ერტყა, ტყის პირას ბახჩა იყო გაშენებული, რომელსაც გარშემო ხშირი ალვის ხე ეხვია და ალვის ხეებ შუა ეკლიანი გარეული ვარდი იყო დარგული. ეს ბახჩა ისეთი საიდუმლო ადგილი იყო, რომ ჩიტის მგტი უკაროდ ვერ შევიდოდა. ბუხუ და კაენა ტყისკენ მივიდნენ ჩუმად. ცხენები იქ დასტოვეს და თვითონ ფეხ-აკრეფით ბახჩას მიუახლოვდნენ. ბახჩის გვერდით მასპინძელი თხილის წკნელს სჭრიდა. სტუმრების დანახვაზე საჩქაროდ წაღდი დაადო და გამოიქცა.

— კოჩობას გაუმარჯოს ღმერთმა!—მისძახეს სტუმრებმა.

— ოჰ! თქვენი ჭირიშე, თქვენ გელოდებოდით, ეს ყოფილა დღეს რომ ცხვირის წვერი მეფხანებოდა; მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით, თქვენი ჭირიშე.—გლეხი მიუახლოვდა სტუმრებს და კრძალვით ხელი ჩამოართვა ორივე ხელებით.

— აბა, ახლა საით, კოჩო ჯან?—ჰკითხა ბუხუმ.

— ცხენები სადა გყავთ, ბატონებო.

— აი იქ, რცხილის ძირში მივაბით, — მიუგო კაჟნამ.

— ჯერ, თქვენი ჭირიმე, იმათ მოვიყვან და მერე გავიდვებით. კოჩობამ ცხენები საჩქაროდ მოიყვანა, სტუმრებს გაუძღვა წინ და ბახჩაში შეიყვანა. იქ ერთ „ტალავერის“ ქვეშ ნაბადი დაიგეს მგზავრებმა და წამოწვნენ. კოჩობა კი სახლში გაიქცა, ჩუმად ცოლს საჩქაროდ სამარხო საქმელები გააკეთებინა (იცოდა რომ ბუხუ სახსნილოს არ სჭამდა, იმსაც გაეგო, კნენას სიკვდილი), დოქით ღვინო ხელში აიღო და სტუმრებს მიუტანა. ყოველივე ეს ისე საიდუმლოდ მოახერხა, რომ არავის გაუგია. კაჟნა და ბუხუ კოჩობას კარგად იცნობდნენ. იმედოვანად ჰქონდათ მისი, რომ დამალავდა კიდევ და არც გასცემდა. ამიტომ ხშირად გაუვლიდნენ ხოლმე კოჩობას გზა-გზა. თავიანთ მხრივაც კოჩობას პატივის-მცემელნი იყვნენ. რამოდენჯერმე აჩუქეს: ცხენი, ხმალი, ქამარი და სხ. თვითონ კოჩობას ქურდობის თავი არა ჰქონდა, მაგრამ ქურდების ხელის შეწყობას კი არ იწუნებდა ჩუმ-ჩუმად. როცა მგზავრებმა გული იჯერეს საქმელ-სასმელითა, პირ-აღმა ნაბადზე წამოწვნენ და მიეძინათ. ცხენებს ასეთი მეხი დიდი ხანია არ დასცემოდათ. მუხლამდე ნორჩ-მწვანე „ყოლანდარში“ ჰნავარდობდნენ. მათს პირში სასიამოვნოდ გაჰქონდა ბალახს ხრამა-ხრუმი.

XII

როცა ჩვენმა მგზავრებმა ძილით გული იჯერეს, კოჩობა ცივი წყალი მოუტანა, ხელ-პირი დააბანინა და საშხარი მოართვა. საქმელები ისევ სამარხო იყო.

— უი! დაეხუჭა თვალი სიკვდილს, განა ამას უნდა გიბედავდეთ, თქვენი თავი თუ ღმერთმა მაღირსა ჩემ კარავში? — ნაღვლობდა მასპინძელი. ამის თქმაზე ბუხუს გული საშინლად აუჩუყდა და კინალამ ცრემლები არ წამოსცვინდა.

— რა ვქნათ, შენი ჭირიმე, ყოველისფერი ღვთის ნებაა, — ამბობდა პასუხად კაჟნა მოწყენითა.

— იცი, რას გეტყვი, კოჩობა? — უთხრა ბუხუმ, როცა სამხარს მორჩნენ, თავისი მეტყველი სახე, რაც შეიძლება, დააშტერა, თვალეები დააბრიალა, ნორჩ უღვაშებზე ხელი გადაისვა, აქეთ-იქით გვერდებზედ ხელით დაისვა და მასპინძელს შიგ თვალეებში დაუწყაო ყურება.

— რაა, შენი ჭირიმე, ბრძანეთ?

— რაა, ჩემო კოჩობა, და ხომ იცი რა მდგომარეობაში ვართ, ახლა ახალი უბედურებაც მომადგა კარზე. არ შეიძლება ჩვენი ამ ქვეყანაში ცხოვრება, უნდა გადავვარდეთ სამზღვარ გარედ. ამიტომ ამ ბოლო დროს ცოტა რამე გვინდა. საით იცი ვითომ რამე?

— უი შენს კოჩობას! თქვენ რომ წახვალთ, მე რა გამაძლებინებს უთქვენოთ.

— რა ვქნათ, შენი ჭირიმე. ჩვენ განა გვიხარია თქვენისთანა ერთგულის მოშორება, მაგრამ რომ არ შეიძლება ჩვენი გაჩერება. ან ვინ დაგვაყენებს?

— ახ იბირ ხვაცი! — მუხლზე ხელის დაკვრით ჩაილაპარაკა კოჩობამ.

— აა! კოჩობა, გვითხარი, გვასწავლე რამე!

— მე რაც ვიცი, ბატონიშეილო, თქვენ არ დაგემალეობათ. ხორგას ორი ცხენი ამ დროებით ისეთები ყავთ, ხელი მოკიდო, დააჩნდება, კიდევ რამოდენიმე ჯალრაშიაც ვიცი. ოქროულობას რაც შეეხება, ვიცი კიდევ ერთ ადგილას, სახელდობრ, ყულის კარში. ახლა მოიყვანა იქაურმა ერთმა გლეხმა ვიდაც ქორთუს ქალი. ამბობენ, აუარებელი ოქროულობა აქვსო. ერთი ისეთი სულომანი აქვსო, ერთ სოფლად ღირსო. — კოჩობამ ასწავლა მათი სახელი, გვარი და ადგილი, სადაც ესახლნენ. აუხსნა აგრედვე გზა, საიდან შეიძლება იმათ სახლში მისვლა, სად ჰყავდათ ღამე ცხენები და სხვ. როცა მზე ჩაესვენა, ბუხუ და კაენა გამოემშვიდობნენ მასპინძელს, მადლობა გარდაუხადეს პატივისცემისათვის და გზას გაუდგნენ.

— სწორედ საჩვენო ღამეა ამაღამ, მთვარე ძალიან გვიან ამოდის, — ხუმრობით შენიშნა კაენამ, როცა გაიარეს კარგა მანძილი.

— მეც გემოწმები, — მიუგო ბუხუმ. — არც ღრო უნდა დავკარგოთ. ჯერ ჯალრაში წავიდეთ. იქ თუ რამ ვიშოვნო, წამოვიყვანოთ და ჩვენს მეგობარს უთუთიას მოუყვანოთ. ხომ იცი, რა მოხერხებულად ცხოვრობს. მერე კიდევ ხევისთავების უფროსად ამოურჩევიათ, არავინ აიღებს ექვს? იქიდან ხორგაში ჩავიდეთ, იქაც თუ მშვიდობა იქმნა, ყულის კარში — და „დაიტარება“ საქმე.

— ჯერ რა გვაქვს ხელში? ეშმაკებს ღვინო არა ჰქონდათ და გუდას ბერავდნო, ისე გვემართება. ამაღამ ჯობია, ჩემი ფიქრით, უთუთიას გაუაროთ, შევატყობინოთ როგორაა საქმე და მერე წავიდეთ, საითკენაც გვირჩიოს, — სთქვა კაენამ.

მართლაც, გაუარეს უთუთიას. უთუთია შინ დახვდათ, მაგრამ მან არ ურჩია ისე მოქცევა, როგორც ჩვენს რაინდებსა ჰქონდათ ნაფიქრი. ვიდრე ოცი, ოც და ხუთი დღე არ გავიდეს, იქით ნუ წახვალთო. მეტი ღონე არ იყო, ადგნენ და გაემგზავრნენ იქით, საითაც უთუთიამ ურჩია და რამდენისამე დღის შემდეგ ხუთიოდე ბედაური ცხენი მის „გოკოფულში“ ნავარდობდნენ ჯაკვ-მობმულეები. ორის დღის შესვენების შემდეგ, ერთ საღამოს დაკაზმეს ცხენები და გაემგზავრნენ ახლა ყულის კარისაკენ. ცა ვარსკვლავებით იყო მოქედილი. ბნელით მოცულ ქვეყანას ზენა ქარი, ცოტა არ იყოს, რაღაცას ეგულდიდებოდა, ისეთი შუილი გაჰქონდა ტყეში... ჩვენმა მგზავრებმა, როცა მიუახლოვდნენ მიზანში ამოღებულს სახლს, ტყეში დააბეს ცხენები და თვითონ ფეხით ფრთხილად გასწიეს სახლისაკენ. სახლის პატრონთ ჯერ არ ეძინათ. სახლიდან ხმაურობა მოისმოდა. უფრო ქალების სიცილი და ხარხარი ამხიარულვდა არე-მარეს.

— როგორ ვქნათ, ბიჭო, როგორ შევიტყუოთ თავი? — ჰკითხა ბუხუმ კაენას: — ჰხედავ, ხალხით საესეა.

— რა ვიცი, უნდა მოვახერხოთ რამე.

— რა უნდა მოვახერხოთ!... ამ ღროს იმათ ზედზე კატამ დაიკნავლა მათ ახლოს.

— ე, ბიჭო! არ გაუშვა ისა! — აჩქარებით წამოიძახა კაქნამ და მაშინვე ბუხუმ დასტაცა ხელი და აიყვანა.

— ახლა კი ნუ გეშინია, — ანუ გეშა კაქნამ. — ამას საქათმეში შევადგებ, ქათმები ჭყვილს ატეხენ. ეს რა ამბავიაო! ყველანი გამოაცვინდებიან. მაშინ ჩვენ ვიდროვით, შინ შევიდეთ და ტახტს ქვეშ გავიშალოთ. ხვალ უქმია და, ამაღამ ხმაურობა რომ არის, მეზობლები იქნებიან და აღბად ისევ ჩქარა თავთავიანთ სახლში წავლენ. როცა მასპინძლები დაიძინებენ, გამოვიდეთ და თუ რამე ვიპოვოთ, წავაღოთ. თუ დამიჯერებ, ჯობია. ყუთი, რომელიც კოჩობამ გვითხრა, არ გავტეხოთ, ისე წავიღოთ, თუ კარა ხერხიანად ჩამოგხსენით. კარგა რომ მოვშორდებით აქაურობას, მერე გავტეხოთ; რაც კარგი ვნახოთ, წავიღოთ და რაც არა, იქვე დავტოვოთ.

სახლი დაბალ ადგილას იდგა, ერთ მოზრდილ დეღის პირად. სამ მხრივ ეზოს ეს დეღე ესაზღვრებოდა, ერთ მხრივ კი ვაზ-ხეხილით იყო დაბურული. წინ სახლს დერეფანი ჰქონდა, ლამაზად დახერხილის ფიცრებისა, უკან ერთი პატარა ოთახი, სადაც ინახებოდა პატარძლის მზითვეი. ყუთი კი ვეჯით სახლში იდგა ტახტზე, რადგან გაქურდვისა ეშინოდათ. სახლს იატაკი და ჭერი არა ჰქონდა, მაგრამ ქვეშ მიწას იმ ნაირი სწორი და მაგარი პირი დაეჭირა, რომ ასე გეგონებოდათ, ცემენტ-მოსხმულიაო.

სახლის პატრონი ჯამლეთი აფხაზავა ერთი ღარიბი დედამისი შვილი იყო. მშობლები ადრევე დაეხოცა. თუ რამ დარჩა დედ-მამას, მალე გაინაწილეს მოყვარე-ნათესავებმა და ჯამლეთი დარჩა ღეთის ანაბარა. ხან ერთის ნათესავის სახლში შევიდა და ატარებდა რამდენსამე დღეს, ხან მეორეში. არსად არ აყრიდნენ ხერსს. ზოგან წყალს ეზიდებოდა, ზოგან შეშას და ზოგან წისქვილში სიმინდი მიჰქონდა. ბოლოს, როცა კარგა მოიზარდა, მოსძულდა სიცოცხლე და ფოთში გაიქცა. იქ ჯერ რამდენიმე წელიწადი ერთ მიკიტანს ემსახურა. მერე მესანდლესთან დადგა და ჩინებულად ისწავლა მატროსობა. მესანდლეს იმდენად მოეწონა მისი სიმარჯვე, რომ რამდენისამე

წლის შემდეგ ამხანაგად გაიხადა. ჯამლეთმა ფულს გვარიანად მოუყარა თავი, ტანისამოსიც კარგი შეიკერა და ქალებსაც ყურება დაუწყა. მებანკესეს თუ მოთმინებამ არ უღალატა, ძევზს დაიჭერს. ჯამლეთმაც ითმინა, აირჩია ქალები და ბოლოს ერთ იმერელ ვაჟარ კაცს ქალი სთხოვა ცოლად. ვაჟარი დასთანხმდა, ფულიც მისცა კარგა, მზითვეიც, ოქროულობაც და წარჩინებულ ზნე-ხასიათის ქალიც. შემდეგ ჯამლეთმა ფოთში ცხოვრება რაღაც ვერ მოახერხა და წამოვიდა სოფელში. აქ ჯერ ერთი სახლი ააშენა და კარგის ოდის შენების მოსაზრებაშიც იყო. ნათესავ-მოყვარებებმა ახლა, პირიქით, ჯამლეთთან დაიწყეს სიარული. ყველანი იმას ცდილობდნენ, რომ დაემტკიცებინათ, წინად ჩვენ უფრო მეტი პატივის-ცემა გავიწიეთო, თუმცა პატავი მისთვის არცერთს არ უცია. თვით ისინიც, რომელნიც პატარაობისას ყველაზე უღიერად ეკიდებოდნენ, ახლა აღტაცებით ეგებებოდნენ და თითქმის სულში ისვამდნენ. ჯამლეთი კეთილი გულის კაცი იყო, სუყველას უცინოდა და მადლობას სწირავდა, თუმცა კი ყოველივე წარსული ამბავი კარგად ახსოვდა. ახსოვდა ის დღეც, როცა იანვრის ყინვიანსა და თოვლიან დღეში ყველასაგან და ყოველთაგან უპატრონოდ დატოებულნი ფეხ-შიშველა გაიქცა ფოთში.

მის სახლში თითქმის ყოველ ღამე გროვდებოდნენ მეზობლების ქალ-ვაჟნი, მღეროდნენ, ჩანგურს უკრავდნენ, ლაზღან-დარაობდნენ კარგა ხანი და მერე ისევ დაიშლებოდნენ. ხსენებულ ღამეს მეორე დღის უქმისა გამო ორჯელ მეტნი მოგროვდნენ.

კაჟნამ დაათვალიერა ფრთხილად სახლი. ყველანი შინ იყვნენ, გაიქცა საქათმასაკენ, რომელიც დღეს პირად იდგა, კარი გააღო, კატა შიგ შესვა და თვითონ საჩქაროდ ბუხუსთან დაიბადა, რომელიც იქვე მდგომ სამზარეულოს გვერდით დამალულიყო. ქაამებმა ერთი უშველებელი ტყრციალი ასტეხეს. განსაკუთრებით მამალი გაფიცდა მეტად ამ უადგილო და უღრპოვო ხუმრიობის მიზეზით. ძაღლები, რომლებიც ადამიანთა მხიარულებას თანაუგრძნობდნენ და სახლის კარებთან კუდის

ქნევით და ღრეჭით თავიანთ სიხარულს აცხადებდნენ, თითქო მღვევებად გადაიქცნენო, საშინელის ყევით გამოიქცნენ საქათმისაკენ. ქათმების მოულოდნელ ჭყვილზე ყველანი გამოცვივდნენ სახლიდან. რაინდებმა იდროვეს მოხერხებული წუთი, შინ შევარდნენ ქარივით და ტახტ ქვეშ შეძვრნენ. სტუმარ-მასპინძელმა ზოგმა მუგუზალი დაიჭირა ხელში, ზოგმა სანთელი და დაუწყეს თვალიერება, რა ამბავი იყოო. საბრალო ციცა თვითონაც გაკვირვებული იყო, აქ სად გავჩნდიო. ქათმები გარედ გამოცვივლიყვნენ და ჰქონდათ ერთი ზრიალი. პატარა ხანს შემდეგ ყველანი სიცილით ბრუნდებოდნენ შინ.

— სასაცილოა კი არა, საკვირველია! — ამბობდა სახლის პატრონი. — ჩვენი კატა თუ ქათმებს დაეჩვია, ხუმრობა არ არის. შეხედეთ წყეულს, როგორ კაცივით გაუღია კარი. თვითონ კი თითქო სულაც ბრალი არ ჰქონდესო, ტუჩებს ილოკავდა.

— ხა, ხა, ხა! არ გამიკვირდა კაცო, სანამ პიჩქას არ მოუსვამდი, მელა, ტურა ან მაჩვი მეგონა! — იცინოდა ერთი.

— მე კი, — დაიწყა მეორემ, — ქათმებს ქორის წიწილის სიკვდილი შეატყობინეს და ის „შეიწამეს“ მეგონა.

— კარგი! თუ ღმერთი გრწამდეს, თავ-თავის ადგილას დაესხდეთ და ჩანგურის კვრა გავაგრძელოთ, კატამ ისე იცის, მამა ნუ წამიწყდება! — ფეიცებოდა ყველას ერთი ახალგაზდა ბიჭი, რომელსაც პირში ყალიონი ჰქონდა და ტანზე წითელი ჩოხა ეცვა.

ქალები ტახტზე ჩამორიგდნენ, ბიჭები ახლო მოუსხდნენ. წითელ-ჩოხიანი უკანა კარჯის ქვევით კამარაზედ ჩამოჯდა და არხეინად თამბაქოს შეექცეოდა. პატარძალი წესისამებრ ფეხზე იდგა კარებს ახლო, სტოლთან. კაწასა და ბუხუს ქალებით დატვირთულ ტახტს ქვეშ ერგოთ ყოფნა. ცუდი ადგილი კი იყო. ჯერ მტვერი და შეკუმშული ჰაერი, მერე წყეული რწყილი საშინლად აწუხებდა უბედურებს.

— აბა, დაუკარ, მაკრინე, თუ ღმერთი გწამს, — შეევედრა ერთ თვითრ-კაბიანს და გრძელ-თმიან გოგოს მასპინძელი.

— ჯერ სხვამ დაუკრას, ბატონო.

— სხვამ რა! ერთხელ ხო დაუკრა ბარბალემ, ბეგარა არავის არ აძევს იმისი.

— შენ თუ შეგებევეწე! შენ დაუკარი,—გაეხუმრა წითელ-ჩოხიანი, რომელმაც ის-იყო ჩიბუხი ხელზე დაიბერტყა და უკან წაიღო ხელი ქამრისაკენ.

გოგო ცოტად გაწითლდა.

— ბატონი ბრძანდებით!—მორცხვად ჩაილაპარაკა, ლამაზი ტუჩები სასიამოვნოდ დააცმაკუნა.—ბატონი ბრძანდებით, თუ კი შეეძლებ თქვენს გამხიარულებას ჩემი უხერხული „დარდ-ლაფით“. ჩანგური ხელში აიღო და მომართვა დაუწყო. ტმ, ტმ, ტმ, ბმ, ბმ, ტმ, ტმ... მოისმა ჯერ და მერე შეწყობილი ბაიათურიც. მისი ხელის თითები სისწრაფით დანავარდობდა სიმებსა და სიმებს შუა. დრო-გამომშვებით მგოსანი რამდენისამე წამით ხელს მოაშორებდა სიმს და მერე ისევ ნაზად შეეხებოდა ლერწამივით სწორ და ბროლივით თეთრის თითებით. ჯერ გაისმა ჰაერში ხმა ჩონგურისა და შემდეგ ხმა ზედ-დამღერებისაცა:

ვადონწყვირი ობიშხას
 ვადიფშქვილით წყარას
 წყარიში შქვიდა ყოფეგარი
 ჩქიმი ცოლი ვალ ლამუ შხვას
 ჩქიმი თოფი და იარაღი
 მეურჯ შქა ზღვას,
 წიარი დო მეძებარე
 ემერე მერწოდენს ძავს.
 ჩექმაქ მილალატუ ვარა
 ქვანუოჩურანდი ძვას.
 ძელი ჩხომჩ ოტკომულო
 ძვალი ეკობორგუ ძვას
 კვარია ლვიანს, ლვიანს, ლვიანს...
 ტანჯი ურაგალუ ზარს.
 მუში მუმაქ შიიტყვას
 ჩხომიში ხორცი ვაქკომას,
 —მუში დიდაქ შიიტყვას
 ღვაშა ხე მიისვას,
 მუში ჩილქ შიიტყვას
 საკუმელი გეუღვას
 ყი ბორიაქ დირქას
 სამოთხეშა მეუღას.

მგოსანი გაჟმდა და მარტო სიმთა ხმა-ღა ისმოდა. გოგომ რამდენიმე სხვა-და-სხვა სიმღერა კიდევ დაუკრა, დაამღერა და მერე სხვას გარდასცა ჩანგური.

— კარგი ბედი მოგცეს ღმერთმა ჩვენი გამხიარულებისათვის! — სიცილით უთხრა წითელ-ჩოხიანმა მაკრინეს, როცა უკანასკნელმა ამხანაგს მიაწოდა ჩანგური.

— დალოცოს ღმერთმა, კარგად უკრავს, — განიმეორეს სხვებმაც.

ჩანგურის კვრა ახლა სხვებმა დაიწყეს რიგ-რიგით. კაცის გულს ერთი და იგივე მალე მოსწყინდება. მართალია, პირველად ყველას ესამოვნათ, მაგრამ ახლა მოსწყინდათ და ჩონგური კუთხეში შეინახეს. დაიწყეს სხვა-და სხვა შესაქცევი თამაშობა ახალგაზდებმა; უფრო ხნიერები, მათ შორის სახლის პატრონიც, მუსიაფში გაებნენ. რადგან მუსიაფის დროს თამბაქო კარგია, თითქმის ყველამ ჩიბუხის წვეა დაიწყა. ერთ შუა ხნის ცოტა ქოსა კაცს სველი თამბაქო ჰქონდა. გააქირა საქმე მისმა ყალიონმა. არ იქნა მისი ცეცხლის მოკიდება. ჯერ რამდენიმე ღერი სპიჩკა დახარჯა, მერე, რომ ვერა ეშველა რა, მუგუზალი მოუტანეს სამზარეულოდან. არც იმან უშველა, არ იქნა, არ მოეკიდა ხეირიანად. ჯერ თითქო მოეკიდაო, გლეხი მუგუზალს ჩიბუხს მოაშორებდა, მაგრამ რაკი გაერთობოდა მუსიაფში, ცეცხლი ისევ გაუქრებოდა.

— აბა, რას ამბობთ, თქვენი ჭირიმე! — წამოიძახა მან და მუგუზალი ახლო დაიდო. — „ნაჩალიკი“? იმისთანა ნაჩალიკი გინდ იყოს და გინდ არა. თუ გინდ თავი დაატებო მისი სადგომის წინ, საიდგან მოდიხარო, კაცი არ გეტყვის. კაქნა და ბუხუ ვიკომ შენა გგონია „ნაჩალიკის“ უდასტუროდ სჩადიან რასმე? ის კი არა, ლაპარაკობდნენ, თვითონ „ნაჩალიკი“ დებულობს მათგან ფულებს და ქურდობის ნებას აძლევსო. როგორც დღევანდელი დღე, ისე ვიცი, ჩემი ძმის ცხენი კაქნამ მოიპარა. სანაჩალიკოში მივედიო, მამასახლისის „ატკი“ მივიტანეთ, დაუწყეთ ვედრება, გვიშკელეთ, მოგვეხმარეთ რამე, დავიღუპეთ-მეთქი. თვითონ „ნაჩალიკი“ არ გამობრძანებულა. შე

მამაძაღლოვო—„წერალმა“ გვითხრა—რა იცი, რომ იმან მოიპარაო!

— ა, ბატონო, „ატკი“-მეთქი.

— იმდენი ღმერთი ააშენებს თქვენ მამასახლისს, იმან რომ რამე ნამდვილი იცისო.— აიტ, თქვე ცუდლუტებო, თვითონ თქვენ იპარავთ და ტყვილად პათიოსან ხალხს აწუხებთო. ჩვენ სადა გვცალია, რამდენი მყრალი გდია სოფელში, მისი ცხენები ვძებნოთო. აგერ სურდო მჭირს, არ მაყენებს, თბილად უნდა ვიწვეო და თქვენი სულელური მოქმედების წყალობით აქ მტვერი უნდა ვყლაპოვო. ავარდა და დავარდა, შენი ჭირიმე!—თქვენ კი „ბონდლს“ ნუ გაიხეთქთ ბატონო, და იმას თქვენი ჭირი წაუღლა-მეთქი, მიუგე მე და აქეთ წამოვედი. მოდი და გაარიგე ახლა საქმე. თვითონ პოლიცია ქურდია და ვის სთხოვ სამართალს. ტყუილი არ იყო, ცხონებული მამა-ჩემი იტყოდა,—მეფემ ცოლი წაგართვას, ვის შესჩივლებო?

— მართალია!—ჰმოწმობდნენ სხვები და დასამტკიცებლად მოჰყავდათ თვითეთლს თითო-ორიოლა მაგალითი მთავრობის დაუდევნელობისა. ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ ცარიელი ენის ტრიალით არაფერი გარიგდა და დალაღულები ლაპარაკით და სიამოვნებით დაიშალნენ.

შუა ღამეა. რა ხანია სანთელი გაქრა ჯამლეთის სახლში. ცოლ-ქმართ ტკბილად მიეძინათ. სახლში სიბნელეა. ძაღლები რგოლივით მოიკუნძნენ სახლის გვერდით და ტკბილ ძილს მიეცნენ. ყველგან სიჩუმეა, მხოლოდ ტახტს ქვეშ არ სძინავთ კაენასა და ბუხუს.

— ე, ბიჭო!—ჩასჩურჩილეს ჩუმად ერთმანეთს ამხანაგებმა.—ახლა ახალი მიძინებულები არიან და ვერას გაიგებენ. ორივენი ნელა გამოძვრნენ ტახტ-ქვეშიდან და ჩუმად გასწიეს ყუთისაკენ.

— ოჰ! როგორ დავმტვრეულვარ ეს სჯულძაღლი, ძლივს და ვდგევარ ფეხზე!—დაიჩურჩულა ბუხუმ.

— აბა, რაღა დროის ეგენია, დამბაჩა მარჯვედ გქონდეს! მე ერთი კარი ჩამოვხსნა ჯერე და შენ ძალიან ყური უგდე,

თუ ვინმემ გაღვიძება გააპიროს...ს...ს...უ...! — კაქნა მივიდა კარბთან, შიგნიდან ურდული ნელა ამოიტანა რკინის რგოლიდან, მერე ორივე ხელით ასწია კარს, ნელა ჩამოხსნა და იქვე შიგნით მიაყუდა. დაბერებული მთვარე ამოსულიყო და მკრთალად შემოიყურებოდა სახლში. მთვარის სხივები პირდაპირ ეცემოდა მძინარე ცოლ-ქმარს პირი-სახეზედ. — ამას რაღა ეშველება, ბიჭო, — ჩასჩურჩულა კაქნამ, — სინათლემ რიამ გაღვიძოს ეს ხალხი, მერე?

— მოითმინე, მოითმინე! — აუჩქარა ბუხუმ, იქვე ახლო სახლის პატრონის ნაბადი მოსძებნა და კარს ფარდასავით ჩამოაფარა, სახლი ისევ დაბნელდა. მერე ორთავემ ყუთი აიღეს, ნაბადს ფრთხილად ასწიეს და გარედ გაიტანეს.

— აბა, ახლა კარი! — სთქვა ბუხუმ.

— იყოს, სულ ერთია.

— რას ამბობ! რომ გაიღვიძონ, ყვირილს ატეხენ, გზებს შეკრავენ და საფრთხილოა. ნაბადი მხოლოდ მათ პირი-სახეს ფარავს კარგად, თორემ ქვევითი ნაწილი კარისა ღიაა.

— მაშ, კარგი, ჩამოვკიდოთ კარი და ნაბადიც წავიღოთ, დაგვეკირდება.

— აბა, ჩქარა.

კაქნამ საჩქაროდ ნაბადი ჩამოხსნა და კარი ისევ ჩამოჰკიდა. დაავლეს ორთავემ ხელი ყუთს, ჯერ ნელა იარეს, მერე უფრო ჩქარა და განშორდნენ ეზოს, თითქმის სირბილით გასწიეს ცხენებამდე და ყუთი გასტეხეს, თუ რამ იყო ოქროსულობა ამოიღეს, თუმცა იმდენი არაფერი ყოფილიყო, რამდენადაც აზვიადებდნენ. სულომანი ტყუილი გამოდგა. კარგად იქმნებოდნენ გაცილებული სახლს, რომ ჯამღეთს გამოეღვიძა. რაღაც უაზრო სიზმარი ჰნახა, ჭახუნნი მოესმა და შეშინებულმა გააჰყრტა თვალები. ადგა ლოგინიდან, დაახველა, გარედ გამოვიდა, მთვარეს შეჰხედა, როგორ დაპატარავებულხარო, მიანაღვლა და ისევ დაწვა.

გათენებისას ბუხუმა და კაქნამ მიაღწიეს უთუთიას სახლამდე. გზაზე ერთ ახალგაზდა ნაცნობს, მარჯვე ბიჭს გაუარეს

და თან წაიყვანეს, რომ მიშველებოდა ცხენების გაღმა გაყვანის დროს. მისვლისათვის უთუთიამ სტუმრებს კარგი „ბურაკი“ დაუტლა, მოახრაცინა ინდაურები, ქათმები, დააქრევინა სქელ-სქელი ნელი სულუგინები, მოხადა აჯალღშის ღვინოს თავი, რომელიც, როგორც საუცხოვო რამ, ისე ჰქონდა შენახული უცხო სტუმრებისათვის. დასხდნენ სადილად. სადღეგრძელო-სადღეგრძელოზედ იღეოდა. ისე ჩუმად კი იყვნენ, რომ უთუთიას ახლო მეზობელმაც არ იცოდა, რა ამბავი იყო მის სახლში.

ეხოს ერთი ნაწილი უთუთიას დაბეჯითებით გამაგრებული და საიდუმლოდ დაცული ჰქონდა. ჯერ გარშემო თითქმის საეწინი სიღრმე თხრილი ერტყა. ზევით, თხრილის პირად, ისევ გარშემოვე სქლად დარგული იყო ეკალი და ალვის ხე, ასე რომ გარედან კაცისათვის ძნელი დასანახი იყო, რა ამბავი ხდებოდა ზღუდეს შიგნით. თვით ამ შემოზღუდულს არე-მარეს გარშემო უდაბური ტყე ერტყა, რომელიც უთუთიასივე იყო. შიგ შესვლისა და რისზე მოჭრის ნებას არავის აძლევდა. მოპარვაც ხეებისა არავის შეეძლო, რადგან ტყე დიდი არ იყო და ხის მოჭრას უთუთიას სახლში გაიგებდნენ. გარდა ამისა, უთუთიას ბაღნები პატარ-პატარა წაღლებით ხელში, დღისით სულ ამ ტყეში დადიოდნენ და ძველ, დამძალ მუხის კუნძებს უკაკუნებდნენ. მეზობლებმა იცოდნენ უთუთიას ხასიათი, რა მოუსვენარი კაციც იყო, რა რიგად უყვარდა სასამართლოში სიარული და იქ ჩარჩობა. „რამეფრათ შაირი არ მოგვდვასო“, ამბობდნენ და მისს საკუთრებას სიახლოვეზედაც არ უვლიდნენ ხოლმე. თვითონ უთუთიასაც ენანებოდა ხეების ქრა. ხანდისხან, როცა დასჭირდებოდა რამე, შევიდოდა ტყეში ნაჯახით ხელში: არჩევდა ხეებს, არჩევდა და ისევ ხელცარიელი დაბრუნდებოდა შინ. მისის სიფრთხილის შემწეობით ტყე, თუმცა პატარა იყო, მაგრამ მშვენიერად ჰქონდა დაცული. ზაფხულის პაპანაქების დროს სიცოცხლე იქ იყო. ამ ტყის შემწეობით უთუთიას მყუდრო შემოღობილი არე-მარე მიუვალ და თითქო გაღავან-შემორტყმულ ციხე-დარბაზსა ჰგავდა. ძვი-

რად თუ როდისმე გაივლიდა აქ ვინმე; მხოლოდ თხები, ეს მოუსვენარი ოთხ-ფეხნი გზა-ტყეს არ არჩევდნენ და მეთხებ-საც მათის დევნის გამო ხშირად უნდებოდათ იქ შეველა, რადგან კვიმატი თხა აღარ ისვენებდა და შიგ უთუთიას ეზოში ხშირად გადაეშვებოდა ხოლმე.

უთუთია იყო შეძლებული აზნაურშიღია. მამა-მისი, ცხონებული ხახუ, მთავრის დადიანის მხლებელი ყოფილიყო და საბუთიც ჰქონდა აზნაურობისა, რომელსაც სჯულის ათის მცნებასავით ინახავდა. ვინ იცის, ეგებ დამჭირდესო!—ამბობდა ეს ქკვიანი კაცი. ხახუ მოხერხებული და მარჯვე კაცი იყო, რის გამოც მთავარს ძლიერ უყვარდა. მიწა-მამული ბლომად მისცა. ხახუ უფრო წინ დახედული იყო, ვიდრე ზოგიერთი მისი თავად-აზნაურები. როცა ზოგჯერ მთავარი ჰკითხავდა: „რა მოგვცე ჩემი პატივისცემისათვისაო“, ის არ ეტყოდა, „შენი კეთილი გული, ბატონო, სხვა რა მინდაო“. არა, ის სხვაფრივ მოახერხებდა ხოლმე პასუხს: „თქვენგან მოწყალეობა ურიცხვი მაქვს, ბატონო!—ეტყოდა ცბიერებით:—თქვენი იმედი რომ არა მქონდეს, ამდენ ხანს ცხრაჯერ დავიღუპებოდი, თქვენ რომ არ მყავდეთ, რა გვეშველებო!—აღტაცებით ეტყოდა ხოლმე.—თქვენ ყველასათვის თაფლი ხართ, ჩემო ხელმწიფეო, მაგრამ ზოგიერთები კი ცუდად გეპყრობიან, შენი თავი ნუ მოუკვდება ხახუს!—კრძალვით დაუმატებდა ხოლმე. მთავარს ცნობის-მოყვარეობა გაეღვიძებოდა, დაუწყებდა კითხვას და ამოიკითხავდა, ვის როგორი გული ჰქონდა იმაზედ. ხახუ დროს არ ჰკარგავდა და, თუ ვისიმე ჯავრი სჭირდა, ფლასით შემოსავდა და გამოიყვანდა მთავრის წინ ბრალდებულად. მისის ჩაგონებით „დარწმუნებული“ მთავარი უთხოვნელად აღუთქვამდა ან მიწას ან იარაღს, ან ცხენს და სხვ. ამნაირად ხახუმ გვარიანი ქონება დაუტოვა თავის ერთად-ერთ შვილს უთუთიას. უთუთიაც უანგარიშო კაცი არ გამოდგა. მამის დანატოვარი არა თუ არ გაჰფანტა, პირიქით, გააბევრა კიდევ. ცალკე შეზობლებს ეჩხუბა საზღვარის თაობაზე, ცალკე ნაბატონარს, იმ ნაბატონარს, რომლის მამა-პაპისაგან ჰქონდა, რაცა ჰქონდა.

ცბლკე საჩივართ, ცალკე ძალით თავისი მამული გააფართოვა. უთუთია მუქთად რისამე შოვნასაც არ თაკილობდა. ოღისის ყველა რაინდნი დაახლოვებული და დამეგობრებული ჰყავდა. განსაკუთრებით დაახლოვებული ჰყავდა ბუხუ და კაჟნა. ისინი უთუთიას დაუკითხავად ერთ თვალსაჩინო ნადირობასაც არ გაივლებდნენ გულში. უთუთიას საიდუმლო ბახჩა მათის ცხენების უწყურდროესი თავშესაფარი იყო.

უთუთიას სასამართლოც ძლიერ უყვარდა. დღე ისე ძვირად გავიდოდა, რომ მომრიგებელ-მოსამართლესთან საქმე არ ჰქონოდა. მომრიგებელ მსაჯულს მისი ნახვა ჟამივით ეჯავრებოდა. სულ იმის ცდაში იყო, როგორმე „ამ მოუსვენარ კაცის“ საქმეები ჩქარა გაეთავებინა, მაგრამ არ მიეცა ბოლო უთუთიას საჩივრებს. მოთმინება-დაკარგულმა ში.სამართლემ, სხვა რომ ვერა მოახერხებდა, გადადებდა დაუწყო უთუთიას საქმეებს. ახლა უთუთიამ ერთი ორად უმატა ცრუ მოწმეების შოვნას, რომლებიც უწინა არ ჰყავდა ნაკლებად და დღე და ღამ სასამართლოს წინ დახეტიალობდა. საკუთარი საქმე თუ ჩამოედგოდა, ვეჭილობას მიჰყოფდა ხელს. ბევრი მუშტარიც უჩნდებოდა გამოცდილ ადვოკატს, როგორც ეძახდნენ საფლელეები. მართლაც, ხშირის საართულით სასამართლოში, იქ საქმეების ჩხრეკითა და ყურის გდებით ადვოკატობა ისწავლა. ფრაკი და დიპლომი აკლდა, თორემ სხვაფრივ ძვირად აუ ვაზრდილი „იურისტიც“ მოუგებდა საქმეში. ამ ხელობის შემწეობით მან დიდი სახელი, მოიხვეჭა სოფელში. ყველა-ძალა უნებურად თავს უკრავდა. სიბნელეში ჩავარდნილ და ამის გამო ყოველთვის და ყველასაგან სამართალს მოკლებულ გლეხს საშველად ერთად-ერთი სასამართლო მიაჩნია, და, რასაკვირველია, ვინც ამ საქმეში გამოადგება, თავყანსაცემადაც ის მიაჩნია. ამას შემდეგ საკვირველი არ არის, რომ უთუთია სოფლის ყრილობაზე ხეის-თავების უფროსად ამოირჩიეს. ამ უფროსობის დროს ქურდობამ არა თუ იკლო, იმატა საშინლად. უთუთია კი ამ უბედურებას სოფელს აბრალებდა. „საწინდარიც“ მიჰქონდა ხშირ-ხშირად მშვიდობის მოყვარე გლეხებისაგან, „რატომ ქურდს არ გამოედევნეთ, წუხელ რომ კი-

ცილი იყოვო“. ხალხი აღელვებაში იყო, მაგრამ ვის რას შეს-
ჩივლებდა. ყოველ შეკრებულებაში თუ უთუთია არ იყო, ათასი
თავი აყაყანდებოდა. ქაღილი-ქაღილზე იხარჯებოდა მის წინა-
აღმდეგ, მაგრამ როცა პირის-პირ შეხვდებოდნენ, ყველანი უღი-
მებდნენ, თავს უკრავდნენ და სიკვდილამდი ერთგულებას ეფი-
ცებოდნენ. აბა! ასეთია შიში, მეტადრე მაშინ, როცა შველას
არავისაგან მოელის კაცი.

ღვინით გამხიარულებულმა მასპინძელმა აღმასხანიც გაი-
ხსენა. სავსე ქიქას გადასწია და თავა წაუქცია ოდნავ. „ვამ სი-
კვდილს! განა ასე უდროვოდ დასაკარგი კაცი იყო? ამის ზია-
რებას გეფიცები, იმისთანა გამბედავი და მაგარი კაცი მრთელ
ოღიშში მეორე არ იყო! რა რიგად უყვარდა ცხონებულს მა-
მაჩემი და მერე მე. არაფერ საქმეს უჩემოდ არ იზამდა. ცო-
ლის შერთვა პირველად მე და კაქნას დაგვეკითხა. ისე არ იყო
თუ ღმერთი გწამს? შენ მაშინ უწვევრ-უღვაშო იყავი, მამა-თქვე-
ნი თავადი ოტია ახალ-გარდაცვლილი იყო. აღმასხანს ძმის
სიკვდილი მეტად ეწყინა და იმის ჯავრის გადასაქარვებლად
შაირთო ცოლი. ასე არ იყო?“ — წარბების აწევით და „კაკაპის“
შეკუმშვით შეეკითხა კაქნას. კაქნა წელში გასწორდა და აღტა-
ცებით დამტკიცა მასპინძლის სიმართლე. — ეს ხომ, შეხედა
უთუთიამ ბუხუს, წმინდა მამის კალაპოტია. აი, ჯერ მხარ-ბე-
ჭებს შეხედეთ, დაილოცა ღმერთო შენი სახელი, აღმასხანი
წინ მიდგას, მგონია. ბუხუ გაწითლდა, თავი დაღუნა და ცა-
ლის თვალით შეჰხედა დარცხვენით დიასახლისს, რომელიც ქმარ-
სა სთხოვდა, დაეთხოვე ლაპარაკს და სტუმრებს მოსვენება მიე-
ციო. „მოითმინე, მოითმინე, ქალო! რა დაგემართა? ჯერ ხეი-
რიანად არ დაღამებულა, ძილს ვერ მოესწრებიან?“ — შეუტია
კოლს.

— არ მოესწრობიან კი არა, ერთი წუთთა ახლანდელი
ლაქე. ყველგან ეძინებათ ახლა მეზობლებში.

უთუთია წამოდგა და ყურება დაუწყო გარედ, მიიხედ-
მოიხედა, თითქო ცოლის გამტყუნება უნდაო. უკანა კარებთან
პატარა ბიჭი შეამჩნია.

- ეს ბიჭი ვისია?—ჰკითხა ცოლს.
- აი, ღმერთო, თუ დაბრმავდი, კიმოთიას ბიჭი ვერ იცანი, რძე მოგვიტანა.
- მერე შინ ვერ წავიდა?
- აქ გვემსახურებოდა, შე კაცო, ახლამდი არ შეგიმჩნევია?
- ბავში ქკუიანზე უფრო საფრთხილოა. სიტყვის მიტანა ზომ არ იცის?—ლმობიერად დაეკითხა ბუხუ დიასახლისს.
- არა, შენი ჭირიმე, ჩვენი საიმედო მეძობლის შვილია, საშიში არ არის.

— ჰო, კარგი, ახლა, თუ ღმერთი გრწამდეს, — ცოტა დაშვიდებით ჩაილაპარაკა უთუთიამ. — ამ ქალმა ხანდისხან სიმატლის თქმა იცის. დროა მოვისვენოთ, მაგრამ აქ ერთი ცხენიც ვიცოდი სათქვენო. წრეულს ხუთჯერ ვთხოვე და არ მათხოვა. ცხენი „პუმპუსა“ გავს. მერე რა სირბილი, ან რა მაგარი მკერდი აქვს. არ მათხოვა, არ მათხოვა, ამას თავი შენც დააწებე. უთუთიაა, რომ გვლუპავს, კაი მაგას, იმას ხედება საჩივარიო, უთქვამს სოფლის ყრილობაში და ბევრიც მიუმხვრია, როგორც გარდმომცეს საიმედო პირებმა. არ ვიყავი იმ დღეს, გაუწყრა ღმერთი, თორემ ვნახავდი, როგორი „მებუტე“ იყო.

- სად სახლობს ნეტავი?—იკითხა კაენამ.
- აი, ფართე დელეს გაღმა, „სუკზე“ ოღა რომ დგას, იმისია.
- რა ქვია ნეტავი სახელი?
- უტუნა, გოგოც ყავს ლამაზი.
- გოგო თვითონ ყავდეს, რაღა დროის გოგოა.
- რატომ, ბიჭო, — სიცილით შენიშნა ბუხუმ.
- ყოვლისფერი კარგი, მაგრამ ამ უცხო სტუმარს ამაღამ, არც დღეს, ორი ღუკმა არ უქამია, ღმერთო მომკალი. თქვენი სახელი? შეხედეთ, სახელიც არ გვიკითხავს! — სტქვა ქალბატონმა.

— მე, ბატონო, კოსთა, — მორცხვად მიუგო შესამე სტუ-
მარმა.

— მე უბედური, რად არ ჭამე რამე, იქმნება არ მოგე-
წონა?

— არა, არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ, ყოვლისფე-
რი შშვენნიერება იყო, მხოლოდ მე მაძლარი ვეყავი და არ მინ-
დოდა.

— აბა, მართლა, თუ გინდათ, დროს ნუ დაკარგავთ, —
გაიმეორა უთუმ, კოტა სიჩუმის შემდეგ.

— წავიდეთ, ბიჭო, მაგრამ აქაური ამბავი ბევრი არ ვი-
ცი და მეშინია, — შეეკითხა ბუხუ კაენას.

— ე! რას ამბობ, კაცო, — მიუგო მასპინძელმა. — ხეისთავე-
ბი ჩემ ხელში არ არის, რის გეშინიათ? თქვენ თუ გინდათ,
აქეთ წადით, — გაიშვირა თან ხელი ერთის მხრისაკენ, — ხეის-
თავეს აქეთ გავაქცუნებ. ცხენი მას ახლა შინ ეყოლება, გა-
რედ პალოზე მიბმული.

სამივენი მოუშინდნენ და გასწიეს, რის შემდეგაც მოხდა
ის, რაც უკვე ვიცით და რაც ამ მოთხრობის დასაწყისშივე
გიაშვებოდა. ძალიან ფრთხილად მივბარნენ, მაგრამ უტუნამ მაინც
გაუგო. ჩუმად რომ ვერა მოახერხეს-რა, ძალა იხმარეს და რე-
ვოლუცერა ესროლეს. ამისთანა მოუახერხებლობა თავის დღეში
არ მოსვლიათ იმათ: ბუხუმაც იგრძნო ეს, მაგრამ წამხდარს
საქმეს რაღას არგებდა ბოლოს-და თითზედ კბენანი.

XIII

ამ ნაირად საქმის დატრიალებამ უთუთია და მისი ოჯახი
მეტად შეაწუხა. უთუთია თავს კიდევ არ იმტყუნებდა და კა-
ენას აბრალებდა ყოვლისფერს.

— როგორ დავიჯერო, კაცო, — ხელის ქნევით, ახლად
გამოღვიძებული ეუბნებოდა კაენას, — როგორ დავიჯერო, რომ
თქვენ იქიდან ცხენის გამოყვანა ვერ შესძელით, თუ კი მოი-
ქცით, როგორც რიგი და წესი იყო?

— რას ამბობ, — მიუგო ცოტა გულ-მოსულმა კანქამ, — ახლა მასწაველი იმ ოხერს? დავბერდი კიდეც ამ საქმეში! იმნაირი ფხიზელი და გულ-მაგარ კაცს ჯერ არ შევხვედრივარ. ასე იფიქრეთ, ხმალიც მოგვიქნია და კოსთას უკანა კალთა მოაჭრა ჩოხისა. ბუხუ არაფერს ამბობდა; გაწითლებული ოთახში იქით-აქეთ დადიოდა და პაპიროსს ეწეოდა გაცხარებით. კაქნა სელზე იჯდა ხმალზედ დაყუდებული და აღშფოთებული სახით მასპინძელს ებასებოდა. კოსთა კი კუთხეში იდგა, ქამრის ენა ძირს დაეწია ხელით და თავ-დაღუნული უღვაშებს იგრეხდა.

— შენი ჭირიმე, უთუ, ხმაურობა არაფერს მოგვიტანს, ერთი წუთი ჩვენი გაჩერება აქ არ შეიძლება. რაც გვყავს, იმით თუ მშვიდობით გავედით აქედან, სხვას ვინ მამაძალი დაეძებს. ნეტავ შენი სიმრთელით, სულ არ ჩამოგვეგდო სიტყვა იმ ტიელ ცხენზე. უბედურება კიდეც ისაა, თუ ის ყაზახი მოგვალაი ამაღამ! — ჩაერია კაქნას და უთუთიას ლაპარაკში ბუხუ.

— როგორ ატყობთ, მოკალით, ვითომა? — შუბლზე ხელის გადასმით იკითხა მასპინძელმა.

— რა ვიცი! მოხვდა კი, ვიცი, და რამდენად საშიშია ჭრილობა, დაბეჯითებით რა მოგახსენო.

— მომიტყევთ, შევედი უმართლო კაცის ცოდვაში, შენ მართალს ამბობ, ახლავე წახვიდეთ, სჯობია. უყურებ, რა ყვირილი და კივილია ამაღამ? ხეისთავებს არევენ, გზებს შეკრავენ. მეც ახლავე უნდა წავიდე და ჩუმიად ხეისთავები სხვა გზას გავუყენო და თქვენ აგაცდინოთ. ოჰ! ის ოჯახ-დაქცეული! ნეტავ არ მოკვდებოდეს, ცოლ-შვილის პატრონია შერე! დამალული ცხენები საჩქაროდ მოიყვანეს და სამთავენი გაუდგნენ გზას. გულის ფანჯკალით. გათენებისას ენგურს მიუახლოვდნენ, მაგრამ ყარაულები დახვდათ. კაქნამ, რა დაინახა შორიდან ცეცხლი, მაშინათვე ენაზედ იკბინა, გაახსენდა ამნაირივე შემთხვევა აღმასხანის დროისა და არჩია უკან დაბრუნებულიყვნენ. ბუხუც დასთანხმდა. შევიდნენ უდაბურ ტყეში. დღე იქ გაატარეს. დაღამებისათნავე მიადგნენ მეორე ფონს, მაგრამ აქაც

ყარაულები იდგნენ. რანაირ არ ეხვეწა ბუხუ, მაგრამ კაენამ მაინც თავისი გაიტანა. ახლაც დაბრუნდნენ და პირდაპირ კოჩობას სახლისაკენ გაემგზავრნენ. აქ, ნაცნობ ბაღჩაში, დაჰყვეს რამდენიმე დღე. ბუნებამაც ხელი შეუწყო. დაუშვა წვიმამ. თითქმის ჩაშრობილი დღელები ნავთ-სავლელ მდინარეებად გადაიქცა. ენგური კი, უიმისოდაც აშფოთებული, ახლა სულ გადაიროია.

— აბა, ბიჭო, დროს ნუ დავკარგავთ, მოხერხებული დროა, მამა ნუ წაშიწყდება, — ურჩია კაენამ ბუხუს და ერთ წვიმიან, მეხიან, ქარიან ღამეს გაემგზავრნენ ცხენებით ენგურისაკენ.

— სად ჯობია გასვლა? — იკითხა ბუხუმ, როცა მიუახლოვდნენ ლომივით გამონაფრებულ მდინარეს.

— რასაკვირველია ჩელტის ხიდზე, — მიუგო კოსთამ.

— კარგი, მაგრამ, თუ წყალმა იმდენი იმატა, რომ ზედ გადავიდა?

— არშინზე მეტი თუ არის გადასული, რა მოგახსენო და, თუ ნაკლებია, თვალ-დახუჭული გავალ, — სთქვა კოსთამ.

— მაშინ ჩვენც გავალთ, ნუ გეშინია, — იმედი მიეცა ბუხუს.

აი, მიუახლოვდნენ კიდევ ენგურს. საშინელი ღრიალი გაჰქონდა აღიდებულ მდინარეს. თითქო ესეც ზევიდან შხივილით წამოსულ წვიმას ბანს ეუბნებო, ჰქუხდა და ვეებერთელა ქვეებს ახეთქებდა ტალოს-ტალღაზედა.

— სად უნდა იყო, კაცო, ხიდის თავი? — იკითხა კაენამ.

— ჰნახავ, თუ იმის მოძებნა არ გაგვიჭირდეს! მე შენ გეტყვი, სანთელს მოიხმარ. მაინც რარიგ მოუსვენრად აშხაპუნებს ეს ბედნიერი, თითქო რაც წვიმაა ჰაერში, ამაღამ უნდა დაილიოს და ქვეყანა წარღვნასო, — სთქვა ბუხუმ.

— მაინც რა ადგილას იყო პალო დასობილი? არ გახსოვს, ბიჭო? — მიუბრუნდა კაენა კოსთას.

— აი, იმ ნაძვის პირდაპირ იყო, უპასუხა კოსთამ.

— ჩამოხტით, ჩამოხტით, რალა დროს დაგვიანებაა. ყარაულებს გონიათ, ამაღამ ვინ გაჰბედავს ენგურში გასვლასაო, —

ლაპარაკობდა კაენა და თან ფაცა-ფუციით ეძებდა პალოს. და-
ნარჩენებიც ჩამოხდნენ და ერთად დაიწყეს ძებნა.

— აი, პალო!—დაიძახა ბუხუჟი.—ეტყობა წყალი დიდია. შე-
ხედე, ჯერ რიყეზე, ჩელტ ზევით, მუხლამდე მოდის წყალი.

— რაც არის, ის არის. აბა, გახდა უნდა ტანთ!—დაიძა-
ხა თამამად კაენამ და თვალის დახამხამებაში ქამრით შეჭკრა
თავისი ტანისამოსი და იარალი. სხვებმაც იმას მიჰბადეს. ტანი-
სამოსი თავზე დაიკრეს და გასასვლელად მოემზადნენ.

ძნელი წარმოსადგენია ეს ხიდი იმისთვის, ვისაც თვალით
არ უნახავს. წარმოიდგინეთ მდინარე იმდენად სწრაფი, რომ
ხუთ ფუთიან ქვებს ბუმბულივით აგორებს. მერე იმ დროს,
როცა ნაპირიდან არის გადმოვარდნილი ადიდებისა გამო. ამ
მდინარეზეა გადებული, ანუ უკედა ვთქვათ, გაბმული ერთი
ადლის სიგანით ვაზისაგან დაწნული ხიდი, რომელიც მხოლოდ
კიდევებზეა მიბმული პალოთი. სხვაგან არც დანი აქვს არც ბიზი.
რასაკვირველია, ამისთანა ხიდი, როცა სიმძიმე რამე დააწვება,
ვერ გაჩერდება, ხან დაღმა დაიწვეს, ხან აღმა აიწვეს და თან
ცოტოდენი სიო როგორც უნდა, ისე აქანებს. ამნაირ ხიდ-
ზედ გასვლა მაშინ, როცა წყალი ზედ მიდის, ისიც წვიმიანსა,
ქარიანსა და ჯოჯოხეთ ბნელა ღამეში! აი ასეთს ხიდზედ უნდა
გასულიყვნენ იმ ღამეს ჩვენი თავზედ ხელ-აღებული მგზავრები.

— ჯერ მე წავალ,—დაიძახა ხმა-მაღლა კოსტამ, რადგან
ქარის გამო დაბლა ლაპარაკით ვერაფერს გააგონებდა ამხანა-
გებს. ცხენები გაინაწილეს, ვის რამდენი უნდა გაეყვანა.

— არა, ჯერ მე წავალ,—სთქვა კაენამ.

— ბატონი ბრძანდებით.

კაენა შედგა საქანელასავით ამაველ-დამავალ ხიდზე და
მოსწია ცხენებს. ერთმა წინა ფეხები გაჭიმა, თავს ასწია და
წასვლას არ ნებულობდა.

— დაარტყით მაგ მგლის თივას!—მიაყვირა კაენამ. ბუხუმ
დასცხო მთარახი. ცხენმა დააცანცარა ტანისამოსი და შეჩერდა,
თითქო კოკმანშიაო და რაკი მათრახი ტიკო. ბათო უფ და ჩქა-
ფუნით ჩავარდა წყალში.

— ეჰე, ჰეიტ! — გაჰკიოდა კაენა და თან ფეხით ხიდის „ნერჩს“ ეძებდა.

— არიქა, მაგრა თოკი, კაენა! — უკიოდა ბუხუ ნაპირიდან.

— აბა, ახლა თქვენ გამოდით, — რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაუყვირა კაენამ ამხანაგებს, როცა დიდის წვალეებით გავიდა გაღმა, მაგრამ მისი ხმა წვიმისა და მდინარის შუილისაგან ძლივს ისმოდა.

— ჯერ მე წავალ, — სთქვა ბუხუმ.

— ბატონი ბრძანდებით. მეკი გავცურო, მირჩევენია, თოკებით ხელში.

— მერე წყალმა ქვეით რომ წავილოს, ან ქვა მოგხედეს, ხომ იცი, ცოტა ძირს თუ ჩავითრია, მერე შენი „ნაკუჭულუს“ ვერა ვნახავთ, თუ გინდ პატრიარქიც მოგიყვანოთ.

— ფიქრი ნუ გაქვთ, მხოლოდ თქვენ მშვიდობით გაბრძანდით. შეერია ბუხუ მდინარეში. ხიდს ქარი რუსულ აკვანივით აქანავებდა, ცხენები გახელებულ ზვირთებს გამწარებულის ხვიხვინით ებრძოდნენ. როცა ბუხუმ კარგა წაიწია, კოსტაც შეერია მდინარეში და ორივენი დიდის ტანჯვის შემდეგ გავიდნენ გაღმა.

— ძლივს გამოვედი, კინალამ ფეხი გადამიცდა, — უთხრა ბუხუს კაენამ.

— მეც, ქმაო, თმაში თეთრი გამერია, მგონია. ეს „ყვაპუს“ საკბენი ხორგელი ცხენი სულ ქვეით იწვედა, შუა მდინარეში რომ ვიქნებოდი, ცალი ფეხი გადამივარდა. ჩელტიდან. თავი ძლივს შევიმაგრე, თორემ შენი მტერი!...

რაც შემდეგ გზაში უსიამოვნობა ჰნახეს ან წვიმისაგან ან ტალახებისაგან და ან სხვა წვრილ მდინარეებში გასვლით, ის მათთვის სულ არაფერი-ლა იყო.

— 0 —

(დახასრული იქნება)

...თ, ჩამონტ

...ათ, ამაღამ ვინ გაჰბ

„ქარი ჰი ამ ღრუს ზომდა, კენესოდა და გინნადა“

(ფსიხოლოგიური ეტიუდი)

«ზუუ!» კენესით შემოჭოწოუნა შემოდგომის ციკმა და სისტიკმა ჭარმა და თან კარებსა და სარკმლის ჩარჩოებს რაკრაკი და აწყვინა, თითქოს შინ შეშვებას ესეკვება, მაგრამ ტიტეკოს ჭარის კენესა და გმინა ან ესმდა. ის ტასტის გვერდით ცალმუხლზედ დასოჭილი და მკლავ-გადასკეული გაშტერებით დასტკეროდა ბათოს მიმქრალ, უსიცოცხლო სახეს.

ან სტირის ტიტეკო, ცრემლს ან აფრქვევს ტიტეკო, თემცა, აკერ იმის საყვარელი ბათო სულ ერთი უში ან იქმნება, რაც ამ წუთი-სოფელს გამოესაღმა. კარგად იცის ტიტეკომ, რომ ხვალ თუ არა, ზეგ მანც იმის გამმაცოცხლებელის, სულას ჩამდგმელის გვამს მიწას მიანარებენ, სამუდამოდ განაშორებენ, გააცალკეებენ, რის გამოც ისე-ისე მარტოდ, უთვასტომოდ, როგორც წინად, ვიდრემდის ბათოს შეჭსვდებოდა, დარჩება...

მაგრამ, არა!.. ტიტეკო მარტოდ არ დარჩება. მართალია, ხვალ თუ ზეგ ბათოს გვამს მიწას მიანარებენ, მაგრამ ბათო მანც მასთან იქმნება. ტიტეკო და ბათო ისე შესარტ-მკლებულები არიან, ისე გაერთიანებულები, რომ სიკვდილი ვერ გააშორებს იმთ. სიყვარულმა ისე დააკვირბინა ტიტეკო ბათოსთან, რომ ვეკვლავს და ვოკვლავის ის ბათოსთან იქმნება და ბათო მასთან.

კარგად ჭკრძნობს ამის ტიტეკო და ამისათვის არც სტირის. გმინა, რაც იტირა, რაც ცრემლები აფრქვია ტიტეკომ!.. ბათოს ერთი კვირის ავადმყოფობამ სულ ჩაარჩია ტიტეკო. ბათო ფელტვის ანოებით იყო ავად. მუტად იტანებოდა ბათო, იმასთან ერთად არა

ნაკლებ ტიტეოც იტანჯებოდა. ყოველი ბაფს კენესა, გამხლეუ-
ბული სურთქვა ტიტეოს ღესკარბიოთ გულს ესმოდა და შწკლოდ
ქსერავდა.

როდესაც ბათომ სული განუტევა და მამისეხს, ტიტეოც და-
მშვიდდა და სმა გაკმენდილი, ნაფიქრებული დასტკროდა ბათოს
გაფითრებულ სახეს.

შტკროდა ტიტეო ბათოს სახეს და მთელი წარსული ცხო-
ვრება უნებურად თავლწინ ესატებოდა.

ოხ, რა ბედნაერი იყო ის ამ ორ წელიწადს!.. უგანასენელმა
ორმა წელიწადმა სულ ერთიანად მიავიწყა ყოველივე წარსული, გა-
მაცოცხლა, ზირი საქაოსკენ აქმსეინა! რა იყო წინად, ვიდრემ-
დის ბათოს შეირთავდა, და მერე რანაირად შეინკალა იმისი ცხო-
ვრება, როდესაც ბათო შეირთო ცოლად?!..

წარსულმა თავი შეამულა, ცხოვრება ტანჯავად მიანსეინა, ყველა-
ნი მტანჯველად, ჯალთებად. მართლდაც, მთელი წარსული ტანჯვის
მორკეს წარმოდგენდა, რომელშიაც იმის სანუგეშოდ ხალაც კი არ
დასცურავდა, რომელზედაც შეეძლო ხელი მიეშვირა და ეთქვა, რომ
ცხოვრება ისე მიწარე, გესლათ სასე არ ყოფილა, როგორც ეკონა,
როგორც დასახული ჰქონდა.

სიყრმიდან არც ერთხელ არ ჰქმენია გულის გამაღსობელი
გამათბობელი სიტყვა და სსვა ამის გარდა რა სიკეთე დაეერებოდა
მუდამ სსვის ხელში იყო და სსვის ტეკას და ბღვერას იტანდა.
რის კათა და კავლასიო განთავისუფლდა და შევიდა ერთ დაწესე-
ბულების «კანცელარიაში» მწერლად. ესლა კი განთავისუფლდო
და მოკრჩა სსვის ხელში შეცქეჩასლა, მაგრამ გაუმტუნდა იმედი.
იჭრ ისეკ ის ბღვერ, შტერა და... და ამსანაკების დანინვა... ვერც
ამის შეძლეგ ჰზოვა ის, რის ზოვნასაც მოელოდა; ვერც ესლა გაი-
გონა გულის გამაღსობელი სიტყვა.

მიდიოდა ყოველ დღე «კანცელარიაში», სადაც თავაუღებლივ
სწერდა, სწერდა და სწერდა. ყოველ ოც რინცხში იღებდა ოც და
ხეთ მანეთს და ამით ისატებოდა იმისი ცხოვრება. «კანცელარია-
ში» დანინვა, კილვა და შტერა, შინ კიდეკ მარტობა არნობდა. ყო-
ველივე ეს ჯოჯოხეთს შეადგენდა ტიტეოსთვის. რასთვის იტან-

და ამოდენა სიღრუსტირეს? ნუ თუ იმისთვის, რომ ლუკმა ზეირი მოეპოვა და ეცხოვრნა, ეცოცხლნა, რომ ერთ წუთს, ერთ წამსაც იმის გულს სისხარულის სვეტი არ ჩაჰშეებოდა?! ოს, რა შეცდომაა?!.

ჭეუანაზედ არც ერთი არსება არ გამოჩნდა, რომელსაც ამისთვის გულ-მტკივნეულობა გამოეჩინა.

დადიოდა ასე, გულ-ხათხრობილი, განზედი. ისე უნუგემოდ ჰჭეუნიდა მართლობა, რომ თავის მოკვლაც განიზრახა და აღსრულებასში მოსაყვანად შინიდან მტკვრისაკენ გაემგზავრა. სწორედ ამ დროს მეზობლის მოსამსახურე ქალი დაუსვდა წინ და ისე თანაგრძნობით შეჰხვდა, რომ ტიტეოს ენა ჩაუჭარდა; შესდგა და აღვიდინა კეღარ იბრვდა.

ქალმა ხაიარა. იმას ვიდევან ესაქმა და უკანვე მოდიოდა, რომ ტიტეო ისევე ისე გაშტერებული იქვე იდგა.

— ბათო!— წამოიძახა ტიტეომ, როდესაც ქალი დაუახლოვდა და ორივე სელები გაუწოდა.

— ტიტეო, რა დგმართვინა?!— ალერსით დაეკითხა ბათო და ტიტეოს გაწვილ სელებში თავისი სელი მოათავსა.

ტიტეომ ფიცხლავ გულ-მხურვალედ ჩამოართვა სელი და მკრად მოუჭირა.

— რად გედო, ტიტეო, ისეთი მკვდრის ფერი, რა მოგივიდა?!— უფრო ალერსით გაუძეოდა ბათომ ვითხვა და სელის განთავისუფლებას მოინდოდა.

— ბათო, ნუ მისეებანებ სელს, ნუ!.. თვით განგებამ მოგაგულანა ჩემთან გამოასახსნულად!..— ისეთის სმიო შეეკედრა ტიტეო, რომ ბათოს გული აუჩუყდა და სიბრალელი აღეძრა.

ბათო სელს აღარ ანთავისუფლებდა, ტიტეო კი უწვალოდ სრესდა იმის სელს და ტოვავდა იმის ნიშნად, თათქოს უნდოდა რილსაც თქმა და კი ვერ ჰბედავდა...

— ბათო,— დაიწყო იმის აკანკალებულის სმით და ჭარხალივით წამოწითლდა:— შენ... ჰო, შენ ხომ, ვიცი, გასათხოვარი ხარ, და მამ ნუ გამაწილებ, გამოძევე ცოლად!...

ბათომ ჩაღუნა თავი და ასე კარგა ხანს გაჩუმებული იდგა. ტიტეო კი კანკალებს აიტანა და ჭირის ოფელს ასხამდა. «ამისათ-

ნა მშვენიერი ასტროლოგი რად დამთავრებდა მე უმგზავს... ან რა
ნება მქონდა, რომ გუთხარია! თეატრობდა ამ დროს ტიტოეო, და
სასე ეღმისებოდა.

— კარგია!.. — წინიურჩიულა ბათომ და ქუთუთოები მადლა ას-
წია, რომელას ქვემადგანაც შავი მორევისავით თვალის გაკვლები გა-
მონდა, და შიგ მარტო სიბრალელი და ალერსი ისტებოდა.

— კარგია?!.. კარგია?!. ბათო, მას კარგია?!. ჩემო ბათო!.. —
სისარულისგან დარეტიანებული ტიტოეო უგონოდ ისროდა სიტ-
ეებს და ხელებს უსრესდა.

— კარგია, ჩემო ტიტოეო, დამიგვიანდება, — დაამშვიდა ბათომ
და შინისკენ გასწია.

ისე ცხადად წარმოუდგა თვალწინ ეს სურათი, რომ ეგონა,
ესლა, ამ წამს ხდება უაგელაეო. იმან მგრად მოჭსგია სელები
უსულა გვამს და გულში ჩაიკრა, მაგრამ სამეგეორო კერ მიადლო.

ქარი კი ამ დროს სეოდა, კენესოდა და გმინავდა. ლამზარიც
ლიფლიფებდა და მერთალად არსეკვან ბათოს მიმქრალს სსსეს.

ორ კვირას არ გაუვლია ამ შემთსეკვას შემდეგ, რომ ტიტო-
ეომ და ბათომ ვვარი დანწერეს და ქალქის განმარსას ერთი ოას-
სა იქიჩავეს; იქ იწეეს ცხოვრება განდეგელებსავით განმარტო-
ბით, ტებლად, შეუშეოთებლავ. ეს ოთასი იყო მოწამე ამ ბედ-
ნიერებისა, მათის სიყვარულით ცხოვრებისა ამ ორის წლის განმ-
ვლობაში.

განსაღისებულ ტიტოეოს არად მანხნდა ესლა ამსანგების
დაცინება, შორიდან სამსასურში სიარული. სისარულით, სიმღერით
და სტეკნით მადიოდა და მოდიოდა სამსასურში; იქაც ხალისით
სწერდა, სწერდა და სწერდა. სასლში რომ მოვიდოდა, მშინ სომ,
ნამეტნავად, როდესაც ბათო კარებში მიეკებებოდა და ეტყოდა: «გე-
ნაცვა, ვური სომ არ მოგშავდაო», ალარ იცოდა, მეშვიდე წაში იყო,
თუ დედამიწასედა. ცხადლავ იყო უოკელიეო ეს, თუ სიზმარში.

ტიტოეომ სიღამოობითაც ივისრა სამსასურში სიარული და მე-
შაობა, რისთვისაც ჭამავირს გარდა კიდევ ერთ თუმინს იღებდა.
ესლა უფრო დიდი ჭაფის ატანა მოყნდა, მაგრამ ტიტოეოს ეს გა-
რემოება არად მანხნდა. ჭგომსობდა, რომ იმისი შრომა უმიზნო არ

იყო; ის შრამობდა ბათოს გულისთვის და ბათოს გულისთვის სომ ლუკმა-ლუკმადაც რომ აკეწნათ, მაშინაც ნეტარებას იგრძნობდა.

ახ, რა ბედნიერი იყო ტიტოვო ამ ორის წლის განმავლობაში და ესლა კი რა მოჰყავდა!... შეუბრალებულმა საკვდილმა სიცოცხლით სავსე ბათო უიროვ გაემად გარდააქცია და გვერდით მუსლიმოდრეკით ტიტოვო მოჰსკა!... მაგრამ ტიტოვო მანაც სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა. ის ფიქრობდა: «მარტოკა არ დაჭრის. ბათოს სასულის თავანის-ცემით ავაკრებ ჩემს ცხოვრებას, იმას ვილოცავ, ვიდრემდის მეც არ გავეტყვარები იმისკენ...»

«ზუუუ!...» ქარი კი ზუოდა ამ დროს და უნდოდა ტიტოვოს უფრადლება მიეჭცია, მაგრამ ტიტოვო უუჩს არ უკვდებდა.

ამ დროს მოისმა კარის კაკუნიც. ვინ იქმნებოდა?!.. ვინ მოვიდოდა ტიტოვოსთან ესლა, ღამის მეცხრე უამს?!... ტიტოვოსთან არაჰინ არ დადიოდა და არც ტიტოვო მიდიოდა ვისთანმე. მარტო ორნი ისე ბედნიერები იყვნენ, რომ სხვისა მოსკლა არ ესტორებოდათ. სხვები იმათ ტუბილს ცხოვრებას თუ არას დააკვებდნენ და დროებით მანაც არ შესწუვებდნენ, არას მოუმატებდნენ. ამისთვის ისინი არავისთან მიდიოდნენ და არც არავის თავისთან ეზატუებოდნენ. ბათო ერთ კვირას სიუფს ებრძოდა. მაშინ არავის გაუკვლია და ესლა ვინ მოვიდოდა...

უფრო ძლიერად მოისმა კარის კაკუნი, რამაც ტიტოვო ფიქრისაგან გამოიყვანა. იმან შეხლსკედ სელი გადასო და კარისკენ გასწია.

— ვინ უნდა იყოს?!. სამისურში თუ მიწვევენ?!... — წაბრტბუტა და კარი გააღო.

დიდის ხნის სკეწნის და ვედრების შემდეგ ძლივს ეღიროს ქარს შინ შემოსკლა. სისარულით შემოითამაშა, სანქაროდ ოთსსავკუთესეს შემოურბინა, ბათოს საესტუ და შემდეგ ლამაზის შეებრმოლა, რომლის ალიც შეათამაშა, აწოწოლაჰა და უეცრივ ზევიდან დაჭროლით ბოლო მოუღო.

— ბათო მაყარამისა აქა სცხოვრობს?!.— დაკითხა ვიღაც უცნობი ტიტოვოს.

— აქა სცხოვრობს. ვინა ხარ?..

— აი, წერილი გასლავთ იმასთან. — უზასუსა უცნობმა და წერილი გარდასცა.

«ეთუოდ ამისანგმა მოსწერა!» — გაიფიქრა ტიტვიომ და ღამ-ზარი ანთო. ბევრჯერ მოჰსკვლია წერილი ბათოს ამ ამსანგისგან და ტიტვიოსთვისაც უამბინა შინაარსი, თუმცა თითონ არც ერთსელ არ წაუკითხინა იმის წერილი და არც ერთსელ არ მოსულა იმასთან, რომ გაეცნო. ან კი რა საჭირო იყო ტიტვიოსაც გადაკეთსნა წერილი, როდესაც ბათო უამბობდა სოლმე შინაარსს. იმას კიდევაც უსაროდა, რომ ბათო თითონ უამბობდა შინაარსს და ტიტვიოს წასაკითხად არ აძლევდა. წაკითხვას ბათოს ღუღუნია, ტკბილი ღუღუნია არ ეჩინება?... მერე რა ტკბილად უამბობდა სოლმე? ის ბათოს გადაკეთებულ ტექსტებს ჩაუკოცნიდა სოლმე, როდესაც კი გაათავებდა წერილას შინაარსის გარდაცემს, რომ უფრო ტკბილად ეამბინა შეძლებში.

— გენაცვა, ბათო, წერილია შენთან და... — მუსლ-მოდრეკით ჩაჭლულულა ტიტვიომ და წერილი სასესთან ასლო მიუტანა.

ის ბათოს სახეს დასცქერდა, თითქოს უნდოდა ამოკეთსნა, თუ რა უყოს წერილს, მაგრამ ბათოს სახე არას ეუბნებოდა, გაფითრებული, თვალბოძილულული ღამისის მოციმციმე შეუქმნა ოდნავ ირსებოდა და საჩქარო ადარა ეუუბებოდა-რა.

— გენაცვა ბათო, დაროს წერილია და რატომ... რატომ... წინად ხომ სისარულით იღებდი სოლმე და მიამბობდი შინაარსს? ესლა რატომ... ოს!..

ტიტვიომ თავი დასაჩ და თვალ-უელ-უური გადაუკოცნა, მაგრამ ბათოს საჩქარო ადარა ეუუბებოდა-რა..

— ესლა მე წაგიკითხავ, მე გიამბობ შინაარსს დაროს წერილისას!.. შენი საყვარელ დაროს წერილია უთუოდ. — ჩაკლავარავა ტიტვიო და წერილი გასხსნა.

«ჩემო ბათო!»

— «ჩემო ბათო», გწერს, გენაცვა, უური დაუგდე!... — ჩასძახა უსიცოცხლო ბათოს და წერილის კითხვა ისევე ხმა-მაღლივ დაიწყო: «მინდა ყოველ დღე შენს გვერდით ვიყო, ყოველ წამს შენ

გესკოდუ და შენს მკერდზედ ამომდიოდას სული და შენ კი კვირისა ორი დღე დამინიშნე და ამ ორ დღესაც აღარ მოსდისარ...»

— რაო?! — ჭიანჭველასავით შესწევითა წერილის კითხვა და ბათოს გადაჭხედა, რომლისოვისაც სააქაო აღარას შეადგენდა. იმას არ ეუფრებოდა და სააქაოსი არს ესმოდა-რა.

— ბათო, ვინა გწერს?! — ჩაეკითხა და წერილის ბოლოს დაჭხედა, სადაც «შენი ვახტანგი» ამოიკითხა.

— არა, არა.. ტყუილია, ტყუილი! — წამოიყრანტალა და კანკალით წერილის კითხვა დაიწყო: «სამ იცი, ჩემო კარგო, ამ თვის გასულს სოფელში წაგალ, სადაც ორი თვე მეტი მომიგვიანდება და მამინ მარტო შენი წერილებით-ღა უნდა დავსტებე. არა, ჩემო ბათო, სხანამ აქ ვარ, დამატებე შენის აღერსით. წარსულ გვირას რა კარგი დრო გავატარეთ, სამი გასსოვს?!...»

«მართლა, ჩემო გვირითო, სამი არ გასცივდი? საშინელი ქარიშხალი იყო, როცა შენ დაჭბრუნდი და იქმნება ავად გაჭხდი და ამის მარეზით დანიშნულს დროს გეღარ მოსკედი! დმერთმა ნუ ჭქმნას!.. მანდოდა დღეს მევე წამოკუსულიყავ შენთან და შემეტყუო შენი გარემოება, მაგრამ გეღარ გაბედე. იქმნება შენი ქმარი შინ იყოს-მეთქი, ვიფიქრე და ამის მარეზით ისევე წერილის მოწერა ვაჩნევე. როგორც შენ მითხარ, წერილებს შენი ქმარი არ კითხულაბს და, ამ წერილის მიღების დროს, რომ შენ იყავს შენი ქმარი, მგონი, არა დაშავდება-რა...»

«სვალ უსათყოფ მოკელი...»

«მარად შენი ვახტანგი.»

— ააას!.. — იყესზედ წამოკარდნით წამომძანს საშინელის სმით ტიტეკომ, როდესაც წერილას კითხვა გაათავა და გუფზე სული იტაცა.

ის კანკალმა და თანთანმა აატანა. თითები უნებურად ეკვანტებოდა, და ტანისამოსს იგლეჯდა...

— ააას!.. — უფრო საზარლად წამომძანს და ორივე სული თმამი წაიკლო, თითქოს უნდოდა შეეუენებინა თავის არეკა, მაგრამ ვერ შეჭსძლო. იმას თავში ტინი გველსავით გაესლანა, გაუზუნუნ-

და და უეცრივ თვალთ დაუხსნელდა, მაგრამ დიდ სანს არ გაგრძე-
ლებულა ტიტოვოს ამგვარი მდგომარეობა.

დასწიმიული ძარღვები მოუდუნდა, მოელეშა; ღრმად, ძაღიან
ღრმად ჩაისუნთქა-მოისუნთქა და ჩუღივით იქვე ტასტის გვერდით
ჩახეზია. თითქოს ამოსუნთქვას ამოაყოლა ყოველივე ის, რაც კი
წმიდათა-წმიდას შეადგენდა, რაც რწმენა ჰქონდა და სასქარსთან
აკავშირებდა. ესლა მსოღოდ სიფუღურაკეს, სიცარბიელეს-და
ჰგრძნობდა. აღარც თავში და აღარც გულში აღარა დაჰჩინებია-რა, და
სასქარსი, როგორც ბათოს, აღარა ეფურებოდა-რა, თუმცა კი ქარი
ამ დროს ზუოდა, კენესოდა და გმინავდა...

შ. არაგვისშირელი



1895 წ. № X

ბ ა ნ თ ი ა დ ი

მოთხრობა ეყისა

XVII*)

რაკი უბრძანეს, დაიკადეთო, ოსმალების მშვიდობისა და წეს-რიგის მცველები ალაყაფის კარებთან მოგროვდნენ. ზოგი ეზოში დარჩა, ზოგი ქუჩაში გამოვიდა და იქვე ქუჩის პირას მოიკალათა. გაცხარებულის ძებნით ძალიან დაიღალნენ, ყველას მოსვენება ეჭირვებოდა. ისე ადვილად ვერა რჯულის კაცი ვერ ისვენებს, როგორც ოსმალო. დასავლეთ-ევროპიელს თუ ტაბურეტი, ჯირკი ან ქვა მაინც არა აქვს, ისე დაჯდომა უმძიმს; აღმოსავლეთის მცხოვრები კი პირდაპირ ცარიელ მიწაზედა ჯდება, იქვე, სადაცა დგას: დედამიწა სკამისა და ლოგინის მაგივრობას უწევს. ზაფთიებიც ამგვარად დასხდნენ სახლის პირდაპირ და ეზოში. ზოგმა პაპიროსები გაიკეთა, ზოგმა ყალიონი ჩაიდო პირში; თან სწევდნენ და თან იცდიდნენ. ბოლოს, ერთს ჩასთვლიმა და დაეძინა, მერე მეორეს, მესამეს, და მოკლე ხანში ძილის ანგელოზმა თვის ფრთებ ქვეშ შეიფარა ზაფთიები. საერთო ხვრინვა და ქშენა გაისმა. მუსაფირლიქში უფროსებს ეძინათ; ეზოში და ქუჩის პირად—ხელქვეითებს, მთელს სახლში კიდევ მსახურებს ეძინათ. ანკა ძალიანა სწუხდა და თვალი დიდს ხანს ვერ დაჰხუჭა. მაგრამ ძილი, ბოლოს, იმასაც მოერია. მთელს სახლში მხოლოდ მოკრა ფხიზლობდა. არამც

*) მოამბეა № IX.

და და შეცრივ თვალთ დაუხსნელდა, მაგრამ დიდ სანს არ გაგრძე-
ლებულა ტიტოკოს ამგვარი მდგომარეობა.

დაქმნული ძარღვები მოუდუნდა, მოელეშა; ღრმად, ძლიან
ღრმად ჩაისუნთქ-ამოისუნთქა და ჩუღივით იქვე ტასტის გვერდით
ჩახეზა. თითქოს ამოისუნთქვას ამოაყოლა ყოველივე ის, რაც კი
წმიდათა-წმიდას შეადგენდა, რაც რწმენა ჰქონდა და სასჯაოსთან
აკავშირებდა. ეხლა მსოფლიო სიფუღუროკეს, სიტარბელეს-და
ჰგონებდა. აღარც თავში და აღარც გულში აღარა დაჭრჩენია-რა, და
სასჯაოსი, როგორც ბათოს, აღარა ეფუძებოდა-რა, თუმცა კი ქარი
ამ დროს ფუოდა, კენესოდა და გმინავდა...

შ. არაგვისშირელი



გ ა ნ თ ი ა ლ ი

მოთხრობა ექისა

XVII *)

რაკი უბრძანეს, დაიცადეთო, ოსმალების მშვილობისა და წეს-რიგის მცველები ალაყაფის კარებთან მოგროვდნენ. ზოგი ეზოში დარჩა, ზოგი ქუჩაში გამოვიდა და იქვე ქუჩის პირას მოიკალათა. გაცხარებულის ძებნით ძალიან დაიღალნენ, ყველას მოსვენება ეჭირვებოდა. ისე ადვილად ვერა რჯულის კაცი ვერ ისვენებს, როგორც ოსმალო. დასავლეთ-ევროპიელს თუ ტაბურეტი, ჯირკი ან ქვა მაინც არა აქვს, ისე დაჯდომა უმიძის; აღმოსავლეთის მცხოვრები კი პირდაპირ ცარიელ მიწაზედა ჯდება, იქვე, სადაცა დგას: დედამიწა სკამისა და ლოგინის მაგვირობას უწევს. ზაფთიებიც ამგვარად დასხდნენ სახლის პირდაპირ და ეზოში. ზოგმა პაპიროსები გაიკეთა, ზოგმა ყალიონი ჩაიდო პირში; თან სწევდნენ და თან იცდიდნენ. ბოლოს, ერთს ჩასთვლიმა და დაეძინა, მერე მეორეს, მესამეს, და მოკლე ხანში ძილის ანგელოზმა თვის ფრთებ ქვეშ შეიფარა ზაფთიები. საერთო ხვრინვა და ქშენა გაისმა. მუსაფირლიქში უფროსებს ეძინათ; ეზოში და ქუჩის პირად—ხელქვეითებს, მთელს სახლში კიდევ მსახურებს ეძინათ. ანკა ძალიანა სწუხდა და თვალი დიდს ხანს ვერ დაჰხუჭა. მაგრამ ძილი, ბოლოს, იმასაც მოერია. მთელს სახლში მხოლოდ მოკრა ფხიზლობდა. არამც

*) ამოამბეა № IX.

თუ არ ეძინა, ყველაზე ყური მას ეჭირა. შემოუარა ეზოს, დაათვალიერა ზაფთიები, შევიდა მუსაფირლიქში, ხელში სანთელი აიღო და არისტარხი-ბეგს, აღასა და მდივანს დააცქერდა. პირველი ორი მხოლოდ დაათვალიერა და ის იყო, მაგრამ მდივანის გვერდით კა ქალაღდს მოჰკრა თვალი; აიღო, შეხედა და, რა თქმა უნდა, ვერა გაიგო-რა, რადგან კითხვა არ იცოდა. ის კი იცოდა, რომ გამოძიების ან სახლის გაჩხრეკის დროს რაც მოხდება, მდივანი ეალდებულია ყოველივე ჩასწეროს. მიხვდა, იმ დამეს არისტარხი-ბეგს აქ მოსვლა და მოქმედება უეჭველად ამ ქალაღდში იქნება აწერილიო. ამიტომ, ქალაღდს ხელი დაავლო, ანკასთან წავიდა, გაადვიდა, ქალაღდი უჩვენა და უთხრა: „წაიკითხე, რა სწერიაო.“

— ვერა, ვერ წავიკითხავ, დედი,—უპასუხა ქალმა, როცა ქალაღდს დაჰხედა.

— ოსმაღურადა სწერია?

— არა, ფრანგულადაა.

— სტოიანმა აკი იცის ფრანგული?

— სად არის?—ჰკითხა ქალმა.

— სადა?.. უშიშარ ადგილასაა... მხოლოდ მასთან მისვლა კი გამიჭირდება. მაინც ვსცდი.

მოკრამ თვისის ჰის საიდუმლო იცოდა, მაგრამ შიგ კი თავის-დღეში არ ჩასულა. ახლა ხელში ქალაღდი ეჭირა, რომლის წაკითხვით, შეიძლებოდა, გაეფრთხილებინა ისინი, ვისაც საფრთხე რამ მოელოდათ. ასეთის საჭიროების გულისთვის გადასწყვიტა, ჰაში ჩავალ როგორმეო.

— შენ აქ იყავ და არ დაგეძინოს,— უთხრა ანკას,—მე კი წავალ და ისევ ჩქარა დავბრუნდები. ოსმაღებს გუნებიერადა სძინავთ; მგონი, ჩემს მოსვლამდე არ გაიდვიძონ.

აიღო ფარანი, ასანთი, ერთი ბოთლი არაყი, პური და ქისაკენ გაემართა; ჯაჰეს ფარანი მოაბა და ჩაეშვა. სტოიანი და ნიკოლა ბნელაში ისხდნენ და ფიქრობდნენ.

— ნეტავ დიდს ხანს მოგვიხდება აქ ყოფნა?—ეკითხებოდა სტოიანი.

— პეტრეს დაბრუნებამდე უნდა ასე ვიყოთ, — უპასუხა ნიკოლამ.

სტოიანმა გამოჰკითხა ამ მიწის-ქვეშეთის დანიშნულება, ვინ გააკეთაო, შენ როგორ მოაგენიო; და ამ სახით ცდილობდა გული გადაეყოლებინა. ნიკოლამ ამხანაგს ზოგი რამ დაუმალა: რაც მისს მოქმედებას არ შეეხება, რად უნდა ვუთხრაო. ამიტომ დერეფნის მეორე ბოლომდე არ მიიყვანა; დარწმუნებული იყო, პეტრე, სტამბოლიდან დაბრუნდება თუ არა, მაშინათვე ჩვენთვის დაიწყებს ზრუნვასო; და ეს იმედი სტოიანს გაუზიარა.

— ხარბარ ჟოქ, — ამბობდა ნიკოლა. — შენ ესა სთქვი, რომ ჯოჯოხეთივით ბნელა... სამაგიეროდ, როგორც გარედ გავალთ, ყოველივე განათებული იქნება.

— რატომ ჩვენს წინანდელს საფარში არ დავბრუნდით? — ჰკითხა სტოიანმა.

— იმიტომ რომ ეზოში ზაფთიებს წავაწყდებით.

— მაშინათვე ანკას რომ გავყოლოდით?

— ახლა გვიანდაა, უნდა ვუცადოთ; შეიძლება, სინათლის დანახვა უფრო ადრე გვეღირსოს, ვიდრე ჩვენა ვფიქრობთ...

— და სწორედ იმ წუთს, როცა ნიკოლა ამ უკანასკნელს სიტყვებს ამბობდა, სინათლე გამოჩნდა. სტოიანი და ნიკოლა საჩქაროზე მიეგებნენ და მოკრას კი შეეყარნენ.

— ერთის წუთით მოვედი თქვენთან.

— რა იყო?

— ურიცხვი ზაფთიები დაგვესხნენ თავსა; მთელი ღამე გეძებდნენ, გადააქოთეს სახლები და ახლა ყველასა სძინავს. აი ფარანი, არაყი, პური — მოგიტანეთ, მაგრამ ჯერ ეს ქალაღი უნდა წამიკითხოთ, — და ქალაღი სტოიანს გადასცა.

სინათლეზე სტოიანს ერთბაშად თვალი აუჭრელდა, ასე რომ ვერაფერი გაარჩია; მაგრამ თვალები სინათლეს მალე შეაჩვია და დაიწყო კითხვა და წანაკითხის თარგმნა. ჰაჯი ქრისტოს და მოკრას სახლების გაჩხრეკის ოქმის შავი გამოდგა. გაჩხრეკის შესახებ საინტერესო ბევრი არაფერი იყო; მხოლოდ

ერთს ალაგას ჰაჯი ქრისტოს ჩვენება იყო ორიოდ სიტყვით მოხსენებული; ასე ეწერა: „ჰაჯი ჰრისტოსა ჰგონია, რომ სტოიან კრივენოვი მოკრას სახლში იმალება, ამიტომ რომ ჰაჯი ქრისტოს ქალი, რომელსაც სტოიანი უყვარს მოკრასთან დღეში სამჯერ დარბის“.

ამის გაგონებაზე ნიკოლამ მწარედ ამოიოხრა. მოკრა კი სტოიანს მიუბრუნდა და უთხრა:

— ილენკას თუ უყვარხარ, დასაძრახისი არაფერია. მე, სწორე გითხრა, მინდოდა პეტრეს შეერთო, მაგრამ თუ კი შენ უფრო მოსწონხარ, პეტრემ სხვა მოსძებნოს. სამწუხარო ის არის, რომ ჰაჯი ქრისტო ოსმალებს ასეთს ამბებს ეუბნება. არისტარხი-ბეჟ როცა მოვიდა, პირდაპირ თქვენის ოთახისაკენ გასწია... ამას ჰაჯი ქრისტოს მეტი ვინ ასწავლიდა... ეს კი ცუდია... კიდევ მაღლობა ღმერთს, ეს ყველაფერი ვიცი... ახლა კი ნახვამდე, წავიდე, მეჩქარება.

ნიკოლამ ფარანი დაიჭირა და წინ გაუძღვა. მოკრა სათილში ჩაჯდა და უმარცხოდ მაღლა აიყვანეს. გაირბინა ბალი და ქალღიმი იმეგ ალაგას დასდო, საიდანაც აიღო. მოკრას უხაროდა, რომ ყველაფერი ასე ოსტატურად მოვახერხეო. მიწის-ქვეშე მყოფი ყმაწვილები კი ჰაჯი ქრისტოს და ილენკას ამბავმა დააფიქრა: ორივენი სულ სხვა-და-სხვა გუნებაზე დადგნენ. სტოიანი ჰაჯი ქრისტოს საქციელმა ააშფოთა.

— არა, იმას რა რჯის, რომ ქვეყანას ატყობინებს, ასეა და ასეაო,—ცხარობდა;—ვთქვათ, მე არ ვეცოდები, თავისს ქალიშვილს რაღას ერჩის?... ალაღ-მართალი ქალი ხათაბალაში გააბა... საძაგელი!....

ნიკოლა ჩუმად იყო; შუბლი შეიკრა, დაჯდა, იდაყვით მიუხლებზე დაეყრდო, ხელებში თავი ჩაიღო და გაქვავებულს დაემსგავსა. მიწაზე ფარანის გვერდით კალათა იდგა, კალათაში პური იყო. სტოიანმა ბოთლი აიღო, თვითონ დალია და უნდოდა ნიკოლასათვისაც მიეწოდებინა; მაგრამ ნიკოლა ბოთლს აღარ ართმევდა.

— დალიე, ძმაო. ვერა ჰხედავ, რა სინესტეა!— ურჩევდა სტოიანი.

ნიკოლა ხმას არ იღებდა. ამასობაში სტოიანმა ჰური მოიტეხა და ცდილობდა როგორმე მარჯვედ დაშჯდარიყო. ამხანაგს რამდენჯერმე დაელაპარაკა, მაგრამ ნიკოლა ხმას არ იღებდა; ამ სიჩუმემ გააკვირვა სტოიანი.

— რა დაგემართა, კაცო? ავად ხომ არ ხარ?— ჰკითხა სტოიანმა.

ნიკოლა ისევ გაცხვირული იჯდა და არ ინძრეოდა.

— შეიძლება, დაგეძინა კიდევ? როგორღაც მეც მერევა ძილი.

ოღონდაც რომ ძილი მოერეოდა: არაყი საკმაოდ გადაჰკრა. გამოარჩია უფრო სწორი ქვა, ამოიღო თავქვეშ, დაწვა, ფეხები გაისწორა და დაიძინა. ნიკოლამ მხოლოდ ახლა მაღლა აიღო თავი და მძინარეს ყვედრება დაუწყა:— რატო ადრევე არ მითხარ, რომ ილენკას შენ უყვარხარ? რაღას მატყუებდი?

ადგა, გამოვიდა ნიშიდან და გარედ გასასვლელისაკენ გაემართა. აქ დაეყრდო კლდეს, რომელიც მიწას ქვეშიდან გამოსავალსა ჰფარავდა. დიდ ხანს იდგა ასე. აღმოსავლეთი სისხლისფრად იღებებოდა. გამოღვიძებულმა ჩიტებმა ფრთხილი შეჰქმნეს. შორიდან გარეულ იხვების ყივ-ყივი მოისმოდა, ისმოდა აგრედვე ყიყინი გარეულის ბატებისა, რომლებიც მინდვრებიდან, სადაც ყველაფერს საშინლად იკლებენ, ღუნაის სანაპირო კლდეებისაკენ მოეშურებოდნენ. ძირს ღუნაიას გაჰქონდა ბრჭყვიალი; ღუნაიას გაღმა მოსჩანდა თვალ-უწყვედნელი მწვანე ჭანჭრობიანი ადგილები, სადაც გედები და ფელაკვანები თეთრად ჩამწკრივებულიყვნენ. მდინარეზე შურდულივით გადაფრინდებოდნენ ხოლმე ტიფები, წყლის ზედაპირზე, სრიალით; ზოგ-ზოგ მათგანს კლანჭებში თევზიც ეჭირა. ნაპირზედ, დარაჯებივით, იდგნენ ყანჩები; აქა-იქ ქაობიან ადგილზედ წეროები ეშვებოდნენ. ჩქარა ამოვიდა დიადი, ბუმბერაზი მზე და ნიკოლას თვალებ-წინ დასურათებული სანახაობა წითლად გაანათა. მაგრამ

ნიკოლას ახლა ბუნების სანახაობისათვის არა სცხელოდა. იყურებოდა და ვერაფერს კი ვერა ხედავდა. გული მოსდიოდა თავის ამხანაგსა და მეგობარზე, და ამ ბრაზმა ისე შეიპყრო, რომ სრულებით ყურადღებას არ აქცევდა იმას, რაც ამბავი იყო ხმელეთზე, წყალზე, ჰაერსა და ან ცაში. რომ ვისმე ეკითხნა: „მზე ამოვიდაო?“ — ნიკოლას, უეჭველია, არ ეცოდინებოდა, რა ეპასუხნა. შეყვარებულნი ქვეყანას სხვა მომაკვდავებსავეით როდი უყურებენ! როცა თავიანთს გულის საყვარელს შიგ თვალებში არ უცქერიან, გარშემო აღარაფერსა ჰხედავენ. მაშინ სულ ეგოისტებად გადაიქცევიან ხოლმე: ხედავენ მხოლოდ თავიანთ თავს, ჰფიქრობენ მხოლოდ თავიანთ თავისთვის.

„იმას ის უყვარს, — ჰფიქრობდა ნიკოლა: — იმის გულისათვის მოკრასთან დღეში სამჯერ მოდის, და მოკრას კი ნდომები ის ქალი პეტრეს შეერთო... ნეტავ ვიცოდე, რა ამბავია?... მე რაღა პასუხს მაძლევს?... თუ არა, ისე აღერსიანად რაღად მომიგება?... სხვა - და - სხვა ძვირფასს სამკაულს რისთვის მაძლევდა?“

საცოდავი ნიკოლა ბევრს ეცადა, მაგრამ ყველა ეს აზრი, ყველა თავისი გრძნობა ერთად ვერ აჰკინდა. ერთსა და იმავედ როს გული მისდიოდა, ბრაზობდა, ილანძღებოდა, სწყუხდა და ვერას-გზით ვერ გამოერკვია, რა ამბავი იყო მის გარშემო. ილენკას ფიქრითა ჰხედავდა, და ქალის სახე ისე იყო მის ფიქრში გამეფებული, რომ მხეცურმა აზრებმაც კი გაუეღვა თავში. „სტოიანმა მილიაზიმი დაახრჩო, — ჰფიქრობდა ნიკოლა, — რა იქნება, მე რომ სტოიანი დავახრჩო?“ იმას აღარ უფიქრდებოდა სრულებით, თუ რა განსხვავება იყო მილიაზიმსა და სტოიანს შუა. ნიკოლა ეხლა პირველ-ყოფილ კაცად იქცა, რომელმაც, განათლებულს ხალხში ჩაეარდა თუ არა, ჯელტმენის სახე მიიღო და მზად იყო სასიკვდილოდ გაემეტებინა თავისი მოყვასი, მეგობარი და თვით ალალი ძმაც, რაკი ამ უკანასკნელს ქალის გულისთვის ხმალში გაითხოვდა. აქაო-და, ილენკას სტოიანი უყვარსო, ასე ეგონა, რომ სტოიანმა მე შეურაცხყოფა.

მზემ თან და თან შეიმალლაურა. ნისლი მთლად გაიფანტა, დილის ჟრამული და ხმაურობა შესწყდა, ცხრა საათი იქმნებოდა, როცა ნიკოლამ მიწის-ქვეშეთიდან ლაპარაკის ხმას მოჰყრა ყური. მობრუნდა და გალერიაში შეიხედა. ხმა უფრო და-უფრო ახლოვდებოდა, და, ბოლოს, სიბნელიდან პეტრემ გამოჰყო თავი, უკან სტოიანი მისდევდა. ნიკოლა არ განძრეულა. პეტრემ გამარჯვება უთხრა; ხოლო ნიკოლამ პასუხად რაღაც ჩაიბურღლუნა.

— ვარნიდან მოვედი, დილის მატარებლით, — დაიწყო პეტრემ, — და მოვედი იმისთვის, რომ ამ არა-ბაბილონის ტყვეობიდან გაგანთავისუფლოთ. ეს არის, ჟურჟევოში დეპეშა გავგზავნე; მაგრამ თქვენ დღეს მაინც აქედან ვერ გამოხვალთ...

— რაკი სანთელი და საკმელი გვაქვს, — უთხრა სტოიანმა, — ადვილი ასატანია აქ ყოფნა. როცა პირველად აქ ჩამოვედი, კინაღამ გული შემიწუხდა... ისე ბნელოდა, რომ თვალში თითს ვერ მიიტანდა კაცი... არ მეგონა თუ სიბნელე ასე ძნელი ასატანი იქნებოდა... სანამ მოკრა მოვიდოდა, არ ვიცოდი, რა მექმნა.

— გალმა ამაღამვე გაგიყვანთ.

— შე ნუ გამიყვან, — მკვახედ უთხრა ნიკოლამ.

— მაშ არ გინდა?

— სტოიანი წავიდეს, გინდ ქვევითი, გინდ ცხენით, გინდ ცურვით; რაც უნდა? ისა ჰქმნას, მე კი რუშჩუკში დავრჩები.

— რა ძალიან შეგყვარებია მიწის-ქვეშეთი? — იხუმრა პეტრემ.

— აქ არ დავრჩები.

— შერე რას იზამ?

— არაფერს.

— ასე ხომ ხათაბალაში გავვაბამ ყველას!

— ხათაბალაში არაფის გავაბამ, ჩემის თავისა მე ვიცი.

— ოსმალები გიპოვნიან და დაგიჭერენ.

ნიკოლამ არაფერი არ უპასუხა.

— გირჩევნია სტოიანთან ერთად წახვიდნე.

— სტოიანთან წასვლა არ მინდა, — სიტყვა გააწყვეტინა ნიკოლამ. — არა-მეთქი!... სხვას ყველას წაყვები და სტოიანს კი არა.

— კაცო, რა იყო? — ჰკითხა სტოიანმა. — რა დაგიშავე?

— მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, ახლა კი ხმას ნუ მცემ, თორემ... — და მუშტი მოუღერა.

— ერიპა! — წამოიძახა პეტრემ. — ახლა, როცა ჰერცოგოვინელები ოსმალებს ებრძვიან, ახლა, როცა ბოლგარეთისათვის უნდა ვიფიქროთ; ახლა, როცა ჩვენც უნდა ავიღოთ ხელში თოფ-იარაღი, რომ ჩვენი უფლებანი ისევ უკან დაეიბრუნოთ; ახლა, როცა ჩვენს შორის ერთი ბეწვა უსიამოვნებას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს... ახლა ბოლგარელი ბოლგარელს მუშტს უღერებს... — ოხ, ნიკოლა!... — ბრაზობდა პეტრე. ნიკოლა საგონებელში ჩავარდა: ხელი ძირს დაუშვა, დაალო პირი და პეტრეს ცქერა დაუწყა.

— არ მესმის და ვერც გაგება შემიძლია, რა მოუვიდა? — დაიწყო სტოიანმა.

— ალბად აწყენინე რამე... — შეჰნიშნა პეტრემ.

— როდის, რომ არ ვიცი? საფარში ორთავე ერთად ვისხედით, გავედით ბაღში, მერე ჭაში ჩამოვეშვით და ამ მიწისქვეშეთშიაც კარგად ვიყავით... მე დაეწეკი და მეძინა, სანამ შენ არ გამაღვიძე, და ახლა... ერთი შეხედვე, — მიუთითა ნიკოლაზე, — უმიზეზოდ გამებუტა.

— როგორ არა, უმი-ზე-ზოდ!... — სთქვა კბილების კრაჭუნით ნიკოლამ.

— ხომ არა გითქვამს-რა ისეთი?

— რა უნდა მეთქვა!

— საქმე ის არ არის, რა მითხრა, — მიუბრუნდა ნიკოლა პეტრეს, — საქმე ის არის, რაც არ მითხრა.

— რა იყო, — ჰკითხა პეტრემ: — სთქვი, რა მოხდა, ერთმანერთს გააგებინეთ, შერიგდით და ორივე ერთად ოსმალების საჟლეტად წახვალთ.

— ოჰჰ! — უპასუხა ნიკოლამ და ხელი აიმაღლა. — ოსმალე-
ბის გასაწყვეტად წავალ და ღმერთს იმასა ვსთხოვ, ცოცხალი
არ დავბრუნდე; მაგრამ სტოიანს არ მინდა შევეურიგდე... დეე,
ოსმალეების ტყვიამ გაგვასამართლოს!

— არ იტყვი, რაზედ ემღუროთ ერთმანერთსა?

ნიკოლამ ამოიოხრა.

— არც ვიტყვი და არც ვიფიქრებ მაგის შესახებ... სტო-
იანს მხოლოდ იმიტომ არ ვეჩხუბებები, რომ ისიც ოსმალეების
დასახოცად მიდის.

— მაშ რუშჩუკში არ დარჩები?

— არა. სადაც გინდა, იქ გამგზავნე.

— საქმე ის არ არის, მე სად მინდა, საქმე ის არის, იქ
წახვიდე, სადაც საჭირო ხარ: ერთმა თქვენგანმა ბოლგარეთის
აღმოსავლეთი მხარე შემოიარა, მეორემ — დასავლეთი მხარე,
ერთსაცა და მეორესაც ბლომად გაქვთ ცნობანი შეკრებილი; ეს
ცნობანი წინად შეგროვილ ცნობებს უნდა შეეუწონოთ, რომ
საერო ომისათვის გვემის შედგენა შეგვეძლოს... ახლა თქვენ
თქვენს თავს აღარ ეკუთვნით.... რაკი ოსმალეებს ხელში არ
ჩაუვარდით, ერთიცა და მეორეც თავს უნდა გაუფრთხილდეთ,
რომ თქვენ-მიერ შეკრებილი ცნობანი გამოვიყენოთ. როცა
საომრად წახვალთ, მაშინ თავისუფლები ხართ, — შეგიძლიანთ
მტერს შეაკვდეთ კიდევცა.

— საომრად წავიდეთ, გეთაყვა... თუნდ ეხლავ წავიდეთ,
წა.... — დაიძახა ნიკოლამ და გადაეხვია პეტრეს.

— მიდი, ხელი ჩამოართვი! — მიუთითა პეტრემ სტოიანზე,
როცა ნიკოლას აღტაცების პირველმა წამმა გაუჭრა.

— იმას?... არა!... იმასა და ჩემს შუა ისეთი... ეჰ!... არ
ვიტყვი!... თუ ორივე ცოცხლები გადავრჩით, ომის გადახდის
შემდეგ გავსცემ პასუხს... რევოლუციებით ხელში ერთმანერთის
პირდაპირ დავდგებით და მანამდე ვიბრძოლებთ, სანამ ერთი
ჩვენგანი ისე არ დაეცემა, რომ თავის ღლეში ვერ წამოღგეს.

— ბიკოს! — წამოიძახა სტოიანმა და მერე დაცინვის კი-
ლოთი დაუმატა: — კაცო, სანამ ერთმანეთს რევოლუციერებს ვეს-
როდეთ, ხომ მეტყვი, რათა, მიზეზი რა არი?

— გეტყვი... გეტყვი... თავის დროზე გეტყვი.

— ახლა სალამომდე აქ იყავით და ერთმანეთი არ დაქამოთ, — იხუმრა პეტრემ. — საქმელი ანკამ დაგიშადათ და მე გამომატანა. სალამოზედ ისევ მოვალ, უნდა დაგაბაროთ რამე. ნახვამდე.

— ნახვამდე, — უთხრეს ერთად სტოიანმა და ნიკოლამ. ნიკოლა დარჩა, ხოლო სტოიანმა პეტრე გააცილა.

— კაცო, რა დააშავე? — ჰკითხა უკანასკნელმა.

— ძმობამ, არაფერი ვიცოდე... ვიგონებ, რაც ვილაპარაკეთ, და ვერას გზით ვერ მომიგონია.

— ჰმ... „cherchez la femme“... ქალებზედ ხომ არა გითქვამთ რა?

— ესთქვით... მაგრამ ეგ ბაღში იყო... მერე აქ ჩამოვეშვით, და ნიკოლამ სრულებით დამშვიდებით და მეგობრულად დამიწყო მიწის-ქვეშეთზე ლაპარაკი... ვიღრე დავიძინებდი, რაღაც უცნაურ გუნებაზე დადგა: არც არაყი დალია, რაცა ვკითხე, აღარც იმისი პასუხი მადირსა... მაგრამ ამისათვის მაშინ ყურადღება არც კი მიმიქცევია... მე თვითონ ძილი მერეოდა, და მეგონა, იმასაც ეძინება-მეთქი.

— მაშ რამ დაუფთხო ანგელოზები?

ამის პასუხი არსად იყო. სტოიანმა პეტრე გააცილა, თვითონ კი იმავე ნიშში დაბრუნდა, სადაც წინად ეძინა. აქ კალათა იდგა, სურსათით სავსე; სურსათის ღირსება და რაოდენობა მისის ჩამლაგებელის მზრუნველობას ამტკიცებდა. სტოიანს უნდა ნიკოლასათვის. დაეძახნა, მაგრამ გადამტერებულ კაცთან ერთად პური როგორ უნდა ეჭამა? მარტომ მიჰყო ხელი ჭამას და თან ცდილობდა იმდენი ეჭამა, რომ ყველაფრის ნახევარი ამხანაგს დარჩენოდა; საკმაოდ შეექცა, და მაინც კიდევ ნახევარი კი არა, რაც გამოგზავნილი იყო, იმის სამი მეოთხედი ხელუხლებელი დარჩა; ნიკოლა კიდევ არა სჩანდა. სტოიანს ცუდად ყოფნა მოსწყინდა, კალათიდან სანთელი ამოიღო, აანთო და მიწის ქვეშეთის თვალიერებას შეუდგა. ინატრა ნეტავი არქეოლოგიაც მესწავლაო: მაშინ ქვების მოყვანილობით, შენობის ხასია-

თით და კირის ღირსება-თვისებით შეიძლება გამოეცნო როდის იყო ეს შენობა აგებული. მხოლოდ იმაზედ დაარწმუნა გული, რომ ამ შენობის კეთებაში ოსმალთ ხელი არ ურევიაო. ოსმალნი ქვიტკირის შენობას არ ეტანებიან, და ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებს, რომ იმათ თვით თავიანთის სამეფოს აღკვეთების დროსაც არა სწამდათ მათ-მიერ შექმნილ სახელმწიფო წყობილების სიმკვიდრე. სახელმწიფოს უცბად აარსებდნენ, და, როგორც ამ საქმეში დაოსტატებული, სხვებზე უკეთესად ესმოდათ მისი დედა-აზრი. დაბეჯითებით შეიძლება იმისი თქმა, რომ ამისთანა საშვილიშვილო დერეფნები და დარბაზები ოსმალთა ნაშენები არ იქნებოდა. ამაზედ სტოიანიაც დაარწმუნა გული. სინჯავდა კედლებს, ეძებდა წარწერებს და ისე ეგონა, წარწერებს ობს ქვეშა ვხედავო; მაგრამ მალე რწმუნდებოდა, რომ არავითარი წარწერები არ იყო არც კედლებსა და არც სვეტებზე. მხოლოდ რამდენიმე ალაგი ჰნახა ისეთი, სადაც როდესლაც ცეცხლი ნთებულიყო, ჰნახა რამდენიმე თავის ქალა და ძვლები,—ნათლად სჩანდა, რომ იქ ერთ დროს ადამიანთ უცხოვრნიათ. წააწყდა სწორედ იმისთანა დოქის ნამტვრევებს, როგორსაც ახლა ოსმალები ხმარობენ. ძვლები ცხვრისა იყო, იყო ბატკნის ძვლებიცა, მაგრამ უფრო ბევრი ფრინვლისა ეყარა; გარდა ამისა, ფრთები იყო ბლომად მიმოზნეული. მისი ყურადღება მიიპყრო განსაკუთრებით იხვებისა, ბატებისა და ქათმების თავებმა და ფრთებმა, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ახლად მიტანილი იყო აქა. „ამაებს აქ რაღა უნდოდაო?“—ეკითხებოდა თავის-თავს, მაგრამ პასუხს ვერა პპოულობდა; გასაკვირველიც არ არის,—მონადირე არ იყო, თორემ ადვილად მიხვდებოდა, რომ აქ მელიები სცხოვრობდნენ, რომლებიც მხოლოდ მაშინ მოშორდნენ იქაურობას, როცა პეტრემა და ნიკოლამ დააფრთხეს. ნიკოლა ამას ყოველიფერს აუხსნიდა, მაგრამ ახლა მასთან ლაპარაკი ყოველად შეუძლებელი იყო. დიდ ხანს სიარულის შემდეგ სტოიანი იმ ადგილსვე დაუბრუნდა, სადაც კალათი და ფარანი იდგა, და დაარწმუნდა—ნიკოლა მისულაო. სურსათი მხოლოდ ნახევარი-ღა დარჩენილიყო, არაყი კი სულ დაელია.

„გაბრაზებული რომ არის, ალბად იმიტომ მოჰმატებია ჭამასმის მადა“, — შენიშნა სტოიანმა. — „ახლა კი, მგონი, კარგა ხანი უნდა იყვეს გასული“, — იფიქრა მან.

გარედ გასავალთან სტოიანი ადვილად მიხვდებოდა, რა დროც იყო, რადგან კლდის უკან ყველაფერი სჩანდა. მაგრამ ეგონა, ნიკოლა იქა სდგასო და ამიტომ იქით არ წავიდა, ვაი თუ, რომ შეევხდეთ ერთმანერთს, ჩვენი დამოკიდებულება უარესად გამწვავდესო. ისევ მეორე მხარესაკენ, ჭისაკენ წავიდა, რომ ცისათვის შეეხებინა. ჭასთან მალე მივიდა. სანთელი ერთს გამოღრუტუნულში შედო, ფრთხილად მივიდა დერეფნის ბოლოზედ და კედელს დაებლაუჭა და თავი გამოჰყო გარედ. დაინახა მოწმენდილი ცა; ეტყობოდა, მზე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ იმავე დროს რამდენსამე ვარსკვლავსაც მოჰკრა თვალი; ვარსკვლავნი მკრთალად, მაგრამ მაინც ბრწყინავდნენ. „ვარსკვლავები? — გაიკვირვა სტოიანმა. — ეს რა ამბავია?... როგორცა ვხედავ, დღეს საკვირველებათა მოწამე უნდა შევიქნე: ჯერ იყო და, ნიკოლა უმიზეზოდ გამებუტა, ახლა კიდევ დღისით ვარსკვლავებსა ვხედავ“. ამ მისთვის მიუწლომელმა მოვლენამ მეტის-მეტი ცნობის-მოყვარეობა აღუძრა. შემდეგაც რამდენჯერმე გაჰყო თავი, აიხედავდა მაღლა, და სულ ახალ-ახალი ვარსკვლავები ჩნდებოდა ცაზე; ბოლოს კიდევ რაღაც ახალი სანახავი დაინახა: ჭის ზემოდ ქალის თავი გამოჩნდა და თვალები ჭის ძირს დააშტერა. სტოიანი მაშინათვე დაიმალა, ჩქარა ისევ გამოიხედა და ანკა იცნო.

— შენა ხარ? — ამოსძახა სტოიანმა.

— სტოიან? — ძლივას ჩასწვდა სუსტი ხმა ზევიდან.

— მე ვარ, მაშ...

— მეც... მე ვარ... — უპასუხა ქალმა.

— ახლა გხედავ და გიცანი კიდევცა... როგორ მოხვედი?

— ეს მეოცე-ჯერა ვარ აქა... მითხარ, როგორა ხარ?

— არა მიშავს-რა... მაგრამ მიწის ქვეშ ყოფნას მირჩევნია

კი ზემოდ ვიყვე.

— ეგებ გინდა რამე?

— შენ მინდიხარ... შენ!...—უპასუხა ხმის შემალღებთ... ანკა ცოტას ხანს გაჩუმდა. მერე დაუძახა:

— სტოიან, ყური მიგდე... შენ რუმინიაში მიდიხარ... მაგრამ მეც იქით მივმგზავრები.

— როდის? რისთვის?

— არ ვიცი, როდის. მეკითხები, რისთვისო?...—მონასტერში,—სთქვა. ანკამ ისეთის დაბალის ხმით, რომ უკანასკნელი სიტყვა ვერ გაიგონა სტოიანმა.

— რა სთქვი?—ჰკითხა ისევ ახალგაზდა კაცმა.

— მონასტ...—და ისევ ჩუჩქულით განიმეორა ქალმა, ასე რომ ძირს არაფერი ისმოდა.

— ცოტა ხმა-მალლა მითხარ, რომ მოგძებნო, სადაც იქნები.

— რუმინიაში შენ ვერა მნახავ.

— რატომ?

— მონასტერი!

— მონასტერში გინდა შეხვიდე?

— ჰო, მინდა.

— მაგას ნუ გამაგონებ, გეთაყვა, ნუ! ხელი აიღე მაგ აზრზე. ბოლგარეთში დარჩი და ჩემ დაბრუნებამდე დამიციადე.

— მალე დაბრუნდები?—ჰკითხა ქალმა...

— ვეცდები მალე დავბრუნდე!—უთხრა სტოიანმა გადაწყვეტით.

— მალე დაბრუნდი! ოჰ! მალე დაბრუნდი, მალე!—ანკამ პირი მიიბრუნა და ერთს ხანს არა სჩანდა, მაგრამ მალე ისევ გამოჩნდა.

— რად მიბრუნდი?

— მეგონა ვილაც მოდის-მეთქი.

— ახლა ხომ არავინაა?

— არავინაა.

— ერთი მითხარ—ახლა დღეა თუ ღამე?

— დღეა,—უპასუხა ანკამ.

— აბა ცას შეხედე.

ანკამ მაღლა აიხედა.

— ვარსკვლავები დაინახე?

— არა... ჯერ მზე არ ჩასულა, რა დროს ვარსკვლავებია?

— მაშ მე როგორა ვხედავ? შეიძლება, მზე ჩასულია კი-
დეცა?

— არა. დასავალზეა, მაგრამ ჩასვლით ჯერ არ ჩასულა.

— მეწყინა,—ამოიოხრა სტოიანმა.— ბალში ხომ არავენაა?

— არავენაა,—უპასუხა ანკამ, როცა მიიხედ-მოიხედა.

— კარგად დაათვალიერე—ეგებ ვინმე არის?

— სულ არავენაა.

სტოიანმა ცარიელი სათილი თავისკენ მიიზიდა, შიგ ჩა-
ჯდა და ზევით ასასვლელად აიწია. ქალი გაოცებული უყუ-
რებდა. სტოიანი თან-და-თან უახლოვდებოდა. ბოლოს, მისი
თავი ქალის თავს დაუპირდაპირდა; ანკამ ცოტა განზე გაიწია
და დაიძახა.

— ვაიმე, ღმერთო ჩემო!

— ჩუ!—წაიხურჩულა ყმაწვილმა კაცმა.— ანკა, ყური მი-
გდე, მე იმიტომ ამოველ, გენაცვა, რომ გითხრა—მიყვარხარ...
მიყვარხარ... მიყვირხარ.

ანკამ, ის-ის იყო, ხელები გაიწოდა ისე, თითქოს ხელებ-
თან ერთად მთელი თავისი არსება უნდა იმას აკუთვნოსო, მა-
გრამ უცბად გონს მოვიდა.

— დაგინახავს ვინმე!—უთხრა ქალმა.

— ჯერ რაც მე გითხარ, იმისი მიპასუხე და მაშინათვე და-
ვეშვები.

— გიპასუხებ, მაგრამ...—მიიხედ-მოიხედა, თვალები ძირს
დაჰხარა და ჩურჩულით უთხრა:—მეც მიყვარხარ...

— დამიცი?

— დაგიცი, — უპასუხა ანკამ და ხელახლა მიიხედ-მოი-
ხედა.

უცბად ვიღამაც დაუძახა:— „ანკა!“

— დაიხარე და, გამოთხოვებისას, მაკოცე!

ანკა დაიხარა, და ქალვაცემა ერთმანერთს აკოცეს. ამ დროს ხელახლა გაისმა ხმა: ანკას ეძახდნენ. მაგრამ ანკა, ჭას გადაყუდებული, სტოიანის ჩასვლას უყურებდა. სტოიანი სათილიდან გადავიდა და დაუძახა: „ნახვამდე!“ ქალი ჭას მხოლოდ მაშინ მოშორდა.

სტოიანიც დერეფანში შევიდა, მაგრამ მალე ისევ დაბრუნდა, ისევ წავიდა და ისევ გაბრუნდა; ჭას რამდენჯერმე მოსცილდებოდა და ხელახლა უბრუნდებოდა, მაგრამ ანკა აღარ მოვიდა. ყმაწვილმა კაცმა ვარსკვლავებს დაუწყაო ცქერა. ვარსკვლავები უფრო და უფრო მკაფიოდ ჩნდებოდა და, ბოლოს, ძალზე კაშკაში დაიწყაო. მთელი მისი აზრი-გონება ანკას რომ არა ჰქონოდა შეპყრობილი, რა თქმა უნდა, მიხედებოდა, რა მიზეზი იყო, რომ ჭაში ვარსკვლავები დღისითა სჩანდა, ღამით კი ძალზე აშუქებდა. მაგრამ ახლა ვარსკვლავებს მხოლოდ უყურებდა, თორემ ფიქრით—ქალზე ფიქროდა... ანკა შეიქმნა მისთვის ყველაზე უბრწყინვალესი მნათობი და სააქაო სამოთხეს თვალ-წინ უშლიდა.

— რატომ არ მოდის?—სწუხდა სტოიანი. ცოტ-ცოტათი მიხვდა—ღამე დადგაო და საჩქაროზე შეუდგა ზევით ამოსვლის მოფიქრებას, რომ თვის მნათობელ ვარსკვლავთან რამდენიმე წუთი მაინც დაეყო. მაგრამ ამ განზრახვის ასრულება ვერ მოახერხა. ხელი შეუშალა პეტრემ, რომელიც ამ დროს იმასთან ჩავიდა და თან მთელი ბლუჯა დეპეშები და საინტერესო ამბები ჩაიტანა.

— ნიკოლა სად არის?—ჰკითხა პეტრემ უწინარეს ყოვლისა.

— არ დამინახავს,—უბასუხა სტოიანმა.

— ისეთი ამბავი უნდა გახაროთ, რომ, იმედი მაქვს, ნიკოლა, იმას რომ გაიგებს, უგჰველად შეგირიგდება.

— რა იყო?

— ორსავე ერთად გეტყვით; შენ კი ის უნდა გითხრა, რომ შენის მიზეზით ჭის საიდუმლო, ცოტას გასწყდა, არ გამელავნდა.

— როგორ? — ჰკითხა სტოიანმა.

— როგორ-და ანკა ჰას არ შორდებოდა, და შენ კიდევ ზევით ამოდიოდი.

— დამინახა ვინმემა, თუ?

— ჩვენმა გამდელმა, ბებერმა ტირნამ, დაგინახა.

— ხომ არ იტყვის?

— ჩვენს იღბალზე, ბებერს თვალთ აკლია, და, როგორც იყო, დავაჯერეთ, რომ, თუ მოგვეჩვენა, თორემ ჰაში არავინ იყო, და, ამ სახით, ეს ამბავი იმით გათავდა, რომ დედამ ანკა შეტუქსა; მაგრამ სხვებსაც შეეძლოთ დაენახეთ. სწორე გითხრა, ამას შენგან არ მოველოდი! — უსაყვედურა პეტრემ.

ამასობაში ნიკოლასთანაც მივიდნენ, — მიწის-ქვეშეთის გარედ გასავალთან იდგა.

— იცი, რა მოხდა, — უთხრა პეტრემ ნიკოლას. — უეჭველია, ახლა სტოიანს შეურიგდები: სერბიამ ოსმალეთს ომი გამოუცხადა.

— სერბიამ!... ოსმალეთს!... — შესძახეს ერთად სტოიანმა და ნიკოლამ.

ამ შეძახილში ისეთი სიხარული გამოიხატა, რომ მისი აღწერა არ შეიძლება: ამ სიხარულმა ერთს ანკა დაავიწყა, მეორეს — ილენკა. რა იქმნებოდა ისეთი, რომ, ასეთის ამბის გაგონებაზე, დავიწყებისათვის არ მიეცათ!

XVIII

სახლის გაჩხრეკის ღამე ილენკამ დედ-მამის სახლში გაატარა ტანჯვა-მწუხარებაში. მისმა მამამ გამოძიებელს საიდუმლო ოთახი უჩვენა, და ილენკას ისე ეგონა, თითქო მოკრას სახელს მოვკარი ყურით. ალბად, წავლენ, სახლს გაჩხრეკენ, ყმაწვილებს დაიჭერენ და, რაღა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ დასჯიანო. ილენკაც ცდილობდა დაერწმუნებინა როგორმე თავისი-თავი, რომ მამაჩემს მოკრას სახელი არ უხსენებიაო, სძენამ მომატყუაო, მაგრამ ეს ამაო ნუგეში იყო. მთლად მისი გონება ერთს აზრს დასტრიალებდა თავსა.

„რალა მეშველება, თუ ნიკოლა მომიკლეს?“

პასუხის მაგიერ ილენკას თვალ-წინ წარმოუდგა საშინელი შავი და ბნელი უფსკრული, სადაც ვითომ ნიკოლა უნდა ჩავარდნილიყო. საშინელი კანკალი აუვარდა, თუმცა თბილ საბანში იყო გახვეული; ხან სიცხეს შეუტკებდა, და მაშინ საბანს აღარ იყენებდა. ფეხშიშველა მივიღოდა ფანჯარასთან, გააღებდა და ყურს უგდებდა—ეგებ ღამის სიჩუმეში რაიმე ხმას მოგვკრა ყურიო, ეგებ როგორმე გამოვიცნო ეს საშინელი გამოცანაო, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის საქმედ იყო მისთვის გადაქცეული. ამ დუმბილში ათასში-ერთხელ ღამის დარაჯის ხმა მოისმოდა; აქა-იქ ძაღლები დაიყუფებდნენ ან კატები დაიკნავლებდნენ საბრალო ხმით; ოსმალთ შორეულ უბნიდან ყვირილი გაისმოდა. ყოველივე ესე საშინლად აწუხებდა, გულს უკლავდა, მით უფრო მეტად, რომ იძულებული იყო ბრალი მშობელ დედ-მამისათვის დაეკისრებინა. მალე ფანჯარას მოშორდა და ისევ ლოგინში ჩაწვა: საბანი თბილად დაიხურა, მოიკუნტა და თვალები დახუჭა; ამისთანა გარემოებაში, ჩვეულებისამებრ, ცხოვლად წარმოუდგა სხვა-და-სხვა ლანდი და სურათი. ცხადად დაინახა, ვითომ ნიკოლას სახე, თითქო წითელ-ფერის ნათლით მოსილი; მერე ვითომ ამ წითელ-ფერმა ნათელმა მაყვლის ფერი მიიღო და ზედ ვარსკვლავებმა იწყეს ჭახჭახი. ეს სურათი ქალს ცოტათი ამშვიდებდა, მაგრამ დაძინებით მაინც ვერ დაეძინა: თვალს გაახელდა თუ არა—მოჩვენებაც გაჰქრებოდა. ამ ყოფაში გაატარა მთელი ღამე.

გათენდა. ილენკა აღგა, ტანთ ჩაიცვა, მოისხა იაშმაკი და ფერეჯია და წავიდა. ქუჩაში გასასვლელად ჯერ ან მუსაფირლიქზე და ან დედამამის საწოლ ოთახზე უნდა გაველო. არჩია მუსაფირლიქზე გაეარნა,—ასე ადრე იქ არავინ იქმნებოა. წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როცა მუსაფირლიქში მამა დაუხვდა. ჰაჯი-ქრისტო დივანზე იჯდა; მის გვერდით ლანგარი იყო ცარიელის ფინჯნით, წინ კიდევ ნარგილე ედგა; ცალ ხელში ნარგილეს მასრა ეჭირა და მეორეში—კრიალოსანი. ილენკა კარებში შედგა: აღარ იცოდა—წასულიყო, თუ უკან დაბრუნებულიყო. ჰაჯი ქრისტომ შეჰხედა და ჰკითხა:

— ამდგარხარ კიდევა?... ასე აღრე?... სად მიხვალ?

— მოკრასას, — უბასუხა ქალმა.

— იქ ნუ მიდიხარ... იქ... ვინ იცის, რა ამბავია.

ილენკა შემოტრიალდა და უნდოდა თავის ოთახში დაბრუნებულიყო, მაგრამ მამამ გააჩერა.

— დაიცა, აღერსიანად უთხრა მამამ, — მოდი, ჩემთან დაჯექ.

— მე?... — დაიწყა ქალმა და ენა დაება: — საქმე მაქვს.

— რომ წასულიყავი, ხომ საქმეს ვერ გააკეთებდი... აქ მომეთქი... მინდა მოგელაპარაკო.

მეტი ღონე არ იყო, უნდა დამორჩილებოდა. დაჯდა მასთან და იმანაც შემდეგი ლაპარაკი დაუწყო.

— მთელი ღამე არ მომასვენა იმ ფიქრმა და დარდმა, რომ ამდენი უბედურება დამატყდა თავს იმ დელიქანლების (დამთხვეულების) წყალობით, რომელთა ხსენებაც არ იყო უწინ ჩვენს ქვეყანაში. ჰაჯი ქრისტომ ამოიოხრა. — ნეტავი საიდან გამოტყვრენ? ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ ეგენი ჩნდებიან კიდევ იმიტომ, რომ ყმაწვილობა კაცებმა სასწავლებლად სამზღვარ-გარეთ დაიწყეს სიარული. გვეგონა, სამზღვარ-გარედ კარგს რასმე ისწავლიდნენ, ის კი არა თუ სიცოცხლეს გვიწამლავენ... ჩემო შვილო, მთელი ღამე ამასა ვფიქრობდი და მინდა მოგელაპარაკო, რადგან შენც ამ სენითა ხარ შეპყრობილი.

ილენკამ თავი დაჰხარა და მხოლოდ ოდნავ დაახველა.

— კარგად მახსოვს ის დრო, — განაგრძო ჰაჯი ქრისტომ, — როცა ჩვენს შორის სხვა-და-სხვა ბრძენი ხალხი არ ერია; ჩვენთვის კარგად ესცხოვრობდით მაშინ... ოსმალებთან მაშინაც კარგად ვთავსდებოდით, თუმცა არც წიგნებსა ვკითხულობდით, არც გაზეთებსა და არც ფრანგული ტიკტიკი ვიცოდით... ერთბაშად განათლება მოგვინდა, დიალ, ყველას მოგვინდა: მე თვითონ ესწირავდი სკოლებსა, წიგნსაცავებსა... გაიგე?... მაგრამ საპატიმრომ და ხუნდებმა გონს მომიყვანა: ახლა სკოლებისა და წიგნსაცავებისათვის არამც თუ გროშ-კაპეიკსაც არ გავიღებ, ის კი არა, ფაშასთან წავალ, დავუწოქებ და ვსთხოვ, ბრძანე-

ბა გასცეს, რომ ყველა წიგნები ცეცხლში დასწვან და ყველა, ვინც საზღვარ-გარედ სწავლობდა, სამშობლოდან განაძევონ... დიად, თემის ყრილობაზედაც ამას ვიტყვი, ყველას დაუშობტკიცებ, რომ ეს აუცილებლად საჭიროა უბედურების ასაცდენად; თუშასაც სწორედ ასე მოვახსენებ.

— ხალხი რას იტყვის მერე? — შეჰნიშნა ილენკამ.

— რაც უნდა, ისა სთქვას, ხალხს რას დავდევ! სისულელეს აპყოლიან, და ჩემ მოვალეობად მიმაჩნია — სიმართლე სთქვა... ხომ იცი, რომ, ცოტას გაწყდა, ხათბალაში არ გამაბეს; მე სულელიც კინაღამ გავბრიყვდი და სტოიანს მიგათხოვე, აქაო-და ბუქარესტში სწავლობდა და ფრანგულად იცვამს მეთქი!... იმის გულისათვის სამი დღე და ღამე საპატიმროში ვეგდე, ავაზაკივით, ხელფეხში ხუნდებ გაყრილი; იმის წყალობით იძულებული ვიყავ ოთხასი მეჯილაე გადამეხადა, და რვა-ასი კიდე უნდა გადავიხადა, რომ მთავრობამ წინანდებურად ნდობით დამიწყოს ცქერა... აი ეს დამძართა სტოიანმა! ჩემს სხლს რომ ცეცხლი წაჰკიდებოდა, მაინც მაგდენა ზარალი არ მომივიდოდა. ათას ორასი მეჯიდიე! და ეს ამოდენა ფული შენ წაგართვა, მიტომ რომ, ხომ იცი, საფლავეში მე თან არ წავიდე, ყველაფერს შენ დაგიტოვე. ის ფული კი დაიკარგა, რაც ამ ჯანაბეთის გამო დამეხარჯა. შენ თვითონ იფიქრე, ცეცხლი არ არის ესა?.. ის ავაზაკი ხომ ღირსია, ჯერ ვახურებულის რკინით დადალოს კაცმა და მერე ძალღივით ჩამოახრჩოს?

— განზრახ ხომ არ მოგცა ეგ ზარალი? — სთქვა ილენკამ.

— განზრახვით იყო თუ უგანზრახოთ — საქმე ეგ არ არი; მაგით ჩემი საქმე არ ვაკეთდება; მაგრამ, მაინც თუ სტოიანი მტერობით არ იქცეოდა, მით უარესია, რადგან, სჩანს, როცა უსაბედად ერთმანეთს ვნებას ვაძლევეთ, ჩვენი საზოგადოება ავად არის, და ამ ჩვენს ავადმყოფობას წამლობა უნდა... მეც იმიტომ გელაპარაკები... მინდა დაგარწმუნო, რომ შენ სცდები; სტოიანის ამხანაგების გვარი და სახელი უეჭველად უნდა მითხრა. — ეს რომ სთქვა, გაჩერდა; ქალის პასუხს ელოდდა; მაგრამ ქალი ხმას არ იღებდა.

— ისინი ყველანი სტოიანივით საძაგლები არიან, და თუ კაცმა თავიდან არ მოიშორა, მოსვენებას არ მოგვეცემენ.

ილენკა ყურსაც არ იბერტყამდა.

— ჩემო კარგო, ხომ გიყვარს მამაშენი?— დაიწყო ჰაჯი ქრისტომ ლმობიერებით.

— დიად!..— ილენკამ ამოიოხრა.

— ალბად სტოიანი უფრო გიყვარს, რომელმაც მეცა და შენც ამდენი ავი საქმე დაგვმართა?

— მაგაზედ აკი დედას ველაპარაკე!

— გეტყობა, ისევა სწყრები, დედამ ხელი რად დამაკარაო... ნუ, ნუ იბუტები... დედამ რომ გცემა— შენ მადლობა უნდა უთხრა... ჩემი ბედ-ილბალი შენზედ იყო დამოკიდებული... რაკი არა სთქვი, რასაც გეკითხებოდნენ... ორასი მეჯიდიე გადაშხდა, და გარდა ამისა მაინც მოვალე ვარ იმ საძაგლების გვარი და სახელი შევიტყო. თუ პირობა არ ავასრულე, ისევ საპატიმროში დამამწყვდევენ... შემობრალე! მე რომ მალე არ გავვენთავისუფლებინეთ, დღეს ცოცხალი აღარ ვიქმნებოდლი!

— არა, ცოცხალი იქმნებოდლი!— უპასუხა ილენკამა და უნდოდა ამდგარიყო.

— აბა რას იტყვი?— ჰკითხა ჰაჯი ქრისტომ.

— ოსმალებს ვეტყვი— მე ვიცი-მეთქი მარტო... შენ თავს დაგანებებენ! მოუწყვები, რომ სახლში მაშინ არავინ იყო ჩემს მეტი-მეთქი, მოსამსახურენი აქეთ-იქით დავგზავნე-მეთქი, შეთქმულნი ჩემს მეტს არავის უნახავს-მეთქი, — მაშინ... თუ უნდათ, მაწამონ!— ილენკამ ეს სიტყვები ისეთის გაბედულებითა სთქვა, რომ, ეტყობოდა, თავის სიტყვას კიდევ აასრულებდა.

— შე სულელო, შენა!.. კი არ გაწამებენ, ზაფთიების ხელში ჩაგაგდებენ, რომ ნამუსი აგხადონ... ნუ დაგაფიწყდება, რომ შენ რააა და ქალი ხარ... ოსმალებისთვის შენს სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება. შენ კი არა, პასუხის-გამცემი მე ვარ. რახან ჩემი დალუპვა გინდა— დამლუპე!

— შენი დაღუპვა სრულებით არ მინდა, მამავ, მაგრამ არც იმათი დაღუპვა მინდა, ვისაც უფრო ბევრი რამა აქვთ, რაც ფულზე უძვირფასესია და უწმიდესი.

— ყველანი სულ ღმერთ-გამწყურალნი არიან და ღარიბ-ლატაკნი, —ზიზღითა სთქვა ჰაჯი ქრისტომ. —განა ის კაცი—კაცია, ვისაც ჯიბეში გროში არ უგდია!

— მართალია, სტანკო ღარიბია, მაგრამ სტოიანს ფული ბევრი აქვს.

როცა ილენკამ სტოიანი ახსენა, მამამ თვალეზი დაახამხამა; შეწუხდა და არ იცოდა, რა ეთქვა; ყველამ კარგად იცოდა, რომ სტოიანის მამას ბლომდა ჰქონდა ფული, და გარემოება სტოიანს საკმაოდ ხელს უწყობდა ჰაჯი ქრისტოს სიძველეს მოკვიდებოდა.

ილენკა თავისს ოთახში შებრუნდა, ზედა-წამოსასხამი მოიხსნა და ქარგვა დაუწყაო. წასვლა მაინც გადაწყვეტილი ჰქონდა, მხოლოდ უნდოდა ცოტა გვიან წასულიყო, რომ არავისთვის ეთქვა, სად მიდიოდა. ამიტომ, უცდიდა იმ დროს, როცა მუსაფირლიქში აღარავინ იქმნებოდა. ცდაც დიდხანს არ მოუხდებოდა. ჰაჯი ქრისტო ჩქარა წავიდა სახლიდან. და ილენკამ გადიცვარა იაშმაქი და ფერეჯია, გავარდა ქუჩაში. ძალიან აჩქარებით მიდიოდა, ასე რომ რამდენსამე წუთში მოკრას სახლის ალაყაფის კარებთან იდგა. აქ ნახულმა ახალგაზდა ქალი ძალზე შეაშინა: კედლის გასწვრივ და ალაყაფის კარებთან ზათეთიები იწვნენ და ეძინათ. მაშინაღვე შესდგა და უკან გამობრუნება დააპირა, მაგრამ შეჰნიშნა, რომ ყველანი ღრმა ძილში იყვნენ. ამან გაამხნევა და ღია კარში შეიჭრა საჩქაროზე. ეზოშიაც იგივე სურათი წარმოუდგა: ზათეთიები აქაც ძილში იყვნენ. ქალმა ეზო გაირბინა, ავიდა კიბეზე, შევიდა მუსაფირლიქში და აქაც მძინარეებს წააწყდა. ერთის მხრით დივანზე არისტარხი-ბეგ იწვა და ხვრინავდა; მეორე მხარეზე ეძინა დიდ-ულვაშებიან სქელ-სქელს ალას, რომელიც რუმბივით იბერებოდა და ცხვირით რაღასაც ოსმალურს ჰანგზე უსტვენდა; იმათ შუა მდივანი მოკუნტულიყო და ტკბილად ჰხვრინავდა. ილენკა ჩქა-

რობდა ამ ძილის სამეფოს გასცდენოდა: მარდად და ფეხაკრებით გაიარა ოთახი. მტრების ძილში ყოფნამ, ცოტა არ იყოს, დაამშვიდა. ჯერ კი არაფერი იცოდა, მაგრამ ფიქრობდა, ნიკოლა და სტოიანი რომ დაეჭირათ, საზოგადო შშვიდობის მცველნი ძილში არ იქნებიანო; „მძინარე კაცი არა სცოდავს,“ სთქვა ილენკამ გულში. ესეც რომ არა ყოფილიყო, მაგიდაზედ ამწყკრივებული ჭიქები და ბოთლები აშკარად ჰმოწმობდა, თუ რა ამბავში ყოფილიყვნენ გამოძიებელი და ოსმალთ უნდარმების უფროსი. ილენკა გასცდა მუსაფირლიქს, გაირბინა ერთი პატარა ოთახიკა და ანკას ოთახში შევიდა.

— ანკა, ეს რა ამბავია თქვენსა?

ჯერ ისევ ლოგინში მყოფი ანკა სტუმარს მხიარულის ღიმილით დახვდა.

— შენ ისა მკითხო—რა ამბავი იყო-თქო? ეს-ეს არის, წაყვიდნენ.

— ვინ?

— ზაფთიები.

— რას ამბობ, აქ არიან!

— ვინ გითხრა?

— ეს არის, ესლა ვნახე ქუჩის პირად, ეზოში, მუსაფირლიქში.

— მაშ ასეთი სიჩუმე რად არის?

— ყველასა სძინავს.

— მე ეგ არც კი ვიცოდი, — უპასუხა ანკამ. — დედამ გამაღვიძა, რალაც ფრანგულად დაწერილი ქალაქი მიჩვენა და მიბრძანა, არ დაიძინოვო. არ ვიცი კი რისთვის.

— ახლა სად არის?

— არ ვიცი... ჩქარა დავბრუნდებიო.

— ისინი?..

— იმათი ამბავიც არა ვიცი-რა... ზაფთიები, მოსვლისათაწინვე, პირდაპირ იქითკენ გაემართნენ, სადაც ისინი იმალებოდნენ.

— მერე? — ჰკითხა ილენკამ შეშინებულის ხმით.

— იმ დროს იქ აღარ იყვნენ.

— მაღლობა ღმერთს!

— ბალში იყვნენ; ვაცნობე დაგეძებენ-მეტქი... და ისინიც დაიმაღლენ.

— ზაფთიები რაღად დარჩნენ?

— აქამდე სულ ეძებდნენ.

— შეიძლება, ახლაც დაუწყონ ძებნა, — სთქვა ილენკამ, — ხომ საიმედო აღგილას გეგულეებიან?

— არ ვიცი, — უპასუხა ანკამ. — მგონი, დედაჩემი მათთან წავიდა ფრანგულად დაწერილ ქაღალდის საჩვენებლიად... ცოტა მოითმინე, შოვა და ყველაფერს გვიამბობს.

— ოჰ, გულზე შეფონა! — სთქვა ილენკამ და დივანზედ ჩამოჯდა. — ნეტავ იცოდე, ღამე როგორ გავატარე... ღმერთო! სულ თეთრის თვალით გავათენე.

— მე კი ცოტა მეძინა.

— ბეჩა, შენ ყველაფერი იცოდი... მე კი მხოლოდ ის ვიცოდი, რო ზაფთიები თქვენთან წამოვიდნენ, და კიდევ ისა, რომ ასანა ისეთს ალაგას იმალებიან, სადაც ზაფთიებს მიგნება შეუძლიანთ-მეტქი.

— საკვირველია, ზაფთიებს ეს ვინ უთხრა? — ჰკითხა ანკამ.

— ვუიშე, ნუ მკითხავ, ნუ! — დაიკენესა ილენკამ.

მოკრას მოსვლაზე ქალებმა ლაპარაკი შესწყვიტეს. დედაბერი მეტად კაი გუნებაზე იყო და ილენკას დანახვა ძალიან ესიამოვნა.

— ასე ადრე რამ მოგიყვანა, ქალო?... აღწად ადრე დგები?

— ღამე წამოსვლა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, წუხელვე მოვიდოდი... მინდოდა გამეფრთხილებინეთ.

— შენ საიდან გაიგე?

— გავიგე.

— საწყალი გოგონა... ნუ სწუხარ... კარგისა და ავის გარჩევის უნარი ყველას როდი აქვს... მაშ იცოდი?... ის ხომ ნახე, როგორა სძინავს ყველას? იმდენი ირბინეს, რო ჯანი გაჰვარდათ... მთელი ღამე დაყიალობდნენ. კუთხე არ დაუტოვებიათ,

რომ არ გაექეპათ, ბაღი გადასტკეპნეს, თითოეული ბუჩქი გაშინჯეს, ჟოლნარი მთლად ჩაქელეს... გულმოდგინედ ეძებდნენ.

— ისინი ხომ საიმედო აღაგას დაიმაღლნენ? — ჰკითხა ილენკამა.

— ახლა ისე არიან დამალულები, რაკი ჭაში ჩაძვრნენ, თითქო დედამიწამ უყო პირი და ჩაჰყლაპაო.

ანკამ თვალეზი დააშტერა დედას, — მისმა ლაპარაკმა მოაგონა ის ზეპირგადმოცემა, რომელიც კის შესახება ჰქონდა გაგონილი. ისე ეგონა, რომ სამალაფი ჭას შეადარა მოკრამაო და წამოიძახა: „მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს!“

მოკრა მოსამსახურეების გასაღვიძებლად წავიდა. ახალგაზდა მეგობრები კი ერთმანეთს დაწვრილებით მოუყვნენ წუხანდელს ამბავს. ანკამ უამბო.

— ლოგინიდან კოფთის ამარა წამოვბტი და ფეხშიშველა გავიქეცი ბალშიო. — თან ფეხები უჩვენა, რომელიც ქვებისაგანა ჰქონდა დასერილი. — მაგრამ არც კი მიგრძენია ტკივილიო. — დაუმატა. — ფეხები მხოლოდ მაშინ ამტკივდა, როცა ისევ ლოგინში ჩავწეკი.

— მაშ კოფთის ამარა იყავი, როცა ისინი ჰნახე? — დაეკითხა ილენკა.

— მაგის დარდი ვისა ჰქონდა... იმის ფიქრი მქონდა მხოლოდ, რომ გამეფრთხილებინა როგორმე.

„მე რომ ვყოფილიყავ, მეც აგრე მოვიქცეოდი“, — სთქვა გულში ილენკამ.

როცა მოკრამ მოსამსახურეები გააღვიძა, და ამათაც ფუს-ფუსი დაიწყეს, გააღვიძა ერთმა ზაფთიემ, მერე მეორემ, მესამემ. უცბად წამოხტებოდნენ, თვალეზს მოიფშენეტდნენ, ჩაახველებდნენ და ერთად იჭუჭკებოდნენ. ყველანი გრძნობდნენ თავიანთ დანაშაულს: სამსახურის ასრულების დროს ძილი ვინ გაოგონა! მართალია, ნაბრძანები ჰქონდათ — დაიცადეთო, მაგრამ დაიძინეთო არავის უთქვამს. ამას რა ბევრი ლაპარაკი უნდა, რომ დამნაშავენი იყვნენ და არც თავის გამართლება შეეძლოთ; ან კი რა პირით უნდა გაემართლებინათ თავი? ეთქვათ — აღა

მთვრალი იყოვო! — არ შეიძლებაოდა... „არა... რა საჭიროა, ცემა არ აგვედება“, — ჰფიქრობდნენ ზაფთიები. ყველაზე უარეს მდგომარეობაში ორი ონბაში იყო: ჯოხი თუ ვისმე მოხვედებოდა, ამ ორს უეჭველად უნდა მოხვედროდა. ამისთანა სასჯელი ოსმალებისათვისაც კი არ არის სახარბიელო, რომელნიც ბედს, საზოგადოდ, ძალიან ადვილად ურიგდებიან. მაგრამ ჯოხით ცემის ფიქრი ორსავე ტანში შლიდა. როცა დასჯიდნენ, მაშინ რალა იქნებოდა, უნდა მოეთმინათ, მაგრამ დასჯამდე ეს ფიქრი გაჯოხვისა ძალიან აწუხებდათ. ზაფთიები მოწყენილები ამიტომ იყვნენ. ამ დროს მოკრა მივიდა იმათთან. დედაბერმა შეჰხვდა ყველას და ჰკიოხა:

— რამ დაგალონათ, ჩემო კარგებო?... მუცელი ხომ არ აგტკივდათ?... ჰა, ეგებ მართლა გტკივათ? ეგებ, ბაღში რომ იყავით, კუხე ხილი სჭამეთ?... მითხარით, ნუ დამიმალავთ!

— არა, — უპასუხა იმ ონბაშმა, რომელმაც მუსაფირლიქში ღვინო გადაჰკრა: — ხილი არა გვიჭამია-რა.

— მაშ მუცელს არა გგვრებთ?

— არა.

— მა რამ დაგალონათ? მითხარით... ეგებ გიშველოთ როგორმე

— არა, შენ ვერას გვიშველი.

— მე ისე ნუ მიყურებ, ჩემო კარგო, — დაიწყა მოკრამ: — ჩემ დროულმა დედაკაცმა ბევრი რამ იცის... კაცს არამც თუ სნეულებისაგან, დარდისაგანაც კი მოვარჩენ... თუ არაფერი გტკივათ, ის მაინც ცხადია, რომ რალაც დარდი გაწუხებთ... ეგებ იმასა სწუხართ, რატომ ვერავენ ვიპოვეთო, ჰო?

— არა, საქმე ეგ არ არის, — უპასუხა ონბაშმა.

— მა რა იყო?

— დაგვიძინებოდა და უნდა გვეფხიზლნა კი.

— მაგიტომ, ჯოხებისა გეშინიანთ განა?

— მაშა! — უპასუხა გაჯაფერებულმა ზაფთიემ.

— თუ ალაჰს მაგრე ჰნებაეს, რა თქმა უნდა, იმის ნებას ვერავენ გადავა; მაგრამ, შეიძლება, ალაჰსა სრულებით სხვა

როგად უნდა და სწადიან თავისი ნება ჩემის პირით შეგატყობინოს.

— როგორ?.. — გაიკვირვა რამდენმამე კაცმა.

— აი რა ჰნებავს ალაჰსა: — წადით და ალას მოახსენეთ: — მთელი ღამე ვეძებდით, ახლაც ვეძებთ-თქო და ჰკითხეთ: როგორ გვიბრძანებთ — ვეძებოთ, თუ თავი დავანებოთ-თქო?

ზაფთიებმა ერთმანეთს შეჰხედეს და მოწონების ნიშნად თავები დააკანტურეს.

— დიად, — განაგრძო მოკრამა: — მე მგონი, ალაჰის ნება ეს არის. ახლა დაიშალენით და თითო-თითოდ დაუწყეთ ძებნა. ვინც ბალში შეხვალთ, ჭა დაგხვდებათ და, რჯულის ბრძანებისამებრ, ნამაზს ნუ დაივიწყებთ... ალაჰიც კმაყოფილი იქმნება, და ალაც არაფერს გეტყვისთ... აბა, ჭკუაში დაგიჯდაა ჩემი სიტყვა, თუ არა?

— ჭკვიანი დედაკაცი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა, აი! — უთხრა ონბაშიმ.

— რა ვქმნა, გენაცვათ. მიყვარხართ... განა არ იცით, თქვენისთანა ზაფთიებისათვის სულს არ დაევიშურებ?.. დუქანში თქვენთვის ცალკე ოთახი მაქვს და ისეთი კევი მოვატანიწე, თვითონ ხონთქარსაც ნერწყვს მოჰგვრის... ჰო; ღმერთმანი...

— გმადლობთ, გმადლობთ, — უპასუხეს რამდენმამე ზაფთიებმა.

— მაშ თქვენ ისევ ეძებთ, მე კი ალასთან წავალ.

ზაფთიები აქეთ-იქით დაიფანტნენ: ზოგი თავლებში შევიდა, ზოგი ფარდულებში, ზოგიც საქათმეებში; რამდენიმე კაცი ბალში შევიდა. მოკრა მუსაფირლიქისაკენ გაემართა. მას შემდეგ, რაც მან ოქმი ააცალა, იქ ცვლილება არაფერი მომხდარიყო. უფროსებს ეძინათ. მოკრამ სისხლმოწყურებულ კაცსავით შეჰხედა, მაგრამ მაშინათვე სახე გამოეცვალა და დაფიქრდა. „რა უნდა ვუყო?“ — ჰკითხა მოკრამ თავის-თავს. იმის ალაგას რომ სხვა ყოფილიყო, რა თქმა უნდა, გააღვიძებდა, და თითქო კარგადაც მოიქცეოდა. მაგრამ ასეთის დიდკაცების გაღვიძება ძნელი საქმე იყო: ეწყინებოდათ და სითამამისთვის

გამომღვიძებელს მტრად გადაეციდებოდნენ: ვისაც მაღალი ადგილი უჭირავს, არ უყვარს, რომ უბრალო მომაკვდავმა შენიშვნა რამ მისცეს. მოკრას სხვა რამ უნდა მოეგონებინა, რომ დაუპატიჟებელ სტუმრებს თვითონვე გამოჰღვიძებოდათ. ამასთან, სამსავე მკვდრებივით ეძინათ; თუ დიდს ხანს იძინებდნენ კიდევ და, ვინ იცის, იქნება უფრო წაჰხლომოდათ საქმე. შესაძლო იყო, ფაშას კაცები გამოეგზავნა და დევალეზინა, აბა შეიტყვევით, ბეა და ალა როგორა სჩხრეკენ სახლსაო. ისინიც, რა თქმა უნდა, მოკრას დააბრალებდნენ; აბა რომელი მოხელე იტყვის — დამნაშავე ვარო? და ამ სახით, მოკრა, რომლის სახლში დიდის ხარისხის მოხელენი ძილსა და მოსვენებაში იყვნენ, პასუხის-გებაში მიეცემოდა. აი ამიტომ იყო საჭირო, თვითონვე გამოჰღვიძებოდათ და, ამასთანავე, დაუყონებლივ, რადგან მზე უკვე ამოვიდა, და ფაშა კი დილით ადრე დგებოდა და ალას მაშინათვე თავისთან იბარებდა ხოლმე.

მოკრა უყურებდა მძინარეებს და ჰფიქრობდა, ასე როგორ მოვახერხო, რომ თვითონვე გამოეღვიძოთო? მდივანი ოთხად მოკაკულოყო და ისე ეძინა; ალა პირ-აღმა იწვა, ხვრინავდა და ქშინავდა; არისტარხი-ბეა მხარზე იწვა, პირ-მოკუშული, ცხვირი დივანში წაეყო და ისიც ქშინავდა. მოკრა წავიდა და ისევ მალე დაბრუნდა: — არისტარხი-ბეას ზედ ცხვირთან. კოტაოდენი ფხვნილი დააყარა და საჩქაროდ ოთახიდან ისევ გავიდა. რამდენსამე წუთს უკან არისტარხი-ბეა წამოხტა, და ზმა-მაღალი ცხვირის ცემინება გაისმა: დააცემინა ერთი, ორი; მოითქვა სული, დააცემინა მესამეჯერ. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ცხვირი მოიხოცა ღონივრად. შემდეგ ერთხელ კიდევ დააცემინა ცხვირსა. სანამ არისტარხი-ბეას ცხვირს აცემინებდა, მდივანმა ჯერ ცალი თვალი გაახილა, მერე მეორე, ჩაახველა, დაჯდა დივანზე, ხელში ქაღალდი აიღო და ისევ დაწვა სწორედ ისე, როგორც წინად იწვა.

ბეას ხმა-მაღლა ცხვირის-ცემინებამ ალას ბუზიც ვერ აუფრინა. მისი საკუთარი ზვრინვა იქაურობას აყრუებდა, — აღარ იღვიძებდა.

არისტარხი-ბემამ, რაკი ცხვირის ცემინებას მოზრჩა, წარბი შეიკრა, წვერ-ულვაშზე ხელი გადისვა, ხმა-მალლა ჩაახველა, მიიხედ-მოიხედა, საათი გაშინჯა და იკითხა:

— რას აკეთებენ, ხომ ისევ ეძებენ?

— შენ თვითონ იცი, ეფენდიმ, — უბასუხა მდივანმა.

— გააღვიძე; — უთხრა ბემამ და თვალებით ალაზე ანიშნა. —

აქ სახლის გაჩხრეკაა, და ამას კი არხეინადა სძინავს!

მდივანმა თითი შეახო ალას და წასძახა:

— ეფენდიმ!

ალა არ იძროდა.

— ეფენდიმ! — განიმეორა მდივანმა.

ალა ჯირკვივით ეგღო.

— შენაძრიე! — უთხრა არისტარხი-ბემამ.

მდივანმა შენაძრია. მაგრამ ჩასუქებული ალა გაიზმორა მხოლოდ, რაღაც წაიბუტბუტა, და, როგორც ეტყობოდა, უფრო გუნებიერ ძილს მისცა თავი.

— წავიდე, ზაფთიებს დავუძახო, — სთქვა მდივანმა.

— არა, არ დაუძახო, შეიძლება, წავიდნენ კიდეცა და ეს კი სამწუხარო იქმნება, — შეჰნიშნა ბემამ, — მხოლოდ მიდი და ნახე, რას აკეთებენ; მერე მოკრასთან შედი და ერთი ბეწვა მაგარი ბურნუთი სთხოვე. თუმცა არ მეძინა, მაგრამ უბურნუთოდაც ისე მაცემინებდა ცხვირს, რომ, რაც უნდა მძინებოდა, არ შემეძლო არ გამომღვიძებოდა; მგონია, მაგარმა ბურნუთმა გააღვიძოს.

მდივანი ადგა; ბემამ მიაძახა: „მაგარი ბურნუთი-თქო“.

მდივანი მალე დაბრუნდა.

— ზაფთიებისა რა გაიგე?

— აქ გახლავან, — უბასუხა მდივანმა.

— რას აკეთებენ? ხომ არა სძინავთ?

— არა, ეფენდიმ, დაეძებენ.

— ოჰო... ეგ კარგია. ბურნუთი მოიტანე?

— მოვიტანე.

— მიდი და ცხვირთან მიუტანე.

მდივანი საქმეს შეუდგა: დაიხარა, თითებით ბურნუთი აიღო და აღას ცხვირთან მიუტანა. აღამ შეისუნთქა, მაგრამ არა გამოვიდა არა.

— კიდევი მიუტანე ცხვირთან! — უთხრა ბემი.

მდივანი კიდევი მიუახლოვდა ბურნუთი და უცხად უქან განტა: მოულოდნელად ისეთნაირად დააცემინა ცხვირი, რომ მთელი ბურნუთი მდივანს თვალეში შეეყარა. აღამ გამოიღვიდა, წამოხტა, დაჯდა დივანზე, თავი ხელეში დაიჭირა და სწორედ იმ ნაირად დაიწყო ცხვირის-ცემინება, როგორც ამ ცოტა ხნის წინად გამოძიებელს აცემინებდა. მდივანი ოთახში აქეთ-იქით დარბოდა, კენესოდა და თვალეხს იწმენდა.

არისტარხი-ბემს უნდოდა დინჯი სახე მიეღო, მაგრამ სიცილისაგან თავს ვერ იმაგრებდა. ამგვარად, ერთი მოხელეთაგანი იციროდა, მეორეს — ცხვირს აცემინებდა, მესამე — კენესოდა; მათი ამგვარი მდგომარეობა რამდენსამე წუთს გაგრძელდა. ბოლოს, სამთავემ სახე მოიღუშეს. თავ-თავის ადგილას დასხდნენ, და არისტარხი-ბემს ჰკითხა აღას:

— ზაფთიებისათვის წასვლა ხომ არ გიბრძანებია?

— არა.

— მგონია, ამდენი ძებნა საკმაო იქმნება?

— რამდენი საათია? — და საათს დაჰხედა. — ეჰ.. კონაკში უნდა გავეშურო, თორემ ფაშა...

— რა დროს წასვლაა, ჯერ ის უნდა გაიგო, რა აღმოაჩინეს და რა არა, — უნერშნა ბემი. აღა ადგომას აპირებდა, მაგრამ ამ უნერშნამ შეაკავა. რამდენჯერმე ტაში დაჰკრა; კიბეზე ფეხის-ხმა გაისმა: — შემოვიდა ონბაში, სალაში მისცა და კარებში გაჩერდა.

— რას იტყვი? — ჰკითხა აღამა.

— მთელი დამე ვეძებდით და ახლაც ვეძებთ, ქაშიაც კი ჩაიხივდეთ, კუთხე არ დარჩენილა, არ გაგვეშინჯოს.

— ხომ არა გინახავთ-რა?

— კამერები, ძროხები, ცხენები, ღორები, ქათმები...

— კომიტაჯი? — ჰკითხა აღამ.

— არ გვინახავს.

მდივანმა ყველაფერი ჩასწერა.

ამ დროს შეყოვიდა მოკრა და ლანგრით შავი ყავა შემოიტანა.

— ეი! — დაიძახა ალამ და მიუბრუნდა ონბაშის. — ზაფთიებს თავი მოუყარე და კონაკში დაბრუნდით.

მოკრამ ყავა ბეას მიაწოდა. მერე აღასაც შესთავაზა.

— არა, — სთქვა უკანასკნელმა, ლანგარი მოირიდა და წამოდგა. — იმდენი საქმე მაქვს, რომ არა მცალიან ერთი თინჯანი ყავა დავლიო.

მოკრამ მდივანს შესთავაზა.

— მაგასაც არა სცალიან, — სთქვა ბემი: — ჩქარა კანცე-ლარიაში გაიქეცი და ჩემის მოხსენებისათვის საქირო ოქმი დასწერე.

ალა და მდივანი წავიდნენ. მოკრამ ბეასა ჰკითხა:

— ეფენდიმ, ნარგილე აღარა გნებავთ?

— კარგი იქნება, შენის ხელით მომიტანდე.

მოკრა გავიდა და ჩქარა ისევ შემობრუნდა. შემოიტანა ბროლის ბოთლი, თავზე ყალიონი ჰქონდა და გვერდზე კი ჩიბუხი. როცა მოკრამ ბეას ბოთლი წინ დაუდგა და ჩიბუხი მიაწოდა, არისტარხი-ბემი უთხრა:

— ჩემს გვერდთ დაჯე, — ვიმუსაიუოთ.

— ახალგაზნდა ხომ არა ვარ, რომ მემუსაიფო? — უთხრა მოკრამა და დაჯდა.

— არა უშავს-რა, ბებრებთანაც მუსაიფობენ.

— დაიწყე, მე ყურს გიგდებ.

— ისე დავიწყებ, რომ დაგარწმუნო, ყველაფერს გულწრფელად და მეგობრულად გეუბნები.

— რა იყო?.. — ჰკითხა მოკრამ.

— ორმოც და ათი. მეჯიდიე.

— რისთვის?

— შემეძლო ასი, ორასი მეთქვა, მაგრამ მე მხოლოდ ორმოც და ათსა ვთხოვე, პირველად იმიტომ, რომ გაგამხნევო

და იმნაირად ილაპარაკო, როგორც ყველა სხვა ლაპარაკობს ხოლმე, ვინც კი ფულს იხდის.

— რილასი უნდა მეშინოდეს? უიმისოდაც თამამად ვილაპარაკებ, და აი რა გითხრა, ეფენდი: ორმოც და ათს მეჯიდიეს მოგცემ; მხოლოდ იცი, რისთვის?

— რისთვის?—ჰკითხა ბემე.

— აბა, გაიგე.

— იმისთვის, რომ სახლი მეორეჯელ არ გაგიჩხრიკო, განა?

— არა... რამდენჯერაც გინდა, რმდენჯერ გასჩხრიკე, ჩემს სახლში ვერაფერს იპოვი.

— რომ პეტრე არაფერში გავრიო, ჰო?

— აბა სცადე და რაშიმე გარიგე... იმისი სრულებით არ მეშინიან.

— მაშ რისთვის?

— ჯერ შენ მითხარ, რის თქმა გინდოდა?

— მე მინდოდა, გეთქვა, სტოიანი სად იმალება? დარწმუნებული ვარ, იცი, სადაც არის. თუ ორმოც და ათ მეჯიდიეს მომცემ, მაშინ არ ვიტყვი, რომ შენგან გავიგე—სტოიანი სადაც არი; მეორეც ისა, რომ პეტრეს მფარველობას გავუწევდი,—ფაშასავით პოლიტიკით კი არა, რომელსაც, როცა უნდა, ადვილად გამოიცვლის, — იმიტომ რომ ფული მექმნებოდა ადებულთი. გაიგე?

— გავიგე; მხოლოდ ახლა ეცადე ჩემი ნათქვამი გაიგო: ორი შენი პირობა, რომელიც გინდა მოგყიდო, ჩემთვის საკირო არ არის. სტოიანი სადაც არის, არ გეტყვი; ხოლო პეტრეს ფიქრი სრულებით არა მაქვს; მაგრამ თუ გინდა ორმოცდა-ათი მეჯიდიე მიიღო ჩემგან, სტანკო აქ, ჩემს სახლში, მომიყვანე.

— ეგ ხომ სკანდალი იქმნება!—დაიძახა ბემე.

— როგორც გერჩიოს. გინდა ორმოცდა-ათი მეჯიდიე, — სტანკო აქ მომგვარე, თუ არა და გროშ-კაპეიკს ვერ მიიღებ.

XIX

პეტრე დილის მატარებლით მოვიდა. პირველად დუქანში შევიდა და დედა იქ დახვდა. დუქანში ბლომად მოეყარა ხალხს თავი: მთელს ქალაქს გაეგო, რომ მოკრას სახლს დიდს ხანსა სჩხრეკავდნენო. ცნობის-მოყვარენი საკმაოდ აღმოჩნდნენ,—უნდოდათ ცოტა რამ მაინც გაეგოთ: ამიტომ მოკრამ შეიღოს ის-ღა უთხრა—ვერაფერი აღმოაჩინესო. პეტრე სახლში წამოვიდა.

— სახლი გაგვიჩხრიკეს, — უთხრა ანკამ.

— ვიცი, — უპასუხა პეტრემ.

— დედასთან ხომ არა ყოფილხარ?

— ეს-ეს არის, დუქნიდან მოვდივარ.

— კარგი-და, ისინი ხომ მშვიდრები იქმნებიან?

— ვინ „ისინი“? — ჰკითხა პეტრემ.

— როგორ თუ ვინ?... სტოიანი და ნიკოლა.

— რა იყო?... რაზედ მოგაგონდნენ?

— განა დედამ არაფერი გითხრა?

— დუქანში ბევრი ხალხი იყო.

— ჩვენსა დაეძებდნენ სტონიანსა და ნიკოლას.

— მაშ ჩვენსა იმალებოდნენ?

— ჰო, საიდუმლო სამალავში იყვნენ... — ანკამ ყველაფერი უამბო ძმას. პეტრემ სტამბოლის გაზეოებიდან იცოდა, რომ ბევრს იჭერდნენ, მაგრამ ისე დაწვრილებით არ იცოდა საქმის გარემოება, როგორც ანკამ უამბო; დის ნათქვამს ძმა გულმოდგინედ ყურს უგდებდა. როცა ანკამ ლაპარაკი დაასრულა, პეტრემ შენიშნა:

— რა კარგია... მეც იმასა ვფიქრობდი, რუმინიაში ვინ გავგზავნო-მეთქი. ახლა სად არიან?

— ქაში, — გაუბედავად უპასუხა დამა.

— აა! — წამოიძახა პეტრემ.

ამ წამოძახებაზე ქალი მიხვდა, — ყმაწვილების სანახავად წავა პეტრეო. — წადი, ნახე, — უთხრა ქალმა: — მე კიდევ საჭმელს დაგიზადებ.

— მხოლოდ ცოტა დაუჩქარე, — ფაშასთანაც უნდა წავიდე და მოვახსენო, რაც სტამბოლიდან დამაბარეს.

საქმლის ჩალაგებას დიდი ხანი არ მოსდომებია. პეტრემ კალათა აიღო და ანკა ბაღში წაიყვანა და დაარჩია: „აქ დადექ და თვალი გეჭიროს, სანამ ჩავეშვები, და, განსაკუთრებით, როცა ამოსვლას დაეიწყებ, მაშინ არავინ დამინახოსო. ისიც უთხრა — ესა-და-ეს ნიშანი უნდა გვექონდეს ერთმანეთში სალაპარაკოდო. უყურებდა როგორ ჩავიდა პეტრე და როგორ ამოვიდა. ამგვარად, ანკამ ჭის საიდუმლოება დაწვრილებით გაიგო. ჭას თვალს არ აშორებდა. იმ დროსაც, როცა ილენკა ორჯელ მივიდა მოკრას სახლში, ანკა ისევ ბაღში იყო. ილენკა რომ პირველად მოვიდა, პეტრე მაშინ შევიდა ბაღში.

— მადლობა ღმერთს, ურისი ვალი მოვიშორე, — სთქვა პეტრემ და ტალავერში დაჯდა ქალებ შორის: — ფაშასთან ვიყავ და იქიდან მოვდივარ.

ქალებმა გაკვირვებით შეჰხედეს.

— რა ზრდილობიანი და სტუმრის მიმღებია... რტყობა, უჭკუო კაციც არ არის. კაცმა თუ არ იცის, საქმე ვისთანაც აქვს, ასე ეგონება, ყველაფერს გულწრფელად ამბობსო.

— რა ილაპარაკა?.. შეთქმულებისა ხომ არა სთქვა-რა? — ჰკითხა ანკამა.

— არა, შეთქმულებზედ კრინტიც არ დაუძრავს; უფრო განათლების შესახებ ილაპარაკა.

— ჰჰო!... — გაიკვირვა ილენკამ.

— რა იყო? — ჰკითხა ასეთის გაკვირვებით გაცხებულმა პეტრემ.

— მე ის მიკვირს, — აუხსნა ილენკამ, — რომ დღეს მეც დიდს ხანს ვუგდებდი ყურს განათლების შესახებს ლაპარაკს.

— შერე, რა გაიგონე?

— ისა, რომ, — უბასუხა წამოწითლებულმა ყმაწვილ-ქალმა, — განათლება მაგნებელია, საწამლაღია, სამზღვარ-გარეთიდან შემოსულია, სანამ განათლება გაჩნდებოდა ჩვენს სამშობლოში, უფრო კარგა და მოსვენებით ვცხოვრობდითო.

— ფაშა მაგას არ ამბობს. ფაშას, შეიძლება, ზოგიერთში კაცი დაეთანხმოს კიდევაც. მისი თქმით, განათლება პირველად მოწვეულ ყალიონსა ჰგავს, რომელიც, ხშირად, კაცს თავ-ბრუს ახვევს... მეორედ მოწვევის შედეგ თავბრუ ნაკლებ ეხვევა აღამიანს, მესამედ — უფრო ნაკლებ, ბოლოს თამბაქოს წვევას ეხვევა და სიამოვნებასაც ჰპოვებს. მართალს ამბობს: უსაფუძვლო განათლებისაგან ბეერს ჩვენგანს დაეხვა თავბრუ.

— სკოლები და სამკითხველოები უნდა გაუქმდესო, წიგნები და გაზეთები ცეცხლში დაიწვასო და ყველანი, ვინც კი სამზღვარგარედ სწავლობდნენ, უნდა სამშობლოდან განძევებულ იქმნანო.

— ეგ ვიღამ გიქადავა?

— ყური მოგვარ, — უპასუხა ქალმა პეტრეს და შეხედვა კი ვეღარ გაუბედა.

— მაგისთანა მკაცრი საშუალება, რა თქმა უნდა, თავბრუ-ხვევისაგან მოგვარჩენდა, მაგრამ იმავე დროს გაგვაპირუტყვებდა კბდეცა. ხოლო თუ გვინდა პირუტყვს არ ვემზავსებოდეთ, საქირია მკირეოდენი თავბრუხვევა გამოგვცადათ. ფაშა აიას-ვე ამბობს და მართალიც არის. იმისი შეცდომა მხოლოდ ის არის, რომ, მისი აზრით, ბოლგარებს თავბრუხვევა რომ გადაუვლისთ, ხონთქრის ქეშმარიტნი ქვეშევრდომნი იქმნებიანო. იმდენად გამაბედნიერა, რომ მაგალითად მე დამასახელა. რა თქმა უნდა, მე ვაფიქმდი.

— რა ენაზე ლაპარაკობდით? — ჰკითხა ანკამ, რომელსაც, ეტყობოდა, თავი უნდა მოეწონებინა — აი როგორი ძმა მყავსო!

— ფრანგულზე.

— monsieur-ს ეძახდი?

— არა, excellence-ის ტიტულით ვიხსენიებდი.

— მაშ უნ monsieur-ს გეძახდა?

— არა, mon docteur-იო... ვინც არ იცნობს, დიდი გამოქნილი-რამ არის; ამიტომაცაა სხვებზე საშიში.

ილენკასთან სტოიანსა და ნიკოლაზე არაფერი უთქვამთ. მაგრამ პეტრე მანც ბაღში დიდხანს არ დარჩენილა, მხოლოდ

იმისათვის მოვიდა; რომ ცოტა ხანს ებასნა ლამაზ ქალთან. ქალბებთან ყოფნა და ბაასი ახალგაზდა კაცისათვის ყოველთვის სასიამოვნოა ხოლმე. პეტრეც, რა თქმა უნდა, მალე არ წავიდოდა, საღამოს ჭაში ჩატანილი წერილები და დეპეშები დასამზადებელი რომ არ ჰქონოდა.

იმავ ღამეს პეტრემ მის მიერ გაკეთებულ მანქანით მიწის ქვეშეთიდან წინაღვე მომზადებულ ნავში ჯერ სტოიანი ჩაუშვა, მერე ნიკოლა. ყოველსავე ამას ანკაც უყურებდა. კედელთან იდგა და ცდილობდა დაენახა ახალგაზდა კაცები; მაგრამ მხოლოდ ღუნანის მკრთალ ლაპლაპსა, წყალში მოცემციმე ვარსკვლავებსა და რაღაც ლანდებს-ლა ჰხედავდა; ნავი ვერ დაინახა. ყური დაუგდო, მაგრამ ლაპარაკიც ვერ გაიგონა. ნაპირს ტალღები ეგახებოდა და ამის გამო ხოპების მოსმა აღარ ისმოდა, გარდა ამისა მანქანასაც ცოტათი ჰრიალი გაჰქონდა.

— ქახრაკ-ბუხრაკებს ყველას ქონი წაეუსვი, — ბრაზობდა პეტრე: — მა რაღასა ჰრიალებს? კარგად უნდა გავსინჯო, ეგებ აკლია რამე.

როცა ყველაფერს მორჩა, თოკი ამოიკრიბა და სთქვა:

— ამგვარად ხალხს პირველად ვაპარებ, და, მალეობა ღმერთს, მარჯვედაც მოვახერხებ. — მანქანა დამალა და დას დაუძახა: — წავიდეთ.

— შენ წადი, — უბასუხა ანკამ, — მე ცოტას კიდევ დავიცუდი: ეგებ დავინახო, როგორ წავლენ.

— ქვემოდან კი ეგებ დაგენახა, მაგრამ მაღლიდან ველარას დაინახავ, — უთხრა პეტრემ; მანქანის ნაწილები აკრიბა და წავიდა.

ანკა დარჩა საყურებლად, და, თუმცა თვალებს ძალას არ ატანდა, მაინც ჰხედავდა... რა თქმა უნდა, მხოლოდ ეჩვენებოდა, ვითომ ღუნანის მდინარეზე წასულ ნავსა ვხედავო. სულიერის თვალებით კიდევაც ჰხედავდა ნავში მჯდომარე ყმაწვილ კაცსა, რომელსაც იმგვარადვე შემთხვევით შეხვდა, როგორც შემთხვევით შეხვდება ხოლმე ფიცარი განსაცდელში ჩავარდნილს ხომალდს. ანკას ეგონა, ტალღების ხმაურობაში შემდეგი ხმა

მეწვეთება ყურშია: „მელოდე, მელოდე!“ ოჰ! უნდა ელოდოს, მაშ! მაგრამ ეს ლოდინი, ნეტავი, დიდს ხანს გასტანს? ახალგაზდა ქალი ამ ფიქრით თავს არ იწუხებდა და ეჭვიც კი არა ჰქონდა აღებული, რომ ეხლა, როცა მისის გონება-აზრის საგანი მხოლოდ ყმაწვილი კაცი იყო, თვითონ ის ანკასთვის აღარ ჰფიქრობდა. სტოიანის სიყვარული პირველი სიყვარული იყო ანკასი და, ამასთან ისეთი სიყვარული, რომ მონასტერში შესვლაზედაც კი ხელი ააღებინა, მაშინ როდესაც ამ ცოტა ხნის წინად, როცა ძმები დაეხოცა, მონასტერი მიაჩნდა ერთადერთ მყუდრო საფანდ. ანკა დიდს ხანს იყურებოდა იქითკენ, საითკენაც ნავი მისცურავდა. ამ ნავში იჯდა ის ყმაწვილი კაცი, რომლის ტუჩებიც დაეწება მის ტუჩებს და ამ დაწებების სიციხვოვლეს ეხლაც კი ჰგარძობდა. ანკა ევედრებოდა ღმერთს, ღმერთო, შეუსრულე სურვილი ჩემს საყვარელს სტოიანს, ხელი მოუშართე და ჩქარა დამიბრუნეო. ოცნებობდა, არა-თუ თვით მიწის-ქვეშეთშიაც შემოძლიან მთელი საუკუნე ვიცხოვრო იმასთან, არამედ ყოვლად ბედნიერიც ვიყოვო. ოჰ, საყვარელო, მარტო შენი თავი მახსოვს ამ ქვეყნად!

სანამ ანკა ოცნებაში იყო, მოკრამ თავისს შვილს უამბო, რა პირობა დავდევით მე და არისტარხი-ბეამაო.— „ორმოც და ათ მეჯიდიეში დამპირდა, სტანკოს გავანთავისუფლებ და სახლში მოგიყვანთო“.

— ცოტა აუღია!— შეჰნიშნა პეტრემ.

— უჭკუო კაცი არ არის: ჰხედავს, რომ მეტს არ მიეცემ და სტანკოს ჩამოახრჩობა კი რა ხერხს მისცემს! არჩია, სულ არარაობას, ცალ-უღელა ხარი სჯობიაო.

— განა სტანკო უეჭველად უნდა ჩამოახრჩონ?

— ჩამოსახრჩობი არაფერა ჰყავთ, და ამას გარდა, რაკი სერბიამ ომი დაიწყო და ოსმალთა სახელმწიფოს საქმე უჭირს, საჭიროა ორი კაცი მაინც ჩამოახრჩონ, და ამიტომ გროვდანი და სტანკო ჰყავთ გამზადებული. მესამეცა ჰყავთ, ვილაც დუმიტრი არისო. დამთვრალა თურმე, ოსმალების უბანში ცხენს მიაჭენებდა და ჰყვიროდა—ოსმალების ბატონობა გათავდაო.

სტოიანთან კრებაზე დამსწრენი რომ ჩაეგდოთ ხელში, გროუ-
დანს, სტანკოს და ლუმიტრის გამოუშვებდნენ; მაშინ შეიდი
კაცი ეყოლებოდათ ხელში.

— რომელ კრებას ამბობ? — ჰკითხა პეტრემ.

— ფიცი რომ დასდევით.

— ჰოო!.. — წარმოსთქვა პეტრემ: — მაშ შეუტყვიათ, რომ
კრება გვექონდა?

— შეუტყვიათ, — ჰაჯი ქრისტოს უთქვამს.

— დამსწრენი კი არ დაუსახელებია?

— იმათი სახელები მხოლოდ ილენკამ იცის, მაგრამ გა-
კერპებულა და ვერას გზით ვერ ათქმევინეს... — მოკრამ შვილს
ყველაფერი უამბო და ისიც უთხრა, როგორა სცემა დედამ
ილენკას. — მოწამე მე ვიყავი. დიად, სულ თმებით ათრია დე-
დამ საწყალი ქალი!

— ყოჩად ქალო! — სთქვა პეტრემ.

— ილენკა რომ აგრე არ მოქცეულიყო, ყველაფერს გა-
იგებდნენ. დედ-მამა ეხლაც არ უსვენებს; როგორმე რო წა-
მოსცდნოდა, მაშინ ოსმალები თუმცა სტოიანსა და ნიკოლას
ვერ დაიჭერდნენ, მაინც, სამაგიეროდ, ხელიდან რამდენიმე კა-
ცი ვერ წაუვიდოდათ. — მოკრამ ოფხის ამისთანას გვარი დაასა-
ხელა.

— მეცა, — დაუმატა პეტრემ. — და თუ მე და კიდევ სხვები ვერ
დაგვიჭირეს, სტანკო დაიტანჯება ჩვენდა სანაცვალოდ.

— სტანკოს არა დაუშვებდნენ-რა, — უპასუხა მოკრამ. — იმის
შესახებ არისტარხი-ბეას მოველაპარაკე კიდევცა.

— ის ხომ საძაგელი კაცია!

— ფიცი; ძალიან ოსტატურად კი დაიწყო საქმე.

— როგორ? — ჰკითხა პეტრემ.

— დამთანხმდა — ორმოც-და-ათ მეჯიდიედ სტანკოს გამოვუ-
შვებო. მაგრამ მერე ჩემს სახლში უნდათ დაგიჭირონ შენცა
და ისიცა ერთად, და მაშინ, ორმოც-და-ათს კი არა, ხუთას
მეჯიდიესაც არ დასჯერდება. ის კი არ იცის, რომ სტანკოს,
მოვა თუ არა, მაშინათვე ჭაში ამოვაყოფინებთ თავსა; მაშინ

რამდენიც უნდა, იმდენი ეძებოს. ის ჭკვიანია, მაგრამ სულელი არც მე ვარ. ახლა აი, რა გითხრა,—დაუმატა დედაბერმა: —მე არისტარხი-ბეგს ვუთხარი, ჩემსა და შენს შორის დადებული პირობისა ჩემმა შვილმა არაფერი იცის, და არც მინდა ეს ამბავი იმან გაიგოს-მეთქი, ამიტომ, თუ ვინიცობაა, ჩააცვივდა, მოიშორე თავიდან: გაიგე?

— დიალა, —უბასუხა პეტრემ.

— უეჭველად განახავს.

— ვიცო, ვიცო... მაგრამ მე ეხლა სულ სხვას ვფიქრობ.

— რასა?

— ილენკას საქმე მაკვირვებს... არ მეგონა, თუ მაგრეთს სიმტკიცეს გამოიჩენდა. ყოჩაღ, ქალო, მე და ჩემმა ღმერთმა, ყოჩაღ!

მოკრას მოაგონდა ოქმის ის ადგილი, რომლის გამოც ნიკოლა სტოიანს გაეხუტა; მაგრამ არაფერი სთქვა, დედაბერს ძალიან უნდოდა პეტრესათვის შეერთო ილენკა, მაგრამ ამ თავისს გულის-ნადებს არ ამჟღავნებდა, რადგან ქალის მშობლებს სასიძოდ სტოიანი ჰყავდათ სახეში. ახლა საქმე ისე დატრიალდა, რომ მოკრას თვისის სურვილის განხორციელება შესაძლებელ საქმედ ეჩვენა. ჰო-და, რაღა საჭირო იყო, ეთქვა, ილენკას სტოიანი უყვარსო? გარნა რა არის თვით სიყვარული? მოკრას ვერ წარმოედგინა, თუ ილენკა ერთს დროს მაინც პეტრეს არ შეიყვარებდა. „თვალი შორს, გულიც შორსო“, — ჰფიქრობდა დედაბერი. ერთი კარგად გაიცნონ ერთმანეთი და მაშინ მე ვიცო. პეტრემ ილენკას უკვე ყურადღება მიაქცია, მისი საქციელი მოიწონა, „ყოჩაღი“ ქალი ყოფილაო, სთქვა, —ეს კარგი ნიშანია. რა თქმა უნდა, ჯერ გადაწყვეტილი ვერაფერი ითქმოდა, ამიტომ რომ პეტრე საიდუმლო საქმეში თავგამოდებული მოღვაწე იყო. ეს ყველაფერი სახეში ჰქონდა მოკრასა და მით უფრო ცდილობდა, მისი შვილი არ გარეულიყო იმ საქმეში, რომელიც მოკრასა და არისტარხი-ბეგს შორის იყო.

მთავრობას ისე ეგონა, პეტრე პოლიტიკაში სრულებით არ ერევოა; დედაც ამასვე ეუბნებოდა ყველას. რაღაც ეჭვი კი ჰქონდათ აღებულის, მაგრამ პეტრეს მეტად ოსტატურად ეჭირა თავი და ვითომ სხვა-და-სხვა ფულის-მოსაგებ პროექტებში იყო გართული. ზოგი ამბობდა, პეტრეს რუშჩუკიდან ტირნოვოში, ან ვილინიდან—სოფიაში რკინის გზის გაყვანის კონცესია უნდა აიღოს; ზოგი ამბობდა, საზოგადოება უნდა დაარსოს ქვების შესამუშავებლად; სხვები ფიქრობდნენ—პეტრე ქარხანასა ჰმართავსო. მართლაცა-და, ამისთანების შესახებ პეტრე ხშირად ლაპარაკობდა; ცნობებსა ჰკრებდა—რა უფრო სახეირო იქნება, ხელი მოჰკიდოს კაცმაო და რა გზით შეიძლება ამა და ამ საქმის წარმოებაო. ამისთანა საგნები საინტერესო საქმედაც მიიჩნდა და, ამას გარდა, ფარც იყო მისთვის, ისეთი ფარი, რომელიც თვალებს უხვევდა ჰაჯი ქრისტოებისთანა კაცებსა და მთავრობის აგენტებსა. ფაშა ძალიან აფასებდა პეტრეს და თუმცა იცოდა, გულით ნამდვილი ბოლგარელი უნდა იყოსო, მაინც პატივსა სცემდა.

ყოველივე ეს სახეში ჰქონდა მოკრასა. შეიღოს თუმცა უამბო, რაც პირობა ჰქონდა არისტარხი-ბეგსთან, მაინც უნდოდა ამ საქმეში იმის მეტი არაფერს გარეულიყო. არისტარხი-ბეგს, თავის მხრით, უნდოდა პეტრე ხაფანგში გაეხა; რამდენჯერმე გადაუტრა სიტყვა, და იმით რომ ვერას გახდა, პირდაპირა ჰკითხა:

— რამდენს გაიმეტებ, სტანკო რომ გავანთავისუფლო?

— გროშ-კაპეიკსაც არ მოგცემ, — უპასუხა პეტრემ.

— ის ხომ შენი მასწავლებელი იყო, წერა-კითხვა იმან არ გასწავლა?

— ჩინებული კაციც იყო, — უთხრა პეტრემ: — მეცოდება კიდევ, მაგრამ...

— ბრიყვია, არა? — დასძინა არისტარხი-ბეგმა.

— არა, მაგას ვერ ვიტყვი, უქკუო კაცი არ იყო.

— მე კი გეტყვი, ბრიყვია-მეთქი, — განიმეორა ხმის ამაღლებით გამომძიებელმა. პეტრესთვის თვის თანამესაუბრესათვის

აღარ უკითხავს—მაგრე რად ჰფიქრობ სტანკოს შესახებო; არისტარხი ბემამ მოკრას კი განუმარტა, ბრიყვად რაღა ჰსახავდა სტანკოსა.

— თქვენი სტანკო მეტის-მეტი სულელია, — სთქვა ერთხელ გამომძიებელმა, მოუჯდა რა გვერდით დიასახლისს, დუქანს უკან მოდგმულს ოთახში.

— რაღა?

— საპატიმროს კარი ღია იყო; შეეძლო წასულიყო და არ წავიდა.

— მიზეზი?

— მიზეზი?... ეშინიან — და კიდევ იმიტომ ავა სახრჩობელაზე.

— ჰმ... გულადი თავის-დღეში არა ყოფილა, მაგრამ იმას კი ვერ მოვიფიქრებდი, თუ სიკვდილისაგან გაქცევისა შეეშინდებოდა.

— ასე კი იყო და!

— არ შეიძლება, იმასთან სალაპარაკოდ მიმიშვან?

— რამდენიც გინდა! გამოძიება გათავებულია, და პატიმრების ნახვას არავის უშლიან.

— როდის შეიძლება?

არისტარხი-ბემამ დრო დაუნიშნა და ნებართვის ბარათი დაუწერა. ეს ამბავი საღამოზე იყო. მოკრა სატუსალოში წავიდა. მისი ძველი ნაცნობი საპატიმროს ზედამხედველი მრავალ-მნიშვნელოვანის ღიმილით მიეგება; არისტარხი-ბემასაგან მოცემულ ნებართვის ბარათზე არც კი დაუხედავს, პირდაპირ სტანკოს ოთახში შეუშვა. მოკრა პატიმარს მიესალმა. სტანკომ მადლობა გადაუხადა და მერე უთხრა:

— კარგი ჰქენი, მნახე. ილაჯი წაიღეს ამ უღმერთოებმა: ჯერ იყო, მაწვალეს, გინდა თუ არა, შენი ამხანაგები დაგვისახელო, ახლა კიდევ სატუსალოდან შენს სახლში მაგდებენ.

— მერე რატომ არ მოდიხარ?

— რომ წამოვიდე, უკან ზაფთიები გამომყვებიან და ისევ აქ წამომიყვანენ და პეტრესაც დაიჭერენ.

— შენ აგრე გგონია?

— მაშ... არისტარხი-ბეგსაგან რა ხეირი უნდა გამოვიდეს?!

— მე ეგ მოვიფიქრე კიდევცა, და, სწორედ, იმის სათქმელად მოვედი, რომ სიტუსალოდან ჩვენს სახლში თამამად წამოხვიდე. ისეთი სამალავი გვაქვს შენთვის მომზადებული, რომ იქ ოსმალები ვერ მოგაგნებენ, თუნდა თავებიც დაიხოცონ.

— ბოლო რაღა იქმნება?—ჰკითხა სტანკომ.

— დღეს მოხვალ და ხვალ—რუმინიაში იქმნები.

სტანკო ერთს ხანს დაფიქრდა და ჰკითხა:—რუმინიაში რაღა უნდა გავაკეთო?

— რასაც სხვები აკეთებენ.

— მე რა სახსენებელი ვარ სხვებთან: ზოგი „მოციქულად“ მიდის, ზოგი საომრად ემზადება, ზოგნი წიგნებსა სწერენ და ჰბეჭდავენ. მე კი არც „მოციქულობა“ შემიძლიან, ვერც ომში გამოვდგები, არც წერის უნარი და ფხა მაქვს. მასწავლებლობა რომ დავიწყო, რუმინიაში ვის უნდა ვასწავლო? ან ლუკმა იმათ უნდა წავართვა, ვინც ნახევარზე მშვიდები არიან.

— ლუკმა-პურისთვის ზრუნვა არ დაგვირდება, — უთხრა მოკრამა.

— შენ ის მითხარი, ჩემის გულისთვის რამდენი გადაიხადე?

— არაფერიც არ გადამიხდია.

— ჰირობა მაინც რამდენისა მიეცი?

— ეგ შენი საქმე არ არის.

— საქმე ის არის, რომ ჩემს გამოსახსნელად დასახარჯავი ფული, შეიძლება, უკეთესს საქმეს მოხმარდეს; ჩემი კალო კი უკვე გაღწეულია: არც რუშჩუკში შემიძლიან დავრჩე და არც ბოლგარიის სხვა კუთხეში; რუმინიაში კი საჩემო საქმე არაფერია. ჩემი სიცოცხლე სამ ფარადაც არა ღირს.

— შეილებს რას უპირებ? იმათი მამა არა ხარ?

— მათთვისაც გამოუდგარა ვარ, — უპასუხა სტანკომ. — გთხოვთ ნება მომცეთ, უკანასკნელი სამსახური გავუწიო სამშობლოს.

— რა სამსახური? — ჰკითხა მოკრამა.

— თავი დავსდო მისთვის.

მოკრა გაქვევდა, ხოლო სტანკომ განაგრძო:

— ისეთი წამი არის ხოლმე, როცა სამშობლოს სიცოცხლითაც უნდა გამოადგე და სიკვდილითაც. ზოგნი ერთსა რჩეობენ, ზოგნი — მეორესა. ცოტათი მეც ვემსახურებოდი სიცოცხლით, მაგრამ ახლა ჩემი რიგი გათავდა: სიცოცხლით აღარ შემიძლია ვემსახურო, და ცოცხალი რო დავრჩე, ყველას შეუძლიან მითხრას: „სიკვდილს რად გაექეციო“. მაშინ ხომ უნდა სირცხვილით დავიწვა!

— უი, სტანკო, სტანკო! — წამოიძახა მოკრამა.

— დიად, სირცხვილით უნდა დავიწვა.

— ცოლ-შვილი მაინც არ გეცოდება?

— რა ვუყო, რომ მეცოდება? ცოცხალი რომ დავრჩე, მაინც ვერას ვუშველი, და სიკვდილით კი...

— სულ ვერას უშველი, — გააწყვეტინა მოკრამა.

— ხსენება? — უთხრა სტანკომ. — ოსმალებმა რომ სასყიდლისათვის გამომიშვეან, შეიღები იტყვიან: „მამა ჩვენი საძაგელი იყოო“; და თუ ჩამოვანხრეს, მაშინ კი ასე იტყვიან: „მამა-ჩვენი სამშობლოს გულისათვის მოკვდაო“. არა, მოკრა, მე შეიღებისათვისაცა ვფიქრობ. გირჩევნია, ის ფული სხვა რასმე კეთილ საქმეს მოახმარო. ხომ გაიგე, რაც გითხარი?

— გავიგე, — უპასუხა მოკრამა.

— მაშ ღვთის ნებას ნუ გადავუდგებიო.

— აგრე იყოს, — დაეთანხმა დედაბერი.

— ჩემი ცოლი და ორი ბალლი შენთან წაიყვანე, გამოგადგებიან. ერთი ვაჟი ჩემმა ძმამ წაიყვანოს, მეორე — დამა; უფროსი ვაჟი ხელოსანს ვისმე მიეცი ან მოსამსახურედ დაუყენე ვისმე. ჩვენში ხალხი სიმშვილით ჯერ არა კვდება, და ობლის გულშემბატკივარი და ჭირისუფალი ყოველთვის მოიძებნება.

— სტანკო, სტანკო! — ჰკვირვობდა მოკრა.

— ოსმალები რომ გამათავისუფლებდნენ და ისევ სკოლაში მეცადინეობის ნებას მომცემდნენ, სიამოვნებით დავბრუნ-

დებოდი; გაქცევისა კი რა მოგახსენო, მაგით თავს უეჭველად დავიღუპავ; უნაყოფოდ თავის დაღუპვა კი მე არ მინდა. სიკვდილი სიცოცხლესა ჰბადავს. შენი ორი შვილი რომ არ გამოჩენილიყო და თავი არ დაედუპათ, რუშჩუკში არავითარი ამბავი არ იქმნებოდა დღესაც. შენ თვითონ...

— მართალი ხარ, მართალი, — გააწყვეტინა მოკრამ. — მაგრამ ჩემი შვილები შენსავით უეჭველ სიკვდილს გულს არ უშვებდნენ. აჰ, სტანკო! — ამოიოხრა დედაბერმა, მერე თავზე ორივე ხელი მოხვია და შუბლზე აკოცა. — შეილო... ჩემო კარგო!

— დედი! — უპასუხა სტანკომ და თვალები ცრემლებით გავესო.

— ღმერთი შეიწირავს შენს მსხვერპლსა, — სთქვა ცრემლებ-მორეულმა დედაბერმა: — შენი მსხვერპლი ისეთი წმიდაა!

— ჩემს სამშობლოს, რის მიცემაც კი შემეძლო, ყველაფერს ვაძლევ; ოსმალნი კი ამ გარემოებას თავისებურად გამოიყენებენ და ერთხელ კიდევ ჰგმობენ უფალსა.

მოკრამ სტანკოს ერთხელ კიდევ აკოცა, ცდილობდა ცრემლები შეემაგრებინა და საპატიმროდან საჩქაროზედ გავიდა. კარებში საპატიმროს ზედამხედველი შეხვდა.

— რას იტყვი? — კითხა ზედამხედველმა: — ამაღამ?

მოკრამ ოქროს ფული მისცა და ჩუმდა ჰკითხა:

— ზაფთიები სტანკოს მართლა უცდიან?

— საიდან გაიგებ ხოლმე შენ ყველაფერსა! — წამოიძახა ზედამხედველმა.

— გუშინდელს აქედ უცდიან?

— ჰო. მაგრამ შენ ვინ გითხრა?

— შენ თვითონ არ მიიხარო ახლა?

— გეტყობა, ჩემზე ოსტატი შენა ხარ. გეთაყვა, არსად წამოგცდეს.

— ფიქრი ნუ გაქვს, ხომ იცი, ძველი მეგობრები ვართ!

აბა, რა თქმა უნდა, სტანკოს გადაწყვეტილება მოკრამ პეტრეს გაუმეღავენა.

— მეცოდება, — სთქვა პეტრემ, — რა მტკიცე ხასიათისა ყოფილა! ჩვენს შორის მაგისტანა ხასიათის კაცის გაჩენა აშკარად ჰმოწმობს, რომ ბოლღარეთის განთავისუფლების აზრმა ფესვები ღრმად გაიდგა. ეს აზრი სულ ეხლახან დაიბადა, და უკვე ისეთები გამოჩნდნენ, რომელნიც მის გულისათვის სიკვდილს გულადად უხვდებიან. ყვაილი გაიშალა... ღმერთმა ჰქმნას, ნაყოფიც ჩქარა დამწიფებულ იყოს!

ძნელი გამოსაცნობია, რამდენად მიხვდა დედა შვილის ნათქვამსა, მაგრამ ანკამა და ილენკამა, იმ დროს იქ მყოფთა, პეტრეს ნათქვამი მშვენიერად გაიგეს და დიდ ხანს უხვდებდნენ ყურს, როცა ეს ახალგაზდა კაცი სხვა-და-სხვა ერის განთავისუფლების ამბავს მოჰყვა. პეტრე კდილობდა მისი ლაპარაკი ადვილი გასაგებია ყოფილიყო და ხან-და-ხან სხვა-და-სხვა პოეტის ლექსებსაც ამბობდა და მით უფრო ადვილად გასაგები შეიქმნებოდა ხოლმე მისი ნათქვამი. მეტადრე ლინბენ კარაველოვის ლექსები მოეწონათ ქალებს; განყენებულ ლაპარაკზე მეტად ქალებს უფრო ეს ლექსები ეყურებოდათ. პატრიოტულმა ლექსებმა, რომელშიაც თავისუფლებისა და მისთვის თავდადებულების ქება იყო დახატული, ქალებს განუმარტა, თუ რად მოიქცა სტანკო ისეთის თავდადებით. ილენკა, როცა სტანკოს ამბავს ისმენდა, მით უფრო სწუხდა, რომ იცოდა რამდენად შეუწყო ხელი მისმა მამამ საწყალ მასწავლებლის გაუბედურებას. მაგრამ განჩინების შესახებ სხვა-და-სხვა ნაირი ხმა იყო დაყრილი: ამბობდნენ, სტამბოლიდან ტელეგრამა მოსულა — სასჯელი უნდა შეუმსუბუქონო, ამისთანა შემთხვევაში სანუგეშო ხმები ყოველთვის დადის ხოლმე. ყველანი სულ-განაბულნი მოელოდნენ. და ბოლოს, როგორც იყო, საბოლოოდ გადაწყდა საქმე: განაჩენი გამოცხადებულ იქმნა. ყველა შეშფოთდა. თვით ჰაჯი ქრისტო გაფთორდა და წაიბუტბუტა: — სტანკო, სტანკო! — ილენკა ანკასთან მიიჭრა, დივანზე დაეშვა და ხმა-მადლო მოჰყვა ქვითინს: დედ-მამის სახლში ტირილს ვერა ბედავდა. მოკრას პირში ნერწყვი გაუშრა: ტუჩები უცახცახებდა და თითქოს ლოკულობდა. პეტრე დაღონებული და წარბ-შეკრული იყო.

დამნაშავენი მეორე დილას დასაჯეს. რუმუყელ ბოლგა-რელთათვის ეს დღე საერთო გლოვის დღე იყო. მოედანზე მთელი ქალაქი გამოვიდა, რომ უკანასკნელად შეეხედნათ ჩუმ, უწყინარ კაცისათვის. მოვიდნენ რუმინები, მოვიდნენ ოსმალებიცა; უკანასკნელნი ცნობის-მოყვარეობამ მოიყვანა: უნდოდათ ჩამოხრჩობისათვის ეყურებინათ, გარდა ამისა, — ენახათ საშინელ ავაზაკებად ცნობილნი. ეს ახალ-გვარი ავაზაკობა მით უფრო საშინელ რამედ მიაჩნდათ, რომ ჯერ სულ პირველი გაგონება იყო. ხალხი მით უფრო ბრაზდებოდა, რომ, ამბობდა, ამ ახალ-ავაზაკობის მიზეზი ჩვენვე ვართო. ყველანი ცდილობდნენ ბრალი უცხოელ სახელმწიფოთათვის დაედოთ, მაგრამ სულ ამაოდ კი იმშვიდებდნენ სინიდისს. ხოლო ეს ბრალი ის იყო, რომ ხალხი რამდენისამე საუკუნის განმავლობაში მონობაში ჰყავდათ, — იმ მონობაში, რომელიც ოსმალებს „ისტორიულ საჭიროებად“, ალაპის ნებად მიაჩნდათ, და ერთბაშად კი შეთქმულებმა მოინდომეს უარეყოთ ეს საჭიროება, ურჩობა გაეწიათ ალაპის ნებისათვის!

სამი დამნაშავე მოიყვანეს: დუმიტრი, გროჯდანი და სტანკო. ხელგებ-შეკრულები, ჯარის-კაცთ შუა მოდიოდნენ, სამხედრო მუსიკით. წინ მიმავალმა კავალერიამ მოედნიდან ხალხი გაჰფანტა; უკან — ქვევითი რაზმი მისდევდა. ზაფთიებმა წრე შემოავლეს, — შუაში სახრჩობელა იყო ამართული. დუმიტრი და გროჯდანი ჯარის-კაცთ დაყრდობოდნენ და ისე მოდიოდნენ; სტანკო კი მარტო მოდიოდა, სწორედ ისე, როგორც ერთს დროს სკოლიდან სამკითხველოში დადიოდა ხოლმე. ახლაც ცოტას მოიკოჭლებდა და ხალხს თავის ოდნავ დაქნევით სალამს ისე აძლევდა, როგორც წინად ნაცნობებს მიესალმებოდა ხოლმე. თვალეზში ჩვეულებრივი სიმშვიდე და თავმდაბლობა ეხატებოდა. ასე იტყოდით, ეს კაცი ყველასთან თავმდაბალი, ყველას მორჩილი უნდა იყოსო, — ამავე დროს კი ოსმალებს ურჩობას უწევდა. ყველა ბოლგარელს, ვინც კი ამ დროს სტანკო დაინახა, გული საცოდაობით აევსო; ხან ერთგან და ხან მეორეგან ხალხში მძიმე ოხვრა გამოისმოდა, და ეს სათითაო ამოოხვრა

საერთო ხმა-მაღალ ქეთინად გადაიქცა; მაგრამ ზაფთიები ძალას ატანდნენ ხალხს, რომ თავისი ბუნებრივი გრძობა არ გამოეჩინა და გულშივე ჩაეკლა, იმიტომ რომ ეს გრძობა მთავრობის საწინააღმდეგო მანიფესტაციად ითვლებოდა.

სახრჩობელას ნახვამ ჩამოსახრჩობებზე სულ სხვა-და-სხვა გვარად იმოქმედა. დუმიტრი, ჩამკვირვებულა და ჯანსალი, რომელსაც ფალანგები არა ერთხელ გაულახავს, გაშმაგდა. აქეთ-იქით იწევდა, ოსმალებს ლანძღავდა; გროჟდანიშა თვითონაც არ იცოდა, ან მე რა მემართება ან ჩემს ვარეშემო რა ამბავიაო; თითქო ვარინდებულაო, გონება დაუტანებლივ მოძრაობდა; სტანკო სრულებით არ გამოცვლილიყო. მხოლოდ ტუჩებს ოდნავ აცმაცუნებდა, ალბად, ლოცულობდა; ამავე დროს ხალხს თვალები მიმოავლო, თავი ოდნავ დაუკრა, თითქო ყველას ეთხოვებო. ისეთი წამიც გამოერია, როცა სტანკომა და პეტრემ ერთმანეთს თვალი-თვალს გაუყარეს. პეტრე ხალხში იდგა, სულ მთლად გაფიჯრებული, და ცრემლებს ძლივს იმაგრებდა. სტანკომ გაუღიმა, — ეს ღიმილი მისი უკანასკნელი ღიმილი იყო.

მართლ-მსაჯულება დაკმაყოფილებულ იქმნა. სამს სახრჩობელაზე სამის ადამიანის ტანი ჩამოკონწიალდა; პირველში კონწიალობდნენ, მაგრამ მალე ეს კონწიალიც შესწყდა.

ოსმალები ჩამოხრჩობილის სხეულსა და პირისახეს არაფერს აფარებენ. განგებ იქცევიან ასე, რომ ყველას დაანახონ სულმობრძავის კრუნჩხვა, და სიკვდილს შემდეგ გვამს ჩქარა არ ჩამოხსნიან ხოლმე; პირიქით, იქვე სტოვებენ, სხვების შესაშინებლად, და გულზე სიკვდილით დასჯის განჩინებასა ჰკიდებენ.

დუმიტრის, გროჟდანის და სტანკოს გვამები სახრჩობელაზე სამს დღეს იყო და გულზე თვითეულს მათგანს სიკვდილით დასჯის განაჩენის ფიცარი ჰქონდათ. პირველ ფიცარზე ეწერა: დუმიტრი აშკარა მემამოხე იყო, ხელში დანა ეჭირა, ცხენზე იჯდა და კანონის საწინააღმდეგო სიტყვებს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იძახდა, და ისე კიდევ დაიჭირესო; მეორეზე — გროჟდანი კომიტაჯთან მონაწილეობას იღებდა აფიცრის მოკვლაში, რომ

ცა ეს უკანასკნელი სამსახურს ასრულებდაო; მესამეზე—სტან-
კო კომიტეტის წევრი იყო, ამ კომიტეტს კავშირი ჰქონდა
ოსმალეთის მტრებთან, რომლებიც ცდილობენ სულთანს თვით
აღაპისაგან ჩაბარებული პროვინციები ჩამოართვანო. განჩინე-
ბა ერთის მხრით ბოლგარულად იყო დაწერილი და მეორეს
მხრით—ოსმალურად. ოსმალები მოდიოდნენ, განაჩენს ჰკით-
ხულობდნენ და მერე იქვე ახლო ყავახანაში იკრიბებოდნენ,
საცა მთელ იმ დღეს ტევა არ იყო ხალხისა. ბოლგარელებიც
მიდიოდნენ, მაგრამ განაჩენს არა კითხულობდნენ: ქუდ-მოხ-
დით ღმერთს ავედრებდნენ სამ უბრალოდ დასჯილს; ოსმალე-
ბის ფიქრით, ისინი ავაზაკნი იყვნენ, ხოლო ბოლგარელთა აზ-
რით კი—მსხვერპლნი, ქვეყნისათვის თავ-დადებულნი.

ფ. სახოკია

(შემდეგი იქნება)



მხმდარი

(აღმოსავლეთის ხალხთა-თქმულებათაგან)

I

სინით გადაწყვარ მინდორსედ
მოჭქრის არაბი ცხენათა,
მოცურავს ოფელში მურანი,
მოღის და მოღის ქმენათა.
ეურს უგდებს მსედარს მასზედ მჯდომს:
ქუსლი არ მკრასო, ფრთხილდება,
ოდნავ სადავის შესრასედ
კორდით კორდს გადაფრინდება.
მკვირცხლობს და ილტვის მალსაზი,
კარსკვლავებს ეთამაშება:
სან ძირს დაიქნეს ლამაზ თავს,
უნდა სადავის დაშეება,
სან ეურებს წასტქვეტს კველურად,
ერთს ალაგს დატქვერდება,
მაგრამ არ ურჩობს მიფრინავი,
მიღის და არა ჩერდება.
ამაყადა ზის მსედარიც....
ის აღსენს თავ-მომწონესა,
რომ არ უკლია ოდნავც
ჯერ მის საყვარლის ღონესა.
ისევე წინანდლიც თამაშობს,
ხტის, არ ჩერდება გსასედა,

თუძცა კი მრავალ განსაცდელს
 უგვესჯას იმათ თაჳსედა...
 დაჳსარის მერანს მსედარი,
 მიჳთერენს შუგარდნის მსგავსადა,
 არ გასცემს თაჳის მეგობარს
 მთელ სოფელ-ჳეგუნის ფასადა.
 იგი შავ-ფათარაკთაგან
 მას არა ერთსელ უხსნია:
 ხშირად გამჳრალა უკვალად,
 რა მტერი მტერად უცვნია;
 ხშირად ღომ-კეფესკოა ბრჳყალთაგან
 ჰატრონი გადურჩენია
 და დღის სავალი ერთ წამში
 ჳარბიით გადურთენია...
 მიჳჳრის მსედარი... ცხენის ფეხს
 ხმას აძლეკს აბჳანთ უღერანი...
 რაღად ღირს მისი სიცოცხლე,
 რომ გასცეს მისი მერანი!
 ტუჳილა კეგდარენ თაჳადნი:
 უთხარ შენს მერანს ფასიო,
 რჳრო და კერცხლი აილე,
 მიილე ერთში ასიო!
 აჳლეშის ჳოგებს დაგივლით,
 მოგიყვანთ ჳოროს და ცხენსაო:
 შენს სიცოცხლეში კერ დალეკ
 მაგ ცხენით შენამენსაო!...
 ტუჳილა განრისხდა თაჳადი:
 რა კი არ დამუეკ ნებასო,
 დროს მოგინსავ, შეგსედები
 და ძალით შეგური სნებასო!
 ვნახთ კინა სჳობს ჩვენ რრში!
 მჳობნს დაჩქეს შენი ცხენიო:

ჯახანს რად უნდა მივრინავი,
 გაუ-გარის დამამშენიო!
 ეს როგორ ჭკადრეს გძირ მსედარს!
 ვინ არს მის მუხონი ჯარშია?
 ვინ არს იგეთი, რომ იმას
 არ გაჭქვოდეს სმალშია!
 მტერთან მან იცის მტერობა,
 გატთან დასკდომა კატადა,
 თუმც კი ჯერ სისხლი მართალის
 არ დაუღვრია არსადა.

II

მიჭქრის მსედარი... არსად სჩანს
 მწკავის სიცხისიგან საფარი;
 მიდის და მიდის... გულზედ სტემს
 მივრინავ მერანის ფაფარი.
 ველარც გორდს სედაეს ველარსად,
 არც ხე სჩანს, აღარც ჩრდილია:
 ყრუ, უმცუნარო უდაბნო
 შორით შორს გადაშლილია.
 დიუიან შორეს მსეტები,
 ისმის ქვემძრომთა სისინი:
 სუნი აიღეს ცხოვლისა
 და მას ეძებენ ისინი.
 ჭკიშად ქტეულა მიდამო,
 ჭარი ღრიალებს საზარი
 და მისგან აძრილ მტვერ-ბუქში
 ძლივს-ღა სჩანს სადღაც მსედარი.
 ფიჭობს: ვაი მას, ვისაც რომ
 აქ ცხენი მოუკვდებაო,
 ვინც ვერ გაასწრებს ამ ჭარ-ბუქს
 და ნადირთ წერა ხდებაო!...

მიღის მხედარი... სედაკს: შორს
 რაღაც გამოხდა შავადა,
 კანად შეიწნო, შეჭბრაღდა,
 გულის სეკდა მოხვდა მწკვავადა.
 ბერანს ქუსლი ჰკრა, გაჭქანდა,
 მკსავრს დაწია ერთ-წამა...
 მგზავრი მილოდაკს: თითქოს მას
 მთელს კვირას აწრა ეჭამა:
 სულ მოხრილიყო, სამოსი
 მხარ-ბეჭსედ გადახეკოდა;
 სასეს ძალავდა, თითქოს მას
 თვის სიგლახაკის რტსკენოდა.
 მხედარს შესძახა: — «იკურთხოს
 უფლით სახელი შენია!
 მომხედე ბედ-კრულს: სიკვდილის
 ხელიდან დამისხენია.
 თუმც კი ვარ ვინმე გლახაკი,
 თუმც კი კტანტალობ უქმადო,
 მაგრამ ვატი ვარ: ნუ გამხდია
 ამ მსეტ-ნადართა ლუგმადო!...»
 მხედარმა ცხენი მიიგდო,
 უთხრა: — «შემოჰქექ შენცაო,
 კარგსა და გლახაკს სუეველას
 ერთგვარად დასტქერს ზეტაო.»
 გლახაკმა უთხრა: — «არ ძალ-მიძს,
 ვერ შემოგაწეე ცხენზეო,
 წელს გეღარ ვმართავ: სიბერე
 დიდ ტვირთად მადეკს მხრებზეო.
 ცხენით გადმოხტეს, ამწიე
 შემსვი როგორმე ზედაო,
 ღვთის ხარ, ღვთიურად მოიქეტ,
 ვიცხონდე: მხრდელი დედაო!...»

ცხენით გადიჭრა მსედარი,
 მკზავრს სელი სტაცა წელზედა,
 მუსლი შეუღდა, ასწია
 და ერთს წამს შესვა ცხენზედა...
 რა შეჯდა მკზავრი მერანსედ,
 შეირსა, წელი გამართა,
 უცებ სდავე მოსწია
 და ცხენი ელსზედა ამართა.
 ქუსლი ჭკრა: ცხენი ათრთოლდა,
 თავს გაიწია, აქშინდა,
 მერცხალსებრ შეიტრიადა
 და შეკარდნულად გაიფრინდა.
 ძლივს შესერა მოშორედ
 მან ცხენი დაუდევარი,
 უგუ ისედა: მწარედ სდგას
 დადუმებული მსედარი.
 და დაუძახა: — «ხომ გახსოვს,
 ერთსულ რომ დაგეჭადეო?!
 მე ვარ ის ბიჭი!.. სიტოცხლე
 საგლოვრად გაგისადეო.
 შენი მერანი სელთ ვიგდე,
 ეს მიხანს ქვეყნის თვალადო,
 შენ შენის ნებით არ მომეც,
 მე წაგიყვანე ძალადო!...»
 შორით შეჭბლავლა მსედარმა:
 — «გეყადეს, რაღა მაჭეს დონეო,
 მაგრამ მაჭეს ერთი სათხოვნი
 და ერთს წამს გამეგონეო:
 მივიცე, რომ არვის არ ეტყვი
 რა ჭირსაც შემამთხვიეო,
 რა სერსით შემეყე, შემუსთლე
 და ცხენი გამომტყუეო!...»

გულში ჩაფიქრდა თავადი:
 აქ რაღაც იმალება,
 მხედარს უძისის:—«რად არ გსურს
 ამ ამბის გამჟღავნება?»
 —«მისთვის— უთხრა მხედარმა—
 რომ ვინც ამ ამბავს სცნობსა,
 ტკბილ გრძნობას სიბრალულისს
 თვის გულში ჩაიჭრება.
 რაც მე გადამხდა, ეს სჯიმე
 მვის შეაშინებს ყველასო
 და კვლად კვლად გაბედავს
 აწ ვატი ვატი შეუღასო.
 ნუ გამსდი ამის მიზეზად,
 იგრძენ ეს წმინდა კალია:
 ვატი ვატი აღარ ენდობა
 და დამელება ბრალია!»—
 მძიმედ ჩაფიქრდა თავადი...
 ცხენით გადახდა მედგრად,
 წამოიჩოქა ცალ მუსლიყედ
 მხედარის შესაკედრად.
 უთხრა:— «რაცა სთქვი, შევაგნე,
 მართალი არის ყველა:
 შეუძა და თვალის სისარბემ
 გონება დამიბნელა.
 შენ ამამორე ბორბოტ გზას
 და კვლავ ვატი დამამგვანო.
 შემიხდეე ცოდვა... ეს ცხენი
 ისევე შენ წაიყვანო!»
 სთქვა და მშვიდ მხედარს მის წინ მდგომს
 მიჭკარდა სიყვარულითა,
 მკლავი მკლავთ გადასვია,
 გულზედ მიეკრა გულითა.

ჭფიტა და ისიც იფიტა
ჭირ-ლხინში გასატანდა,
შეჭკრეს მათ აღთქმა უცვლელი
საფლავში ჩასატანდა.

ცახელი

სიმსლითა და მანვილითა

რომანი.

გენრიკ სენკევიჩისა

ნაწილი მეორე

XVI *)

თავადმა უკან დაიწია თავისის მხედრობიჲთა, მაგრამ ეს უკან დაწევა უკან დაწევა იყო ლომისა, რომელსაც თავისუფალი ადგილი უნდა ახალის ნახტომისათვის.

თავადმა განგებ მოახერხა, რომ კრივანოსი ჯებირებს გამოსცილებოდა: ეგ უკეთესი იქნება, მერე უფრო შეუწყალებლად დავამარცხებო. დაიწყო თუ არა ომი, ერემიამ ჰკრა ქუსლი ცხენსა და გააქენა, ვითომ და გაქცევა მინდაო. ქვემოურებმა და მდაბიო ხალხმა ველარ მოითმინა და გაექანა, მოვეწვეით და გარს შემოვერტყმითო. თავადი მოტრიალდა ამ დროს და უტბად, ერთბაშად, მთელის თვისის ცხენოსანის ჯარით ისე ეკვეთა მტერს, რომ მტერმა წინააღმდეგობა ველარ მოახერხა. თავადის მხედრობა მისდევდა ლტოლვილს ჯარს მთელის ერთის ალაჯის მანძილზედ, იმ ადგილამდე, სადაც ჯებირები იყო, საცა ხიდი გაეკეთებინათ და უწყალოდ მუსრს აელებდა თვით ბანაკამდე. თავი იჩინა ამ დღეს თექვსმეტი წლის პან აქსაკმა, რომელმაც პირველმა შეუტია მტერს და პირველმადე დასცა შიშის ზარი მის ჯარებს. ამისთანა ხერხის ხმარება მხოლოდ იმიტომ გაჰბედა თავადმა, რომ იმედი ჰქონდა თვისის გამოცდილის და ომებში დაბერებულის ჯარისა; უამისოდ

*) «მოამბე», № 1X.

ვერ იტვირთებდა განგებ მოეჩვენებინა თავი, ვითომ გაერბი-
ვარო, წაეტყუებინა მტერი და მერე კვლავ უკან მოჰბრუნე-
ბოდა. სხვა გარემოებათა შორის შესაძლო იყო თავადის ჯარს
უკან მობრუნება ვეღარ მოეხერხებინა და გათამამებულს მტერს
დაეძლია. მეორე დღეს უფრო ძლიერ დამარცხდა კრივანოსი.
წაართვეს ზარბაზნები, დააყრეცინეს დროშა-აღმებში, სხვათა-
შორის ის დროშანიცა, რომელნიც კორსუნის ომში გაიტაცეს
იმიერ-ქორომელებმა. კორიციისა და ოსინსკის ქვეითს ჯარსა
და ვურცელის თოფჩებს რომ შესძლებოდათ ცხენოსან ჯარს
მიჰყოლოდნენ უკან, პოლონელი მთელს ბანაკს აიღებდნენ
იერიშით, მაგრამ, ვიდრე ისინი მივიდოდნენ, ჩამოლამდა კიდეც
და მტერი კარგა შორს წავიდა. მაინც ზაცვილიხოვსკიმ თით-
ქმის ნახევარ-ბანაკი აიღო, საცა დიდძალი ნუზლ-სურსათი და
იარაღი ჩაიგდო ხელში. მდამიო ხალხმა ორჯელ შეიპყრა კრი-
ვანოსი და ემუქრებოდნენ, ეხლავ თავადს მიგცემთ ხელშიო,
მაგრამ იმან აღუთქვა ხმელნიცკისთან დაგაბრუნებთ დაუყოფ-
ნებლივო და ამ გარემოებამ გადაარჩინა სიკვდილს. კრივანო-
სი განივლტო დანარჩენის თვისის ჯარითა და ბარგი-ბარხანი-
თა, განივლტო დამარცხებული, განადგურებული, სრულს სა-
სოწარკვეთილებაში ჩავარდნილი და აღარ გაჩერებულა მანამ-
დე, ვიდრე არ უწია მახნოვკას, საცა ხმელნიცკი ისე განრის-
ხდა პირველად, როცა გაიგო ყოველივე გარემოება, რომ ბრძა-
ნა: წაავლეთ კისერში ხელი კრივანოსს და ზედ ზარბაზნის
ტუჩზედ მისჭედეთო.

მხოლოდ შემდეგ გაახსენდა იმიერ-ქორომეთის გეტმანს,
რომ საცოდამა კრივანოსმა სისხლით მორწყო მთლად ვოლი-
ნი, ათასზედ მეტი თავადი და აზნაური პოლონეთისა გაისტუ-
მრა საიქიოს, ხოლო გვამნი მათნი დასტოვა დაუმარხავად, რომ
იგი არც ერთხელ არ დამარცხებულიყო მანამდე, ვიდრე თა-
ვად ერემიას არ შეეხალა. იმიერ-ქორომეთის გეტმანმა შეიბრა-
ლა ასეთის ღვაწლისათვის და, არა თუ ბრძანა, მოაშორევით
ზარბაზანსაო, არამედ პირვანდელი სახელი და პატივი დაუ-
ბრუნა ისევ და პოდოლიაში გაჰზაენა სათარეშოდა და ახალის

აღაფისა და დიდების შესაძენად. ხოლო თავადმა ამ დროსვე მისცა ნება თვისს მხედრობას შესვენებისა, რომელსაც იგი მოუთმენლად მიელოდა. უკანასკნელს ომში ამ მხედრობას დიდი ზარალი მოუვიდა, მეტადრე ბანაკის იერიშით აღების დროს, როცა ყაზახნი ისეთის მოხერხებით იცავენენ თავს, რომელიც მათს გულადობა-ვაჟაკობას უღრიდა. იქ გასწყდა ხუთასამდე ჯარის-კაცი. პოლკოვნიკი მოკრსკი, მძიმედ-დაჭრილი, მალე მოკვდა; დაიჭრნენ, თუმცა არა მძიმედ, პან კუშელიცა, ახალგაზდა პან აქსაიკცა, ხოლო პან ზაგლობა, რომელიც შეეჩვია უკვე ომს და ვაჟაკურად იბრძოდა, ორჯელ იქმნა დაჭრილი ნამგლით; ამის გამო ძალიან მძიმე ავადმყოფი შეიქმნა და უძრავად იწვა ახლა სქშეტუსკის ოთხ-თვლიან ურემში.

სქშეტუსკის თვით ბელი უშლიდა ბარს წასვლასა. თავადმა გაჰგზავნა ზასლავისკენ, რამდენიმე რაზმი გაატანა თან და დაავალა, მიმოჰფანტე ბრბონი მდაბიოთა, რომელთაც მოუყრიათ იქ თავიო. რაინდი წავიდა ისე, რომ ხმა არ ამოულია ბარზედა და მთელი ხუთი დღე სწვა და ჰბუგა იქაურობა, ვიდრე სულ არ განაზნია მდაბიონი.

ბოლოს მისნი კაცნიც მოიღალნენ განუწყვეტელის ჩეხა-ელეტით, მტრის დევნითა და უძილოდ გატარებულ ღამეებით; სქშეტუსკიმ გადასწყვიტა, დაებრუნდები ახლა კი თავადთანაო. მან უკვე იცოდა, რომ ერემია ტარნოპოლს იყო წასული.

წინა დღეს სუხორინცას დადგა, ხოროლს ახლოს, ჯარი სოფელში დაბინავდა, ხოლო თვითონ გლეხ-კაცის სახლში მოთავსდა. რაინდი საშინლად იყო მოქანცული, დაწვა იმ ღამეს და მკვდარივით დაეძინა.

გათენებისას რალაც ბოდვას მოჰყვა. უცნაური ლანდი და მოჩვენება უტრიალებდა თვალ-წინა. ჯერ ისე ეგონა, რომ ვითომ ლუბნსა ვარ, იქიდან ფეხი არსად გამიდგავსო, ეხლა ცუინ-ჰაუზში მძინავსო და, ჩვეულებრივ, ენძიანი ფუსფუსებს ამ დილით ჩემს ოთახში, ელის ჩემს გაღვიძებას და მიმზადებს ტანისამოსსაო.

მაგრამ ბოლოს მაინც გამოფხიზლდა და მიხვდა, რომ სუხორინცასა ვარ და არა ლუბნსაო. ის იყო საკვირველი მხოლოდ, რომ თავისი ბიჭი უდგა თვალწინა, თითქო ცოცხალიაო. პან სქშეტუსკი ცხადადა ჰხედავდა ამ ბიჭსა: აგერ ფანჯარასთანა ჰზის და ჰქონავს ჯავშნის თასმებსაო.

პან სქშეტუსკის ჰგონია, რომ უთუოდ სიზმარში ვარ ისევაო, ჰხუჭავს თვალებს და წუთს შემდეგ ისევ ახელს.

ყენძიანი მაინც ისევ ფანჯარასთან ჰზის.

— ყენძიან! — დაიძახა ბოლოს რაინდმა, — შენა ხარ მართლა, თუ შენი მოჩვენება მელანდება?

ბიჭი შეკრთა და ჯავშანი ძირს გაუვარდა.

— ღმერთო ჩემო! რასა ჰყვირით აგრე? ყრუ ხომ არა ვარ? ან რა მოჩვენებასა ბრძანებთ? ღვთით, მე კარგად გახლავარ.

— დაბრუნდი, მაშა?.. მოდი ერთი მოგეხვიაო!

ყენძიანმა დაიჩოქა და მოეხვია მუხლებზედ პან სქშეტუსკისა.

რაინდმა სიხარულით დაუწყო კოცნა და განუწყვეტლივ იმეორებდა.

— მაშ ცოცხალი ხარ, ცოცხალი!

— ოჰ, პან სქშეტუსკი! ისე მიხარიათ თქვენი ნახვა, რომ ლაპარაკსაც ვეღარ ვახერხებ... მხოლოდ ისე დაიყვირეთ, რომ ჯავშანი გამივარდა ხელიდან. თასმები სულ დაგრეხილა... ეტყობა არავინ არ გემსახურებოდა... მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს, რომ კიდევ გნახეთ, ჩემო ძვირფასო!...

— როდის მოხველი?

— წუხელის.

— რატომ არ გამაღვიძე მერე?

— რაზედ უნდა გამეღვიძებინეთ? დღეს მოვედრ დილაღრიან თქვენის ტანისამოსისათვის...

— საიდან მოხვედი?

— გუშჩიდან.

— იქ რას აკეთებდი? რა გადაგხდა თავს, როგორ იყავი? ლაიწყე, მამბზე!

— როცა, ბატონო, ყახახნი მოვიდნენ გუშმას ბრაცლავის მოურავ-ერისთავის გასაძარცველად, მე იმათზედ აღრე მივედი იქა მამა პატრონი ლასკასთან ერთად. იმან წამიყვანა გუშმას ხმელნიცკისთან, რადგან მოურავ-ერისთავმა გაჰგზავნა ისა ხმელნიცკისთან და თან წერილები გაატანა. ავდექი მეცა და გავყევ იმასა; ახლა ყახახებმა გადასწვეს გუშმა, მამა პატრონი აწამეს ჩვენის მომხრობისა და სიყვარულისათვის; ესევე დაემართებოდა ბატონ მოურავ-ერისთავსაცა, ისიც რომ იქა ყოფილიყო, თუმცა მართლ-მადიდებელია და იმათი ღიღი მეგობარი და მომხრეა.

— არაფერი არა მესმის-რა! პატარა გარკვევით მამბზე და ნუ ჰრევ ლაპარაკსა. როგორ? ყახახებთან იყავი, ხმელნიცკის ბანაკში სცხოვრობდი?

— ჰო, ყახახებთანა, მამა? ჩიგირინში შემიპყრეს და ისე მიყურებდნენ, თითქო ჩვენიო. ჩაიცვით ბარელამაც ტანთა... ღმერთო, რანაირ არეული გაქვთ ყოველივე... ოი, ღმერთმა ჰკითხოს... იმაზედ კი ნუ გამიწყრებით, გეთაყვა, რომ თქვენი წერილი ვერ მივიტანე რაზლოგს კუდაკიდან; ვერ მივიტანე იმიტომ, რომ იმ ბოროტმა ბოგუნმა დამჭრა. ის სუქან-სუქანი შლიახტიჩი რომ არ შემსწრებოდა, დღეს ცოცხალი აღარ ვიქნებოდი.

— ვიცი, ვიცი. შენი ბრალი არ არის. ის სქელ სქელი შლიახტიჩი ეხლა უკვე ჩვენს ჯარშია. იმან მამბო ყოველივე, როგორც ყოფილა. იმანვე წაართვა ცხვირ-წინ ბოგუნს პანნა და გაიტაცა. ეხლა ელენე ბარს არის შეხიზნული, უშიშარ აღგილას და აღარაფრის ფიქრი აღარა აქვს.

— ოჰ, მადლობა ღმერთსა! ეგ კი მეც ვიცოდი, რომ ბოგუნს არ ჩაუვარდა ხელში. მგონია, სახრჩობელას ვერ გადაურჩება ის ავაზაკი.

— მეც ვგრე მგონია. ახლა კი წავიდეთ ტარნოპოლს და შერე იქიდან ბარს გავწიოთ.

— ძალიან კარგი. ბოგუნმა კი, თუნდა კისერიც მოიტეხოს, არავინ მიაბრუნებს იმას, რაცა ჰნებას, — ასე სთქვა მკითხველმა, ის ქალი პოლონელს ჩაუფარდება ხელში, ხოლო ის პოლონელი, ალბად, თქვენა ხართ.

— რა იცი მერე?

— ვიცი. ყოველსავე ამას, თუ გნებავთ, საბუთებით დაგიმტკიცებთ. ჩაიცვამდით თან ტანისამოსს თქვენცა. საუზმე საცაა მზად იქნება. ამგვარად, წამოვედით კულაკიდან ნავით და ძალიან დიდ ხანს ვიარეთ, იმიტომ რომ პირ-შედმა მოვდიოდით. მერე ნავი წაგვიხდა და იმას დაუწყვეთ კეთება. მოვდივართ, ახლა, ბატონო სქშეტუსკი, მოვდივართ, მოვდივართ...

— მერე, რომ მოსდინხართ და მოსდინხართ! — გააწყვეტინა დესპანმა მოუთმენლობით ლაპარაკი. — ნუ აჭიანურებ აგრე, თუ ღმერთი გწამს.

— და მოვედით ჩიგირინსა. იქ რაც მოჰხდა, ის ხომ თქვენც იცით.

— ვიცი.

— ჰო და, ვწევარ ახლა თავლაში და ვარ ბნელაში. მერე, ბოგუნი რომ წავიდა, მოვიდა ხმელნიცკი იმიერ-ქორომელებითა, მაგრამ რაკი ცოტა წინად დიდმა გეტმანმა მრავალი ხალხი დასჭრა და ამოჰკლიტა ჩიგირინში, იმიერ-ქორომელებს რად თანაუგრძნობთო, ამიტომ თავიანთ მომხრედ დამსახეს და, არამც თუ უაერესი დამმართეს, არამედ წამლობაც კი დამიწყეს. თათრებსაც ნება არ მისცეს, რომ წავეყვანეთ ტყვედ, თუმცა იმათ ყველაფრის ნებას აძლევენ. მოვედი გონზედა და ვფიქრობ: საით გადავვარდე ახლა-მეთქი? ყაზახებმა ამასობაში კორსუნის ომი გადინადეს და დაამარცხეს გეტმანები. ოჰ, ბატონო, რაც მე ვნახე, თქმაც კი ძნელია იმისი!

— რა?

— არაფერს არ მიმაღავენდენ, მოქმედობდენ ყოველად უსი-რცხვილოდა და მოურიდებლად, რადგან ასე ეგონათ, რომ ესეც ჩვენი თანამგრძნობელიაო. ვფიქრობ ახლა, გავიქცე სადმე აქედანა, თუ არა-მეთქი? ვხედავ, რომ ისევ დარჩენა სჯობიან.

ვიდრე უკეთესი დრო მომეცემა-მეთქი. როცა დაუწყეს ზიდვა კარსუნინდან ხალიჩებსა; ფარჩასა, საათებსა, ძვირფას განძეულსა. ჰოაოი, ბატონო, სულ ტირილი მომდიოდა. არ ვიცი, დაიჯერებთ თუ არა და, ის ავაზაკნი ექვს-ექვს ვერცხლის კოვზსა ჯერ თითო ტალერადა ჰყიდნენ და მერე თითო ჩარქა არასადაცა. ოქროს ღილს ხომ თუნდ ნახევარ ჩარქადაც იყიდოდა კაცი. ვსთქვი ჩემთვისა, არა, რასა ვზივარ ასე გულ-ხელდაკრეფილი-მეთქი? მოდი და შევიძენ რასმე-მეთქი პატარასა. თუ ღმერთი შემეწია და დავბრუნდი როდისმე საეენძიანოში, ტყის-პირულასა, ავიღებ და ამ შენაძენს ჩემს დედ-მამას მივცემ-მეთქი. საწყლებს აგერ ორმოც და ათი წელიწადია დავა აქვთ იაროვსკებთანა და ფულს კი ვერა შოვობენ სამართალში სასიარულოდა. მოვყე და დავუწყე, ბატონო, ყიდვა და იმდენი რამ საგანძური ვიყიდე, რომ ორს ცხენს ძლივს ავკიდე ტვირთად... რაც უნდა იყოს, ცოტაოდნად მაინც გადავაყოლიე გული ამ საქმეს, თორემ უთქვენოდ ძალიან მოწყენილი ვიყავი.

— ჰა-ჰაი, ეენძიანო, შენ სულ ეგრე იცი! საცა არა მგონია, გინდა სარგებელი ჰნახო.

— თუ ღმერთმა ასე მიშველა, რა ურიგოა? ხომ არასი ვიპარავდი და, თუ საგზაოდ მაშინ ერთი ქისა ფული მიბოძეთ, აი ის ქისა! უნდა უკანვე მოგართვათ, რადგან რაზლოგში მისასვლელად მიბოძეთ, ხოლო რაზლოგამდე კი ვეღარ მივადწიე.

ეენძიანმა ქისა სტოლზე დასდო. პან სქშეტუსკის პირლიმილი მოუვიდა.

— თუ ბედმა აგრე გაგიღიმა, მაშ ეხლა შენ ჩემზედ მდიდარი იქმნები. ბარემ ეგ ქისაც შენი იყოს.

— მაღლობას მოგახსენებთ. ღვთით, ცოტა რამ შევიძინე! იმდენი კი შემიგროვდა, რომ დედ-მამასა და პაპა-ჩემს ნუგეში რამ ვსცე... მერე პაპა-ჩემი აგერ ოთხმოც და ათის წლისა სრულდებოდა. იაროვსკებს კი სულს ამოვართმევთ დავი-დარაბაში, სულ დავაგლახავებთ. არც კი თქვენა ხართ ზარალში: ახლა ხომ იმ ქამარსაც აღარ მოგთხოვთ, კუდაკში რომ დამპირდით, თუმცა

ყოველივე თქვენი მონღობილობა, რაც კი შეშეძლო, შეეასრულო.

— ეგეც მოიგონე... ჰაი, შე საძაგელო! სწორედ ნამდვილი გაუმადლარი მგელი ხარ — *lupus insatibiles!* არ ვიცი, სად არის ახლა ის ქამარი, მაგრამ რაკი დაგპირდი, მოგცემ კიდევცა, ის არ იქნება, სხვა იყოს... აბა, მოჰყევი კიდევ.

— მომიმართა ღმერთმა ხელი და დიდი სარგებლობა ვნახე იმ ავაზაკთა შორის. ერთი რამ მაწუხებდა: არ ვიცოდი, რა ამბავი იყო თქვენს თავს და გაიტაცა-მეთქი თუ არა ბოგუნმა პანნა. მეუბნებოდნენ კია, ეხლა ის ჩერკასში წევს ავადმყოფი და ძლივსა სუნთქავსო: ისე დაუტყუებიათ და დაუკუწავთ თავადებსაო. გავწიე მეც ჩერკასსა; მოგეხსენებათ, ვიცი იარების მორჩენა და მალამოს მოშადება. პოლკოვნიკმა დონეცმა მთხოვა, რომ ყური შეგდო და მომეწლო იმ ავაზაკისათვის. მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე თავისუფლად, როცა გავიგე, რომ ჩვენი პანნა იმ სქელ-სქელ შლიახტიჩს წაჰყოლოდა. მივედი ბოგუნთანა. ვამბობ: მიცნობს ნეტავი თუ არა-მეთქი? ის საცოდავი გავარვარებული იყო სიცხითა. ბოლოს მიცნო და მეუბნევა: „შენ იყავი, რაზლოგში რომ წერილები მიგქონდა?“ მე ვუთხარი: „მე ვიყავ-მეთქი“. კვლავ მეკითხება: „შენ დაგქერი ჩიგირინში?“ — „ღიღ-მეთქი, — მე“. — „პან სქშეტუსკის შენ ახლავხარო?“ მოგყე მაშინვე ტყუილების დანარცხებასა: „არავისაც არ ვახლავარ-მეთქი. მაგ მსლებლობაში ავიუფრო ბევრი ვნახე, ვიდრე კარგი და ახლა თავისუფალი კაცი ვარ-მეთქი, წამოვედი ყაზახებთან და აგერ ათი დღეა, რაც თქვენ კეთილშობილებას ვახლავარ-მეთქი. დაიჯერა ჩემი ლაპარაკი და ბოლოს ძლიერ შევუყვარდი. იმან მიაბზო, რომ რაზლოგი გადაეწვათ, ორი თავადი მოეკლათ და ორი კი რალაც მიზეზით ასცდნოდნენ ჩვენის თავადის ჯარებსა და ლიტველების ჯარში შესულიყვნენ. მაგრამ როცა კი ის სქელ-სქელი შლიახტიჩი გაახსენდებოდა ხოლმე, ისეთნაირად აკრაქუნებდა კბილებსა, ისეთნაირად, რომ...

— დიდ ხანს იყო ავადა?

— დიდ ხანს, დღე ხანსა! ხან შეიკრავდა პირს წყლულები, ხან ისევ დაუწყებდა ტკივილს. ბევრი დამე გავატარე იმის სახლში, ვუჯექი გვერდზედ და ვგდებულობდი ყურსა (ისიმც გადაშენებულა, ჰო, და აგრე!) უნდა მოგახსენოთ, აღთქმა დავდე სამაგიერო გადავუხადო და, თუნდა რომ მთელს ჩემს სიცოცხლეში იმის მოვლა მომინდეს, მაინც ამ აღთქმას არ გავტეხავ... უბატიურად მომეკიდა, ასე დამამახინჯა და მე ხომ ვიგინდრა არა ვარ... შლიახტიჩი გახლავარ... მერე, ათასჯერ მომეცა მარჯვე შემთხვევა, ჩვენს ოთახში არავინ იყო ხოლმე ჩვენს მეტი; ვამბობდი, ესცე ხანჯალი თუ არა-მეთქი? მაგრამ მერე მევე შემრცხვებოდა ხოლმე... ავადმყოფია, უიარაღო-მეთქი!...

— კარგა გიქმნია, რომ *aegrotum et inertem* არ მოგიკლავს. საშინელი უნამუსობა იქმნებოდა.

— მეც ვგრე ვფიქრობდი, როგორცა ჰხედავთ. მერე ისიც მომაგონდა, როცა სახლიდან წამოვედი, პაპა-ჩემმა პირჯვარი გადამწერა და მითხრა: „გახსოვდეს რომ შლიახტიჩი ხარ, სახელი არ გაიტეხო, ერთგულად იმსახურე და ნურავის ნებას ნუ მისცემ შეურაცხ-გყონ.“ ასე დამადგა: შლიახტიჩმა რომ უნამუსო საქმე მოიქმედოს, უფალი ჩვენი იესო ატირდება ცაშიაო. გამახსენდა ყოველივე ესე და მეტა ღონე არ იყო მარჯვე ღროს თავი დავანებე. ამასობაში უფრო და უფრო შევეუყვარდი. „მითხარი, რითი დაგაჯილდოვო?“ — რითიცა გნებავთ-მეთქი. „ვერ დავმალავ, უხვად დამაჯილდოვა სწორედ. რაც მომცა, არაფერზე უარი არა ესაქვი; გულში ვამბობდი, რად უნდა დავტოვო ყოველივე ესე ავაზაკის ხელში-მეთქი? იმის მიხედვით, ყველა მაჯილდოვებდა, იმიტომ რომ ყველას უყვართ იქ ის კაცი, ქვემოურებსაცა და მდაბიოთაც, თუმცა მთელს რესპუბლიკაში ისეთს შლიახტიჩს ვერ იპოვი, რომ ისე ეჯავრებოდეს მდაბიონი, როგორც იმას...“

ჟენძიანმა თავი გაიქნია.

— საკვირველი კაცია და უნდა გამოტეხილი ვთქვა, კეთილშობილის კაცის გული აქვს. როგორ უყვარს პანა, როგორა

ღმერთო, ყოვლად მოწყალეო! მორჩა თუ არა, მაშინვე ღონე-
ცის ცოლი მოვიდა, უნდა უკითხოვო. უკითხა, უკითხა და
სულ ცუდად მოდიოდა საქმე. ის საზიზღარი დედაკაცი კუ-
დიანია სწორედ... ეს კია, ლამაზია. მალალ-მალალია, წამოსა-
დგეი, კბილები ღიდები აქვს, თეთრი, თითქო ცხენიაო, ღო-
ნიერია; როცა დადის, გგონია დედა-მიწა დგანდგარებსო. გადა-
რია კი ღმერთმა: დამიწყო მიჯნურობა. ისე არ გამივლიდა
გვერდზედ, რომ არ ეჩმიტა, ან სახელო არ დაეწია; „წავიდე-
თო“, მეუბნეოდა. სად უნდა წავყოლოდი? წაყვებოდი და,
ვინ იცის, ისეთს ეშმაკების ხელში ჩამაგდებდა, რომ მიმახრ-
ჩობდნენ სადმე; ხომ დამელუპებოდა მერე, რაც შევიძინე! ამი-
ტომ ასე ვეტყვადი ხოლმე: „ვინცა გყვანან, ისინი არ გეყო-
ფიან-მეთქი?“ ის კი ასე დამადგებოდა ხოლმე: „შენ ჩამივარდი
გულშიო“. — „დაიკარგე-მეთქი აქედან!“ ის კი მაინც თავისას
არ იშლიდა: „გულში ჩამივარდიო და გულში ჩამივარდიო“.

— უყურე კიდევ, როგორა მკითხაობდა?

— როგორ არ ვუყურე! გარშემო ბოლი სდგას, შიშინი
ისმის რაღაცა, ჩხავილი, აჩრდილნი... შემეშინდა სწორედ. თვი-
თონ სდგას შუა ოთახში, კოპებ-შეკრული, წარბებ-შეჭმუხენი-
ლი და რაღასაც ბუტბუტებს, ან არა და, დაუწყებს ცხრილზედ
პურს ყრასა. მარცვლები ჭიასავით ფუთფუთებდა და ის კი სულ
ბუტბუტებდა და ბუტბუტებდა. ოჰ, ბატონო, ბოგუნის ისეთი
ავაზაკი რომ არ იყოს, სწორედ შესაბრაღისი იქნებოდა ყო-
ველ ამისთანა მკითხაობის შემდეგ გაყვითლდებოდა კომშივი-
თა, დაემხოზოდა პირქვე და დაიწყებდა ქვითინსა; მოჰყვებო-
და ხვეწნას: „ჰანნავ, ჰანნავ, მაპატივე რომ მოვედი რაზლოგს
და შენი ბიძაშვილები ამოვწყვიტეო. სადა ხარ, ჩემო სიცო-
ცხლევე, სადა? ხელის გულზედ დაგისვამდი და ისე გატარებდი,
ახლა კი ღმერთმა ნუ მაცოცხლოს უშენოდ?...“ ან კიდევ: „ხელს
არ დაგაკარებ, შენი ყმა ვიქნები, შენი ფინია ვიქნები, ოღონდ
კი შენ გიყურო, სიცოცხლევე!“ ან არადა, გაახსენდებოდა ჰან
ზაგლობა და დაიწყებდა კბილების კრაჭუნსა, ბალიშის კბენას...

და იყო ასე, ვიდრე არ დაეძინებოდა, მაგრამ ძილშიაც კი სულ ოხრავდა და ჰგმინავდა.

— კარგი კი არა უთხრა-რა იმ მკითხავმა?

— იქნება კარგიც-რამ უთხრა შემდეგ, როცა მორჩა, მაგრამ მე მაშინ იმასთან აღარ ვიყავი. ქსენძი ლასკო მოვიდა და ბოგუნმა ისე მოახერხა, რომ იმას წავყევი გუშას. ავაზაკები არიან, იცოდნენ, რომ მკირე განძეულობა არა მქონდა, მერე მეც არა ვმალავდი, რომ მივდივარ და ჩემს დედ-მამას მინდა შევეწიო-მეთქი.

— არ გაგძარცვეს მერე?

— იქნება კიდეცა გავეძარცვეთ, მაგრამ ჩემს ბედზედ თათრები მაშინ იქ არ იყვნენ, ხოლო ყაზახებს ბოგუნისა ეშინოდათ. ესეც კია, რომ ყაზახებს ეგონათ, ვითომ მე იმათი დიდი თანამგრძნობელი ვიყავი. თვით ხმელნიცკიმ მიბრძანა, ყური უგდე და მიაშბე, როცა ილაპარაკებენ ბრაცლავის მოურავ-ერისთავთან, თუ პანებმა მოიყარონ იქ თავიო. ეშმაკმა უამბოს, თუ კარგია! გავედი გუშას და ამ დროს მოვიდნენ კრივანოსის მოთარეშე რაზმნიცა და მოჰკლეს მამა ლასკო; ჩემი განძეული ნახევარი მიწაში ჩავფალი, ნახევარი გამოვიტაცე და წამოვედი აქა, იმიტომ რომ ყური მოვკარი, პან სქშეტუსკი ზასლავს ახლოა და ხალხის დამშვიდებლსა ცდილობსო. მადლობა ღმერთსა, რომ კარგადა გნახეთ და მშვიდობითა, ახლა კი ბოლო მოეღება ყოველსავე ავსა და ბოროტსა. არა, ხომ ეეუბნებოდით იმ ჩამოსახრჩობებსა, რომელნიც ჩვენის თავადის საწინააღმდეგოდ მოდიოდნენ, უკან ვეღარ დაბრუნდებით მეთქი, მაგრამ ვინ გამიგონა. წავიდნენ ახლა და საცა თავისი სთქვან, იქ ჩვენიც არ დაივიწყონ! იქნება ომიანობაც მალე გათავდეს.

— ეგ კი, ვინ იცის! ვგონებ ნამდვილი ომი ახლა დაიწყება, თვით ხმელნიცკის შევებმევით.

— დაქორწინების შემდეგ იომებთ მერე?

— შენა გგონია, ქორწინების შემდეგ გავლაჩრდები?

— სრულიადაც არა. წავუღებ მამას, რაც შევიძინე და მერე მინდოდა ისევ თქვენთან დავბრუნებულაყავ. იქნება ბო-

გუნთან ანგარიშის გასწორება მომიხდეს და სად შევხვდები, თუ არ მინდორ-ველიად? სულ ხომ ავად არ იქნება...

— ოჰო, ძალიან გულ-ღრძო კაცი ყოფილხარ შენა!

— ჩემს წყენას მე არავის შევარჩენ. აღთქმა დავდე და თუნდ ოსმალოში წავალ იმის გულისათვის. ახლა კი ტარნო-პოლს წამოვალ თქვენთან ერთად. ბარს ტარნოპოლის გზით რად მიდიხართ თქვენა? ეგრე რა გზაა ან კია?

— ჯარი აგრე უნდა წავიდეს და ჯარის უფროსი აქ მე ვარ, აბა, ახლა ვისაუზმოთ. დანაყრების შემდეგ, ავდგეთ და გავუდგეთ გზას.

— მე თუნდა ამ წუთსავე მზადა ვარ, მაგრამ ეს ცხენი მყავს დაღლილი.

— ვუბრძანებ, რომ სხვა მოგიყვანონ, უკეთესი. შეჯექ და იმიითი წამოდი.

— დიდად გმადლობთ!— ენძიანმა მხიარულად გაიღიმა. ეს შესამე საჩუქარი იყო, თუ ქისასა და ქამარსაც ვიანგარი შებთ. ქამარს კულაკშივე დაჰპირდა პან სქშეტუსკი.

XVII

პან სქშეტუსკის ახალი ბრძანება მოუვიდა და ახლა ზბარაჟს გაემგზავრა თავის სადროშო ჯარით და არა ტარნო-პოლს. ჯარი ნელ-ნელა მიდიოდა; მთლად ის მხარე საშინლად იყო აოხრებული, ისე რომ ნუზლ-სურსათის შოვნა ძალიან ძნელი იყო. გზაში აქა-იქ მრავლად შეხვდნენ გუნდნი ბრბოთა, უფრო დედაკაცთა და მცირე-წლოვანთა, რომელნიც ღმერთს შესთხოვდნენ, ან სიკვდილი გვადირსე, ან თათრების ხელში ჩაგვყარე ტყვედაო: ტყვეობაში ჰურს შინც გვაქმევენო. მკის დრო იყო, მაგრამ კრივანოსის ჯარებს განადგურებინათ ყოველივე, რის განადგურებაც კი შეიძლებოდა. მცხოვრებნი ხის ქერქით იკეებებოდნენ.

ზბარაჟს დიდ-ძალი ხალხი შეკრებილიყო, თავადი ერემია იქ დაბანაკდა მთელის თვისის მხედრობითა და ამას გარდა არც

მცირედი თავად-აზნაურობაც მისულიყო. ყველა გრძნობდა, რომ ომიანობა უნდა დაწყებულიყო კვლავ, ყველას ომი ეკერა პირზედა, ქალაქში და მის გარშემო ფუთფუთი გაჰქონდა შეთოფიარადებულს ხალხს. ვარშავაში მშვიდობიანობის დასს, რომელსაც მხარს აძლევდა პან კისელი, ბრაცლავის მოურავ-ერისთავი, ჯერ კიდევ ხელი არ აეღო თავის განზრახვაზედ და უნდოდა ჩამოეგდო ლაპარაკი მტრებთან მოსარიგებლად. მიხვედრილი კი იყო ეს დასი, რომ ამაოა მოლაპარაკება, თუ ძლიერი მხედრობა არ გვიმაგრებს ზურგსაო. და აი გამოცხადებული იყო, რომ ქულზედ კაცი გამოვიდეს საომრადაო, ჯარები შემოგროვებულ იქნა რამდენსამე ალაგას და, თუმცა კანცლერი და დიდებულნი მოხელენი ჯერ კიდევ იმედს არა ჰკარგავდნენ, იქნებ მშვიდობიანად გავათავოთ საქმეო, მაინც თავად-აზნაურობა უფრო საომარ გუნებაზედ იდგა, ძლევა-გამარჯვებანი ვისნევეცკისა ძლიერ აფიცებდა ერის გონებას. ყველას სწყუროდა შური ეძია ყვითელ წყლებისა, კორსუნისა და ათასობით ტანჯულ-წამებულთათვის, სირცხვილისა და დამცირებისათვის. სახელი საშინელის თავადისა შეიმოსა ახალის დიდებითა და ამ სახელთან ერთად მიმოიფანტა ბალტიის ზღვის კიდეთაგან ყრუ მინდვრებამდე ახალი შავ-ბნელი სიტყვა: ომი, ომი და ომიო! ომის წინამორბედი ნიშანი იყო საშინელნი ცის მოვლენანიცა, მკვიდრთა შეშფოთებულნი სახენიცა, ძაღლების ყმულიცა ღამ-ღამითა, ჭიხვინი ცხენთაცა, რომელნიც წინადვე ჰგრძნობდნენ სისხლის ღვრის მოახლოვებასა. ომი! თავად-აზნაურობა ყველა ქალაქსა, დაბასა და სოფელში იღებდა ხელში ძველს, ჟანგ-მოკიდებულს თოფ-იარაღს და ჰფერავდა, ახალგაზღობა ერემიას სიმღერას აზობდა, ხოლო დედაკაცი ლოცულობდნენ კოსტელებში. და შემოკრებოდნენ მხედარნი პრუსიის სამზღვართაგან, დიდის პოლონეთიდან, მკვიდრ-მრავალ მაზოვიიდან, კარპატის შორეულ მთებიდან.

ღიად, ომი ყველას თვალეში უცქეროდა. მღელვარება იმიერ ჭორომეთისა, აჯანყება ერისა მთელს უკრაინაში იმიო

არ იყო გამოწვეული, რომ, აბა, ვძარცვოთო, პანები და მაგნატები ჩვენს სისხლსა სმენ, გვავიწროებენო. ხმელნიცკიმ კარგად ივარაუდა ესა, ხელზედ დაიხვია მაგალითნი ერის სისხლის სმისა და პან-მაგნატების ძალ-მომრეობისა (ხოლო ყოველივე ესე იშვიათი არ იყო იმ შავ-ბნელსა და სასტიკს ღროსა), სოციალური ომი სარწმუნოებრივ ომად გარდააქცია, ცეცხლი შეუკეთა ერის ფანატიზმსა და უცბად გასთხარა ღრმა თხრილი გადაკიდებულთა შორის, ის თხრილი, რომლის ამოვსებაც შეუძლიან მხოლოდ სისხლსა და გვამთა გროვსა.

და, ელოდა-რა გულში, რომ ეცდებიან და მშვიდობიანობას ჩამოაგდებენო, მხოლოდ ის უნდოდა, ეგებ როგორმე, თუნდ ღროებით მაინც შევირჩინო ჩემი ძლიერებაო. მერე-და? რა იქნებოდა მერე, ამას იმიერ-ჭორომეთის გეტმანი არ დასდევდა, მერმისს თვალს არ უშტერებდა და მისთვის არა ჰზრუნავდა.

მან არ იცოდა ჯგერა, რომ მის-მიერ გათხრილი ხევი მეტად ღრმა იყო, რომ იმაზედ ხიდის გადება არ შეეძლო არავითარს მშვიდობიანობისათვის დადებულ ხელ-შეკრულებას, ისეთის ხიდის გადება, რომელსაც რამდენსამე ხანს მაინც თავი დაეკირა. შორს-მჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო და ის კი არ იცოდა, რომ დამშვიდებით ვეღარ მოიმკიდა თვისთა სისხლ-შესვრილ საქმეთა ნაყოფსა.

მიხვედრა კი ამისი ძნელი არ იყო. როცა ათასობით შეთოფ-იარაღებულნი მხედრობანი დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს სამტროდა, იქ მოლაპარაკების დასაწერ ეტრატად იქმნებოდა მინდორი, ხოლო კალმად—შუბნი და ხმაღნი.

ყოველი წვლილი და კნინი მომასწავებელი იყო ომისა და თვით მდაბიონიც კი ჰგრძნობდნენ, თითქო სუნი აუღიათო, რომ სხვაფრივ არც შეიძლებოდა. თვალნი ყოველთა თავად ერემიაზედ იყო უნებლიედ მიქცეულნი, იმ ერემიაზედ, რომელმაც იმ თავითვე დაიწყო ომი და სთქვა, ან სიცოცხლე ან სიკვდილიო. მის დიდებულის სახის წინაშე თითქო მცირდებოდა, იღვოდა კანცლერიცა, ბრაცლავის მოურავ-ერისთავიცა

და ყოვლად ძლიერი თავადი დომინიკი, გამოცხადებულნი უმთავრესს სპასკეტად და ამირ-სპასალარად. მცირდებოდა და ილიეოდა მათი მნიშვნელობა, მათი უფლება-ხელმწიფება. ჯარ-მა და შლიახტა ბრძანება მიიღო, შეგროვდით ლეოვსაო, ხოლო შემდეგ გლინიანსაო. თანხმად ამ ბრძანებისა, ჯარმა დაიწყო ნელ-ნელა თავ-მოკრება იქ ახლო-მახლო სადროშო სამოურავოებიდან, გარნა ახალმა ნიშნებმა შეშფოთებისა და მოუსვენრობისამ დაუწყო მუქარა რესპუბლიკის სახელსა და ღირსებას. არა მარტო ნაკლებად გამგონი და მორჩილნი რაზმნი ქუდზედ კაც-გამოსულთა, არამედ ჯამაგირით მყოფნი ჯარნიც, ერთად თავ-მოკრების შემდეგ, არ ემორჩილებოდნენ თავ-თავიანთ უფროსთა და, ბრძანების წინააღმდეგ, მისწრაფოდნენ ზბარაჟს, თავად ერემიას ჯარში ჩასადგომად. ასე მოიქცნენ ჯერ კიევისა და ბრაცლავის სამოურავონი, —იქაური შლიახტა მსახურებდა ოდესმე ერემიას ბრძანებლობასა ქვეშე, —მერე რუსისა, ლუბელისა, ამათ აჰყენენ სახასო ჯარნი და, ადვილად მოსალოდნელი იყო, რომ დანარჩენებიც მათს მაგალითს მიჰბაძვდნენ. განგებ ჩრდილში მიყენებულს ერემიას ძალა გარემოებათა ჰქმნიდა სრულიად რესპუბლიკის გეტმანად და უფროსად. შლიახტა და მხედრობა, გულითა და სულით მისი ერთგული, მხოლოდ ერემიას ბრძანებას ელოდებოდა. ყოვლადი ხელმწიფება, ომი, მშვიდობიანობა, მერმისი რესპუბლიკისა, —ყოველივე მის ხელთ იყო.

დღითი-დღე იზრდებოდა, დღითი-დღე ემატებოდა, ახალ-ახალი ჯარი მის მხედრობას და ბოლოს ესოდენ აღმაღლდა, რომ ჩრდილმა მისმა დაუწყო დაჩრდილვა არა მარტო კანტლერსა, არამედ სენატსაც, ვარშავასაც, სრულიად რესპუბლიკასაცა.

ვარშავაში და გეტმანთა ბანაკად, თავად დომინიკისა და ბრაცლავის მოურავის ამაღლაში და ყველგან, საცა კი ერემიასთვის ძვირის მდომელნი იყვნენ, დაიწყეს ლაპარაკი და მითქმამოთქმა, უზომოდ აშპარტავანია და ქედ-მაღალი გოროზიო. მოიგონეს საქმე გაღიანისა, როცა ამაყი თავადო შევიდა ვარშა-

ვაში ოთხი ათასის ჯარი, შემოერთყა სენატს, შეამტვრია მისი კარები და მზად იყო აეჩენა ყველანი და თვით მეფეც კი.

რას უნდა ველოდეთ ასეთის კაცისაგან და რა ხასიათზედ უნდა იდგეს ახლა, შემდეგ თვისის გამოლაშქრებისა იმიერ დნებრის მხრიდან, შემდეგ ძლევა-გამარჯვებათა, რომელთაც ასეთის დიდებით შეჰმოსეს მისი სახელიო? სად არის სამზღვარო მისის ქედ-მაღალის ზვიადობისა, რომელიც შთაჰბერა ამ კაცს ჯარის-კაცთა და შლიახტის ყურ-მოჭრილმა ყმობამ, ბრმა თაყვანის ცემამაო? ვის შეუძლიან ახლა წინ აღუდგეს იმათაო? რა მოუვა რესპუბლიკას, უკეთუ ერთს კაცს ძალუქს ეურჩებოდეს სენატის სურვილს და ართმევდეს ხელმწიფება-ბატონობას თვით მთავრობისაგან დანიშნულ უფროსთაო? მართალია, რომ ვითომ ერემიას განზრახვა აქვს გვირგვინით შეამკოს ბატონიშვილი კარლოსი? შეიძლება მარის შევეუთანასწოროთ იგი თავადი, გარნა ღმერთმა ჰქმნას, რომ გულზვიადობამ არ ატვირთებინოს როლი მარკოზ კორიოლანისა ანუ კატილინასიო.

ასე ლაპარაკობდნენ ვარშავაში, ხოლო ის, ახალი მარი, იჯდა ზბარაჟს თავ-პირ ჩამობნელებული, გამოცანად გადაქცეული. ახალთა ძლევა-გამარჯვებათა ვერ მოაშორეს მისს პირისახეს ღრუბელი ზრუნვისა. როცა მოვიდოდა, ვსთქვათ, ზბარაჟს რომელიმე ახალი რაზმი ჯარისა, თავადი გამოეგებებოდა მისასალმებლად, ერთის თვალის გადავლებით დააფასებდა მისს მნიშვნელობას და კვლავ მიეცემოდა მოღრუბლულს ნადვლიანობას. ჯარის-კაცი ფუთფუთებდნენ მის გარეშემო, მუხლს იდრეკდნენ მის წინაშე, ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს უძლეველს წინამძღვარს, დიდებულს ჰერკულესს! უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ შენთვისაო!“ ხოლო თავადი პასუხად ეუბნებოდა: „თავს გიკრავთ დაბლა! ჩვენ ყველანი მსახურნი ვართ ქრისტესიო“ და მიდიოდა თავის სახლში, ერიდებოდა ხალხში ყოფნას და განუწყვეტლივ ებრძოდა თავის ფიქრ-აზრებსა. ამასობაში სულ ახალ-ახალი ჯარი მოდიოდა და ემატებოდა მისს მხედრობას. ქუდზე-კაც-გამოსულნი მთვრალობდნენ დილიდან საღამომდე, დაფრატუნებდნენ ქუჩა-ქუჩა, აურ-

ზაურობდნენ და სტეხდნენ ჩხუბს უცხო ჯარების აფიცრებთან. ჯამაგირის ჯარის-კაცნიც იმათს მაგალითს ჰბაძავდნენ, რაკი ჰგრძნობდნენ, რომ სიმტიკეცე წესისა შერყეულიაო. დღე ისე არ გავიდოდა, რომ ახალი სტუმრები არა სწვეოდნენ ქალაქს, ახალ-ახალი მეჯლიში არ გამართულიყო, ქეიფი არ გაეწიათ მკვიდრ ბანოვანთა და კეკლუცთა შორის. ჯარებმა დაიჭირეს ყველა ქუჩები, ყველა განაპირა უბნები... და მერე რანაირ აქრელდა იქაურობა, რანაირ აფერადდა გარემონი! კაცს ეგონებოდა, ნახევარ-რესპუბლიკას აქ მოუყრია თავიო. თვალი აუჭრელდებოდა კაცს ამ მოოქროვილ ჯავშან-ჩაჩქნებითა, აბრეშუმ-ხავერდის ცქერითა, რომელიც ეცვათ სხვა-და-სხვა სა-მოურავოთა პან-მაგნატებსა.

გარნა ამ ბჭყვრიალსა და სიმდიდრეს შორის რაოდენ საწყალისა და უბადრუკის შესახედაობისა ბყვნენ ჯარის-კაცნი ვისნევეცკისა, დაღალულ-დაქანცულნი, დაკონკილ ტანისამოსით მოსილნი, ჩამომდნარნი, გაყვითლებულნი! სხვა-და-სხვა რაზმის აფიცრები უფრო გლახაკებსა ჰგვანდნენ... საღ დაუმხარ-დამხარდებიან ახლად მოსულ სტუმართა მხლებლებსაც კი.. გარნა მაინც ყველანი ქუდს უხდიან, ყველანი თავსა ჰხრიან ამ უბადრუკობის წინაშე; უბადრუკობა იგი ესოდენ ამკობს გმირებსა! ომი, ვითა სატურნი, სჭამს თვისთა ძეთა, ხოლო ვისაც ვერ შეშჭამს, ჰხრავს და სტრცვნის ისე, როგორც მშიერმა ძაღლმა გამოჰხრას და გასტრცვნას ძვალი. ეს ტანისამოსი გაახუნა წვიმამა და მზემა ჟამსა სამძიმო ლაშქრობისასა, ეს ჟანგი, რომელიც მოჰკიდებია იარაღის რკინასა, სისხლია საკუთარი ანუ მტრისა, ან არა და ერთიც არის და მეორეც. ვისნევეცკიანებს ყველგან პირველი ადგილი ეთმობათ; დუქნებშიაცა და სასტუმროებშიაც ისინი არიან მომთხრობელნი ამა თუ იმ ამბავთა, გარნა სხვანი იმათ უსმენენ მხოლოდ. დავაცადოთ და ხან ერთს მსმენელს აუძგერდებოდა გული, ხან მეორეს, შეუფუბდებოდა სული და, თითქო ყელში წაუჭირეს და იხრჩობაო, წამოიძახებდა მუხლებზედ ხელების დაკვრითა: „დიდება შენთვის, უფალო! რა იყავით, ეშმაკნი და ქაჯნი, თუ

ადამიანი-შვილები?“ ხოლო ვისნევეცკიანი უპასუხებდნენ: „ეგ ჩვენი ღვაწლი კი არ იყო, არამედ ჩვენის წინამძღვარისა, რომლის ტოლი და სწორი ჯერ არ დაუბადნია დედა-მიწას“. და აი ყოველ ამგვარ ქეიფისა და ნაღიმის დროს გაისმოდა აღფრთოვანებით: *Vivat ერემია! Vivat თავადო მოურავ-ერისთავო, წინამძღვარო წინამძღვართა და გეტმანო გეტმანთა!..*“ შეზარხოშდებოდა თუ არა შლიახტა, მოეფინებოდა ქუჩებს, ისვრავდა თოფ-დამბაჩას, ხოლო რაკი ვისნევეცკიანები ამბობდნენ, რომ ეს თავისუფლება დროებითა გვაქვს მონიჭებულიო, რომ მალე თავადი ხელს ჩაგვკიდებს და ისეთს სასტიკს წესს დამყარებს, რომლისთანაც თქვენ ჯერ იქნება არც კი ვაგიგონიათო, ყველა ესწრაფებოდა ჟინი მოეკლა ქეიფისა და მხიარულებისა. „*Gaudeamus*“, ვიღრე დრო გვაქვს!— გაჰყვიროდა შლიახტა.— როცა საჭირო იქნება, ვიყენებ მორჩილნი. მადლობა ღმერთს, ისეთიცა გვყავს, ვისიც მორჩილება სასიხარულოც კია!“ ამ დროს ცოტა მათრახები არა ჰხვდებოდა უბედურს თავადს დომინიკსა. ამბობდნენ, რომ მთელი დღე სდგას და ლოცულობსო, ხოლო ღამე ლოთობს, ომი ხომ იმდენი უნახავს, რამდენიც იმის სასახლეში გაკრულ ჰოლანდიურ ხალიჩებზეა დახატულიო. თავად დომინიკესაკენ ერთი არ იტყოდა კეთილს სიტყვასა, ყველა იმას აგინებდა, მეტადრე ისინი, ვინც დანაშაულში იყვნენ სამხედრო წეს-რიგის დარღვევისათვის.

ამისთანაობაში თავი იჩინა უურო პან ზაგალობამ. მენჯების ტკივილმა გაუარა და ეხლა ძალიან კარგადა ჰკარძობდა თავსა. ამოა იქნება ვსთქვათ, ამდენ-ამდენსა სვამდა და სკამდო, სულ ერთია, მაინც არავინ დაიჯერებს. მუდამ მთელი გუნდი ერთყა გარშემო ჯარის-კაცთა და შლიახტისა, ხოლო ზაგლობა, ვიოჰომც აქ არაფერიაო, ისევ იმათ დასცინოდა, ვინც უმასინძღდებოდა და ჰპატიჟობდა. ყველას აბუჩად იჭერდა, ვითომ და მე ხნიერი, გამოცდილი ჯარის-კაცი ვარ და თქვენ ვინა ჰყრიხართო. ამიტომ ჰიმვითა და გაბღინძვით ეუბნებოდა: „თქვენა? იმდენადვე გაქვთ ნაცადი ომში თავი, რამდენადაც მოლოზანსა ჰყავს ნაცადი მამაკაცი.. ჰჰ, ომი მწვადის შე-

თლა არ გახლავთ: იქ რომ წამოდგები დილითა, პილატეს ცრემლს არავინ გადაგაკვრევენებს და ჩურჩხელას არ შემოგთავაზებენ, ყელი ჩაიკოკლოზინავეო. იცოცხლე, ქონი მოგაკლდეთ, ლოყები ჩამოგახმეთ და ისე დაიწვათ, როგორც ბა-ლახი იწვის მზეზედ. ჰეეეი! ბევრი ტანჯვაკი გამოვიარე, მაგრამ, სამაგიეროდ, მოგეცათ ღვთის-წყალობა, ერთი და ორი დროშაც არ გამოვიტაცე მტრისა, გარნა უნდა გითხრათ, არც ერთის წართმევა არ დამჯდომია ისე ძვირად, როგორც იმის გამოტაცება, რომელიც კონსტანტინოვთან წავართვი ყახახებსა. ოი, ამოსწყვიტა ღმერთმა ეს იმიერ-ქორომელნი. აი, ჰკითხეთ პან სქშეტუსკისა, აიმასა, რომელმაც ბურღბუტს თავი გაუგალა; იმანა ჰნახა ყოველივე თავის თვალითა, ჰნახა და უკვირდა. ან აი რა გითხრათ: ჩაჰყვირეთ ყურში რომელსამე ყახახსა: „ზავლობა-თქო!“ და დაინახავთ, რაც მოჰხდება. და ან კი რა უნდა გელაპარაკოთ. თქვენ აი ბუზები თუ გიხოცნიათ სატკაცუნებელის თოფებით კედლებზედა, თორემ სხვა არაფერი არა გინახავთ-რა.

— როგორ იყო ევა, როგორ? — ეკითხებოდა ახალგაზდობა.

— თქვენ უთუოდ ის გინდათ, რომ ყბედობით ისე გამოიფიცხდეს ენა, როგორც ურმის ღერძი აიწვის ხოლმე?

— წასმა უნდა საპნისა! ღვინო მოიტათ! — ჰყვიროდა შლიახტა.

— ეგ კი მართალია, სწორედ.

მაშინ კი პან ზავლობა კმაყოფილებით ილიმებოდა, მხიარული მით, რომ ეპოვნე ჩემდა მადლობით აღვისილნი მსმენელნიო და უამბობდა ყველაფერს ათადან-ბაბადან, გალატიდან დაწყებული დროშის წართმევამდე კონსტანტინოვის ახლოს, მსმენელნი სულ-განაბულნი ისმენდნენ და მხოლოდ ათასში ერთხელ დაუწუნებდნენ ხოლმე ზავლობას ნალაპარაკევს: მეტადრე მაშინ, როცა სქელ-სქელი შლიახტიჩი ქება-დიდებით მოიხსენიებდა თავის ვაჟკაცობა-გუჯადობას და დაცინვით დაუუმხარდამხარებდა ამ თვისთა საგმირო საქმეთა მსმენლების გამო-

უცდელიობას; სმით კი მაინც სვამდა ყოველ დღე და იყო ხოლმე ასე გაღვიძილი.

ღიად, ზბარაჟში ისეთი მხიარულება და რა ამბავია იყო, რომ მოხუცი ზაცვილიხოვსკი და სხვა დამსახურებული აფიკრები ჰკვირობდნენ: ნეტავ რა მიზეზია, რომ თავადი არ მოსპობს ამ საყოველთაო ჭირვეულს ქეიფსაო. თავადი კი იჯდა სულ სახლში და, საფიქრებელია, განგებ მისცა შეძლება ჯარს ქეიფისა და მხიარულებისა მოახლოვებულ ომის წინად. მოვიდა სქშეტუსკიცა და უცბად ჩაიხვია ისიც რაღაც ზვირთ-ტალღამა. თავის კარგ ამხანაგ-მეგობართა შორის უნდოდა ყოფნა, მაგრამ გული უფრო ძლიერ მისწევდა ბარს, საცა ეგულებოდა თავისი სულის-დგმა: წავალ, ვნახავ და მისის დანახვით სულ გავიქარვებ ყოველსავე ჩემს დარდას და ნაღველსაო. დრო აღარ დაჰკარგა, ეახლა თავადს იმ აზრით, რომ მივსცემ ანგარიშს ზასლავს ყოფნისას და ვსთხოვ დამითხოვოს რამდენისამე ხნითაო.

ჰან სქშეტუსკიმ ინახულა თავადი, მაგრამ ძალიან კი გაოცდა, რადგან ერემია საშინლად გამოცვლილიყო. დავიჯერო ეს ის გმირია, რომელიც მახნოვკასა და კონსტანტინოვს მინახავსო?—ამბობდა გულში სქშეტუსკი. მის წინაშე იდგა კაცი, მწუხარება-ნაღველით წელში მოხრილი, თვალეზ-ჩაცვინებული, ტუჩებ-გაფიცებული, თითქო ციებ-ცხელება ჩასცივებიაო. სქშეტუსკის მოკითხვაზედ თავადმა მოკლედ და გულ-ცივად სთქვა, კარგადა ვარო (რაინდმა, ღიადაც, რომ ვერ გაჰბედა დაწვრილებით დაეწყო გამოკითხვა, როგორა ხარ, რა გტკივაო) და მოსთხოვა ანგარიში. როცა საქმე გაათავეს, ჰან სქშეტუსკიმ სთხოვა, ორის თვით დამითხოვეთო, ჯვარს დავიწერ, ცოლს სოფელში დავაბინავებ და ისევე გიახლებითაო.

თავადი სახტად დარჩა და ისე შეკრთა, თითქო ეძინა და უცებ გამოადიდძესო. მისი სახე გაშუქდა წინანდელის კეთილის ღმილითა, ციცინათელასავით აერთო და გულ-მხურვალედ გადაეხვია სქშეტუსკის.

— უჰ, მადლობა ღმერთსა! აჰა, გათავდა თქვენი ტანჯვა-წამებაცა. წადით, წადით, ღმერთმან გაკურთხოთ. მეც მინდოდა ვყოფილიყავ თქვენს ქორწილში, მაგრამ გარემოება ისეთია, რომ... არ შემძლიან. როდის გინდა წახვიდე?

— თავადო!... მე თუნდ ეხლაც მზად გახლავართ!..

— ხვალ დილით. მარტო, რასაკვირველია, ვერ წახვალ. სამას თათარს გაგატან თან ვერშულისას; უფრო უზრუნველად იქნებით. იმათთან ერთად უფრო ჩქარა მიხვალ, მერე გზა-გზა ათასგან შეგხვდებით ავაზაკნი და ათასნაირნი მაწანწალანი. ამას გარდა, გაგატანთ წერილს პან ანდრია პოტოცკისთან. ვიდრე თათრები მოვლენ, ვიდრე მოემზადებით, გათენდება კიდევცა.

— როგორც მიბრძანებთ. გარნა გავბედავ და ერთის თხოვნითაც შეგაწუხებთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ნება უბოძეთ ვოლოდიევსკისა და პოდბიჟენტას, ისინიც გამომყვენ.

— კარგი. დილით ჩემთან შემოიარეთ. გამოგეტხოვებთ და დაგლოცავთ. მინდოდა რაიმე საჩუქარი გამეგზავნა კნიაჟნასთვის. მის ძარღვებში ღირსეული სისხლი მდინარებს. იყავით ბედნიერ, ღირსნი ხართ ერთმანეთისა.

რაინდმა დაბლად დაუკრა თავი საყვარელს წინამძღვარსა მუხლი მოიდრიკა, ხოლო თავადი კვლავ იმეორებდა:

— აბა, ღმერთმან გაკურთხოთ! ღმერთმან გაკურთხოთ! ხვალ დილით მოდით.

ხოლო სქშეტუსკი აღარა დგებოდა და, ბოლოს, კარგა ხნის ყოყმანს შემდეგ, გაჰბედა და ჰკითხა:

— თქვენო ბრწყინვალეზავ!..

— რა გსურს სთქვა კიდევ?—აღერსით ჰკითხა თავადმა.

— მაპატივით კადნიერება, მაგრამ... მაგრამ გული მიკედება, თქვენ რომ გიყურებთ... ღვათის გულისათვის, მიბრძანეთ, რა ამბავია თქვენს თავს? მწუხარება გაწუხებთ, ავადა ბრძანდებით?

თავადმა ხელი დაადო თავზედა:

— რად გინდა, რომ იცოდე ეგა!—გულითა და სულითა სთქვა თავადმა.—მოდით ხეალ დილით.

პან სქშეტუსკი ადგა და წავიდა გულ-მტკივნეული.

— საღამოზედ ესტუმრენ: ზაცვილიხოვსკი, ვოლოდიევსკი, ზაგლობა, ხოლო მათთან პან პოდბიპენტაცა. ყველანი სტოლს მოუსხდნენ და ენძიანმა მალე ბოთლი და ფიალები შემოიტანა.

— უფალო, ღმერთო ჩემო!—დაიძახა პან ზაგლობამ გაკვირვებითა.—ეს რა ამბავია, შენი პაჟი მკვდრეთით აღსდგა, თუ როგორ არის?

ენძიანი მიუახლოვდა და მუხლებზედ მოეხვია.

— მკვდრეთით კი არ აღესდგე, ცოცხალი გადავრჩი, რადგან თქვენ დამხსენით სიკვდილისაგან.

— და მერე ბოგუნს დაუწყო სამსახური, —დაუმატა პან სქშეტუსკიმ.

— მაშასადამე, თავის ღროზე შეიძენ ეშმაკებისა და ქაჯების მფარველობასაცა, —დიდის ამბით და გაპრტყელებით წარმოსთქვა პან ზაგლობამა.—არა მგონია, რომ ბოგუნის სამსახურში კარგადა ყოფილიყავ. აჰა, ტალერი, აიღე!

— გმადლობთ!

— ეგა?—სთქვა პან სქშეტუსკიმ.—ეგ ისე კარგად თურმე მოეწყო იქა, რომ რაღა გითხრა: ჩარჩობდა, ჩალიშობდა ყაზახთა შორის, ჰყიდულობდა იმათგან ნადავლსა და ნაალაფევს და იმოდენა ქონება შეიძინა, რომ მე და შენ ვერ შევსძლებთ იმის შესყიდვასა, თუნდაც სულ გაჰყიდო. შენი მამულები სათსმალში.

— ეჰე! მართლა? აიღე ეგ ჩემი ტალერიც და ასარგებლე, იქნება ყოველივე დაგჭირდეს მაშინ, როცა სახარჩობელაზედ ჩამთაკონწიალბენ! მე და ჩემმა ღმერთმა, ეს ბიჭი ძალიან მომწონს! (პან ზაგლობამ ყურში წაავლო ხელი ენძიანსა და მოსწია) მიყვარან გაიძვერანი და მიწინასწარმეტყველებია შენთვის, რომ თავის ღროზედ კაცი შეიქმნები, თუ პირუტყვად

არ დარჩი. ჰო, რაიო, შენი ბატონი, ბოგუნი, არ მომიგონებდა ხოლმე?... ჰა?

ენდიანმა კრეკა დაიწყო; თავის ქებად მიიჩნია პან ზაგლობას სიტყვები.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ისე აგონდები, რომ სულ კბილებს აკრაქუნებს.

— დამეკარგე იკითა! — დაიღრიალა პან ზაგლობამ, რომელიც უცბად გაბრაზდა ამ სიტყვებზედ. — ნუ მიჰქარავ ემანდა.

ენდიანი გავიდა ოთახიდან, პან ზაგლობა ნელ-ნელა დამშვიდდა და მოჰყვა თავისებურად ქილიკობასა და ოხუნჯობას. ლაპარაკი მივარდ-მოვარდა და მოიხსენიეს ბოლონდელი ამბები, მისწვდნენ თავადსაცა. ბოლოს სქმეტუსკიმ იკითხა, რა უცნაური ცვლილება დასტყობია თავადსა, რაზედ გამოცვლილა ასე შესამჩნევად?

— იქნება ნეკრესის ქარები აუტყდა, — სთქვა ფიქრში წასულმა პან ზაგლობამ. — აი მე აქ არა ვარ: ე ბერა-თითი, ცერი, რომ დამიწყებს ხოლმე ტუნასა, ორსამ ღღეობით სულ მოშლილი ვარ.

— მე კი უნდა გითხრათ... — გაუბედავად დაიწყო პოდბიპენტამა, — პირად მე კი არ გამოგონია ქსენძ მუხოვეცკისაგან, მაგრამ ვილასთვისაც უთქვამს, რაც აწუხებს თავადსა. მე თითონ... რაო ახლა?... მე თითონ არას ვამბობ: თავადი დიდებული კაცია და სახელოვანი მხედარი, ქსენძი მუხოვეცკი კი... არა, ეს კია, რომ, რა ვიცი, მე ვერ ვიკისრებ დავამტკიცო...

— ოჰ, ღმერთო! — გააწყვეტინა სიტყვა პან ზაგლობამ: — სული არ ამოგვართვა? რასა ჰროშავ მოშლილი წისქვილივითა? ჰლექავ და ჰლექავ, აჭიანურებ ურჩის მკვდარივითა... კაცი ვერას გაიგებს.

— მერე, რა გაიგონეთ? — შეეკითხა პან სქმეტუსკი.

— აი რა... ამბობენ, რომ ვითომ თავადმა მეტის-მეტად ბევრი სისხლი დაჰღვარაო. დიდებული კაცია, მაგრამ ზომა არ იცის, როცა გაცეცხლდებაო და ახლა ასე ეჩვენება, ვითომ

ყოველივე სისხლით არის მორწყული... დღისითაც სულ სისხლი ელანდება, ღამეც სულ სისხლი... კაცს ეგონება, სისხლიანს ნისლს-ბურუსშიაო...

— სისულელეებს ნუ მოჰყოლიხართ ემანდა! — შეჰყვირა გაჯავრებით პან ზაგლობამ. — დედაკაცური ჭორებია ევა. მშვიდობიანობის დროს ერისათვის უკეთესი ბატონი აღარ შეიძლებოდა, როგორც ეგ იყო, ხოლო თუ შეწყალება არ იცის მემბოხეთა, ეგ ცოდვა კი არ არის, ღვაწლია. რა ტანჯვა და წამება უნდა იყოს მეტის-მეტი იმათთვის, ვინც სისხლის მორევში ჩაახრჩო სამშობლო, თათრებში ჰყიდდა თანამოძმეთა, ვინც დაივიწყა ღმერთიცა და ნამუსიცა? ერიგედი-ჰა, ძამია, შენ ხელი გქონია რკინისა და გული კი, ვხედევ, დედაკაცისა გაქვს! გნახე, როგორა სტიროდი, როცა პულიანსა სწვამდნენ და იძახდი, უმჯობესი იყო აეღოთ და მოეკლათ ბარემაო. ჰო, როგორ არა, თავადი ქალაქუნა არ გახლავთ; იცის, როგორ უნდა დასჯაცა და დასაჩუქრებაცა.

— მაშ, როგორ გგონიათ, რა ამბავია მის თავს? — ჰკითხა ვოლოდიევსკიმ.

— ჰმ, რა ვიცი, მე იმისი ვეჭილი არა ვარ და! რაღასაც ჰტიქრობს, ვარაუდობს, თავის-თავს ეძალება, ფიქრს ებრძვის. დიალაც, რომ მთლად მისი არსება, მისი სული რყევაშია, დულილშია... ხოლო რაც უფრო ღრმა ბუნებისა ადამიანი, მით უფრო ძლიერია მისი ტანჯვაცა...

მოხუცი რაინდი არა სცდებოდა. სწორედ ამ დროს თავადი, ეს წინამძღვარი და ძლიერ-მოსილი მხედართ-მთავარი, გულ-შემუსვრილი გართხმული იყო ჯვარცმის წინაშე და იტანჯებოდა... იტანჯებოდა ისე, როგორც არასდროს არა ტანჯულა თავის სიცოცხლეში.

ზბარაჟის ციხე-დარბაზის დარაჯთა გუნდმა ამცნო მიძინებულს ქვეყანას, რომ უკვე შუა-ღამეაო, ხოლო ერემია მინც ღმერთსა და თვისსა დიდებულს სულს ეზრახებოდა. მისი გონება, სვინილისი, სიყვარული მამულისა, გრძნობა თვისის ძაღლისა და დიდებულის მოწოდებისა საშინელის სისასტიკით

ეომებოდნენ ერთმანეთს და ამ ბრძოლისაგან გული ერემიასი იგლიჯებოდა ნაკუწ-ნაკუწ; სული ჰკენსოდა და ჰგმინავდა აუტანელის ტკივილითა, თავი ისე უვარვარებდა, თითქო ცეცხლი უკიდიაო. წინააღმდეგ პრიმასის სურვილისა, წინააღმდეგ კანცლერისა, სენატისა, გეტმანებისა და თვით რესპუბლიკისა მის დროშის ქვეშე იკრიბებოდა ჯარი და მხედრობა, მთლად ქვეყანა ხელში უვარდებოდა, მის ფრთეთა ქვეშე შეეკრდომასა ნატრობდა, თვისსა ბედსა და უბედობას მის გენიოსობას აბარებდა და თვისთა უკეთესთა კაცთა პირით შეჰლაღადებდა: „დაგვიხსენ, დაგვიხსენ!.. მარტო შენ ძალგიძს ჩვენი ხსნაო!“ ერთი-ორი თვე კიდევ და ზბარაჟს მოიყრიდა თავს ასი-ათასი მხედარი, სრულიად მზად-მყოფი ძმათა-ძმის მკვლელ ომის ვეშაპის შესამუსრავად... სურათნი მერმისისა, ცხრა თვალის შუქით გაბრწყინვალებული და დიდება-ძლიერებით მოსილი, ერთმანეთს ეჯახებოდა თავადის თვალ-წინ.

შიშით ძრწოლას დაიწყებენ ისინი, ვინც ჰბედავდნენ ჩემს შეურაცხყოფას, თავს არ მიდებდნენ და უგულვებელ-ყოფით ეკიდებოდნენ ჩემს განზრახვასაო, ხოლო მე ვავემართები ჩემის ნაქედ-რკინა-მოსილ რაინდთა რაზმებით უკრაინის მიწებზე და მოვიპოვი ისეთს გამარჯვებას, მოვიჭირნახულებ ისეთს ძლევა-მოსილებას რომლისთანაც ჯერ ისტორიას არა ვაუგონია-რაო. თავადი თან ჰგრძნობს, რომ ძალა და ღონე შესწევს მის ქაღილსა, რომ მხრებზედ ფრთები ესხმის, თითქო ფრთებია მთავარ-ანგელოზის მიხეილისაო. აი ამ საათში მღვეივით უზარმაზარდება, ჰბუმბერაზდება და უფრო და უფრო მატულობს მისი სიდიადე... ისე რომ მთლად ციხე-დარბაზი, მთელი ზბარაჟი, სრულიად ქვეყანა რუსისა ვერ შეეტოლ-შეეწონება. ღმერთია მოწამე! აღგვი ხმელნიცკის პირისაგან ქვეყნისაო! დავთრგუნავ ამზობებას, დავუბრუნებ მშვიდობას სამშობლოსაო!

აი ჰბედავს თვალ-გადუწვდენელ მიწდვრებს, ესმის გრგვიწვა ზარბაზნათა... ბრძოლა! ბრძოლა!... აკლება მტერთა, არ ვაგონილა, არ ქმნილა! ათასი გვამი მხედართა, ათასი დროშა-

ალამი მოეფინა სისხლით გაქვნილი მინდორსა, ხოლო თვითონ ასო-ასო ჰკეპავს ხმელნიცკის, საყვირნი უკრავენ ძღვე- მოსილები საგალობელს, ხმა გამარჯვებისა გრიალებს ზღვი- დან ზღვამდე... თავადი წამოიჭრება და იწვდის ხელთა ქრის- ტეს მიმართ და ჰხედავს, რომ მის თავს გარშემო რაღაც სი- სხლივით წითელი ბური შემოჰკრავნია: „ქრისტე, ქრისტე! შენ ჰხედავ, შენ უწყი, რომ შემძლებელ ვარ, აღვასრულო ყოვე- ლივე ესე, მარქვი რისა თანამდებ ვარ ყოფად!“

გარნა ქრისტე თავ-დახრილია და მღუშმარებს, ისეთი მწუ- ხარე, თითქო ეს არის ეხლა გაუკრავთ ჯვარზედაო.

„შენდა სადიდებელად! — შეჰლაღადებს მთავარი, — non mihi! non mihi, sed nomini Tuo de gloriam!“ სადიდებელად სარწმუნოე- ბისა და ეკლესიისა, სრულიად საქრისტიანოსი! ოჰ, ქრისტევე, ქრისტევე!

ახალმა სანახავემა გაუელვა ერემიას თვალ-წინ.

ხმელნიცკის დაძლევიით არ დასრულდება ამ გზით სია- რულიო....

შევმუსრავ ამბოხებას, გავადლიერებ ძალასა ჩემსა მისის მხედრობის შემოერთებით, ასიათასობით შლიახტას ზედ დაგუ- მატებ ასიათასობით ყაზახთა და განვაგრძობ გზას. გავილა- შქრებ ყირიმს, შევმუსრავ ვეშაპს, გაცავამტვერებ მთლად მის ბუნავს, აღმართავ ჯვარს იქ, სადაც ზართა რეკა არ მიუწო- დებს მორწმუნეთა წმიდა ლოცვადაო.

და აი გავილაშქრებ იმ ქვეყანაში, რომელსაც სთელავ- დნენ ოდესმე თვისთა ცხენთა ნალითა ჩემნი წინაპარნი, განვა- ვრცელებ სამზღვრებს რესპუბლიკისას, ხოლო მასთან ერთად, ეკლესიისასაც ქვეყნიერების კიდემდე...

სად არის დასასრული ამ მისწრაფებისა? სად არის დასა- სრული დიდებისა, ძლიერებისა, შემძლებლობისა? არსად არ არის...

ციხე-დარბაზის ოთახში შემოაშუქა მთვარის მკრთალმა ნათელმა; საათმა დაჰკრა გვიანობისა, მამლებმა ყვილი დაიწყეს. განთიადი მოახლოვებულია. იქნება ისეთი დღე გამოვი-

დეს, რომ, როცა მზე ამოვა ცაზედა, იმ დროს ახალი მზე გაბრწინდეს დედა-მიწაზედა?

დიად, ბავშვი უნდა ვიყო და არა მთავარი, არა ვაჟაკი, რომ არ შევასრულო ესა, რომ რაიმე მიზეზით არ აყვევ ხმას ჩემის სულიერის არსებისასაო. ვგრძნობ მშვიდობას, რომელიც მომივლინა მოწყალე ქრისტემ, კურთხეულ იყოს სახელი მისია!... და აი ფიქრი და აზრი მისი უფრო განმტკიცდა. უფრო გარკვევით შემიძლიან აწ სულისა ჩემისა თვალითა ვსჭვრეტდე სამშობლოს აწინდელს ყოფასაო. პოლიტიკა კანცლერისა და ამ ვარშავის ყველა მაგნატებისა, აგრედვე ბრაცლავის მოურავისა დაღუპვაა სამშობლოსი. ჯერ უნდა გავქელოთ იმიერ-ქორომეთი, მივუგდოთ ზღვა სისხლისა, მოვტეხოთ, შევმუხროთ, ხოლო შემდეგ მივცეთ დამორჩილებულთ ყოველივე, რათა აღარ იყოს ძალ-მომრეობა, შევიწროება; ყველგან უნდა დავამკვიდროთ მშვიდობა, მოსვენება; როცა სრული შეძლება გვექნება სიკვილიამდე მივალწევინოთ, მაშინ უნდა აღვადგინოთ,—აი მხოლოდობითი გზა, რომელზედაც შესაძლებელია იაროს დიდებულმა, ყოვლად ძლიერმა რესპუბლიკამ. იქნება წინად შესაძლო იყო სხვა გზის არჩევა, გარნა ახლა აღარ შეიძლება! რას მოვიმკით სამშვიდობო ხელ-შეკრულებათა დადებით მაშინ, როცა მოწინააღმდეგეს ასი-ათასობით შეიარაღებული მხედრობა უდგას. კარგია ჩამოგდება მშვიდობიანობისა, გარნა მტკიცე იქნება იგი მშვიდობიანობა და თავს დაიჭერს? არა, არა! ეგ უგუნური ოცნებაა, ეგ ომია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში არ შესწყდება, ეგ ზღვაა ცრემლისა და სისხლისა სამერმისოდ!... ოღონდ კი ამ გზას დაადგენ, ამ დიდებულსა და კეთილშობილს გზასა და მე სხვა არა მინდა-რა, არას მოვიტხოვ. დავბრუნდები ჩემს ლუბნში და დამშვიდებით დაუწყებ ლოდინს იმ დროს, ვიდრე ხმა საომარის საყვირისა არ მიმიწოდებს ახალის ღვაწლისათვის, ახალის ქველობისათვისაო.

დაადგენ ოღონდ კი ამ გზას, შეიწყნარონ ჩემი ნავარაუდები. მაგრამ ვინ, ვინ უნდა დაადგეს, ვინ უნდა შეიწყნაროს?

კანცლერმა? პრიპსმა ანუ გეტმანებმა? ვინ, ვინ მიხედება, თვინიერ ჩემდა, ამ აზრის ყოვლადსა სილიადეს და ვინ შესძლებს მის განხორციელებას? ოღონდ გამოჩნდეს იმისთანა ვინმე და მე, მთავარი ერემია, მზადა ვარ, ყოველივე ვიკისრო. მაგრამ სად არის ამისთანა? ვისა აქვს ძალ-ღონე? მარტო მე ვარ და სხვა არაინ! ჩემთან მოდის შლიახტა, ჩემდა მოისწრაფიან მხედრობანი, ჩემს ხელშია მახვილი რესპუბლიკისა. ოჰ, რესპუბლიკა, მაშინაც კი როცა მეფე ჰყავს, ერის ნება-სურვილზე დიდის. ეხლა ხომ, როცა უმეფობაა, რაღა თქმა უნდა ნება-სურვილი იგი უმაღლესი კანონია—suprema lex! ეგ ნენა-სურვილი თავს იჩენს არა მარტო სემებზედ, არა მარტო სენატისა და კანცლერთა დებუტატების შემწეობით, არა მარტო აღწერილ კანონთა და მანიფესტების შუამავლობით, არამედ უფრო მძლავრად, უფრო დასანახად, უფრო სარწმუნოდ თვით საქმითა. ვინ განმგეობს აქ? რაინდთა წოდება!... გარნა, აი, სწორედ თვით ეგ რაინდთა წოდება იკრიბება ეხლა აქ, ზბარაყსა, და მეუბნევა: შენა ხარ ჩვენი წინამძღვარი! სრულიად რესპუბლიკა ემორჩილება გარემოებათა ძალასა, მანიჭებს მე ხელმწიფებას და იმეორებს: შენა ხარ წინამძღვარი ჩვენი! და მე უნდა უკუვსდგე? სხვა რაღა საბუთს უნდა ველოდე კიდევ? რაღა საბუთს და საიდან? იმისგან ხომ არა, ვისაც უნდა დაჰლუბოს რესპუბლიკა და დამამციროს მე თვითონა?

დამამციროს! რათა, რისთვის? იმისთვის ხომ არა, რომ როცა ქვეყანა შიშმა და ძრწოლამ აიტანა, როცა გეტმანები ტყვედ იქმნენ შეპყრობილნი, მხედრობა დაძლეული, პანები თავიანთ ციხე სიმაგრებში დახიზნულ-დამალულნი, ხოლო ყაზახმა ქუსლი დააჭირა რესპუბლიკის მკერდს, მარტო მე ავგლიჯე ეგ ღვთის-მგმობელი ქუსლი და აღვადგინე მტვერში ჩაფლული, მოუძღურებული თავი დედა-ქვეყნისა, მე რომელმაც შეეწირე ჩემს მამულს ყოველივე, სიცოცხლეცა და ქონებაცა, მე, რომელმაც გადავარჩინე სამშობლო შერცხვენასა, სიკვდილსა,—მე, ძლევა მოსილომა?!

ვისაც უფრო ღვაწლ-მოსილი ჰგონია თავი თვისი, დეე იტივროთოს ეს ხელმწიფება. დეე მის ხელთ იყოს. სიამოვნებით უარ-ვყოფ ამ ტვირთს, სიამოვნებით ვეტყვი ღმერთსა და რესპუბლიკას: „აწ განმიტევე მონა შენი მშვიდობით“... მოვიღალე და ძალა ჩემი მიიწურა.

გარნა თუ არავინ არ არის, ორჯელ, სამჯერ ბავშვი ვიქნები და არა ვაქცავი, უკეთუ ხელს ავიღებ, უარ-ვყოფ ამ ხელმწიფებას, ამ დიდებულს გზას, მერმისსა, რომელსაც დაჰკავებირებია ხსნა და ძალი რესპუბლიკისა.

და ან კი რად უნდა უარ-ვყო?

მთავარმა კვლავ მალლა აიღო თავი გულ-ზვიადობით, ცეცხლებრ ეღვარე თვალი დააშტერა ქრისტეს ხატსა, გარნა ქრისტე თავ-დაღუნული იყო და მღუმარებდა... ისეთი მწუხარე, თითქო ეს არის ეხლა გაუკრავთ ჯვარზედაო.

რადაო?... ერემიამ ორივე ხელი საუეთქლებში იტაცა... იქნება პასუხიც არის ამისი. რას ჰნიშნავს ეს ხმა, რომელიც ამ ოქროთი-მოსილ დიდების ღანდთა შორის, მერმისის ძღვევთა გრგვინათა შორის, დიდებისა და ძლიერების წინაღ-გრძობათა შორის ასე უწყალოდ გაისმის ჩემს სულიერს არსებაში: „შესდეგ, საცოდავო!“? რას ჰნიშნავს ეს მოუსვენრობა, რომელიც რაღაც უცნაურის შეშფოთების ჟრუანტელივით მივლის უშიშარს გულში და ნევსებივით მიჩხვლეტავს მკერდს? გარნა ოდეს ცხადად და გარკვევით ვუმტკიცებ ჩემს თავს, რომ მე უნდა ვიტვიროთო უფლება-ხელმწიფება-მეთქი, რა მიზნია, რომ სადღაც იქ, ღრმად, სინილისის საიდუმლო სამალულებში ვიღაცა ჩურჩულებს: „შენ სცდები, შენ შეუპყრიხარ გულზვიადობას, თვალ-წინ გელანდება სამეფო მანტია!“

და იი კვლავ საშინელი ბრძოლა აღეგზნო მთავრის გულში, კვლავ ექვ-ყოყმანის, შეშფოთებისა და უჯერობა-უკმარობის ქარტეხილმა შემოაჰხვია თვისი მკლავნი და მოიცვა მთლად მისი არსება.

რას აკეთებს შლიახტა, რომელიც ჩემთან შემოგროვილა, იმის მაგიერ, რომ თავ-თავიანთ სარდლებთან წასულიყო მთავ-

რობისაგან უფროსებად დანიშნულებთან? ფეხ-ქვეშ სთელავს კანონსა. რას აკეთებს ჯარი? არღვევს წესსა და რიგსა. და მე, მოქალაქე, მე, ჯარის კაცი, უნდა ვმოთავეობდე უკანონობას, ვფარავდე ჩემის სახელითა და მნიშვნელობით? მე უნდა პირველმა მივცე მაგალითი ურჩობისა, თვითნებობისა, კანონის უპატივემულობისა და ყოველივე ესე უნდა მოვიქმედო იმიტომ, რომ ორის თვით აღრე მივიღო ხელმწიფება, რომელიც სულ ერთია, მე არ ამცდება, უკეთუ მეფედ ამორჩეულ იქმნა ბატონიშვილი კარლოსი? მე უნდა მივცე ასეთი საშინელი მაგალითი შთამომავლობას? მერე, რა გამოვა ბოლოს? დღეს ამას მოიქმედებს ვისნევეცკი, ხვალ კონცეპოლსკი, პოტოცკი, ფირლეი, ზამოისკი ანუ ლიუბომირსკი! ხოლო უკეთუ თვითოეული არ მიაქცევს ყურადღებას კანონს და თავისებურად დაიწყებს ქცევასა, როცა შვილებიც მამა-პაპების მაგალითს აპყვებიან, რა მოუვა მაშინ აქ ჩვენს უბედურს ქვეყანას? თვითნებობის ქიამ, უწესობამ, პირადობამ უიმისოდაც დაფქვა ფესვი რესპუბლიკისა, — შინაურ ომის ცულს ისეც გააქვს ჯახი-ჯუხი, ნაფოტი აქეთ-იქით იფანტება უწყალოდ და გამხმარნი შტონი შორდება ხეს ზედი-ზედა. რა მოუვა ქვეყანას, უკეთუ ისინი, ვინც უნდა იფარავდნენ და უფთხილდებოდნენ მამულს, როგორც თავიანთ თვალის ჩინს, თვითვე შეუკეთებენ ცეცხლს? რა მოუვა? ღმერთო, ღმერთო, ხმელნიცკიც ხომ საზოგადო სიკეთის დროშას ამოჭფარებია, მაგრამ იმის მტისკი არას აკეთებს, რომ წინააღმდეგობას უწევს კანონს და რესპუბლიკის დიდებასაო.

ფერხით თხემამდე შექრქოლებულმა მთავარმა ხელების მტვრევა დაიწყო. „ნუ თუ მეორე ხმელნიცკი უნდა მე გავხდე, ოჰ, იესო!“

გარნა ქრისტე თავ-ჩაღუნული იყო და მღუმარებდა... ისეთი მწუხარე, თითქო ეს-ეს არის ეხლა გაუკრავთ ჯვარზედაო.

მთავარი კვლავ ნაღვლობდა და იყო გვემა-მწუხარებაში. ესთქვათ, შევიმოსე ხელმწიფება და კანცლერმა, სენატმა და გეტმანებმა კი გამოაცხადეს, ეგ მემამბოხეა, მოღალატეაო, რა

იქნება მერე? მეორე ომი უნდა ატყდეს კიდევ შინაურობაში? მასთან განა ხმელნიცკი ისე საშიში, ისე მრისხანე მტერია რესპუბლიკისა? არა ერთხელ მაგაზედ ბევრად მძლავრი მტერი მოვლინებია მამულს; როცა გრიუნვალდს ახლოს ორასი-ათასმა გერმანელმა, ჯაკვ-რკინით შელესილმა ალყა შემოარტყა იაგელლოუს მხედრობას, როცა ხოტინთან კინალამ ნახევარ-ახია გამოვიდა საბრძოლველად, შემუსვრა ჩვენი თითქმის აუცილებელი იყო, მაგრამ რა დაემართა კი ამ ყოვლად ძლიერს მტერს? რესპუბლიკას ომებისაარ ეშინიან და არც ბრძოლა დაჰლუპავს! გარნა, როცა ასეთი გამარჯვება და ძლევა შეუშოსნია, ასეთი ძლიერია მისი დაყუსრული ძალი, ასეთია დიდება მისი, რომ მუსრი გაავლო ჯვაროსანთა და ოსმალთა... რაღათ შექშინდა ერთის ყახახის წინაშე? რაღაა, მაშ, მიზეზი, რომ მის სამზღვრებს ჰგლეჯენ მეზობელნი, ერნი დასცინიან, მის ხმას არავენ ისმენს, მისის რისხვისა არავის ეშინიან და ყველანი დაღუპვასა და დამხობას უწინასწარმეტყველებენ?

ჰმ! მაგის მიზეზი ქედ-მალლობაა და ცუდ-მედიდობა მაგნატებისა, ის თვალ-ვიწრო თავ-მოყვარება, ის თვითნებობა, რომელიც ასე გვჩვევია. ჩვენი მრისხანე მტერი ხმელნიცკი კი არ არის, შინაური შფოთი და უთანხმოებაა, თვითნებობაა შლიახტისა, სიმცირე და ურჩობაა მხედრობისა, სეიმების მღელვარებაა, სიზარმაცეა, პირადობა და ურჩობაა, — ურჩობაა უპირველეს ყოვლისა. ხე გულიდანა ლპება. ცოტა, ცოტა კიდევ და პირველადვე ამოვარდნილი გრიგალი გადაამტვრევს, გარნა წყეულ იყოს ის, ვინც მოზიარე იქნება ამ საქმეში, შეჩვენებულ იყოს იგი და ძენი მისნი მეათე თაობამდე!

წადი ახლა, გმირო და მძლეველო ნემიროვისა, ჰოგრები-შჩისა, მახნოვკისა და კონსტანტინოვისა, წადი მთავარ-მოურავ-ერისთავო და წაჰგლიჯე ხელიდან ხელმწიფება სარდლებსა, დასთრგუნე კანონი და მიეც შთამომავლობას მაგალითი იმისი, თუ როგორ უნდა ჰგლიჯოს გული დედა-ქვეყნისა, სამ შობლოსი,

შიში, განწირულება, თითქმის უფუნურება დაეტყო მთავარს სახეზედ... ნადირივით შეპლრიალა, იტაცა თმებში ხელი და გულ-შემუსვრილი დაემხო ქრისტეს წინაშე.

თან სინანულში იყო მთავარი და თან გაცხელებულს თავს ახეთქებდა ფილაქნიან იატაკს, ხოლო მის მკერდიდან ისმოდა ყრუ კვნესა და გმინვა:

— ღმერთო! მოწყალე მექმენ მე ცოდვილსა! ღმერთო, მოწყალე მექმენ მე ცოდვილსა!.. ღმერთო, მოწყალე მექმენ მე ცოდვილსა!...

განთიადმა წითლად შეპლება აღმოსავლეთის კიდური, ხოლო შემდეგ მალე ამოვიდა მზე და შეაშუქა დარბაზში. გარედ ჰიკიკებდნენ ჩიტები და მერცხლები. მთავარი ღდგა და წავიდა ჟელენსკის გასაღვიძებლად, რომელიც იქვე მეორე ოთახში იწვა.

— გაიქეცი, — სთქვა მან, — და უბრძანე მოუწოდონ, ჩემთან პოლკოვნიკებს, ყველას, ვინც ან ციხე-დარბაზშია, ან ქალაქში... ყველას, ჩვენებსაცა და სხვებსაც.

ორის საათის შემდეგ დაიწყეს თავ-მოყრა დარბაზში დიდულვაშებიანმა და წვერიანმა პოლკოვნიკებმა. მთავრისეულთა შორის მოვიდნენ: ზაცვილიხოვსკი, პოლიანოვსკი, სქშეტუსკი პან ზაგლობითურთ, ვურცელი, მანნოვსკი, ვოლოდიევსკი, ვერშული, პონიატოვსკი, თითქმის ყველა აფიცრები, გარდა კუშელისა, რომელიც საზვერაოდ იყო გაგზავნილი.

უცხოთა და შორეულებში მოვიდნენ ოსინსკი და კორიციკი. ბევრმა შლიახტიჩმა, უფრო მდიდარმა, არ დაანება თავი გერმის საწოლსა, მაგრამ იმათგანაც მაინც საკმაოდ ბლომად მოვიდნენ. დარბაზს გუგუნნი გაჰქონდა, თითქო ფუტკრის სკააო; თვალი ყველასი შესცქეროდა კარებს, საიდანაც უნდა გამოსულიყო თავადი ერემია.

უცბად ყოველივე დადუმდა. შემოვიდა თავადი. სახე მისი იყო დამშვიდებული, მოწმენდილი ცასავითა და მხოლოდ უძილობით დაწითლებული თვალები და იერი რაღაც ტანჯვისა ცხადად ამტკიცებდა, რა ბრძოლაც გამოველო სულისა. გარნა

ამ დამშვიდების ფარდიდან მაინც ცხადად გამოსჭვირდა შეუმდრკალი ძლიერება და დიდებულება.

— ბატონებო! — სთქვა მთავარმა, — წუხელ ვეზრახებოდი ღმერთსა და ჩემსა სვინიდისსა იმის შესახებ, თუ რის თანამდებ ვარ ყოფად. აწ გაუწყებთ თქვენ, ხოლო თქვენ შეატყობინეთ მთელს რაინდობას, რომ სამშობლოს სიკეთისათვის და თანხმობის დასამყარებლად, რომელიც ასე საჭიროა ეამსა იწროებისასა, ჩემი თავი გეტმანთა მორჩილებისათვის დამიქვემდებარებია.

დარბაზში დიდი ღუმილი და დაყუდება ჩამოვარდა.

ამავე დღეს, შუაღლე იქმნებოდა, რომ ციხე-დარბაზის ეზოში იდგა სამასი თათარი, პან სქშეტუსკისთან გასამგზავრებლად მზად-მყოფი! ხოლო თვით სასახლეში მთავარს სადილი ჰქონდა გამართული უფროს აფიცრებისათვის. ეს სადილი ამასთანავე გამოთხოვების სადილიც იყო ჩვენის რაინდისათვის. რაკი „სანფო“ კაცი იყო, ამიტომ თავადის ახლო დასვეს, ხოლო მის გვერდით პან ზაგლობა იჯდა, მხსნელი „საპატარძლოსი“. თავადი ერემია მხიარულად იყო და ხშირად ამბობდა სადღეგრძელოს მომავალ ნეფე-დედოფლისას. სასახლის კედლებსა და ფანჯრებს ზანზარი გაჰქონდა რაინდთა მხიარულის ყრიაშულისაგან. დერეფანში და აივანზედ ქეიფობდნენ პაეები, რომელთა შორისაც ჟენძიანს პირველი ადგილი ჰქონდა დათმობილი.

ის-იყო თავადმა ხელში ფიალა აიღო და ემზადებოდა მიემართნა მეინახეთათვის რალაც სიტყვის წარმოთქმითა, რომ ამ დროს კარების ზღურბლზედ გამოჩნდა კაცი, დაღალულ-დაქანცული, გამტკვერიანებული და, დაინახა რა გაშლილი სუფრა, შეჟინჟლინებულნი სახენი შეზარხოშებულთა, გაჩერდა გაუბედავად კარებში.

პირველად თავადმა დაინახა ის კაცი, შეიკრა წარბები და ჰკითხა:

— ვინა ხარ მანდა? ჰო, კუშელი მოსულა საზვერაოდან! რა ისმის, რა ამბავია?

— ძალიან ცუდი, თქვენო ბრწყინვალეებავ, — რალაც უცნაურის ხმით უპასუხა ახალგაზდა აფიკერმა.

ყველანი იმ წუთსვე გაჩუმდნენ, ყველამ თვალი მიაპყრო კუშელის შეწუხებულს, მოშავებებულს სახეს.

— არ გეთქვა მინც ჯერ-ჯერობით და მხიარულება არ ჩაგეშხამებინა, — სთქვა მკვეთრის ხმით თავადმა, — მაგრამ რაკი დაიწყე, ბარემ ვაააავე კიდეცა.

— თქვენო ბრწყინვალეებავ, არც მე მინდა ვიყო უსიამოვნო მახარობელი, მეც ბარემ ენა მუცელში მივარდება...

— რა ამბავია, რა მოჰხდა? სთქვი!

— ბარი... მტერმა აიღო!

გრ. ყ—ქე

დასასრული მეორე ნაწილისა



სულით-ავადყოფნი

I

Celui qui est maître de l'éducation
peut changer la face du monde.

(Leibnitz)

ისტორიის მოგვითხრობს, რომ სულით-ავადყოფობა ყოფილ და ძველ დროშიაც, ბევრად წინადა ქრისტეს დაბადებამდე. მაგრამ ამასთანავე ისიც კიდით, რომ ამგვარი ავადყოფობა იშვიათი იყო მაშინ; მაშინ ხალხი ისე სადად ცხოვრობდა და იმდენად ჯან-საღი იყო, რომ ამგვარ სენს არ შეეძლო გავრცელებულიყო. ძველად ისე ეგონათ, რომ სულით-ავადყოფნი. ღვთისაგან დასჯილნი. ხალხიათ: სულით-ავადყოფობა, ძველთა აზრით, სასჯელი იყო ცოდვილთათვის; ზოგიერთნი სულით-ავადყოფნი კუდიანებად მიიჩნდათ; ზოგიერთს კიდევ წინასწარმეტყველებდა სთვლიდნენ. ამიტომ ზოგს სდეკნიდნენ და ზიზღით უფურებდნენ, ხალხი ზოგს დიდის ზატივის-ცემით ეპყრობოდნენ და ხან-და-ხან თაყვანსაც კი სცემდნენ. რადგან სულით-ავადყოფობა ღვთის მიერ მოკლებილ სენად მიიჩნდათ, მკურნალნიც ქერუმი იყო ძველად; ქერუმი ცდილობდა თვისის ლაცვითა და მსხვერპლის შეწირვით მოკვლა გული განრისხებულინს ღვთაებისა და შეებრალბინა სულით-ავადყოფნი. რამდენადაც დრო გადიოდა, იმდენად აღამიანის ცხოვრებაც ფერს იცვლიდა და უფროდა-უფრო რთულდებოდა და სასა-ასალი მოთხოვნებდა ჩნდებოდა. ამის გამო აღამიანს მეტი ზრუნვა უნდებოდა და ჯაფა თან-და-თან ემატებოდა.

რამდენადაც აღამიანის ცხოვრება იცვლებოდა ამ სახით, იმდენად უფრო მატულობდა რიცხვი სულით-ავადყოფთაცა. როდესაც

სულით-ავადყოფობა იმდენად ჯაძღვირდა, რომ მიიქცია ყურადღება ძველთა დროთა მეცნიერებისა, მაშინ დაიწყო ამ სენის გამოკვლევა. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მეურნალობა, ანუ მედიცინა დაიბადა ძველ სარწმუნოებათა ტაძარში და მეურნალი იმავე დროს ქურუმიც იყო, რადგან არა თუ სულით-ავადყოფობა, როგორც ზემოდა ვთქვით, არამედ ყოველი სხვა სენიც ღვთის მიერ მოკლენილ რისხვად მიჩნდათ. მხოლოდ ამ ნიადაგზედ აღმოცენდა რამდენიმე საეჭიბო და სამეურნალო მოძღვრება ძველ-საბერძნეთში, სადაც მეურნალობის წარმომადგენლებმა დაიწყეს შესწავლა ადამიანის ბუნებისა და ამგვარად მისცეს მედიცინას ცოტად თუ ბევრად სამეცნიერო სასიათი. ასეთს მდგომარეობაში იყო სამეურნალო საქმე ჰიმპოკრატის, რომელიც მედიცინის შემომქმედად ითვლება, რადგან ამ სავანის სამეცნიერო შესწავლა, მედიცინის ისტორიით, ამ დროიდან იწყება; თუცა გვაქვს საბუთები ვიფიქროთ, რომ ჰიმპოკრატის იტოლნი ძველ-საბერძნეთში, თუ ბევრი არა, ცოტა რამ მანინ ადამიანის ბუნების შესახებ. მაგალითად, ფილოსოფოსი პითაგორასი, რომელიც ჰიმპოკრატსეად ადრე სცნოკრება, ჰქადაგებდა, რომ ადამიანს ჭკუა ტერში აქვს, ხოლო გრძობისი გულშია. ადამიანსა, ამბობდა ეს ფილოსოფოსი, დაბადებითე დაჭყვება ის, რაც უნდა შემდეგ შეემთხვეს, რადგან კაცია ბუნებაზედ არის დამოკიდებული; ხოლო პითაგორას მოწაფე ციმონი ამბობდა, კარგი და ავი ზნე დამოკიდებულია უფრო ჩვენს მშობლებზედ და იმ ელემენტებზედ, რომლებსაც განაჩნდა არის შემდგარი ჩვენი სხეული, კიდრე თვით ჩვენზედაც. ჰიმპოკრატი დაიბადა 460 წელს ქრისტეს წინად და ისტორიამ მამა უწოდა მედიცინისა. იმ დროინდელმა მედიცინამ ისეთი ნაბიჯი გადასდგა წინ, რომ მეცნიერებას დაემოკავსა. მაშინ დაიწყო ადამიანის თვისებათა კვლევა-ძიება, როგორც სულიერთა, ისე სორციულთა. თუ ადამიანი ჰგრძობს რაღაც გამოუთქმელ შიშსა და მისი სული შეეთავსო—ამბობს ჰიმპოკრატი,—ეს იმით უნდა ახსნათ, რომ მის ტერში რამე რელიება მომხდარა. ჰიმპოკრატის იმ აზრისა იყო, რომ ავადყოფობა მეძვიდრეობით და დაბადებით დაჭყვება ხოლმე ადამიანსა.

რძიდენი საუკუნეც გადაიდა, კიმეორებთ კვლავ, იმდენად ცხოვრება უფრო მეტად იცვლიდა იერს, და, აი, დადგა ბოლოს სანა რომის იმპერიისადაც: ცხოვრება იმდენად გაიარებინა, აღამაინის თვისებანი იმდენად შეირყა, რომ საკვირველი არ არის, თუ ყოველგვარმა სენმა და კერძოდ სულით-ავადმყოფობამ შესაძინებულ იმატა. ამ ხანაში აღამაინის ყოველივე მობეზრდა, დაეკარგა საგანი ცხოვრებისა; გაზრცელდა თავის-კვლაცა, რომელიც ერთადერთი ღონე და იყო ცხოვრებით თავ-მობეზრებულთათვის მოწინისა და მოსვენების მოსაზრებულად. მისინდელმა მეცნიერებმა მიატყვეს ყურადღება ამ გარემოებას და სულის ავადმყოფობას უძღვნეს არა ერთი და ორი გამოკვლევა. მაგრამ რომი მალე დაშრობილ იქმნა; დაემხრო ძველი საბერძნეთიცა რომზედ კიდევ უფრო ადრე და მასთან გაჭჭრა მეცნიერებაცა, აზრი და სულთვლება. დადგა საშუალო საუკუნეობი. ის, რაც ძველს რომის და საბერძნეთს ჭჭონდა გამოკვლეული, დაიწყო უფლ იქმნა. ყოველივე მოცნება სიბნელემა და უვიცობამ; მეცნიერების მაგივრად გამოეფა ცრუ-მორწმუნეობა, ბაზბაზრობა და უზარობა. ამ დროს დიდი გავლენა ჭჭონდა საღბში გაუნათლებელ სიმღვდელეობას, რომელიც ათას-გარე ცრუ-მორწმუნეობასა და უზარობას ავრცელებდა ქვეყნად. სამეცნიერო კვლევა მოისპო; მოისპო სულით-ავადმყოფობის შესწავლა-შემეცნიების საქმეც.

როგორც ძველის-ძველად, ახლაც ისე დაუწყეს ყურება სულით-ავადმყოფებს, როგორც კუდიანებს, ღვთისაგან შერისხულებს, ან-და — როგორც წინასწარმეტყველებს. მოჭყენენ მათს ტანჯვა-წამებას, ცოცხლივ ცეცხლზედ წვას, ასე დასჯა სულით-ავადმყოფებისა სასიამოვნოა ღვთისათვისაო. კუდიანთა რიცხვი ისე გამრავლდა, რომ თითქმის კელარც კი ასწრობდნენ მათს ტანჯვა-წამებასა და კოტონიზედ წვას.

იმგვარ შეშლილებს, რომელთა სულით-ავადმყოფობა ის იყო, რომ ჭტონებდნენ ესა და ეს დიდი დანაშაული მიგვიძღვისო, მშინდელნი მსაჯულნი ისევე სასტიკად სჯიდნენ, როგორც ავანაკებს.

მაგრამ, საბედნიეროდ, კაცის გონება თან-და-თან განთავისუფლდა ამ სიბნელის ტყვეობიდან, დაეტყო წარმატება აზროვნებას და ამასთანავე შეიცვალა სულით-ავადმყოფთა ბედიც: სულით-ავად-

მეოფნიც ისეთვე ავადმყოფებად მიიჩნის, როგორც საზოგადოდ სსკა ავადმყოფნი. თუძცა ამგვარად აზრი გამოიტყვალა მათ შესახებ, მაინც სამწუხაროდ მათი მდგომარეობა ისევე სამწუხარო იყო: მათს მოვლას და მეურნალობას არა ჭფიჭრობდნენ, ანუ თუ ჭფიჭრობდნენ, თავისებურად ჭფიჭრობდნენ: ჭკრადნენ ჟაჭკები, აცვამდნენ რკინის პეანგს, ან სრულად უყურადღებოდ სტოკებდნენ მშვიტ-მწუყურკალთ, სიტყუე-სიტხისაგან დაუთარკად.

მე-XVII და XVIII საუკუნის მოასლოკებისათნაკუ დატუო გა-მოფხიხლება ეეროპას და მისმა განათლება მძლავრად დაიწყო წინსვლა და აღორძინება.

მე-XVIII საუკუნე მაინც ფრად შესანიშნავა, როგორც ხანა ზოეზიისა, ხელოვნებისა და მეცნიერების აღფრკებისა; ამავე საუკუნემ შესამჩნევად შეცვლა და განკარგა სულით-ავადმყოფთა ბედიცა. მეორამეტე საუკუნეში Pinel-მა ახალი ეპოქა შეჭმნა სულით-ავად-მყოფთათვის. Pinel-მა შირველად დაამსხროა ჟაჭკები, რომლითაც იყო შებოკვილებული სულით-ავადმყოფი; შირველად მან დაუწყო ადამიანურად და ალერსით მოჭტევა ამ მრავალ-ტანჯულს და ამგვარის თვისის ქტევათა და ქადაგებით იქამდე მიიყვანა საქმე, რომ მთელს ეეროპას შერცხვა იმ უმკნასო და ყოვლად შეუწინარებლის შესხედულებისა, რა შესხედულებაცა ჭქონდა მანამდე ციესა და ტყუა-შეშლილზედ. ახლა სულ სსკა გვარად დაუწეეს მოკიდება სულით-ავადმყოფებს და თვით მათს ავადმყოფობასაც მეტი ყურადღება მიაქციეს, მის შესწავლას შეუდგნენ სამეცნიერო ცხით.

II

როდესაც სულით ავადმყოფობა რიგანად შესწავლულ იქმნა მეცნიერების მხრივ, აღმოჩნდა თანდათან მრავალგვარობა ამ ავად-მყოფობისა; მხოლოდ ახლა გამოარკვეეს, რომ არა მხოლოდ ისინი არიან სულით-ავადმყოფნი, რომელნიც სსსსეულოში იმყოფებიან, არამედ ავადმყოფნი არიან მრავალნი იმისთანა შირნიც, რომელნიც შირველ შესხედვით კარგა-მყოფებსა ჭტკანან და სშირად წარჩინებული ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში, საზოგადოება სსკა და სსკანარად

უფურებს ამისთანა ადამიანთ: ზოგჯედ ამბობს ახიარებული კაცი, რომ-
 ვინაღლი, აჩქარებული სისიათისა, წნეობით გარყვნილი და სსუ.
 Maudsley ამბობს, ბუკონ იმეკარი თავისებური მსჯელობა აჭეს, იმ-
 ხიარი სისიათი და მიდრეკილებასი, რომ თუმიცა შეშლილს ვერ დაუ-
 ძსებ, მინც ეჭვი გებადება სუღით ავად-ყოფი სომ არ არისო.
 სშირად მოხდება სოღმე, რომ ამეკარის სისიათის ადამიანი შემდეგ
 სრულებით იშლება ჭეჭაზედ; ამეკარ ავადყოფებს უოკელთვის
 ნეკროპათიული შთამომავლობა ჰყავთ. ამისთანებს ფრანგები *tempé-
 rement nerveux*-ს უწოდებენ; უმთავრესი თვისება მათი ის არის,
 რომ ს-უღიერი თანასწორობა აკლიათ (*déséquilibre morale*).
 ამეკარი ადამიანი უფრო ჩქარა მოდის მღელვარებაში, გრძნობა უფ-
 რო მეტად აჭეს განვითარებული და ჭეჭა-გონებას არ ემორჩილება,
 არ შეუძლიან ერთს გადაწყვეტილს გზას დაადგეს; დღეს ერთს ამ-
 ბობს, ხვალ სხვას და მედამ უოყმანშია; ხან აღელვებულად და შე-
 შოფოთებულად, ხან კი იმდენად მოეშება, რომ არაფრის თავი არს
 აჭეს. ძნელია, ამეკარი ხალხი ერთს რასმე საქმეს დაადგეს. დღეს
 ერთს საქმეს აკეთებს, ხვალ სხვას ჰკიდებს ხელს და პირველს დაუ-
 თავებელსა სტოკებს; ახლს ამისაც მიატოვებს და სხვას; სშირად არც
 ერთს ადგილას შეუძლიან ცხოვრება, ს-უღ უნდა აჭეთ-იქით დადიო-
 დეს, მგზავრობდეს. ერთს ფრანგულ სამეცნიერო თხზულებაში შემ-
 დეგი სწერია ამეკარ ავადყოფთა შესახებ: ერთმა ადამიანმა სუღით-
 ავადყოფამ შემოიარა მთელი ეკროპა, ალჟირი, თუნისი ეკვიპტე,
 სენეგალი, სირია, ბრაზილია, ურუგვაი, მადრა, პატაგონია, პა-
 ლესტინე, ნიუ-იორკი; სდაც მივიდოდა, არ განერდებოდა მცირე
 ხანსაც კი და მუორე დღესკე სხვაგან გაემგზავრებოდა. მოგზაურ-
 ბის დროს არაფრისთვის უურადდება არ მიუჭრეკია, არაფრს მისი
 ინტერესი არ აღუძრავს. ამ ავად-ყოფებს თავისებურა გემოვნება
 აჭეთ, ჩაცმა-დასურვა, სიარული, მიხერა-მოხერა. ერთს თხზულება-
 ში ასეთი მაგალითია მოყვანილი: ერთს მოსწავლეს ჰქონდა ჩვეუ-
 ლება, დაწოლის დროს ვერ ჩექმანს გაისდიდა, შარვალს, მერმე
 დანარჩენ ტანსაცმელს და ბოლოს კი ქედს მოისდიდა.

სშირად ამეკარი ხალხი გარდამეტებული თავ-მოყვარეობის
 პატრონები არიან. სუღ დამს ცდილობენ, რომ საზოგადოება მათ-

შესასებ ლაზარაგობდეს, ესმოდეთ მის მიერ ქება-დიდება; თუმიცა ამასთან სშირად მორცხენი და მოკრძალებულნი არიან, მაინც იმდენად უყვართ თავი, რომ არაფერს დაჭზოგზვენ, ოღონდ კი საზოგადოების ყურადღება მიიჭტიონ. რასაკვირველია, სშირად კერ ჳპოფულბენ საზოგადოებაში თაყუნის-მცემლებს და ამიტომ მიზანტროზობენ, იმელებს საზოგადოებას. სუღით-ავადმეფოენი ძლიერ სშირად საზოგადოებაში ცნობილი არიან, როგორც ჩნე-დაცემული ხალხი (folie morale); მათი ყოფა-ქცევა გარყვინლებით არის საჯიე; ისე იჭტეკიან სშირად, რომ მათი საქციელი არ შეჭფეერის არც მათ ჳკუფა-გონებას, არც მათს სოციალურს მდგომარეობას და არც მათს წლოვანებას. სშირად მოჭკვრავთ ყურს, რომ საზოგადოებაში წიზღით ისტენიებენ მათს ყოფა-ქცევას; ასეთი ხალხი, თქმს არ უნდა, სუღით-ავადმეფოენი არიან. რასაკვირველია, ჩვენ იმ აზრისა არა ვართ, რომ ვითომ ყველა ამტკარი მაგალითი სუღის-ავადმეფოებით აისხნებოდეს, რადგან აღზრდას თვითყულის მათგანის ცსკერების ვითარებისა დიდა მნიშუნელობა აჭკს. სშირად ისინი არიან მსსკერზლი და შემდეგი ცუდის აღზრდისა... ზოგიერთნი მიმდევარნი ვრძიმინალურის ანტროზოლოგიისა იმ აზრისასი არიან, რომ ვითომ თითქმის ყოველი დამნაშავე სუღით-ავადმეფოენი; ეს მომღერება ჳერ არ იყო გამტკეუნებული, რომ მსინაატრები დამნაშავეთა და სუღით ავადმეფოეთა შორის მგზავსებას ჳპოკებდნენ; მართლადაც, მრავლთა დამნაშავეთა ხასიათის შესწავლამ დაარწმუნა მეცნიერები, რომ ეს დამნაშავენი ნამდვილი სუღით ავადმეფოენი არიან. მრავალი ამტკარი მაგალითი შემტკვრება გამორჩენილმა ლომბროზომ; მაგრამ, თუმიცა ეს ასეა, მრავალი იმისთანა დამნაშავენიც არიან, რომელნიც სუღით-ავადმეფოედ კერ ჩაითვლებიან და რომელნიც არიან მსოლოდ მსსკერზლი და შედეგი ცუდის აღზრდასა და საზოგადო ვითარებისა.

ზნუბრივი გრძნობა დამოკიდებულია მეჭვიდრეობასა და აღზრდაზედ. იმ მიდრეკილებათაგან, რომელნიც დაზადებისათნავე დაგუკება ზოლმე, წარმოსდგება ხასიათი; თუ ეს მიდრეკილებანი კეთილია და აღზრდაც ხელს უწყობს მათს განვითარება-გამღეიებას, კაციც კეთილისა და სკინიდიისიერის ხასიათისა იქნება; კარგს აღზრდას მსოლოდ მაშინ შეუძლიან მოიტანოს კეთილი ნაყოფი, რა-

დესაც შემკვიდრებას; მეტად მკნებელი მიდრეკილებანი არ დაუნათ-
ლებია ადამიანისათვის დაბადებითვე. სშირად შექნიშნავთ, რომ ზოგი-
ერთი კაცს დაბადებით თითქმის არავითარი ზნეობრივი გრძნობა არ
დაჭყლიდა; ამასვედ ამბობენ ფრანგები: «ზნეობრივი სიბრძავეა». ამ
გკარი «აგადმეოფი» მრავალს ცუდს საქმეს მისდევს და სრულებით
ვერს ჭკრძნობს; კი, რომ აკვაცობას აველავინო, თუმცა, შესაძლავა,
სასწავლი და განვითარებული კაცი იყოს; სშირად ამგვარ კაცებს
წარსინებული ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში და თვისის მკა-
ლითით სხვებისაც რყვინან. ამისთანებს ბავშვობაშივე ეტყობათ,
რა შვილებიც გამოვლენ; სშირად ბავშვობაშივე მეჭორებენ, ცრუ-
ობენ და ათას სხვა-და-სხვა ფანტასტიურ ამბებს იგონებენ; ბავშვო-
ბაშივე ეტყობათ გულცივობა, მშობლები სრულებით არ უყვართ და
ამხანაგს ვერ იშენებენ. Pinel-ი შემდეგს შემთხვევას მოგვითხრობს
ერთს ბავშვზედ. რამდენიმე ბავშვი თამაშობდა წყლის ზირას; ერთი
მათგანი ყველასვე მეტს ყურადღებას იქცევდა, იქცევდა მით, რომ
მეტის-მეტად სასტიკად ეკიდებოდა თავისს ამხანაგებს და ბოლოს
ერთს ამხანაგს ხელი ჭკრა და წყალში ჩაგდება დაუზირა; ბავშვი
როგორც იყო ამოფოფოსდა ნაპირზედ, მაგრამ ხელ-მეორედ მიჭკრა-
და და უნდოდა ხელი ეკრა და სწორედ დახრწნობდა, სხვები რომ
არ მიშველებოდნენ.

როდესაც ამგვარი ყმაწვილები სასწავლებელში არიან, ურიგოდ
არა სწავლობენ, რადგანა ნიჭი აქვთ, ხოლო სათრი და მორიდება
მასწავლებლისა კი ნაკლებად აქვთ, და, ამიტომ, სშირად სტოკებენ
სასწავლებელს და დაიწყებენ ერთი სასწავლებლიდან მეორეში გადა-
სვლას და იშვიათად დამთავრებენ ხოლმე თავისს სწავლასა.

ზემოდა ესთქვით, რომ არიან იმგვარი ადამიანებიც, რომლებიც
ვერს ჭკრძნობენ, ესა და ეს ავი და ცუდი საქმე მოვიქმედეთო;
ხოლო არიან იმისთანებიცა, რომლებიც, თუმცა ჭკრძნობენ ცუდად
ვიქმედებთო, მაგრამ ავლიათ დაბადებითვე ის ზნეობრივი ძალა, რო-
მელიც გვაკავებს და ცუდის საქმის ჩადენის ნებას არ გვაძლევს;
როდესაც ადამიანს ცუდი ინსტიქტი აქვს თან დაყოლილი, მუდამ
ცუდ გზას ადგია. ამგვარ ხალხს მხოლოდ გონებით თუორით

სწამს ზნეობა, სოლო საქმეზედ რომ მივარდება, მამინათვე იწეებს ტოკვას და უხვევს სწორე გზას.

სულით ავადმყოფთა თავ-მოყვარეობა ზემოდაც ვასხენეთ; თავისი საკუთარი «მე» იმათ მუდამ თვალ-წინა აქვთ და სმირად, სულ უსათუძვლოდ ჰტონებენ, რომ შეურაცხყოფა მოგაკაყენესო; საკომისიას სმირად შეჭნელოთ უბრალოდ, რომ ამგვარმა ავად-მყოფმა იფიქრეს, ვითომ თქვენ მისი შეურაცხყოფა გსურდათ. ესთქვათ ემუსაიფებით ვისმე და ამ დროს შეჭნელოთ სულით-ავადმყოფს, იმას ჰტონია, ჩემ შესახება ბასობენ და უსათუოდ ჩემს ძვირსა ლაშარავობენო. ბევრჯელ სასამართლომდე მიდის საქმე, სოლო ბევრჯელ თვითონ ავადმყოფი ცდილობს თვითვე იძიოს შური. ამგვარ ავად-მყოფებს ეკუთვნიან ისინი, რომელნიც სულ მუდამ სასამართლოში სხედან, ვიდასაც რაღასაც უჩივიან; მუდამ თხოვნები დააქვთ და განონებთ წიგნებს ჰქუქვენ; ბევრჯელ ამისთანა ავადმყოფებმა კანონები სულ ზებირად იცინხ და როცა საქმეს წაატევენ სასამართლოში, ჰტონიათ, ჩვენმა მოწინააღმდეგემ მსჯულები მოისყიდო და ახლამაზედ დაიწეებენ წუხილსა და ჩივილს. ამგვარ ავად-მყოფებს ჰსინიატრიაში უწოდებენ «სულით ავად-მყოფი—დექნული» (persécuteurs processifs), რადგან ჰტონიათ, რომ მსხვერპლნი კართ საზოგადოების მიერ დენისა და მისის უსამართლობისაო. არიან «საპოლიტიკო დეკნულიებიცა», (persécuteurs politiques); ამისიანანი ემდურებთ საზოგადო წეს-წყობილებას, ჰქადაგებენ ახალ სწავლამოდღებებს; ჰტონებენ, რომ ბეკრი თავიანთ-მცემელნი გუყავსო, რადგან დიდის გატაცებითა და რწმენით ჰქადაგებენ თავიანთ ახალ აზრებს; მაგრამ, როდესაც კარვა დაუკვირდებით, შეჭნიშნავთ მათ სწავლამოდღებებში ბეკრს იმგვარ ხაელს, რომელიც დამტკიცებს მათ სულით-ავადმყოფობას. ამგვარი რეფორმატორები თავიანთ აზრების გასაჯაროებლად სმირად საშინელს სასტიკობასა და შეუბრალებლობას იჩენენ. ისტორიით ვიცით, რომ მრავალჯერ დაღვრილს აჯარებელი სისხლი ამ რეფორმატორების წყალობით. თვით დიდ საფრანგეთის რეკოლიფციის დროს, თუძვა მრავალი ნიჭიერი და განათლებული მოღვაწე იღებდა მონაწილეობას იმ სისხლის ღვრასში, მანც ბეკრნი მათ შორის გატაცებულნი რეფორმატორნიც იყ-

კენ, სულს ავადმყოფობით შეპყრობადნი. მრავალნი კაცის-მეკვლე-
ლნი, რომელთა სასკლები ისტორიაში სწერია, სულით-ავადმყოფ-
ნი იყვნენ: მაგ. რავალლიაკი, რომელიც ჰანრი მე-IV მოჰკვლა, კა-
სერიო, კარნოს მეკვლეი, რომელსაც ლაშროსომ მთელი წყრი-
ლი უძღვნა და ამტკაცებდა, კასერიო ნამდვილი სულით-ავადმყოფ-
ი იარსო, და სსკ.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ «დეკნუღნი — იპოსონდროგინი»: ამგვარ
ავადმყოფს თავის თავი სულ მედამ მძიმე ავადმყოფი ჰგონა; სულ
იმის წუხილშია, რომ რიგინი მოკლა არა მარჯის და განსაკუთრე-
ბით იმსა დარდობს, რომ ექიმები ცუდად მწამლობენ; მედამ ექი-
მებს იცვლიან; ასა-ასა წამლებს სვამენ, სოლო შიკლა კი არ-
საიდან არის; მიზეზი, რასაკვირველად, ექამია; ამიტომ ამგვარი
ავად-მყოფი ამოთვალწუნებს რომელსამე ექიმს და იწყებს შურის-
ძიებას, რას არ იგონებს ექამზე! სძინად არ ურიდება მის შეუ-
რაცხყოფას და ხელით შესებას; მომხდარა ასიც, რომ ექამი მო-
უკლაოთ.

არის იმგვარი სულით-ავადმყოფიცა, რომელიც წარმოადგენს,
რომ ვითომ რომელიმე დიდი კაცის ჩამომაკალი ვარო და თან-და-
თან რწმუნდება კიდევ, რომ სწორედ ეს ასეაო. მისნი ნათესავნი,
რომლებთანაც მანამდე სცხორებდა, მისთვის ვითომ სულ უცხონი
არიან. ავადმყოფი შემდეგ იწყებს თავის დედ-მამის ძებნას და ბე-
ლეს ვითომ ჰპოულაბს კიდევ.

ერთმა ამგვარმა ავადმყოფმა წარმოადგინა, რომ ჟიულ გრევის,
საფრანგუის ჰრეზიდენტად ნამყოფის შვილი ვარო და რომ ვი-
თომ ეს ამბავი დედამ გამოიხსნა და უკანასკნელს უამს, როცა კვდე-
ბოდაო. დაუწყო ჟიულ გრევის წერილების წერა, ასე და ასეო და
ისე მოახერხა თავი ჰრეზიდენტს, რომ იძულებული იყო პოლიცი-
ისათვის მიემართნა; როდესაც ჟიულ გრევი გარდაიცვალა, ავადმყოფ-
მა, ვითომ იმის შემკვიდრემ, სასამართლოში საჩივარი შეიტანა,
მეც უნდა მომეტეს ნაწილი, როგორც შემკვიდრეს ამ საცხორებ-
ლისა, რომელიც ჰრეზიდენტის სიკვდილის შემდეგ დარჩაო.

ასეთივე ამბავი ემართებათ «შეკვარებულ» სულით-ავადმყოფ-
თაც:

რომელიმე სულით-ავადყოფი წარმოადგენს, მაგალითად, რომ ვითომ ამ და ამ მანდილოსანს გაგიყუბით უყვარვარო; დაუწიებს წერილების წერას თავის სატროფს და მსურველ სიყვარულს უცხადებს; მუდამ მის სადგომ წინა სდგას და ცდილობს როგორმე თვალი მოჭკნას; თუ ეს მისი სატროფი სადმე წაიდა, ავადყოფი უკან დაედევნება; აზრდილივით უკან დასდევს, და, ხშირად, საქმე პოლიციამდე მიადწევს სოდმე. საერანგეთში პრინც X-ის სასახლეში, შინაურმა მასწავლებელმა, რომელიც ამგვარი სულით-ავადყოფი იყო, წარმოადგინა, ვითომ გაგიყუბით უყვარს დიასახლისსა და იქამდინ მივიდა, რომ ერთს საღამოს, როდესაც მზაყლად სტუმრები იყვნენ შეკრებილნი სასახლეში, მასწავლებელმა საჯაროდ აკოცა პრინცესას.

უმთავრესი მიზეზი ამგვარის საქციელისა ის არის, რომ რომელიმე აზრი—იდეა საკესებით იტარებს ავადყოფს; ავადყოფი მხოლოდ იმ აზრით სტოცსლობს და მთელი მისი არსება იმ ერთის იდეით არის შეწყობილი. ზოგი სრულებით ეძლევა ამ აზრის განსროციელების საქმეს, ზოგი კი ცდილობს წინააღმდეგს, მაგრამ, სიმწუხაროდ, მალე რწმუნდებიან, რომ სამართლის სულიერი ძალა არ მოეპოვება ასეთის წინააღმდეგობისათვის.

ამ უკანასკნელ ვაკუუმში უნდა ჩავთვალოთ ის საკვირველი სულით-ავადყოფი, რომლის შესწავლა ის იყო, რომ, როდესაც ქუჩაში ქალს დაინახავდა, უკან დაედევნებოდა და მანამდისინ არ მოშორდებოდა, სანამ არ დარწმუნდებოდა, ლამაზია თუ ულამაზოა; ამასვე ჰკითხავდა ყოველ გამგელს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ ქალს აღარ გაატარებდა ქუჩაში და მთელს დღეს ქუჩებსა და ბუდეებში აღაშებდა. თითონ ავადყოფიცა ჰგრძნობდა თავისს ამგვარ სულიერ სისუსტეს, მაგრამ ძალა არა ჰქონდა მოეშალა ეს სისულელე. ბოლოს იმელებული იყო თვალუ-სკეული ეარა ქუჩაში და ცალკე კაცს ეტარებინა ხელ-ჩაკიდული; მაინც იგრძნობდა თუ არა, რომ ქალმა გაიარა, ჰკითხავდა თავისს კაცს, ლამაზია თუა არაო? კაცი დარბილებული იყო და ყოველთვის ამას ეუბნებოდა, ულამაზოა. ერთხელ ეს სულით-ავადყოფი ვოცხალხედ იყო; უცბად იგრძნობდა ქალის მოახლოება და კაცს ჰკითხა, ლამაზია თუ არა ეს ქალიო;

კაცს დაავიწყდა დარიგება და უთხრა; კერ მკვასწარი მაგ ქალის გასისწყობა. აჯადმოყენმა მოიკლიჯა თვალ-საყვარი, გაჭყვა ქალს, ჩაჭყდა მატარებელში და პარიუიდან ღონდონამდე სვდა.

ამგვარი ასირებული სურვილით არიან გატარებულნი ის სულით-აჯადმოყენი, რომელნიც „გულუპტომანაით“ არიან შეპყრობილნი; ასეთი აჯადმოყენი ჭკრძნობს უძვეველეს სურვილს მოიპაროს რამე; შირველივე ნივთი, რომელსაც დაინახავს, უსათუოდ უნდა აიღოს და ჯიბეში ჩაიდოს. ზოგიერთს მხოლოდ ერთის რომელიმე საგნის მოპარვის სურვილი აქვს. ჩვენ ვიცნობდით ერთს მოსწავლეს, კარგა მოზრდილს, რომელსაც ჩვეულება ჭქონდა მოეპარა ყველა თავის ამხანაგებისთვის კალმის ტარები; თითქმის ყოველდღე იპარავდა; ხოლო სხვათნივე ეს მოწითვე რიგანი ემაწვილი იყო. ამხანაგები კალმის-პარასი ეძსდნენ.

პარიუში ერთი ემაწვილი ძლიერ მდიდარისა და კარგის ოჯახის შვილი ისე იყო შეპყრობილი ამ კლუპტომანით, რომ მშობლები იძულებულნი იყვნენ სული აეკრათ ემაწვილისათვის.

ამნაირივე მძლავრია სურვილი თავის მოკვლისა ზოგიერთს სულით-აჯადმოყენობაში. თვით კოლტურმა აღნიშნა ფრიად შესანიშნავი ამბავი, რომ ზოგიერთს გვარში სშირია ხოლმე თავის-მოკვლა. მეცნიერი მაკვებრუნი გარდმოგვცემს შემდეგს: ერთს გვარში მამამ, ორმა შვილმა—ვაჟმა, ერთმა ქალმა და შვილი-შვილმა თავი მოიკლეს; მესამე ვაჟსაც თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ როგორღაც თავი შეიმაკრა. შესანიშნავია, რომ ოთხივე კანმა ერთისა და იმავე თოფით მოიკლეს თავი.

ლომბროზოს მოჭყავს შემდეგი საინტერესო მაგალითი: პირველ რეკოლიუციის დროს ერთი მესათე ჭეუაზუდ შეირყა, იმდენად იმოქმედა რეკოლიუციის საშინელებამ; შემდეგ მორჩა და რამდენსამე ხანს კარგად ჭკრძნობდა თავს. არ გასულა დიდი ხანი თავი მოიკლა; ერთმა მისმა ვაჟმა ხანჯლით მუცელი გამოიფუჭა, მორჩემ შიშხილით მოიკლა თავი, ხოლო მესამე—ლოთობამ გადიტანა.

არიან იმგვარი აჯადმოყენებიც, რომლებსაც სხვის მოკვლის სურვილი აქვთ. უმთავრესი დამასურნალებელი ამგვარის კაცის-კვლისა ის არის, რომ არასოდეს არა სჩანს არც საბუთი და არც მიხე-

ზი, რითიც შეიძლება დაეს აქსნათ ასეთი კანის-გელა; ამგვარი კანის მკვლეელი არასოდეს არ ეკარება მოკლეულის ნივთებს და არც ცდილობს დაჭმალოს როგორმე მკვლელობა. ასეთი ავადმყოფი ჭკრძნობს საშინელ და გამოუთქმელს სურვილს კანის მოკვლისას; თუმიცა შესაძლოა ჭკრძნობდეს, ეს საშინელებააო, ებრძოდეს თავის თავს, მაგრამ სშირად კი უფრო ემოცინილებოდეს ასეთს წყურვილს თავისის ახირებულის შერყეულის ბუნებისას. ამ მკვლელებში უნდა ჩავთვალოთ გამომჩინალი ინგლისელი უაკი «მურცელთ-მოფატრელა». თუ რაგვარ ტანჯვას და ვაებას ჭკრძნობს ამგვარი სულით-ავადმყოფი, ეს შეუდარებლად და სურცსოგოდ ავთიწერა ემილ ზოლამა თავის რომანში „La bête humaine“: უაკი, რომანის გმირი; ამგვარი ავადმყოფია. ბავშობიდანვე ჭკრძნობს რაღაც საშინელ, მძლავრ სურვილს კისიმე სისხლი დაჭლკაროს. თკითარვე იცის კარგად, რომ ბედს ასე გაუჩენია; ებრძვის, იტანჯება და ივაკებს თავს განსაცდელისაგან; სხვათრე უაკი ძლიერ წენარი, მშვიდი და მოსიყვარულე ადამიანია. უაკს ჭყავს საყვარელი, რომელიც ძლიერ უგვანს; მაგრამ ალერსის დროს უცბად მოუვა გიუური სურვილი თავის საყვარელის მოკვლისა; როგორც კი დანახავს მის თუთრს, ტიტკელს კისერს, მთლად ავანკლდება გიუური სურვილით, უნდა აიღოს დანა და ჩასცეს უღში. მისთვის სასიამოვნო ის არის, რომ ჭინაფურივით სისხლი წითლად შეჭლებავს მარმარილოსავით თუთრს და სხეტკავს სხუელს მისის საყვარელისას. იტანჯებოდა ასე კარგა დიდს ხანს და თავს იმაგრებდა. მაგრამ ერთს სვეენა-კონის დროს მშვენიერმა და უარყარ ვედ-ურმა ისე გაავიყა, რომ სტაცა სტოლზედ დანას ხელი და ჩასცა თავის საყვარელს შიგ კისერში.

სამაგიეროდ არიან ისეთნი სულით-ავადმყოფნიცა, რომელთაც არაკითარი გამორეკეული სურვილი არა აქვთ; მუდამ ეჭვიანობენ ჭ უოყმანობენ; რასაც აკეთებენ, სუეეულაფერს ეკვით უუერებენ, არაფერში დარწმუნებულნი არ არიან; ხანდახან იქამდისინ მიდის საქმე, რომ შვილი ეჭვიანობს, ჩემი დედ-მამა ნამდვილად ჩემი მშობლები არიან თუ არაო. ერთი ავადმყოფი ვნასეთ, ესე 15—17 წლისა იქნებოდა, ჩამოკვლობით დეკენერანტი—გადაკარებელი. ბავშობაში ძლიერ ნიჭიერი იყო (დეკენერანტები სიყმაწვილეში ნიჭს იჩენენ და მერე

თან და თან უსუსტდებთ ჭკუა-გონებას, მსწავლელები თვისის ნიჭით აღტაცებაში მოჭყვავდა; მაგრამ მშობლებმა შეჭნიშნეს, რომ ბაკშეს ნიჭი თან და თან აკლდებოდა, ზარმაცობა უძლიერდებოდა და ბოლოს იძულებული იყვნენ სასწავლებლიდან გამოეყვანათ. ბოლოს ამგვარი სულით-აგადმყოფობაც დასჩემდა: რომელიმე ეჭვი ისე გაიტყუებდა, რომ ყოველივე დაჰვიწყებოდა, იფხვად მთელის საათობით და თავს იტყუებდა. მაგ. იფხვად და ფიქრობდა: დედა-ჩემი—დედას ნამდვილი თუ არაო. ეს სტოლია თუ სკამიო? არა, ეს სკამია და არა სტოლია! მიბრუნდებოდა თუ არა, მაშინათვე ეჭვი აღძროდა, იჭნება სტოლია და მე ვერ გავსინჯე კარვადო. მიბრუნდებოდა და დაუწეებდა სინჯვას და ასე ამგვარად იტანჯავდა თავს. ამგვარი აგადმყოფი, უბრალო საქმის გაკეთება რომ უნდოდა, დიდ ხანს ეჭვალება. მაგ. ამ აგადმყოფს უნდა წერილის გაგზავნას; დაწერა წერილი და ჩაღო კონვერტში; როდესაც დააბიძგებს წერილის გაგზავნას, უცხად ეჭვი აიტანს, ჩაკვე წერილი კონვერტში თუ არა? დაჭხკეს კონვერტს და დარწმუნდება, რომ ნამდვილად სძუეს წერილი შიგა; ხანდახან სუთ-ეჭვს კონვერტს დაჭხკეს.

იმათაც სულით-აგადმყოფი უნდა ეწოდოთ, რომელნიც ნამეტანის შიშით არიან შეშურბილნი, და ჭფრებენ, ვაი თუ ესა და ეს აგადმყოფობა შეგჩვენესო. ავიღოთ იგივე-მიზანტროპი ანტურ შოპენჰაუერი ამგვარის სულით-აგადმყოფობით იყო შეშურბილი. ამ აგადმყოფობას ჭჭვიან ნოზო ფობია. ერთი ამგვარი აგადმყოფი გნასეთ სააგადმყოფოში; ხელზედ ტყავი ჭჭონდა გადაიმჯვალე ნამეტანის სესხვარეცხვით: რასაც ხელს მიაკარებდა, ჭჭონებდა, აგადმყოფობა გადამედებოდა და დაწეებდა ხელების ბანას. ამგვარი სულით-აგადმყოფობა განშირდება სოფელ რომელიმე გადამდების აგადმყოფებისა და მოარეულების დროს, მაგალითად, ხალერობის დროს.

ერთს ახალ-გაზდა კაცს კიცილობით, რომელიც ხალერობის დროს ამგვარის სენით შეშურბილიყო და ყოველმანვე ჩვენმა წადი როგორმე დაგვეშვიდებინა, ამაოდ ჩაიარა.

III

უოკელისაკე ზემორე-თქმულით უმთავრესად ის გვსურდა და-
გვეხსენებინა მკითხველისათვის, თუ რა მრავალ-გვარია სულით-ავად-
მყოფობა, გვსურდა გვეჩვენებინა, რომ არა მხოლოდ ისინი არიან
სულით-ავადმყოფნი, რომელთაც ხალხი შეშლილს ანუ გიჟს ეძახის,
არამედ ისინიც, რომლებზედაც დაუგვირგებელი და უცოდინარი ადა-
მიანი ეჭვს ვერ შეიტანს.

ამგვარი სულით-ავადმყოფი იმითი განირჩევა შეშლილ-გიჟისა-
გან, რომ პირველს მხოლოდ ერთი სულიერი გერძობა აქვს შე-
რუეული, ანუ, როგორც ჰისიატრები ამბობენ, რომელადმე სული-
ერი დეფექტი აქვს, მანკიერება; მისი სულიერი თვისებანი რომ გა-
ვისინჯოთ, მხოლოდ ერთს ან რამდენსიმე ადგილას შევამჩნევთ დე-
ფექტს, ან და შერუეავს. ხალხი შეშლალ-გიჟი გი ისეთი ადამიან-
ია, რომლის სულიერი არსება სრულებით შერუეულია და გადა-
სხვავებულია. სამწუხაროდ, ამ პირველ გვარ სულით-ავადმყოფის
შთამომავლობა ნამდვილი იდიოტები ან და დეგენარატები — გადაჯგა-
რებული გამოდის. ზემოდაც შეგნიშნეთ, რომ სულით-ავადმყოფეთა
რიცხვში ბევრი ჭკვიანები და გენიოსებიც არიან. სასკოლავანში იტა-
ლიელმა მეტრიკმა ლომბროზომ სცადა სრული მსჯავსება გაემტვი-
ცებინა გენიოსთა და სულით-ავადმყოფეთა შორის. ეს, რასაკვირ-
ველია, გაწკიადება, მაგრამ რაღაც დამოკიდებულება რომ არის მათ
შორისა, ამას ქვემორე მოყვანილი მაგალითიც დაგვანახებს. მკოს-
ნის ბაირონის დედა სულით-ავადმყოფი იყო; მამა გი ძლიერ გარ-
ყვნილი და საღასანა — სულით-ავადმყოფი; არტურ-შოპენჰაუერს ბი-
ძა და ჰანსი შეშლილები ჰყავდა, მამამ თავი მოიკლა. მრავალ ჰოეტისა
და მწერალს წინაპარნი სულით-ავადმყოფნი ჰყავდა; ზოგიერთი მა-
თგანი თვით იყო სულით ავად-მყოფი: შენდელსონი და შუმანი —
ორივე გამოჩენილი კომპოზიტორი; მოლერი — მამა კომედიისა —
მელანქოლიით იყო ავად; ოგიუსტ კონტი, ჰოზიტეიერის ფილოსო-
ფიის შემოქმედ-დამფუძნებელი, სულით-ავადმყოფი იყო. ტას-
სო, ყან-ყაგ რუსსო, შოპენჰაუერი სულით-ავადმყოფნი იყვნენ. შო-

ჰენჯაუერს წერილის მიღებისა ეშინოდა, სამართებლის სელში აღბას არ შექელო, არასოდეს სსვისი ჭიჭით არ დალექდა სასმელს, რადგან ავადყოფობის გადადებისა ეშინოდა. ამჟერი, მიუღლერი, ნიუტონი, ჰასკალი, სვიფტი, გუნი, ალფრედ მიუსესე და სხვანი სულით ავადყოფნი იყვნენ.

ბუნებამ დაანსლოვა რა ამგვარად გენიოსნი და შექლინი, — ამბობს ლომბროზო, — თითქო ამით დატკავალა, უფრო შეწყნარებითა და ლომბიერებით მოკევიდოთ შექლილებს, სოლო გენიოსობა კი მაინცა-და-მაინც ნუ წაგვიტაცებს.

კიდევ მრავალა სხვაგვარი სულით-ავადყოფობა, რომელსაც ჩვენ სემოდ არ შევსებივართ და მხოლოდ ის ფორმები ავწერეთ, რომელთაც უფრო ნათლად სჩანს შემკვიდრებითი გადაგვარება; ამგვარნი სულით-ავადყოფობანი საზოგადოებისთვის თითქო უმნიშვნელოა და ხან-და-ხან ისეა განმარტებული, ვითომ აქ არაფერიც; ხოლო დაკვირვებულისა და მცოდნე კაცისათვის დიდი ინტერესი აქვს ამგვარ სულით-ავადყოფობათ. როცა საზოგადოებაში გაგრძელდება მეტი ცოდნა, მაშინ სულით-ავადყოფობა უფრო გავრეკით ექმნება წარმოდგენილი და ამგვარ ავადყოფობასაც უფრო მეტის უურადლებით მოკუზრობიან და მორიდებაც მეტი ექმნებათ მათი, რადგან, როგორც ქვემოთ ვიტყვი, სულით-ავადყოფობაც შემკვიდრებით გადადის შთამომავლობაზე; მხოლოდ იმ საზოგადოებას დაეტყობა მძლავრი განვითარება, რომლის წევრნი როგორც ჭკუა-გონებით, ისე სულით არიან საღნი.

IV

ასლა ვეცდებით აღვნიშნოთ ის მიზეზნიცა, რომელთა გამოც წარმოდგება სხვა-და-სხვა სულით-ავადყოფობა. ძლიერ დიდი ხანა მას აქვთ, რაც მსისაცრებმა თვისი უურადლება მიატყიას სულით-ავადყოფობის მიზეზებს; მაგრამ ამგვარი გამოკვლევა, სამწუხაროდ, ძლიერ ძნელია, მაშინაც კი ძნელია, როდესაც ამისთანა გამოკვლევას სავნად აქვს გაიგოს მიზეზები კერძოდ რომელიმე სულით-ავადყოფობისა; ძნელია იმიტომ, რომ სულით-ავადყოფობა

არის შედეგი არა ერთისა, არამედ რამდენისამე მიზეზებისა. როდესაც შეისწავლით სულით-ავადყოფის ბიოგრაფიას, დანახავთ, რომ სხვადა-სხვა მიზეზები თან-და-თან გაძლიერებულა, არა თითო-ორლას წლებით, არამედ ათის და ოცის წლებით, სულიერნი თვისებანი ადამიანის თან-და-თან შერყეულა და ბოლოს იქამდინ მისულა საქმე, საკმარისი ყოფილა უბრალო, უმნიშვნელო სახაბი, რომ სულით-ავადყოფი გამხდარიყო ადამიანი. რაც უნდა ძიძუე უბედურება დაატუდეს კაცს, თითქმის ვაკვლავის შეემდინა აიტანოს ისე, რომ მისი სულიერი თვისებანი სამუდამოდ და შესამჩნევად არ შეიცვალოს, თუ სულით სალია; ხოლო სულიერად სუსტისათვის საკმარისი უბრალო შემთხვევა, რომ სულით-ავადყოფი შეიქმნას. რასაკვირველია, საზოგადოება ამ უბრალო შემთხვევას მიაწერს ავადყოფილებას, ხოლო ის მრავალ-გვარი მიზეზები, რომელიც რამდენადაც წლებით მოქმედებდა და აზიანებდა სულის სისწორეს, შეუნიშნავი რჩება უმრავლესობისათვის. მოხდება ხოლმე, რომ საზოგადოებაში მიზეზებად უკვე დაწეებულ სულით-ავადყოფილების სიმპტომებს—ნიშნებს სთვლიან. მაგალითად, ხშირად გარყვნილობასა და ღოთობას აწერენ სულით-ავადყოფილობას, მაშინ როდესაც, რომ დააკვირდეთ და გამოაკვლიათ საქმე, დანახავთ, რომ ეს ვარაუდობანი მიზეზები არა, უკვე დაწეებულ ავადყოფილების სიმპტომებია.

უბრალოდეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს—მეშვიდრეობა. როგორც სხვა მრავალ ავადყოფილებას უბოვანა შედიცინამ სათავე მეშვიდრეობაში, მაგალ. სიტყვეჭის, სიფილისის და სხვა, — აგრეთვე სულით-ავადყოფილებასაც მეშვიდრეობაში აქვს დასაწყისი. მასვე ამბობდა, როგორც წერილის თავშიც მოვიხსენიეთ, თვით იმპერატორი. ახლა, რასაკვირველია, არავითარი ეჭვი არ არის, რომ ეს ასეა. დღეს არამც თუ მეშვიდრეობის ძლიერი გავლენა დატოვებდა, არამედ ამ ფაქტორს უპირველესი ადგილი მისცეს სხვათა ფაქტორთა შორის. დედ-მამის სორცოელები და სულიერნი თვისებანი მეშვიდრეობით ახრდებათ შეილება, ასეთთა ბიოლოგიური განხიბი. მამები მუკვეს სტამენ და შეილება კბილები აქვთ მოკვეთილი, იტყოდნენ ძველნი უბრალონი; ხოლო ჩვენმა ხალხმა სთქვა: დედა ნახე, მამა ნახე, შეილი ისე გამოხანხეო. ერთს მეშვიდრეობით დაჭყვება

შეურყეველი სისწორე სულისა, განწონილება ხსნათისა, სოლო მე-
ორეს კი იმკვარი სულის სიმსუბუქე, რომ ცოტა რამაა სსჭირო მის
შერყევისთვის.

თუ, რასაკვირველია, დედ-მამა სულით ავადმყოფია, შვილებიც
სულით ნაკლულეგან-მანკიერნი იბადებიან. როგორთვის ანკანშით,
ასს შემთხვევაში ოასმრც და ათი შემთხვევა ისეთია, რომ მემ-
კვიდრეობის გაკლენით ახსნით სულით-ავადმყოფობას. მემკვიდრე-
ობის განონი იმას კა არ აზბობს, უსათუოდ ის სულით-ავადმყოფ-
ობა დაჭეება შეილს, რითაც მამა ან დედა იყო ავადო. შეიძლე-
ბა, შეილს სსვაგარი სულით-ავადმყოფობა აღმოახნდეს.

მემკვიდრეობა ამ შემთხვევაში იმით იხენს თავს, რომ შეილს
დაჭეება სულის უთანასწორობა და სისუსტე, მამასადადე, სსვა-და-
სსვა მიზეზები აძკარ სულით სუსტს უფრო ადვილად შეარყეპს.
როდესაც კსურთ გაიგოთ რომელსადე სულით-ავადმყოფობაშა მე-
მკვიდრეობას წილი უდგეს თუ არა, უნდა ჭკითსოთ ავადმყოფის,
მის გვარში სულით-ავადმყოფნი იყვნენ თუ არა? ამის გარდა სა-
უურადადებოა იმის გაგება, აქონდათ გვარში რომელიდე ავადმყოფ-
ობა ირგების თუ არა: ნერგების სისუსტე, ბნედა, ისტერია
და სსვა. დედ-მამის ღოთობას დიდი მნიშენლობა აქეს. სავამრი-
სია, მამა მსოლოდ შირკელ ღამეს დაითვრეს, რომ შეილი იდიოტი
ან სულით-ავადმყოფი გამოვიდეს. ხანში შესულ ცოლ-ქმარს სში-
რად ან ჭკუა-ნაკლები, ან სულით-ავადმყოფნი ეყოლებათ სოლდე.

როგორ სწარმოებს სასულდობრ და ნიშნობდეე ეგ განონი მე-
მკვიდრეობასა, ვერ შედიცინას რიგასად არა აქეს გამოკლეული;
ანსებობს მოსაზრება, რომ მემკვიდრეობა გამოისასვის იმ ორგა-
ნიულ ცვლილებაში, რომელიც თავას ტინის დაეტუობა რითმეო,
ესე იგი იმ ელემენტებს, რომლებსაც განა შესდგება ტინი. მეტი
არ იქნება, ვგონებთ, მოკატონოთ მკითხველს მემკვიდრეობის განო-
ნები:

1) შირდაშირი მემკვიდრეობა, როდესაც დედ-მამა თანასწო-
რად გადასცემს თავისს შთამომავალს თვისთა უმთავრეს თვისება-
თა; ასევე შეიძლება გადავიდეს დედ-მამასიგან შეილსედ სსვა-და-სსვა
სულით-ავადმყოფობა.

2) მექვიადრობა უზირატესობისა, როდესაც მამა გარდაცემს თავისთა თვისუბათა ვაჟს და ღუდა—ქალს; ან მამა—ქალს და ღუდა—ვაჟს.

3) მექვიადრობა—უკუმოქცევეთი—ატავიზმი, როდესაც მამის თვისებანი შვილსად კი არ გადადის, არამედ შვილი-შვილზედ, ასე რომ შვილი-შვილი უბრუნდება მამის თვისებას.

4) მექვიადრობა, რომლის ძალით რომელიმე მექვიადრობითი თვისება შთამომავალს ერთს რომელსამე ჭასაკში გამოაჩნდება.

ერთს თსუელებსში მექვიადრობითი გადაცემულ სუფთო-ავად-მყოფსზედ გვიოხსულობთ შემდეგს: ერთს სხსნუელაში რამდენისამე სხის განმავლობაში მაიფვანეს თერთმეტი სუფით ავადმყოფი, ერთისა და იმავე გვარისანი. ზოლამ, ამ საფრანგეთის ასლანდელის სიტუვა-კაზმულის მწერლობის შესანიშნავმა წარმომადგენელმა, საუცხროოდ დასურათა მექვიადრობითი გადაცემის მნიშვნელობა თავის რომანსებში: «რუგონ-მაკარები» (Les Rougon-Macquart) წარმოადგენს მთელს სერიას რომანებასს, რომელშიაც ოცი რომანია. ამ ოც რომანში აღწერილია «მაკარ-რუგონების» გვარი მეორე იმპერატორის დროს; აღწერილია არა მხოლოდ ერთი გვარი, არამედ მთელი მამინდელი საფრანგეთი. ეს ოცი რომანი წარმოადგენს ერთს საუცხრო გარეშეკეტელ ისტორიას, სდაც ზოლამ, როდესაც აგვიწერს თავის გმირების სულის თვისებათა, ცდილობს ნათლად დაგვანახოს მექვიადრობის ვაკუნა. წინაშარი ამ გვარისა იყო ადელაიდა ფუკე (Fouque), რომლის პირველი განონიერი ქმარი იყო რუგონი, კაცი წყნარი და მშვიდი; ამ ქმართან ეუოლა ერთი ვაჟი, ქმრის სიკვდილს შემდეგ ადელაიდამ აიხინა საყვარელი—მაკარი, ლოთი და ერთობ ასირებული გადაწყვეტი ადამიანი, რომლის სულშიაც ეუოლა ერთი ვაჟი და ერთი ქალი. ბოლოს თვით ადელაიდა ჭკურზედ შეიშალა. ასე წარმოსდგა ორი შტო რუგონებისა და მაკარებისა. როგორც ჭსედავთ, პირველი შთამომავლობა უფრო სუფით სადი უნდა ყოფილიყო, სდაგან რუგონი, მათი წინაშარი მშვიდი ადამიანი იყო, სოლო მეორე შტო წარმოადგენდა უფრო სუფით სუსტს ხალხს, როგორც თვით მათი წინაშარი მაკარი. პირველი შტო, რუგონები, წარმოადგენს უფრო სად-ხალხს სუფით, კიდრე

მეორე შტო; ასე მაგ. უკვი, რომელიც კაცის-კვლის სურვილით იყო გატაცებული, სხანა და სხვები ამ შტოს ეკუთვნის; სოლო კუქს რუგონი, დოქტორი ზასკალი და სხვები ეკუთვნიან ზირველ შტოს.

მემკვიდრეობის გარდა სულით-აგადმოფონისად დიდი გავლენა აქვს იმგვარ ცხოვრებას, რომელიც აუღიფრებს ადამიანის ფიზიკურ და სულიერ სიცოცხლეს: ამგვარად ღოთობა, გარდამეტებული ესებათა-დედა და გარყვნილება, აშოთობული და დაუწყნარებელი ცხოვრება და სხვა. იმ აგადმოფონს, რომელიც ადამიანის ატებულებას აუღიფრებს, მანე გავლენა აქვს აგრედვე სულზედაც: ასე მაგ. საოფლე, ჭლეტი, სიფილისი და სხვა; თუ ამ შემთხვევაში მემკვიდრეობაც სელს უწყობს, მაშინ ამ წემამსუნებულ სენით შეზერობიანი სულით აგადმოფონების; თუ არა-და, იმათ, რომელნიც ტრუდისა და გარყვნილას ცხოვრებით სერებს ისურებენ, შთამომავლობა იმდენად სუსტი ეყოლებათ, რომ სავმარისია რედ ტრუდი აღზრდა და უკარგისი გარემოებისიც დაერთოს, რომ იგი სულით-აგადმოფონა შეიქმნეს. ამგვარად კხედეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჭქონია სნეობრივსა და წესიერს ცხოვრებას. იმას, რაც რყვის და ასურებებს ადამიანს, აქვს უფრო ღრმა და გამანადგურებელი შედეგი არა მხოლოდ ერთი ადამიანისათვის, არამედ მთელის შთამომავლობისათვის. წამლობა ამ სენს ისე უნდა, რომ ჭერ უნდა გეცადოთ ავიცდინოთ თავიდან იმგვარი ცხოვრება, რაც ადამიანს აუღიფრებს; მასთანადიე—ჭიგეისა და სნეობრივი ცხოვრება! თუ კხედეთ, რომ ბავშვს ტრუდი მემკვიდრეობა დაჭყოლია დაბადებით, უნდა კეცადოთ გონიერულის აღზრდათ შეკამსურებოთ მემკვიდრეობის გავლენა, თორემ, თუ ამისთანას აღზრდაც ტრუდი მიეცა, სულ დაღუპული შეიქმნება და ბოლოს ყოვლად მანე წვერი გამოკა სსოგადლობისა.

L'éducation seule peut corriger le naturel et
l'habitude le soumettre.

(Bacon)

გ. ბადრიძე

მთიულეთი 1804 წელსა

ისტორიული ამბავი

IX

ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ, რა სახტად დარჩა და რაოდენ გაჰკვირდა საქართველო კოვალენსკისა და კნორინგის უცნაურის საქციელით. მტერთან ძალი-შომრეობით შეწუხებული ქვეყანა, დაღლილ-დაქანცული შინაურის შფოთითა და არეულობით, რუსთა მხედრობისაგან მოელოდა ხსნასა, ჯერ მოსვენებით ცხოვრების დამკვიდრებასა და შემდეგ გაძლიერებასაცა. თითქმის ყოველი ქართველი, დიდი თუ პატარა, დარწმუნებული იყო, რომ დღეიდან მაჰმადიანობა დაეშობა, ხოლო ქრისტიანობა აღყვავდება და ვარდივით გადაიფურჩქნებაო. თითო ოროლანი მაშინაც იყვნენ, რომელნიც წინასწარმეტყველურის შორს-გამქვრეტელობით ჰქუხდნენ და ჰღალატდებდნენ, რომ საპოლიტიკო არსებობის მოსპობა კი არ აღაყვავებს სარწმუნოებას, პირიქით, დასთრგუნავს და დაამხოხოს, მაგრამ ასეთი ხმა რჩებოდა ხმად მღალატდებლისა უღაბნოსა შინა. მსოფლიო ისტორიაში ხშირია ისეთი მომენტები, როცა ერს, ქვეყანას გაიტაცებს რომელიმე აზრი, იდეა და ჰგონებს, თუ ეს აზრი, იდეა არ განვახორციელებ, თავი ცოცხალი აღარ მინდაო და გამწარებული, ზოგჯერ ძლიერის სულის კვეთებით იბრძვის და ეტანება თვისის იდეალის განხორციელებას. სწორედ ასეთი დრო და მომენტი დაუდგა საქართველოს მეთაურამეტე საუკუნის დასასრულს. ქვეყანას სჯეროდა, რომ დაღუპვისაგან მხოლოდ მართლ-მადიდებელი რუსეთი დაგვიხსნის და სხვა არა-

ვინაო. უმრავლესობა ერისა ბედისწერას აჰყვა და. გულ-ხელ-დაკრეფილი დაემორჩილა ღვთის განგებასა¹⁾).

ასეთი იყო მოლოდინი საქართველოს ერისა; ასე ოცნებობდნენ და ჰფიქრობდნენ მაშინდელი ქართველები, ვიდრე თავიანთ ბედნიერის თვალით არ დაინახეს კოვალენსკისა და კნორინგის უცნაური მოქმედება, ვიდრე არ იგემეს მოხელეთა წრეს-გადასული და აღვირ-აშვებულის საქციელი. მაშინ განცვიფრებას და ელდას სამზღვარი აღარა ჰქონდა, მაგრამ გვიან-და იყო, წაშხდარს საქმეს რაღას არგებდა ტყუილ-უბრალოდ თითზედ კბენანი.

უფრო მეტად განცვიფრდნენ და გაოცდნენ ბატონიშვილები, განსაკუთრებით ისინი, ვინც მეფე გიორგი XIII-ს სიკვდილს შემდეგ მოელოდნენ გამეფებას, საქართველოს თავისი ქირისუფალი უკვე ჰყავდა მეფის გარდაცვალების შემდეგ. ეს ქირისუფალი იყო ბატონიშვილი დავით, უკვე დაჯილდოვებული მამის გარდაცვალების უამს გენერალ-ლეიტენანტის ჩინითა და შეწყნარებული ორივე იმპერატორის, პავლესა და ალექსანდრეს მიერ საქართველოს მემკვიდრედ და, მაშასადამე, რომელდა ბატონიშვილს უნდა ჰქონოდა იმედი გამეფებისა? პირ-მშო გიორგი მეცამეტისა დავით მამის გარდაცვალების შემდეგ ხუთს თვეს განაგებდა საქართველოს და მეფედ მხოლოდ იმიტომ არ განოაცხადა თავისი თავი, რომ პეტერბურგიდან მოელოდა სამეფო რეგალიებსა და სამკაულსა. სლოლომონ ლეონიძე და ივანე სარდალი ჰყვედრიდნენ და ჩქარებდნენ ბატონიშვილსა, დროს ნუ ჰკარგავ, ნუ ჰლუბავ ქვეყანასა, იკურთხე გკირავნიო, მაგრამ ვერა შეასმინეს-რა²⁾. ამასობაში

¹⁾ ჩვენ განზრახული გვაქვს ისტორიულივე წერილი: საქართველოს ვიცუქანცუფრო სლოლომონ ლეონიძე. ამ წერილში ვეცდებით გამოვარკვიოთ და საესებით დავასურათოთ არსებობა ორის საბოლიტიკო დასისა მეფთრამეტე საუკუნის დასასრულს. პირველი დასი, რომელსაც თანაუგრძნობდა უმრავლესობა ერისა, მომხრე იყო რუსეთისა და სკდილობდა საქართველო მისთვის გადაეცა. ამ დასს ჩვენ ვუწოდებთ რუსთა მოტრფილვე დასსა, ანუ რუსოფილესს, ხოლო მეორე დასი— უმცირესობა, წინააღმდეგი იყო რუსეთისა და ამისათვის ვუწოდებთ რუსთა მოტულო დასსა, ანუ რუსოფობესსა.

²⁾ იხ. მეფე გიორგი XIII-ის ცხოვრება, გვ. 272, 275, 288.

ლინიიდან ჩამოვიდა გენერალ-ლეიტენანტი კნორჩინგი და-
ტვირთული ინსტრუქციებით და გამოაცხადა ტფილისში მანი-
ფესტი, რომ თანხმად საქართველოს ერის სურვილისა მეფობა
ისპობა, ხოლო ქვეყანა სამუდამოდ რუსეთის სკიპტრას უერთ-
დებოა³).

დედოფალ დარეჯანის ერთგულება და მის მიერ დიდად
მიჩნეულმა ამილახორმა, ცნობილმა ოსეულ კორღანაშვილმა,
შესთხზა სწორედ ქვეყნის დამღუპველი წესი და რიგი მემკვი-
დრეობისა. კორღანაშვილი იყო სული და გული ყოველ გვა-
რის საპოლიტიკო და საოჯახო ინტრიგისა მეფე ერეკლესა და
დედოფალ დარეჯანის კარის წინაშე. ასეთი უმსგავსი კაცი,
როგორც იყო ამილახორი კორღანაშვილი, მეტს რას მოიგო-
ნებდა, თუ არ უგვანსა, უბედურსა და მახინჯს რასმე. მის მიერ
დაწერილ მეფე ერეკლეს ანდერძის ძალით, მეფე გიორგის სი-
კვდილს შემდეგ, უნდა ემეფნა ბატონიშვილ დავითს კი არა,
არამედ იულონს, მერე ვახტანგსა; მას შემდეგ მირიანსა, მერე
ალექსანდრესა და ბოლოს ირაკლის უკანასკნელს შვილს ფარ-
ნაოზსა. ამათს შემდეგ სამეფო გვირგვინი უნდა გადასულიყო
მეფის გიორგის ძეთა ხელში, ესე იგი პირველად უნდა ემეფნა
დავითს, შემდეგ იოანეს, ბაგრატს, თეიმურაზს, მიხეილს და
სხვათა. მეფე გიორგის შვილები რომ ჩამოირიგებდნენ ტახტსა,
მეფობა უნდა დამკვიდრებოდა იულონის შვილებსა და მერე
ვახტანგის შვილსა. ერთის სიტყვით, ამ საკვირველის სამემკვი-
დრეო წესისა და რიგის წყალობით საქართველოში ისეთი ბა-
ტონიშვილი არ უნდა დარჩენილიყო, რომ სამეფო გვირგვინი
ცოტას ხნობით მაინც იმასაც არა ჰრგებოდა და ისიც არ
დამტკბარიყო იმ სანეტარო აზრით, რომ ერთხელაც იქნება,
მეც დავიმშვენებ თავს სამეფო გვირგვინის დადგმითაო⁴). ოსე-

³) იხ. Вуткова Материалы... т. III, стр. 338.

⁴) იხ. მეფე გიორგის XIII-ის ცხოვრება, გვ. 274. კანონიერი გრძნობა მორ-
ჩილებისა იმდენად მისუსტდა ამ დროს და მეფობის სურვილი ისე ძლიერი იყო,
რომ თვით დარეჯანმა მოინდომა მეფობა ეკატერინე დიდის წახედვითა. ბატონიშვი-
ლი ფარნაოზი ბოლოს, როცა თურმე მოიგონებდა ამ უბედურ დროს, ხუმრობით
იტყოდა ხოლმე: ერთხელაც არის ხომ უნდა ემეფნა და ამიტომ ჩემი წილი მეფო-
ბა მაშინვე სიკაბუჯეში მიწოდდოდა.

თა ყორღანაშვილის მიერ მოგონილი წესი და რიგი საქართველოს ტახტზე მეფეთა ასვლისა სწორედ შესაფერი და ზედ-გამოჭრილი კანონი იყო იმ უბედურ, უკულმართ და შავ-ბნელ დროსათვის, როდესაც საქართველო, თითქოს დიდის ხნის ციებ-ციხელებით მიმტკნარებული, ნელ-ნელა ჰლევდა თვისის საპოლიტიკო არსებობის უკანასკნელ დღეებსა. მეფე ერეკლეს ანდერძის მიხედვით, იულონი უნდა გამეფებულიყო; იმედიცა ჰქონდა იულონს, რომ იმეფებდა; ქართლში კიდევ აღვიარეს მეფედ, მაგრამ მის ოცნებას მალე მოელო ბოლო. მოსვლისათანავე რუსის უმაღლესმა მოხელეებმა საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ სამეფო ტახტი არ ეკუთვნის არც იულონს, არც დავითსა და არც არაგვის სხვასაო; რომ საშველო გვარეულობის წევრნი რუსეთს უნდა წავიდნენ და ეახლონ დიდებულ და მოწყალე იმპერატორსა, რომელიც სამუდამოდ და საბოლოოდ გადასწყვეტავს მათს ბედსაო. ჩვენ, მოხელეთ, არაფერი გვეკითხება და არც ვიცით, როგორ ინებებს, ან როგორ გადასწყვეტავს იმპერატორი ბატონისშვილებისა და ბატონის ასულთა ბედ-იღბალსაო. ვიდრე თ. პავლე დიმიტრის-ძე ციციშვილი დანიშნებოდა საქართველოს მთავარ-მართებელად, ბატონიშვილები ურჩობდნენ და საქართველოდან ფეხს არ იცვლიდნენ, მაგრამ, შემოსდგა თუ არა თ. ციციშვილმა ფეხი ტფილისსა, მაშინათვე ამ საქნელო საქმეს შეუდგა და მალე კიდევ დაბოლოვა. მთავარ-მართებელი ერთს ზრდილობიანსა და თავაზიანს წერილს მისწერდა ნიშანში ამოღებულ ბატონიშვილსა, მელასავით თავს მოიმკვდნურებდა, თქვენი ერთგული და კეთილის-მყოფი ვარო; ხანდახან იმასაც არ იფიწყებდა, რომ ქართველი ვარ და ნათესავად მოგხვდებო და ურჩევდა, მალე ეახელი იმპერატორ აღექსანდრე პირველსა და უარის თქმით ნუ აწყენინებ ღვთაების მზგავსს ხელმწიფესაო. უკეთუ უარი მოუვიდოდა, მსწრაულ შეიცვლებოდა ესე ყოველივე და ზრდილობიანისა და თავაზიანის კილოს მაგიერ, მოჰყვებოდა ცეცხლის ფრქვევას და განრისხებული საყვედურით ახრჩობდა უარის-მთქმელსა: აი თქვე უმაღლურებო და უკეთურებო, მე თქვენთვის ვზრუნავ და თქვენ

კი თქვენის თავის სიკეთე არ გეყურებათო. რადგან თავადი პავლე ცარიელს განრისხებას არა სჯერდებოდა, მაშინათვე რომელსამე გენერალს უბრძანებდა, ჯარი წაიყვანე და ესა და ეს ბატონიშვილი ძალით გაისტუმრე რუსეთსაო. ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ, რა სასტიკად და უდიერად მოგპყრა თ. ციციშვილი თვით ტახტის კანონიერ მემკვიდრეს გენერალ-ლეიტენანტს დავითს და, რაღა თქმა უნდა, დანარჩენ ბატონიშვილებს ბევრს ხვეწნასა და მუდარას არ დაუწყებდა, თუ რომელიმე მათგანი უნარს განაცხადებდა, არა მსურს, რუსეთს არ წავალო.

ტახტისა და მეფობის მამაებელმა ბატონიშვილმა იულიონ-
მა და მისმა ძმამ თარნაოზმა კარგად იცოდნენ ასეთი სასტიკი ხასიათი მთავარ-მართებლისა და ამისათვის აგრე ადვილად არ იძროდნენ იმერეთიდან და არ ეტანებოდნენ ქართლსა. მეფე სოლომონთან შეხიზნული ბატონიშვილები გულის ჩქროლვითა და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს ქართლის ამბებსა და თ. ციციშვილის მოქმედებას. იქიდან მიღებულ ამბების მიხედვით იქცეოდნენ ემიგრანტი ბატონიშვილები, განუწყვეტლივ ბჭობდნენ, თუ როგორ და რანაირად გაეძევინათ ერთ-მორწმუნე მართლმადიდებელი რუსები. წინად უკვე მოხსენებულ ჩიშის მებატონე ლუდარუკო ახმეტას გარდა,⁵⁾ ბატონიშვილებს საკმაოდა ჰყავდათ გაფანტული ქართლ-კახეთს აგენტები, რომელნიც დაწვრილებით ატყობინებდნენ ყველაფერს, რაც საინტერესო და მათთვის გამოსადეგი რამ იყო ან ქართლსა, ან კახეთსა. თავადი სოლომონ ამირეჯიბი, აზნაურნი: თეოდოსე ხირსელი, (იგივე მოლოზხანაშვილი), გიორგი ქარუმიძე, გლახა აბელოვი და რუისელი გიორგი სააკაძე, სომეხი ყორ-

⁵⁾ თ. ციციშვილმა რომ შეიტყო ლუდარუკოს ყოფნა ქუთაისს, გაბრიელ ყაზბეგს მისწერა: ყური მოკვარი, ვითომ ლუდარუკო ოსი კახიძეთი ბატონიშვილებთან ყოფილა და განუზრახავს ბატონიშვილები გააპაროს დაღესტანს დიგორისა და ჩიშის გზით: ნამდვილად შეიტყუე, ნუ თუ ლუდარუკომ გაპებდა ასეთი შეუწყნარებელი საქციელი; ან როგორ გვეკადრება, რომ ესეთი სითამამე ლუდარუკოსი დაუსჯელი დარჩეს, განსაკუთრებით არ ეკადრება თქვენ კეთილშობილებასაო, ირონიის კილოთი ათავებს წერილს მთავარ-მართებელი. იხ. აქტი. ტ. II. გვ. 128.

ლანაშვილი⁶⁾ და ლეკი გაღეზა გაანოვი თავს არა ჰზო-
გავდნენ და ბატონიშვილების წარათებითა ჰფენდნენ მთელ
აღმოსავლეთ საქართველოსა. კუთხე აღარ დარჩენიათ ამ
გაუტყეულ და თავთავისი ბატონების ერთგულ ყმათა და ვაყ-
კაცთა, რომ გარდახვეწილის ბატონიშვილების ამბავი არ მიე-
წვდინათ. არა ნაკლებ ერთგული ალექსანდრე ირაკლის-ძის
მსლებელი სოლომან შანშიევი უხვად ავრცელებდა მხნე და
დაუდგრომელ ბატონიშვილ ალექსანდრეს ბარათებს და ყაენის
ფირმანებსა მთელს საქართველოში. მარტო მისში თ. ტეტია
თარხნიშვილის ყმამ, კავთის-ხეველმა გლეხმა დედანაშვილმა, ოცი
ბარათი დაარიგა ალექსანდრესი, სოლომან შანშიევისაგან მო-
ტანილი, ზემო ქართლსა: სათარხნოსა, საციციანოსა, სამაჩაბ-
ლოსა, საბაშიოსა და სამერიჯიბოსა⁷⁾. სოლომან შანშიევი
და იმერეთს შეხიზნულ ბატონიშვილების აგენტები ერთი-
ერთმანერთს ჰხვდებოდნენ გზაში, უზიარებდნენ შეკრებილ
ცნობებს და ამგვარად მათ ბატონებს საშუალება ჰქონდათ,—
სკოდნოდათ ერთიერთმანეთის ფიქრი და განზრახვა.

1804 წელს, გაზაფხულის პირზე, აგენტებმა ბატონიშვი-
ლებს შეატყობინეს, ასეთ შერჩეულ დროს კვლავ ვეღარ ვი-
პოვით, სწორედ ბედი ხელს გვიწყობს სამშობლოს განსათა-
ვისუფლებლად, რადგან სრულიად მთიულეთი აჯანყდა და იარა-
ღი აისხა, ქართლ-კახეთის ერთგული თავად-აზნაურობა მხო-
ლოდ თქვენს მობძანებას ელის, რომ ხმალს ხელი გაიკრას და
მტერთან ბრძოლაში სისხლი თვისი დასთხოოსო. დახანება აღა-
რას ეგვანებოდა და ამისათვის ბატონიშვილებმა მ თიბათვეს
დასტოვეს სტუმართ-მოყვარე მეფე იმერეთისა სოლომონი და
გამომგზავრნენ ლიხის მთისაკენ სამშობლოს განსათავისუფ-
ლებლად და დაკარგულ სამეფო ტახტის აღსადგენად. მაგრამ

⁶⁾ ერთი უცნაური თვისება აქვს აქტებში მოქცეულ დოკუმენტებს: როცა
კი სომეზბეა ლაპარაკი, მომეტებულ ნაწილად მათი სახელი არ არის მოხსენებუ-
ლი, აი როგორც ამ შემთხვევაში. აზნაური ყორღანანთ გვარი ძალიან გამრავ-
ლებული იყო საქართველოში და არ ვიცით, სახელად რა ერქვა აქ მოხსენებულ
ბატონიშვილების ერთგულ მოსამსახურეს.

⁷⁾ იხ. АКТЫ, т. II. გვ. 129—131.

ვიდრე ბატონიშვილები მახელოს მიჰმართავდნენ, ერთხელ კიდევაც სცადეს, ეგებ მთავარ-მართველს შეევსმინოთ რამე და უსისხლოდ შეიძლებოდეს მეფობის აღდგენაო. იულონი მაინც დარწმუნებული იყო, რომ სიმართლემ და ჭეშმარიტებამ ვერ მიაღწია უმაღლესს კარსა, ბოროტმა მოხელეებმა პირადის ანგარიშით შეჰკრეს გზა და ამის გამო სიმართლე ვერ გაუგია იმპერატორ ალექსანდრესაო, თორემ ასეთს უსამართლობას არ მოიქმედებდა იმპერატორი და არ ინებებდა, რომ ერთ უძველესთაგანსა და საქრისტიანო ჭეშმარიტებით და ნათელით გაბრწყინვებულს სამეფოს ასე მოულოდნელად და უმიზეზოდ დღე დაჰბნელებოდა. ასეთი იჭვი და ფიქრი ბატონიშვილმა იულონმა ცხადად გამოსთქვა ერთს თავის წერილში, რომელიც ქართულადაცაა დაბეჭდილი აქტებში⁸).

„საფუძველი უბედურებისა ჩვენისა აღწენებულ იქმნა ამას ზედა, —სწერს ბატონიშვილი იულონი მთავარ-მართველს თ. ციციშვილს:— რომელ ჭეშმარიტება ჩვენი და ყოვლისა საქართველოსა აზრი შეერთებული ვერ მიწევნილ იქმნა უმაღლესისა კარისადმი“.

აქ იულონი ავად იხსენიებს კავკასიის ლინიის ინსპექტორს კარლ თეოდორეს-ძეს კნორჩინგს და აბრალებს, რომ ჩვენ ელჩებს არ უშვებდა პეტერბურგსა და ამისათვის იმპერატორმა ვერ გაიგო ჭეშმარიტება, რომ საქართველოს ერს არა სურს მეფობის მოსპობაო; თვით ხელმწიფე იმპერატორი არ დაჰზოგეს, სწუხს იულონი, შეაცდინეს, და იძულებულ ჰყვეს ეთქვა უმაღლეს მანიფესტში ესეთი შეუფერებელი და შეუსაბამო სიტყვები, ვათომც საქართველო შეიერთა რუსეთმა იმპერიის გავრცელებისათვისა და სარგებლობისათვის კი არა, არამედ იმიტომ, რომ თვით საქართველოს ერი ღალატებით თხოულობდა მეფობის მოსპობასა, რადგან ტახტის მემკვიდრეთა შორის სუფევდა დიდი განხეთქილებაო. არც ერთი და არც მეორე მართა-

⁸) АКТЫ, т. II. გვ. 124—126. წერილი მეტის-მეტად მძიმე ენითაა დაწერილი, სავსეა რიტორულის ფორმებით. წერილი ფრიად საყურადღებოა და ამისათვის ტექსტი შემოკლებით მოგვყავს მისი შინაარსი.

ლი არ არის და ქეშმარიტებასა მოკლებული, ამბობს ბატონი-შვილი იულონი. ეს მტყნარი სიცრუე მოხელეებისა და საქართველოს მტრების მოქორებულთა. საქართველოს არასოდეს არ მიუშარტნია ღაღადით უმაღლესის ტახტისათვის, მოსპეთ მეფობა. არც ისა მართალი, რომ შემკვიდრეთა შორის ატეხილმა შფოთმა და შუღლმა აიძულა იმპერატორი დაემხო და გაეუქმებინა ძველადგანვე გაბრწყინებული ქრისტიანობით სამეფო, რადგან შუღლსა და შფოთს ალაგი არა ჰქონდა. წერილები მაქვს, ბოძებული მეფეთა ერეკლესა და გიორგისაგან, აგრეთვე „ცარევიჩი“ დავითისაგან და დანარჩენის ჩემის ძმებისაგან, რომ მეფედ მე უნდა ვიყო, ამბობს იულონი. გამოიძიეთ ყველა აქ მოხსენებული, ვითარცა თვალმან ხელმწიფისამან და მამინ დარწმუნდებით, მართალს მოგახსენებთ თუ არაო.

წერილის ბოლოს ბატონიშვილი იულონი წარმოსთქვამს ფრიად საყურადღებო და საგულისხმიერო სიტყვებსა. „სახელმწიფო საჯული (государственное право) ვალდებულია დაიცვას შეურყევლად სამეფო სახლი. სამეფო ჩვენი, აღყვავებული დროსა დიდისა იუსტინიანესა, ვიდრე აქამომდე, უკეთუ დაიცვა სამართალთა ტირანთა სპარსთა ხელმწიფეთამან, უმეტესად უნდა ვიქონიოთ სასოება და იმედი, რომ დაცულ იქნება უქრისტიანისის ხელმწიფის მიერ“⁹⁾. ამას შემდეგ იულონი აღნიშნავს იმ პირობათა, რა პირობითაც ბატონიშვილი მზადაა იკისროს რუსეთის მფარველობა. ეს პირობანი მეტის-მეტად მარტივია და მკირედ განსხვავდებიან იმ პირობათაგან, რომელნიც მოხსენებულნი იყვნენ, როგორც მეფე ერეკლეს და ეკატერინე დიდის მიერ დადებულ ტრაქტატში, აგრედვე მეფე გიორგი XIII-ის და იმპერატორ პავლეს მიერ შეწყნარებულ ტრაქტატში¹⁰⁾. აი სიტყვა სიტყვით ეს აღვიღად ასატანი და შესასრუ-

⁹⁾ იხ. АКТЫ, т. II, გვ. 124—125.

¹⁰⁾ იხ. მეფე გიორგი XIII-ის ცხოვრება პ. იოსელიანისა, გვ. 114—137. აქვეა მოყვანილი ამ ტრაქტატის განმარტებითი მუხლი, ანუ ნოტანი, რიცხვით ოცი, დაწერილი ელვაზარ ფალავანდისშვილის მიერ, რომლის შესახებ გენერალ ერმოლოვს უთქვამს. Его портретъ надо посадить въ золотую раму. Онъ былъ человекъ рѣдкихъ достоинствъ.

ლებელი პირობა: „ყოველი მადანნი საქართველოსნი იყვნენ ხელსა ქვეშე უმადლესისა კარისა, ხოლო მეფობა საქართველოსა ეგოს შეუძვრელად და თვით მეფე უკანასკნელ წვეთამდე სისხლითა ფიცით შეკრული, ყოველისა კმაყოფითა მსახურებდეს მხედრობასა რუსეთისასა“¹¹).

განზრახ მოვიყვანეთ ასე ვრცლად ბატონიშვილ იულიონის წერილის შინაარსი, ამ ისტორიულ დოკუმენტიდან ცხადადა და გარკვევითა სჩანს, რომ სრულიად შემცდარია ის, ~~არ ვიცით~~, რა საბუთის ძალით, გავრცელებული აზრი, ვითომ საქართველო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთსა, თვის სურვილით აიღო ხელი თვისის თავის მზარუნველობაზე და თვისი მოვლა-პატრონობა რუსეთს ჩააბარა. მართალია, მიწერ-მოწერა დიდი იყო ამ საგნის შესახებ, ელჩები მრავლად იგზავნებოდნენ აქედანაც და იქიდანაც, ნოტები და პირობანი საკმარისი დაიწერა, ტრაქტატებიც ბლომად დაიღო, მაგრამ არსაიდან არა სჩანს, რომ ან ირაკლის, ან გიორგი XIII-ის უარი ეთქვათ მეფობაზე, საქართველოს უკანასკნელნი მეფენი თავიანთ წინაპრებივით¹²) მფარველობასა თხოულობდნენ, ანუ როგორც დიპლომატები ამბობენ, პროტექტორატს. რადგან დიდათ გაუჭირდათ მეფეთ შეეკავებინათ კარს მომდგარი და ასეული გარეშე მტერი, იფიქრეს, მტრის ასალაგმავად, სარწმუნოებისა და ენის დასაცველად სრულიად საკმარისია მფარველობა დიდი რუსეთისა. ამისათვის მფარველობა ითხოვეს და კიდევ აისრულეს სრულიად. მეფობის მოსპობას არავინ მოელოდა, რაკი საქმე ასე იყო დაყენებული, და მიწის მგელივით საიდან

¹¹) АКТЫ, т. II, გვ. 125.

¹²) აქ მხოლოდ ვაკვრით შევხვით ამ საგანს, იმდენად, რამდენადაც საქირთა ჩენის მოთხოვნისათვის. თავის დროზე ამ ფრიად მძიმე და საყურადღებო საგანს, ვეცდებით, ცალკე წერილები ვუძღვანათ.

აქვე უნდა შევინშნათ, რომ საქართველოს მეფეთა მიერ რუს-ხელმწიფეთაგან მფარველობის, ანუ პროტექტორატის თხოვნა, არ ახალია; ძველია. შეთქვამეტე საუკუნისა და მოყოლებული, ვგონებთ, წელიწადი არ გასულა, რომ ამ საგნის შესახებ ლაპარაკი არ ყოფილიყო ან აქ, ან მოსკოვსა და შემდეგ პეტერბურგსა. როცა პკითხულბ მრავალ-კაბადოვან წიგნს: Перисвиса Грузинскихъ Царей съ Россійскими Государями, სწორედ ეს აზრი მოგდის, რომ საქართველოს მეფენი, თითო-ორილას ვარდა, თითქო სხვა საქმე აღიარა პქონდათ-რა, მართო ამ პროტექტორატისათვისა პზრუნავდნენ.

გაჩნდა ეს საკვირველი ამბავი კნორრინგის შემოსვლის დროს საქართველოში, არავინ იცოდა.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რა გუნებაზე დააყენებდა მთავარ მართებელს ასე თამამად და გაბედვით დაწერილი წერილი ბატონიშვილის იულონისა. თ. ჰაველე დიმიტრის ძეს ცეცხლს უქიდებდა ყოველივე, მცირედი გახსენებაც კი საქართველოს რაიმე უფლებათა შესახებ. მთავარ-მართებელი თავს იმაგრებდა, რადგან იმედს არა ჰკარგავდა, ეგები იულონი დავიყოლიო, კავკასიონის ქედს გადავაცილო და მერე, რომდენიც უნდა, იმდენი სწეროს საყვედურითა და წყრომით საფეე წერილებიო. ამისათვის მთავარ-მართებელი წერილსა სწერს იულონის მეუღლეს, რომელიც აგრედვე სთხოვდა თ. ციციშვილსა, გვიშუამდგომლე ხელმწიფე იმპერატორთან, სამეფო აღადგინოს და მეფედ ჩემი ქმარი შეიწყნაროსო, — თქვენის სურვილის აღსრულება არ ძალმიძს და ესეც რომ არ იყოს, როგორ გავბედამ ამისთანა საქმე ვიკისრო. თუ გსურთ, თქვენი სურვილი შეატყობინოთ ხელმწიფე იმპერატორსა, სხვა გზა არ არის მეტი, რომ ურჩიოთ თქვენს მეუღლეს, თვითონ ეახლოს მშვიდის, წყნარის და ყოვლად მოწყალე ხელმწიფის კარსა და პირად მოახსენოს თვისი თხოვნაო. ოღონდ კი ეს ასე მომხდარიყო და თითქმის ემუდარებოდა ბატონის ასულს, განშორდიოთ საქართველოსაო. მუხლ-მოდრეკილი ვეამბორები თქვენის უგანათლებულესობის ხელსაო, სწერს თ. ციციშვილი, ურჩიეთ იულონს, შეისმინოს რჩევა მისის ერთგულის მეგობრისა, დასტოვოს საქართველო და წავიდეს რუსეთად, სადაც მოელის ყოველივე სიკეთე და ბედნიერება¹³).

ასე იცოდა მოღობობა და მოტკბობა, როცა საქიროება მოითხოვდა, ამ მკაცრმა, შეუდრეკელის ხასიათის პატრონმა და მუდამ წარბ-შეკრულმა აღამიანმა!

თუ მართალია, რომ ტკბილად მოუბარი ვნა გველს ხვრელიდან აღმოიყვანსო, მაშ როგორ გაუძლებდა ჩვილის გულის პატ-

¹³) იხ. АКТЫ, т. II, გვ. 126.

რონი ბატონის ასული სალომე, მეუღლე იულონისა, მთავარ-მართებელის ასეთს მოწოდებას. ხუმრობა საქმე არ იყო: თვით თ. ციციშვილი, მთავარ-მართებელი საქართველოსი, რომელმაც თავ-ზარი დასცა ყიზილბაშთა და რომლის სახელი, როგორც უძღვევლის მხედართ-მთავრისა, შორს აღმოსავლეთს ნელ-ნელა ეფინებოდა, მუხლ-მოდრეკილი ევედრებოდა, ეხვეწებოდა; მზად იყო მოწიწებით ხელები გადაეკოცნა და როგორ შეეკავა თავი და არ დაჰმორჩილებოდა მთხონელების სურვილს? ¹⁴⁾ ვერც ერთი მაშინდელი ქართველი ქალი, რაც უნდა ამპარტყანი და მამულის მოყვარე ყოფილიყო, გულგრილად ვერ დაჰხედებოდა ასეთს ცხარესა და გულწრფელ მოწოდებას, როგორითაც მიჰმართა ბატონის ასულს სალომეს თ. ციციშვილმა. აქი ამიტომაც სალომე, მოხიბლული მთავარ-მართებლის ჯენტლმენობით და გაამაყებული, რომ ასეთმა დიდებულმა კაცმა

¹⁴⁾ რუსეთის საისტორიო მუცნიერებას ჯერ ფასი არ დაუდვია, რა კაცი იყო რუსეთისთვის თ. ციციშვილი. ამ საკვირველ კაცს ჯერ საკუთარი ისტორიკოსი არა ჰყავს. მხოლოდ პოეტებმა იგრძნეს მისი დიდი მნიშვნელობა და მშენებლის ლექსებითაც შეამკეს პავლე დიმიტრის ძე. აი, როგორ იხსენიებს თ. ციციშვილს, პატრიოტულის გრძნობით აღფრთოვანებული, რუსეთის დიდებული პოეტი ა. პუშკინი:

Я воспою тотъ славныйъ часъ,
 Когда, почувя бой кровавыи,
 На негодующій Кавказъ
 Поднялся нашъ орелъ двуглавый;
 Когда на Терекъ съдомъ
 Впервые грянулъ битвы громъ,
 И грохотъ русскихъ барабановъ,
 И въ сѣчѣ, съ дерзостнымъ челомъ,
 Явился нылкій Цициановъ.

ან კიდევ დომანტოვიჩი;

Помянемъ храбрыхъ ветерановъ,
 Вождей Кавказа боевыхъ,
 Тебя, безстрашный Цициановъ,
 Погибшій отъ враговъ своихъ...

ამ მოკლე ლექსების ნაწყვეტები ვ. პოტტოს აქვს მოყვანილი ეპიგრაფად თავის მართლა მშენებლურად და ხელოვნურად დაწერილ წერილისა შესახებ თ. ციციშვილისა. იხ. Кавказская война... т. I, в. 3, 83. 387.

ყურადღება მომაქციაო, გულწრფელად შეუდგა თ. ციციშვილის თხოვნის აღსრულებას და, ეტყობა, მოსვენებას აღარ აძლევდა ქმარსა და მაზლსა, დავემორჩილდეთ მთავარ-მართებლის სურვილს და წავიდეთ რუსეთსაო.

სალომეს დაქინებული ჩაცემა იყო მიზეზი, თუ სხვა რამ გარემოება, ჩვენ არ ვიცით, და არცაა მაინცა და მაინც დიდად საჭირო დანამდვილებით ვიცოდეთ, რამ აიძულა ბატონიშვილები მიეწერათ მთავარ-მართებლისთვის ისეთი წერილი, რომლის კილომაც ცეცხლი მოუკიდა ამ კაცს, ასე რომ თ. ციციშვილი ძლივს-ღა იმაგრებდა თავსა და კინაღამ დაჰკარგა კეთილგონიერება. ბატონიშვილები სწერდნენ: ვსთქვათ, დაგიჯერეთ და წავედიო რუსეთსა, რა გარანტია გვიქირამს ხელში, რომ იქ, უცხო ქვეყანაში, ჩვენს სიცოცხლეს შიში არა მოეღის-რა, სადაა ბრძანება, ხელმოწერილი თვით იმპერატორის მიერ, რომლის ძალით უშიშრად შეგვეძლოს მისვლა პეტერბურგსა? ჩვენმა ძმებმა ვახტანგმა და დავითმა თავი შესწირეს მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის სამსახურსა და ვანა რა სამაგიერო ჯილდო და სასყიდელი მიიღეს? გარდაქედილი კილობანიო, ირონიულის კილოთი ამბობენ ბატონიშვილები და სადიდებელად გვარისა თვისისა პატივისცემა დამნაშავეისა მუქიკისა¹⁵⁾.

ამ წერილის მიღებამდე მთავარ-მართებელი ტკბილად ესაუბრებოდა ბატონიშვილებს და ცდილობდა, როგორმე დაეჯერებინა, რომ წასვლა სჯობს წაუსვლელობასა. გეთანხმებითო, სწერს ერთს თავისს წერილში თ. ციციშვილი, რომ „ქეშმარიტებამ“ ვერ მიადწია უმაღლესს კარამდე, გარნა ან ეხლა

¹⁵⁾ იხ. АКТЫ, Т. I, გვ. 199 და Т. II, გვ. 127. როგორც უკვე ზემოდ იყო მოხსენებული, თ. ციციშვილმა დიდის უპატიურობით განდევნა საქართველოდან დავით და ვახტანგ. აი ამ უღირსს საქციელს უსაყვედურებენ იულონი და ფარნაოზი მთავარ-მართებელს. წერილში მოხსენებული „გარდაქედილი კილობანი“, ალბად თავ-გადასურული ეტლია, რომლითაც დავითი და ვახტანგი გაემგზავრნენ კავკავი-საკენ.

ბატონიშვილი ფარნაოზი 15 წლით იყო უნცროსი იულონზე. მთიულეთში მდღევარების დროს ფარნაოზი ესე 30 წლის ვაჟკაცი იყო, ხოლო იულონი 45. შეუდღე უქანასნელისა სალომე იყო ასული თ. რევან ამილახვრისა.

რანაირად მიაღწევს, თუ თქვენ თვითონ არ იახლებით იმპერატორსა და ყველაფერს არ მოახსენებთ. მერე უნდა იცოდეთ, ვინაა ალექსანდრე ბირველი! უბრალო არსება კი არაა, თვით ღვთაებრივი ქეშმარიტებაა, ადამიანის სახით მოარული. მთელი ევროპა შეპყურებს იმპერატორ ალექსანდრეს, როგორც ღვთაებას, მრავალი მილიონი რუსთა მკვიდრთა სასოებით და მოწიწებით უმზერს და შეპხარის თავის მბძანებელსა და განა უნდა ყოყმობდეთ მიჰმართოთ ამისთანა იმპერატორსა თქვენის საჩივართა, ან თხოვნით? მართალია, დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი თქვენი კანონიერი თხოვნა მოწყალებით იქნება მოსმენილი და შესრულებული, მაგრამ ისიც უნდა მოვახსენოთ, რომ, როგორც ერთგული ქვეშევრდომი ჩემის ღვთაებას მიმზგავსებულ იმპერატორისა, ვერა ვბედავ წინაწინვე გადაჭრით ვსთქვა, როგორ, რანაირად ასრულდება თქვენი სურვილი, ან რა გზას გიჩვენებთ თქვენდამი სამოწყალოდ გამოწვედენილი ხელი იმპერატორის ალექსანდრე I-სა¹⁶⁾.

ორი წერილი კიდევ მისწერა მთავარ-მართებელთმა ბატონიშვილებს იმერეთსა, მაგრამ ვერ იქნა, ვერ დაიყოლია ბატონიშვილები, ვერ დააჯერა ვერც იულონი და ვერც ფარნაოზი წასულიყვნენ რუსეთსა. თ. ციციშვილი ფეიცებოდა ხატსა და ჯვარსა, რომ პეტერბურგს ისე მიგიღებენ, როგორც შეეფერება თქვენს ჩამომავლობასა და ღირსებასა; მაინცა და მაინც, თუ ჩემი არა გჯერათ, გაგზავნეთ სანდო და ერთგული კაცი კავკავსა და მოზდოკსა, რომ შეპყრობოს იქ ცნობა, როგორ დახვდნენ და მიეგებნენ მოხელენი ბატონიშვილებს დავითსა და ვახტანგსა. ღმერთმა ნუ მომცეს სიკეთე, ნურც სააქაოს და ნურც საიქაოს, თუ გულში ღალატი მქონდეს და გულწრფელად არ ვიყვე დარწმუნებული, რომ იმპერატორისაგან შესაფერ წყალობას მიიღებთო¹⁷⁾ და სხვა; მაგრამ არ იქნა მთავარ-მართებე-

¹⁶⁾ იხ. АКТЫ, т. II, გვ. 127.

¹⁷⁾ ეს დაპირება მთავარ-მართებლისა შემდეგ გამართლდა. დედაფლებმა, ბატონიშვილებმა და ბატონის ასულთ ყველამ მიიღეს პენსიები, მამულები და ყმები რუსეთში.

ლმა ვერ მოაღბო გული იულონისა და ფარნაოზისა და ვერ დააწერინა პირჯვარი. მშვიდობიან და წყნარ ცხოვრებას ნების ნაპირებად იულონმა და ფორნაოზმა არჩიეს მღელვარებითა და მოუსვენრობით სავსე ცხოვრება თავიანთ სამშობლოში. იქ, შორს, უცხო ქვეყანას ფუფუნებას ამჯობინეს აქ წოწიანი ღლე და ღამ მთასა და კლდესა, ავდარსა და პაპანაქებაში. ჩრდილოეთის პალმირას სიმდიდრემ თვალი ვერ აუბჭყვრიალა სამეფო ტახტის მაძიებელთ და ამისათვის აქ, საქართველოში, სიკვდილი ირჩიეს და მისი დატოვება და საშუალოდ გამოთხოვება კი ამ პატარა, მაგრამ ტუფა ქვეყნისა ვერ იკისრეს. ან კი განა ეგრე ადვილია ჩიტმა თვისი ბაღდადი ნებაყოფლობით დასტოვოს?! არა გვეონია. ადვილად ის თუ მოშორდება ამ ტურფა მხარეს, ვინც სრულიად მოკლებულია პატრიოტულ და ესტეტიურ გრძობასა. დარდითა და მწუხარებით გვემული დედოფალი მარიაში, სელ-შეხუთული ტყვეობით ბელგოროდს, ასე იხსენიებს საქართველოს: „ღლეიდან ვსწყეველი და ვგმობ წარსულ კეთილდღეობას; სხელი ჩემი, ნაზად და ფუფუნებაში აღზრდილი, უწყალოდ არის დაკოდილი და გვემული წყეულის, შეჩვენებულის კაცისაგან და ნათრევი უპატიურად; წამლიჯეს საკუთარი საუფლისწულო, თუმცა მცირე სივრცით, მაგრამ შემკობილი საუკეთესო და კამკამა წყარო-მდინარეთი, წმინდა ჰაერითა და უხვი მოსავლითა.“¹⁸⁾

რაკი ვერ დასძლია კერპობა ბატონიშვილებისა, მთავარმართებელს მიუსუსტდა კეთილგონიერება და ამისათვის მიჰმართა ჩვეულებრივს სასტიკსა, გოროზსა, მბძანებლობითსა, ამაყსა და ირონიულს კილოს, იმ კილოს, რომელიც ვლეთ-მელეთსა ჰგვირდა საცოდავ ხანებსა, სხვა-და-სხვა მირზა-ბეგებსა, ჩვენს თავადიშვილებსა და თვით ბატონიშვილებსაც კი. გვიკვირს, როგორ ჰბედავდა მთავარ-მართებელი ასეთს კანდიერებას! რაც უნდა ყოფილიყო, მაინც უბრალო მხედართ-მთავარი იყო, უბრალო გენერალი, მართალია, ნიჭიერი და ძლიერის ხასიათის. პატრონი, მაგრამ მაინც უბრალო გენერალი და სხვა არაფერი.

¹⁸⁾ იხ. Д-на Закавр. გვ. 499.

ბატონიშვილ იულონთან მიწერილ ერთს ბარათში ასეთ ლექს-საც კი ჰხმარობს მთავარ-მართებელი: „Не входя въ надмѣн-ность слога того письма и неприличные суждений, ко мнѣ отно-сящихся, როცა თვით უმოწყალები ჩემი ხელმწიფე პატივის-ცემით მეკიდებოა...“ და სხვა.¹⁹⁾ დიად, გიკვირს ასეთი საქციე-ლი მთავარ-მართებლისა, მაგრამ, თუ ადამიანი ღრმად ჩაუკვირ-დება ამ სამწუხარო გარემოებას, დარწმუნდება, რომ აქ საკვირ-ველი არა არის-რა. ყოველ ჟამსა და დროს ასე ყოფილა, რომ ვისაც ძალა და ღონე ხელში სჭერია, ის გათამამებულია და ისე უმოქმედნია, როგორც მისი ბუნება, ან ანგარიში მოითხოვდა. ამისთანა დროს ხელის შემშლელი და ძალ-მომრეობის დამთრ-გუნავი აღარსადაა, ყველა ქედს იხრის ძლიერებისა წინაშე და მაშ ვილა მოჰკითხავს გათამამებულ ვაჟკაცსა, ასე რად იქცევი და არა ისეო.

იმერეთს ჯდომა გულ-ხელ დაკრეფითა და იქიდან, თუ გინდა ცხარეს კილოთი დაწერილ ბარათების გზაენა, რასაკვირ-ველია, არაფერს ეგვანებოდა და ამისათვის ბატონიშვილებმა გადასწყვიტეს 1804 წელსა, გაზაფხულის პირზე, შვედეთ ქარ-თლში, მფარველობა გაუწიოთ აჯანყების აფრიალეზულ დრო-შას და სისხლი დავსთხოოთ რუსთა საწინააღმდეგო ბრძოლაშიო. უკეთეს დროს, რა თქმა უნდა, ბატონიშვილები ვეღარ იშოვ-ნიდნენ, ახსენეს ღმერთი და გამოსწიეს ქართლის სამზღვრე-ბისკენ. იულონმა და ფარნაოზმა ყველას, ვისაც კი ხმა და რიხი ჰქონდა ქართლ-კახეთსა, ბარათები დაუგზავნეს და უთვლიდნენ, მოიგონეთ წარსული სამსახური ჩვენთა მამა-პაპათა სამშობლო-სადმი, რა ერთგულებითა და ერთ-სულობით ემსახურებოდნენ და რა თავგანწირულებით იცავდნენ ქვეყანას მტერთა აოხრე-ბისაგან. გაითვალისწინეთ აგრედვე ისიცა, რა მოგელით თქვენ და თქვენს შვილებსა უცხო ტომის ხელში, რა სიკეთე დაგე-ყრებათ სხვის ბატონობითა. იულონისა და ფარნაოზის მანი-ფესტები, ანუ მოწოდებანი, სასურველად ვერ მოქმედებდნენ განსაკუთრებით ქართლში. იმ დროინდელ ქართლის კეთილ-

¹⁹⁾ ibid. გვ. 127.

შობილი წოდება, თითქო ჯანყსა და ბურუსში გაეხვიაო, გზას ველარ იგნებდა და ამის გამო ყოყმანსა და ზოზინში ატარებდა დროსა. მათი მდგომარეობა უფრო დამბლად ჩავარდნილ კაცის ფოფხვა - ღონღიალსა ჰგავდა, ვიდრე ძლიერის ვაჟ-კაცის მოქმედებასა. მაჯა და მკლავ-მოდუნებულთ აღფრთოვანება აღარ ეკარებოდათ, ღვთიური ცეცხლი ჩამქრალიყო მათს გულში და მხოლოდ თითო-ოროლას-ღა უღვიადა ოდნავ ფერფლ-წაყრილი, ან აბედივით ხრჩოლაგდა და იკომლებოდა. ბრწყინვალე, სპეტაკი, დიდებული აზრი სამშობლოს განთავისუფლებისა, ის აზრი, რომელსაც კაცობრიობის ხანგრძლივს ისტორიაში, მრავალი სასწაული მოუხდენია, რომელსაც სუსტი, უძლური და ძალ-მიხილი გაულომებია და გაუმეხებია, რომელსაც დედა-კაცი გაუვაჟკაცებია, ბავშვი საკვირველ გმირად შეუქმნია და ნაზი მხევალი სამშობლოს მხსნელად გადაუქცევია, სწორედ ეს დიადი აზრი აღარვის აღფრთოვანებდა და აღარავის არ უდუღებდა სისხლს, მოდუნებული სული და გული მხოლოდ ამა საწუთროს ამაოების შესახების ფიქრითა ვარჯიშობდა. ერთი ძმა რომ ასე თუ ისე ჯერ კიდევ ყოყმანსა და ზოზინში იყო, გავყვე ბატონიშვილებს რუსთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მეორე რუსების ერთგულებასა ცდილობდა, ან ტკბილ ოცნებას ეძლეოდა, ეგებ როგორმე აპელატები გავიკრა და კაი ჯამაგირი და პენცია ვიშოვნოვო²⁰). მთელს ქართლში ბატონიშვილებს ცხადად და გულწრფელად მხოლოდ ხუთიოდე თავადიშვილი და აზნაური მიემხრო, დანარჩენები საეკვოდ იქცეოდნენ, ასე, რომ კაცი გადაჭრით ვერ იტყოდა, მეგობრები არიან ბატონიშვილებისა, თუ მტრებიო. ქართლის კეთილშობილთა შორის მხოლოდ ტეტია, ლუარსაბ და რევაზ თარხნიშვილები, ლეონ და პაატა აბაშიძენი და ასლან ამირეჯიბი იღებდნენ მხურვალე მონაწილეობას ბატონიშვილების საქმეში, აპირებდნენ დაღესტანს ან სპარსეთს გასვლას, ჯარის

²⁰) იხ. АКТЫ, т. II. გვ. 210. თ. ციციშვილმა მალე შეუტყო ეს სისუსტე ჩვენს თავადიშვილებსა და შესამჩნევად სარგებლობდა მაღალის წოდების ასეთი მიდრეკილებით ჩინ-ორღენებისადმი.

მოყვანას და მისის შემწეობით საქართველოს განთავიფუფლებას რუსის მთავრობისაგან, მაგრამ რას გახდებოდა ეს მცირე გუნდი მამულიშვილთა, როდესაც დანარჩენნი მხარს არ აძლევდნენ მეფობის მაძიებელთ. სარდალმა ივანე ორბელიანმა, გიორგი ამილახვარმა, მუხრანიანთ, მაჩაბლიანთ, ხერხეულიძიანთ და თარხნიანთ ბატონიშვილებს შეუთვალეს, თუ საკმაო ჯარები გეყოლებათ, დახმარებას მაშინ გაგიწევთ რუსების წინააღმდეგაო. დიპლომატიური პასუხი თუ გნებავთ, სწორედ ეს პასუხი გახლავთ. უბედურებაც ის იყო, რომ ქართველ მეფეებს სამუდამო ჯარი არა ჰყავდათ! მათი სამხედრო ძალა იგივე თავადიშვილები იყვნენ თავიანთ წვრილ-ფეხა ყმა აზნაურებითა და გლეხებით და თუ არ ეს თავადიშვილობა, სხვა რა ჯარი უნდა ჰყოლოდა იულონსა და ფარნაოზსა. ეგები იფიქროს ვინმე, ბატონიშვილებს შეეძლოთ იმერეთიდან მოეყვანათ მცირედი მხედრობა მაინცაო. ეს ყოველად მოუხერხებელი იყო იმ დროს, რადგან მეფე სოლომონი დღე-დღეზე მოელოდა ტახტისა და სამეფოს დამხობას და როგორ გაჰხედავდა ჯარი სხვაგან გაეგზავნა და თვისი სამფლობელო ცარიელ-ტარიელი დაეტოვებინა. მით უმეტესად დახმარებას ვერ გაუწევდა სოლომონი ბატონიშვილებს, რომ დადიანსა და მეფეს იმერეთისას ერთი ვაი-ვაგლახი და დაუსრულებელი დავა ჰქონდათ ლეჩხუმის გამო, არა ჩემია, არა ჩემიაო და ამის გულისათვის თავპირს ამტვრევდნენ ერთმანეთს. დადიანი ახალციხის მხრიდან ელჩს ელჩზედ უგზავნიდა თ. ციციშვილს, მომხედვე, თორემ სოლომონი სულ მთლად დამაქცევს, ლეჩხუმი წამართვაო და სხვა. ასეთ გარემოებაში ჩავარდნილ სოლომონს შინ საზრუნავი იმდენი გაუჩნდა, რომ ბატონიშვილებისათვის ვეღარ მოიცილიდა. ამ გვარად, ვერც იმერეთიდან და ვერც ქართლიდან დახმარება ვერ მიიღეს იულონმა და ფარნაოზმა. იმერეთს კი რას დაემდურებოდნენ, მაგრამ ქართლის დიდებულების უარმა კი გული მოუკლა ბატონიშვილებს²¹.)

²¹) ibid. გვ. 181.

აღბად ეს გულ-გრილობა ქართლის თავადიშვილებისა იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ბატონიშვილების ერთგულნი მხლებელინი სოლომონ ამირეჯიბი, გლახა აბელოვი და სხვანი, რომელთაც დაჰქონდათ წერილები ქართლ-კახეთსა, მალე მოიღალნენ, გული გაუტყდათ უიმედობით და ამისათვის ზოგი თვითონ გამოეცხადა კაპიტან-ისპრავნიკებს, და ზოგიც შეიპყრეს, რაკი თავს აგრე რიგად აღარ უფთხილდებოდნენ. ციხედაბათა კამენდანტნი მეტის-მეტად უპატიურად ეკიდებოდნენ ბატონიშვილების ერთგულ ყმა-მოსამსახურეთა, თუნდა თვისის ნებით ყოფილიყვნენ მისულნი მთაერობის წინაშე. მაგალითად, სოლომონ ამირეჯიბს ფეხებში ხუნდები გაუყარეს და როცა საცოდავმა გამოუცხადა მე თავადიშვილი ვარ და ნება არა გაქვთ ასე მომეპყრათო, გორის კამენდანტის ბძანებით დეჟურნი აფიცერმა ცემით სახე და გვერდები დაამტვრია და, ასე გასინჯეთ, შიგ პირშიაც კი ჩააფურთხა. შერცხვენილმა და გაწბილებულმა სოლომონმა გამომძიებელ კამისიას მოახსენა, რომ ცუდი სიტყვაც კი არ მიკადრებია კომენდანტისათვის, მხოლოდ ეს კი ვუთხარი, ასეთი სასტიკი საქციელი უკანონო საქმეა-მეთქიო²²).

„შეიძლება“ და საფიქრებელიც არის, რომ თვით ბატონიშვილები აგრე რიგად არ ატყუებდნენ თავიანთ თავსა და მაინცა და მაინც დიდი იმედი არა ჰქონდათ ქართლელ თავდაზნაურობისა და ამისათვის შეუდგნენ მეცადინეობას სამშობლოს გარედაც მოეპოვებინათ მომხრენი მეფობის აღდგენისა. სპარსეთის ყაენთან, რა თქმა უნდა, საჭირო აღარ იყო ელჩების გაგზავნა და შემწეობის თხოვნა. დიდებულის შაჰის კარზე თვით ბატონიშვილი ალექსანდრე იმყოფებოდა და, უეჭველია, ყოველ დღე მოაგონებდა სპარსეთის მფლობელს რუსეთის საქართველოდან განდევნის საჭიროებას. ამისათვის იულონმა გაჰგზავნი ელჩები ჩრდილოეთს, ჩერქეზეთში და დასავლეთს, სტამბოლში. ბატონიშვილის ელჩი მიხეილ ჯომარჯიძე სთხოვ-

²²) *ibid.* გვ. 130. დედანში ასეა მოხსენებული თ. სოლომონის ვაუპატიურება: „получилъ отъ дежурнаго, по приказанію коменданта, тязкіе побиы по щекамъ и въ бока и заплывалъ глаза и лицо не одинъ разъ“.

და ხონთქარსა, დახმარება აღმოუჩინე საქართველოს ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, ფულით ან ჯარითა, რათა შეიძლოს დაიბრუნოს მამა-პაპეული გვირგვინი და აღადგინოს სამეფოვო, ვერაფერ სანუგეშო პასუხით გამოისტუმრეს ჯომარჯიძე სტამბოლიდან. ბრწყინვალე პორტის პირველი ვეზირი ელჩის პირით უთვლიდა ბატონიშვილ იულონს მოთმინებას მიეცი თავიო. ეს პასუხი სწორედ ძველ მოსკოვის მეფეთა პასუხსა ჰგავს. ქართლ-კახეთის მეფენი ძველად ემუდარებოდნენ მოსკოვის მეფეთა, ჯარი მოგვახმარეთ საქრისტიანოს დასაცველადო და ის კურთხეულნი კი ბერ-მონაზვნებსა ჰგზავნიდნენ, ვითამ და შებღალულ საქრისტიანო წესისა და რიგის საუკეთესოდ მოსაწყობად²³).

ოსმალეთის ხონთქარს სპარსეთის ყაენივით კარგად ესმოდა, რა საშიში და აუტანელი მეზობელი შეიქმნებოდა რუსეთი საქართველოს მხრიდან, რამდენჯერმე შემთხვევაცა ჰქონდა დარწმუნებულიყო, რუსების ჩაგონებითა და წაქეზებით ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეთ როგორ დაარღვიეს ყოვლად უმიზეზოდ მეზობლური მშვიდობა-მყუდროება,²⁴) და ამიტომაც სულითა და გულით იყო მოწადინებული იულონისათვის ნამდვილი შემწეობა აღმოეჩინა და არა დარიგებით დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ რას იზამ, როცა მეფენი გარემოებას ემორჩილებიან და ხშირად ისე ვერ მოქმედებენ, როგორცა სურთ. ამდროს ოსმალეთის მდგომარეობა და ვითარება ისეთი იყო, რომ სულთანნი ვერ გაბედავდა გამკლავებოდა რუსეთს და ომი აეტეხა საქართველოს ბატონიშვილების გულისთვის და ძალაუნებურად ნავ-ხომალდებისა და მხედრობის მაგიერ ვეზირის პირით დარიგება შემოუთვალა, მოთმინებით სურვილს აისრულებთო.

რანდულად მოიქცნენ მხოლოდ ჩერქეზნი, სწორედ ისე, როგორც შეეფერებოდა ამ მამაცს და ვაჟაკობით განთქმულ

²³) იხ. Переписка Грузинских Царей съ Російскими Государями, стр. ХХІХ და სვცა.

²⁴) იხ. Грамоты и другіе документы XVIII столѣтія... проф. А. А. Цагарели, т. I, стр. V და 440—441.

ერსა. ჩერქეზებმა სიცოცხლე შეალიეს რუსებსა, იბრძოლეს თავისუფლებისათვის, ვიდრე ძალა შესწევდათ და ბოლოს ძლეულნი, მაინც არ დაემორჩილნენ ბედსა, ქელი არ მოიხარეს მტრისა წინაშე და ჯანაბას გადიხვეწნენ. მაშ რად უნდა გაგვიკვირდეს, თუ ასეთის ხასიათის ხალხმა სიამოვნებით მიიღო ბატონიშვილის მოწოდება დახმარება-შემწეობის შესახებ! 1804 წელს, მისში, საქართველოში მოვიდა ოთხი წარჩინებული ჩერქეზთა თავადიშვილი და მოახსენეს ბატონიშვილებს იულონსა და ფარნაოზსა, გადმობძანდით ყაბარდოში და თქვენი ყურ-მოჭრილი ყმები შევიქნებითო; რაც შეგვიძლიან, ჩვენ თავს არ დავზოგავთო. საქართველოში შემოსასვლელი გზები, ამბობდნენ მოციქულნი, ჩვენს ხელშია და ამისათვის არ გაგვიჭირდება თქვენი დახმარება. თუ მაინცა და მაინც არ ინებებთ ყაბარდოში გადმობძანებას, ქალღლი გვიბოძეთ და დაწვრილებით აღნუსხეთ, რა გეჭირვებათ და ჩვენც შეძლებისა დავგარად ვეცდებით სამსახური გაგიწიოთ. რითი გათავდა მოლაპარაკება, ან რა დააწყეს, რა მოისაზრეს ბატონიშვილებმა და ჩერქეზთა მოციქულებმა, არ ვიცი, ყური ვერ მოვკარიო, ამბობს ბატონიშვილების მხლებელი აზნაური გიორგი სააკაძე.²⁵⁾

ამ სახით, იულონსა და ფარნაოზს ადვილად და დაქეშმარიტებით შეეძლოთ სკოდნოდათ და გაეთვალისწინებინათ, რის იმედი უნდა ჰქონოდათ ან ქართლ-კახეთში, ან მეზობლებისაგან, ოდეს დააპირეს ბრძოლის ველზედ გამოსვლა და რუსეთის მხედრობასთან შებრძოლება აჯანყებულ მთიულებთან ერთად.

მთავარ-მართებელი ჯერ ისევ საქართველოს სამზღვრებს არ გასცილებოდა, რომ ჯაშუშებმა შეატყობინეს, ბატონიშვილი იულონი და ფარნაოზი იმერეთიდან დაიძრნენ, აპირობენ დიდ ლიახეში გასვლას და იქიდან არავეის ხეობაში მისვლა-

²⁵⁾ იხ. ჩვენება რუსიელი აზნაურის გ. სააკაძისა ლორის სისამართლოს წინაშე. რა მიზეზით გაასამართლეს ქართლელი აზნაური ლორის მაზრის სისამართლოში, აქტებიდან არა სჩანს. АКТЫ, т. II, გვ. 132—133.

საო, საცა აჯანყების ნიშნები იჩენდნენ უკვე თავს. თ. ციცი-
 შვილმა წერილი გაუგზავნა გორის მაზრის მაზრალს პოდპოლ-
 კოვნიკ თ. შანშე ერისთავს: დიდი სიფრთხილედ გმართებსო,
 სწერს მთავარ-მართველი, რომ ბატონიშვილები არ შემოგე-
 პაროს ქართლში და ამბოხება არ მოახდინონო. მთელი მაზ-
 რის კეთილშობილობა ნდობით მოგექცათ, რაიცა დაამტკიცა
 მით, რომ თავისს მარშლად ამოგირჩიათ, მაშასადამე, მოვალე
 ხართ გაამართლოთ ეს ნდობა, არ შემოუშვათ მაზრაში ბატო-
 ნიშვილები, რათა არ დაირღვეს მყუდროება და მშვიდობა,
 არ მოხდეს შფოთი და აღრეულობა. წერილის მიღებისათანა-
 ვე დაუხანებლივ გასწიეთ დიდ ლიახვზე, თან წაიყვანეთ თავ.
 რევაზ და ზაზა მაჩაბლები, რომელთაც ამასთანავე ერთად
 ესწერ, რომ თავი არ დაზოგონ, ეცადნენ ბატონიშვილები შე-
 იპყრან, და, თუ ჯეროვან მხნეობას გამოიჩინენ, დაწმუნებუ-
 ლი იყვნენ, რომ უმადლესად დაჯილდოვებულნი იქმნებიანო.

მთელი ქართლი მთავარ-მართველმა სამ მაზრად გაჰყო.
 ქსნის ხეობა და საკუთრივ ქართლი ჩააბარა მიხელ ერისთავსა,
 პატარა ლიახვი—ელიზბარსა და არაგვი—თორნიკესა და თუ
 საჭიროება მოითხოვდა, ერთი-ერთმანეთისთვის დახმარება უნ-
 და აღმოეჩინათ. ეჭვი არა მაქვსო, ამბობს წერილის დასასრულს
 თ. ციციშვილი, რომ ეს მონდობილება პირნათლად იქმნება
 შესრულებული, რადგან ჯერ ერთი, მთელი თქვენი გვარი რუ-
 სეთის ტახტის ერთგულობითაა განთქმული და მეორეც ისა,
 რომ თქვენს სამშობლოს სარგებლობას მოუტანს მისი შესრუ-
 ლებაო. ²⁶⁾

ეს წერილი ანუ ბრძანება მთავარ-მართველისა საკმაოდ
 ასურათებს მაშინდელ ქართლის მდგომარეობას და ერისთვიანთ
 ძლიერებას. თ. ციციშვილმა მთელის ქართლის ბედი და ილ-
 ბალი ერთ გვარეულობას ჩააბარა, თითქოს საქართველო მათი
 მამა-პაპეული მამული ყოფილიყოს და თვითონ კი ერევანს გას-
 წია ცრუ პატრიარქის, ენაგეთელ დავითის გადმოსაბძანებლად

²⁶⁾ იხ. АКТЫ, т. II, стр. 129.

ენშიაძინის საკათალიკოზო ტახტიდან. 27) ქართლში ერისთვიანთ დაუკითხველად აღარაფერი კეთდებოდა-რა. აღჭურვილნი სამხედრო ძალით, გათამამებულნი საშიშის მთავარ-მართველის ნდობითა ერისთვიანი თავზედ ბუზს აღარ ისვამდნენ და ხშირად ატყობინებდნენ და აგრძნობინებდნენ ხოლმე ქართლის დანარჩენ თავადიშვილობას თავის ძლიერებას. რაკი ქართლის უწარჩინებულესი და უპირველესი გვარი ასე ერთგული შეიქმნა რუსეთისა, სხვებმა ვეღარა მოახერხეს-რა, დაიქსაქსნენ, ერთპირზე ვეღარ დადგნენ და ერთი რომ ალთას გაიძახოდა, მეორე ბალთას გარბოდა. ასეთ ყოფაში აბა მარტო ჭალისა და ცხრა-მუხის აბაშიძენი, ტეტია თარხნიშვილი და ოციოდე კიდევ სხვა რა დანმარებასა და შემწეობას აღმოუჩენდნენ იმერეთიდან წამოსულ ბატონიშვილებს, რომელთაც თან ახლდათ მხოლოდ 55 კაცი თავადა-აზნაური. 28)

თიბათვის სამს, 1804 წელსა, ბატონიშვილი ფარნაოზი და იულონი ორის თვისის ჭაბუკის შვილით ლევანითა და ლუარსაბითა წამოვიდნენ ქუთაისიდან და 8 თიბათვეს ბორჯომის ხეობაში ჩამოვიდნენ. იულონი და ფარნაოზი აპირობდნენ მტკვარში გასვლას და საციციანოს მითთ სათარხნოს ჩასვლას, სადაც ლალატის შიში არა ჰქონდათ, ასეთი განზრახვა ბატონიშვილებისა საბუთს არ იყო მოკლებული, რადგან მტკვრის მარჯვენა მხარე, საციციანო, სათარხნო და საჯავახო სრულიად თავისუფალი იყო ერისთვიანთ გავლენისაგან და ამისათვის ბატონიშვილებს უშიშრად შეეძლოთ ემოქმედნათ და ისე მოქცეულიყვნენ, როგორც მათი ჭკუა და გონება გასჭრიდა. თარხნიანთში, ისინი ჰფიქრობდნენ, მოელაპარაკნათ ერთგულ მეგობრებთან, გადაეწყვიტათ როგორ მოქცეულიყვნენ რუსების

27) ზემოდ მოხსენებული დავითი იყო სოფელ ენაგეთიდან, რომელიც ტფილისს ახლოა და, მაშასადამე, შტოდნე იყო ქართლისა, როგორც მის წინაჲდ მყოფი ქათალიკოსად იოსებ არღუთაშვილი. ქათალიკოსი დავით მეგობარი იყო მეფის ძის დავითისა და შინის მეცადინეობით მიიღო კიდევ საკათალიკოსო კათედრა. თ. ციციშვილმა განაგლო დავითი და ბრძანებითა აღექსანდრე იმპერატორისა დასვეს დანილო სტამბოლელი. იხ. ცხოვრება მეფე გიორგისა... გვ. 278.

28) იხ. Д-на Закавы. გვ. 382.

საწინააღმდეგოდ. შემდეგ ერთი ბატონიშვილთაგანი ს. ყორნისით²⁹⁾ დიდ-ლიახვზე უნდა ასულიყო და მეორე პირდაპირ გადასულიყო მთიულეთსა და არაგვსა. თუ ბედი არ გაუღიმებდათ მეფობის მაძიებელთ, აჯანყება მთისა უქმად ჩაივლიდა და საქართველო შიშვე უღელს ქედიდან ვერ მოიშორებდა, მაშინ სპარსეთს უნდა გასულიყვნენ თავიანთ ძმა აღექსანდრესთან და იქ, უცხო ქვეყანაში, დაელოათ სული.³⁰⁾ იმავე ღამეს ბატონიშვილები აბაშიძიანთ დახმარებით ცდილობდნენ მტკვარში გასვლას, მაგრამ რაკი ვერ მოახერხეს, იძულებულნი გახდნენ „ხეობაში“^{*)} ასულიყვნენ, სადაც თავი შეაფარეს გოგიას ციხეს.³¹⁾ ბატონიშვილებმა გოგიას ციხეში სამი დღე-ღამე გაატარეს, ვიდრე აბაშიძიანი ტივის შეჰკრავდნენ. უმაღლესი მოგზაურთა საუბედუროდ; ფაცა-ფუცში ტივი ისე უხეიროდ შეჰკრეს, რომ საცოდავო ყორღანაშვილი, ბატონიშვილების მხლებელი, კინალამ დაიხრჩო. პირველად ტივზედ ყორღანაშვილი შედგა და გასვლას აპირობდა მეორე ნაპირას, მაგრამ, მოუსვენს თუ არა ორთაყვირი, ტივი დაიფუშა და ყორღანაშვილი წყალში ჩავარდა. ძლიერ-ძლივობით ცოცხალ-მკვდარი გამათრიეს მტკვრიდან. რაკი იულონი და ფარნაოზი მტკვარში ვერ გავიდნენ, მეტი რა ღონე იყო, ისევ იმერეთს დაბრუნდნენ, შეუხვიეს ზემოდ საჩხერესაკენ და იქიდან კორბეულის გზით ქართლისაკენ გა-

²⁹⁾ ს. ყორნისი მდებარეობს დენის ფრონის ხეობაზე. ქართლში სულ სამი ხეობაა ფრონისა, სახელდობრ: დენისა, ფცისა და აღისა. სამთავ ფრონეები ერთეიან მტკვარს მარცხენა მხრიდან. იხილე გეოგრაფიული აღწერა ვახუშტისა, გვ. 260—261.

³⁰⁾ იხ. დ-ია ზაკავკ. გვ. 362 და აქტს, ტ. II, გვ. 130—131.

^{*)} ქართლები ასე ეძახიან ბორჯომის ხეობას, აქტებშიაც ასეა მოხსენებული „поѣхали въ Хеоби“. აქტს. ტ. II, გვ. 132.

³¹⁾ ნ. დუბროვინს გადაუმახინჯებია ამ ციხის სახელი და ეძახის, Гаге-Сцихе. თუ არა ეს დებით ეს გოგიას ციხე ეკუთვნოდათ ბორჯომის წინანდელ მებატონეთ. ავალიშვილთ. აზნაურის გლანა აბელაგის სიტყვით კი, თითქო ეს ციხე ეკუთვნოდა თაქთაქიანთ, დედანში ასეა: „поѣхали въ Хеоби и на разсѣвѣ остановились въ Тактаковой Крѣпости“. აქტების 130 გვერდზე გოგიას ციხედაა მოხსენებული. იხილე აქტს, ტ. II, გვ. 130—132.

მოსწიეს. ამ გზით ბატონიშვილები მოდიოდნენ ფრონების ხეობით და უფრო სათავეებს ეტანებოდნენ, ოსეთისაკენ. მოგზაურები ცდილობდნენ რაც შეიძლებოდა ქართლს ასცდნოდნენ, სადაც ერისთვიანი ფარფაშობდნენ. მოგზაურებს უნდოდათ გადმოეარათ ს. თიღვაზე, შემდეგ ყორნისზე და აქედან დაბა ცხინვალში ჩამოსულიყვნენ, საიდანაც ავიდოდნენ დიდსა და პატარა ლიახვების სათავეებში, შემდეგ გადავიდოდნენ ქსნისა და არაგვის ხეობაში და თვით მთიულეთს, სადაც ამ დროს აჯანყების ცეცხლი უკვე პრიალებდა და სადაც მეამბოხენი მოუთმენლად მოელოდნენ თავიანთ სულის ჩამდგმელთა, ხელმძღვანელთა და სარდალთა.

ასე ფიქრობდნენ და ოცნებობდნენ ბატონიშვილები, მაგრამ არც იმათ ეძინათ, ვისაც მათი დაჭერა ჩააბარა მთავარმართებელმა, როცა ერევანს მიდიოდა. ერისთვიანი, ზაზა და რევაზ მახაბლეტი, გიორგი ამილახვარი და გორის კომენდანტი რეიხი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ბატონიშვილების მოძრაობას, კაცს კაცზე ჰგზავნიდნენ იმერეთის სამზღვრებისაკენ, განსაკუთრებით კი ყარაულებით შეჰკრეს ფრონის ხეობანი და გულდამშვიდებულნი ელოდნენ, როდის შემოსდგამენ იულონი და ფარნაოზი ფეხს ქართლში, რომ უცბად თავს ჯარი დავასხათ, გაეთოკოთ და მთავარმართებელს წარუვლდნოთ ტფილისს ხელ-ფეხ შეკრულნი ძენი დიდებულის ერეკლესიო.

24 თიბათვეს ს. აბისში შეერთდნენ ცხინვალიდან წამოსული შტაბს-კაპიტანი ნოვიცკი 40 ეგერით და ს. ბრეთიდან ამოსული ესაული კონდრაშევი ყაზახებით. ბატონიშვილებს ტკბილად ეძინათ დაბურულ და უტებ ტყეში; მათს ბინას, თუ არ ამ მხრის კაცი, ვერა სულიერი ვერ მიაგებდა. იმ ალაგს, საცა ბატონიშვილებს დაეკათ ბინა, რქმევია საწყობლე და იქნებოდა ასე 40 ვერსზე ქართლის სამზღვრიდან. ნოვიცკისა და კონდრაშევის წინ გაუძღვა თ. იაგორ ამირაჯიბი და მალულად რუსის მხედრობა ზედ თავზედ წააყენა ბატონიშვილთა ამაღას. შეიქნა საშინელი ხელჩართული და უწყალო ელეთა. რომ თ. იაგორ ამირაჯიბმა მოულოდნელად წააყენა თავსა რუ-

სის მხედრობა ბატონიშვილების ამაღლას, მტკიცდება იმითი, რომ ნოვიცკისა და კონდრაშევს თითქმის არავითარი ზარალი არ მოსვლიათ; მოუკლეს მხოლოდ ერთი ეგერი და ერთი ყაზახი დაექრათ, როდესაც ბატონიშვილებს მოუკლეს 20 კაცი და მათ შორის ტეტია თარხნიშვილი და ფირან ჩეტქეზიშვილი, თვით ბატონიშვილი იულონ ძლივს გადაარჩა სიკვდილს. ნოვიცკის ეგერებმა, ცოტას გასწყდა, კინალამ ხიშტზე ააგეს, დროზე რომ ნოვიცკის არ დაენახა ბატონიშვილი, არ ეცნო ტანისამოსზე და არ გადაერჩინა სიკვდილსა. გადარჩა ტყვეობას ამ ქამად მხოლოდ ფარნაოზი. ოფიციალური წყარონი მოგვითხრობენ, რომ ფარნაოზი ტყვეობას გადაარჩინა გაუვალმა ტყემ, ჯარისკაცთ თვალიდან მოეფარა და ხელიდან გაუსხლტაო. ლტოლვილი ფარნაოზი თუშ-ფშაჟ-ხევსურეთს გაჩნდა, შემდეგ გადავიდა ანანურსა, ხევსა და მთიულეთს და იქ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამბოხებაში³²).

გაბაწრული იულონი, მემკვიდრე საქართველოს ტახტისა ოსეთა ყორღანაშვილის დაწერილის და ერეკლე მეფის მიერ დამტკიცებულ ანდერძის ძალით, უბრალო ტუსადივით წამოიყვანეს საწურბლედან სოფ. ბრეთს. მაღალ-ხარისხოვანი ტუსადი ორი დღე გააჩერეს ბრეთში, რადგან პასუხს მოელოდნენ იულონის მეუღლისა და შვილებისაგან. ბატონის მეუღლესთან გაგზავნილი ერთგული მოსამსახურე იულონისა აზნაური აბაზაძე არც თვითონ დაბრუნდა და არც არაფერი პასუხი აუწყა მომლოდინეთა. ბატონიშვილი სწერდა თავის მეუღლეს, ბედმა მიმუხთლა, თავისუფლება მომისპეს, რუსებმა დამიჭირეს და სთხოვედა ცოლშვილსა, თქვენც დამორჩილდით ბედსა, მოდით და ერთად ავიტანოთ სიმწარე ჩვენის უბედურის სვესიო. ეტყობა სალომე არ ჰგონებდა, რომ ამ საქმეს შეეძლო ასე მოულოდნელად დაბოლოებულიყო, აღბად შეჰკრთა და პასუხი არა მოსწყერა-რა ქმარსა. ნოვიცკისა და კონდრაშევს გული გადაელიათ

³²) იმ ადგილს, საცა ბატონიშვილი იულონი დაატყვევეს, დუბროვინი ეპისკოპოსი შაქორბელს, კონდრაშევი—შაქორბელ იღვეს, ერისთავი კი საწურბლეს. ჩვენს უფრო მართალი გვეგონია. იხ. АКТЫ, т. II, გვ. 133. Д-на Закави. გვ. 363.

ბრეთში უსაქმოდ ყოფნითა, შეიძლება შიშიცა ჰქონდათ, ვაი თუ ერთგულმა ქართველებმა ძალით გამოგვეგლიჯონ ხელიდან ტყვეო და დააშურეს მისი ტფილისში გასტუმრება. იულონი საქართველოს დედა-ქალაქში, იქ, სადაც რვა-ცხრა წლის წინად, კრწანისის ველზედ სამშობლოსთვის სისხლსა ჰღვრიდა მისი სახელოვანი მამა, ისე მიიღეს, როგორც უბრალო ტუსადი, ვინმე უბრალო გავარდნილი ყაჩაღი ან თული და დღეში ულუფად ტუსადის საზრდო დაუნიშნეს, 25 კაპეიკი. მთავარ-მართველის ხაზინადარს შერცხვენია აღბად ამ გარემოებისა, ან ეგებ გულჩჩვილი კაცი იყო და ამის გამო იულონს სასმელ-საქმელს სატუსალოში თ. პავლე დიმიტრის ძის სუფრიდან უგზავნიდა. გავიგე თუ არა, რომ ჩემს დაუკითხავად ისეთი უღირსი და უკანონო განკარგულება მოუხდენიათო, მოახსენებს მთავარ-მართველი ხელმწიფე იმპერატორსა, მაშინადღე ვუბძანე, დღეში თითო თუმანი უგზავნეთ ბატონიშვილს სახარჯოდ-მეთქი. მართალია იულონი ღირსი არ არის ასეთის წყალობისა, მაგრამ მტრობა და შური მისდამი არ შეეფერება არც დიდებულ რუსეთის იმპერიის ღირსებას და არც მის გვაროვნობას და ჩამომავლობას. თ. ციციშვილმა აქაც ვერ მოითმინა, რომ ქება-დიდებათ არ მოეხსენებინა თვისის იმპერატორის გულ-კეთილობა და მოწყალება. იულონი, ამბობს მთავარ-მართველი, როგორც საზოგადო მყუდროების დამარღვეველი (ЯКО ВОЗМУТИТЕЛЬ ОБЩЕСТВЕННОГО СПОКОЙСТВИЯ) რა ღირსია მოწყალებისა და შებრალებისა, მაგრამ, რაკი ვიცი თქვენის კეთილის გულის ამბავი, რომ მზადა ხართ შეიწყალოთ და შეივრდომოთ ყველა, ვინც კი რაიმე დანაშაულს მოიქმედებს, გავბედე და ქრისტეანულად მოვექეციო. ⁸⁸)

დიდი და პატარა, ერთის სიტყვით, ყველა, ვისაც კი ასე თუ ისე ჰქონდა საბუთი ნდომებოდა სამეფო ოჯახის დამხობა-დამცირება, სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, ბატონიშვილის იულონის დატუსალება რომ შეიტყეს. ეს ამბავი მთელ ქართლსა

⁸⁸) იხ. АКТЫ, т. II, გვ. 134—135.

და კახეთს უცბად მოეფინა; მეგობრებს თავ-ზარი დასცა და ბაგრატიონთანა მოძულეთა ისე შეესმათ, როგორც ნაზი და დამატკობელი რეკა ზარისა. გულ-ჩათხრობილ და სახე-მოღუშულთ. პავლე ციციშვილს, რომლის სახეზედაც, ბიოგრაფის სიტყვით, ღიმილი ძვირად თუ უნახავს ვისმე, ამ შემთხვევაში გული მოლობია. ამის გამო მხიარულის კილოთი სწერს იგი შინაგანს საქმეთა მინისტრს გრაფ კოჩუბეის, უმაგრესი და მიუვალი ციხე რომ ამეღო და დამექცია, ისე არ გამეხარდებოდა, როგორც იულონის შეპყრობა, რადგან ვიღრე ამ ასპიტების თესლი საქართველოს ახლო-მახლო იქნება, იმ დრომდე აქ მშვიდობა და მყუდროება არ ჩამოვარდება ქართველების თავქარიანობის გამოვო.³⁴⁾ ასე გასინჯეთ, ესაული კონდრაშევი, ესეც კი იბერება და იჭიმება, ისეთის კილოთი სწერს რელიაცუას, რომ ვეგონებათ, სწორედ ამ ყაზახ-აფიცურს ან ნაპოლეონი დაუმარცხებია ვატერლოოსთან, ან კიდევ ალექსანდრე მაკედონელისა-ვით ძველი მონარქია სპარსეთისა ძირს დაუმხია და თვით მონარქი დარიოს ჰისტასპი ტყვედ წაუყვანია ცოლშვილითაო. „ამ ლაშქრობისა და შებრძოლების დროსაო, მოახსენებს კონდრაშევი თ. ვოლკონსკის, თ. იაგორ ამერეჯიბი და ნიკოლოზ მუსხელიშვილი გვერდიდან არ მოგვშორებიანო“. ეტყობა დიდი მნიშვნელობა ბატონიშვილის შეპყრობისა კონდრაშევსაც შეუფენია, რომ შურს არ შეუპყრია და ვაჟკაცობის სახელსა, თავის-თავსა და ნოვიცკის გარდა, სხვასაც უწილადებს. თავადი ერისთავი ხომ ისე გაუტაცნია სიხარულსა ბატონიშვილის იულონის დაჭერის გამო, რომ რაპორტების დამწერ მოხელესათვის ვეღარ მოუთმენია და იქვე აბისში გაუჭრელებია საკუთარის ხელით რაპორტი და პირდაპირ ერევანს გაუჭავანია მთავარ-მართველისათვის.³⁵⁾

³⁴⁾ ibid. გვ. 134.

³⁵⁾ იხ. Акты, т. II, გვ. 133. მოგვეყვას რამდენიმე ნაწყვეტი ამ საინტერესო რაპორტისა: „ки. валхонекн приказалъ, чтобы братья съ войскою (ესე იგი ძმები ჯარით) оставить на ломлеу гори, и мне приказалъ горнекому въ усъди что царевичи нулопъ и нарпаозъ и синя (შვილი) нулона, шатадасъ объ

მთავარ-მართველმა შეისმინა თხოვნა თ. ერისთავისა და ყველა, ვინც რითიმე თავი ისახელა ბატონიშვილის დაქვრაში, უხვად დააჯილდოვა. მამაცს და გამბედავს შტაბს-კაპიტანს ნოვიცკის ეზოძა კაპიტანობის ჩინი და სისხლის ჯვარი მესამე ხარისხისა, ესაულ კონდრაშევს ოქროს მენდალი და ეგერებს და ყაზახებს, სულ 100 კაცი იყო, თითოთს ოროლი მანეთი. თ. იაკობ ამირეჯიბის პორუჩიკობის ჩინი და ამ ჩინის შესაფერი ჯამაგირი. ³⁶⁾

ასე უდროვოდ და მოულოდნელად დასრულდა ბატონიშვილი იულონის საპოლიტიკო მოღვაწეობა. ამ დღიდან იულონს აღარ

етово амонатовъ изъ осетинци, и дал пушку малинку и сорокъ египровъ, а какъ нужно будит (თუ საჭირო იქნება) все находящися въ лори воньку под-команда (აქ აღბაღ შედღობაა, ლორი კი არა, ვარი უნდა იყვას), а я прахель на молинку ляхвы тамошній дело савершилъ, а потомъ поихел Цхинвали, а тамъ узналъ что царевичи нежали въ имеретій, за нимъ былъ господинъ капитанъ павицки, (აღბად გაუქირდა თ. ერისთავს შტაბს-კაპიტანის დაწერვა), а пашол Царевичъ пулонъ въ садурблъ, и также господинъ капитанъ павицка и взялъ впереди книз Гюрги ампрежиби, и зделали нападеніе на царевичъ, и пулонъ Царевичъ поималъ, и принезилъ въ абиси, а какъ я узналъ цхинвали тотъ поч явились я въ абиси, и видалъ царевичъ и взяли тотъ день къ брети рекамандую къашему сіятелству господина капитана павицкова; нервои что вы самъ знаите какои службу, второи что съ сорокъ египрами и тридцетъ казаками самій изъ имеретіи захватилъ, такой смѣлость и храбрость ретко бувантъ, и я уверенъ отъ вашег сіятѣлства что такому служавицкоту не будите оставить“.

³⁶⁾ Акты, т. II. гл. 185, 144. თ. იაკობ ამირეჯიბის დეაწლს ასე მოიხსენიებს თ. ციციშვილი: „А какъ въ помѣхъ царевича юлона шт.-капитану Новицкому најглавиѣше способствовалъ кн. Георгій Ампреджибовъ, навѣдшій наше войско на царевичевъ караулъ такъ искусно, что оный нашими былъ схваченъ, то и дерзаю, хадатаѣствуя за сказаннаго князя и прибѣгнувъ къ неизрѣченному В. И. В. милосердію, всеподданнѣйше испрашивать ему за таковое усердіе чина поручицья съ жалованіемъ по чину серебромъ“. ისტორია არ მოიხსენიებს აღარც ამირეჯიბს, აღარც კონდრაშევსა, მხოლოდ ნოვიცკი დაწინაურდა სამსახურში და გენერალ-ლეიტენანტის ჩინი მიიღო. შემდეგ გენერალი ნოვიცკი ებრძოდა თავის თანამემამულეთ პლეთანდში 1803 წლების ადგილების დროს და აქ დახვრიტეს რევოლუციონერებმა ვარშავის უბანს პრაგაში. სწორედ იმ ალაგას, საცა ვარშაველებმა ნოვიცკი დახვრიტეს, მთავრობამ შეგლი აუგო. (იხ. წერილები ბერკისა 1003 წ. აჯანყების შესახებ).

ჰღირსებია მიელო რაიმე მონაწილეობა თავის სამშობლოს ბედ-ილბალსა და მის მართვა-გამგეობაში. 1805 წელს, გაზაფხულზედ, მთავარ-მართებელმა იულონი რუსეთს გაისტუმრა, სადაც დღენი თვისი დალია სხვა ბატონიშვილებთან ერთად ამ ერთმა საქართველოს ტახტის მადიებელმაც.

ა. ფრანკელი



რ ძ მ

ვ *

ქართული და მრგმ

ბ) სადღეგებელი და დღეგება.

აქამდინ ჩვენ მხოლოდ იმაზედ გეჭონდა ლაპარაკი თუ რა და რა გარემოება ხელს უშართავს და ან უშლის ერბოს მოგროვებას და როგორ უნდა იყოს მომზადებული თვითონ სადღეგები მასალა, რომ დღეგება მალე გათავდეს და კარგი გამოსავალიც ჰქონდეს. ეხლა შევეუდგებით იმის გამოკვლევას, თუ სადღეგები ჭურჭელი როგორ უნდა იყოს მოწყობილი, რომ დღეგება აგრედვე მალე გათავდეს და გამოსავალსაც არა დააკლდეს-რა.

სადღეგებელს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც დღეგების მალე თუ გვიან გათავებაზე, ისე თვითონ მოგროვილი ერბოს ღირსებაზე. სადღეგებელი ბერგვარია მოგონილი და მრავალი; რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლიან ყველა მათი გარჩევა და არც საჭიროა. საზოგადოდ რომ ესთქვათ, სადღეგებლად ყველა ის ჭურჭელი გამოდგება, რომელშიაც შესაძლებელი იქნება სადღეგები მასალის შედღეგება, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნილებას: 1) ადვილი უნდა იყოს მისი გარეცხვა, გასუფთავება და გამონიაება; 2) აგებულება უბრალო უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამასთან გამძლე უნდა იყოს; 3) დღეგების დროს ერბო ადვილად და სრულად გროვ-

*) «მოამბე» № IX.

დებოდეს; 4) დღეებას დიდი ჯაფა და ძალა არ დასჭირდეს და 5) ფასიც დიდი არ ჰქონდეს.

1) **სადღვებლის ადგილად გასუფთავებას მნიშვნელობა.** როგორც არა ერთხელ გვითქვამს, რძის მრეწველობაში მიუცილებლად საჭიროა სრული სიწმინდე და სისუფთავე; აქედან უკვე ცხადია ის მოთხოვნილება, რომ სადღვებელი რაც შეიძლება ადვილად და სრულიად გასუფთავდეს; თუ სადღვებელი წმინდა არ არის და კარგად არ არის გამოწმინდებული, მაშინ შიგ მოგროვილ კარაქს რაღაცა ცუდი სუნნი და გემო ეძლევა და ეს, რასაკვირველია, ამცირებს მომზადებული მასალის ღირსებას. ამ მხრით დიდს და განსაკუთრებითს ყურადღებას მოითხოვენ ხის სადღვებლები, რადგანაც, როგორც ვიცით, ხე უფრო ფოროვანია და ამის გამო შიგ უფრო ადვილად დაიბუდებს ყოველგვარი უწმინდურება და ყოველგვარი მყრალი სუნი. რაღა თქმა უნდა, რომ თუ ხის სადღვებელი ადვილი გასასუფთავებელი არ არის, მაშინ მას შეუძლიან დააზიანოს ერბოს ღირსება.

2) **აგებულობის და გამძლეობის მნიშვნელობა.** სიწმინდესთან დაახლოვებით შეკავშირებულია სადღვებლის აგებულობა და გამძლეობა; ის სადღვებელი, რომლის აგებულობაც უფრო უბრალო და მარტივი არის, ადვილი გასაწმენდი და ადვილი გამოსანიავებელიც იქნება; ამასთან რამდენადაც უბრალო და მარტივი იქნება სადღვებლის აგებულობა, მისი კონსტრუქცია, იმდენად იაფად ეღირება და ამის წინააღმდეგ, თუ მისი აგებულება ძალიან რთულია, მაშინ ძვირადაც ეღირება და ძნელი გასარეცხიც იქნება. აგებულებაზედ დამოკიდებულია მისი მასალაც. სადღვებელს ჩვეულებრივ აკეთებენ ან ხისას, ან რკინისას და ან თეთრი თუნუქისას. ლითონს ის უპირატესობა აქვს, რომ ადვილად გასარეცხი და გასასუფთავებელია და ამასთან სადღვები მასალით არ გაიჟღინთება, მაგრამ ამ მასალის ხმარებას დიდი სიფრთხილე უნდა; ლითონი ან უნდა მოფერადებული იყოს და ან დამილანქარებული, უამისოდ როგორც დოს, ისე ერბოს ცუდი გემო მიეცემა; ხშირად მი-

ლანქარიც ვერა შველის; მილანქარი ხშირად აქა-იქ სქდება, სადღვებელს ეცლება და მაშინ ხეზე უფრო ძნელი გასასუფთავებელი ხდება. ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ლითონის სადღვებლის ხმარების დროს ძალიან მოქმედობს გარეგანი ჰაერის ტემპერატურა სადღვებ მასალაზე, რადგანაც, როგორც ვიცათ, ლითონი ადვილი გადამცემია სითბო-სიცივისა. ამის გამო ყოველ ლითონის სადღვებელს თვისი პერანგი უნდა ჰქონდეს, რომ, შიგ შესაფერი ტემპერატურის წყალის ჩახმით, შესაძლებელი იყოს გარეგანი ტემპერატურის მოქმედების აცილება. ამ გარემოებათა გამო ლითონის სადღვებლების ხმარება გავრცელებული არ არის. სადღვებელთა შორის უპირატესობა ხის სადღვებელს ეკუთვნის, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს სადღვებელი ადვილი გასაწმენდა და გასასუფთავებელი იყოს. ყველას ემჯობინება, რომ სადღვებელი ან მუხისა იყოს და ან წიფლისა; არც ფიჭვისა ანუ ნაძვისა არის ურიგო, მაგრამ ეს მასალა უფრო რბილია და ფოროვანი და ადვილად იქლინთება სადღვები მასალით. ლითონის სადღვებელს ის ნაკლულევანებაცა აქვს, რომ უფრო ძვირად ღირს; ამას გარდა ლითონის სადღვებელი მძიმეც არის და მუშაობის დროს უფრო ღიდს ჯაფას თხოულობს. მართალია, თუნუქის სადღვებელი მძიმე არ არის და არც ძვირი, მაგრამ არც ეს მასალა არის გამოსადეგი, რადგანაც ჩვეულებრივ თხელია და მუშაობის დროს ადვილად იზნიქება, გვერდები უფუჭდება და ეს გარემოება ღიდად აძნელებს მის გარეცხას და გასუფთავებას. თუ ხის სადღვებელს ხმარობენ, მაშინ მას გარეცხას და გასუფთავებას ღიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ სადღვებლის მასალად ხე სჯობია ყოველის მხრით, მეტადრე უფრო იმიტომ, რომ ყველაზე იაფია, ადვილად არ ზიანდება და ადვილი სამუშავებელია. მართალია, ეს მასალა ადვილად იქლინთება სადღვები მასალით, მაგრამ რადგანაც სადღვებელი ხშირად არ არის სახმარებელი და ისიც ძალიან ცოტა ხნობით; ამისთვის მისი გაწმენდა ძნელი მოსახერხებელი არ უნდა იყოს.

3) რაც შეეხება სადღევბლის გავლენას ერბოს სრულად და კარგად მოგროვებაზე, ამ მხრით ცნობილია, რომ ერთისა და იმავე გვარის ნალებიდან ერბოს მოგროვების სისრულე სხვა-და-სხვა სადღევბელში სხვა-და-სხვა არის. რამდენადაც დღევბის დროს ცოტა ერბოს წვეთები გამაგრდებიან, იმდენად ცოტა ერბო მოგროვდება და ამისგამო იმდენად ბევრი ერბო დარჩება დოში. თუმცა ჯერჯერობით კარგად არ არის გამოკვლეული სადღევბლის ზედგავლენა ერბოს გამოსავალზე, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ სადღევბლის მოქმედება ნამდვილად სუფევს და სადღევბლის ამორჩევის დროს ეს გარემოება უეჭველად უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. უეჭველია, რომ სხვა-და-სხვა გარემოებათა გარდა თვითონ სადღევბლის კონსტრუქციის დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ერბოს მოგროვების სისრულეზე; რამდენადაც სადღევბელი ძალიან შეანჯღრევს სადღევბს მასალას, იმდენად ადვილად გამაგრდებიან ერბოს წვეთები და, მაშასადამე, იმდენად ადვილად შეეწებებიან ერთმანეთს და მოგროვდებიან.

4) დღევბაზე დახარჯული ჯაფის მნიშვნელობა. რძიდან თუ ნალებიდან ერბოს მოსაგროვებლად ანუ რამე მასალის სადღევბად საჭიროა ძალის დახარჯვა, ჯაფა; ცოტა მასალის შემუშავება შეიძლება საკუთარი კაცის ძალითაც; მაშინ კი, როცა ბევრი მასალა არის შესამუშავებელი, ან ცხენის და ან ორთქლის ძალას ხმარობენ. ამ მხრით უპირატესობა იმ სადღევბელს უნდა მიეცეს, რომელიც უფრო მცირე ჯაფას თხოულობს მუშაობის დროს; ის სადღევბელი უფრო კარგი იქნება, რომელიც როგორც ცოტა ჯაფას თხოულობს, ისე ცოტა დროს ერბოს მოგროვებაში.

თუმცა ამ უკანასკნელ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა საჭიროა რომ დღევბა დიდ ხანს არ თხოულობდეს, მაგრამ ამასთან ისიც საჭიროა, რომ ეს დღევბა ძალიან მალეც არ თავდებოდეს, რადგანაც დღევბის მალე გათავებასთან შეკავშირებულია მცირე გამოსავალი.


5) **წაჯ შეხება სადღეობის ფასს**, ამ მხრით ის სადღეობელი უფრო სარჩევი იქნება, რომელიც უფრო იაფია, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ სხვა მხრითაც კარგი იყოს; მართო სიაფე, რასაკვირველია, ღირსებას არ შეადგენს, თუ იაფობასთან სხვა ღირსებას მოკლებული იქნება.

საზოგადოდ, რასაკვირველია, ძნელია, რომ რომელსამე სადღეობელს ყოველგვარი ღირსება ჰქონდეს და ამის გამო ძნელია გადაწყვეტით ითქვას—რომელი სადღეობელი უფრო სარჩევია. როგოგორც წინადაც ვსთქვით, სადღეობელი ბევრია სხვადასხვა გვარისა, მაგრამ ჩვენ ყველას არ გავარჩევთ; მხოლოდ ორიოდ სადღეობელს მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას და ისიც მხოლოდ იმათზე, რომელნიც ღირსნი არიან ყურადღებისა:

გოლშტინაუზა სადღეობელი. ეს სადღეობელი ადვილი სამუშაოებელია როგორც ხელით, ისე მექანიური ძალით; ის ვაკეთებელია რცხილის ან წიფლის ყავრებიდან და ცილინდრიული ფორმა აქვს, რომელიც ძირში ცოტა გაგანიერებულია და პირში კი შევიწროებული; ამ სადღეობელს შიგნიდან გვერდებზე გეზად მოკრული აქვს ორი ან ოთხი ნაწიბური (თხელი და ვიწრო ფიცარი). ეს ნაწიბურები ხშირად თვითონ ყავრებზე არის გამოჭრილი და ხან კი ბურღებით არის მიკრული და ეს უკანასკნელი მით უფრო კარგია, რომ მათი ამოღება და გაწმენდა შეიძლება. ამ ცილინდრს თავისი ხეფი, სახურავი აქვს, რომელიც ორი ნაწილიდან არის შემდგარი და შუაგულში ნახვრეტი აქვს, რომელშიაც გატარებულია ყირაზე დაყენებული ღერძი სათქვეფი მექანიზმისა. ეს ღერძი ცილინდრის ძირამდინ ჩადის და ზედ დამაგრებული აქვს ცილინდრის შესაფერი ჩარჩო; ეს ჩარჩოც ცოტა გეზად არის დამაგრებული და ისე, რომ მისი ზემოთი თავი მიხრილია ნაწიბურებისკენ. სარჩოსა და ნაწიბურებ შორის ცოტა თავისუფალი ადგილია დარჩენილი, რომ ჩარჩოს თავისუფლად შეეძლოს ტრიალი. როცა სადღეობელში სადღეობი მასალა არის ჩასხმული და ღერძის შემწეობით ჩარჩოა დატრიალებული, მაშინ თითონ მა-

სალაც დაიწყებს ტრიალს; აქ ჩნდება ცენტრ-მსროლელი ძალა, რომელიც ამ სადღვებ მასალას ცილინდრის გვერდებისკენ გააქანებს. ამ გარემოებაში მყოფი სადღვები მასალა ცილინდრის ნაწიბურებს ხვდება და ძლიერ ითქვიფება და ამის გამო, რასაკვირველია, ერბო გროვდება. თუ სადღვები მასალა დამჟავებულის რძე ან დამჟავებულის ნაღებია, მაშინ სადღვები მანქანის ღერძი თითო წუთში 120—180 უნდა შემოტრიალდეს და თუ მტკნარი ნაღებია, მაშინ საჭიროა 180—220 ჯერ შემოტრიალება; მტკნარი რძის სადღვებად ტრიალი უფრო აჩქარებული უნდა იყოს, არა ნაკლებ 250—280-ის თითო წუთში. მტკნარი ნაღების და რძის დღვებას იმისთვის უნდა უფრო ჩქარი ტრიალი, რომ მათ სადღვებად უფრო დიდი ძალაა საჭირო.

აქ მოყვანილ სურათებზე (სურათი 39 ა და ბ) ცხადად სჩანს ამ სადღვებლის აგებულება; ერთი მათგანი ხელით სამუშავებელია (სურათი 39 ა) და მეორე (39 ბ)—მექანიურად. ეს უკანასკნელი გაჭრილია ნაჩვენებში, რომ შესაძლებელი იყოს მისი აგებულების დათვალიერება; ამ სადღვებელს სამი ნაწიბური (ა—ა) აქვს; ს—ს ღერძზე დამაგრებული სათქვეფი ჩარჩოა და ც ტერმომეტრი. ამ სადღვებლის გაწმენდა და გამოინიავება ძალიან ადვილია, რადგანაც, ხუფის ახდის შემდეგ, სათქვეფი მექანიზმიც ამოიღება*) და მაშინ თითონ სადღვებე-




სურათი 39.

ა) გოლშტინური ხელით სამუშავებელი სადღვებელი. აქ დახატულია გარეგანი შენეღულობა.

*) სათქვეფი მანქანის ამოსაღებად ღერძზე ჩამოკმულ მილს (ჩ) ასწვევენ ზევით და მაშინ ჰვემო ნაწილი ღერძისა მოცლებდა და მთლად ჩარჩოთი ამოღება შეიძლება.

ლი კარგად და ადვილად გაირეცხება და მზეზედ კარგად გა-
შრება.



სურათი 39.

ბეგოლშტინიური ორთქლით სამუშაოებელი სადღვებელი.
აქ ეს სადღვებელი გაკრილია დახატული.

სადღვებელი მუშაობის დროს სადღვებ ჩარჩოზე ზევით არ უნდა აივსოს და ნაკლებად ავსება კი ვისაც უნდა, მაშინ ის უნდა იქონიოს მხედველობაში, რომ ამ ჩარჩოს ქვემოთი ხარისა უეჭველად დაფარული იყოს სადღვები მასალით; ერთი სიტყვით, სადღვებელში შეიძლება ჩავასხათ $\frac{2}{3}$ მისი ტანის მასალა და არა ნაკლებ $\frac{1}{3}$ -ისა, მაშასადამე, თუ სადღვებელში ჩადის 150 ლიტრი, მაშინ იმაში შეიძლება შეიღვებოს 100 ლიტრიდან 50 ლიტრამდინ. თუ სადღვები მასალის რაოდენობა ამ მიჯნებს გადასცილდა, მაშინ ერობო ან სრულებით არ მოგროვდება და ან ძალიან ცოტა გამოსავალი ექნება.

ეს სადღევბელი ძალიან არის გავრცელებული შლეზვიგ-გოლშტინიაში, ბეკლენბურგში, დანიაში და შვეციაში და მართლაც რომ ღირსია ამ ყურადღებისა. მისი ღირსება დამოკიდებულია მის სიმარტივეზე და გამძლე აგებულობაზე; ამასთან ადვილი გასარეცხი და გამოსანიავებელიც არის; დიდი ძალა და ჯაფა არ უნდება მუშაობას და ერბოც მთლად და კარგად გროვდება. ამ სადღევბელს მხოლოდ ერთი ნაკლულევანება აქვს, ეს ისა, რომ ცოტა მასალის შედღევა არ შეიძლება.


თუ ოჯახობას ბევრი სადღევბი მასალა აქვს, მაშინ ამ სადღევბელზე კარგი და გამოსადეგი სადღევბელი არც კი მოიპოვება; ყველა იმ სარძევე ქარხნებში, სადაც კი კარგი და გათქმული ერბო მზადდება, ამ სადღევბელს ხმარობენ.

ამ სადღევბელში შეიძლება შეიღვებოს როგორც დამუჯავებული, ისე მტკნარი ნაღები; აგრედვე მტკნარი და დამუჯავებული რძე, რასაკვირველია, შესაფერ ტემპერატურაზე და შესაფერ ტრიალის სიჩქარით.

ამგვარ სადღევბელს ამზადებენ თითქმის ყველგან, სადაც კი სარძევე ქურკელი და მანქანები მზადდება და ამასთან ყოველგვარი ტანისას 15 ლიტრიდან დაწყებული 300 ლიტრამდინ და, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა ფასისას (მისი ტანის დავარად), 15 მანეთიდან 120 მანეთამდინ.

კვრედ-წოდებული სადღევბელი „ვიქტორია“. ეს სადღევბელი წარმოადგენს ბოჩკას, რომელსაც ერთი ფსკერის მაგივრად ხუფი აქვს დანურული და ბურღების შემწეობით დამაგრებული. ეს ბოჩკა ჩამოკიდებულია ორს სვეტზე, რომლებსაც თავში ღარები აქვთ და ამ ღარებშია ჩასვენებული ამ ბოჩკის ღერძი თავისი სატრიალებელი ტარით; ღერძი შიგ ბოჩკაში არ არის გატარებული, არამედ გარედანა აქვს ბურღების შემწეობით მიმაგრებული ღერძის ორი ბოლო, რომელთაგანაც ერთს სატრიალებელი ტარი აქვს ჩამოცმული (სურათი 40). შიგ ბოჩკაში არავითარი სადღევბი მანქანა არ არის დატანებული. ამ ბოჩკის ტრიალის დროს შიგ ჩასხმული სადღევბი ნაღები ერთი ფსკერიდან მეორე ფსკერზე ეცემა და

ამგვარი მოძრაობით იღლებება. ამის გამო ეს საღებველი ადვილი გასარეცხი და ადვილი გამოსანიავებელია. მუშაობის



სურათი 40.

ინგლისური საღებველი „ვიქტორია“.

გათავების შემდეგ ხუფს ახლიან, დოს გამოუშვებენ ძირში მიკეთებული ონკანით და შიგ დაჩენილ ერბოს ამოიღებენ და შემდეგ კარგად გარეცხენ და გამოაშრობენ, რაც ადვილი მოსახერხებელია მისი პირის სიდიდის წყალობით.

ეს საღებველი და მისი მოქმედება კარგად გამოიკვლია კირხნერმა და აი რა აღმოჩნდა ამ გამოკვლევიდან: იმან აიღო ეროი და იგივე ნალები და სამ ნაწილად გაჰყო და მათგან ერთი სრულიად მტკნარი შედღებია, მეორე ცოტათ დამეხვებული და მესამე კი ძალიან დაამეხა.

აი სქემა ამ გამოკვლევისა.


| სადღევები მასალის მდგომარეობა. | სადღევები მასალის რაოდენობა. | | | ტემპერატურა. | | | | სადღევების ტრიალი. | დღეების ხანი წუთობით. | ერბოს რაოდენობა. | | ერბოს მოგროვების სისრულე. | |
|---------------------------------|------------------------------|------|-------|--------------|-------|--------------------|--------|--------------------|-----------------------|------------------|-------|---------------------------|------|
| | კილოგრამებით. | | | პაერისა. | | სადღევები მასალის. | | | | ხალეში | დ.შ. | | |
| | ხალეში | ერბო | დ.შ. | დასაწესში | ბოლოს | დასაწესში | ბოლოს. | | | | | | |
| 1) მტკნარი ნაღები | 12 | 3,95 | 7,95 | 8,95 | 20 | 19 | 13 | 16,25 | 48 | 40 | 29,1 | 1,99 | 95,0 |
| 2) ცოტად დამჟავებული | 12 | 4,27 | 8,27 | 8,35 | 19,5 | 17 | 15 | 16,20 | 47 | 41 | 29,1 | 1,35 | 96,7 |
| 3) ძალიან დამჟავებული | 14,03 | 3,10 | 10,65 | 11,65 | 13 | 18 | 13,8 | 15 | 48 | 50 | 18,21 | 0,85 | 96,8 |

როგორც ვხედავთ ერბოს მოგროვების სისრულე სრულიად საკმარისია, მეტადრე მაშინ, როცა დამჟავებული ნაღები იყო შედღეებილი; მართალია, მტკნარი ნაღებიდან ცოტად ნაკლები ერბო მოგროვდა და ეს დამოკიდებულია თვითონ სადღევებლის აგებულებაზე. საზოგადოდ შენიშნულია, რომ სატრიალებელი და საქანებელი სადღევებლები შესაფერისი არ არიან მტკნარი ნაღების და რძის სადღევებად.

ეს სადღევებელი ღირსია ყურადღებისა ვანსაკუთრებით იმითი, რომ იმაში შეიძლება შეიძლება ყოველგვარი რაოდენობა სადღევები მასალისა და ერბო იმდენად უფრო კარგად გროვდება, რამდენადაც ცოტაა რძე ანუ ნაღები. ამისათვის ეს სადღევებელი პატარა ოჯახობისთვის კარგი გამოსადეგია; ყოველდღე შეიძლება დღეება და საჭირო არ იქნება დაცდა სადღევები მასალის მოსაგროვებლად და ეს კარგი შალავათია; როგორც ვიცით, დიდ ხანს შენახულ რძიდან ანუ ნაღებიდან არასდროს ისე კარგი ერბო არ გამოვა, როგორც მტკნარიდან ან ცოტად დამჟავებულიდან. ამის ნაკლები ენება იმაში მდგომარეობს, რომ ძალიან ძნელია სადღევების ტრიალის აჩქარება და ეს ამცირებს ერბოს გამოსავალს მტკნარი რძისა და ნაღებიდან; არც ბევრი მასალის სადღევებლად არის მოსახერხებელი; თუ სადღევებელი ძალიან არის გავსებული, მაშინ ერბო ძნელად გროვდება.


ამერიკული სადღევებელი. განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია ეგრედ წოდებული ამერიკული საქანებელი სადღევებელი,

რომელიც ბევრად მიემსგავსება ჩვენებურ სადღვებელს და ძალიან კარგადაც ასრულებს თავის დანიშნულებას. ეს სადღვებელი წარმოადგენს გძელ ცალინდრს ანუ ყუთს (სურათი 41 ა—ბ), რო-



სურათი 41, ა.

ამერიკული სადღვებელი. აქ ნაჩვენებია გარეგანი შეხედულობა.



სურათი 41, ბ.

ამერიკული სადღვებელი. აქ ნაჩვენებია გაჭრილი სადღვებელი მასალით. აქ ცხადად სჩანს, რა მდგომარეობაშია ც არის ეს მასალი სადღვებლის მოძრაობის დროს.

მელსაც ბოლოები შემორგვალებული აქვს და ხიდან არის გაკეთებული. ეს სადღვებელი *) ჩამოკიდებულია თოკების ან

*) ჩვენებური სადღვებლის სურათი არ მოგვეყვას აქ, რადგანაც ყველა კარგად იცნობს. ჩვეულებრივ ჩვენებური სადღვებელი ჩამოკიდებულია გძელ თოკებზე, რომ ძრიელ იქანაოს და ეს გამოწვეულია სადღვები მასალისაგან (მაწონი), რომელიც დიდძალ შერხეუას თხოულობს ერბოს მოსაგროვებლად. მაშასადამე, თავის დანიშნულებას ძალიან კარგად და რიგიანად ასრულებს.

რკინის მართულების შემწეობით რამე ხარისხზე და გაქან-გამოქანებით რმე ან ნაღები ერთი ბოლოდან მეორე ბოლოზე ესხმება და მეორედან პირველზე და ამგვარად ძალიან იღვინება. ღღვების დროს საღღვებელი მხოლოდ ნახევრად უნდა იყოს გავსებული და წუთში 40—45 ჯერ უნდა გაქან-გამოქანდეს ანუ შეირხეს. ამ საღღვებელს პირი კარგად განიერი აქვს და საცობლით არის დაცმული გერმეტიულად და ძირში ონკანი აქვს დოს გამოსაშეებად. ამგვარი მოწყობილობის გამო და ამასთან იმიტომაც, რომ შიგნით არაფითარი საღღვები მანქანა არ არის ჩატანებული, ძალიან ადვილი გასარეცხია და ადვილი გამოსანიავებელი.

ეს საღღვებელი გამოცდილი იყო ფლეიშმანისგან და აქ მოვიყვანთ ამ გამოკვლევის შედეგს:


| საღღვები მასალის მდგომარეობა. | მასალის ტემპერატურა ღღვების დანების დროს. | საღღვები მასალის რაოდენობა კილოგრამით. | ღღვების სანი. | რამდენჯერ იყო შეჯერებული თითო წუთში. | ერბოს რაოდენობა %. | | ერბოს მოგროვების სისრულე. |
|----------------------------------|---|--|---------------|--------------------------------------|--------------------|-------|---------------------------|
| | | | | | ნაღებში. | დოში. | |
| 1) დამყავებული ნაღები. | 17° | 10 კილო | 30 | 43 | 14,003 | 0,221 | 96,91 |
| | 17° | 20 — | 36 | 43 | — | 0,324 | 98,09 |
| | 17° | 30 — | 55 | 41 | — | 0,273 | 98,38 |
| 2) მტკნარი ნაღები. | 16° | 20 — | 40 | 42 | 14,003 | 0,373 | 94,04 |
| | 16° | 10 — | 27 | 44 | 13,178 | 0,981 | 93,04 |
| | 16° | 20 — | 33 | 44 | — | 1,076 | 93,46 |
| | 16° | 30 — | 40 | 42 | — | 1,159 | 92,94 |
| 3) მტკნარი ნაღები. | 15° | 10 — | 37 | 44 | 13,178 | 0,476 | 97,05 |
| | 15° | 20 — | 45 | 44 | — | 0,592 | 96,37 |
| | 15° | 30 — | 65 | 42 | — | 0,734 | 95,56 |

როგორც ამ გამოკვლევებიდან სჩანს, რამდენადაც ბევრია შესაძლებელი მასალა, იმდენად ბევრი დრო უნდება დღევას. დამუშავებული ნაღები 17°-ზე და 42 შენჯღრევით თითო წუთში იღლებება 40 წუთის განმავლობაში; რამდენადაც გავსებულია სადღებელი (როცა ნაღები მუშავა) და რამდენადაც დიდი ხნით იღლებება, იმდენად კარგია გამოსავალი. ერბოს მოგროვების სისრულე სრულიად საკმარისია; მტკნარი ნაღები უფრო ცოტა ერბოს იძლევა, ვინემ დამუშავებული და თუ დღეების ტემპერატურა დაბალია, მაშინ მტკნარი ნაღების გამოსავალიც კარგია, მაგალითებრ 15°-ზე.

ამგვარად ამერიკული სადღებელი და ამასთან ჩვენიც ძალიან უბრალოა და კარგი სახმარებელი; ადვილი გასასუფთავებელია და არც ფასი აქვს დიდი; პატარა ტანისა, რომელშიაც 14 ლიტრი ნაღების შემუშავება შეიძლება, ღირს 15 მანეთი და დიდი (70 ლიტრის შესამუშავებლად) 35 მანეთზე ძვირი არ არის.

ლაგალის ცენტრიფუგა. ამ ბოლოს ხანში ცდილობენ, რომ ნაღების მოგროვება, მოხდა და მისი შედღეება ერთად შეაკავშირონ და ერთსა და იმავე ჭურჭელში და ერთსა და იმავე დროს მოახდინონ. ამისათვის მოგონილია რამდენიმე მანქანა, მაგრამ მათ შორის ყურადღების ღირსია მხოლოდ ლაგალის ცენტრიფუგა-სადღებელი, რომელიც გარეგანი შეხედულობით ჰგავს იმავე სწავლულის სეპარატორს და რომელსაც მიკეთებული აქვს ერთი პატარა საცივებელი (C) (სურათი 42) და სადღებელი (D). სეპარატორიდან გამოსული ნაღები ესმხმება საცივებლის თევზებზე, ჩამოდის ძირამდინ და აქ აუზში გროვდება. ამ აუზიდან გადადის სადღებელში, რომელიც შესდგება ორკეც-გვერდებიანი ცილინდრიდან. ამ სადღებელში მომართულია სათქვეფი მანქანა, რომელიც სეპარატორის ღერძის ტრიალით ტრიალობს და ისეა მოწყობილი, რომ როცა სეპარატორის ღერძი 7000 ჯერ შემოტრიალდება წუთში, მაშინ სათქვეფი მანქანა დატრიალდება მხოლოდ 3300 ჯერ. ამ სათქვეფი მანქანის ზედმოქმედებით ცილინდრში გატარებული

ნაღები იღვებება, ერბო გროვდება და ეს ერბო და მასთან
ლოც ერთად გამოდის ცილინდრის წინაპირიდან და ჩადის



სურათი 12.

ლავალის ცენტრიფუგი და სადღვებელი, ერთად შეერთებული.

იქ მიდგმულ ჭურჭელში. ამ სეპარატორის და სადღვებლის შუა
საცივებელი იმიტომ არის მომართული, რომ გამოსული ნაღე-
ბი გაცივოს, რადგანაც, როგორც უკვე ვიცით, ნაღებ-მოსა-
გროვებელი ტემპერატურა დიდად განირჩევა და გადამატებუ-
ლია სადღვებ ტემპერატურაზე, და ამისათვის სეპარატორიდან
გამოსული ნაღები გაცივებას მოითხოვს. საცივებელი ისეა მო-
წყობილი, რომ იმის თევზებში ძირიდან შედის ცივი წყალი და
ზემოთა თევზიდან ამოდის. აქედან ეს წყალი მილის შემწეო-
ბით გატარებულია სადღვებლის ორკეც გვერდებ შორის, რომ
აქაც გაცივოს სადღვებელში ჩასული ნაღები; ცილინდრის
გვერდებ შორის გატარებული წყალი გამოდის ონკანის შემ-
წეობით და რამე ჭურჭელში და ან სხვაგან ესხმება. გაცივება
ისე უნდა შეიზომოს, რომ სადღვებელში ჩამოსულ ნაღებს

10—12° ჰქონდეს და სადღევბლიდან გამოსულ ერბოს და დოს არა უმეტეს 15—16°-ისა.

რაც ამ მანქანის ხმარებას შეეხება, ამ მხრით მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მისი ხმარება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ერბოს ანუ კარაქს მტკნარი ნაღებიდან ამზადებენ. მისა ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ამაში ერთად არის შეკავშირებული და შეერთებული ნაღების მოსახდელი და სადღევბი მანქანები და ამით საქმე უფრო ადვილდება, დრო და ჯაფა მცირდება. აქ ერთ კაცს შეუძლიან ყური უვდოს ნაღების მოხდასაც და მასთან ერბოს მოგროვებასაც. ჯერ ეს აპარატი გავრცელებული არ არის და ამისათვის მის მოქმედებაზე ბევრის თქმა არ შეგვიძლიან. მისი ფასი სხვა ცენტრიაფუგებთან შედარებით დიდი არ არის, 150 მანეთს არ გადაემეტება. თუმცა ერბოს მოგროვების პირობებზე და დღევბაზე ჩვენ წინედ ბევრი ვილაპარაკეთ, მაგრამ ნამეტანად არ მიგვაჩნია აქ კიდევ მოკლედ გავიმეორათ:

ახალი, ჯერ უხმარებელი სადღევბელი სამუშაოდ ასე უნდა მომზადდეს: სადღევბელში ჩაასხამენ ცხელ მარილ-წყალს და 12 საათს ასე გაუშვებენ; ამის შემდეგ ამას კიდევ გაიმეორებენ ახალი მარილ-წყალით და როცა ამასაც გამოუშვებენ, მაშინ კარგად გარეცხენ ჯერ ცხელი წყალით, და შემდეგ ცივით და ამას იმდენჯერ გაიმეორებენ, მანამ ნარეცხ წყალს სრულიად აღარ ეტყობა ხის გემო და სუნი. ამგვარი მომზადება იმიტომ არის საჭირო, რომ ერბოს არ გადაეცეს ეს სუნი და გემო. სადღევბი მასალა სადღევბელში ჩასხმის წინედ კარგად უნდა აიროს და ამის შემდეგ შეიტყობენ მის ტემპერატურას და, თუ საჭიროა, ან გააცივებენ და ან გააბობობენ; როგორც წინადაც ვსთქვით, შესაფერი სადღევბი ტემპერატურა შემდეგია:

| | |
|------------------------------|---------|
| მტკნარი ნაღებისთვის | 10—12° |
| კოტად დამყავებულ ნაღებისთვის | 14—15° |
| მყავე ნაღებისთვის | 17—18°. |
| მტკნარი რძისთვის | 8—10° |
| დამყავებული რძისთვის. | 18—20° |

ზაფხულში სადღევბი მასალა ერთი-ორი გრადუსით უფრო ცივი უნდა იყოს, ვინემ ზამთარში, რადგანაც ამ გარემოებაში ეს მასალა უფრო თბება დღევბის დროს და ამის გამო ერბო დაფშხალული და მჩატე გამოდის. დაბალ ტემპერატურაზე დღევბის გათავება გვიანდება და ერბოს გამოსავალიც მცირდება. ამისათვის დიდი ყურადღებაა საჭირო, რომ დღევბის დროს სადღევბი მასალის ტემპერატურამ არ აიწ-დაიწიოს; უამისოდ ძალიან დაიკლებს როგორც ღირსება, ისე რაოდენობა მოგროვილი ერბოსი და ამასთან ორივე შემთხვევაში მუშაობაც გაძნელებული იქნება.

სადღევბი მასალის გაცივება, როგორც ნათქვამი იყო, სხვადასხვა გვარად შეიძლება: ან საცივებელში გაატარებენ, ან ნადლებით სავსე თუნუქის ჭურჭელს ცივს ან ყინულიან წყალში ჩასდგამენ. ოჯახობაში ხშირად ნაღებს ან მაწონს აცივებენ ან ცივი წყალის მიმატებით, ან ყინულის ჩაყრით, მაგრამ არცერთი სარჩევი არ არის; ამით მომზადებულ ერბოს გემოც წაუხდება და გამძლეობაც შეუმცირდება. თუ სადღევბი მასალის გათბობა არის საჭირო, მაშინ ან სათბობ ჭურჭელში გაატარებენ და ან თუნუქის ჭურჭელში ჩასხმულს თბილ წყალში ჩასდგამენ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გასათბობი წყალი ძალიან ცხელი არ უნდა იყოს, რადგანაც სადღევბი მასალა ჭურჭლის გვერდების ახლოს ძალიან გაცხელდება და ერბო ნადულის გემოს მოიპოვებს.

ამასთან ისიც სასურველია, რომ სადღევბი ადგილის ტემპერატურა დაახლოვებული იყოს სადღევბი მასალის ტემპერატურაზე; უამისოდ გარეგან ტემპერატურას შეუძლიან ცუდად იმოქმედოს დღევბაზე და განსაკუთრებით მაშინ, როცა სადღევბელი რამე ლითონისაა; ტემპერატურის განსხვავება ზაფხულში უფრო დიდ ზარალს იძლევა. დღევბის დროს ტემპერატურის ცვლილება ცუდად მოქმედობს როგორც ერბოს გამოსავალზე, ისე თითონ იმის ღირსებაზე. აქ ცუდი არ იქნება მოვიგონოთ, რომ დღევბის დროს სადღევბი მასალა თვითონაც

თბება მექანიური შენჯღრევის ძალით და მისი ტემპერატურა მატულობს ორი სამი გრადუსით.

დღევნაზე ცოტაოდენი ზედგავლენა აქვს აგრედვე სადღვებლის მოძრაობას, და ამისათვის საჭიროა, რომ მთელი დღეების დრო ეს მოძრაობა ერთგვარი იყოს; არც აჩქარდეს და არც შესუსტდეს დროგამოშვებით. სადღვების მოძრაობის აჩქარება ანუ შესუსტება დღვების დროს ძალიან ცუდად მოქმედობს ერბოს გამოსავალზე და აგვიანებს მის მოგროვებას. მართალია, აჩქარებული მოძრაობით ერბო მალე გროვდება, მაგრამ მაშინ ეს ერბო ძალიან ჩვილია, რბილი. სადღვებლის მოძრაობის აჩქარება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ცივ მასალას სდღვებენ, განსაკუთრებით ზამთარში. ზაფხულში კი, როდესაც მასალა მალე თბება და ამის გამო ერბოც მალე გროვდება, სადღვებლის მოძრაობა შემცირებული უნდა იყოს; უამისოდ ერბო ჩვილი იქნება და შემდეგი მისი შემუშავება გაძნელდება.

რაც შეეხება დღვების ხანას, ეს, რასაკვირველია, სხვადასხვა უნდა იყოს სხვა-და-სხვა სადღვებლის ხმარების დროს და სხვა-და-სხვა სადღვები მასალისთვის. ამის მიუხედავად, თუ დღვების სხვა პირობები ნორმალური არიან და მუშაობაც კანონიერად მიმდინარეობს, მაშინ ყველა სადღვებლისთვის საკმარისი იქნება 30 - 45 წუთი; თუ ამაზე მალე მოგროვდა ერბო, მაშინ გამოსავალი კარგი არ იქნება და თუ ძალიან დაგვიანდა, მაშინ ერბოს ღირსება შემცირდება.

აქედან ცხადია, რომ ზოგიერთი სადღვებლების ქება, რომლებიც ძალიან მალე აგროვებენ ერბოს, გაზვიადებულია და ისინი ღირსნი არ არიან ყურადღებისა. არც ის არის ცუდი ვიცოდეთ, რომ ეგრედწოდებული სხვა-და-სხვა წამლები დღვების ასაჩქარებლად სრული მოტყუებაა და ამისთვის არც ისინი არიან ღირსნი ყურადღებისა.

აი, საზოგადოდ, რა გარემოებაში და რა პირობებში უნდა იყოს მოხდენილი დღვება: როცა სადღვები მასალა ჩაასხეს სადღვებელში და პირი კარგად დაუცვეს ამ უკანასკნელს, მაშინ

დაიწყებენ მუშაობას ძალიან წყნარად და ნახევარი წუთის შემდეგ სადღვებელს პირს ახლიან, რომ ჰაერი ამოვიდეს. ყოველ სადღვებ მასალაში, მეტადრე თუ ეს მასალა ცოტად დამუყავებულია, ბევრი ლაზებია გახსნილი, მაგ. ნახშირის სიმყავე და შენჯღრევის დროს ეს ლაზები ეცლებიან; ამისგანაო სადღვებელში ჰაერის ზედაწოლა მატულობს და, რასაკვირველია, საჭიროა მათი გამოშვება. ამის შემდეგ მუშაობას დაიწყებენ ჩვეულებრივის და საჭირო სიჩქარით და ორი წუთის შემდეგ სადღვებელს კიდევ ახლიან პირს. ახლა კი მუშაობას შეუწყვეტელად გააგრძელებენ, ვინემ მიჩვეული ყური არ შენიშნავს ერთგვარ რახუნს, რომელიც გამოწვეულია მოგროვილი ერბოს გროვების სადღვებლის გვერდებზე დაცემით, ძგერებით. თუ გოლშტინიური სადღვებელია ხმარებული, მაშინ ჩვეულებრივ არ იცდიან, რომ ერბოს გროვები ძალიან გადიდდნენ; საკმარისია, თუ მათი ტანი უდრის ბოლოკის თესლს. რგორც ვიცით, დღვების დროს ერბო კარგა ხანს არა სჩანს და შემდეგ ერთბაშად გამოჩნდება წვრილმანი გროვები, რომლებიც ძლივს სჩანან თვალით. ასე გამოჩენილი გროვები ძალიან მალე იზრდებიან და ბოლოკის თესლის ტოლები ხდებიან და ბოლოს მუხუდოს ტოლებიც. დღვება თუ ძალიან ადრეა შეწყვეტილი, მაშინ მთელი ერბო არ იქნება მოგროვილი და ამის წინააღმდეგ, თუ დღვება დიდ ხანს გაგრძელდა, ერბო დარბილება და იგლისება.

რალა თქმა უნდა, რომ ერბოს მომზადებისთვის საჭიროა მუდმივი და მკაცრი სისუფთავე. ამ მხრით ყოველგვარი დაუდევრობა ზიანს მისცემს ერბოს ღირსებას და მის გამძლეობას. აქ მარტო უბრალო გარეცხა არ არის საკმარისი როგორც სადღვებლისა და ისე ყველა იმ ჭურჭლისა, რომელშიაც კარაქი არის შენახული; ამ მხრით განსაკუთრებით ყურადღებას თხოულობს ხის ჭურჭელი; საჭიროა ჭურჭელს გამოეცალოს ყოველი ფორებიდან შიგ დაბუდებული დო; უამისოდ ეს დო დამუყავდება და შემდეგ ერბოს და ნაღებს წაახდენს. ამგვარი ჭურჭლის გასარეცხად მიუცილებლად საჭიროა ნატრის ტუტი

(რომელიც ყოველ აფუექის მაღაზიაში იყიდება) და თუ ეს ძნელი საშოვნია, მაშინ ნაცრის ტუტი უნდა იხმარონ და ან სოდა. ნატრისა თუ ნაცრის ტუტს ცხელ წყალში გახსნიან და ცხელსავე ჩაასხმენ გასაწმენდ ქურჭლებში და რამდენიმე წუთით კარგად შეანჯღრევენ. თუ სადღვებელია გასარეცხი, მაშინ კარგი იქნება შიგ ჩასხმული ტუტის ხსნილი კარგა ხნით სდღვიბონ, არა ნაკლებ 15 წუთისა. ტუტის გადასხმის შემდეგ ქურჭელი ჯერ ცხელი, მდულარე წყალით უნდა გაირეცხოს და შემდეგ ცივით, ვინემ სრულიად არ გასუფთავდება. არა მარტო ხის ქურჭელი, არამედ ლითონის ქურჭელიც უნდა დროგამოშვებით გაირეცხოს ტუტით, რომ ქურჭელს გამოეცალოს მის კუნჭულებში დარჩენილი დო ანუ ერბო. თუ სახლობაში ისეა მიღებული, რომ ქურჭელს ხმარების უმაღვე რეცხენ ცხელი წყალით, მაშინ საკმარისი იქნება ტუტით კვირაში ერთხელ გაირეცხოს.

ხშირად მოხდება, რომ დღვების დროს ერბო არა გროვდება, რაც უნდა დიდი ხნით იდღვიბოს. ამის მიზეზი ხან ის არის, რომ სადღვებელი ძალიან არის გავსებული და ხან კი ეს ნაღების ანუ რძის ნაკლულეევანებაა. ჩვენ უკვე ხშირად გვქონდა ლაპარაკი სადღვებელი როგორადაც უნდა იყოს შევსებული და რაც შეეხება ნაღების ნაკლულეევანებას, ამის გასწორება ძნელი-ღაა. ამას გარდა, ხან ისიც მოხდება, რომ დღვების დროს სადღვები მასალა ძალიან ჭაფდება, სუნი უნდება და ერბო არა გროვდება. ამის მიზეზი შეიძლება სხვა-და-სხვა იყოს: ან სადღვებლის და საზოგადოდ ყოველი სახმარებელი ქურჭლის უწმინდურება, ან სადღვები მასალის დიდი ხნით შენახვა და, უკანასკნელ, ან თვითონ რძის უსუფთაობა. ამ გარემოებაში მიზეზი უეჭველად უნდა იყოს ნაპოვნი და აცილებული. თუ ამის მიზეზი სადღვები მასალის ძალიან დამყავებაა, მაშინ ამისი გასწორება შეიძლება. ამ მასალას მიუმატებენ იმდენ ნატრის ტუტს ან სოდას, რომ მყავე გემო დაეკარგოს და ამის შემდეგ ისევ დაიწყებენ დღვებას. დიდ ხან მწველელი ძროხის დამწარებული რძის ნაღებიც ძნელად იდღვიბება და ამის სა-

შველი საშუალება ჯერ ნაპოვნია არ არის. ამის გამო ეს რძე არ უნდა იყოს შერეული ერბოს მოსამზადებელი მასალისთვის. რაც შეეხება ჭურჭლის უსუფთაობისაგან გამოწვეულს დაბრკოლებას, აქაც ხშირად ნატრის ტუტის ხმარება რგებს, თუმცა კი მომზადებულ ერბოს კარგი ღირსება არა აქვს და ამისთვის ეს უეჭველად უნდა იყოს აცილებული.

ჩვენ უკვე ხშირად გვქონდა ლაპარაკი იმაზე, თუ სადღევები მასალა როგორ უნდა იყოს მომზადებული და ან რა მდგომარეობაში უნდა იყოს; ამისათვის ეხლა ამაზე აღარას ვიტყვით. საქირაო მხოლოდ ორიოდ სიტყვით გავარჩიოთ ჩვენებური ერბოს მოსამზადებელი საშუალება, შედეგებული და დამუშავებული მაწვნის დღეება: დამუშავებული რძიდან ერბოს მომზადებას დიდი უპირატესობა აქვს სხვა საშუალებაზე და იმიტომ რომ უფრო უბრალო და მარტივია; ამით მუშაობა და ხარჯი უფრო შემოკლებულია და ერბოს გამოსავალიც ძალიან კარგია. ამის წინააღმდეგად ის მოჰყავთ, რომ აქედან მომზადებული დო ძალიან მუშავა და ყველის მოსამზადებლად არ ვარგა. ეს მართალია, მაგრამ ჩვენი ხალხი დიდი ხანია მიჩვეულია ამ გვარი დოდან დომხალის მომზადებას, რომელიც, თუ გარგად არის. შენახული, კარგი და ნოყიერი საქმელია.

სამწუხაროდ, ჩვენში რძე მარტო დამუშავებული კი არ არის, არამედ შედეგებულია და ეს გარემოება ბევრად ვნებს ერბოს მოგროვებას. შედეგებულ რძეში ხაჭო ძალიან გამაგრებულია და შიგ-მოყოლილი ერბო ძალიან ძნელად ეცლება, თითქმის ერთი მესამედი შიგვე რჩება, რაც ძალიან ამცირებს ერბოს გამოსავალს. ამას გარდა ამ საშუალების მეორე ნაკლულევაება ის არის, რომ დიდრონი სადღეებელი უნდება და ამისგან დიდ ჯაფსაც თხოულობს, თითქმის ორჯელ-სამჯერ მეტს, ვინემ ნაღების დღეება. ამას ისიც დაუშავთ, რომ ჩვენში, სამწუხაროდ, ძალიან ამუშავებენ მაწონს და ამის გამო გამოსავალი უფრო ძალიან მცირდება და ხშირად სრულიადაც არ გროვდება ერბო და ან დიდი ხნის დღეებას თხოულობს. ჩვენ წინად უკვე ვუჩვენეთ, თუ როგორ უნდა იყოს დამუშავებუ-

ლი შესაძლებელია რძე, რომ კარგი გამოსავალიც ჰქონდეს და მოგროვილი ერბოც კარგი იყოს. თუ მაინც და მაინც მაწონი უნდა შეიღვიბოს, მაშინ კარგი იქნება ასე მოვიქცეთ: შედედებული მაწონი 24—36 საათზე მეტი არ უნდა იყოს შენახული და დღეების დროს სადღეებელი სიჩქარით არ უნდა მუშაობდეს; შესაძლებელია მაწონს სითბო მხოლოდ ერთი ან ორი გრადუსით მეტი უნდა ჰქონდეს დამყავებული ნაღების ტემპერატურაზე. ცენტრიფუგების შემოღების შემდეგ ამ საშუალებამაც სრულიად დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა.

კ. ჰეტრააშვილი

(შემდეგი იქნება)



მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან

(მასალა)

I

§ 1.

ყველა ენები კავკასიისა განიყოფება ორ დიდ რიგად: პირველ რიგს წარმოადგენენ ენები ჩრდილოეთ-კავკასიისა და მეორეს—ენები სამხრეთ-კავკასიისა. ეს უკანასკნელი რიგი ანუ „ივერიული ჯგუფი“ კავკასიის ენებისა შეიცავს ენებს ზოგადის ქართულის გვანისას, რომელიც შესდგება შემდეგის დიალექტებისაგან: 1, საკუთრივ ქართულისა, 2, მეგრულისა, 3, ლაზურისა და 4, სვანურისაგან. ყველა ამ ენებს ან, უკეთა ვსთქვათ, დიალექტებს ერთსა და იმავე ძირ-ენისას აქვსთ ძლიერ ახლო და მჭიდრო ნათესაობა ურთიერთ შორის. მხოლოდ სვანური ცოტათი უფრო განირჩევა სხვებისაგან; მაგრამ ისიც იმდენად არა, რომ მისი ნათესაობა ქართულ გვარ ენებთან, როგორც სიტყვებისა და სიტყვის ფესვების, ისე გრამმატიკულ ფორმების მიხედვითა არა თუ ენის-მეცნიერთათვის, არამედ ყველა დამკვირვებელ ქართველთათვისაც აშკარა არ იყოს. რაც შეეხება მეგრულსა, ეს ღვიძლი ძმა ქართულის ენისა, რომელსაც იგი არა „ძლიერ წააგავს“, არამედ რომელთან თითქმის „იგივეობს“, თუ კი ქართულის ქვეშ ვიგულისხმებთ არა იმერულს, ქართლურს, გურულს, რაჭულს, მთიულს და სხვ. ცალ-ცალკე, არამედ—სრულიად საერთო ქართულს ძველის მწიგნობრულითურთ აღებულსა.

მეგრულს დიალექტს შეეხო ჯერ კიდევ გიულდენშტეტიდან და კლპროტიდან დამოკიდებული ბევრი ენისა და ისტორიის მკვლევარი ევროპის მეცნიერი. მათში ყველაზე უფრო შესანიშნავია პირველ-ხარისხოვანი ფილოლოგი გ. როზენი*). მაგრამ უფრო დაწვრილებით და სრულიად გამოკვლევა მეგრულის ენისა და განსაკუთრებით მისი ფონეტიკისა ეკუთნის ჩვენს თანამემამულეს, პატივც. პროფესორს ა. ცაგარელს. თავის ორ რვეულად (ВЫПУСКЪ-ად) გამოცულ „სამეგრულო ეტიუდებიდან“ პირველში ავტორს მოქცეული აქვს მეგრული ტექსტი, რომელიც შესდგება ხალხური ზღაპრებისა, სიმღერებისა და ანდაზებ-გამოცანებისაგან. თავის ეტიუდების მეორე რვეულში (ВЫПУСКЪ) ავტორი იკვლევს მეგრულის ენის ფონეტიკასა. სამართალი მოითხოვს ითქვას, რომ პატივცემულს ა. ცაგარელს ეს საგანი (ფონეტიკა მეგრულისა) საკმაო სრულიად, მართლად და დაწვრილებით აქვს გამოკვლეული. მაგრამ იგივე ქეშმარიტება გვათქმევინებს, რომ ეს გარემოება არ მიეწერება მარტო ფილოლოგიურს ნიჭსა და გამჭირახობას პრ. ცაგარლისას, არამედ იმსაც—რომ იგი ქართველია და ქართველისაგან მეგრულის დიალექტის კვლევა იმდენს დროსა და შრომას არ თხოულობს, რამდენსაც ევროპელთაგან. განსვენებული ბარონი უსლარი ჯერ სვანურზე თუ ამბობს, „ბევრი რამ, რაიცა ჩვენ უცხო და საოცარ რამედ გვეჩვენება სვანურში, სულ სადა და ჩვეულებრივ მოვლენად უნდა წარმოუგეს ქართველსაო“²⁾, მით უმეტს ესევე უნდა ითქვას მეგრულის შესახებაც.

თუმცა ეს ასე არის, მაგრამ თვით ა. ცაგარელსაც, რომელიც არა ერთხელ უსწორებს შეცდომებს თავის წინა-მედროეთა, თვითიანაც შეჰპარვია აქა-იქ შეცდომები, უფრო მაგალითებად მოყვანილს სიტყვებსა და ფორმებში, თუ მათს მნიშვ-

*) ნახ. Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische von Dr. Georg Rosen.

²⁾ Этнография Кавказа. Абхазский языкъ. В. П. К. Услара. Тиф. 1887 г. 106 стр.

ნელობებში. ჩვენ ამ სტატიაში მიზნადა გვაქვს: ვაჩვენოთ ეს უნებლოეთნი შეცდომანი, აქა-იქ შეპარულნი პ. ა. ცაგარლის შრომაში და მის მიერ აღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენათა (რომლებსაც აქა-იქ ახლებითაც შევავსებთ, ანა-და ახალის მაგალითებითა ვამოწმებთ) საფუძვლით მოვიყვანოთ ცოტა გრამატიკული და უფრო მეტი ლექსიკური მასალა, რომლისაგან მკითხველს უფრო ცხადად შეეძლება განსაჯოს, თუ რამდენად ეს ორი დიალექტი (კილო): ქართული და მეგრული ახლო დგანან ერთმანერთთან, ანუ, სხვა სიტყვებითა, შეეძლება განსაჯოს ხარისხი მეგრულის ენის ნათესაობრივის დამოკიდებულებისა ქართულთან.

§ 2.

პ. ალ. ცაგარელი მეგრულის სხვა-და-სხვა ბგერათა გამო-სახატად (აღსანიშნავად) ხმარობს სრულიად ქართულს ანბანს, რომელსაც უმატებს კიდევ სამს შემდეგს ასოს: ყ (Г); ჯ (Ж) და ო (Ї). ამ სამ ასოთაგან პირველი გამოხატავს იმ ბგერას, რომელსაც ასე ხშირად შეხვდებით სხვა კავკასიურ ენებშიაც. მაგალითად, ჩერქეზულში, აფხაზურში... და რომელიც უეჭველად სდგანურშიაც არის. ამის ექვივალენტი მთიულს ქართულშიაც დარჩენილა, თუ არა ვცდებით³⁾. აი რამდენიმე მაგალითი, სადაც ეს ბგერა იხმარება მეგრულში: ქეღები=ქლიბი; კენტერი=კინტრი; ვერგნი=ვირი; ქერი=ქარი. ეს ბგერა იხმარება უფრო სიტყვის შუაში უხმოებ შორის, რასაც ზემოდ მაგალითებიც გვიჩვენებენ. იხმარება სიტყვის ბოლოშიაც: თქუსე-ნი და სხვ., მაგრამ იგი მაშინ უფრო გამოსჭვირს, ამ შემთხვევაში, როცა სიტყვა ამის მეტს ხმოვანს აღარ შეიცავს, მაგალითად: გგ=გაგს; ძე=ძეგს და სხვ.⁴⁾ ამ ბგერის შემეცნებას გვაძლევს ჩვენ უხმო-

³⁾ ანტ. კათალიკოსმა საჭიროდ დაინახა ამ ბგერის გამოსახატად შემოეტანა ქართულ ანბანში ეს ახალი ასო გ, მაგალითად ბერძენი, ბერძანება. ნახ. ა. ცაგარლის „О грамматической литературы Груз. языка“, გვ. 14.

⁴⁾ „გგ“, „ძე“-ს მაკვირად მეგრულში დიალექტურად იხმარება (სენაიის მაზრაში) „გუ“, „ძუ“, მაგრამ ჩვენ ყველა კუთხის ფორმებს ყველგან ვერ გამოვეკიდებით და არც საჭიროდ მიგვაჩნია.

თა ის გამოთქმა, როგორადაც იმათ გადასცემენ მოსწავლეებს წერა-კითხვის სწავლების დროს; ბ, გ, დ, ... ძ, წ და სხვ., მაგრამ გამოთქმულნი, როგორც უხმონი, ხმოვანთა უმეწეოდ, არიან ბე, გე, დე და სხვ... საფუძვლიანად გვეუბნება ბ-ნი ა. ცაგარელი, რომ ბგერა გ, რომელსაც საკმაო ეტიმოლოგიური მნიშვნელობაცა აქვს, სამურზაყანოში, აფხაზურის სიანლოვისაგამო, უფრო ხშირად შესახვედრია; სენაკის მაზრაში კი, ვიტყვიტ ჩვენც მასთან ერთად, ძალიან იშვიათად გაიგონებს კაცი იმას. ამ ბგერის როლი, იქმნება, მეგრულში თან და თან მცირდებოდეს: იგი ან სხვა ხმოვან ასოებზე ა, ო, ი, უ გადადის, ან კი სიტყვებს სულ ეცლება და მისი მოშორება მათ არც კი დაეტყობათ ხოლმე, მაგალითად, ქაარაგად (kaaragad) ქაარაგადეს მაგივრად—ზმნის ფორმა, ცაგარლის მიერ ჩვენებული, რომელიც სულაც არ ნიშნავს: „вызвалъ на разговоръ“, არამედ—„смогъ, возмогъ сказать, говорить“. მართალია, ავტორის ორთოგრაფიით უნდა დაიწეროს: „გააკეთე—(გააკეთა), გაუკვირდე—(გაუკვირდა), მოუწკირე—(მოუჭკირა), მაგრამ ჩვენ (თუმცა მეგრული კილო დაბადებიდან ვიცით და მერე სამურზაყანული მეგრული, სადაც, როგორც ვთქვით, უფრო ვრცელი ხმარება აქვს ბგერა გ-სა) ამ სიტყვებში „დე“-ს და „თე“-ს ადგილზე ხშირად გვესმის უბრალოდ—დ და თ, როგორადაც ესენი გამოითქმება, მაგალითად, სიტყვებში რად, იმათ. ამიტომ თვითონ „სამეგრულო ეტიულების“ ავტორიც არა ყველგან თავის საჭირო აღაგას ხმარობს ამ მოხსენებულს ბგერასა, მაგალითად, უწერია კინტირი, უნდა კი იყოს კინტირი (სამურ. კენტერი, მეგრულად იხმარება აგრედვე კინტირი). მე-17 გვერდზე (γ) იგი სხვათა შორის ამბობს: „въ 1 и 2 лицахъ гл. передъ ni, когда, что, какъ, до... не является ж вм. i, а остается этотъ послѣдній звукъ: orekinî—ორეკინი, а не reky-nî (რეკე-ნი), 2 л. ед. ч. н. вр. отъ глаг. gina“. აქ თუ მივსდიეთ სამურზაყანოს და ზუგდიდის მაზრის გამოთქმას—შეცდომა არის, უნდა ითქვას: ვორეკე-ნი; ბკითხულენქენი; ვაკეთენქენი და სხვ., ესე იგი ყველგან ჩნდება გ. წარსულში (пр. несов.) კი ყველგან არის

ნამდვილი ი, ი: ვაკეთენდინი მიიშე და მიიშესა (17 გ. 7) ჩვენ ერთმანერთისაგან ვერ ვარჩევთ და ამასთან იგი არ არის: „შ ი. თ. ჩ. ნ. ვრ. ივ. იაკ. ოფ. გლგ. ულა (ვლა), არამედ შ ლი... და სხვ. წარს. დროისა (прош. вр.). მოხენი „მოხე-ნის“ მაგიერი არ არის და არც ნიშნავს (გვ. 18 ცაგ.) „не оставляет следа“, არამედ оставляет (след от ч—н.). ამავე გვერდზე ამბობს რა ყ (გ)-ს სიტყვებში ჩართვაზე, მოჰყავს მაგალითად *куду горюшки вм. куду горюшки-о* და სთარგმნის: *выучу тебя*, მაშინ როდესაც მოყვანილნი სიტყვები სულ უმნიშვნელონი არიან, ხოლო „*выучу, научу тебя*“ მეგრულად ითქმის: ქედგოფურუანქ, დილექტიურად—ქიდიგოფურუანქ.

ს, я. ეს ასოც არის ხმარებული ა. ცაგარლის მიერ. იგი ასო გამოჰხატავს ბგერას, რომელიც, მისის აზრით, გამოითქმის ყ (გ)-ზე უფრო ღბილად, სუსტად, მოკლედ და ტონითაც უფრო დაბლა. იგი, მისის აზრით, იხმარება სხვა-და-სხვა ალაგას და აქვს დიდი ეტიმოლოგიური მნიშვნელობაც. მეგრულს კილოზე მტკნარი ბგერა ლ (და ხანდისხან რ) გამოითქმის, როგორც სამართლიანად ამბობს ბ-ნი ცაგარელიც, საზოგადოდ ძრიელ რბილად და განსაკუთრებით ზოგიერთს შემთხვევაში და სენაკის მაზრის ზოგიერთს სოფელში იმდენად რბილად, რომ იგი ხმოვანის წინ შეუჩვეველ ყურისათვის ხმაურობს როგორც ს, ა, და ზოგან ნამდვილად ლ ს, ა-ზე გადადის კიდევ. მაგალითად, ერთი და იგივე სიტყვა გამოითქმის: მალაღური (ლ ძრიელ მაგრად სამურზაყანოში აფხაზურის სიახლოვეს), მალაღური (ლ ქართულზე უფრო რბილად საზოგადოდ მეგრულში), მაჟაღური; ჟური=ლური=(ქარ. ლური, ძილი) (სენაკის მაზრის ზოგიერთს ალაგებში). ამ გვარ შემთხვევის გარდა, სადაც ს-ის ნაცვლად შესაძლოა ყველგან დაისვას მისი ექვივალენტი ლ (ან რ), ჩვენ ს, ა-ს სახით გამოხატულ ბგერის განსაკუთრებულ საჭიროებას ვეღარ ვხედავთ მეგრულისათვის მაინცა და-მაინც. ასე რომ ბ-ნ ცაგარლის მიერ დაწერილი, მაგალითად, სიტყვები: დიდასჟ, მუმასჟ, თოლსჟ, ზღვასჟ, ცასჟ სწორედ ისე ისმის და გამოითქმის, როგორც უ „ა“-დ დაწერილი

ქართული იგივე სიტყვები: დედას, მამას, თვალს, ცას, ზღვას⁵⁾. ჩვენ ბგერა მ (j)-ს არსებობას მეგრულში კი არ უარ-ვყოფთ, არამედ ცოტა უფრო ნაკლებ მნიშვნელობას ვაძლევეთ იმას, ვინემ პატ. პრიფ. აღ. ცაგარელი. ჩვენის აზრით, ის კი არა, იგივე ბგერა ჯერ ეხლაც შეგვხვდება ქართულში, თუმცა უფრო იშვიათად და აფხაზურსა და ჩერქეზულში კი იმას აქვს დიდი ხმარება. ახლა გადავიდეთ „ჭ“-ზე.

პირდაპირ ექვივალენტი იმ მეგრ. ბგერისა, რომელსაც აღნიშნავს ბ-ნი აღ. ცაგარელი ასოთი ყ, სწორედ არ არის ქართულ ენაზე. ამ ბგერა „ჭ“-ის ნამდვილი ბადალი არც ერთს მეგრულის გარშემო მყოფ დიალექტებშიაც არ არის⁶⁾ და თვით მეგრულშიაც მას დიდი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა რამ არა აქვს. „ჭ“-ს ქართულში უფრო ხშირად უდრის ყ და კ. ამ ბგერას ბ-ნი ცაგარელი იკვლევს § 12-ში. ამ პარაგრაფში სამს. ალაგას მაგალითად მოყვანილი სიტყვა ყვარი უნდა იყოს ყვალი = (ყველი); მგარაყ (მე [მუ] გარაყ) მოგერევა (შესძელი მო-რევა); „მომირევე“ კი მეგრულად „მომირაყი“. ყილე უნდა იყოს კილე (დიალ. კიბე) (მკლავი). pilua, dopilua (ღ პ) მოთხრობითი ფორმაა წარსულისა და ითარგმნება: ყЫЛЪ (ГОВОРИТЬ) МЕНЯ, ხოლო ყЫВАТЬ — ყვილუა. Nopalue მხოლოდ წინა-მაველ უარყოფის სიტყვით (съ предшеств. отрицаниѣмъ) ნიშნავს не БЫЛЪ; ისე კი — БЫЛЪ; оспѣталось: „ერთი ახალი ჭაკი ცხენი ხეაღუ...“ პალუ უე — ერთი ახალი ჭაკი ცხენი მხოლოდ მოეპოებოდა თურმე.

დაჩქარებით გადავათვალიეროთ დანარჩენი ნაწილი მოხსენებულ ეტიუდების მეორე რვეულისა. აქიანი (1§, 2 გვ.)

⁵⁾ მართალია, თუ გამოვეკიდებით, აქ „სანები“ იქნება ცოტა სხვა ნიშნად წმალთობდნენ, რადგან ცნობილია, ერთი და იგივე ასო სხვა-და-სხვა გვარ წმალთობს იმის მიხედვით სიტყვის თავში ზის, შუაში, თუ ბოლოს; ან იმის კვალობაზე, თუ რომელი ბგერა წინ ან უკან მოსდევს მას... მაგრამ ამგვარ შემთხვევათათვის კერძო ასო არ გამოუგონიათ.

⁶⁾ მაგალითად, არც ჩერქეზულში, არც აფხაზურში, არც სვანურში, არც ქართულში და სხვ. — ამის მგზავსი ბგერა აქვს ოსმალურს: ეს ის ბგერაა, რომელიც ისმის ოსმ. რიცხ. სახელ „ათი“-ს თავში (ყონ).

აქაური და არა აქაურნი. მაღართე, მოღართე — ნიშნავს „წამოვიდა“ და, მაშასადამე, რუსულად ვერ გადათარგმნება *пришелъ*. ვინც წამოვა, ყველა როდი მოვა! ივოში და სხვ. (3 გ. β) აწმყო დრო კი არა, ნამყო სრული დროა. ავტორს ბევრგან მოჰყავს სახელ-ზმნად *მადრუა*, მაშინ, როდესაც ამის ნაცვლად იხმარება მეგრულში *ქადაფა*, „ძირუა“ = ქართ. „ნახაო“. აგრედვე ზმნის ფორმა: „უწუუ“ -ს (უწოდა, უთხრა) სახელ-ზმნად მიაჩნია „წუალა“ (იხ. 4 გ. 2 სტრ.), მაშინ როდესაც წუალა = წოვა = *сочать*. „უწუუ“-ს კი თავის ძირის აწმყო დრო და სახელ-ზმნა (განუსაზღვრებითი ფორმა) სულ არა აქვს. იგი წააგავს ამ მხრივ ბერძნულ ზმნას: *αορ. εἶπον, παστ. φημι*. სხვაგანაც არა ერთგან მოჰყავს „წუალა“ სახელ-ზმნად „უწუუთრავან“ (9 გ. γ) და იმავე მნიშვნელობას მიაწერს ხოლმე... მიმალუ (ან მიმალც) (4 გ.) ავტორს მიაჩნია: „3 л. II. с. вр. шельъ“. მაგრამ მიმალუ მიმღეობაა და უდრის ქართულს „მიმავალი“, მაგალითად, ჩქიმი და მიმალუ ორე = ჩემი და მიმავალი არი. ივა-ნეში-დიდა დო მუმა მიმალუ ორენა (ანუ მიმალუ [—უ]რენა) = ივანეს(ი) დედა და მამა მიმავალნი არიან. შიილებულდ⁷⁾ (9 გ. γ) არ უნდა იყოს მესამე პირი ქმნილის სრულის დროისა, რადგან 1 პ. შემილებულდუ, 2. შეგილებულდუ, 3. შეულებულდუ ნიშნავენ: შემეძლო, შეგეძლო, შეეძლო. „ნათხიირი (9 გ. γ) 3 л. прич. II. сов. врѣм.“-ო. როგორღა იქმნება პირველი, გინა მეორე პირი იმავე დროის მიმღეობისა? მიმღეობას მეგრულში, ქართულის მზგავსადვე, პირი არა აქვს. ამიტომ ითქმის: მა ნათხიირი — მე ნათხოვარი, სი ნათხიირი — შენ ნათხოვარი, ი-ნა (ანუ თინა) ნათხიირი — ის ნათხოვარი; ანუ: ჩქიმი ნათხიირი = ჩემი ნათხოვარი, სქანი ნათხიირი = შენი ნათხოვარი და სხვ. პირთა მექონე მიმღეობა კი აი, მაგალითად, რა გვარია: აფხაზურად, სარა იყა-ს-წაზ — ჩემი ნაკეთები; ვარა იყა-უ-წაზ — შენი ნაკეთები; უი იყა-ი-წაზ (იყა-ი-წაზ) მისი ნაკეთები; იყაწაზ — ნა-

⁷⁾ იქმნება აქ კორექტურული შეცდომა და „მტიულ“-ში „შიილებულდ“ სდგას „შიილებედს (შიილებედუ)-ს — (შეიძლებოდა)-ს მავიერად.

კეთები, კეთებული. იყაწაზ აუსგ=კეთებული საქმე; იყა-ს-წაზ აუსგ—ჩემი ნაკეთები საქმე... მეცხრე გვერდზე ბ-ნი ა. ცაგარელი ამბობს: „ი გამოვარდება ორისავე რიცხვის მიც. ბრუნვის და განსაზღვრული ფორმის დაბოლოებათა (ს, ქ, ნს, ნქ) წინა“-ო, (9, ძ). მხოლოობითის რიცხვის შესახებ ეს ნამდვილია, მაგრამ მრავლობითისათვის არა სრულად ქეშმარიტი. აქ მრავლობითში მიცემითს ბრუნვასა და განსაზღვრულს ფორმაში კი არა, ამ აზრით ყველა ბრუნვაშიაც გამოვარდნილი გახლავს ი: ჩიტვი, მრავლ. სახელობ. ჩიტ-ევ ი, ნათესაობ. ჩიტ-ევ-იში, მიცემ. ჩიტევს (ჩიტენს), მოქმ. ჩიტევით და სხვ. და თუ „ჩიტევს“ „ჩიტვიფს“ ის მაგიერია, მაშინ მოქმ. ჩიტვიფით „ჩიტვიფით“-ის მაგიერი ყოფილა და სხვ. ი-ნის გამოვარდნას მრავლობითში სრულიად ალაგი არა აქვს: იგი მხოლოდ ალაგს იცვლის: სიტყვის „ტემას“ მოშორდება და მრავლობითის სუფიქსის შემდეგ ალაგს დაიქერს. ჩიტ-ი, ჩიტ-ევ-ი. ამგვარად მრავლობითს მხოლოობითისაგან არჩევს სიტყვის „ტემასა“ და ხმოვან დაბოლოებებს შუა ჩართული ებ ქართ, ეფ მეგრ.; ბრუნვათა ფლექსიები ერთია მრავლობითსა და მხოლოობითს რიცხვებში. ყუჯევს „ყუჯევს“ მაგიერად იხმარებოა რომ ეთქვათ, აქ კი ი-ს გამოვარდნის მაგალითი იქმნება და ნამდვილიც. კათა (12 გვ) მრავლობითის რიცხვის ნათესაობითისა და მიცემითის „არხაიფლი“ ფორმა არ არის, არამედ სახელობითი ბრუნვა მრავლობითის რიცხვისა, ანუ უკედა ეთქვათ, მრავლობითის მნიშვნელობით და მხოლოობითის დაბოლოებით (ებლა) და ნიშნავს ЛЮДЬ, ЛЮДИ—კაცები, იხმარება „კოჩეთი“-ს მაგიერად. სახელ. კათა—კაცები, ნათეს. კათაში=კაცების, მიც. კათას (კოჩეთს)—კაცებს და სხვ. მაგალითად, თე მართალი კათა სამუთხესე სინთეს მეელენა—ეს მართალი კაცები სამუთხეს(ში) სინათლეს მოელთან. ქიგიო რინუ უკონი (12 β)—БЫЛЬНЫ поставлень, находился бы (если), და არა „чтобы найти“. ვარდუო (12 გვ. ε) ნიშნავს: „не было-ли?“ და არა „иметь-ли“. ჯორო (12 გვ.)=ჯორად და არა—„верхомъ, на мулъ“. „ჩილო“ (12 გვ.) თარგმნის: съ женою, женатый, მაშინ როდესაც

იგი პირველის სიტყვის მსგავსად უღრის ქართ. ცოლად, *въ жену*. მაგალითად: ის ინა (ანუ თის თინა) ჩილო ითხიინდღ—იმას ის ცოლად ითხოვდა. ოკირუუ (13 გვ.)—*для (мѣсто) привязи, чтобы привязать*; ოჯირუუ—*для лежанія (мѣсто леж.)*. წურ-წურა—ქართ. წუმწუმა—*сѣра*. „უჩუნაფუ, ურგილაფუ, უფუ-ნაფუ“—ამ სამ სიტყვების მნიშვნელობანი ერთმანერთში არეულად არიან მოყვანილნი (14 გ. 7). სიტყვა ჰამჲ-ს (21 გ. § 8) მაგიერ უნდა იყოს ჰამო—(ქართ. ამო [სა-ამო]) და არა „ჰამი“, როგორც ამავე პარაგრაფის შენიშვნაშია მოყვანილი. მეათე პარაგრაფში მოყვანილ მაგალითებითაც აგრედვე ფრთხილად უნდა ისარგებლოს კაცმან. ონჯუა (ონჯუა, 23, 2 სტრ.) მოთხრობითი ფორმა წარსულისა—(ონჯუა—გაალოო, *отвориль, гов.*) და არა გაღება. სახელზმნა გაღება (*отворять*) იქმნება გონჯამა; გოჯამა; ონჯუა (კიდევ) ნიშნავს საღამოს. თუთა (§ 14, გ. 29 „ეტიული“)=ოქტომბერი და არა გიორგობისთვე. § 14, გვ. 30 „გაგმინწყინსგ“-ის მაგიერ უნდა: „გაგმინწყის“ (გამოეწყვენ). 30 გვ. „სანთელი გეურზე (სანთელი გეურზუ)“ უნდა ითარგმნოს: სანთელი აღუგზნო (აუნთო). იქვე რამდენიმე სტრიქონის ქვემოლ: „გისხუნუ⁸⁾... у тебя есть“-ო, ვერ გამიგია. 32 გვ. (d, f): „ჯა კიმე თხე—*вырвалъ оканчательно дерево*, ქღღ-გურუანქ⁹⁾—*скажу тебѣ*“, უაზრონი არიან. 34 გვ. § 16: ლურუა, ლუმუ, უნდა იყოს: ლურა, ლუმა. ტორონსჲ (36 გვ. 1 სტრ.) ნიშნავს მტკედს და არა მტკეს. შეცდომით მოჰყავს მიცემითი ბრუნვა სიტყვისა ნტერი (მტერი), (59 გვ. § 32, რ. 39 გვ. ბოლოდან მე-5 სტრიქონი): „სქანოთ—*нами*; თქვანოთ—*вами*“-ო, ესე იგი, ეს ფორმები მიაჩნია მოქმედებითი (*instrum.*) ბრუნვად, მაშინ როდესაც ეს სიტყვები უნდა ითარგმნოს: შენად; თქვენად; ანუ უფრო შენთვის, თქვენთვის. ხოლო მოხსენებულ სიტყვების *instrumentalis* იქმნება სქანით—შენით, თქვანით—თქვენით; ჩქენით—ჩვენით. 41 გვ. „ქოფსოფი“ და „ბხვადჲ“

⁸⁾ გისხრუნუ—გირჩენია.

⁹⁾ ქღღგურუანქ—გასწავლი.

ვერ არიან ნამდვილის მნიშვნელობით მოყვანილნი. მე-34 წ-ში (61 გვ.) პირველს სტრიქონზე: „მიწ, გიწ, უწ“ — ესეთი ფორმა ჩვენ არსად არ შეგვხვდრია; ამათ ნაცვლად უნდა იყოს—მიწუტ, გიწუტ, უწუტ—(მიწოდა, გიწოდა, უწოდა, მითხრა, გითხრა, უთხრა), მერე ამ ზმნის ფორმებს, როგორც ზემოდ შევნიშნეთ, თავის ძირის განუსაზღვრებით ფორმა (სახელ-ზმნა) არა აქვს. 63 გვ. „სინჩხას“-ს მაგიერ უნდა—სინჩხე—სიცხე. 65 გვ. ჯანჯი, უნდა: ჭანჯი (ბუზი), ჭკუჯი ან ჭკუდი СОСУДЪ და არა ПЛОХОЙ.

პ. ჭარაია

(შემდეგი იქნება)

მადრი რაშაელ მარისტაში

და

მისი სალიტერატურო მოღვაწეობა

I

22 ოქტომბერი მისი და ბენიერი დღე იყო ხუენის მწერლობისა და ლიტერატურისათვის. ამ დღეს საქართველოს ერმა, დიდად აღფრთოვანებულმა, იმდენსაწყაულად 50 წლის იუბილეი თვისის მწერლობის ერთის უხუცესის და უკეთესის წარმომადგენლისა, პეტის თ. რ. ერისთავისა. მოაწია ამ სასიით უამმა, როცა კრი იმდენად მოიწიფა, იმდენად გაცნობიერდა, რომ დააფასა ღირსი დაფასებისა, პეტეი სცა მწერლობას და იმ მუშაკს, რომლის ორმა მესამედმა საცოცხლემ ისე განკლო, რომ თითქმის სულ ერის წარმატებისათვის, მისის სულისა და გონების აღორძინება-განსპეტაკებისათვის ჰსრუნაჲდა. ჩვენმა მწერლობამა და ერმა იცნეს ერთმანერთი, მისნი უკეთესნი წარმომადგენლნი დღეის ამის იქით დამოხილდნენ, ერთმანერთის სიუყარულსა და პეტეის-ცემს ჰლამიან. აი ასლა მიიღო, პეტის თქმისა მებრ, ჯერი ბუნებამ:

ბუნებამ ჯერი მიიღო,
მთამ ქედი მოიხარაო,
დუშმანი გათავებულა—
სამშობლომ გაიხარაო!

სწორედ რომ დუშმანი გათავებულა და სამშობლომ გაიხარა. ასლა ხუენს მწერლობასა და მის ღირსეულ, სიჭიკერ წარმომადგენელთა დასა უშავო-რა. ძლიერი მოსარჩლე აღმოუჩნდათ. ეს მოსარჩლე მთელი ჩვენს ქვეყანას, მთლად ერია საქართველოსი. მტერი და ორგული ლიტერატურისა; ამ ერის სულისა და გულისა, ამ ერის

ჭკუა-გონებისა, გრძნობისა და სკინიდაისის სარკესი, კელარას გა-
წყობს; ადრე თუ გვიან, ფარ-სმალს დაჭყრის და სკვიდობა-შემუ-
სვრილი, ქედ-მოსრილი გაერთსმის მის წმინდა საკურთხეულის წი-
ნაზე. ეს დიდი ნუგეშია, დიდი იმედა.

ეს ფიჭვი და ოცნება აკვიძალა 22 ოქტომბრის ბრწყინვალე დღემ,
რაფაელის იუბილეის დღესასწაულმა. მით უმეტეს გაგვიტაცა ამ
ფიჭვ-ოცნებამ, რომ თვით ჩვენს სალიტურატურო რიცხვ-მცირე
ოჯახს დიდი მზადება არა ჰქონია-რა, სააუბილეო კომატეტს დიდად
არ უზრუნვია და საამისოდ არ ცდილა მომზადებულყო თვითონაც და
მოამზადებინა ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ერი ამ ბედნიერ დღის
შესაფერად დასკედრისა და მიგებებისათვის. მაშ, ცხადია, თვით ქვე-
ყანამ იგრძნო თავისი მოკალეობა და დიდის ერთგულებითა და ერთ-
სუფლობითაც გადასადა თავისი საზოგადოებრივი ვალი.

ჰერ ისევ ორის დღის წინადავე შემოკაბუნ ტუფილისში დეპუ-
ტაციები საქართველოს სხვა-და-სხვა მხრიდან. წინა დღეს გამოუ-
ცხადნენ საიუბილეო კომიტეტს, გაიხსნეს ერთმანერთი და შესდგა
წყვი და რიგი ცერემონიისა, თანხმად წინადავე საიუბილეო კომიტეტის
მიერ შემუშავებულ პროგრამისა. ეს იყო შაბათი. მეორე დღეს, 22 ოქ-
ტომბერს, ჭაბუკეთის წმ. გიორგის ეკლესიის ეკო-გალაქანი დილითვე
გაიკრა საღვთო. 11 საათზედ იუბილარი მოხრძანდა ილიათი და
აკაკეთურთ თავ-ანდილის ეტლით ეკლესიაში, სიდა გარდასდილ-იქმნა
დეპუტაციების თანა-დასწრებით სამადლობელი პარაკლისი მისის
უსამკვდელოკობის გორის ეპისკოპოსის ალექსანდრეს მიერ ს-
მღვდელოთა კრებულთა. პარაკლისის გადასდის შემდეგ წარმო-
თქმულ იქმნა მღვდელ-მოაზრისა და არხამანდრიტის ლეონიდის მიერ
შესაფერი სიტყვები, მიმართულა იუბილარისადმი.

ამ დროს ქართულას თეატრის დაზღაზი უკვე მზადებაში იყო.
ცერემონიის გამტეებელა სცენა მოერთოთ მწვანითა და ყვავილთა კო-
ნა-გრესილებით. დეპუტაციებს თავთავისი ადგილი დაეჭირათ და
კლოდნენ იუბილარს. აი, მიხრძანდა ისიც და მომღერალთა გუნდმა
სთქვა კასური მყრული. საღვთო გაკსებულ თეატრის დაზღაზში
გაისმა გრგვინვა ტაშისა. გურულთ მომღერალმა გუნდმა სთქვა ა-
ლა შესაფერი გურული სიმღერა და კვლავ გაისმა გრავლი ტაშისა

დაბზახში. იუბილიარმა მადლობა გადაუხადა შეკრებილს საზოგადოებას და დეპუტაციებს და დაბრძანდა განტეხ მისთვის მომზადებულ საკარძელზე. გვერდით უსდნენ და მხარს უმშვენებდნენ აქეთ იქიდან აქც იგივე ილღა და აჯგე. მასლობლად იჯდა საზატიო სტუმარი, რუსთა მგოსანი კელიკო. აჯან სტენაზკედ, მის ერთს მხარეს ქართველთ დედათა და მანდილოსანთა დეპუტაციებს კვირათ ადგილი და თაიგულაგით ამშვენებდნენ სტენის არე-მარეს, სჯესებით აესებულს სსჯა დეპუტაციებით. დაიწყო ადრესებისა და ლექსების კითხვა, მილოცვა დღესასწაულისა და ძღვნობა დიდი, «უხომო, უელეი». თითოეულ მისაღმებისა და ძღვნობის შედეგ გრიალი გაჭქონდა ტაშს მრავლად შემოკრებილის ხალხისას. სამსა და ოთხს საათს გასტანს ამ დილას ასეთმა მხიარულმა დღესასწაულმა, ასეთმა ტბილის გრძობის ამშლელმა სალიტერატურო ღხინმა. იმავე საღამოზედ საიუბილო წარმოდგენა იყო დანიშნული იმავე დაბზახში და კვლავ სამს-ოთხს საათს დღესასწაულობდა საზოგადოება, ღხინობდა მისი გული. წარმოდგენის შემდეგ განიმართა ნადიმა სათეატრო საზამთრო რესტორანში; ნადიმს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, მხიარულებამ იმატა, თეთრ-წითელ კახურისა და ორატორთა მშვერ-მეტყველების მსჭეფარებამ ერთმანერთის ცილობა დაუწვეს. ტბილი ხმა სსჯა-და-სსჯა საკრავთა ახალისებდა გულს, შნოანმა და მოხდენილმა ლეკურმა დააგვირგვინა სალიტერატურო ნადიმი.

II

თ. რაფაელ ერისთავის დახასიათებას და მისის სალიტერატურო მოღვაწეობის დასურათებას საკმაოდ უძღვნეს წერილები ჩვენებურმა უურხალ-გახეთებმა, ქართულმა და რუსულმა. ეს წერილები გამოიწვია, რასაკვირველად, მსტოვანის ჰოქტის ზემო აღწერილ 50 წლის იუბილის დღესასწაულმა. არ დარჩა თითქმის არც ერთი შესამჩნევი გერმობა და გარემოება მისის ცხოვრებისა და სალიტერატურო ღვაწლ-მოხილობისა, რომელიც არ აღენიშნათ ან ზემოხსენებულ წერილების ავტორებს, ან კიდევ იმ წარმომადგენელთ

სსკა-და-სსკა სასოგადო და კერძო დაწესებულებათა, საქართველოს თემთა, ქალაქთა, სეობათა და სადმე უზნად მცხოვრებ ქართველთ კრებულთა, რომელთაც ზედ იუბილეის დღეს მიულოცეს რაფაელს დღესასწაული ადრესების წაკითხვითა. ეს ადრესებიც გამოუკლებლად დაიბეჭდა «იკონიში» და, მასმასადაძე, მკითხველს შეძლება ჭკონდა წაკითხას და მიმსჯდარიყო, რა აზრისაა ჩვენი ქვეყნის თავის საყვარელ და მისის სასარგებლო, მნიშვნელობით სახეს ღვაწლის შესახებ.

ჩვენ, ჩვენდა თავად, ჩვენს მოკალეობად მიგახნია რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ ამ ფრთად საყურადღებო საგანზედა. ის საგანზეთა წერილებიცა და ზემოხსენებულ ადრესებიც, დაწერილი დროსა და გარემოების შეფერებით, თავალ-წინ წარმოდგენილ მომავალ სადღესასწაულად ბრწყინვალე სურათის ზედ-გაკვებით და, მასმასადაძე, ნამეტნაობით გამთხარე ადფრთოვანებულს გრძნობით, რასაკვირველად, დაად საყურადღებო სალიტერატურო საბუთებია და ფრთად დირს-სასსოვარი. ჩვენ ვეცდებით, აღარ განვიძეოროთ სიტყვა-სიტყვით სსკებისაგან იქ ნათქვამი და აღენიშნეთ მსოფლოდ ის უმთავრესი გარემოებანი იუბილეარის ცხოვრებისა, რომელიც, ჩვენის აზრით, უფრო ნაოლად გვისურათებს თ. რაფაელ ერისთავს და მისს სალიტერატურო მოღვაწეობას.

III

თ. რ. ერისთავი დაიბადა 1824 წელს, ესე იგი იმ დროს, როდესაც თითქმის დასრულდა ჩვენს ღრმად შერეულს და უცრად შეცვლილ სასოგადო ცხოვრებაში დედილი და ტოკვა-ბრძოლას ორგანო უმთავრესს მიმდინარეობას შორის. ერთი ამ მიმდინარეობათაგანი წარსულისაგან იყო ზირ-მიქცეული, იქით იტკირებოდა და იქ ჭლამიდა უკვდავების მოპოვებას, სოლო მეორე ასალ წეს-წყობილებას უდიმოდა, ასალ, შეცვლილ ცხოვრებას ჭმომსრებდა და იმასა ჭრებოდა. ის მცირეოდენი ნაპერწკალი, რომელმაც, როგორც მკითხველს ეცადინება, იფეთქა 30-იან წელთა შორის*) წარსულის

*) იხ. თხზულებანი თ. გ. ერისთავისა, წინასიტყვაობა ი. მეუწინარეობისი.

სადიდებლად და გასასწავლებლად, მალე ჩაჭკრა, რაფაელის ემანუილო-
ბაშივი. ქვეყანა მიეტა ძილსა და მოსკვენებს. ხანგრძლივის ბრძოლისა
და მღელვარე ისტორიულ ცხოვრების შემდეგ, უნდა დამდგარიყო
დრო მირულებისა, მიბინარებისა, იდელების მიმერთალებისა და თი-
თქმის სრული წარსოცვისა. თავს ზეკით ძალა აღარ იყო. ყოველს
აღფრთოვანებასა და ოცნებას ისევე მალე კვვეცებოდა ფრთები, ყო-
ველს გაბრძოლებას, ძალით დათრგუნვილს, მოსდევდა უარესი და-
სუსტება და საფიზიოლოგო კანონმა, რომ დადლილს, დაქანტულს
ჟანს მოსკვენება უნდაო, თავისი გაიტანა.

იყენენ მამინაც, რასაკვირველია, თითო-ოროლანი, განსაკუთრე-
ბის ძალისა და ღონის-კაცნი, რსეულნი, სულ-მაღალნი, რომელნიც
არ ისკენებდნენ, შოთავდნენ, ჭლუჯადნენ; მაგრამ მალე იმთაც
გადიწივიტეს გულში იმედი, დასდეს ფარ-ხმალი, აღიარეს, ბრძო-
ლა ამო იქნებაო და მიეტყენ უფრო მწერლობას, დაემყარნენ მწიგ-
ნობრობას და დიდი ჟიგარი მამულის სიყვარულით აღვისილის გრძნო-
ბისა დაჭყარეს მეცნიერების შესწავლასა, სამშობლო ისტორიის შე-
მუშავებასა, წიგნების თარგმნასა და ხელ-ნაწერების მოკრება-მოგ-
როებაზედ. ასეთნი იყენენ უფრო მაღალ-სარისსოკანნი, ბატონი-
შვილნი, დიდებულნი გვარის კაცნი, სამღვდელონი და ბერ-მონა-
ზონნი. გაისსესეთ თეიმურაზ ბატონიშვილი—ეს დიდი ისტორი-
კოსი და მწიგნობარი, განსაკუთრებულის სამეცნიერო ღვაწლისა-
თვის აღწეული პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად, იოანე
ბატონიშვილი, —ეს გმირი კრწანისისა და შაშისა თვისისა ირან-
ელი II-ის მტარვალთა სელიდან გამომტაცველი, რომელიც მწერლობ-
და ატრედვე ამ დროს, დავით მეძვეიდრე, თათისთა უფროსი კრწა-
ნისის ველიკად და შემდეგ ატორი «საქართველოს ისტორიის ნარ-
კვევისა» და თვალ-წინ წარმოგიდგებათ ის დრო, როცა ლომებდ
დაბადებულნი, სულში კალმის ჭერას არ ჩეულნი, იმულებულ იქმ-
ნენ ამ მშვიდობიანს საქმეს დასდგომოდნენ. სამწუხაროდ, ამისთა-
ნანიც ამ დროს ნაკლებად იყენენ; ისე მტირედ იყენენ, რომ იმა-
თი ძალ-ღონე სამშვიდობო, საკულტურო და განათლების გავრცე-
ლების ასპარეზზედ არა რად სწახდნ თითქმის, მერე იმ დროს სა-
ყოველთაო სიბნელისასა და მოწყობლობისას, გვარი იყო ზღვა-

ში და ქვეყანას, რასაკვირველია, ვერ გამოაღვიძებდა, გონზედ ვერ მოიყვანდა.

ამ სასიით, დადგა დრო განწირულებისა, სასოწარკვეთილებისა, უსაგნო ცსოკრებისა, საყოველთაო მიძინაობისა, ჩაკერისა, იწროებისა. ჭაერი შეკრებდა, მოიძხამა; ნისლ-ბურუსმა მოიცვა მოშაბედებული ცა და აჩემარე ოდესმე გაბწყინვალეზელ ძვირფასის სამშობლო ქვეყნისა. ერთად-ერთი ღონე, ერთად-ერთი საღსარი, რომ ადამიანი სულ არ ჩამიწრულიყო საშინელ ცსოკრების მოტრეკში, სულ უკან არ ჩამოწინილიყო, გონებით ბრჯგუ და დრგუ არ დაწინილიყო, ჭირვეულს ჰურადობა-მასპინძლობას, განუწვევტელს ქეიფსა და ღზანს არ გადაჭყოლოდა სპარსულ წესზედ მომღერალ დასტებითურთ, უდაკრად არ ეჩაგრას სოფელი და გლეხ-გაცობა მწევარ-მეძებრებისა და მიმინოებისათვის, იყო სამსახური—სამოქალაქო და სამხედრო. სამსახურში, თემცა იქაც სულას შემსუთველი ჭაერი იდგა*), შედიოდნენ 30—40 წლებში ჩვენი მამა-პაპანი და, რაკი ამ სასიით იზრუნებდნენ ღუემპა-პურს, პატარა ადამიანურს ცსოკრებას, ცდილობდნენ თავისუფალი დრო შეეწირათ ქართულის მწერლობისათვის და მით მოკლათ განურკვეველი უინი, ბუნდოვანი ბუნებრივი გრძნობა მამულის სიყვარულისა. კითხულობდნენ ძველს სელ-ნაწერებს, სხდებოდნენ მდივანად და სწერდნენ ამ ნაწერებს სელ-მეორედ, რაცცა ტრადიციისა, ინერციისა მიზეზით გულას-თქმათა ჭჭონდა ზოგს გადაჭვეული უსტამბობას გამო, სთხზავდნენ ძველთა მგოსანთა კშისით ლექსებს, შინებებს, ზმიდნენ, სთარგმნიდნენ, ან სწერდნენ უმნიშვნელო შინაარსის მოთხრობა-ამბებს და აერცვლებდნენ სელნაწერებად ნაცნობთა შორის. უმნიშვნელო შინაარსისა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ თკალთა სედვის ისარი შორს კელარ სჭრიდა მამანა, ავისა და კარგის განჩევას უნარი მისუსტებული იყო, იდეალები გაუფერულეზელ-გახუნებული, სულის ძლიერება ჭედ-შემუსკრილი. ასეთს საქმესაც მისდევენ უფრო უკეთესნი, მამასადაძე, უმცირესობის წარმომადგენელნი, ისეთს ძველს ოჯახში დაბადებულ-აღზრდილნი, რომელსაც ჯერ კიდევ, თუ კარგად არა, ბუნდად მანც, ასსოვდა წარსული და სხვა და სხვა გვარი მისი გამამსწველებელი ანდრძა, მისი დიდება,

*) იხ. წერილები „მთიულეთი 1804 წელს“, ა. ფრონელისა, „მეცამე“ 1895 წ.

შუქმეუნი შარავანდედი. თუ მისინდელ თითო-ორლად დიდად ნიჭიერსა და იმ დროების შესაიკრად კარგად აღზრდილ-განსწავლულს მსედველობაში არ მივიღებთ, შეუთანხმების ახალგაზრდას, ისიც მისი უმცირესი ნაწილი, ამ გზას ადგა. უმრავლესობას კი სულ გადავიწივდა ყოველივე და აღარაფრის შეგნება აღარა ჰქონდა, აღარავითარს მოვალეობას ჰქონის წინაშე აღარა ჰგრძნობდა. მისი იდეალი და სტრუქტურა იყო ჩინ-ორდენები, სასულიწიფო «პენცია», თავის გამოჩენა მთავრობის წინაშე, ან ოთხად მოკავკა მისის შიშითა, მხეზღრობა და სულ-მდაბალი ღალატი მოძმეთა, ან და—როგორც მოვისხენეთ—ქეიფი, ღისინი, სულ-გაშლით ცსოკრება ფუფუნება-განსვენებაში, ზარ-დამცემ უსაქმურობა-მცონარეობაში*).

IV

აი, ასეთს მხე-უგელმა დროს დაიბადა და აღიზარდა ჩვენი რაჟელი. ის დრო, როცა ემაწილობის შთაბეჭდილებანი, პირველ-სახის გრძნობანი და ბუნებით თან-დაუღლილი ნიჭი უნდა ეგარჯიშებინა და განქოლიერებინა ჩვენს პოეტს, იყო დრო საშინელის გუნებრების წყვიდადისა, სულისა და სტრუქტურის მოშეება-მოჩოფოფოტებისა, გათახსირებისა. საკვირველია, ან კი როგორ შერსა შატარა რაფრის ამისთანა დროსა და გარემოებაში ორი ძვირფასი თვისება—სურვილი სწავლისა, ცოდნის შეძენისა და სიყვარული შრომისა, გარჯისა. რჯანი იყო ამის მიზეზი, თუ მისინდელი სკოლა შანსიონები, ან ორივე ერთად, ჩვენ ამის გამოკვლევაში არ შეკალთ. ვიტყვათ მხოლოდ, რომ ასეთია ბედი ჩვეულთა, ასეთია სეკდრი მადლით-მოსილთა. «არ გარდავა გარდუგალი მომავალი საქმე წენა!» ცხადი ის არის მხოლოდ, რომ, როცა ახალგაზრდა ჯაბუგმა დაამთავრა «ტიფლისის კეთილშობილთა სასწავლებელი», მისინ უტვე სრულ გომნაზიად ქცეული, და დაიწყო სამოქალაქო სამსახური, ეს ორი ზემოხსენებული თვისება სულისა, საბედნიეროდ, შერჩენილი

*) ერთს დიდს ვგარი-შვილ კაცსა და დიდის ჩინის პატრონს ჰკითხეს თურმე ამ 40-იოდე წლის წინად, რადა დგებით ადრე, როცა მთელს დღეს არას აკეთებთო და იმან უპასუხა: იმიტომ რომ დიდ-ხანს დავსტკებ არაფრის კეთებითაო.

ქონდა. მოსულეობამ უფრო განამტკიცა ეს თვისებანი მისის სანათისა და, ცოტად თუ ბეგრად, დააწინაურა სამსახურის იერარქიაში.

ამ დროს უკვე დაწიებული იყო ჩვენში ესრედ-წოდებული სანათი მთავარ-მართებლის მ. ს. კარანტოვისა. თუძვა ჯერ ისტორიას თვისი პირ-უთხელი მსჯავრი არ წარმოუთქვამს, მაგრამ, როგორც ვიცით, ეს ის სანათი, როცა სელ-ასლად ჩადგა სამიერეული ქართულის მწერლობასა და მწიგნობრობას, როცა ცოტადენი გამოფინილება დაეწყო ქალეკლთა ცხოვრებას. გაიხსენებ დრო «ცისკრის» დაარსებისა, გ. ერისთავი—ეს დამაარსებელი და მამათ-მთავარი ქართულის დრამატურგიისა და ქართულის თეატრისა, ზღ. იოსელიანი—ეს ნაყოფიერი ისტორიკოსი და არქეოლოგი, დ. უიფიანი, ნ. ბერძნისკილი, დიმი. ბაქრაძე, გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი და მათნი სულით-ნათესავ-მეგობარნი და თანამეგობარნი და დავუ-თანსმებოთ, რომ ეს ჩვენი აზრი სიმართლეს არ არის მოკლებული. კარანტოვის განათლებულმა და კაცთ-მოყვარულმა, ქართველთა თანაგრძნობით გამოხარმა ქვეყნის მართავ-გამკეობამ მტირეოდენი შუქი მიჭებინა გარემო სიბუნელსა. ერთი მკრთალი სხავი ამ შუქისა, სსკათა-შორის, ჩვენს რაფაელსაც ჩაესკენა გულში და გაანათა, გაათბო მისი ყურე-გუნჭულნი. რაფაელმა ფანჯურს მოჭკვიდა სელა და გაუბედავად ჩამოჭკრა თითები მის სიმებს...

რაფაელის პირველი ლექსი, დაბეჭდილი მის თხზულებათა კრებულში, როგორც ზედვე აწერია, მიბაძვას ძველებურ მელექსეთა. რასაკვირველია, ჯერ ამ დროს სსენებაც არის და არის არც ძლიერის გრძნობისა, არც თავისებურობისა, არც ჭკმმარტიის სამგონსო შემოქმედობისა. ია-ვარდი, სიყვარული ქალისა და ღზინისა—აი სავანი და ჭანგები მისის ზოეზიისა, ესენ სსკათა მელექსეთა გავლენითა და წაბაძვით ამოღებული ნიშანში. მხოლოდ შემდეგ, როცა ზოეტი უკვე ჭაბუგობას გადასცდა და დაკავკანდა, მისს ღირიკასაც ძალი და ღონე მიემატა, დამოუკიდებლობის ნიშანი დაედო, ჭკმმარტიის გრძნობის ბეჭედი დაეკრა.

მართალია, გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის ძლიერა, ზოეზიით სსკსე და მტკიცედ ნაჭედი, აღმასებრ წყალ-ჭავკარინანი ლექსები ამ დროს უკვე იცოდა ქართველთ რჩეულმა საზოგადოებამ,

მასასადმე, რაფაელსაც უნდა სცოდნოდა, მაგრამ რაფაელის პოეზიის ჭანგი და მოწოდება, გზა და ბუნება სსკა იყო, სოლო გრ. რბეულანისა და ნიკ. ბართაშვილის პოეზიისა კიდევ სსკა. სამგოსნო ძალი და ღონე რაფაელისა ჯერ ისეკ მიბინარებული იყო, მიძალული. გარემო ცხოვრება და მისი ავ-გარტი ჯერ არ შეჭებოდა იმ სიმებს რაფაელის ფანდურისას, რომელიც შემდეგ აუღერდა; აუღერდა მასინ, როცა დრომა და გარემობამ სელი შეუწყო. ია და კარდიც გაზაფხულს ელის, სამთარში მარწყვი არ მოიკრიფება, მინდორ-კული მწვანედ არა ბიბინებს.

სამაგეროდ, ამ ხნის განმავლობაში რაფაელი დროს არა ჭკარ-გაკს, ქართულს ენას შედ-მიწეებით ითვისებს, სამსახურის გამო საქართველოს ხან ერთს მასრასა და თემში სცხოვრობს, ხან მეორეში, აკვირდება ვეკლან მკვიდრთა ცხოვრებას, მათს ზნე-სასათსა და სვეულებას და ყოველ ამ დანაკვირებითა და ნახულ განაგონით ადიდრებს თავის ჭკუა-გონებას, აფართოებს ცოდნის ჭორიზონტს, ავარჯიშებს მსჯელობის უნარს. ამ დროს იბეჭდება მისი მრავალი წერილი საეტიმოგრაფიო შენიშვნები რუსულს გასეთეში, უფრო კი გზ. «Кавказ»-ში, 1847 წლიდან დაწყებული 1860 წლამდე და შემდეგაც.*)

V

ასეთია პირველი, საკმაოდ გრძელი ხანა რაფაელის სამგოსნო და სალიტერატურო მოღვაწეობისა, რომლის განმავლობაშიაც პოე-

*) ია, სხვათა შორის, მისი რუსული საეტიმოგრაფიო და საეტიმოლოგია-ს-ქონომიო წერილები:

ა) Свадьба у грузинъ, „Кавказ“, 1847 г., № 14.

ბ) Признаки весны, царство кукушекъ, происхождение совъ (повѣрья грузинъ), იკვ 1849 წ. № 18.

გ) Маскарадъ грузинской черни, იკვ 1849 წ. № 16.

დ) Пожарный (эскизъ), იკვ 1853 წ., № 39.

ე) Записки о Тушино-Пшаво-Хевсурахъ, იკვ 1854 წ., №№ 43, 45, 47 და სხვანი.

ვ) Письма объ Имеретин, იკვ 1857 წ., №№ 52, 53, 55, 59 და სხვ.

ზ) О крестьянскихъ сословіяхъ въ Мингрелін (моджалабы, мебергө и азаты).

ტო ეძებს თავის ჭეშმარიტს გზას და კერ კი ჭზოკებს. სცდის თავს კუხსშიანც, ღირიკაშიანც, დრამაშიანც, მაგრამ კერა და კერა, კერ მიუგონია იმ სიყურანსათვის, რომლის დასურათებასაც განურგვერდლად ჩანძასის იდუმალი სძა, კერ უზოკია ის ჭანტები, რომელიც მზა მზარეულ მასალად აწყვიტა მისის გულის სიღრმეში. თვითონაცა ჭკრძნობს ამას, მოუსვენრობს, სწყუსს, კალამს არ ანებებს თავს და არ უნდა ისე განელოს გზა თავისის ცხოკრებისა, რომ, რაც გულში აქვს, არ აღმოსთქვას.

პოეტური ქმნილება, პატარაა თუ დიდი, იგივე თესლია, რომელიც მიწის მაგიერ, აღამიანის გულში ჭღვივის და იზრდება დამთავრებად; პოეტური ნაწარმოები იგივე ნაყოფია, მხოლოდ სუფიერი, რომელსაც პოეტი მუცლით კი არა გულთ ატარებს, სან ძალიან დიდ ხანს, და ჭბადავს მასინ, როცა ნაყოფს კარგად დაუტეობა ზრდა, განვითარება, დასრულება ფორმებისა, ჭბადავს უფრო მეტის ტკივილითა; ვიდრე დედა შვილს.

რაფაელმაც დიდ ხანს ატარა გულთ ნაყოფნი თავისის სამგონსო შემოქმედობისა; ჩასასუფნი 80-იან წლებიდან, იმ სიოს მობერვით, რომელსაც სარეფორმაციო ხანა ეწოდება რუსეთში, ეს ნაყოფნი ჭღვიოდნენ, იზრდებოდნენ და იკსებოდნენ მთელის ოცის წლის განმავლობაში და დაბადნენ მარგალიტებოვით მხოლოდ 80-იან წლებში.

მანამდე, ვიდრე გლესი კაცად არ იქმნებოდა აღსაარებულა, ვიდრე საზოგადოებაში არ გაითქვიფებოდა ის აზრი, რომ მდაბოც ისეთივე აღამიანია, ისეთისავე სულისა და გრძნობის პატარონია, როგორც მღალ-ხარისსოკანი, დიდი მოხელე და ბატონი, სანამ ქვეყნა ნათლად არ გაითვალისწინებდა თეორიით და ზედ-მიწევნიით არ იგრძნობდა გულთ, რომ სამშობლოს სიყვარული ბუნებრივი და ძლიერი გრძნობაა, დედა-ენა ძვირფასი საუნჯეა, ერთვნება და მისი დაცვა აუცილებელი საქმეა იმისთვის, ვისაც არ უნდა გაჭქრეს და აღიგაგოს დედა-მიწის ზურგიდან, მანამდე შეუძლებელი იყო შექმნა იმ ხელის-ხელ საგოგმანებელის მარგალიტებისა, რომელიც ისეთის სიუსვით მოგვიძღვნა რაფაელმა 80-იან წლებში, რომლითაც ისე გვასამოგნა, უმაღლესად დაცვატებო, გვასახელა ჩვენცა და ასახელა თავისი თავიცა.

ამ დრომდე შესაძლებელი იყო შექმნილიყო «ბედი ქართლისა», «სადღეგრძელო», «იარალის», «ჩემს მერანს», მაგრამ კერ დაიბადებოდა კერც «სამშობლო სვესურისა» და კერც მრავალი სხვა ლექსი, რომელიც ასურათებს და ცოცხლად თვალწინ გვიყენებს გლეხ-კაცსა მისის ცხოვრებითა და ავ-გარვითა...

რავაულის უმთავრესი დამსახურება ის არის, რომ თავის საერო კილოზედ დაწერილს ლექსებში საოცარის კაცთ-მოყვარებით, სიყვარულითა და გულ-მტკივნეულობით ეკიდება გლეხ-კაცობას, სოფელ-მდებრივ კაცს, ცოცხლად გვიხურობს მისის სული-სა და გულის ვითარებას, მწუსარება-სისარულს და მით ჩვენც ტკავარებს ამ ბუნების შვილთ, ჩვენს გულშიც ჰბადავს სასურველს, კეთილს გრძნობას მდებრივთა მიმართ თანაგრძნობისა და პატივისცემისა.

VI

შესანიშნავია ის გარემოება, რომ, როცა რავაულის სამგოსნო ნიჭი თავის ბუნებრივ კვალში ჩასდგა, პოეტმა თავისი ხასიათის შესაფერი ჭანგები მოსძებნა და საკლებით გამოირკვა მისი სამღვთო მოწოდება და დანიშნულება, მგოსნის ჯერ კიდევ თითქმის არ სჯერა, ეჭვობს, სწორედ ეს გზა კია ჩემი გზაო? «სამშობლო სვესურისა», რომელიც არის ბრწვინვალე გვირგვინი მისის შემოქმედობისა, ხამდეილი *chef d'oeuvre*-ის მის ლექსთა შორის, დაწერილია 1881 წელს. სოლო რამდენისამე კვირისა, დღისა და, იქნება, საათის წინად პოეტს გადმოუთარგმნია პოეზიის მსრევ ფრინად მკრთალი, ღირსებას მოგვლებული ლექსი კიდაც მესამე თუ მეოთხე სარისსოკან მწერალის იურგვეინისა, სათაურით «სოფ. მელ—სას»^{*)}. ეს ლექსი თავისი კილოთიც, გარეგნობითაც, შინაარსითაც მეტად უშნო რამ არის, უმარტივო, უმი. ენაც კი, რომლის დიდი ოსტატია ჩვენი მგოსანი, ჭლალატობს მთარგმნელს, ისე რომ ეჭვობ, ნუ თუ ასეთის უსერსულის ქართულით თარგმნილი ლექსი ეგუ-

^{*)} თხზულებანი რ. ერისთავისა, ტ. I, გვ. 159.

თენის იმის, ვინც გადმოაქართულა მარტალიტიკით უსადო თუ
ენისა და თუ პოეტურის შექნება-სიტუაციის მხრით ლექსი «შეა-
დნი ვართა»). წაიკითხეთ ეს ორივე ლექსი და გაგვამტყუნეთ. ანუ
კიდევ: «სამშობლო ხეკსურისას» დაწერის სულ წამდისამე კვი-
რისა და, იქნება, დღის შემდეგაც პოეტს დაუწერია ყოველ პოეტურ
შეკენებას მოკლებული, ვალბ ფისიხლოგანსეად აკებული ორი ლექსი:
«რად შითვალწინებ» და «ღმერთო, მაშორე» (გვ. 163, 164).

«სამშობლო ხეკსურისას» მარტო იმიტომ კი არ არის დიდ-
ბული ლექსი და გვირგვინი პოეზიისა, რომ ძვირფასი გრძნობას
მამულის სიყვარულისა შიგ გამოხატული, როგორც ზოგიერთს-
ჭკონია, ანამედ მით არის შესანიშნავი, რომ ცხოველად სურათი ამ
ლექსში დასატულის ტიპიურის ხეკსურისა, ცხოველად და ყოველად
შესაფერი სიტყვა-პასუხი, ანუ ენა, საპოეზო ფერადები, სიმდი-
ლად და ტექნიკური ფისიხლოგან ამ ქართულისა, რომლისათვი-
საც ბედს ურგუნებას საღ კლდეთა შორის ცხოვრებას. ეს ლექსი
ტურფად ნაკებს, შეკნიერს პატარა ტამარას ჭკავს, სადაც ისმის
ჭება-დიდება დიდის ღმერთის, დიდებულის შემოქმედისა. დიდი
ბედნიერებას, რომ ძვირფასი იდეა ამ ლექსისა ასე ჩასწავნად და ჩა-
ჭკრებას ამ ლექსში, ასე შესწონებას თვით პოეტურს სურათის-
უიდეოდ, რასაკვირველია, შეუძლებელია პოეტური ქმნილება, მაგრამ
მარტო იდეა, რაც უნდა ძვირფასი იყოს, ჩონჩხია მსოფლოდ სოცია-
ლურული. გარდა სოციალურ-შესხმული, ცხოველი ქმნილება მაინც დიდ-
ბულია, რაც უნდა ნაკლებად დიდებული იყოს ახრი, დადებული მის
საფუძვლად. ვითომ რა დიდებულია, მაგალითად, იდეა უმადურო-
ბისა, რომელიც საფუძვლად უდევს «მეფე ლირს», ან ეჭვიანობისა
— «ოტელსს», მაგრამ ეს ქმნილებანი დიდებულია, იმიტომ რომ ამ
ყოველ-ღამე გასაგან, ეგელსთვის მობეზრებულს ახრებს ისეთი გან-
ხორციელება მისცა შექსპირის გენიოსობამ. შექსპირის წინადაც
იყო დაწერილი დრამა «მეფე ლირი», რომელსაც იგივე იდეა ჭკონ-
და საფუძვლად, მაგრამ არავის გულის კი არ ატოკებდა, არავის-
სეად არ ჭმოქმედებდა. ახლეთ თუნდა სიყვარული. ათასი და ათი-

*) იქვე, გვ. 277.

ათასი სიტყვა-კარმული ქმნილება დაწერილი ამ მაღლის გრძობას გასათვალისწინებლად, მაგრამ ბუკია მათ შორის ნატიერობითა და გენიოსობით დაწერილი? ზოგადად რომ საჭმე მართლად იყოს, თვით ზოგადად თითქმის აღარა იქნებოდა-რა. საჭმე აზრის განცხადებას, განხორციელებას; საჭმე ის არის, რომ აზრი ხორც-შესხმული იყოს ადამიანებითა.

რათაულის დიდი ძალა და მნიშვნელობა, კიმეორებით, დამყარებულა იმ მცირეოდენ ლექსებზედ, რომელიც ასურათებს და ჰსატყავს საკვირეულის სიყვარულითა, საოცრის გულთა-მხილავობით ჩვენს გლეხ-კაცობას, მის ჭირსა და გარამს, მის დარდას და მწუხარებას, მის სიამოვნება-სინაზულს და უოკელ-დღიურს ცხოვრებას. რათაული განსაკუთრებით გლეხ-კაცობის ჰოტია, ბუნების მხატვარია, მისის მწუხარება-სინაზულის მუხატია. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, რაც ვსთქვით. ეს კიდევ ვერ საესებთა და სისრულით ვერა ჰსატყავს იმ ღირსებას, რომელიც აქვს რათაულის ჰოგადას. მხატვრობაც არის და მხატვრობაცა. ზოგმა შეიძლება თავისი დღეი სულ გლეხ-კაცობის შესახება სწეროს ლექსები, მაგრამ ჰოტის სახელიც არ დაიმსახუროს, არა თუ გლეხ-კაცობის ჰოტისა. ზოგმა რათაულის ჩანგი ნეკრასოვისას შეადარა, მაგრამ ეს შეცდომა გვგონია. ნეკრასოვია მგოსანი დარდასა და მწუხარებისა და არა გლეხ-კაცობისა. დაიღ, ნეკრასოვიც დაჰმღერს—უფრო მწუხარებით—გლეხ-კაცის მწარე სუდრისა და ბედს, მაგრამ მისი მღერა, მისის ჩანგის სიმთა ხმა უძეტეს შემთხვევაში თვით გლეხ-კაცის გულიდან როდი ამოდის, როგორც ან რათაულის ლექსებში ვსტავთ, ან კალტოვისაში,—ამ მართლად რუსეთის «მუჟიკობის» ჭეშმარიტის მგოსანის ნაწერებში. არა. ისა სწუხს და დარდას იმისათვის, რაც, მისის აზრით, არის ღირსი მწუხარებისა გლეხ-კაცის ცხოვრებაში. საერთო მგოსანმა ისეთს კილოზედ უნდა აუღეროს ჩანგი, რომ სრული ილლიუზია დაჰბადოს, რომ ჩვენ, მოტყუებულები, თითქო დაბრმავებულები, კვლარც კი ვსტავდეთ თვით მგოსანს, არამედ ჩვენ თვალ-წინ იდგეს მართლად ტიპიური წარმომადგენელი ერის უმრავლესობისა, მართლად ის, კინცა სწუხს, ანუ ჰსარობს. იქნება ვსტავდებოდეთ, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ასეთს ილლიუზიამდე ნეკრასოვი მხოლოდ

ორიოდ-სამიოდე ლექსში აღვიდა, მისმა სამგოსნო ნიჭმა ამ აღმა-
ფრენამდე ადწის მხოლოდ ორ-სამ პატარა ლექსში და პოემაში:
Кому на Руси жить хорошо? სულ სხვაა კალენოკი, რომელსაც
თითქმის საკუთარი არა გაანხია-რა, ისე განუყოფელად ეკუთვნის გლეხ-
კაცობას. სულ სხვაა რაფაელი, ესეც, რასაკვირველია, ზოგიერთს
ლექსებში, როგორც, მაგალითად: «თინიას მამითაღი», «ნეტა
რას ტირი, დედილო», «ქალი-აყვანა», «თანდილას დარდი» და სხვ.
საერო კილოზა დაწერილი აგრედვე უმეტესი ნაწილი ბახანას ლექ-
სებისა; ასევე დაწერილი ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი პატარა ლექსი
და დიდი პოემები: «გოგოთურ და აფშინა», «მოსუცის ნათქვაში»,
«აღუდა ქეთელური», «ბასტრიონი», «ეთერიანი», «სტუმარ მასპინძე-
ლი». ამისთანა ლექსებში, გინდა პროზაში, მეტადრე, როცა პირუტყე-
ნი, ან უსულა საგნებია გასულადგმულებული: შვლის ნუკრი, ია,
წყარო, ხმელი-წიფელი, მუხის ფესვები, ქუჩი, დიდია ილლიუზია. სად-
ღაა აქ ავტორი? ვიღას ახსოვს მამინ დაშწერი? ასეთი სრულია
ილლიუზია, ასეთი ძლიერია მოხიბლვა მკითხველისა და, მასთანადამე,
მისად არის ყოველივე მის დასატებობად, მისის გულის მძლავრად
მისამკრელ-მოსამკრელად და მადლიანის ცრემლებს დასაფრქვევად,
სულ ერთია, სისარულისა იქნება იგი ცრემლები, თუ შწუსარებისა.
აი სწორედ ისე, როგორც ნიჭიერად დაწერილს დრამას უუჩრებთ
სცენაზედ და მთელი გულის-ყური, მთელი არსება თქვენი შთან-
თქმულია დრამის გმირთა სვე-ბედით და სულ ადარ გასსოვთ თვით
ავტორი, შემოქმედი დრამისა, რომელიც არის გვირგვინი საპოე-
ზიო შემოქმედობისა, უუძნელესი მისი დარგი. ავტორს იგონებთ მხო-
ლოდ მამინ, როცა მძლეკარება თქვენი სუსტდება, გონს მოდი-
ხართ, პატარას მშობილდობით და ჭკითსულობით; სადა ვარ, ცხადი
იყო ესე ყოველივე თუ საზმარიო.

გაკერით შეკნიშნავთ აქ: დრამა იმიტომ არის გვირგვინი შე-
მოქმედობისა, რომ სხვა ყოველგვარ შემოქმედობას—სალირიკოსაცხ
და საკვირვოსაც —ისა აქვს იდეალად. ყოველი პატარა თუ დიდი ლექ-
სი, პოემა, თუ პოეტური პროზა იგივე დრამას და იმდენად უფრო
მეტის ღირსებისა, რამდენადაც უფრო ძლიერია შიგ დრამა, ესე
იგი მოქმედება სულისა, ძვრ გრძობისა, ტიკაელი თუ საიმოვნე-

ბა, ტირილი თუ სიცილი გულისა. ესეც სათქმელია ამასთანავე, რომ გარკვეულად ადამიანსა, გარკვეულ მის გრძნობათა, არა არის-რა, არა არსებობს-რა. ზოგისაჲ; ყოველივე, სიღულად და არა-სიღული ბუნება მისთვის არის განჩნაღი...

ამ სხვით, ვგონებთ, რომ ცოტადნად მაინც გამოკარკვეთ, როგორც დიდი ღარსება რაფაელის სამკონსო მოღვაწეობის უგანსკენელს სანაში (1880—1890), ისე სხვითი მისის ნიჭისა, მისის შემოქმედობისა და ისიცა, თუ რა მიზეზით ჰმოქმედობს ისეთის ძლიერებით ჩვენსად მისი ჩანგი, თუ რა საიდუმლოა ზოგისა, ჭეშმარიტი ზოგისა, რომლის ნამოქმედარის მარტო ერთი წაკითხვა ემარა, რომ კაცი აღფრთოვანდეს, «ცას იქით ეძიებდეს სადგურს», ჰსეტარებდეს, თვით ღმერთს უსლოვადობდეს.

ეს არის მიზეზი, რომ მოგონებს და ზოგებს უკვლავ ერთი ყოველს დროს ისე პატივსა სცემდენენ, გვირგვინებით ამკობდენენ, ღვთის მიერ «მოკლენილებად» სთვლიდენენ და თვით ზოგებსაც აფურცდენენ, რომ სწორედ ცას გამოუგზავნისართო. ამიტომ ამბობს ჰქინე: ჰქუყანასუად რომ ზოგისა არა ყოფილიყო, კაცობრიობის ისტორია მხოლოდ განუწყვეტელი სანსლას-ღერა იქმნებოდა.

VII

სრულიად ვეთანხმებით ბ-ნ იონა მეუნარგის, როცა იგი ამბობს, რომ უმეტესი ნაწილი რაფაელის ლექსებისა, საცა საზოგადო საფირველო მოძრაობას სულისა გამოხატული, არაფერსა ჰმატებს ზოგის დიდებასა და სულაც რომ გამოტოვებულ იქმნას მის თსულებათა კრებულადან, ეს კრებული მაშინ სწორედ რჩეული ვარდის ეონა იქმნებოდა; გარნა კერ დაეთანხმებით პატივცემულს მწერალს და მცოდნეს ჩვენის სიტყვა-გაზმულის ლიტერატურისას, რომ ვითომ რაფაელის ლექსმა «სამშობლო ხეუსურისამ» შექმნა მთელი სკოლა ქართულს ლიტერატურაში და რომ ამ სკოლაში პირველი ადგილი უჭირავთ ძმთა რაზიკაშვილთა (იგივე ბანანა; ვაჟა-ფშაველა და თ. რაზიკაშვილი). კერ დაეთანხმებით იმიტომ, რომ ის ჰსნგები, რომელმაც გაუთქვა სასული რაფაელს, ის ხერხი

წერისა, რომელიც საერთოა რაფაელისა და ძმთა რაზიკაშვილების ნაწერებში, განდა თითქმის ერთსა და იმავე დროს. ბაჩანას საეკეთესო სალირიო ლექსები, თუ არა ვნდებით, დაბეჭდილია 1881 წლიდან 1890 წლამდე «დროებასა» და «ივერიაში», ესე იგი სწორედ იმ დროსვე, როცა დაწერილია საეკეთესოვე ლექსები რაფაელისა. პირველი ლექსი რაფაელისა, საერთო კილოზე დაწერილია, არის «ზამთარი», დაბეჭდილი 1880 წლის დამლევს (გვ. კრებულისა 144), უკანასკნელი «შვიდნი კართ»—1890 წელს. თუმცა ამ უკანასკნელის ლექსის აზრი რუსულით არის მოღებული, განა ისეთის საცარისა და მღალის ღირსებისა, რომ ორიგინალის ელფერი სძევს. რაცა შეეება ვაჟა-ფშაველას, იგი სომ სულ ნაკლებად არის ღირივი. იგი ამ მხრივ პირველობას უთმობს რაფაელსაცა და თავისს უნტროსს ძმა-ბაჩანასაც. ძლიერება და ნიჭი ვაჟა-ფშაველასა არის ის უნარი მისი, რომლითაც ასულმდგმარებს ბუნების ყოველ გვარ მოკლენასა, რომლის შემწეობითაც აღმინივიით აღაზარებებს პირუტყვს, უსულსა საგანს. მისის კალმის უცნაურის საზოგადოებადროით ყოველივე პირუტყვი—დათვი, მკელი, ირემი—ყოველივე უსულსა საგანი—ჭკა, კლდე, ბაღასი—სულდგმულობს აზრანის აღმინივიით და ან სწუსს, ჭკუნისი, ცრემლისა ჭლერის, ან ჭსარობს, ჭტელქობს, დღესასწაულობს. ეს უნარი, დაბადებული იგავთა წერის მიკეულებისაგან, დიდადა ჭფასობს ყველა ქვეყნის ღიტერატურაში და აშვიათნიც არიან მწერალნი, რომელთაც შეთვისებული აქვთ ასეთი უნარი წერისა.

ამას გარდა, სახელი ვაჟა-ფშაველასი დამყარებულია კიდევ მის კუბოსზედ. მისი ზოგები ნამდვილი, დრამად გადაქცეული ამბებია, მთის მკვიდრთა სულისა და გულის დამსურათებულ-დამასასიათებელი, ისეთი ამბებია, რომლის მომთხრობელი სრულიად არა სჩანს არსად, არც ერთის კალმის მოსმაში. ისე დიდაა ამ ნაწერებში ესრედ-წოდებული ობიექტივი სმი მგონისა.

თქვენ მეტყვიით, რომ აი სწორედ ეგ ობიექტივიზმი და მდებარეთა სულის კითარების დასურათება, რომლითაც აღსაესა «სამშობლო სეკსურისა» და სხვა საერთო კილოზე დაწერილი ლექსები რაფაელისა, არის ის საერთო კილო, რომელიც ამ ორს მწერალს

ერთი-ერთმანეთისაგან შეუთვისებიათ; ხოლო რადგან რაფაელის ცოტათი მანც ადრე დაიწყო მაგისტანების წერა, ვიდრე ვაჟა-ფშაველამ, მას, ცხადია იმას შეუქმნია ეგ კილო, ეგ მიმდინარეობა ჩვენს ლიტერატურაშიო. ეს შენიშვნა მკითხველისა მართალი იქმნებოდა მხოლოდ მაშინ, რომ სხვა რამ ნიშნები კიდევ იყოს ამ აზრის სიმართლის დასამტკიცებლად, ან რომ მცირე ხანში შეიძლებოდაც მწერალმა მწერალზედ იმოქმედოს.

ზოგი იმასაც ჭფიქრობენ, რომ, არამც თუ ზანანა და ვაჟა-ფშაველა, არამედ ალ. ყაზბეგის ბელეტრისტიკაც, აღმოცენებული სჯერო ნადავზედ, დამუკრებული მთის მკვიდრთა განცხობილებული მსატკრობაზედ, შედეგი იყოს აგრედვე რაფაელის ლექსების გაკლენისა. მაგრამ ჩვენ ესეც შეცდომა გვგონია. «სამშობლო სვესურისა», ეს პირველი ძლიერი ლექსი რაფაელისა, ისეთი, რომელსაც შეეძლო ემოქმედნა ალ. ყაზბეგზედ, დაიბეჭდა «ივერიის» სექტემბრის წიგნში, 1881 წელს, ხოლო ამ დროს უკვე თავიებოდა «ელგუჯას» ყაზბეგისა «დროებაში» და გრ. ორბელიანის გაზეთის ფურცლების არშებებზედ აწერდა: ვაშა ქართველს ჭმდიროსსაო! დიდებული ქმნილებაა, შესანიშნავი და ნიჭიერი კაცი ჯაგვადებიაო. საინტერესოა, რომ ამანაც კვიან მიაგნო თავის მოწოდებას და, როცა «ელგუჯას» წერა დაიწყო, ორმოც წელს იყო თითქმის მიღწეული.

ჩვენის ფიქრით, აქ გაკლენა კი არ არის, დროი მოიტანა და ერთბაშად ერთსა და იმავე დროს იფეთქა რამდენჯანმე, როგორც ძლიერმა ეროვნულმა გრძობამ, ისე ერის ჭეშმარიტ წარმომადგენელთა დასურათებისად მიმართულმა ბუნებითვე ნიჭიერ მგოსანთა გრძობამ და განზდა რაფაელიცა, ალ. ყაზბეგიცა, ზანანაცა და ვაჟაცა. მართალია, სჯეროთ თვისება მათ შორის დიდია, გარნა განსხვავებაც დიდია. ერთ-ფერობა ახსნება ნიჭის ნათესავობით, სულის თვის-ტომობით და არა ზედ-გაკლენით, ერთმანეთის მიზაძვით, დამოწაფებით. თუ არა ვსცდებით, ზანანას მუტმა, ყველამ, ცოტასა თუ ბევრს ხანს, იყო-ყმა, უცხად ვერ მიაგნო თავის გზას, ვერ დაეწაფა იმ ჭანგებს, იმ კილოს, იმ სფერის დასურათებას, რომელიც შეფერებოდა მის ნიჭსა. მაგრამ ამ მწერალთა ნიჭისა და შემოქმედობის შესახებ ბევ-

რომ რამ სხვა არის სათქმელი და ეს შემდეგისათვის დაჩქეს. ჩვენ ახლა ისევე რაფაელს დაკუბრუნდეთ.

VIII

სამწუხაროდ, ადგილი და დრო ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით განვიხილოთ სხვა გვარი სალიტერატურო, სამეცნიერო და სასოციალურ მოღვაწეობას ჩვენი უხუცესის მწერალისა. ვიტყვით მხოლოდ ორი-დე სიტყვას მის გერძო სასიათის შესახებ. რაფაელი საოცარი თავიანთი, თავმდაბალი, ტბილი და უპრეტენზიო სასიათის კაცია. არას დროს არ შესტუობია, არამც თუ ის უზომო საეკორო თავმოყვარობა, რომელიც ავადმყოფობად აქვს გადაქცეულია ზოგიერთს ჩვენს მწერალს, არამედ თათქმის სრულიად მოკლებულია მისი სასიათი ამ სენს.

რაფაელი შორს იდგა და შორსა სდგას დღესაც ყოველ-გვარ კობრსა და მოცილებობაზედ. დას-დასობას სამ მუდამ ჭირივით კრიდებოდა და ამ სახათ ის სენიც, რომელსაც მოუცავს ამ უამად თათქმის მოლად ჩვენი ინტელიგენცია და მთელი კრებული მწერალთა, მას არ მიჰკარებია. რაფაელი ყველასთვის მუდამ სასურველია იყო, ყველასთვის სასიამოვნო, ყველასთვის გულწრფელი, უბოროტო, მუდამ მხარული, მოსწრებული სიტყვა-მას-უხის პატრონი, სიტყვა წყლიანი თამადა სალიტერატურო ნადიმ-მეყლისზედ, საუკეთესოდ მცემელი.

ყოველივე ესე, — ხანგრძლივი სამწერლო და სამგონო მოღვაწეობაც, საზოგადო საქმის სიყვარულიც, მშვიდი სასიათიცა, არის მიზეზი იმისი, რომ რაფაელს მტერი არა ჰყავს, არამედ ყველა დიდის პატივისცემით, დიდის სიყვარულით ეკიდება ამ საქვეყნო საქმეში ტბილად დაბერებულს მოხუცსა და ამწერალთა-შორის პატრონჩქსა. ესევე იყო მიზეზი, რომ მის 50 წლის იუბილეი ისეთის გამომინებითა და ბრწინებალებით იქმნა გარდასდილი წელს, 22 ოქტომბერს.

რაფაელის მოღვაწეობის ისტორია ჩვენი ზრდისა და წარმატების ისტორიაა ამ მეცნარამეტე საუკუნეში. რაფაელი ყოველს ქარ-

თუღს საჭმეს ყურს უგდებდა, ყოველ წმინდა ქართულს დაწესებულებაში მონაწილეობას იღებდა. უამი და სანი აბურებდა მის სორცს და ანა სუღს და, გადასაღისებუღი, ანაღის ძალ-ღონით, ჭაბუკურის მსნეობით ამუშაებდა ჭკუა-გონებასა და მარჯვენას. დრო იცვლებოდა და იცვლებოდა ისიც და დაკვირვებინდა კიდევ მისი მოღვაწეობა ისე, რომ ნეტავი ყოველ ათას ქართველში ერთისა მანც დაკვირვებინებუღი იყოს იმიგარდავე და ათასში ერთის მანც დასტოვოს ისეთი დაუძგინარი, უკვდავი, მუღამ ამწკანებუღ-ალეკავილებუღი გვირგვინი დიდებისა. დღევრძელ იყოს ამისთანა კაცი სორციაც ისე, როგორც დღევრძელია სუღითა! რას წარმოადგენდა ან რაფუღი, ან ბეგრნი სსკანი, მისნი სწორნი და ტოღნი სუღითა, აწ განსკენებუღნი, ან რას წარმოადგენდით ჩვენ თვითონ, რომ უჩინარი, უსიღავი, ქრისტიანებრივის მოთმინებითა და გუღ-შემუსკრიღობით აღსაკესე მუშაგობა რაფაღისა ისეთს ნაყოფს გავმოღებდა, ისეთს შარაკანდღედს შეიმოსებდა, როგორიც იფი დღესასწაული რაფაღის იუბიღეისა. დრონი მეფობენ! ეს დღესასწაული მეჭარაა ლანართა და ჳახანთათვის, თაკ წარდამცემია გაქსუებუღთა და ქართულ საჭმის მოღალატეთათვის, სოღო გამსწეება იმედ-დაკარგულთათვის, საღბუნება ლიტერატურის მცირე მუშაკთა გუღისათვის. ეგ დღესასწაული *memento mori*-ა, პირუთნეული მსჯავრისა კანა, მრისსანე და შეუწაღებელი ჟღირსთათვის, სოღო ტკბიღი და ლმობიერი ღირსუღთათვის, რსუღთათვის.

დრონი მეფობენ! ანღა სსკა დრო დადგა. ამ გარემობას ყველამ უნდა ანგარიში გაუწიოს. ძველთა თქმუღი: «დროც იცვლება და ჩვენც ვიცვლებითო», ასე უნდა გადაგაკეთოთ: დრო იცვლება და ჩვენც უნდა ვიცვლებოდეთ—*Tempora mutantur et nos illis mutandos esse.*

გრ. ეიფშიძე

შართლ-პახმითი სამრევლო სკოლები მომავალი

ლა

მათი სამეარჩიო და სამაზრო ზედამხედველები

ტფილისის საშარქიო სამოსწავლო საბჭომ მისწერა ამას წინადაწერილები ეგელს სამაზრო სსსუდიერო სამოსწავლო განყოფილებათა და სოსოკა, შეგეტუობინეთ:

1) რომელ მღვდლებს დაგვისასელებთ თვითეულს მაზრასი (უნდა იუოს არა უმეტეს სამისა) კანდიდატებად მაზრის სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების ზედამხედველის თანამდებობისათვის.

2) რა წესით შეიძლება განწესდეს ადმონსტრატორთა სამრევლო სამსახური ორს და სამს სტატისს კრებულში, რომელთა შორისაც ერთ-ერთს ექმნება დაჯალბული მაზრის ზედამხედველობა (500 მან. კამაგირითა).

3) მაზრის რომელს ადგილებშია (ქალაქებში კი არა, სოფლებში) სჭირო და უფრო სამკობინარო გაიმართოს ორ-კლასიანი (второ-классныя *) სკოლები, რომლებშიაც უნდა მომზადდნენ მსწავლებელნი წერა-კითხვის მსწავლებელ სკოლებისათვის; ამასთანავე სასეში უნდა იქმნას მიღებული გეოგრაფიული მდებარეობა ადგილისა და ისიც, არჩეულ ადგილას იქნება თუ არა კინძე შემომწირველი ან ადგილისა, ან შენობისა, რომ მით დაჩქარდეს შენობის აგება და დაარსება სკოლისა, აგრედვე ისიც, არის თუ არა, არჩეული ადგილის სიასლოკეს, სასაზინო ტყე და მიწდარი.

*) თუმცა ვთარგმნე სიტყვით „ორ-კლასიანი“, მაგრამ, ჩემის აზრით, უნდა ითარგმნოს „შემდგე-კლასიანი“, რადგანაც ამ სკოლებში მიიღებიან ორ-კლასიან სამრევლო სკოლებში კურს-შესრულებულნი და რადგანაც „ორ-კლასიანი“ სკოლები ცნობილი ტიპია, ისინი ვერ მოამზადებენ მასწავლებელთ და სხ.

აეტორი.

4) რა ელირება დახსლოებით იქაურ კითარების მისედევით, შე-
ნასკა თვითო მოსწავლისა ორ-კლასიან სკოლაში.

5) მაზრის რომელ სოფლებში არის უფრო საჭირო, რომ
დაარსდეს ან სამრეკლო, ან წერა-კითხვის მსწავლებელა სკოლები
და ამისათვის დახსლოებით რაჟდენი ფული იქნება საჭირო. თქმა
არ უნდა, რომ ზირკლად სკოლები იმ ადგილებში უნდა გაიმართოს,
სადაც სარწმუნოებრივი ავადყოფობაა გავრცელებული, ე. ი. სადაც
რომელიმე მწვალებლობა, ან ზნეობაა დატევილი.

ყემორე აღნიშნული წერილები ტფილისის სასულიერო სა-
მოსწავლო საბჭოსი გამოწვეულია უწმიდესის სინოდის ობერ-პრო-
კურორის ცირკულარითა. ამ ცირკულარში სსკათა შორის მოხსე-
ნებულია, რომ სამრეკლო სკოლები, აგრეთვე წერა-კითხვის მსწავ-
ლებელა სკოლები და სასულიერო სამსწავლებლო სკოლები სა-
ქართველს ოთხს ეპარქიაშია უნდა გაიმართოს, თუმცა რიცხვი
სკოლებისა შედარებით შიდა გუბერნიების სკოლათა რიცხვთან მცირეა
აღებული. ამასთანავე მოხსენებულია, რომ თვითეულს ეპარქიაში
სუპარქიო ზედამსედველი უნდა იყოს დანიშნული 2500 მან. ჯამ-
აგირითა. ზედამსედველად აირჩევა უმაღლესად განათლებული ღვთის-
მეტყველი. იქვე არის ნათქვამი, რომ კავკასიის თვითეულს ეპარ-
ქიას ენიშნება სამაზრო ზედამსედველისათვის 1000 მან., მასინ,
როდესაც შიდა გუბერნიებში თვითეულს მაზრაში თითო სამაზრო
ზედამსედველი ინიშნება, მცირე მაზრებში 360 მან., შუათანა მაზ-
რებში 600 მან. და დიდროს მაზრებში 900 მან. ჯამაგირითა.
მართალია, მოხსენებულია, რომ კავკასიაში ჯამაგირი დაენიშნება
სამაზრო ზედამსედველს, როგორც უწმიდესი სინოდი ბრძანებსო,
მაგრამ იქვე გამოიჩინებულა იგი იმ ადგილებიდან, სადაც თვითე-
ულს მაზრას საკუთარი ზედამსედველი უნდა ჰქავდეს.

ჩვენთვის საჭირო და დიდს ყურადღების ღირსია ამ ახალი
განკარგულებისა და უმაღლესის წყალობის საგანი: 1) რომ სკო-
ლები ემატება ჩვენს დაბა-სოფლებს; 2) რომ ამ სკოლებს უმაღ-
ლესად განკითარებული ღვთისმეტყველი ეყოლება თვითეულ ეპარ-
ქიაში ზედამსედველი; 3) რომ უმაღლესად განკითარებულს ზედა-
მსედველს სულჭეითებად ეყოლება სამაზრო ზედამსედველები. დარ-

წმუნებულნი ვარ, არავინ გამისდება წინაღმდეგი, რომ აქნობამდის ქართლსა და კახეთში რამდენი სამრეკლო სკოლაც ითვლებოდა ქალღმრთელ ადგილობრივ უფროსთა მოსწავლეთ, იმდენი ნამდვილად არ იყო; იქნება მეტიც არ მოგვივიდეს, რომ ვსთქვათ: «მის მესამედზე არ იყო»-ო; ამას თუ დაუშვებთ, რომ მოსწავლეთა რიცხვა ერთი-ათად და უფრო მეტიც იყო ნახევრები, გამოვა, რომ ამ მხრივ სიმართლის თქმას ძალიან შორს წაგვიყვანს. ეს არ ითქმას იმერეთის ეპარქიებსად, სადაც სამრეკლო სკოლები მრავალია და საუკეთესოდ მოწოდებულნი. არ მინდა დაკასისკელი მხრის, რომელშიაც ასლა 15 სამრეკლო სკოლა ითვლება ქალღმრთელ, წინად ვიდრე ერთი-ორად მეტი ითვლებოდა და ნამდვილად კი 5 არ მოიპოვება. ვიცი მეორე ამისთანა მხარეცა, მესამეცა და სსკ. მე არავის საწყენად არა გსწერ ამ სტრიქონებსა. წარსული დაწვევებისათვის მიმიცია. ამას იქით საჭიროა, საქმეს მეტის უურადღებით მოექცეთ, მეტი ბუჯითობა და წინდასვლადობა გამოვიჩინოთ. სამართლიანობაც მოითხოვს, რომ იქ, სადაც სამრეკლო სკოლაში მასწავლებელს სასუიდელო ეძლევა, საქმე მოსწავლეთა სასიკეთოდ იყოს წარმართული, ან ის მაინც, რომ იმ სკოლას ნამდვილად ჰქვანდნენ მოწაფენა; ისე აღარ იქცეოდნენ, რომ; თუ უფროსი ეწვიათ, სამანისტრო სკოლის მოსწავლეებს შეჭკრებენ და თვის ნასწავლებლად წარუდგენენ უფროსსა, რის მაგალითებიც მე თვითონ ვიცი. ამხარის ქვეყნისათვის ღირსნი სასკოლისა წარდგინდნენ არაან სოღმე დასავლდოვებლად.

დიად, ამას იქით ყველა ეს სასწინგავი ღონისძიებანი უნდა დავივიწყოთ. ამას იქით განავსლდეთ სკოლათა, რადგანაც ნათელდებულ ვართ წინაპართა მოგონების ემზასში. თუ ესეც არ იმოქმედებს ჩვენსად, ღირსნი არა ვყოფილვართ აღმანებლად წოდებისა და ის არის! უგანავად, კვანებ, მეტი მომავიდა. როგორ შეიძლება გაბედოს ვინმე და შესწამოს უკეთურება მეტყვიდრეს იმ სამღვდელთა, რომელიც ცალ სკოლაში უკანით და ცალ სკოლაში სმლით იცავდა სარწმუნოების სიმტკიცესა? როგორ შეიძლება უნაყოფოდ ჩაითვალოს დვილი შეილი იმ სამღვდელთა, რომელმაც ამ ასო წლის წინად მოკვინა მთელი საქართველო სკოლებითა, დაარსა ორი სემინარია და ისეთი გულის-მოდგინებით ასწავლიდა ყველა სკოლებ-

ში, რომ, როგორც ჰმოწმობენ მასინდელი განათლებულნი სტუმარნი საქართველოსა, არც ერთს ოჯახში არ მოიპოვებოდა ქალი, არ მტოდნე წერა-კითხვისა და ხელსაქმისა? რა დასაკვირებელია, რომ ამისთანა სამედიკალოების შემკვიდრე ამ მცირე დროს განმკლობაში გადაგვარებულ-გადამასინდელად უღიჯეს? ღრმად კარ დარწმუნებული, რომ უკეთურთა რიცხვი მცირეა და ღირსეულთა რიცხვი კი მრავალკენი. დარწმუნებული კარ და მიხარინიან სამომავლოდ...

საჭიროა, რომ სასკოლო საქმეში ჩვენს სამედიკალოებს განმოუხინდნენ ღირსეულნი წინამძღოლნი საქმარქიო და სამაზრო ზედამხედველობის სასათო. ზედამხედველთა თანამდებობა იქნობამდის მრავალ-მნიშვნელობიანია, იქნობამდის დიდი, სასოკადო მნიშვნელობა აქვს ჩვენის ერის სულეობის განკითხარებისათვის, რომ არას გზით არ შეიძლება შევადაროთ სხვა მოხელეობას. სხვაგან უღირსი მოსელე იმდენს ზარალს კერ მოუტანს მცხოვრებებს, რამდენის მოტანაც შეუძლიან რომელსამე უღირსს ზედამხედველს; აგრეთვე სხვა მოხელეობაში ღირსეულს არც იმდენი საზრებლობის მოტანა შეუძლიან, რამდენიც ღირსეულს ზედამხედველს. ამიტომ უკვლას ყურადღება უნდა ექმნას მიტკეული ამ ზედამხედველთა ღირსეობა-უღირსობას. დარწმუნებული ვარ, არც ერთი ტკეშმარტი მამეუფიშვილი არ იყისრებს ამ თანამდებობას, თუ ღირსეულად არ არის მისთვის მომზადებული. ტკეშმარტი მამეულისშვილი არ დასარბდება ჟამაგირსა და არ ჩაკარდება კვლესთა მოზარდის თაობის ცოდვასში.

ახლა ვიკითხოთ, რა მოეთხოვება, დიშლომს გარდა, საქმარქიო და სამაზრო ზედამხედველს, რომ მათი მოღვაწეობა ნყოფიერი იყოს და უძალესად ნაწყალბეკმა სიკეთემ ღირსეულად გაიკელიოს გის? რადგანაც მომავალ ზედამხედველთა გონებრივი ცენისი აღსარებელია, ჩვენ უნდა დაუშობოთ, რომ იმათ უნდა ზედმიწევნით იცოდნენ ზედამხედველთა, გკარჯიშებელი ტკეშმარქიო თვით ხელმძღვანელებსა, საუკეთესოდ იცოდნენ ენა, უტკეშმარქიოდ იცოდნენ წარსული და აწინდელი ზნე-ჩვეულებანი იმ ადგილის შკვიდრება, სადაც ისინი ინიშნებიან.

მარტო ბრძანება: «უკეთესად უნდა გესწავლებინა! მოსწავლენი. გკარჯიშებულნი არ არიან წერა-კითხვასში... ლოცვების ახსნას არ

იციან ისე, როგორც რივიან... ახვარიში სუსტნი არიან... ამოცანებს კარგის წესით არ აკეთებენ... დისციპლინა უკეთესად უნდა გქონდეს დაწვლად... და სხვანი და სხვანი არ. კმარა. ყველამ ეიცით, რომ სამრევლო სკოლების მასწავლებელნი დასელოვნებულნი შედარებები არ იქმნებიან და არც არიან. ამისათვის უწმიდესს მოკალაობად თვითიველ ზედამსედგელებისა უნდა ჩაითვალოს, რომ მან, რაც შეიძლება, მომეტებულ სკოლებში მისცეს ყოველ წელი სამაგალითო გაკვეთილები და ამ ნაირად შეახვიოს მასწავლებელნი-მკვდელნიც და ერის კაცნიც—სწავლების სელოვნებას. თუ ზედამსედგელს არ შეუძლიან სამაგალითო გაკვეთილების მიცემა ყველა საგნებში, მისი ზედამსედგელობა ერთ ატმის ჩირაღაც არა ღირს, მისი დანიშნულება მისი ფუნქცია, მისი დავალები სამოსწავლო ასპარეზზედ არაა იქმნება. წარმოვიდგინოთ, რომ რომელსამე ემბრქიაში დანიშნეს დიდებული ღვთისმეტყველი, რომელსაც საღვთისმეტყველო საგნებში ერთიც არ დაჭრენია, სხვებით შესწავლილი არა ჰქონდეს, სამაგიეროდ, არ იცის არც თეორია შედარებისა და არ სელოვნება სწავლებისა (არ გეგნოთ, მკითხველო, ეს წარმოუდგენელი იყო, წარმოდგენა კი არა, ამისთანა ღვთისმეტყველები მრავალია), წარმოვიდგინოთ, რომ იგი მივიდა სამრევლო სკოლის დასასვლად. მასწავლებელი უსისის ასალს გაკვეთილს (თუმცა სშირად ამისთანა ზედამსედგელები არ მოისმენენ ხოლმე ასალს გაკვეთილს, მარტო ნასწავლს ჰკითხავენ და მათ ათაიბენ სკოლის განხრეკას) და მოსწავლეებს ვერ გაუგიათ, რადგანაც ასახსნელს საგანს მასწავლებელი იმ მხრით არ აშუქებს, რა მხრივაც მოსწავლეთა გონების განვითარება მოითხოვს, ან კიდევ ასისის წეს-რიგი შეუფერებელი აქვს, რა უნდა ქმნას, რა უნდა უმოძღვროს ღვთისმეტყველმა ზედამსედგელმა? თუ მე მკითხავთ, მე როგორც ვიცნობ ამისთანა ღვთისმეტყველთ, ისინი ვერც კი შეჭნიშნავენ დასასვლებულს სწავლების ნაკლას, თუ, როგორცა ვსთქვით, საგანგებოდ არ არის ამ საქმისათვის მომზადებული. ღირსეული ზედამსედგელი კი საქმეს იქვე გაასწორებს თავისის სელოვნის სწავლებითა. მასწავლებელი ადვილად მაჭკადება, როგორც წარის საქმე, და თანაც ზედამსედგელისგან გაკვეთილის მიცემა ერთი ათასდაც წასახლისებს შემდგომისათვის.

თუ ცარიელის შენიშვნებით ანუ სისხვს სწავლების ნაკლებებას, მასწავლებელი მასწავლებელი გაიფიქრებს: «ნეტავი შენ, მოცი-
ლია! ხა, ერთი შენ იყო ჩემ ადგილას! და განსაკუთრებით, როგორ და-
სწავლიდი «ეურთაშვილს» ეველა მაცანა!» თქმა არ უნდა ამისთანა
დამოკიდებულება მასწავლებელსა და მის სკლასმსდგეულს ერთობის
დასწორებს სოლითაც და სორცითაც. ამისთანა მდგომარეობაში მ-
სწავლებელი შეიტყობს, რას უფრო აქტებს მათი სკლასმსდგეული
ეურთადებს, დაისრამებს, რასაც უფრო ეკითხება მოსწავლეებს (ამი-
სთანა სკლასმსდგეულები უფრო ერთისა და იმავეს ჭკითხვენ სოლმე
შეკითხვებს) და შემდგომისათვის მთელს დროს იმას მოანდომებს,
დასწავლას მართა იმის შესუსნი, რასაც მოსთხოვს, იმის აწრით,
სკლასმსდგეული. ამანარად სკლას თავის მნიშვნელობას დაჭკავრავს
და თავის დანიშნულებას ასცდება, მართა იმის გაკეთებაში იქმნე-
ბა, რაც, შესაძლოა, სრულიად სსსარგებლოც არ არის მოსწავლე-
თათვის. სკლასს აუცილებლად ამისთანა შედეგი მოჭკეება უღირ-
ლის სკლასმსდგეულის სკლში.

ჩვენ სამდვილად შეკითხვით, რომ სოციერთის მსწრში ბლად-
ჩინებს თავისი თავა წარუდგენით სამსწრო სკლასმსდგეულის თან-
მდებობის კანდიდატებად. სოგან ამავე სკლასს ერთ-ერთ შორისს
შური აღუძრავს. ეს ორივე გაკმობება წარმოშობლია 500 მან.
ჯამაგირის გამო, რომელიც ენიშნება სკლასმსდგეულს ტფილისის
სამოსწავლო საბჭოსსკან თანსმად ბ-ნ ობერ-პროფესორის ცირკუ-
ლიარისა. შირველის სკანის გადაწყვეტა სკლასებით დამოკიდებულის
შეორეს გადაწყვეტასკლ. ორივე ერთად თსოულობს, რომ კანდიდა-
ტებად ამოწეულნი იქმნენ მკვდლები ორ-სამ შტატთან კრებულ-
სა. ჩვენ ვიცით, რომ მართა ორს მსწრში არის ორ-შტატისნი
კრებული, ტფილისის კარდა, სამიანი ვი არც ერთს მსწრში არ
არის, კარდა იმავე ტფილისისა, კგონებ, იქაც ერთთა მართა. კრ-
თის მსწრე მკვდლები იმიტომ ინიშნებიან სკლასმსდგეულებად, რომ
ჯამაგირი ნაკლებია, შეორეს მსწრით მკვდლები ირწევიან ორ-
სამ შტატთან კრებულადან, იმიტომ რომ ერთის მკვდლის მო-
შორება მრველს სსწარალოდ არა ჭჭონდეს, რომ მისი თანამდე-
ბობა სსკამ შესრულოს, მისმავე ამსწრმა და იმავე მრველის მკვდელ-

მა. მასრებში, ტფილისს გარდა, სულ ორი ორ-შტატიანი კრებულა და მაშ მალა-უნებურად ამ კრებულათაგან უნდა იყოს აწიგული ზედამხედველი, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ტფილისის მღვდელი მსულად დასთანხმდება იტვირთოს ეს თანამდებობა, რადგანაც მეტს დაჰკარგავს თავის მრევლში შემოსავალს, ვიდრე ზედამხედველის თანამდებობის აღსრულებით მიიღებს; თუ დაკუმატებთ, რომ სამრეკლო სკოლები ჩვენში ჯერ თითქმის ასალი საქმეა და ამ ასალ საქმის მოწეობა-მოძარტვისათვის დიდი ბეჯითობა, გულ-მოღვინება, დაუღალაჲ და სანგრძლივი შრომა არის საჭირო, რომ სამართო ზედამხედველის თვალი სშირად უნდა ჰქედავდეს სამრეკლო და სსკა სკოლებსა, დაერწმუნდებით, რომ ადგილი მოკალეობა არ არის ზედამხედველობა. ორ-შტატიანი კრებული მარტო ქალაქ-ადგილას არის, სადაც მღვდლები, სამრეკლო საქმეს გარდა, დატვირთულები არიან გაკვეთილებით სსკა-და-სსკა სასწავლებლებისაგან, წინადვე შეიძლება წარმოვიდგინოთ, ამ კრებულათაგან ამორჩეულები საქმიით იქმნებიან ზედამხედველები, თუ მარტო სასულიეროა. ესევე ითქმის ბლადონისებრად. მართალია, იმათთვის განდიდატებად წარდგენა თავიანთ თავისა ადვილია, რადგანაც, აბა, ვინ გაუბედავთ უარსა? მაგრამ მოვიგონონ დალოცვილებმა, რამდენი მოკალეობა აწევთ: სამრეკლო სამსახური, სამრეკლო სკოლა, რომელიც იმათ უფრო სამკალეითოდ უნდა ჰქონდეთ წარმართული და რომელიც იმათ უფრო სშირად სულ არა აქვთ სოლმე და თვით ბლადონისობა, რომელიც მცირედ მაინც წესიერად მოკალეობის შესრულებისათვის კარგა დროს ითხოვს. სადაც სტალიანთ სოკლიდან-სოფელს სიარულისა და სამრეკლო სკოლების ჩსტკა-წინამძღვრობისათვის? ამისთან, განა ვისაც ბლადონისობა შეუძლიან, სკოლების ზედამხედველობაც შეუძლიან? აქა და ბლადონისი ვარო, მღვდლები უარს კერ გამოხედავენ, კერ მეტეკის შევიძლებ ზედამხედველობას, თუ არა, მე კი 500 მან ჩავინსრიალებ ჟიბეშიო; ამისთანა მსჯელობაზედ ცისე-ქალაქი არ აშენდება. იქნება მღვდლებმაც იფიქრონ, «შეხვეული ჭირი სჯობია, შეუჩვევარს ღსინსა, ვინ იცის, უფრო კაცი რას მოითხოვს და ამ ჩვენს ბლადონისს გარკვად ვიცნობთ, რასაც აქნობამდის გვთხოვდა სამრეკლო სკოლების საქმეში, ამას იქითაც ამას მოგვთხოვს,

ჩვენ ეს გვიჩვენებს სხვადასხვა, მაგრამ ნუ დაივიწყებენ პატივცემულნი მოძღვარნი, რომ ამისთანა შემთხვევაში საგულისხმოა შოთას სიტყვები: «რა ეჭმი დასნეულდეს, რაზომც გინდა საქებარი, მან სხვა უნმოს შეუჩნალი და მავისა შემტყობარი, და სხვამან სხვისა უკეთ იცის სასარგებლო საუბარი». რადგანაც უძრავლესობა უიციოა პედაგოგიურის მოთხოვნილებისა, რადგანაც ამავე უძრავლესობას სკოლა უნდა სწავლებისა არსად შეუსწავლია, ამისათვის საჭიროა და აუცილებელი, რომ სამაზრო ზედამხედველები დაინიშნენ იმ პირობებში, რომელთაც შეეძლება ეგზამენი დაიჭირონ პედაგოგიაში და სამკალოთა გაკეთების მიცემაში ყოველ საგნიდან. ამასთან ეს კაცნი უნდა თავისუფალი იყვნენ სხვა ყოველსავე მოკალაობისაგან; თუ აუცილებელი საჭიროა ამისთანა ადგილზე მღვდელი იყოს, შეიძლება, თუ ისინი მღვდლები არ არიან, ეკურთხნენ მღვდლებად. ისევე რამდენიმე სკოლით ნაკლები იყოს, სოლო სწავლების საქმე უკეთესი გზისად კი იყოს დამკვიდრებული. თუმიცა მარტო ათასი მანეთია დანიშნული ქართლ-კახეთის ეპარქიის სამაზრო ზედამხედველებისათვის, მაგრამ შეიძლება საზოგადოდ დანიშნულ ფულიდან სამაზრო ზედამხედველებისათვის კარგი კვამაგირი დაინიშნოს 1200 მანეთამდის თითოზედ. სულ არიან ან სამი ექმნება მთელს ეპარქიაში დანიშნული.

რასაკვირველია, საეპარქიო ზედამხედველებმაც უნდა დაიჭირონ ეგზამენი. მართალია, უმაღლეს სასწავლებლებში ისინი მასწავლებლობაზე იტყვიან სოლო ეგზამენებს, მაგრამ ეს არა კმარა, რადგანაც საშუალო სასწავლებლების კურსში გამოიცდებიან სოლო და პირველ დაწყებითი სწავლა კი ბევრად განსხვავებულ სწავლასა და ცოდნას თხოვლობს. ამიტომ ადვილად შესაძლებელია, ვარგოდეს საშუალო სასწავლებლის მასწავლებლად, შეიძლება საუკეთესოდ ჩაითვალოს ამ საქმეში და პირველ-დაწყებითის სკოლებისათვის კი სრულიად შეუფერებელი იყოს.

ამისი მაგალითი მრავალია რუსეთის პირველ-დაწყებითის სკოლების ისტორიაში. თუ გვინდა, რომ საეპარქიო ზედამხედველი მარტო კანცელარიაში არა საქმობდეს, ე. ი. თუ საჭიროა, რომ ბ-ნ ობერ-პროკურორის სახელმწიფო საბჭოსადმი მოხსენებაში გა-

მოთქმული აზრი ხალხის განათლების შესახებ განხორციელდეს, მართა ქალაქდღესდ არ იყოს და სამდგილად ხალხში წერა-კითხვის ცოდნა მოითვანოს, მაშინ აუცილებელ მოთხოვნილებად უნდა ჩაითვალოს საუზარქოა ზედამხედველისათვის პირველ-დაწყებით სწავლების დახლოებით ცოდნა.

რადგანაც იმავე ბ-ს პრეპურორის აზრით ორივე სარისხის ზედამხედველებს ვალად ედებათ სოფლად ბაბლიოთეკების დაარსება, სახალხო საკითხავების გამართვა-მოწყობა და გეგულაჰმის სელმდვანელობა, რადგანაც არც ერთს ხალხში საწმენოების და სწავლის საქმე არ შეიძლება წარმართოს ვინმე, თუ იმ ხალხას ენა არ იცის საუკეთესოდ, მისი ზნე და ჩვეულებანი არ გაუცნიათ უკველ მსრივე, მისი ისტორიული წარსული და მასთან შეერთებული კულტურა არ შეუსწავლავ, ცხადია, ზედგოგიურ ცოდნა-სელოვინესთან ზედამხედველებს ესეც მოეთხოვებათ. ღმერთი რომ ღმერთია, იმანაც ამ საჭიროებას არ აუქცია გზა, როცა ჭეშმარიტის სწავლის მჭადგებულად გაჭვზავნა თვისი მოწაფენი. შემდეგაც მოციქულნი ჩუმიდ იყენენ, მანამ სულიწმიდა არ გადმოვიდა მათზე და არ შეიქმნენ სისწავლებლივე მცოდნენი იმ ხალხის ენისა, ლიტერატურისა, ისტორიისა და ზნე-ჩვეულებისა, რომელს ხალხშიაც ჭჭადგებდნენ მცხოვრის მოძღვრებასა. რაც მოციქულებმა: ზაულემ, ზეტრემ, იაკობმა, ილანემ, მარკოზმა, მათემ, ლუკამ და სხვათა ვერ შესძლეს, ნუ თუ იმის გაკეთებას ივისრებს რომელიმე მღვდელი, გინდ დეკანოზი და არქიმანდრიტი, ან ვინმე ერას ვაცი? ვინც ივისრებს, ის უეჭველად აცდენილი იქმნება იმ გზას, რომელიც გასწავლა ჭჭენად განხორციელებულმა ღმერთმა. განა მცხოვრისგან სჩვენები გზა სწავლის მოსაფენად ისეთი გზა არის, რომ ვინმე გაჭვდოს და გვერდი აუაროს? ვისაც უნდა ამ გზას დაადგეს, წაიკითხოს ზემოთ სსენებულ მოციქულების ნაწერები და იქიდან გაიკებს, რამდენად კარგად იცოდნენ იმათ ენა, ლიტერატურა, ისტორია და ზნე-ჩვეულებანი იმ ხალხისა, რომელშიაც ჭმექმედობდნენ. დააკვირდნენ იმ გარემოებას, რამდენად გულს-მოდგინებით და რა თავ-განწირულებით ემსახებოდნენ მოციქულნი ხალხში ახალი სწავლის გავრცელებისათვის, საჭადგებულად.

სამაზრო ზედამხედველი მიჭირებულ იქმნება სშირად დაესწროს წირვა-ლოცვას იმ ეკლესიაში, რომლებთანაც დაარსებული იქმნება, ან უკვე არსებობს რომელიმე სამრევლო სკოლა; მან უნდა თავისი თავლით განიცადოს და თვისის ყურით მოისმინოს, რამდენად დასვლონებულან მოსწავლენი საეკლესიო გალობაში. აქვე უნდა შეიგნოს, რა სწიგნობრივი გაკლენა აქვს ხალხსად სკოლასა. აქვე წირვა-ლოცვის შემდეგ უნდა ესაუბროს ხალხს სწავლის გავრცელების საქმესად, წიგნების კითხვასად, წიგნ-საცავის დაარსებასად, სახალხო საკითხავების გამართვასად და სხვ. დღეს ერთის ზოიელის საზოადობას უნდა აუხსნას, სკალ მეორესა და ამნაირად დიდრთნებსაც უნდა შეაუყაროს სწავლა-განათლება. რასაკვირველია, ამნვე უნდა იცოდეს, როდის და სად იმართება სახალხო საკითხავები, რა არის აღებული საკითხავად, თუ რაგან და საშგან არ არის რომელსამე დღეს გამართული სახალხო საკითხავები, ანუ საუბრები, უნდა ეცადოს, დაესწროს ყველგან და, თუ ბეგრგან არის ერთსა და იმავე დროს, ერთგან მანინტ დაესწროს. შეჭკობოს ცნობანი უშუამდგომლოდ და უშუამკლობით, როგორს საკითხავს და რა საუბარს უფრო ეტანება ხალხი. უნდა შეჭკობოს ამისთანავე ცნობანი წიგნ-საცავებსად და ყველა ეს დრო-გამოშვებით უნდა გამააჭკუენოს, რომელისამე გავით-უფრწლდის საშუალებით. მთელის წლის კვირა-უქმე დღეები მოუნდება ამ საქმისათვის. ჩემის აზრით, ზედამხედველებს სადაც დღეები უფრო ექმნებათ მოცალება, კიდრე კვირა-უქმე დღესა.

კვირა-უქმე დღეებში სახალხო საკითხავების და საუბრების გამართვას ივისრებენ ბეგრნი ჰროგინციაში გაზნეული ინტელიგენტთაგანი, საჭიროა მხოლოდ ზედამხედველმა თვისის მონაწილეობით და წინამძღვრობით სანჭციის მსრივ უსრუნველ ჭყოს ეს საქმე. დარწმუნებული ვარ, რომ მართო ამ მსრივ ზედამხედველებს აუბრებელი სიკეთის მოტანა შეეძლებათ, ხოლო ყველა ამისათვის, როგორც ზოეტი ამბობს:

«გული უნდა და გონება, სიყმე და მოცალეობა».

ყველა ტიპის სამრევლო სკოლები უნდა მიიღებენ ტიფლი-სის საკმარეო სასწავლო საბჭოსაგან სასწავლო წიგნებს მეუთად.

ეს განკარგულება გლეხის გაჭირვებაზე აღმოცენებულ და ამით დიდი დაბრკოლება ესწობა სკოლას.

ერთის სიტყვით, ყოველივე შინადაზარის, ოღონდ სუპარქიო და სამაზრო ზედამხედველები იყვნენ არსეულნი მათ შორის, რომელთაც საქმის ცოდნა-განათლებასთან აქვთ კიდევ შრომის სიყვარული.

მოკლედ რომ გავიმეოროთ შემორე ნათქვამი, გამოვა: 1) რომ ქართლ-კახეთის სამღვდლოებამ უნდა ყოველი ძალი თვისი შეიკრებოს, უარ-ჴყოს ყველას ის, რითაც იგი განირჩევა თვისთა წინაპართა სამღვდლოებისაგან და შეუდგეს ხალხში სწავლა განათლების გაგრძელებას, რისთვისაც უნდა გაჴმართოს ყოველს ეკლესიასთან სამრევლო სკოლას სხვა-და-სხვა ტიპისა, დაარსოს წიგნ-საცავები, გაჴმართოს სახალხო საკითხავები და საუბარ-მოდერნები. სოგ ში მიიშეუღიოს ადგილობრივი ინტელიგენტები მიუსუდაკად სქესისა და ჩამომავლობისა. ყველას ამის გაკეთება თვის წმიდა მოკვლეობად უნდა მიიჩნიოს. 2) სუპარქიო და სამაზრო ზედამხედველი უნდა იყოს შეიარაღებული ზედაკოტორის ცოდნა-ხელოვნებითა, დახელოვნებული ქართულს ენაში, იცოდეს ჩვენი ზვი და კარგი საკუსებით. ამასთან უნდა იყოს მოცლილი, სხვა არავითარ თანამდებობას არ ასრულებდეს. კინც არ იქმნება შემეული ამ თვისებითა და გაჴბედას ზედამხედველობის თანამდებობის მიღებას, იმათზედ ეუბნება მანსოკარი ხალხსა: «გამოსცადენ იგინი, რომელნი იტყვიან თავსა თვისთა მოციქულად, და არა არნ, და ჴპოვნე იგინი მტყუერად». და ბოლოს თვით ხალხი ეტყვიით მათ: «კინცი საქმენი შენი; რამეთუ არც გრილი ხარ და არცა ტფილი, ჴერ-იერ, რათამც გრილი იყავ, ანუ ტფილი! ესრეთ არამედ ხელ-ტფილ ხარ, და არცა გრილ ხარ და არცა ტფილი: მეგულეების აღმოდგება შენი პირისაგან ჩემისა. (განტ. 3. 15—16).

აბრამისძე



რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

1) საჩუქარა ანუ რჩეული ლექსთა კრება მოზრდილ ერძათათვის. — შედგენილი გომელაურის მიერ. გამოცემა № 51 კ. თაკართქილასისა. ხსალ-სენაკი 1895 წ. ფასი ერთი შაური.

2) კრებული ანთმეტრიკული ამოცანებისა და რიცხვითი ძაგალითებისა, მოსამზადებელი კურსი. — შედგენილი რ. ვახუანაშვილის მიერ. გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა» № 26. ტფილისი 1895 წ. ფასი 25 კაპ.

3) მოდი გნანათ ვენახი, სიმღერა ჰატარებისთვის 9 სურათით. — ივანე როსტომაშვილის გამოცემა № 2. ტფილისი 1895 წ. ფასი 10 კაპ.

4) რწვილი და ჭიანჭველა, ზღაპარი ჰატარებისთვის 11 სურათით. — გამოცემა ივანე როსტომაშვილისა № 3. ტფილისი 1895 წ. ფასი 15 კაპ.

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია.

გამომცემელი
ალექსანდრე ჯაბადაია

ბანსხალეზანი

წიგნიების გამომცემელი

ქართულთა ამხანაგობის გამგეობისაგან

ქართულთა ამხანაგობის გამგეობამ განიხილეს რა. ჭებუჭაძის ჰატარა ისტორიული წიგნაკები, უძორსილე-სადა სთხოვს საქართველოს ისტორიის მცოდნე პირთ დაესძარონ ამხანაგობას და მოაწოდონ დასასტამბავად მარტივი ენით დაწერილი ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან. სასურველია ყოველი ეპიზოდი არ აღემატებოდეს ორ თაბასს, ესე იგი 64 გვერდს. მოწონებულ და დაბეჭდილ ყოველ თაბასში (32 გვ. ფორმ. 8¹/₂×5) ავტორთ მიეცემა 30 მანეთი.

ამხანაგობა ეცდება ყოველს წიგნაკს დაურთოს კმირთა სურათები, თუ კი მოიპოვება.

ამხანაგობის გამგე ალ. ჯაბაღარი

გამოვიდა და ისეიღება

ახალი ქართული წიგნი

სოფია

სიყვარულისა

(Crime d'amour)

რომანი.

პოლ ბურჟენი

თარგმნილი

ბრ. ყიფშიძის მიერ

ფასი 70 კაპ

მსურველს შეუძლიან დაიბაროს წიგნი პირდაპირ მთარგმნელისაგან ამ ადრესით: Тифლისь, редакция „Моамბე“. Гр. Кипшидзе. ვინც ხუთს წიგნზედ მეტს დაიბარებს, 20% დაეთმობა.



ლოზს ასე რომენ (sic) მოგვიდეთ ჩვენი ნასყიდი ჩხაკეთას მამუკასშვილი შიო და მისი შვილი მამუკა... არის ამისი მოწამე: ბოქაულთ უხუცესი იბაშერ, გოჯასპისშვილი დათუნა, თულასშვილი ზურაბ, ნამანგლელევისშვილი როსტომ და მე ონოფრეს საკაძეს დამიწერია და მოწამეცა ვარ, დაიწერა ქქსა ტპზ+.

შემდეგ სხვა ხელით სწერია: ის კაცი თავისის ცოლითა და შვილით მოგვიკტა, სანამდის მოგართმევდით, ის კაცი ჩვენს ხელში მოკდა, და მისი ცოლი და შვილები ქალით და ვაჟით მოგართვით, არას კაცს მლთის მეტს იმისთან კელი თქვენს მეტს ირავის აქეს მლთისა თავდებობით. მონა ღუთისა ზაზა

59. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალალზე მხედრულის ხელით. უმნიშვნელო ადგილები განგებ გამოვტოვეთ.

1690, იანვრას 29.... მოგვიდეთ მე მიწა მე ყანდიაშვილმან მე დათუნა და ჩემი ძმის წულმან პირზამან და თამაზმან ... ერთისა დღისა მიწა გაძმელში (გრძელში)... თქვენ დაკარგულსა შვილებს მახარსშვილებს, გიორგას, საბას, მლდეღსა შოშიტასა, დარჩიასა, მამავალთა სახლისა თქვენისა... მოწამე თავადი ლთი და კაცთაგან ჩემი განაყოფი მლდეღი პავლე მლდეღი. მე საბას მლდეღსა დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი იანვარს კთ, ქქს ტოტ++++.

60. სიგელი, დაწერილია ქალალზე რვეალე მხედრულის ხელით. ნიშნებად ნახმარია ორ-ორი წერტილი.

1704, აპრილის 3. ქ. ნებითა ღთისათა ჩვენ ქართველთა მეყისა და ერანის სპასალარისა, ყანდაარისა და ქერმანის ბეგლარ ბეგისა, და მაგიერად მყოფმან ერანის მღვანბეგმან (sic) და საქაროთველოს ჯანიშინმან, პატრონმან შაჰყულიხან, და ძემან ჩვენმან პატრონმან ქაიხოსრო, პატრონმან ვახტანგ, იასემ, სვიმონ და თა-

იმურავ ესე შტკიცე და უცვალეგელი წიგნი და სტგელი შეგიწყა-
 ლეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერთგულთა და მრავალ ჭურად
 ნამსახურთა ორბელიშვილს სულხან ყოფილს საბას, ძმასა შენ-
 სა მდივანბეგს ერასტის, ვახუშტის, ყაფლანს, ზურაბსა და დიმი-
 ტრის, მაშინ ოდეს ზაალ ერისთვის ქალს ბატონს დედათ
 თქვენს თავის მზითვის სამკაულით კვლადამა და ღორისთაგან
 წყიდა, შერმე ჩვენის შრთგულობისათვის და ნამსახურობისათვის
 ერეკლე მეფეს დაუნაშავებლად ასრე წაეკდინე, არც ამ ქვეყა-
 ნას დაეყენებინე, და ნასყიდიც წაერთმია, თავად დაუნაშავებ-
 ლად წართმა და შერმე ნასყიდისა აროდეს ყოფილიყო, თვი-
 თან მასუკან იმასვე თქვენი დაუნაშავებლობა შეეტყო, რომეწვე-
 ნის სამსახურობის მეტი იმაზედ დანაშაული არა გქონოდა რა,
 და ახალციხილამ ისრევე მოეყუანეთ და დედის თქვენის ნასყი-
 დი ისრევე ებოძა, ჩვენც ამ სიგელით დავგიმტკიცებია, რომე
 სრულობით ჯალდამი და ღორისთავი თავისის სამართლიანის
 სამძღვრით დედის თქვენის ნასყიდი და არას კაცს კელი არა
 აქვს, გქონდეს და გიბედნიეროს ღონ ჩვენსა ერთგულად სამ-
 სახურსა შინა, დიწერა ბძანება და ნიშანი ესე კელითა კარი-
 სა ჩვენის მდივან მწიგნობრის თუმანიშვილის გივისითა, ქქს
 ტებ, აპრილის გ. შაჰყულიხან (ხელჩართულად).

რტოდ ვარ დავითის მგელ-
 ლომად ვით ის ვანტანგ ვამ-
 ტკიცებ მეფის მეობით

მოსავი დსა ძე მეფისა ბე-
 ქელს ვამტკიცებ იასე

მოსავი დსა ბატონ-
 ნი შვილი ქაიხოსრო

61. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალღალღზე მხედრულის ხელით.
 ნიშნებად ნახმარია სამ-სამი წერტილი. უმნიშვნელო ადგილები
 გამოვტოვეთ.

1706, თაბათვას 4.... ესე... ნასყიდობის წიგნი უცი და პი-
 რი მოგეცი მე გიოშვილმა ქუბაშა, მამავალმა სახლისა ჩემისამა,
 მოგყიდე ჩემი...კერძი ვერეზედ წისქვილი თვისის შესავლით
 და გასავლით და ქალითა შენ ჩემს ბიძას შვილს შიოსასა შვილ-

სა შენსა ბასილს და ბერუას, ქიტუას, ოქროას... მოწამე კაცთა-
გან დამხდომი და შემრიგი ყორღანიშვილი ფარემუზა და ყორ-
ღანიშვილი ედიშერა, ჩვენი მეზობელი ამბლაშვილი ბერიკა, მისი
განაყოფი იასე, კახიშვილი კახიძე, სუნბატის ყმა სარქის, დამი-
წერია მე ჯანაშვილს მოლარე სუნბატს და მოწამეც ვარ ამის.
დაიწერა თიბათვის და გასულს, ქქს ტუდ. ვინც ამის შლად
კელი ჰყოს

62. გუჯარი, დაწერილია მშვენიერს ქალაღზე მშვენიერის მხედ-
რულის ხელით. ვრცელი შესავალი და შემდეგ წყველა განგებ გა-
მოვტოვეთ. ნიშნებათ ინჰარება ორ-ორი წერტილი.

1710, მაისის 12. ... ჩვენ აბაშის შვილმან სუტრაჩმან ბატონმა
დავით და შვილმან ჩემმან ნოდარ და მომავალთა სახლისა ჩვენისა
ყოველთავე შენ ჩვენსა სასოსა და ორისავე ცხოვრებისათჳს დი-
დად სიქადულსა, უდაბნოს საქელს, ხატსა მაცხოვრისასა, შემო-
გწირეთ და მოგახსენეთ მკირე და კნინი ესე შესაწირავი ვა
ძველ ოდესმე დედაკაცმან მწვლილი იგი, ჩვენიცა ვერეთვე სა-
სოგებით შემოგწირეთ და მოგახსენეთ ჩვენი საკომლო კნსკეთს
აბულაშვილი მისის მიწა წყლითა, საგნავითა, უკნავითა, ვენაკი-
თა, მთითა, ბარითა, საძებრითა, უძებრითა, სახლ-კარითა, ქვევრ
მარნითა..... ვინცა ვინ წინამძღვარი იქ ბძანდებოდენ, მეორედ
მოსვლის კსენების კვირიაკესა ჩვენთინ ჟამს სწირვიდეს თავი-
სის კრებულთა და კიდევ სულის წმინდის მოსვლის დღესა,
და ჩვენის ცოდვის აღსაკოცელად მოკსენებას ყოფდენ, არიან
აჴმისი მოწმენი და შუა დამხდურნი: ჩვენი სახლთხუცესი ლამა-
ზაშვილი ავთანდილ, ბორძელი პაპუა, ლამაზაშვილი პაპუა,
თვესა მისისა იბ, ქქს ტუდ. დაიწერა კელითა წიგნი ესე უზის
მდივან-მწიგნობარ-მგალობელი მლაღაძის სოლომონისაჲთა.

მონა ღვთისა
დავით

63. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალაღღზე მხედრულის ხელით. ამ წიგნის მარტა შინაარსი მოგვყავს აქ, ისე როგორც ჩვენს რვეულშია ნაჩვენები.

1712, თებერვლის 20. გოგიაშვილს ბაზტამას და მის ძმას პაპუნას და მომავალს მისა ბარამას, ზურაბას და ჩიტუმას, ესიტასათვის და მის მომავალთა დათუნა, ფარსადან, ზაალ, ესიტა და იოთამასთვის მიუყიდნია ჭინჭარაუდი ორის დღისა, წიგნრ დაუწერია გიორგის. თებერვლის ოცსა, ქქს უ.

64. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალაღღზე მხედრულის ხელით. წიგნებად იხმარება სამ-სამი წერტილი. უმნიშვნელო ადგილები გამოვტოვეთ.

1713, მკათათვის 31. ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვი მე დეესპაზ თქვენ მღივანბეგის ქალსა ბატონსა გუქასა, ასე რომე მოგყიდე დაღაზუდ ჩემის ყმისა თამაზაშვილის კერძი მიწა ალგეთის პირამდის... მოწამე ნაქანგლეღევისშვილი როსტომ [როსტომ], ქავთარაშვილი გიორგი +, ზაალიშვილი ქაინოსრო +. მე იასე თულაშვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მკათათვის გასულს, ქქს უა, არის ამისი მოწამე გერმანოზის შვილი იასე [გერმან], საჩინოშვილი ფარსადან [], გერმანოზისშვილი ლუარსაბ [], თაყასშვილი იოთამ [], ჩაჩიკაშვილი სამ.

65. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალაღღზე მხედრულის ხელით. ამ ნასყიდობის წიგნის მარტა შინაარსი გვაქვს მოყვანილი ჩვენს რვეულში.

1716, მასის 10. ხახუტასშვილებს გიორგის, ქიტუას და ოთარას მიუყიდნიათ ესიტაშვილების დათუნა, ფარსადან, ზაალ, ტეტა, იოთამ და პატასათვის ყარაანში მიწა ორის დღისა. ამის დამფასებელი და შემრიგებელი მათე მღღელი, ხუცია ჩეი-

ძისშვილი, ნაწილა ბურბურასშვილი და სხვები. მე მღვდელს ნუკარძეს აბრამ დამიწერია და მოწამეცა ვარ. მაისის ი, ქკს უღ.

66. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალაღზე მხედრულის ხელით. მარტო შინაარსია მოყვანილი ჩვენს რვეულში.

1716, მკათათვის დამდეგს. ბელიანიშვილს ტატე მღვდელს ქურდობა შეუმცნევია დათიაშვილის ჩიტუასათვის და დათიაშვილს მისთვის ადგილი მიუყიღია—ქკს უღ.

67. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალაღზე მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება სამ-სამი წერტილი.

1717, იანჯრის 19..... ესე.... ნასყიდობის წიგნი ფიცი და პირი მოგეცით ჩვენ ზურაბიშვილმა რევაზის შვილმა პაპუნამა თქვენ ყორბუდახისშვილს შიოშ ბეგისშვილს გიორგისა და შვილთა თქვენთა შიოშს და იასესა და ლუარს(ა)ბას, ძამს (sic) თქვენს იოვანესა, ასე რომე დაგვეპირა და სულს იქით გზა ღონე არ მქონდა, მოგყიდე ჩვენის დიდის დაჭირებისათვის ირგას ჩეგი კერძი ბართით (sic) ნარგები მოსეშვილის ბერუკას კერძი და ხიზანიშვილის კერძი.... მოწმენი: ქანანაშვილი (ქნან-შვილი) ფარსადანა (ფრსდნა), ქნანშვილი ზურბა, სესიტშვილი პტა. ყულიაშვილი შერმაზნა, და ხალუა და ზაზა.... დაიწერა იანჯრის ით გასულს, დამიწერია მე ედიშერაშვილს მოღორე სუნბტს, მოწამე ვართ ამისი, ქკს უე სპარსული.

68. განჩინების წიგნი, დაწერილია ქალაღზე რკვალი მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება თითო წერტილი.

1719, მკათათვის 9. ქ. გოსტაბასშვილის ამიღობარისა და მისს სახლის კაცთ სოფელი მარამაქენა და იქით ოთარ მდივნის ყმანი, და ბეგაშვილის ყმანი. ლომკაცისა ჩრდილის-

უბნელნი მიწებსა და სათიბზედ ცილობდენ, და ჩრდილისუბნელთ ესარჩლებოდენ ჩვენი არის, უბრალოდ გიჭირავსთო. ამისი ჩრდილისუბნელთ აშორო უთხრეს, რაც უბრალოდ თქვენ არ გვეცილებით, მის მეტი კელი არა გაქვსთ რაო. ამათი საქმე გავისინჯეთ და უფიცრათ არა ხდებოდა და ასრე გაუჩინეთ: თუ წადგეს ბეგაშვილი ლომკაცი და ჩრდილისუბანს მსხლობარი (მსახლობარი უნდა იყოს) რვა მემკვიდრე გლები და ასრე იფიცონ, რომე ესე და ეს სამძღვარი თქვენსა და ჩვენს შუა რომ არის, ამას აქათ ჩრდილის-უბნისა არის, და არც არას გვემართლების, სადაც გაიარონ, დარჩეს ჩრდილის-უბნელთა, და თუ ვერ იფიცონ, დარჩეს მარიამელთა. ამაზედ ორბელი დავიყენებია, მოკითხული ქნას, გარეშემო მანსოვარი მცოდნე კაცნი მოიყვანონ, თუ ფაქტით სწორე სამძღვარი იპოვნონ და ორნივე შესჯერდნენ, ის არის, თორემ როგორც ეს ფიცი გავიჩენია, ასრე დააფიცონ და ფიცი გაატანინონ. თუ ვერ იფიცონ, რასაც მარიამელელნი ირჩიან, დარჩეს იმათა. ხატი მარიამელთ იპოვნონ, ლომკაციმ და ჩრდილისუბნელთ დაიფიცონ. თუ იფიცონ, რაც გოსტაშაბისშვილს ღალა წაუღია, ისევე მოსცენ. ქვს უხ, მკათათვის თ. მეფე ბაქარ.

ამ განჩინების მეორე გვერდზე შემდეგ ვერაილია:

ან შენა აქ გეუტქამ ამა ორთან მოსწერეთ, რომ ორთავის (ორთავის) სიტყვა ერთია, მაქ ბატონო, მე მინდა, ალლომ მოგახსენებ, დამიწერია და მოწამეცა ვარ. ჩემ მაგიერ ბატონს ჩემს ქეჩხედ კოცნა მოახსენე. ღთ რომ საქმე კარგათ მოვა, ბატონო მელიქო, ბადახუდას ანბავი ვერ შევიტყვეთ, თუ როგორ არის, ბაბახანის სიკვდილს ამბობენ, ოცი დღე არის, მაგრამ მეტხერე ანბობს, თუ გინდა კვდარი იყოს, თუ გინდა ცოცხალი, ერთი ანგარიშია, და ახლა ბატონო მელიქო, ბატონის-შვილმა ერთი ბარათი მიბოძა ფ[ა]ნბაკის (პამბაკის) ალღირებაზედ (აღღებზედ), მოვედი, ბარათი მოუტანე, არა მომცეს ჩემთვის, ერთი ცხენი გასტირდათ. წყალობას ვითხოვე შენი ნონიას გაზღასა, ცხენი ვარიგე, ამა გზობათ გამომიგზავნე, რომ ქვერთი, გახლავარა, ჰლიბათ ახლავ გარიგო და ერთი კაცს გამჩ-

ატანო, ფეხის ქირაც მივცემ, აქ ვინც ცხენს მომიტანს, ბარათს მივაბარებ, ბარათის (ბათის) პირიც ამ წიგნში ჩამიდგია, წაიკითხე, თუ როგორ დაუწერე (დუწერა), მერმე ესეც რომ შენ აქ საჩუქარი არ აგიღია. ის საჩუქრის საქმე და ბატონიშვილის საქმე სულ შეუტყვია ხანსა, ძალბან. მადლიერი არისოჲ თუ კაცობა(ა), კაცი ბატონიშვილი ყოფილა, მე არ ვიცნობდიო, ჩემი მტერ მოყვარეო, ლთ ჩემი იხტიარი: ბატონიშვილი არის; მეტი არავინ არ მინდაო. ხუილამ მამეს კლეღმა ასე გვანბო, ღვინობისთვის. დ. ქქს უპე (1797):

69. წერილი ვახტანგ მე-11 თავის შვილთან ბაქართან დაწერილია ქაღალტზე ლამაზის რგვალის ხელით. ნიშნებად იხმარება ზოგჯერ თითო და ზოგჯერ ორ-ორი წერტილი. თარიღი არა აქვს, მაგრამ ამის შემდეგ დაბეჭდილის სიგლიდან სჩანს, რომ ბაქარს მამის თხოვნა აუსრულებია 1723 წ. და მამასადამე ვახტანგის წერილიც ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს.

ბაქარ:

1723: ქ. მამის თქვენის ლთის წყალობად მისაჩენლო შვილო, მეფეე ბატონო, მრავალი მოკითხვა და ამოდ ყოფნის სიხარული მოგვიხსენებია, მერმე ეს გოშტაშაბისშვილი ამილ-ლაბარ ჩვენზედ ბევრს გაისარჯა, რაც შეძლებოდა, სამსახურა არ დაგაკლო, ჩვენს სამსახურის სანუქუოთ ეს წყალობა უბოძეთ განქს რაც აღიხანას შვილის ზალიას წილი მამული იყოს, თრდალეთს ჩუყულისცანი ავთანდილ კორკოტის კერძი მამული ამისთვის გვიბოძებია, თქვენც უბოძეთ და ნუქას შეუშლით: ვახტანგ (ხელხართულათ). გიუს რხელტეტაოფეღაუნ ამუცოლქასმ თე ამბოთი... ვსტ მიგრარიგ თე... ბინდემშ შინპოტტან ჩეცენ ათრე თოშტემ შეცნო აცხომბიგ თე რეოთყუიტიემ იოთციმ პიოლენნ ამ ასოლქამსემ თოლრეყო... თირი... ეფეათ ბანქამსიქსუ თოთრეც შინპოტტან თე მიტოლოც ქსტენ პიტსანს კთეამ მბრეიფნამულმ ტენო დოამიშტემ სინათოთყსუ ასოტ დიდდრეცენო ქეთო დმნენ

70. სიგელი, დაწერილია ქალაქდზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებად ნახმარია თითო წერტილი, შესავალი და უმნიშვნელო ადგილები გამოვტოვეთ.

1723, მკათათვის 9. ... ჩვენ საქარუველოს ტახტის და საპატრონოს ფლობით მპყრობელთ მქონებელმან, მეფეთ მეფემან და თვით კელმწიფემან პატრონმან ბაქარ, ესე...მამულის წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენს... დიდად ნამსახურს ყმას გოსტაშაბიშვილს ამილღამბარს და შვილსა შენსა დავითსა,, გიბოძეთ განქს ალიხანაშვილის ზალიას წილი მამული, რაც იყოს ყოველიფერი, თნააღეთ ზედ ზეკუღის ტანა ავთანდილ კორკოტის კერძი და ასუჭკეთს რაც სოღალაშვილიყ იესეს და ელიზბარის კერძი მამული იყოს...დაიწერა ბძანება და ფარმანი ქქსა უია, მკათათვის თ, კელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის თუშანიშვილის დავითისითა.

მეფეთ მეფეთ
ბაქარ

71. სიგელი, დაწერილია ქალაქდზე რგვალის მხედრულის ხელით. ნიშნებად ნახმარია ზოგჯერ ორ-ორი წერტილი თიფფეულის სიტყვის შემდეგ და ზოგჯერ სამ-სამი. შესავალი და ბოლოს წყევლა განგებ გამოვტოვეთ.

1720, ანჯრას 1. ქ. ნებიტა და შეწეწენითა... ჩვენ მეფეთ-მეფემან, თვთ კელმწიფემა, პატრონმან ვახტანგ, თანა მცხედარმან ჩვენმან, მლისაგან (ღვთისაგან) სამართლად ცნობილმან და საფარველსა ქვეშე მისა შევრდომილმა, დედოფალთ დედოფალმა; ჩერქეზის ბატონის ასულმა, ბატონმან რუსუდან, პირმშომან და სასურველმა მღაივ აღმატებულმან მლივ (მლითი) დამყარებულმან, მეფემ, პატრონმან შანავაზ, და გიორგიმ ესე... წყალობისა და მამულის სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერთგულთა წესისაებრ თავდადებით მრავალგვართ ნამსახურსა ზაზუნაშვილებს ზაალს, ერასტის, ბეჟანს, გიორგის და იორამს, მაქამსა ოდეს მოგვიდევით კარსა წყალობისა ჩვენისათა, თქვე-

ნის უშვილოდ ამოვარდნილის ბიძის ღურმიშხანის წილის მამულის წყალობას დაგვეჯეინთ, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ბიძის თქვენის წილი ნაწიას გოგიას შვილის საკვამლო, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ქვათეთრას რაც ფალან-ხოსროსაგან ბარათიფ წილი გამოგყოლოდეთ, იქვე გოგიას შვილის ვენახი, საკვეცეს ტარიკაძე, ცხნაძს ლომშერა აქვე ცხნაძს ხოდაბუნი, ეწას რაც ღურმიშხანის წილი მამულია, გლეხი ფოთოლას შვილი და სალაღას შვილი, ცხვრის ტბელისას შვილი, დათუნას შვილი, ფეკიკას მამული; ბუჯდუღეთს სასახლე და იქვე ზვარი; ახადშენს ადუა შვილი; ბეოენიას (sic) ბერუა; ჯანდარს რაც ბიძის თქვენის წილი მამულ იყოს. ეს გლეხები დღეს, რისაც მამულის მქონებელნი იყუნენ თქვენთვის წყალობა გვიქნია . . . დაიწერა ნიშანი და ბძანება ესე კელმწიფეთა იანვრის ა. ქქს უც (უჰჰ?), კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის შანშიან მარტიროზის შვილის მდივნის ბეგთაბეგისათა. ვახტანგ (ხელჩართულათ).

72. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალღალღზე მხედრულის ზქლით. წიგნის შინაარსია აქ მარტო მოყვანილი.

1724, მაისის 30. ქქს უიბ, მაისის გასულს, ხუნას შვილს ერტი შვილს პეტრეს მიუყიდა გოსტაშაბის შვილის ამილდაბარისთვის და მის შვილებს დავითის და ვახუშტისთვის დბაგს ადგილი. მოწმენი: გერმანოზის შვილი ჰაატა, ქეთარი შვილი სულხან, გიორგი და ალექსანდრე გურიელი. დაუწერია იესე ფარგმუზის შვილს.

73. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალღალღზე მხედრულის ზელით. თითოეულს სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. უმნიშვნელო ადგილები გამოვტოვეთ.

1724, ენკენისთვის 13. ეს ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ ქავთარას შვილს მანუქარას*) ქალმან მარიაძე,

*) ამ ხაზგასმულის სიტყვების შემოთ სხვა ზელით და მელნით აწერია: ჩვენ გურიელისა შვილმა ალექსანდრემ.

ქაიხოსროს ცოლყოფილმან, თქვენ გოსტაშაბისშვილს ამილდა-
ბარს, შვილთა თქვენთა დავითს, ვახუშტის და პატას... მოგყიდეთ...
ნაქუდადგეში ოტიაშვილის ნაქრნი მიწები, მოწამე: ნამან გლეღავის
შვილი როსტომ და ჩემი მახლი ზაალ, გერმანოზის შვილი პატა,
ქავთარის შვილი სულხან, ქავთარის შვილი გიორგი, ქავთარის-
შვილი ზაზა-ქაფულფათის შვილი ბეჟან, ჩემი ყმა გოგიჯანას
შვილი გიორგი. ბუზღულას შვილი ნასყიდა, მე გაბრიელს საგნო
ნაშვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა: ცამეტს ენკე-
ნისთვეს, ქვს უბი.

ალექსანდრე

74. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალღმერთის მხედრულის ხელით.
თითოეულის სიტყვის შემდეგ უზის ორ-ორი წერტილი. მოწმეების
სახელების შემდეგ ყოველგან უზის +

1725, წაბრადს 17. ქ. სახელითა, სახხერითა არსე-
ბა დაუსრულებელისა ... ურულოსა, ურაბამოსა ... ესე მტკი-
ცე და შეუცვალეველი ყოვლის ხლათისა მიზეზისა და ილღ-
თის განწმენდილი და არა სადა ბატონობაში მიაუშვებელი,
ჟამთა და ხანთა უკუნისამდე გასათავებებელი, სამკვიდრო და
საბოლოოვო გამოსადეგი წიგნი და სიგელი დაგიწერე და მო-
გართვით ჩვენ თარემუზის შვილმა ბეჟან და შვილმა ჩემმან
როსტომ, თქვენ გოსტაშაბის შვილს ამილდაბარს, შვილსა
თქვენსა დავითს, ვახუშტის, პატას და ბარამს და მომავალ-
თა სახლისა თქვენისათა, ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე ჩე-
მი სამკვიდრო, რაც ჩემი წილია ქალაზედ, შენს ნასყიდს ვე-
ნახთან ჩემი ნავენაკობი, ზევით თავისის ტყითა ზაზაის კევამდის...
არის ამის მოწამე პირველად ღმერთი და ყოველნი მისნი წმდ-
ღანი და კაცთაგან გერმანოზის შვილი დათუნა, პატა და ოთა-
რი, ნამან გლეღავის შვილი როსტომი, და გუგუნა გუგუნა ბა-
რათა შვილი, აფუ-
ლფათის შვილი ბეჟან, ბეჟან, სამის შვილი ნაწამ და ედიშერ,
ქავთარის შვილი სულხან, გიორგი, ზაზა და იონათამ, ზაზუნა-
შვილი ზაალ და გორამ, საგინა შვილი იორამ, იოთამ, დათუნა,

როსტომ და ჰაატა, ჩიქუთას მლუდელი იესე, გორჯასპის შვილი დათუნა, ყორღანაშვილი ზაალ და ფრიდონ და მე შერმაზან ყოფილს შიოს დამიწერია და მოწამეცა ვარ დაიწერა აპრილს იზ გასულსა, ქქსა უიგ.

75. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალაღზე მხედრულის ხელით. ამ წერილის მარტო შინაარსი გვაქვს ჩვენ ჩაწერილი.

1728. ქქს უიგ, თებერვლის დამდეგს, საგინაშვილები ქაიხოსრო, ზაალ და დათუნა აძლევენ ნასყიდობის წიგნს გოსტაშაბისშვილს ამილდაბარს მღშეში შავერდიშვილის მიწის შესახებ. მოწმენი: ჩხვკთის მამასახლისი ზაქარია, ჯავახისშვილები მძულია, სმაუტასშვილი მძულია. მე მღდელს ფარემუზისშვილს იესეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

76. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალაღზე მხედრულის ხელით. წიგნის მარტო შინაარსია აქ მოყვანილი.

1731, ქქს უით—გიორგობისთვის 17-ს, ჩიტქმშვილს ბერუას მიუყიღია ტახტას(?) გიორგი ფეხისშვილისათვის მამული ქაქაბაში. წიგნი დაუწერია ბაგარატ გაბაშვილს:

77. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალაღზე მხედრულის ხელით. აქც მარტო წიგნის შინაარსია მოყვანილი.

1731, გორგობისთვის 17-ს ბერუა ჩიტქმშვილს მიუყიღია ტახტ ხელფეხისშვილის გიორგისთვის დამისი შვილებისათვის კაკია, დარჩია და თამაზასათვის თავისი სამკვიდრო მამული, მოწმენი: მღდელი იოსებ და დათუნაშვილი ქიტუა, ძეგაშვილი ემაჯ და მე ბაგარატ გაბაშვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა გიორგობისთვის იზ, გასულს, ქქს უით.

*) ბეჭდის წარწერა ხუცური ასომთავრულია.

ათასი სიტყვა-კაზმული ქმნილებაა დაწერილი ამ ძალადის გრძნობას გასათვალისწინებლად, მაგრამ ბუკრია მათ შორის ნიჭიერებითა და გენიოსობით დაწერილი?! ზოგისაში რომ საქმე მართლ იდუა იყოს, თვით ზოგისა თითქმის აღარა იქნებოდა-რა. საქმე აზრის განცხადებაა, განხორციელება; საქმე ის არის, რომ აზრი ხორც-შესხმული იყოს ადამიანივითა.

რთიჯელის დიდი ძალა და მნიშვნელობა, კიმეორებთ, დამყარებულა იმ მცირეოდენ ლექსებზედ, რომელიც ასურათებს და ჭსატაცს საკვირველის სიყვარულითა, საღვარის გულთა-მსილაობით ჩვენს გლეხკაცობას, მის ჭირსა და კარამს, მის დარდსა და მწუხარებას, მის სიამოვნება-სიხარულს და უოკელ-დღიურს ცხლავებას. რაფაელი განსაკუთრებით გლეხ-კაცობის ზოგია, ბესავის მხატვარია, მისის მწუხარება-სახარელის შემსტიანია. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, რაც ვსთქვით. ეს კიდევ ჯერ საესებითა და სისრულით გერა ჭსატაცს ამ ღირსებას, რომელიცა აქვს რაფაელის ზოგისას. მხატვრობაც არის და მხატვრობაცა. ზოგმა შეიძლება თავისი დღენი სულ გლეხ-კაცობის შესახება სწეროს ლექსები, მაგრამ ზოგის სასელიც არ დაიმსახუროს, არა თუ გლეხ-კაცობის ზოგისა. ზოგმა რაფაელის ჩანგი ნეკრასოვისსა შეადარა, მაგრამ ეს შეცდომა გეგონია. ნეკრასოვია მგოსანი დარდისა და მწუხარებისა და არა გლეხკაცობისა. დიად, ნეკრასოვიც დაჭმდურს—უფრო მწუხარებით—გლეხ-კაცის მწარე სეიდრსა და ბედს, მაგრამ მისი მდურა, მისის ჩანგის სიმითა სმა უმეტეს შემთხვევაში თვით გლეხ-კაცის გულიდან როდი ამოდის, როგორც ან რაფაელის ლექსებში ვსედავთ, ან კალცოკასაში,—ამ მართლად და რუსეთის «მუჟიკობის» ჭეშმარიტის მგოსანის ნაწერებში. არა. ისა სწუხს და დარდობს იმისათვის, რაც, მისის აზრათ, არის ღირსი მწუხარებისა გლეხ-კაცის ცხოვრებაში. საერო მგოსანმა ისეთს კილღზედ უნდა ააუღეროს ჩანგი, რომ სრული ილღიუზია დაჭბადოს, რომ ჩვენ, მოტუეებულები, თითქო დაბრმავებულები, კელარც კი ვსედავდეთ თვით მგოსანს, არამედ ჩვენ თავლ-წინ იდგეს მართლ ტიპიური წარმომადგენელი ერის უმრავლესობისა, მარტო ის, კინცა სწუხს, ანუ ჭსარობს. იქნება ვსცდებოდეთ, მაგრამ ჩვენ გეგონია, რომ ასეთს ილღიუზიამედ ნეკრასოვი მხოლოდ

ორიოდ-სამიოდე ლექსში აღვიდა, მისმა სამგოსნო ნიჭმა ამ აღმ-
ფრენამდე აღწია მხოლოდ ორ-სამ ვატარ ლექსში და პოემაში:
Кому на Руси жить хорошо? სულ სხვაა კალენოკი, რომელსაც
თითქმის საკუთარი არა გააჩნია-რა, ისე განუყოფელად კუთუნის გლეხ-
კაცობას. სულ სხვაა რაფაელი, ესეც, რასაკვირველია, ზოგიერთს
ლექსებში, როგორც, მაგალითად: «თინას მამითადა», «ნეტა
რას ტირი, დედილო», «ქალი-აყვანა», «თანდილას დარდი» და სხვ.
საერთო კილოზა დაწერილი აგრედვე უმეტესი ნაწილი ბაჩანას ლექ-
სებისა; ასევეა დაწერილი ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი ვატარ ლექსი
და დიდი პოემები: «გოგოთურ და აფშინა», «მოსუგის ნათქვამი»,
«აღუდა ქეთელაური», «ბანტრიონი», «ეთერიანი», «სტუმარ მასშინძე-
ლი». ამისთანა ლექსებში, გინდა პროზაში, მეტადრე, როცა პირუტყვ-
ნი, ან უსულო საგნებია გასულდგმულეული: შულის ნუკრი, ია,
წყარო, სმელი-წიფელი, მუხის ფესვები, ქეჩი, დიდა ილლიუზია. სად-
ღაა აქ ავტორი? ვიღას ახსოვს მაშინ დამწერი? ასეთი სრულია
ილლიუზია, ასეთი ძლიერია მოხიბლვა მკითხველისა და, მაშასადამე,
მზად არის ყოველივე მის დასატკობად, მისი გულის მიღავრად
მისამკრელ-მოსამკრელად და მადლიანის ცრემლების დასაფრქველად,
სულ ერთია, სინარულისა იქნება იგი ცრემლები, თუ მწუნარებისა.
აი სწორედ ისე, როგორც ნიჭიერად დაწერილს დრამის უუჩრებო
სტენანჯედ და მთელი გულის-უური, მთელი არსება თქვენი შთან-
თქმულია დრამის გმირთა სვე-ბედით და სულ აღარ გასსოვთ თვით
ავტორი, შემოქმედი დრამისა, რომელიც არის გვირგვინი საპოე-
ზიო შემოქმედობისა, უუძველესი მისი დარგი. ავტორს იგონებო მხო-
ლოდ მაშინ, როცა მღელვარება თქვენი სუსტდება, გონს მოდი-
ხართ, ვატარას მიჰიდდებით და ჭკითხულობთ, სადა ვარ, ცხადი
იყო ესე ყოველივე თუ სიზმარიო.

გაგვრით შევნიშნავთ აქ: დრამა იმიტომ არის გვირგვინი შე-
მოქმედობისა, რომ სხვა ყოველგვარ შემოქმედობას—სალირიკოსაც
და საკუბოსაც—ისა აქვს იდეალად. ყოველი ვატარ თუ დიდი ლექ-
სი, პოემა, თუ პოეტური პროზა იგივე დრამაა და იმდენად უფრო
მეტის ღირსებისა, რამდენადაც უფრო ძლიერია შიგ დრამა, ესე
იგი მოქმედება სულისა, ძვრ ცრმობისა, ტვიკალი თუ სიამოვნე-

83. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალაქზე მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი. უმნიშვნელო ადგილები განეგბ გამოვტოვეთ.

1736, ანგრას 5...ესე მტკიცე და შეუცვალეზელი და ყოვლისა ხლათისა მიზეზისა და ილეთისა განწმენდილს, არსად ბატონობაში მოუშლელი, ჟამთა და ხანთა... წიგნი და სუგელი დაგიწერეთ, მოგართვი მე უსუბეგისშვილმა ქაიხოსრომ თქვენ გასტაშაბისშვილს ამილდაბარს და შვილსა თქვენსა ვახუსტს, [მო]შავლსა სახლისა თქვენისასა, ასე რომე დაგვექირა და ჩემი სამკვიდრო მამული მოგყიდე აბტაქეთს... მოწმენი: თარსადა-ნისშვილი შიოშ. მე სამს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა იანვარს ე გასულს, ქქს უკლ[]. ამის მოწმე... კათაგან ნამაგლეღავისშვილი გუგუნა[], ედიშერ[]. გერმანოზისშვილი გუგუნა[], ქავთარისშვილი სულხან, გერმანოზისშვილი პატა[].

84. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალაქზე მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი. უმნიშვნელო ადგილები გამოვტოვეთ.

1736, ფებერვლის 19...ეს ნასყიდობის წიგნი მოგეც მე გურიელმა ალექსინდრე და მეუღლემბა ჩემა მახიამ შენ გასტაშაბისშვილს ამილდაბარს, შვილსა შენსა დავითს, ვახუშტის და მომავალთა სახლისა შენისათა, მოგყიდე მიწა ბუჯდუღუთს ქალაზე... მოწმენი: ნამაგლეღავისშვილი როსტომ + გერმანოზისშვილი პატა (პატა), ქავთარიშვილი სულხან + იარაღისშვილი როსებ, ყორღანასშვილი ფარემუზა და ფრიდონა, მე დოუბსელს ქრისტესიაშვილს ისე მღვდელს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი, დაიწერა ესე წიგნი ფებერვალს ცხრამეტს, ქქს უკლ. [მონა დთისა ფარემუზა] [] []

85. განქორწინების ოქმი; დაწერილია ქალაქში შემეწიერის რეველი მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება ორ-ორი წერტილი.

1740, აგებუდას 8. ქ. შოურავის შვილი თარხანი ლუარსაბ გოსტაშაბის შვილს ამილდაბარს მძახლებიყო, ლუარსაბს თავისი შვილი იორამისათვის ამილდაბარს ქალი ეთხოვნა და დაქორწინებინა, თუცა ხანი დაეყოთ ქორწილს უკან, განა შფოთითა და სიძულილითა. რა ერთმანერთისობა აღარ მოჰყდენოდათ, მრვიდნენ და ჩვენ ყოვლის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ბატონი შვილს ბატონს დომენტის მოგვახსენეს. აწ ჩვენ ყოვლის საქართველოს მაკურთხეველმან კრება ვყავით და დავსხით: მთავარ ეფისკოპოზნი ბატონი კირილე, ტფილელ მიტროპოლიტი ბატონი ეფთვიმე, და ყოველნი ქართლსა ეპისკოპოზ წინამძღვარნი, და სამღვდლონი დასნი, აგრევე საწ ქართველოს დარბაისერნი (sic): სარდალ-მდივანბეგი ბატონი ქაიხოსრო, მისკარბაში ბატონი გივი ამილახორი, ბატონი ოთარი, და ყოველნი საქართველოს დარბაისელნი, გავსინჯეთ ამათი სიტყვა და საჩივარი, დიდის გამოწულილივით გამოვიკუთლიეთ და შევიტყეთ, რომ, რა ჯვარი დაწერათ და შეერთებულყვენ, მაშინვე სიძულილი და უყვარულობა სთვისებოდათ, და არც მას აქეთ ამათში ერთობა და საცოლქმროთ შეყრა ჰქონებიათ, ცხრა წელიწადი გავიდა ამათს ქორწილს უკან, მრავალს ცდილიყუნენ ამათნი დედ-(მა)მანი ამათის შეერთებისათვის, მაგრამ არას სიტკობებით და არას სიმწარით ამათ ერთობა აღარ ექნათ, ახლა რადგან თვითცა ერთმანერთისაგან მომწირების ნება ჰქონდათ და ჩვენც შენდობას გუთხოვდნენ და ვხეტყვდით, რომელ სიძულილსა შინა მტრობა და კაცის კლეა მოჰყდებოდა, და ესე ბოროტი უფროსად გავრცელდებოდა, ამისთვის ჩვენცა ჩვენთან შეკრებულთ ამათ პატიოსანთა სამღვდლოთა დასთათა და თანა მოწმებთა საქართველოს მთავართათა შენდობა მივეციით, რომელ თუცა ვაჟსა ენებოს ვისიცა ქალი, ცოლად შეერთოს, და აგრევე ქალმა, ვინცა უნდეს, ქმრად შეერთოს, ერთმანერთთან არა რა კელი აქუსთ და არცა-რა სადაოდ რამე სა-

ლაპარაკო გაგვიშვია, ეს ასე გაგვირიგებია და დაგვიმტკიცებია, ფებერვალს C, ქკს უკC. კათალიკოზ პატრიარქი ღომენტი (ხელჩართულად).

ოქმის თავში აწერია: ქ. ჩვენ ყოვლისა საქართველოს პატრიარქი ასრე ვამტკიცებთ, ვინც ეს ჩვენგან გარიგებული და კრებისაგან დამტკიცებული წიგნი და გარიგება მოშალოს, წმიდის ეკლესიასა და ჩვენს წყევას ქვეშ იყოს (ამ წარწერას შუაში უზის კათალიკოზის ბეჭედი. განის აშიაზე პირველად სპარსული თუ თათრული წარწერაა და ბეჭედი). მერმე სწერია: ქ. ჩვენ ქართლისა მთავარ ეფისკოპოზი კირილე ამის მოწამე ვართ. მთავარ ეფისკოპოზი კირილე (ხელჩართულად).

ქ. ჩვენ ტფილელი მიტროპოლიტი ეფთვიმე ამისი მოწამე ვართ []. ქ. ჩვენ ურბნელი ეფისკოპოზი ნკზ ამისი მოწამე ვართ. ურბნელი ნიკოლოზ (ხელჩართულად).

ქ. ჩვენ ბატონი ამირახორი ოთარ ამისი მოწამე ვართ [ოთარი].

ქ. ჩვენ მიშკარბაში გივი ამისი მოწამე [].

86. პირთბის წიგნი, დაწერილია ქალაღზე მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება წერტილები, მაგრამ იშვიათად.

1746. ქ. ჩვენ ერისთავმა დავით ესე წიგნი მოგეცით შენ ესისტაშვილს პაატას, ასე რომ კადაღელა ჩვენი ყმა შავში-შვილი მამადყული-ხანის დროს ცარიელი კაცი ყმათ მოგსლოდა, მერე ისევ თავის მამულზედ წამოსლა მოინდომეს, რაც შენს მამულში მოექონებინათ, უნდა გამოგერთო, მაგრამ არა გამოგერთმევენა რა და არც წამოსლა დაგეშალა, და ეს ჩვენი კაცნი კაის სარჩოით მოგართვი, ჩვენც ეს წიგნი მოგეცია, თუ როდისმე ამით ვისმე კახეთს ისევ წამოსვლა მოუხდესთ, თქვენს მეტს საქმე არავისა ჰქონდეს და აღარც ჩვენ გედავენთ, ღმერთმან მოგახმაროს, რადგან შენ ჩვენი ასეთი ხათრი შეინახე, ჩვენც ეს წიგნი მოგეცით. დაიწერა ეს წიგნი ღვინობისთვის(?), ქკს ულდ.

მოწა ღთისა ერის-
თავი დავით

87. ნასყიდობის წიგნი 45X37 სანტიმეტრი, დაწერილია სქელ ქალაღდზე ლამაზის რგვალის მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება თითოწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. შესავალი განგებ გამოვტოვეთ.

1743, მარტის 25 ...ესე... მტკიცე ზე უცვალეზელი ყოვლის ჩხუბისა და ილათისაგან გამოსული და ყოვლის კაცის მოუდუვარი ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვით ჩვენ გოშტაშაბიშვილმან დავით, ძმამან ჩემმან პაატამ და ბარამ, ბიძაშვილმან ჩემმან ზაზამ, თქუენ ჩუენს კელმწიფეშვილს ბატონიშვილს ბატონს ანუკას, ასე რომ ჩუენის ნება წადილით მოგყიდეთ ჩვენ სამკვიდრო აკურის ჩენი ყმანი მელაიშვილი ოქრია თავისის მამულითა, დავდავაშვილი თამაზა თავისის მამულითა, ამბალაშვილი ზურაბა თავისის მამულითა, ბერიკაშვილი ივანა თავისის მამულითა.... მოწმენი: საამიშვილი ელიშერ და იმისი ბიძაშვილი საამ, ნამანგლელაიშვილი გუგუნა, გერმანოზიშვილი გუგუნა, თაყაშვილი როსტომ +, ფრანგი სიმ ვანაშვილი პავლე, ჩალუანი მარტილოზა, და მე მალალაძეს ნიკოლაოზს დამიწერია. და მოწამეცა ვარ ამისი, და თუ ამაზე გედოასთ ვინმე..., პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყნეთ, რომელიც აზირში ვიყენეთ. დაიწერა თვესა მარტსა კე, ქკს ულა.

დავით

ბატონიშვილი უსენგვ

ამაზე სწერია: ქ. ჩვენ ბატონიშვილი ნიბი ისპუბეგ ამისი მოწმე. ქ. ჩვენ ბატონიშვილი ჰუსენ-ბეკ ამისი მოწამე ვარ.

88. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალაღდზე მხედრულის ხელით. ნიშნებად ნახმარია ორ-ორი წერტილი. შესავალი გამოვტოვეთ.

1745, მარტის თვის 10. ...ესე ნასყიდობის წიგნი ზე სიგელი დავიწერე და მოგეც მე გოსტაშაბიშვილმა ვახუტემ დაშვილმა ჩემა გიორგიმ და სახლისა ჩემისა მამავალმა შენ ასლანისშვილს იასესა ზე შვილსა შენსა ფარემუზს ზე პეტრესა, ზე მომავალსა სახლისა შენისასა, ასე რომე მოგყიდე ჩემი წილში ნარგები

ბარათში გამოყოფილი უსუფასშვილისაგან მოსყიდული თბ-
კუჭა ნაფენახობი შენს ეენახამდი...კაცთაგან არიან ამისი მო-
წამენი: ჩემი ბიძაშვილი ბეჟან გერმანოზის შვილი, უზბა-
ში პაპუა საამისშვილი, ედიშერ ქავთარისშვილი, ნიკოლოზ
თაყაშვილი, როსტომ ქოუშვილი, კაცია გოგორიძე. მე დავითს
დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა სიგელი ესე მარიამო-
ზის ი, ქქს უვლ(?) (უნდა იყოს ულოვ). ქ. მე პაპუნა გოსტა
შაბიშვილი ამისი მოწამე.

89. ბძანების წიგნი ერეკლე მეფის II-სა, დაწერილია ქალაღზე მხე-
ღრულით, რომელიც თვით ერეკლეს ხელი უნდა იყოს.

1747, ენკენისთვე. ჩვენი ბძანება არის, სულო, მერმე ესი-
ტასშვილს პატას, ნასირს დავითს (ნასირის დავითის) კაცისათვის
ჩხუბი უქნია და პატაცა და იმისი კაცი სინჯივასშვილი გული-
ლადარასშვილისთან წამოიყვანე და ნაზირს (ნაზირის) კაციც, სა-
მართალს უზამთ. ენკენისთვის, ქქს ულე. ერეკლე

90. სიგელი დაწერილია ქალაღზე რგვალი მხედრულის ხელით.
ნიშნებად იხმარება თითო-თითო და ორ-ორი წერტილი. შესავა-
ლი და სხვა უმნიშვნელო ადგილები გამოვტოვეთ.

1749, თებერვლის 1. ...ესე...წიგნი და სიგელი დაგიწერე
და მოგეც ჩვენ ქსნის ერისთვის ბატონის შანშეს მეუღლებ, ბა-
ტონმა ანახაუმ, თქვენ ჩემს ძმას პაპუნას, ჩემს ძმის წულოს იოანეს,
ასე რომე დადებას და დღღღღღა თქვენგან გასყიდული მამული
იყო, რომ სხვას ეყიდა, ზოგი სხვა ვიყიდე, ეს მამული. რაც ჩე-
მი ნასყიდი იყო, სულ თქვენთვის უკლებლივ მომიცემია, არა-
ვინ იყოს მოცილე და მოდავე, რატგან რომ ასე მოჰკდა, რომ
მე უშვილობა მეწია, მამულის რალას კელსა ვყრიდი, არავინ
იყოს ამის მოდავე თვინიერ ღთის მეტი, ვინცა ამისად შლად
კელ ყოს, მასცამს რისხავს ღმერთი...წელიწადში თითო ჟამს
ჩემთვის აწირინებდეთ და ეს უკუნისამდე ასე გაგითავდესთ, ამ

მამულის სიგლები უწინდელი და ახლანდელი სიგლები თქვენ მოგე, არის ამისი მოწამე პირველად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი, კაცთაგან გოსტაშაბისშვილი ბეჟან *), გერმანოზისშვილი გუგუენა + *), საამისშვილი ედიშერ *), ნამანგლეღავის შვილი ქაიხოსრო [], ქავთარისშვილი ედიშერ + *), გერმანოზისშვილი ქაიხოსრო [], ქავთარისშვილი ნიკუზ [], საეიწაშვილი როსტომ [როსტომა], მე სიონის კანდელაკისშვილს ისაკს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა თებერვლის დამდეგს, ქვს აქეთ ჩღმთ, ქვს ულზ.

ქ. მე ფრიად ცოდვილს თქვენს დასა და მამიდას ანახანუმს ამისი ყაბული მაქვს, ძმაო პაპუნავ, ძმის წულო იოანე, წელიწადში თითოს ქამს მიწირვედეთ, შენდობას მეტყოდეთ.**) [ანახანუმ]

91. სიტარხნის წიგნი, დაწერილია ქალღმრთელ მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება ზოგჯერ თითო, ზოგჯერ ორ-ორი და ზოგჯერ სამ-სამი წერტილი. შესავალი და სხვა უმნიშვნელო ადგილები გამოვტოვეთ.

1665, მაისის 1. გიბოძეთ ჩვენ პატრონმა პაპუნმან და სოსიტამან¹⁾ შენ ჩვენს ერთგულს ყმასა ოქროპირსა, ძმასა შენსა პაპუნსა, გიბოძეთ გულუას მამული, სახლი, კარი, ვენაკი, საკნავი . . . რადგან მღრღელი იყავით, ჩვენის დღმამის (sic); საფლავზე დაგაყენეთ, სიტარხნეც მოგვიცემია: არც გეტხოვე-ზოდეს ღალა, არც კულუხი . . . მოწამე: ტურღანაშვილი ბეჟან, ბერძნისშვილი შანშე, მისი ძმა ბეჟან, თუმან კირიკაშვილი, შალვა ჩეკურიშვილი, პაპაი მხლძე (sic), ხარაზისშვილი ბასილა, გოგიტა ძბილიშვილი, ანდრია ინთაძე, ბერიკა თეგძე . . . დაიწერა ქვს ტნგ, მაისის დამდეგს [პაპუნა] [სოსიტა].

წელიწადში ერთი კი მასპინძლობა, როგორც თქნ (sic) გინდოდეს, ისრე დაგვიდებია ოქროპირსა პაპუნასათვის.

*) ადგილია დატოვებული დედანში ბეჟანისთვის.

**) უკანასკნელი სამი სტრიქონი ანახანუმის ხელით არის დაწერილი.

1) მერმე გაუსწორებიათ: გოსტამან.

92. აზატობის წიგნი, დაწერილია ქაღალდზე მხედრულის ხელით. ამ წიგნის მარტა შინაარსი მოგვყავს აქ ისე, როგორც ჩვენს რეპლშია მოყვანილი.

1756, თიბათვის 1. ერისოვის ნაზირს, კარაღეთის მოურავს, თავქალაშვილს გიორგის, მიუტკია აზატობა გერმანოზის-შვილის ომანის ყმის ენაგელის უსატაშვილის ბეჟანისთვის, ამის სამაგიეროს მისგან ითხოვს, რომ წელიწადში ერთხელ აწირვინოს და ერთი ცხვარი დაკლას და გლახებს აქამოს. ქქს უმდ, თიბათვის დამდევს ერთს. მოწმენი: პაპუნა გოსტაშაბისშვილი, იოსებ თულაშვილი, მამასახლისი თუმანიშვილი გიორგი, ბუნდაშვილი თევდორე. თვითონ მე თავრქლიშვილს გიგილს დამიწერია, ყაბულიცა მაქვს ამისი. ქქს უმდ. □

93. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქაღალდზე მხედრულის ხელით. ნიშნები წერილში არ მოიპოვება. უმნიშველო ადგილები გამოვტოვეთ.

1762, მაისის 7. ...ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ გერმანოზისშვილმა ომან და ძმამა ჩემა ოთარმა თქვენ თავქალაშვილს, ერისთვის ნაზირს, გიორგის ზ სახლისა მომავალსა შენისასა... მოგყიდე ჩემი ალალი ყმა... უსტაშვილი ენაგელი ბეჟანა და შვილი მისი ნაზირა და როსტომა, არუთინა თავის ხიზნით... მოწმე და დამსწრე პაპუნა გოსტაშაბისშვილი და ბიძაშვილი ჩემი პაპუნა, ქავთარიშვილი ნიკოლოზ, და კარაღეთის მამასახლისი გიორგი, და რესკელი მამასახლისი სულიაშვილი პაპუნა და ბუდუდაშვილი ფირუა, და მე უფლისციხელს ხუცისშვილს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ესე სიგელი (sic) ქქს უკლ(?) (უნდა იყოს უნ), მაისის შვიდს გასულს.

94. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალაღზე მხედრულის ხელით. ნიშნებად ნახმარია თითო წერტილი. უმნიშვნელო ადგილები გამოვტოვეთ.

1774, აზნაღის 28. ...ესე ნასყიდობის წიგნი ღ სიგელი დაგიწერე და მოგართვი თქვენ სარდალს, სალთხუცეს დაეითს, ძმასა თქვენსა ნიკოლაოზს და ქაიხოსროს, შვილსა თქვენსა იოანეს და ყაფლანს, ძმისწულსა თქვენსა: გიორგის, ზურაბს, ასლანს და იოსებს. მე დედოფლის ეშუკალათბაშმამ იარალიმ, ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე ჩემი სამკვიდრო მამული ღაშა, თავის წყლით ღ წისქვილით ქვაბებით თავის სამძღვრამდინ; ნახაჯატყვი თავის ქვაბებით, წყლით და წისქვილით სამძღვრამდინ; ჭოტბეს შენი სოფელი თავის მთითა და სათიბით, წყლით და რისაც მქონებელი ვიყავ, ყველა მომირთმეგია ჩემის ნება-წადილით...

მოწამე კაცთაგან ზურაბისშვილი ზურაბ მორდალი ზურაბი, აბაშისშვილი ლუარსაბ მონა ღა ლუარსაბ, ნამანგლელევისშვილი ვახტანგ მონა ღისა ვახტანგ ბარათალი.

ქეთარისშვილი ნიკოლაოზ □, მე სიონის კანდელაკს ისაკს დამიწერია და მოწამეცა ვარ, დაიწერა აპრილის კვ, ქქს უახ □.

95. წყალობის წიგნი, დაწერილია ქალაღზე მხედრულის ხელით. ნიშნები არა აქვს. შესავალი და სხვა გამოუხსადევი ადგილები გამოვტოვეთ.

1776, ქრატყეშობასთვის 16. ...ჩვენ ზურაბისშვილებმა, ბატონმა ზურაბ სუფრაჯმა, და ძმამან ჩემმან სვიმონ და შვილმან ჩვენმა დავით ესე წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით შენ ჩვენს მემკვიდრე ყმას ყაბუზის გირაგოზასშვილს სვიმონას, ამოვარდნილის სუმბატასშვილის ნაქონი საწისქვილოს ადგილი თავის სამართლის სამძღვრით წყალობა გიყავით და მოგეცით. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან... მოწმენი: ქანანასშვილი გოგია და სესიტას შვილი გოგია. მე დავით მღვდელს და

მიწერია და მოწამეცა ვარ, დაიწერა სიგელი ესე თვესა ქრისტეს
შობისასა ივ, ქრისტეს აქეთ ჩლოვ, ქქს უჲდ [] [] [] .

96. წყალობის წიგნი, დაწერილია ქალღმერთ მხედრულის ხელით.
ნიშნებად იგიც იშვიათად იხმარება თითო წერტილი.

1778, ნოემბერს 11. ქ. ესე წიგნი გიბოძეთ ჩვენ ზურაბი-
შვილმა სვიმონ და შვილმა ჩემმა დავით ნაზირმა თქვენ ჩვენს ერთ-
გულს ყმას, ახპატელს ყაბუხანთ კირაკოზას შვილს სიმონას, შვილ-
სა შენსა სტეფანას, ოსანეზას (sic), სარქისას და სახლისა მომავალ-
სა თქვენსა... გიბოძეთ ზეჲთ-სა და დახანთ ნათესავარი... დაიწერა
ესე წყალობის წიგნი, ნოემბერს ია. ქქს უჲდ [] [] . ქ. მე ზაალს
ზურაბის შვილსა ამ სიგელის ყაბულთ ვარ. []

97. მუხალგის, ანუ პირობის წიგნი, დაწერილია ქალღმერთ მხედრუ-
ლის ხელით.

1772, თებერვლის 14. ქ. ამ მუხალგის წიგნს ვწერთ ჩვენ
ასლანაშვილები გლახა ღ ივანე: ესიტაშვილთან ფარსადანთან დავა
და სალაპარაკო არც პატონთან (sic) და არც ქვეყანაში სალაპარა-
კო და სადავო არა გვეკონსდეს რა, არის ამისი მოწმე სახლო-
ხუცესი აზნაურიშვილი გიორგი, დავით ხოსიაშვილი, სვიმონ
ომარაშვილი, ჩიტრეშვილი პატა. მე მოსე მღვდელს ამათის
სიტყვით დამიწერია და მოწამეც ვარ, ოკლობერს იდ, ქქს
უჲ+++.

98. შვირთობის წიგნი, დაწერილია ქალღმერთ რკვალის მხედრუ-
ლის ხელით. ნიშნები არა აქვს.

1778, ქრისტეშობისთვის 10. ქ. ესე საძმო ღ ერთობის წიგ-
ნი მოგე მე გოშტაშობის შვილმა დავითის შვილმა ერასტიმ და სახ-
ლისა ჩემისა მომავალმა შენ ჩემს ბიძაშვილს ბეჲანის შვილს ზუ-

რაბს და სახლისა. შენისა მომავალს ასე და ამა პირსა ზედა, რომ ავის დროს მიზეზით პაპა ჩემი და მამა შენი ერთმანერთს დაშორებიყვნენ და გაყრილიყვნენ და მას უკან კიდევ ძმობისა და სახლის კაცობის სიყვარულით ძმათ შეყრილიყვნენ, და ერთათ ყოფილიყვნენ, რომ მაშინდელი იმათი შეყრილობის წიგნი დღესაც არის. მას უკან კიდევ გაყრილიყვნენ, და ახლა ჩვენ ერთმანერთის სიყვარულით მოვიმდომეთ ძმათ შეყრა და ერთათ ყოფნა, და მე ერასტიმ ეს წიგნი და პირი ჩემის ნებით და მდობით მოგე, რომ რაც პაპას ჩემს თავისის საუფროსოთი სახლის კაცებიდამ წალი გამოჰყოლია სამკვიდრო, თუ ნასყიდობა, და თუ მას უკანდელი შემატებული ყმა და მამული, დღეს რისაც მქონებელი ვარ, ამ წიგნის მოცემაში ყმისა, თუ მამულისა, ამით ძმათ შეგყრივარ, რომ დღეის უკან ღმრთის მოწყალებით მე ჩემის მამულით და ყმით და შენ შენის მამულით და ყმით ერთათ ძმურებ სიყვარულიან უნდა ვიყვნეთ, და სიკვდილითაც ერთმანერთის ხელში უნდა დავიხოცნეთ, კურთხეულის ბებია ჩემის, შენის რძლის ნაყიდი რაც მამული არის, რომ იმისი ნასყიდობა წიგნი სახელდობრივ გამოაჩენს, მანამდინ ჩვენ ერთათ ვართ და ბებია ჩემის ნასყიდს მამულს მიუდგებით. იმ მამულის გამოსავალიც ორთავ ერთობაში უნდა მოვიხმაროთ, და სხვა რიგათ სამამულოთ შენ ზურაბს ბებია ჩემის ნასყიდობასთან საქმე არა გაქვს. ამას გარდა შენი წილი ნასყიდი, თუ უსყიდი ყმა და მამული, და ასრეთვე ჩემი ნასყიდი, თუ უსყიდი ყმა და მამული ღმრთისში, თუ ჭირში სამძოთ უნდა მოვიხმაროთ. ღმერთმან მაშოროს, თუ ეამთა ვითარებისაგან რომელსამე მიზეზით ან მე და შენი, და ან ჩვენის შვილებისა გაყრა მოხდეს, ამ გზით უნდა დავშორდეთ: რაც შენ შენის საჭირნახულოთი და ან შემატებულით ჩემს ძმობაში მამული და ყმა მოგყალიბოს, ის ისევე სრულებით შენი იყოს, და ასრეთვე რაც მე ჩემის საუფროსოთი და ან შემატებულით შენს ძმობაში მოგყალიბოს, ის ისევე სრულებით ჩემი იყოს, და რაც ღმრთის მოწყალებით ერთობაში ან ოჯახს და ან მამულს შევმატოთ, ის თანასწორეთ საერთო იყოს. ღმერთმან გვაშო-

როს, თუ მე ამოვსწყდე უძეოთ, ჩემი მამული და ყმა შენ დაგრჩეს, და თუ შენ ამოვსწყდე უძეოთ, შენი ყმა და მამული მე დამრჩეს ერთობაში. არის ამისი მოწამე ქავთარიშვილი ნიკოლოზ [], ნამანგლელავისშვილი სესია [მონა ღვთისა ივანე], იოთამის შვილი რევაზ, და მუსხელასშვილის დავით, მე თუმანისშვილს მდივნის გორჯასპისძეს მდივან ლაშქარნივის*) მანუჩარს ერასტის სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. მანუჩარ (ხელჩართული), აღიწერა ქრისტეშობის ი, ქვს უფე.

არშიახე: ქ. მე ორბელიანი სარდალ-სალოთ-ხუცესი დავით ერასტის ყაბულობით ამ საქმოს წიგნისა თანა-მოწამე ვარ.

[დავით]

ქ. მე დავით აბაშიშვილი ამ წიგნისა ტეტეას სიტყვით მოწამე ვარ, ეს ჩემი ხელია.

ქ. მე იოთამის შვილი რევაზ ნაზირი ამ ტეტეას სიტყვით მოწამე ვარ.

ქ. მე ერასტის ამ წიგნის ყაბული მაქს [ერასტი].

99. საჩივრის წიგნი, დაწერილია ქალაღზე მხედრულის ხელით. ნიშნები ააა აქვს.

1780, მაგტის 29. ქ. ღმერთმან მათის სიმაღლის ქირი მოსცეს ფარსადან ესიტაშვილს. ჩემო ხემწიფე, მაჩაბლისაგან რომ ასე უსამართლოთ მკუდარი ვარ, როდესაც სამართალში გავიარეთ, დანახა, რომ სამართლით უდაბნო, საუპატიოც ედებოდა, ბატონიშვილისაცა და ჩემიც მთელი სისხლი. სხვანიც ბევრი შემომიყენეს და გივი ხომ რა საკურველია. უთქვენოდ ჩემი ნება როგორ იქნებოდა, მაგრამ გივს რომ ბევრი უარი უთხარ და აღარ მომეშვა, შემარიგეს და ღვთის ფიცით და თქვენის მესისხლობის საფიცარი დამიწერეს ვადით, და მომცეს რადგან აღარ გვიჩილეო, ორი კომლი კაცი უნდა მოეცათ, და ზოგიც თეთრი. ამღვენი ხანია ვეხვეწები და იმათი პასუხი ეს

*) ლაშქარნივი ნიშნავს ჯარის მწერალს.

არის: კიდევაცა გცემბტ ხმაღსაო. ჰმ წყაღობას ვითხოვ: ერთი ოქმი და იასაული გვიბოძო, ან სამართალში გვლაპარაკონ და ან რაც ფიცით წიგნი მოუციით და დამპირებთან, ეს აღმისრულონ, მეორედ შეფოთი რომ არა მოგვიხდეს-რა, თქვენი სადღერგძელო იქნება, თუ რა ჩემი თავი თქვენის ქირის სანაცვლო იყოს. მარტის კთ, ქკს უჲპ.

ემიკალაბაშო დემეტრე, ამ არზით ესიტაშვილი მამბლებს რომ ასე უჩივის; ან რასაც დაპირებოდნენ და თავიანთ კელწერილით ფიცი მიეცესთ, ის გამოურთვით, და ან მოსამართლებთან ალაპარაკეთ, რომელიც უნდოდესთ ამ ორში, ისე გარიგდნენ. აპრილის ბ, ქკს უჲპ—1780 [ერკვლ].

100. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალაღღზე მხედრულის ხელით. ნიშნები არა აქვს, შესავალი გამოვტოვეთ.

1783. ანჯრას მ.....ესე ნასყიდობის წიგნი და: სიგელი დაგიწერე და მოგართვი მე ენაგულმა უსტაშვილმა არუფინამ და შეიღმა ჩემა ნაზირამ, და სახლისა ჩემისა მომავალთა, თქვენ გოსტაშაბისშვილს ერასტი უზბაშს და შვილსა შენსა დავითს და გიორგისა, ასე რომე ჩვენ ენაგულს ვიყავით, გერმანოზისშვილი ომანის მემკვიდრე ყმანი ვიყავით, აგვიღო და თავქალაშვილს გიგელს მიგვიცა. მერე აზადი გვიყო და აზადობის წიგნიცა და ნასყიდობის სიგელიც მოგვცა, ჩვენთან კელი არავის ჰქონდა (ჩაჰქონდა?) ღთს გარდა, ვალი დამედო, მოველ ჩემის ნება წადილთ, თეთრი გამოგართვი, და ჩემი (ჩმი) თავი ყმათ მოგეც, რითაც ჩემ გული შეგჯერდებოდა, გამოგარბვი, ჩემთან საბატონყმით შენგმეტს (sic) საქმე არავის ჰქონდეს (sic), თუ ვინმე ჩემს თავს წამოგედოას, პასუხეს გამცემი მე ვიყო, ღადღეს შენც ქალაქს ბძანდები, და მეც აქ გახლავარ, და როდესაც ღთმა წყაღობა გიყოს, სოფლათ გახვიდეთ, კარგი მამული მიბოძოთ, და როგორც ბატონ-ყმობაში რიგი იყოს, ისე გემსახურო, შენც ჩემი მწყაღობელი ბრძანდებოდე... მოწმენი: აბაშიშვილი დავით (დავით ხელჩართულათ), სამიშვილი ყორა:

ისაულ-ბაში ხალ (ხალ ხელჩართულათ). ქავთარიშვილი უხბაში ნიკოლოზ, გერმანოზიშვილი გიორგი |გიორგი|, გერმანოზიშვილი დავით (დავით ხელჩართულათ), ყორღანიშვილი მუშრიბი დავით |დავით|, ყორღანიშვილი თავლი, და რიფრსადან, და მე იონათამ ქავთარიშვილს დამიწერია ამ უსტაშვილის არუფინას სიტყვით და მოწამეცა ვარ ამისი, დაიწერა იანვრის თ, ქქს უოა+ |იონათამ|.

101. საჩივრის წიგნი, დაწერილია ქალღმერთ მხედრულის ხელით. ნიშნებათ ხოლო აქა-იქ იხმარება თითო წერტილი.

1784, ნოემბრის 22. ქ. ლთონ ბატონის მდივანბეგების ქირი მისცეს ერასტი გოსტაშბისშვილს, მანამდედას ერთი კომლი კაცი გახლავსთ ცხადიასშვილი, ის კაცი ჩემი ყმა არის, ის ცხადიასშვილები ორნი ძმანი არიან. ახლა ის ძმები გაყრილან, ახლა ჩემს ბიძას შვილს წამოუღია ზაზას, გასამყრელოდ ერთი კარი გამოურთმევეია, თქვენ ჩემნი ყმანი ხართო, ერასტის თქვენთა კელი არა აქესო, მე რომ წავსულიყავ და იმისთვის კარი წამერთმევეინა და ერთი შფოთი მექნა, ვიცი სამართალში ავად მომივიდოდა. ახლა ამის გვევდრებით, ერთი ოქმი და ისაული მიბოძოთ. წავიდეს ის ისაული, ის ხარჯ გამოართვას და ისევ იმ ცხადიასშვილებს მისცეს. ის ცხადიასშვილებიც აქ ჩამოიყვანოს და ზაზაც აქ გაიხლოსთ, და მეც აქ გახლავარ. ლთონის წინაშე სამართალში ვილაპარაკოთ, და ვისიც ყმა არის, გამოჩნდებო. თუ ის გამტყუნდეს, ნება თქვენია, და თუ მე გავესტყუნდე, ერთს კარს კიდევ სხვას მივსცემ, და თქვენც გარდამახდევინეთ, თუ ჩემი ყმა არ იყოს. ნოენბრის კბა ქქს უობ.

თავში წარწერა: ქ. საქართველოს მსაჯულთ შეკრებილები, მოგიწერთ ისაული ოთარავ. მერმე უხბაში ერასტი ასე რომ უჩივის, ეს კარი გამოურთვი და იმ გლეხს კაცს მიბარე. ზაზა აქ ჩამოვიდეს და ეგ გლეხი კაციცა ცხადიასშვილი. სამართალში

ილაპარაკონ, თუ სამართლით კაცი დარჩება, კაციც მაგისი იქნება და კარიცა. ნოემბრის კბ, ქკს უობ ერეკლე. ქამი ესეც წარვლის,

102. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალაღზე მხედრულის ხელით. ნიშნებად ნაწმარია ორ-ორი წერტილი. შესავალი გამოვტოვეთ.

1736, ქრისტეშობისთვის 8. ...ესე...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ გერმანოზისშვილებმა სულ კელიერთბირ პაატამ, შვილმა ჩემმა ქახოსრომ, ომან და ოთარ, ძმის წუღმა ჩემმა პაპუამ და გუგუენამ, ბიძაშვილმა ჩემმა ოთარმა, მისმა შვილმა იასემ, ნიკოლოზ და იოანემ, ძმამან მისმან გერმანოზ, შვილმან მისმან მერაბ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა, შენ გოსტაშობისშვილს აილლაბარს, შვილსა შენსა დავითს, ვახუშტის პაატას, ბარამს, შვილთა და მამავალთა სახლისა შენისათა, ასე. რომე დამეჭირა და მოვედით ჩვენის ნება წადილთა და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო ყმა და მამული აკურასს მედიაშვილი მისის განაყოფით... მოწმენი და დამხდურნი: ნამანგლედავისშვილი გუგუენა □, ქავთარისშვილი ეშიკალასბაში სულხან □, ქავთარისშვილი ედიშერ □, საამის შვილი ედიშერ, აფულფათისშვილი ლუარსაბ □, ყორდანაშვილი ფარემუზა, ლამაზაშვილი ლამაზა +, დათუნაშვილი დათუნა. მე დეკანოზისშვილს ოსეს და მიწერია და მოწამეცა ვარ. დაწერა ქრისტეშობისთვის რვას, ქკს უკდ □ □, მონა ღთისა გერმანოზ □, ქ. მე პაპუნა ამისი მოწამე □, ქ. მე გიორგი ქავთარიშვილი ამის მოწამე. გ"ი.

103. ბძანების წიგნი, დაწერილია ქალაღზე მხედრულის ხელით. ნიშნები არა აქვს.

1786, მარტის 20. ყარა-ისაულბაში ლუარსაბ გწერ, ისაულლო გურგენი პოპიაშვილო. მერმე ფარსადან ოსიტაშვილს ოქმი

აქვს ჩემზედ, მისი ყმა ლოლაძე ადმაშელა პეტრე რომ არის მარტყოფსა, ახლავ მიდი, თავისი კაცი მიაბარე, თავდები გამოართვი, რომ თავისი ცოლიც მანდ მოიყვანოს, რადგან თითონ მანდ არის და დედაც მანდ ყავს. ხიზანიც მოიყვანოს, თუ სიტყვა აქვს რამე, აქ სამართალში ჩამოიყვანე. მარტის კ, ქქს უოდ.

მონაღოსისა
ლუარსაბ.

104. თხოვნის წიგნი, დაწერილია ქალაღზე მხედრულის ხელით. ამ წიგნის მარტო შინაარსი არის ჩვენს რვეულში.

1787, ქქს უოე—ოქტომბრის 10. ფარსადან ესიტაშვილი სთხოვს მეფის ძეს ვახტანგს მისი კაცა, რომელიც კონდოლიდგან აყრილა და ტოცნაანშა (ვახტანგის სოფელში) დასახლებულა, დაუბრუნოს.

აზის ბეჭედი ვახტანგისა, რომელიც იქვე სწერს, რომ ის არ ედევება იმ ყმის გამო ესიტაშვილს, და როდესაც უნდა წაიყვანოს.

105. ბძანების წიგნი მეფის ირაკლი II, დაწერილია ქალაღზე მხედრულის ხელით. ნიშნები არა აქვს.

1794, ენკენასთვის 27. ქ. ჩვენი ბძანება არის, მდივანო იონე და ნაზირიო იოსებ, მერმე ესიტაშვილის კაცებისათვის სურსათი რომ გითხოვნიათ, ეგენი ხიზნები არიან, მაგათ ნურასა სხოეთ, თქვენც ასე იცოდეთ და შემდგომ ვინც სხვა მოასილი იქნებოდეს, იმათაცა ყადიმი ბძანება ეს არის და ასე აღასრულეთ. ეგენისთვის, კზ, ქქს უზბ.

ეს ბძანება მეფის ირაკლისა.

ამის მეორე გვერდზე სწერია: უფალო ზასედატელო, კეთილშობილო ენდრონიკოვო დავით, ამ ოქმის პირი მკვიდრი თქვენა ნახეთ, თუ ასე ეწეროს ნურას გამოართმევთ ესიტაშვილის ფარსადანის ყმებს და დასწერე, რომ არა გამოგირთმევიარა ფარსადანის ყმებისათვის. იანვრის კ, ქქს უუბ—1804.

106. გაყრილობის წიგნი, 36,5×20,3 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაქდღე ლამაზი რგალის მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება თითო წერტილი. თარიღი არა აქვს, მაგრამ წიგნი უნდა ეკუთვნოდეს 1711—1714 წ., რადგანაც ვახტანგ VI ერთხანთ ამ წლებში იყო მეფეთ, ხოლო 1714 წლიდან მთელი ორი წელიწადი იესე მეფობდა, ძმა ვახტანგისა. რადგან ბეჭედის წარწერა იესეს მეფეთ არ იხსენიებს, ამისათვის ჩვენი განჩინება მის მეფობის დროს არ უნდა ეკუთვნოდეს, არამედ პირველ ხანას ვახტანგის მეფობისას, ესე იგი 1711—1714 წ.


1711—1714. ქ. გოსტაშაბიშვილების ამილღანბარისა და მათის ძმების ბეჟანისა და გოსტაშაბის ერთობა და ძმობა აღარ მოკდა, გაიყარნენ, რომელიც საქართველოს წესი და რიგი იყო, ისრე გაგვიყრია, მამული გაგვიყვია, ყველას ბართი უჭირავს, უფროს საუფროსო, საშუალოს ბეჟანს საშუალო მივეციტო; უმცროს სასახლის შენობა არა ჰქონდა-რა, და იმისთვინ წყნაქვს ერთი კომლი ბეგთაშა მივეციტო, უწინ რომე თამაზისგან სასხლი (უნდა იყოს სასახლის) ალაგი გამოჰყოლიათ, ის კი სამათ გაიყონ; სხვა სასახლის ადგილები გაუყოფრის მიწილამ ჯერ ამილღანბარ, მერმე ბეჟან და მერმე გოსტაშაბ აიღოს; სასაფლაო, ხატი, ჯვარი, ხოდაბუნი სამად გაიყონ. თავეთს (ესე იგი თავიანთს) დედას თავეთის წილის გლეხილამ თითო კომლი კაცი დაუდვან, სანამდინ ცოცხალი იყოს, იმას მსახურონ; მერმე თავთავისი გლეხი ისრევე დაიჭირონ; დალაფსას ვალს რომ ამბობენ მდივანბეგის მიცემულსა და კიდევ მდივანბეგს რომ გასამყრელოსთვინ ქრთამის გაღებას რომ ანბობს, თუ მართალია, უნდა სამთავ პასუხი გასცენ; სხვა რომელიც სალაპარაკო ჰქონდეს, თუ მოსამემ (მოსაქმემ) იქ ვერ გაარიგოს, კარზე ილაპარაკონ*). ქოთაშას, გუნანეთას, კრდოსას, წანანაუდს რაც საუფროსო ერგებოდეს ამილღანბარს, მოსაქმემ მათის თავი მისცეს, აგრევე რაც მთის სოფელი გაუყოფარი დარჩომილ იყოს, იმისიც ამ გვარად საუფროსო მისცენ, მიწა;

*) აქედან იწყება სხვა უფრო ზომსხუტე ხელით ნაწერი.

წყლისა და ნაოხრის სოფლებისა, ქვევრის საუფროსო ამილ-
ლაბარს, და სხვა საშად გაიყონ.

ამას შემდეგ თვით იესეს ხელით სწერია:

ქ. რაც ამ ნუსხაში სწერია, რაც გაურიგო, ის არის, რაც
არა და ვერ გაარიგო, ლაშქრობიდამ რო მოვბრუნეთ, კარზე
მოიყვანე, სამართალს უხამო, როსტომ შალიკაშვილო, ეს ასრე
გაურიგე.



107. განჩინების წიგნი, დაწერილია ქალაღზე მხედრულის ხელით.
ნიშნები არა აქვს.

1801, მაისის 3. ქ. მათის იმპერატორების დიდებულე-
ბის სათნო ჩინებით ჩვენ სრულიად ქართლისა, კახეთისა მემ-
კვიდრეობით განმგებელმან და მბრძანებელმან დავით, შენ გო-
სტაშაბისშვილს დავითისაგან არზასთან მორთმეული წიგნე-
ბი გავსინჯეთ, პირველი აღრიდგან შენის ოჯახიდან გაყრი-
ლის გოსტაშაბისშვილის ზურაბისა მამას შენს ერასტისთან შე-
ყრილობისა და ძმობის წიგნი, რომელშია სწერს მრავლის
პატიოსნის მოწმების თანდასწრებით და ორბელიანის სარდ-
ლის დავითის დამტკიცებით ასე: „მე გოსტაშაბისშვილი ზუ-
რაბ შენ ჩემს გოსტაშაბისშვილს ერასტის ამ ძმობის პირობით
შეგეყარე, რომ რაც მამა-ჩემს ბეჟანს, ან თავისა საჭირნახუ-
ლო, ან სამკვიდრო ყმა და მამული თქვენ ამილლაბარის შვი-
ლებისა და გოსტაშაბისაგან გაეტანოს, ან ნასყიდი, ან მასუკან
შემატებული, უძრავი მამული და ყმა, ესე ყოველი შენთან სა-
ძმობი შემომიტანია და შენს მამულთან შემომირთავს, და შენც
ჩვენგან გატანილი მამული აგრევე ჩემის რძლის ბების შენის
ნასყიდობა შემორთე. სანამ ცოცხალი ვიყუნეთ, ერთათ ამ მა-

*) დედანში ბეჭედი რვალია და არა ოთხ-კუთხედი.

მულებით ვიცხოვროთ, და აღსასრულიც ერთმანერთის ხელში გექონდესო“- ამას ამტკიცებს თავისის უკანასკნელის ანდერძის წიგნითა, რომ აქ ხსენებული მამულები შენ ერასტისათვის მომიციაო. ჩვენ, რა ეს წიგნები გავსინჯეთ, სჯულიერად და კანონიერად დავინახეთ, რადგან ამ ზურაბის აღსასრული თქვენს ხელში ყოფილა და იმისი დანარჩომი ქალები თქვენ დაგიზრდიათ და დაგიხზოვებიათ, როგორც თვითონ ბიძა შენი ზურაბ თავის შეყრილობისა და ანდერძის წიგნში ყოვლის კაცის ხელს შეუვალად ერასტისა და შენ იმის შვილს დავითს გაძლევს. ჩვენც იმისი დანარჩომი ყმა და მამული შენ გოსტაშაბისშვილის დავითისა და მომავალთა შენათავის გვიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ღიდის რუსეთის კელმწიფის იმპერატორისა და ჩვენს ერდგულებასა 'მინა- აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა გამგეო, სარდალ-სალთხუცესო და მსაჯულნო, ეს ჩვენი წყალობის წიგნი თქვენ ყოველთავე ასე დაუმტკიცეთ. აღიწერა მაისის გ. წელსა ჩყა

დავით

მდივან ბეგი
იოანემდივანბეგი
ჯავახიშვილი
ვახუშტიმონა დვთისა თუშა-
ნიშვილი მდივანი
სულხანმდივან ბეგი
ციციშვილი
ნიკოლოზვინც დავითს სტომობს
სქესობით სპასპეტ მყო-
სალთხუცესობით
დავითმდივან ბეგი
დავით

ბეჟან

108. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალაქდზე მხედრულის ხელით. ამ წიგნის პირიკა გვაქვს ხელში ანჩის ხატის მღვდლის პეტრე არღახიანოვის მიერ გარდაღებული.

1747, თებათვის 17. ქ. ნებიტუ და შეწევნითა ღოთისათა ესე ქამთა და ხანთა გასათავებელი წიგნი მოგეცი მე ქიშინანთ გიუას შვილმა ქიტესამ შენ გერმანოზისშვილს ოთარს და შვილსა შენსა ნიკოლოზს, ასრე რომ მამა ჩემს გაწეთუბანშა სახლ-კარი ქონდა და ვახტანგ მეფის ღროს თქვენთვინა და თქვენის ბიძაშვილის გერმანოზისათვის მოუყიდნია, მერმე ურუმობაში გარეთ-უბანი დააქციეს და ის თქვენი სახლიც დაიქცა; ახლა

ბედნიერის კემწიფის მეფის თეიმურაზისა ბატონობაში მოხველ და წამომედავე, და სახლის თეთრს თხოვნა დამიწყევ; მერმე მევე შემოგებვეწე და ბატონის დედოფლის ბძანებით, რაც შემეძლო, მევე კელი მიბრუნე და მეორედ ეს ნასყიდობის წიგნი მოგართვი, რომ როგორათაც მამა ჩემს მოეცეს, ისე მე მომირთმეეია, ზევით ბოშის სახლიდამ უკან აღხაზას სახლამდისინ, და ქვევით გვერდი გიუას სახლამდისინ და გარეთ შარამდისინ, და კოტინანთ ბალამდის. მოგცეს და გიბედნიეროს ლთნ თუ გინდა გაყიდო, თუ გინდა დააგირავე, ღმერთმან მოგახმაროს. თუ ვინმე წამოგედლოს, პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და კაცთაგან ბაყლო აკოფიანთ სტეფანა + და მეკარვე ზურაბა + და ხალოვანთ სვიმონა + და ბიძა ჩემი ბატონის მექანარე ზურაბა, და მე კემწიფის კარის მლუდელს იოკიმეშვილს, მიქელ მლუდელს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი თიბათვის იზ, ქქს „ულე“.

ქ. ჩვენ ბატონის დედოფლის ეშికალას-ბაში ზაზა ამისი მოწამე ვართ ზაზა.

109.

განჩინების წიგნი. ამ წინის მარტო პირი ვიპოვეთ დაწერილი ლურჯ ქალღმრთელზე მხედრულს ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი.

1749, ძკათათვის 8. ქ. ამას წინათ სულკურთხეულის მეფის ვახტანგის ბატონობაში გერმანოზისშვილი იესე და მისი ძმისწული დათუნა გაყრილიყვნენ და ბატონს გასამყრელო აელო. ამ გასამყრელოსი ნახევარი იესესათვის ებოძა: ენაგეთს მამუკაშვილი გოდერძა, ზეიდლასშვილი გიორგი, ხატიასშვილი თამაზა, ეხუნი (უნდა იყვეს ესენი) იესესათვის ებოძა და ნახევარი დათუნასათვის; იესეს თავისი ფეშქაში რომ არა ექნებოდა ბატონის მისართმევი, თავისის რძლის ოთარის ჯალაბისათვის ზითვის საქონელი გამოერთმია და ეს გლეხები იმითი ექრთამებინა. ბატონის წიგნი რომ აელო წყალობისა, რადგან ამ რძლის საქონელი მიერთმია,

ბედნიერის კემწიფის მეფის თეიმურაზისა ბატონობაში მოხველ და წამომედავე, და სახლის თეთრს თხოვნა დამიწყევ; მერმე მევე შემოგებევწე და ბატონის დედოფლის ბძანებით, რაც შემეძლო, მევე კელი მიბრუნე და მეორედ ეს ნასყიდობის წიგნი მოგართვი, რომ როგორათაც მამა ჩემს მოეცეს, ისე მე მომიბრთმეცია, ზევით ბოშის სახლიდამ უკან აღხაზას სახლამდისინ, და ქვევით გვერდი გიუას სახლამდისინ და გარეთ შარამდისინ, და კოტინაანთ ბალამდის. მოგცეს და გიბედნიეროს ღთნ თუ გინდა გაყილო, თუ გინდა დააგირავე, ღმერთმან მოგახმაროს. თუ ვინმე წამოგედაოს, პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და კაცთაგან ბაყალ აკოფაანთ სტეფანა + და მეკარვე ზურაბა + და ხალოვანთ სვიმონა + და ბიძა ჩემი ბატონის მექანარე ზურაბა, და მე კემწიფის კარის მღუდელს იოკიმეშვილს, მიქელ მღუდელს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი თიბათვის იზ, ქქს „ულე“.

ქ. ჩვენ ბატონის დედოფლის ეშქალას-ბაში ზაზა ამისი მოწამე ვართ ზაზა.

109.

განჩინების წიგნი. ამ წინის მარტო პირი ვიპოვეთ დაწერილი ლურჯ ქალაღზე მხედრულს ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი.

1749, მკათათვას 8. ქ. ამას წინათ სულკურთხეულის მეფის ვახტანგის ბატონობაში გერმანოზისშვილი იესე და მისი ძმისწული დათუნა გაყრილიყვენ და ბატონს გასამყრელო აელო. ამ გასამყრელოსი ნახევარი იესესათვის ებოძა: ენაგეთს მამუკაშვილი გოდერძა, ზეიდლასშვილი გიორგი, ხატისშვილი თამაზა, ებუნი (უნდა იყვეს ესენი) იესესათვის ებოძა და ნახევარი დათუნასათვის; იესეს თავისი ფეშქაში რომ არა ექნებოდა ბატონის მისართმევი, თავისის რძლის ოთარის ჯალაბისათვის ზითვის საქონელი გამოერთმია და ეს გლეხები იმითი ექრთამებინა. ბატონის წიგნი რომ აელო წყალობისა, რადგან ამ რძლის საქონელი მიერთმია,